ISSN 0132—599X
ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

11 1979

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა


# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 56-ე № 11 ნოემბერი, 1979 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი


რეზო ამაშუკელი — საქართველოს კომკავშირს. ლექსი . . . . . . . . . . 3
მიხეილ ქვლივიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 5
იზა ორჯონიკიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 8
ნიკოლოზ ბაბაონი — ნოველები . . . . . . . . . . . . . 12
მზია ხეთაგური — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 33
იუზა ჯაჭეიშვილი — გამოცხადება. რომანი. გაგრძელება . . . . . . . . . . 41
რევაზ დანელია — ლექსები . . . . . . . . . . . . 126
ზაზა ქინქლაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . 130
ხამიდ გულიამი — ორი ბალადა. თარგმნა შალვა ამისულაშვილმა . . . . . . . 133


### 70 ირაკლი აბაშიძე 70


ირაკლი აბაშიძე — ლექსი . . . . . . . . . . . . . 135
რეზო ამაშუკელი — მზეგრძელი იყავ! . . . . . . . . . . 136
ვერიკო ანჯაფარიძე — იცოცხლე, მრავალჟამიერ! . . . . . . . . . 136
გურამ ასათიანი — მისი სტიქია — ახალგაზრდობაა! . . . . . . . . 137
მარიკა ბარათაშვილი — ვულოცავ . . . . . . . . . . . 138
ლადო გუდიაშვილი — რაც ჩვენს გულებს აერთებს . . . . . . . . . 139
ვიქტორ კუპრაძე — მოქალაქეობრივი პათოსით . . . . . . . . . 140
მუხრან მაჭავარიანი — მადლობა . . . . . . . . . . . 140
ბაგრატ შინკუბა — ცოცხალი სიტყვა . . . . . . . . . 141
ფრიდონ ხალვაში — ჩვენ მაჭახელში ერთად ვიყავით . . . . . . . . . 142
გიორგი ნატროშვილი — ირაკლი აბაშიძის პოეზია . . . . . . . . . . 143


### კრიტიკა და პუბლიცისტიკა


აკაკი გაწერელია — მხატვრული ენის სპეციფიკური არსის საკითხისათვის . . 158
პროკოფი რატიანი — ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები . . . . . . 168
გიორგი შეთეკაური — ნათელი პოეტური სურათები . . . . . . . . . 178
ივანე სურგულაძე — ჭანიეთი . . . . . . . . . . 183
ლია კოტაშვილი — სულკალმახის სახელის ეტიმოლოგიის შესახებ . . . . . 186


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## წიგნების მიმოხილვა

ილია რურუა — მაისის წვიმა . . . . . . . . . . . . . . . 190
ბაკაკი ბეწაძე — „ყველას თავისი სათქმელი სტკივა“ . . . . . . . . . . . 191

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. ვიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 19/X-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XI-79 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი თაბახი 16.58.
უე 13300. ტირაჟი 19.000. შეკვ. 2579
ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1979.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეზო ამაშუკელი

# საქართველოს კომკავშირს

რაიც გაკეთდა,
დღეს რაც არის,
ხვალ რაც იქნება,
ახალ ქარხნებად,
სართულებად,
ზვრებად, წიგნებად,
ყველა სიმაღლე, ყველა ზღვარი,
ყველა მიგნება,
მე მჯერა, მჯერა —
— შენი ხელით ჩამოიქნება...

შენ შენი მრწამსით
კვალში მისდევ ცხოვრების
გრიგალს
მამულის დროშა განწმენდილი
ამაყად მიგაქვს!
მთლად საქართველო
ამ დღეებში აიღებს ქნარს
და დაგილოცავს
თავდადებას,
კაცობას,
ჯიგარს!

მეც შენად ვფიქრობ, —
უსწორდება ისარს ისარი:
— ისე ვბერდები
ვერაფერი ვერ მოგისწარი,
ხარ დედის სინდის-ნამუსივით
დასაფიცარი,
ბავშვივით სუფთა, გულმართალი
და გულთმისანი!

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობა შემობრუნდა
ბუმერანგივით,
ისევ მეძახის თეთრ ტაძარში
შენი ყრილობა!
მინდა ბავშვივით გადავიხსნა
გულზე პერანგი
და დაგანახო
სიყვარულის ცხელი ჭრილობა!
მე შენი ძუძუს ხსენი ისევ
ძარღვში დამიდის,
ვარ კალატოზი
შენი ძეგლის და პირამიდის,
მე სული ჩემი
გადავხურე შენი კრამიტით,
ავივსე შენი ატმის კვირტით,
შენი ამინდით!

შენი სიმაღლით,
შენი რწმენით,
შენი წარსულით,
ცისკენ წასულით,
მარადიულ თეთრი ასულით,
შენი წვალებით,
გამარჯვებით ფანტასტიურით,
შენი ბორისით,
კოშევოით,
შენი იურით!
ვიგონებ დღეებს
ცისფერ სხივში გადარხეულებს,
— იყავი მუდამ
ალმავალი სხივით მმოსავი,
მე შენი სიბრძნე
მინათებდა ფერმკრთალ
რვეულებს,
შენ იყავ ჩემი ჭაშნაგირიც,
გზის დამლოცავიც!

თმა შეივერცხლა,
გული დაცხრა,
ალბათ დროც არის,
ვერ დავაწიე სიყვარულის
სიტყვა ფრთოსანი,
მაგრამ ის ცეცხლი ალტაცების
განა შორს არი
— გულზე ბდღვრიალა მზე
ფათქუნებს
მიმინოსავით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ქვლივიძე

# ალექსანდრე ბლოკის საიუბილეო დღესასწაულზე სოფელ შახმატოვოში

სტუმრად მივდივართ ბლოკთან —
(მტერი მისულა მასთან!),
დიდი ხნის წინათ მომკვდარ
ჯერ ახალგაზრდა კაცთან;
ბლოკთან მივდივართ სტუმრად
და ვით ძვირფასი ძღვენი,
მიგვაქვს ხსოვნა და ურვა
და მოკრძალება ჩვენი...
შახმატოვოში სახლი
წაფერდებულა — ძველი
და მოსეირნე ხალხით
მოფენილია ველი.
სახელდახელო სცენა.
შემოღობილი არე.
და გაკრეფილი ენად —
მიტინგის თავმჯდომარე:
„ბლოკი... ბლოკმათო... ბლოკსო...
ბლოკითო... ბლოკივითო...“
ბლოკს უკავშირებს კოსმოსს
(გაგარინია ვითომ!),
კვლავ უბრუნდება მიწას
და ასე ასკვნის ბოლოს:
«Блок Поэзии Рыцарь,
Революции Голос!»
ბლოკს კი არ ესმის მისი,
რადგან ბლოკია ახლა,
როგორც მთის წვერზე ნისლი, —
ყველა სულდგმულზე მაღლა;
ბლოკი არაა არსად,
იგი ჩვენშია მარტო:
კაცი — ქცეული აზრად,
უცოდველი და სათნო.

1979, აგვისტო

* * *

პირველკურსელი რომ ვიყავ ბიჭი, —
არ გამთქვათ არსად, — ახლაც ისა ვარ!
თვალიც მიჭრის და გონებაც მიჭრის,
სხვა მხრივაც მგონი ჯერ არა მიჭირს. —
ვაგნებ ქალის და მოძმის მისამართს!
მაგრამ ეჰ, ვხედავ, მეშლება რაღაც...
და თუმცა წელში დრომ ვერ გამხარა,
თავზე ჭაღივით დამნათის ჩაღად
ეს გამცემლური ჩემი ჭაღარა!
მით უარესი, გული თუ მერჩის,
თუ ახალგაზრდა მგონია თავი, —
სამოწყალობოდ გაშვერილ ხელში
დღითი დღე დნება შეგრენის ტყავი;
და ვიცი, დიდხანს არ მაბოგინებს
ცხოვრება — ყოვლის გამთანაბრელი,
და ყმაწვილობა რაც უნდ მომინდეს,
არ დაბრუნდება ჩემი აპრილი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ქალი

აქ იჯდა, —
სწორედ ამ ადგილზე,
ზღვა ფეხთით ეწვა
და ტანზე მარტო
ოქროსფერი
მზის სხივი ეცვა.
და ოქროსავით
უგრძნობელი,
მაგრამ გრძნეული,
თვალისმომჭრელად
ლაპლაპებდა
მისი სხეული —
ოქროს ემბაზი,
მარტოოდენ
ფ ო რ მ ა  და  ხ ა ზ ი...
და ამის მადლით
ეძლეოდა
ყველაფერს აზრი!

* * *

რამ გააბრაზა, რამ აღაგზნო
ესოდენ
ეს ზღვა?
იქნებ მას ჰქონდა ყველაფერი
და აკლდა
ესღა:
უნდოდა თავის გამოჩენა,
ქარიშხალს
ეძმო
და ამით ჩვენი გაკვირვება
როგორღაც
შესძლო?!
ვნახეთ, გეთაყვა! გავიკვირვეთ!
რა, ამას
იქით?
ტაში დავუკრათ? თუ ლექსებით
შევამკოთ
იგი?
ეგ ზღვა არ იყო, შემოსილი
ტალღების
ქაფით, —
ორი დღის წინათ, რომ ქლესურად
ლოღნიდა
ნაპირს?!

## ყველაზე ძვირფასი

ყველაზე ძვირფასი ამქვეყნად  დ რ ო ა, — და მეც ყველა საყიდლებს ისევ ტაქსით მგზავრობა ვამჯობინე, რომ თვითმფრინავის გაფრენამდე შენი კოცნა და შენთან გამომშვიდობება მომესწრო.

## ვედრება

სხვისი დამცირების მოწმედ ნუ გამხდი, ღმერთო, —
რადგან მტრად და მოსისხლედ ჩემი თავიც მეყოფა,
რომელიც არაერთხელ მინახავს დამცირებული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვარიაციები

## 1.

შენი სახლ-კარი და შოროკშარი,[1]
თუმცა შორს არი, — მაინც ჩემია.
ერთადერთი ხარ სამშობლოსავით,
რომელიც მე არ ამირჩევია!
და სულ ერთია სადაც მეგულვი, —
რადგან სათუთად გულში მალული,
გარდაუვალი თუ უნებური
არ განელდება ეს სიყვარული!

## 2.

გარდაუვალი თუ უნებური,
ეს სიყვარული — ჩემი ხვედრია.
და სულ ერთია სადაც მეგულვი,
ან რა ხანია არ შემხვედრიხარ;
ჩვენ ვერაფერმა ვერ დაგვაშოროს, —
შენსკენ მოჰქრიან ჩემი ფიქრები...
ერთადერთი ხარ, როგორც სამშობლო,
და გიერთგულებ, სანამ ვიქნები!

## №-ს

კუპრის მორევში — სიწმინდის კუნძულს,
რა გიყო, რა ვქნა, რით გცე ნუგეში,
როცა პაწია, ქათქათა ძუძუ —
ჩიტის ბარტყივით გიზის უბეში?!

* * *

შენ ისევ ის ხარ:
გამუდმებით ღელავ და შფოთავ,
ვეღარ ანსხვავებ ერთმანეთში
უცნობს და ნაცნობს,
და გულმოდგინედ
ყოველ დილით აკითხავ ფოსტას —
გაცრუებული იმედების ცარიელ საწყობს!
იქ „მოკითხვამდე“ —
გეგულება სარკმელი ერთი,
თავს დასტრიალებ ძერასავით
დიდი ხანია
და იმ სარკმლიდან
აფრენილი წერილის მეტი
ამ ქვეყნად, მგონი, არაფერი არ გიხარია!..

## ჩემი „დავთარი“

ჩემ „დავთარში“ წერია დავალება ათასი:
როდის უნდა დავფარო პროფკავშირის საწევრო...
გავურიგდე ხელოსანს... შევიარო ბაზარში...
და მავანის სახელზე განცხადება დავწერო...
ჩემ „დავთარში“ წერია: სად, რა უნდა ვაკეთო,
ვისთან რა მელოდება — წამება თუ ცხონება?
სამწუხაროდ, „დავთარში“ არ წერია საერთოდ, —
როდის უნდა დავიწყო ნ ო რ მ ა ლ უ რ ი ცხოვრება!

---

1. შოროკშარი — ბუდაპეშტის გარეუბანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იზა ორჯონიკიძე

## წარწერა „დიდოსტატის მარჯვენის“ ბოლო ფურცელზე

ვინ არის მეფე?
ერი სად არის?!
ფერფლში რიღასთვის
ფხიზლობს ღადარი?!
ქომაგად დედათ და უმწეოთა
ნიადაგ გული ვის ეწეოდა?
ბნელ დერეფნებში
წელთა წლეულის,
რას ჩივის ლანდი
გადამსხვრეული?

. . .

მორიელივით დალოღავს ესა
აგროვებს შხამს და
ემალვის მზესა,
იცდის,
ნოტიო სიბნელეს ეკვრის,
არა, არ სტკივა
ჩვენს ადამს ნეკნი,
არა, არ იცის
ხვალის ანბანი,
ცივი აქვს თვალნი,
სულიც ჯაბანი...
უკვდავიაო, ამბობს
შადიმან,
უკვდავიაო იასეც ჩვენი,
და რაც წარსულმა
სისხლი გვადინა,
მოსაქავებლად გვახსოვსო ენის...

შემზარავია ესე ყოველი!
უფსკრულს ჩაიმსხვრა ქალი ფხოველი...

* * *

სალამი სევდავ,
სინათლევ ღამის,
შენს სანდო მკლავზე
მინდა დანდობა,
სალამი ტანჯვის
უნაღდეს წამებს,
გადახდილს ვით ომს
ახალგაზრდობას,
სალამი დიაცთ, —
სასტიკ მსაჯულებს,
და ჭორიკანა
მშიშარა კაცებს,
სიცრუით ერთურთს
გადაჯაჭვულებს
და გულგრილობის
ლოგინში ნაცემთ!
უკანასკნელო ჩემო მაისო,
გადამიმწვანე
ლოდი და რიყე,
მინდა,
სამარე
ვარდით ამივსო,
მინდა,
ქორწილი
ეგონოთ ბრიყვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ზღვისპირას მოჩანს
ციცქნა ჯიხური
და შეღებილი
ოდესღაც მერხი....
ამ ქალმა
გულის კარი მიხურა
და აღარ აკრთობს
მომავლის მეხი...
ზის და გიცქერის,
უყვარხარ! იცის!
ელის შენს ხელს და
ტყვიასაც ელის
და ბრბო მსაჯული,
ჩლუნგი და ფიცხი
იცდის,
დე, თავად ირჩიოს მკვლელი...
ზის და გიცქერის
უყვარხარ — სჯერა!
გამონაზამთრი
ტორტმანებს წყალი
და შეფერილი
სიცოცხლის ფერად
მიმორბის ხვლიკი,
ოდითგან მფრთხალი...
დღეა ნათელი
და შობს იმედებს,
დღეა ლამაზი
და სიმწრით დაღლილს —
ჰგონია, მისი დღეც მოიმატებს
დაღამებული ვინ იცის რა ხნის.

## პროზაული ეტიუდები

1

როცა ვწერ რამეს,
თავს ისე ვგრძნობ
როგორც აქიმი,
რომელიც რაღაც
საეჭვოს თითხნის
და თან ღიღინებს
ძველ სიმღერას —
მიტოვებულ გაზაფხულზე,
შემოდგომის წინა წვიმებზე —
თოვლში ჩაფლულ ირემივით
ბღავის წარსული...

2

ბამბუკების გაფოფრილ და
ყვითელ მარაოს
ოდნავ, სულ ოდნავ
აქანავებს გრილი ზღვაური.
ჭრელი ძროხები
მშვიდად სძოვენ ნოემბრის ხვართქლას,
ხოლო ბზის ჭალა,
სასწაულით გადარჩენილი,
გარს უვლის ამ სახლს,
არა გჯერა,
რომ ზღვა აქვეა
და ყოველ დილას
გაბრწყინდება ვით დიდი ცრემლი —
ჩალურჯებულ უპეებში გარინდებული...
როცა მივდგები
ცრემლის ნაპირთან,
იქ მოდის სევდაც —
ძიძა ჩემი მარტოობისა...

3

რად ერიდება ტანჯვას ეს კაცი
და ისე უნდა ჩაუაროს სასაკლაოებს,
რომ წვეთიც სისხლის
არსად მიეცხოს?!
ეძებს ქვეყანას,
რომელიც, თურმე,
დაცლილია მწუხარებისგან!
ვინ მოახსენა?
არ არსებობს ასეთი მიწა!
არის მხოლოდ თავშესაფარი,
საცა ერთი ეფარება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორის სარკმელს,
რომელიც ბინძურ ქუჩას დაჰყურებს...
რად ერიდება ტანჯვას ეს კაცი,
არ შეუძლია
სიყვარულის სასთუმალთან
ყოველდღე ჯდომა?
მაშ თავგანწირვის სასწაულებს
რად ითხოვს სხვისგან?!

4

აბა ვინ იცის,
რომ ეს კენჭები
ნარიყია იმ ტალღებისა,
რომლებსაც უკვე
ვერასოდეს მოვუჩრეჩავ
აბურძგნულ ქოჩორს —
ამასწინათ, დავიარე
სიყმაწვილის მოკლე ქუჩები...

5

მიტოვებულ,
გაუხარელ სიყვარულზე
უფრო მეტს ვფიქრობ,
ვიდრე იმათზე,
ვისმა გულებმაც
ჰპოვეს ერთხელ გამოძახილი,
ვინც დაიცხრო
გულის წადილი,
აბა, ის რა სადარდელია!
(თუმც უმეტეს
საშინელებას მოგვიტანს ხოლმე
კმაყოფილება, —
ზოგს მიართმევს სიცარიელეს,
ზოგსაც ცეცხლს უქრობს სამუდამოდ,
თვალახვეულნი
ხელის ცეცებით პოულობენ ერთმანეთს და
ასეც ჰკარგავენ),
ბუნება კი დაუზარებლად
იმეორებს თავის შეცდომებს,
თითქო, ძლიერ აინტერესებს,
რა მოჰყვებაო შემდგომ
ახალ უბედურებას.
ვის შეუძლია უარი თქვას
და იდუმალი არ შეხსნას კარი?

6

პირუტყვს არ ახსოვს,
რომ უნდა მოკვდეს.
შენ იცი კარგად,
ის გაცილებით ბედნიერია!
შენ გამოგყო განგებამ და
დაგასახიჩრა,
აგატკივა თავი და გული,
ვერც ერთ ბალიშზე
თავი მშვიდად ვერ მიგიდვია,
ერთადერთი ბალიშია —
კუბოს ბალიში!

7

ო, ჩვენი მკვდრები,
ო, ფესვები ჩვენი ცხოვრების...
ვინც ჩაიხედა საფლავებში,
მან იხილა ჭეშმარიტი სახე ყოფნისა
მერე, სიკვდილი
სასაფლაოს ბილიკებზე გავლაა მხოლოდ!
მე გამოვყევი ამ ნაკადულს
და მდინარის პირს მივადექ
გავყევ მდინარეს,
ისიც ვნახე ზღვად ჩამავალი...

8

ღმერთი უჩემოდ
იგივეა რაც შენ უღმერთოდ,
უერთმანეთოდ არაფერი არ გამოგივათ.
არც შენ, არც იმას
ჩემზე უფრო მახლობელი
არავინა გაყვთ.
ასე ყოფილა მოწყობილი
თურმე ქვეყანა —
სამყარო, შენ — ის.
თუმცა ღვთიურს და ადამიანურს
საზარელი გზები ახვედრებს,
აშორებს უფრო საშინელი,
მიუსავალი...

9

ბავშვობაზე ფიქრს
სიკვდილამდე განაგრძობს კაცი.
არც მე მეთმობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაღვლიანი ჩემი სიმღერა,
განთიადისას
ჩიტის ბუდით გადმოვარდნილი.
რამდენჯერ სიკვდილს
წინ აღუდგა ბავშვობის ფარი
და გულალალმა
შურისგება არსად ინება!
მშვიდად შევცქერი
უკუღმართ და უსამართლო
განაჩენს დღეთა.
პირსა ვბან ხოლმე
ჩემს იარებს
ყრმობის ცრემლებით.

10

მე უკვე ვიცი
როდის მოვკვდები.
ამისი ცოდნა სიცოცხლეა
ფასდაუდები!
ბედნიერი ხარ,
ძალა შეგწევს
მაგრძნობინო გარდაუვალი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ გაგაონი

# ნოველები

ციკლიდან: „ომი“

## სამი ჯამი ფია

ქსოვრისი ქართლის ძველისძველი სოფელი გახლავთ. იხსენიება ის VII საუკუნის ერთ არაბულ დოკუმენტში, რომელსაც მეცნიერები „დაცვის სიგელს“ უწოდებენ და არაბი სარდლის ჰაბიბ იბნ-მასლამას მიერ არის გაცემული. ამ დოკუმენტის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ერთი ბალაზორის ისტორიაშია მოთავსებული, მეორე კი ტაბარის ნაწარმოებში. პირველი მემატიანის აღწერის საგანი არაბთა დაპყრობითი ომებია, მეორესი კი მსოფლიო ისტორია.

ყოველივე ამას არაფერი ჰქონდა საერთო ქსოვრისელი ლექსო კაკაბურის ცხოვრებასთან. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ მისი წინაპრები, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, მთიულეთიდან იყვნენ ქსოვრისში ჩამოთესლებული, ისევე როგორც ქსნისა და არაგვის სოფლების ბევრი მცხოვრები.

XX საუკუნეში ქსოვრისი ისევე ლონიერ და ხილით მდიდარ სოფლად ითვლება, როგორც VII საუკუნეში იყო. მაშინაც არაბების თვალსაწიერში იმიტომ იყო მოხვედრილი, რომ ქართლის იმ სოფლებივით იქცევდა ყურადღებას, რომლებიც „დაცვის სიგელში“ არიან დასახელებული.

ლექსო კაკაბური წელმაგარ გლეხად ითვლებოდა. მისი ცოლი ფეფოც, არა უჭირდა-რა, რიგიანად იყო გამზითვებული. მართალია, მისი პურის კიდობანი, ორი ბოხჩა, ორი ხელი თეთრეული, ერთი ხელი საქორწინო და საგარეო კაბა, ერთი კოკა, ლიტრა, რამდენიმე ჯამჭურჭელი, ხელსაფქვავი და ერთიც ავანდასტა ერთ პატარა ურემზე მოთავსდა, მაგრამ, მერე და მერე, გარჯითა და შრომით ცოლ-ქმარმა ოჯახში ღვთის თვალი დაატრიალა.

ლამეებში, ქსნის პირზე ბოსტანი ჰქონდათ, ოძისში, ზედ რუსთან — ბაღჩა. ბოსელში ერთი ულელი ლონიერი ხარები, მეწველი ძროხა და დეკეული, ეზოში ინდაურები და ქათმები, საბძელში გასაძლისი ბზე და თივა, მარანში ცოტა ღვინო, ბეღელში ზამთრის სარჩო ხორბალი და ქერი. გაზაფხულიდან გაზაფხულამდე როგორღაც გაჰქონდათ თავი.

ლექსო და ფეფო კაკაბურები კიდევ უფრო გაიმართნენ წელში, როცა სოფლის საბჭომ ერთი მდიდარი სოვდაგრის ვენახის კუთხე მიუზომა და ლამისყანელი თავადიშვილის ხოდაბუნებიდან ერთი რიგიანი საყანე უწილადა. კიდევ უფრო მოუმატეს გარჯას, მოსავალმაც და შემოსავალმაც სწრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფად იმატა, ხვავიც მოჰყვა და ბარაქაც.

სულ მალე ლექსო კაკაბურმა ერთი ისეთი ორსართულიანი სახლი წამოსჭიმა, ავ თვალს არ დაენახვებოდა.

— დედაკაცო, ყვიროდა ეზოში გახარებული ლექსო, — ე მაგ კიბეზე ჭკვიანად იჯექი, არ დამიგორდე და თეძო არ ამოიგდო, თეძო ჯანდაბას, მუცელი არ წაიხდინო.

ფეფოც, თითქოს ჯიბრით, მატიტელას ინდაურებისათვის კიბის სულ ზედა საფეხურზე ჰრიდა და ისე დაუდევრად იჯდა, რომ მის ქმარს გული უსკდებოდა, ძირს ზღართანი არ მოადინოსო. ცოლს სულ გარშემო უტრიალებდა, ენის წვერზე სულ „შენი ჭირიმე... შენ გენაცვალე“ ედგა, მაგრამ პირიდან არ ამოსდიოდა, „კაცს არ შეჰფერისო, არ შეშვენისო“, უმტკიცებდა თავის თავს.

რაკი არა უჭირდათ-რა, მიაყოლეს და თითქმის ყოველ წელს ახალ აკვანს არწევდნენ ეზოს ლირეზე. ჯერ ძალიან უხაროდათ, მერე და მერე კი ცხვირი ჩამოუშვეს და გამწარდნენ კიდეც. ზედიზედ ექვსი გოგო ეყოლათ. დათვლა არ უნდოდა? ან სახელების დახსომება?

— აბა ერთი, გულზე ხელი დაიდე, თვითონა თქვი, დედაკაცო, ვინ რომელია?

ჯავრობდა ქმარი.

არც ცოლი რჩებოდა ვალში, თავზე კაკალს ამტვრევდა:

— რა გაყვირებს, შე ღმერთგამწყრალო, შენა! მე ოცი ვარიის სახელი არ მავიწყდება, შენ ექვსი გოგოს სახელი ვერ უნდა დაისწავლო, შე ბატიტვინა, შენა!

ქმარი მაინც თავისას გაიძახოდა, ცოლს საყვედურით ეუბნებოდა:

— ვთქოთ, ეგ როგორმე დავისწავლო. მერე რა? ექვსი გოგოს გათხოვება არ გინდა?

თან თავი ისე ეჭირა, თითქოს თარო თამროში ერიოდა, კატო — მელანოში, ანო — ტასოში.

ცოლი ჯერ ყურებს არ იბერტყავდა, მეოთხე გოგოზე კი შეფიქრიანდა, მეხუთემ და მეექვსემ სულ მთლად დაარეტიანა. ქმარი უმძრახივით დადიოდა. ერდოზე ავიდა და ლოგინი იქ გაიშალა. ფეფოს პირკატა ეცა. ერთმა ჭორიკანა მეზობლის ქალმა ცეცხლზე ნავთი დაუსხა, „შენი ქმარი ამასწინათ მეველის ცოლს ელაპარაკებოდა მინდორში და საკუთარი თვალებით დავინახე როგორ შეძვრნენ თივის ზვინშიო“.

ფეფოს გული გადაუტრიალდა. აილო და იმანაც ახლომახლო ყველა საყდარი, ღია თუ დაკეტილი, მუხლის ჩოქვით შემოიარა, ღმერთს ვაჟის ჩუქებას შეევედრა, სამაგიეროდ ივლიტობას ლამისყანის ტყეში დიდი ჭედილას დაკვლას შეჰპირდა. ძლივს ჩამოიტყუა ლექსო ერდოდან. მუცელი რომ ისევ გამოებერა, დარდიც შეუჩნდა. ატყობდა, რომ ქმარი იმის გაბერილ მუცელს თვალს არიდებდა. თუ მაინცდამაინც თვალში მოხვდებოდა, ენის წვერზე ეს ეწერა: „დედას გიტირებ, თუ ისევ გოგო დააჭყავლეო, ჩემი აშენებული კიბიდან დაგაგორებო“. ეს სიტყვები ენაზე ადგებოდა, მაგრამ არაფერს ამბობდა, გარე-გარე დაიარებოდა და ისევ ერდოსკენ იყურებოდა.

მეშვიდედ ფეფომ ვაჟზე მოილოგინა. სოფელში თოფის ისეთი სროლა ატყდა, იქით ლამისყანელები იძახდნენ „რა მოხდაო“, აქეთ ოძელები. ქსოვრელები ლექსო კაკაბურს სახლში მიუცვივდნენ, ჯერ ერთი მაგრად აბურთავეს, მერე მარანში სამი დიდი ქვევრი მოახდევინეს, გარშემო მოუსხდნენ და ისეთი სიმღერა დასძახეს, ლამისყანასა და ოძილში კი არა, მუხრანშიც და ლენინგორშიც ესმოდათ.

ლექსო და ფეფო ზედ დაჰკანკალებდნენ ვაჟიშვილს.

— მიშას მაწონი დაუდგი, კაცო? ამბობდა ერთი.

— მიშას პური აჭამე, დედაკაცო? კითხულობდა მეორე.

— მიშას შარვალ-ხალათი უყიდე, კაცო? ფეხსაცმელი? ქალაქური კამფეტები?

— მაშ, რას ვიზამდი, შე თვალებდასაბრმავებელო, შენა? ვერა ჰხედავ, როგორ მუხრანბატონივით დაბრძანდება ჩვენი მიხეილი?!

გოგონებს ზედ არ უყურებდნენ მშობლები. სამაგიეროდ, გოგოები შესციცინებდნენ ოჯახში გაპაპაჯვარებულ ძმას, რომელიც სულ „მეს... ჩემიას" და „მომეცით რა"-ს გაიძახოდა. ისე კი გულკეთილი ბიჭი იყო, ალერსიანი, მოსიყვარულე, თან ცქვიტიც და მკვირცხლიც. ტანდაბალი იყო, მაგრამ მაღალლობეს ისე გადაევლებოდა ხოლმე, რომ გულგახეთქილ ლექსოს ფერი-ფური მისდიოდა.

მშობლები და დები პატარა მიშას ცივ ნიავს არ აკარებდნენ. სულ კუდში დასდევდნენ, რომ სადმე ხიფათს და ფათერაკს არ გადაჰყროდა. ქსანზე მარტოდმარტოს ვინ გაუშვებდა, ერთიც ვნახოთ დამხრჩვალიყო. რას ამბობ კაცო?! მაშინ ყველა კაკაბურს, შვიდ ქალსა და ერთ კაცს ხეზე უნდა ჩამოეხრჩო თავი. სოფლის გარეთ არ უშვებდნენ, რომ ვინმეს არ გაეთვალა ან ცუდი რამ დამართნოდა. ეზოში დაბუდარაობდა,, მაგრამ ყველა ხედავდა, რომ გასაქცევად ეჭირა თვალი. ხან ლამეზში ქსნის პირზე იჭერდნენ, ხან ოძისის გზაზე, ხან სკოლასთან. იქ მოწაფეების ჟივილ-ხივილით ტკბებოდა და იმ დღეს ნატრობდა, როცა თვითონაც მოწაფე გახდებოდა.

სუფრაზე პურის საჭმელად ცხრანი სხდებოდნენ. სუფრის თავში მიშა კაკაბური იყო გამოჭიმული. ერთმანეთის გვერდ-გვერდზე დედ-მამა და დები ისხდნენ. წვნიანს პირველად იმას უსხამდნენ ჯამში. მოხარშულსაც და მოხრაკულსაც წინ ჯერ იმას ულაგებდნენ, საუკეთესო ლუკმა იმისთვის იყო გადადებული. იმასაც დევის მადა ჰქონდა, უბრალო დევის კი არა, ბაყბაყ დევისა. იმის კუჭის ამოვსება არაფრით არ შეიძლებოდა. გაბადრული ლექსო, გატკრციალებული ფეფო იმის ცქერით ტკბებოდნენ და თვითონ ჭამა ავიწყდებოდათ, „ჯანდაბას ჩვენი თავი, ოლონდ ამან გაიხაროსო". ისიც [illegible] თითით მოლოკილ ჯამს ძირს გაფაციცებით უსინჯავდა, კოვზს ურაკუნებდა და გაიძახოდა:

— ეს ერთი ჯამი რას მეყოფა, მშიან დედი.

— ესეც მეორე, გენაცვალოს დედა.

ეუბნებოდა დედა.

— ესეც მესამე.

უმატებდა მამა.

არც დები იყვნენ გულხელდაკრეფილნი. ექვსი კოვზი მათ სუფრაზე თითქმის განუწყვეტლივ მოძრაობდა, რაკუნობდა და წკარუნობდა. ყველა თავისი ჯამიდან რაღაცას უსხამდა, რაღაცას უმატებდა ძმის უძირო ჯამს, ის კი მაინც ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— მშიან, დედი!

დები სიცილით იხოცებოდნენ.

მამა ულვაშებში ილიმებოდა.

დედა ციბრუტივით ტრიალებდა, თავგზა ეკარგებოდა, არ იცოდა რა ეთქვა საყვარელი ვაჟისათვის. რას ამბობთ, როგორ გაჯავრდებოდა, როგორ დატუქსავდა ან წყევლა როგორ ამოუვიდოდა პირიდან, ერთადერთ, ისიც ღვთის ნაჩუქარ ვაჟს როგორ გაიმეტებდა? სამაგიეროდ გოგოები ჰყავდა წყევლით ამოწყვეტილ-გაჟუჟული. ესეც კია, იმათაც როცა სწყევლიდა, ძუძუებით ლოცავდა.

მამა განებივრებულ ვაჟს მიხეილს ეძახდა.

უფრო ალერსიანი დედა — მიშას.

ღმერთგამწყრალმა გოგოებმა კი აილეს და ჩვენს ბელტიყლაპიას იცით რა დაარქვეს? სამი ჯამი ფია! ისიც ვის? კაკაბურების ნანატრ ვაჟს. ეს კიდევ არაფერი, მთელ სოფელში გაუვარდა ეს სახელი კაკაბურების ტახტის მემკვიდრეს. დიდ-პატარა, გასაწყვეტი დებიც კი, „სამი ჯამი ფიას" ეძახდნენ. ნელ-ნელა ყველას დაავიწყდა მისი ნათლობის სახელი (მიშას როგორ არ მონათლავდნენ, რახან ღვთის ნაჩუქრად ითვლებოდა და ივლიტობას ლამისყანის ტყეში უფლის სადიდებლად უშველებელი ჰედილა დაიკლა). რის მიხეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი? რა მიხეილი? რასა ბრძანებთ?

სამი ჯამი ფია!

მოკლედ და უბრალოდ — ფია.

როგორ მოგწონთ, ჰა? შეიძლება ექვსმა დამ ერთი ძმა ასე გაიმეტოს?

ის კია, რომ ექვსივეს მზე და მთვარე ერთადერთ ძმაზე ამოსდიოდა.

დედ-მამის ალერსსა და სიყვარულს ნულარ იკითხავთ!

ასე ტრიალებდა წუთისოფელი კაკაბურების ოჯახში.

დები დაქალდნენ, ძმა სკოლაში დაიარებოდა და თანდათან ისიც ვაჟკაცდებოდა.

მიშა კაკაბურს სკოლა თავდავიწყებით უყვარდა. განსაკუთრებით მათემატიკის ახალგაზრდა მასწავლებელი მოსდიოდა თვალში. რამდენჯერ უნატრია, ნეტავი ჩემი ყველაზე უმცროსი და ყველაზე ლამაზი და ზაქრო ლიქოკელზე გათხოვდესო.

ზაქრო ლიქოკელს ახლად ჰქონდა უნივერსიტეტი დამთავრებული, ძალზე ახალგაზრდა იყო, ცოლის შერთვას ჯერ არ აპირებდა. გარეგნობით ყმაწვილკაცს უფროსკლასელებში ვერ გამოარჩევდით, მაგრამ იმავე უფროსკლასელებს დაბრძენებული ადამიანივით ასწავლიდა მათემატიკურ საგნებს. ზრდილობიანს და თავმდაბალს სოფლის გზებზე სალამს ვერავინ მოასწრებდა. თანასოფლელებს თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ, მოწაფეები კი ლამის სულში იძვრენდნენ ზაქრო მასწავლებელს.

კაკაბურების ქალები სათითაოდ დათხოვდნენ, ერთიც არ დარჩენილა გაუთხოვარი.

ერთი ოძისში გათხოვდა, მეორე ლამისყანაში, მესამე ქედაში, მეოთხე იგოეთში, მეხუთე სამთავისში, მეექვსე, ყველაზე უმცროსი და ლამაზი, ქსოვრისში გაბედნიერდა, თვალტანადი აგრონომის ცოლი გახდა. თავმომწონე ქსოვრელი ბიჭები ლამაზ ანოს სოფლის გარეთ როგორ გაუშვებდნენ, როგორ გაიმეტებდნენ.

მიშა კაკაბურს ქლარა ჩოხა შეუკერეს და ისე მორთულ-მოკაზმული დაჰყავდათ დების ქორწილებში. მამა დაატარებდა. დედა კი ქართული წესისამებრ შინ რჩებოდა. მაშინ სოფლის გზებზე ავტობუსები სად იყო, ურმით მიჩაქჩაქებდნენ. ქსანში გავლას, შინდაველზე ჩაქჩაქს და იგოეთში ან სამთავისში ჩაღწევას სრული ნახევარი დღე სჭირდებოდა. განცვიფრებულ მიშა კაკაბურს თვალები უფართოვდებოდა, გაკვირვებული და პირდაღებული სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: „ე რამოდენა ყოფილა ქვეყნიერება, კაცო!“ ჩოხა-ახალუხიანს ქორწილში ცეკვით ლდინს აცლიდნენ, მაგრამ ჭამისთვის მაინც იცლიდა, ყველაფერს მუსრს ავლებდა და სტომაქს ივსებდა. სტუმარმასპინძლებს მუცლები ხელებით ეჭირათ და ხარხარებდნენ.

ქსოვრელი ფაშვიბერტყია გატიკნული იჯდა და თვალები აქეთ-იქით გაურბოდა, არაფერი გამომრჩესო.

უძირო ჯამის მიუხედავად არა სუქდებოდა, ქონს არ იკიდებდა. ულვაშაბიბინებული სულ უფრო და უფრო ლამაზდებოდა.

ლექსომ გარჯას უმატა. გუნებაში ბიჭის დაქორწინება ედო და ბოსტანში, ბაღშიც და ვენახშიც ჩუმჩუმად ილიმებოდა. ფეფოც ათასნაირ საქმეს უძლვებოდა, დილით ადრე ადგომას ვინ დაასწრებდა: ყველაფერს რომ მიალაგ-მოალაგებდა და დააბინავებდა, ახლა მატიტელას სჭრიდა, თითო ქალს თითო ინდაურს უმზადებდა. იმასაც ლიმილი ტუჩებზე გადასდიოდა და ჯერ მხოლოდ ქსოვრისში უთვალთვალებდა წამოჩიტულ გოგოებს. როცა რომელიმე სიძე-ბატონს, ქმარ-შვილთან ერთად, მძიმე ხურჯინით კარზე მიადგებოდა ხოლმე, გაბრწყინებულ თვალებით ეზოს ლობეზე მომდგარ თვალცუღლუტა გოგოებს თვალს ვერ აშორებდა. მაინც რომელია, ჰა? ქსოვრელი თუ ოძელი? იგოეთელი თუ სამთავნელი?

ბედნიერება მეტი გინდა?!

მაგრამ ამ ბებერ დედამიწაზე ვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის იცოდა ბედნიერება სად ჩაიმუხლებდა და უბედურება სად დაგიკრავდა თავს.

ქსოვრელებს დიდხანს ახსოვდათ ის მზიანი დღეც და კრიალა ზეცაც, როცა ვიღაცამ სოფლის თავში დაიძახა: „ომია, ხალხო, ომი დაიწყო".

რაღა მეტი გავაგრძელოთ? მიშასაც ზურგზე ხორაგით და საცვლებით გატენილი ზურგჩანთა აჰკიდეს და ქსოვრელ, ოძელ და ლამისყანელ ბიჭებთან ერთად დუშეთის გზას გაუყენეს.

უკან დედა მისდევდა, იმდუღრებოდა და გასძახოდა:

— არ გაცივდე, მიშა, თავს მოუარე.

მიშას ყელში ბურთი აწვებოდა, თვალებში ცრემლები, უკან არ იხედებოდა, წინ სივრცეს გასცქეროდა და ხმამაღლა ყვიროდა, რომ დედას გაეგონა:

— ჰო, დედი! ჰო, დედი!

დედას უკვე სიარული უჭირდა, მაგრამ მაინც უკან მისდევდა, ფეხაშლილი და ხმაჩახლეჩილი შვილს მისძახოდა:

— ტყვიას ერიდე, მიშა! თავი არ გააფუჭებინო!

ბიჭებს სხვა ქალებიც მისდევდნენ, დედები, დები და ცოლები, ყველას ცრემლი ახრჩობდა, მაგრამ დიდ მინდორში მხოლოდ ფეფოს ძახილი გაისმოდა:

— მოიხედე, მიშა, ერთხელ კიდევ დამენახე, ბიჭო!

მიშას ამხანაგების რცხვენოდა და ხმას აღარ იღებდა. მეზობლის ბიჭმა, რამაზაანთ ვანუამ, გვერდით რომ მისდევდა, გადაულაპარაკა:

— დედა არის, რას იზამ; მაგან რა იცის, რომ ზოგი ბიჭი თავისით მოდის, წლოვანება აკლიათ და იქნებ დუშეთიდან უკანვე კიდევაც დააბრუნონ.

დუშეთში მიშა კაკაბურმა ერთხელ კიდევ დაალო პირი. სკოლაში გათვითცნობიერებულს ბავშვივით აღარ წამოსცდენია „ე რამოდენა ყოფილა, ქვეყნიერებაო", მაგრამ მაინც ეუცხოვა სოფელზე დიდი ქალაქის დანახვა, მცხეთაში უკვე შეჩვეულივით მიიხედ-მოიხედა, მაგრამ მატარებელმა ისევ თვალი განუცვიფრა, თბილისმა კი კინაღამ გადარია. წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენდა, რომ ამოდენა ქალაქი შეიძლებოდა ყოფილიყო დედამიწის ზურგზე, თუმცა ბევრი რამ ჰქონდა წაკითხული და გაგონილი. იმის გაკვირვებისათვის ვის სცალოდა? რამდენიმე დღის შემდეგ თვითმფრინავში ჩასვეს და ტაშკენტში ამოაყოფინეს თავი.

მიშა კაკაბურს სოფელში თოხს ან ბარს ვინ მისცემდა, როგორ აკადრებდნენ. აქ კი ვინ იყო მისი გამკითხველი. დილიდან საღამომდე არბენინებდნენ მზით გადამწვარ მინდორზე. ბარიერებზე ახტუნებდნენ, მავთულხლართის ქვეშ აძვრენდნენ და მიწაზე გაკრულს აფოფხებდნენ, მაღლა გადებულ დვირზე, კაცი ფეხს რომ ვერ მოიკიდებდა, აქეთ-იქით ასკინკილა ხლტომა-ხლტომით ცხვირპირს ამტვრევინებდნენ, თოფის სროლას ასწავლიდნენ, პარაშუტის გაშლას, დაკეცვას და ზურგზე მორგებას. მცხუნვარე მზეს ვინ უყურებდა ან უზარმაზარი უდაბნოს მეზობლობას, ბეიბანის ქვიშნარის ცხელ სუნთქვას? ოფლად ილვრებოდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა თმებზე, გავარვარებულ პირისახეზე, კისერზე. გასაწური უხდებოდა პილოტურაც და გიმნასტურაც. დასიცხულს და ენაგადმოგდებულს თვალის მოტყუება ენატრებოდა. თუ სადმე წაწოლას მოახერხებდა, თვალებდახუჭულს, ძილ-ღვიძლში მკაფიოდ ესმოდა დედის სიტყვები: „შენ მოგიკვდეს დედა, შვილო!" თვალს ცნობადაფანტული ახელდა, აქეთ-იქით აცეცებდა და გაშტერებული იყურებოდა.

ის დღეც დადგა, როცა მიშა კაკაბურს ზურგზე პარაშუტი აჰკიდეს, სასწავლო თვითმფრინავში ჩასვეს და პარაშუტით გადმოხტომა უბრძანეს. რას იზამდა? უკან გაჰყვა ბატებივით გამწკრივებულ ჯარისკაცებს. შვიდნი იყვნენ. მეშვიდე თვითონ იყო. ყველაზე დაბალი. სულ ბოლოს ის უნდა გადმომხტარიყო. კოშკურიდან კაკაბური პარაშუტით ისე მოხდენილად ხტებოდა და დაბლა ისე მარდად ეშვებოდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმცროსი ლეიტენანტი სულ მის ქებაში იყო. ახლა კი მუხლები უკანკალებდა. ფერწასული, მოკუნტული იჯდა თვითმფრინავის ძელსკამზე. ერთი გადახტა, მეორე, მესამე... მეექვსე. ისიც წამოდგა. ლუკისკენ წაბარბაცდა. აყირავებული დედამიწა რომ დაინახა, თავბრუ დაეხვა, გაჩერდა და ადგილიდან ველარ დაიძრა.

— გადახტი, გადახტი, შენი! რას უყურებ?!

უყვიროდა უმცროსი ლეიტენანტი.

კაკაბური ადგილიდან არ იძროდა.

უმცროსი ლეიტენანტი მივარდა და სულერთიანად ამოუტრიალა დედ-მამა, ჩვენი ფეფო და ლექსო. ისინი აქ სადმე ახლოს რომ ყოფილიყვნენ, თავლაფდასხმულებს ძაღლი პურს არ გამოართმევდა.

პატარა თვითმფრინავი პატარა მინდორზე დაეშვა. უმცროსი ლეიტენანტი თვითმფრინავიდან გაცოფებული გადმოხტა იმის მოლოდინში, რომ მიხეილ კაკაბურს სამ დღეს მაინც ცივ წყალზე და ხმელ პურზე დასვამდნენ. ჯარისკაცები გასუსული იდგნენ, რადგან უფროსი ლეიტენანტი შუბლის ნაოჭებს არ ხსნიდა. ყველა მეხის გავარდნას მოელოდა, მაგრამ უფროსმა ლეიტენანტმა მხოლოდ ეს თქვა:

— არა უშავს, გადმოხტება.

ქუსლებზე მხედრულად შეტრიალდა და მინდორში გაშლილ კარვებისკენ გაემართა.

ორი დღის შემდეგ კაკაბურს ზურგზე ისევ პარაშუტი აჰკიდეს. ხმა არ ამოუღია. თავი ჩაღუნა და პარაშუტისტებს ისე გაჰყვა, როგორც ბატისტვინა ცხვარი წვერცამეტა ვაცს მიჰყვება, ოღონდ ახლა პარაშუტისტებად მამაკაცების მაგიერ გოგოები იყვნენ. წინ აწოწილი მარუსია მიდიოდა, იმას ანფისა მისდევდა, ანფისას გრუშა, გრუშას სვეტლანა, სვეტლანას მიხეილ კაკაბური, მიხეილს ვალენტინა, ვალენტინას ყველაზე ტანორჩილი დუსია. აიყვანეს თვითმფრინავით ყველანი ზეცაში და უბრძანეს: გადახტითო. სივრცეში პირველად მარუსია გაჰქრა, მერე ანფისა, მერე გრუშაც და სვეტლანაც. გადაფითრებულ კაკაბურს ზურგს უკან ჩურჩულით ნათქვამი მოესმა: „გადახტი, მიშა, გადახტი და იქ რომ ჩავფრინდებით, ორჯერ გაკოცებ, შიგ ტუჩებში. ღმერთს გეფიცები“. ვალენტინა შაპოშნიკოვას ღმერთი არა სწამდა და ასეთი ფიცი არაფრად უღირდა. მიშა კაკაბურს ღმერთი სწამდა, რადგან მშობლები სულ იმას ჩასჩიჩინებდნენ, ღვთის ნაჩუქარი ხარო, ღვთის უბეში იზრდები და უფლის მადლი, სადაც წახვალ, წინ დაგხვდებაო.

ცალკე გოგოებთან შერცხვენის გრძნობამ, ცალკე შეპირებულმა კოცნამ კაკაბურს გამბედაობა შემატა, ქლიავისფერი სიფათი მწიფე ატმისფრად შეეცვალა, „რაც არი, არიო“ დაიძახა, ფეხი იშვირა და თვითმფრინავიდან ისეთნაირად გადახტა, რომ უმცროსმა ლეიტენანტმა აღტაცებული თვალი გააყოლა. ერთხანს ჰაერში იპროწიალა, მიიჭიფხ-მოიჭიფხა, მაგრამ შიშმა ისევ გაახსენა თავი, თავის გადარჩენის წადილი გაუმძაფრა, პარაშუტის რგოლი მოქაჩა და მიწაზე ტაშის გრიალში დაეშვა. არავინ დაუნახავს. არც მომღიმარე უფროსი ლეიტენანტი, არც გამხიარულებული ჯარისკაცები. მაშინვე ზეცას ახედა და თავგადაგდებული შესცქეროდა, თუ როგორ ეშვებოდა დაბლა ვალენტინა შაპოშნიკოვა ქოლგასავით გაშლილი პარაშუტით. თვალისდახამხამებაში იქ გაჩნდა, სადაც ვალენტინა დაეშვა. ის ჯერ მიწაზე გაწოლილ თეთრ ქოლგას მისდევდა და თავისკენ ექაჩებოდა, დაფეთებული მიშა მის ტუჩებს რომ ეძგერა. ვალენტინამ იდაყვი დაახვედრა, შეაჩერა და დაყვავებით ჩაულაპარაკა: „აბა, რას ჩადიხარ, მიშკა. ვინ რას იტყვის? გასათხოვარი ქალი ვარ, სახელი გამიტყდება, ვიღა მითხოვს?“ მიშას უნდოდა დაეძახა „აქ არა ვართ, საქმროს სხვაგან რას დაეძებო?“, მაგრამ მხოლოდ გმინვა აღმოხდა, ხაყვედურით წარმოთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მომატყუე, არა? ასე ღმერთს ვინ ფიცულობს?“

მიშა კაკაბური ვალენტინა შაპოშნიკოვას ეტრფიალებოდა, გუნებაში მისი ცოლად შერთვა ჰქონდა გადაწყვეტილი. ვალენტინა მას ალერსიანად ელაპარაკებოდა, მაგრამ თავდაჭერილი საკოცნელად ახლოს არ უშვებდა. რახან თავიდან ვერ იშორებდა, სიცილით ეუბნებოდა: „რაკი კოცნა ეგრე გინდა, მოთმინებაც უნდა გქონდეს, ომის დამთავრებას მოუცადო“. მიშა ბრაზდებოდა: „ეგ ვინ იცის, ომი როდის დამთავრდებაო?“ ვალენტინას ავანჩავანი ზეპირად იცოდა. მას სამკერვალო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და საფრენოსნო სკოლაც. მასწავლებლობაზე ოცნებობდა. ირწმუნებოდა ბავშვები თავდავიწყებით მიყვარსო. მიშა კაკაბურის გამოჩენა და დანახვა ყოველთვის უხაროდა, მაგრამ წელზე მკლავის მოხვევის ნებას კი არა, მხარზე თითს არ ადებინებდა. უყურებდა ვნებით ალმოდებული ბიჭი მის დამცინავ ლურჯ თვალებს, ხარბად ყნოსავდა მის სიმინდის ულვაშებივით ყვითელ თმას, მიწისა და ბალახის სუნი რომ ასდიოდა, მის მოქნილ კისერს, წვრილ, ოქროსფერ ძეწკვს (კაკაბურმა იცოდა, რომ ამ ძეწკვის მედალიონით ვალენტინა მშობლების სურათს ატარებდა, დედა ჩელიაბინსკში ქიმწმენდის გამგედ მუშაობდა, მამა, ავტობუსის მძღოლი, ფრონტზე იბრძოდა), მოხდენილ ტანზე კოხტად მორგებულ, ათასჯერ გარეცხილ, მაგრამ მაინც დალაქავებულ ჯარისკაცულ შარვალ-ხალათს და უკვე მერამდენედ ნათქვამს ერთხელ კიდევ იმეორებდა:

— რა იქნება, რომ ერთხელ მაინც მაკოცნინო?

ორივენი ერთად მოხვდნენ ფრონტზე. კაკაბური თავს არ ზოგავდა. დესანტების გადასხმა-გადმოსხმის დროს ყველგან ხვლიკივით დაძვრებოდა, მტერი იმას როგორ დაეწეოდა ან რას დააკლებდა, იმის გულს შიში არ ეკარებოდა. ამაყიც იყო. თავის შერცხვენას თავის გატეხა ერჩივნა. თავგამეტებით იბრძოდა მტრის ზურგშიც და ფრონტზეც. როცა მან „წითელი ვარსკვლავის“ ორდენი მიიღო, ვალენტინა წინ გადაუდგა, დამორცხვებას სძლია, თამამი ქალის იერი მიიღო, მაგრამ ხმა მაინც გაებზარა:

— აბა, ჰა. ერთი ვნახოთ როგორი კოცნა იცი.

მიშა კაკაბურს მეორედ თქმა რად დასჭირდებოდა, მაგრამ მაინც გაუბედავად მოეხვია და უხერხულად, სოფლურად გადაპროშტა.

ვალენტინა ყურებამდე გაწითლდა, რადგან ეს მისთვისაც პირველი კოცნა იყო.

მიხეილ კაკაბურის მეორე ორდენს ვალენტინა შაპოშნიკოვა არ მოსწრებია. სადღაც, რუმინეთის რომელიღაც გზაზე, რკინიგზის ხიდთან პარაშუტით დაეშვა და ნაღმზე აფეთქდა. კაკაბურს თავზარი დაეცა. დიდხანს გონზე ვერ მოდიოდა. მხოლოდ მაშინ მოეშვა გულიდან სევდა, როცა ბრძოლები კვლავ გაცხარდა. გაშმაგებით იბრძოდა. სადაც მტერს წააწყდებოდა, დაუნდობლად უსპობდა სიცოცხლეს. „ესეც ერთი, ვალენტინა!“ იძახდა კბილთაღრჭენით და ცხარე ომში მკლავი არ ეღლებოდა. ველარ ითვლიდა რამდენ გერმანელს ისტუმრებდა საიქიოს. სათვალავი ეკარგებოდა.

ომის ბორბალი შეუჩერებლივ ტრიალებდა და ქსოვრელ ბიჭსაც ნაფოტივით ხან მაღლა ტყორცნიდა, ხან დაბლა ანარცხებდა. მალე იმასაც უმუხთლა ბედმა. თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმომხტარს ჯერ სად ედგა მიწაზე ფეხი, გერმანელი ჯარისკაცები რომ შემოეხვივნენ, ქეჩოში ხელი სტაცეს, კინწისკვრით წინ გაიგდეს და სადღაც ბავარიაში, რაინთან ტყვეთა ბანაკში შეაგდეს. იქიდან მოკიდებული ხან სად ათრიეს და ხან სად. სადაც მუქთი მუშა-ხელი სჭირდებოდათ, თავსაც იქით აქნევინებდნენ ხოლმე პანღურის და კონდახის ცემით. ავსტრია, ჰოლანდია, საფრანგეთი შემოატარეს და ბოლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიაში უკრეს თავი. ჯერ მილანში ჰყავდათ, მერე რომის მახლობლად გადაიყვანეს. აქ მიხეილ კაკაბური, ქსოვრელების სამი ჯამი ფია, მიდგა-მოდგა და რამდენიმე რუს ჯარისკაცთან ერთად ტყვეთა ბანაკიდან გაიქცა. უკან დადევნებული ძაღლების, გერმანელების ყვირილი და ტყვიების ზუზუნი მოსდევდა, ის მაინც თავის ამხანაგებთან ერთად სულ წინ გარბოდა, ხან ლოდებთან წვებოდა, ხან კლდეს და ხეს ეფარებოდა, ბოლოს, როგორც იქნა, სამშვიდობოს გააღწია და ტყეში გაუჩინარდა.

ტყეში იტალიელმა პარტიზანებმა მოასულიერეს. როცა გულმა ბაგაბუგი შეწყვიტა და თვალიდან ბინდი გადაეყარა, გარშემო მიიხედ-მოიხედა და თვალებს არ დაუჯერა: პარტიზანთა მეთაურის გვერდით ზაქრო ლიქოკელი იდგა, ხელში ფანქარი ეჭირა და თავჩაღუნული რაღაცას ინიშნავდა. კაკაბურმა ისეთნაირად შეჰყვირა, რომ ყველანი ფეხზე წამოცვივდნენ და იარაღს სტაცეს ხელი.

მიშა კაკაბური თავის სოფლელს, თავის მასწავლებელს ზაქრო ლიქოკელს ეხვეოდა, კოცნიდა და სხაპასხუპით ეუბნებოდა:

— შენი ჭირიმე, ზაქრო მასწავლებელო, შენ დაგენაცვლე!

თან თვალებიდან მდუღარე ცრემლები ჩამოსდიოდა.

ზაქრო ლიქოკელი თავშეკავებულად გადაეხვია თავის ნამოწაფარს, მაგრამ ხელიც უკანკალებდა და ხმაც.

— სამი ჯამი ფია! შენ აქ რა გინდა, ბიჭო, აქ როგორ გაჩნდი?

დასხდნენ და ერთმანეთს თავიანთი თავგადასავალი უამბეს. გული რომ კარგად იჯერეს, ორთავეს ქსოვრისი გაახსენდა. კაკაბურმა მღელვარებით ჰკითხა თავის მასწავლებელს:

— მასწ, ფეფო და ლექსო არ გინახავს?

ზაქრო ლიქოკელმა ალერსიანად გადაუსვა თავზე ხელი, ძალიან ახალგაზრდა იყო, მაგრამ თავის ყოფილ მოწაფეს მამაშვილური კილოთი უპასუხა:

— არა, ბიჭო, არ მინახავს. სად უნდა მენახა? ბალღები რომ წამოხვედით, მე იქ რა გამაჩერებდა?

ლაპარაკობდა და თან ღიმილი ეროდა ბაგეზე, რადგან წამდაუწუმ მისი ზედმეტი სახელი აგონდებოდა: „სამი ჯამი ფია". დაღვრემილი უყურებდა უკვე დავაჟკაცებულ ქსოვრელ ბიჭს, თვალს ვერ აშორებდა, იმის ცქერაში თვალწინ თავისი სოფელი უდგებოდა, იქ დატოვებული მოხუცი დედ-მამა და გული ეკუმშებოდა. საკვირველზე საკვირველი იყო მათი აქ ყოფნა. ცოტა რომ გაგევლო და აგერ იმ ქედს გადაღმა დამდგარიყავი, წმ. პეტრეს გუმბათსაც დაინახავდი და ანგელოზის ციხესაც.

— ეს ოხერი და ტიალი, — ამბობდა წყენით ზაქრო ლიქოკელი, — როგორ ჩავვარდი ტყვედ, ვიგონებ, მაგრამ თავსა და ბოლოს ვერ ვპოულობ.

— მეც ეგრე, განა, — თქვა კაკაბურმა, — ჯერ ისევ ჩექმებს დავცქეროდი, ფეხის მოსაკიდებელს ვეძებდი, გერმანელები თავზე რო დამადგნენ, ქეჩოში ხელი მტაცეს და კარგა მაგრად მდრუზეს ზურგში თოფის კონდახები.

ლიქოკელმა გაიცინა:

— აქ ლუკმა-პურს ძლივს ვშოულობთ, ფია, შენ სამი ჯამი როგორ უნდა დაგიდგათ?

კაკაბურმა ღრეჭით უთხრა:

— თქვე დალოცვილიშვილებო, ვის რას გიშავებდით, რაზე დამარქვით სამი ჯამი ფია? ქათმის ბარკალი და ღორის სუკები ჩემთვინ რათა გშურდათ? არ იცოდით, რომ ომი დაიწყებოდა და მუცელზე ქამარშემოჭერილი ვივლიდი?

ზაქრო ლიქოკელმა ბევრი იცინა და ხუმრობანარევი კილოთი დაპირდა მიშა კაკაბურს, რომ მას სამს თუ არა, ორ ჯამს მაინც როგორმე მოუხერხებდა.

ქსოვრისის სკოლის მასწავლებელი პარტიზანული რაზმის მეთაურის მოადგილე იყო. რაზმში, იტალიელების გარდა, ბლომად იყვნენ ტყვედნამყოფი საბჭოთა ჯარისკაცებიც: ქართველები,

რუსები, უკრაინელები, უზბეკები და ყირგიზები. ყველანი მხარს უბამდნენ მეთაურის მოადგილეს და თავს არსად ირცხვენდნენ.

ცოტამეტამეტად ბეჯითი კაცი იყო ზაქარია ლიქოკელი. თავისი ულუფიდან კაკაბურს მუდამ რაღაცას უწილადებდა. ისიც მაშინ იყო ბედნიერი, როცა პირი პურით და ყველით ჰქონდა გამოტენილი, მუცელზე ხელებს იტყაპუნებდა და გაჰყვიროდა:

— ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში მარტო მე ხო არ ვიყავი ამოყეყილი, მეფეც ეგრე იყო.

— რომელი მეფე?

ჰკითხა ლიქოკელმა.

— ზაქიჭამია, გიორგი მეთორმეტე.

— ყოჩაღ, ფია! მე მეგონა შენ მათემატიკა გეხერხებოდა, თურმე ისტორიაც გცოდნია.

— მაშ როგორ, მასწ! შენ გვიყვარდი, მაგრამ არც დარო მასწავლებელი გვეჯავრებოდა.

დარო მასწავლებლის ხსენებამ ლიქოკელს ისევ თვალწინ დაუყენა ქსოვრისი, ქსნის ლამეები და ფშანები, ისევ დაღონდა და თავი ჩაქინდრა.

თვალებგაბრწყინებული კაკაბური კი აღტაცებით განაგრძობდა ლაპარაკს:

— გაკვეთილებს ისეთნაირად გვიყვებოდა, სულ გასუსულები ვისხედით. არაბებმა, გვეუბნებოდა დარო მასწავლებელი, ლამის მთელი მსოფლიო დაიპყრეს და იმ მსოფლიოში ჩვენი ქსოვრისიც გამოჩნდაო.

— ეგ როგორ? რანაირად?

დაინტერესდა მათემატიკოსი.

ენადგაკრეფილმა კაკაბურმა ისა თქვა, რაც თავში ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

რაკი ჩაფიქრებული ლიქოკელი დაღონებული იჯდა, კაკაბურმა მისი გამხიარულება სცადა.

— მაშ, კაცი აგორებული ქვა არ არის, მასწ?

— რის თქმა გინდა, ფია?

— მა რა არის? ომმა სად არ გვათრია, სად არ გვაგორავა და ბოლოს რომთან, ტყეში გაგვაჩერა? ხომ ამას ვერ იფიქრებდა?

— რა თქმა უნდა, არავინ.

სერიოზულად უპასუხა ლიქოკელმა და კიდევ უფრო მეტად ჩაჰკიდა თავი.

— ჰოდა, ამდენი ცეცხლი და დარდუბალა რომ არა, აქ ან ქსოვრისელ ფაშვიბერტყიას რა მოიყვანდა, ან იმის პირმოლუშულ მასწავლებელს?!

ლიქოკელს ისეთი ხარხარი აუტყდა, რომ გაკვირვებულმა პარტიზანებმა წრე შეჰკრეს და ყველანი თავზე დაადგნენ ფაშვიბერტყიასაც და იმის პირმოლუშულ მასწავლებელსაც.

გულმხიარული მიშა კაკაბური ყველას ამხიარულებდა, ყველას ადვილად უმეგობრდებოდა, სიყვარულით კი მარია კაკარედუ უყვარდა. უფრო იმიტომ, რომ ის რაღაცით ჩამოჰგავდა ვალენტინა შაპოშნიკოვას, იმასავით ტანთხელი იყო, კაფანდარა, მის თვალებსაც ლურჯი ფერი გადაჰკრავდა, იტალიელი გოგონაც იმ რუს გოგონასავით გულადი და უშიშარი იყო.

რომის მახლობლად მდებარე ტყეში, ჭაობებსა და კლდე-ღრეში გამოადგა მიშა კაკაბურს ქსოვრისის სკოლაში ვაინაჩრობით ნასწავლი ფრანგული. იტალიურ სიტყვებს კი იმ დროს იზეპირებდა, როცა ის და მარია კაკარედუ ღამღამობით ბუჩქებში იყვნენ შემძვრალი და ჩურჩულით ლაპარაკობდნენ.

მარია კაკარედუ თავისი „ჯორჯიანოთი“ ამაყობდა. ის მამაციც იყო და მარჯვეც. მისი მონაწილეობით დებდნენ ხოლმე პარტიზანები დინამიტს რკინიგზის ლიანდაგებში ან ხიდის თაღებში. ისიც სხვებთან ერთად უსაფრდებოდა გერმანელებს ტყის პირებსა და გზატკეცილებზე, როცა ისინი ამაოდ ცდილობდნენ პარტიზანული რაზმების მოსპობა-განადგურებას.

კაკარედუს წყალობით კაკაბური საკუთარი ხელისგულივით იცნობდა ლაციოს რომაულ რაიონს. რომაელი ქალიშვილი ყველგან დაატარებდა ქსოვრელ ბიჭს. ისინი ტიბურტინოს და პრენესტინოს ზონებში ხვდებოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიური წინააღმდეგობის მონაწილეებს. ერთად იდგნენ მარგარიტის ხიდზე რომში, ესპანეთის მოედნის კიბეებსა და ხალხმრავალ ვენეტოზე, რათა რომაელთა განწყობილება გამოერკვიათ. ერთად იმალებოდნენ ფუმიჩინოს დასავლეთით მდებარე მეჩხერ და მიტოვებულ „ვილებში“, რომლებიც ომის დაწყებამდე რომაელი წვრილფეხა მოხელეების, მსახიობების, მხატვრების და კომერსანტების მიერ იყო სახელდახელოდ აშენებული. ერთად ბანაობდნენ ზღვაში ფოჩენეს პლიაჟზე. გარშემო ადამიანის ჭაჭანება არ იყო, რადგან ახლომახლო სასმელი წყალი არ იშოვებოდა. ეს მათ საშუალებას აძლევდა პარტიზანთა სარდლობის დავალება შეესრულებინათ. ოსტიას გზაზე სანტა-ბარბარაში ერთხელ ერთად შეიპყრეს გერმანელი მოენე და თვალახვეული მიიყვანეს ტყეში, პარტიზანთა ბანაკში. მამაცობასა და თავგამეტებასთან ერთად ძალიან შველოდა მათ ყალბი საბუთება; თუმცა კათანდარა კაკარედუ უფრო მეტ ეჭვს იწვევდა, ვიდრე შავგვრემანი კაკაბური.

ასეთ ოპერაციებში მონაწილეობამ კიდევ უფრო მეტად დაუკავშირა ერთმანეთს მიშა კაკაბური და იტალიელი გოგო. მალე მარიამ ბიჭს გაუმხილა — ფეხმძიმედ ვარო.

ზაქრო ლიქოკელი მიშა კაკაბურს ეხუმრებოდა:

— ფია, ბიჭო, რანაირად იპოვნეთ ერთმანეთი კაკაბურმა და კაკარედუმ?

კაკაბური სერიოზულ სახეს იღებდა, სერიოზულად ეკითხებოდა ლიქოკელს:

— გვარებს გვიწუნებ, მასწ?

როგორ გამოჩნდნენ გზის მოსახვევში გერმანელები, ვერავინ გაიგო. ყველაზე სწრაფად კაკაბურმა მოისაზრა რა როგორ უნდა გაეკეთებინა, ტყვიამფრქვევს ეცა და კლდიდან ცეცხლი გზაზე გაატარ-გამოატარა. გერმანელები ხევში ჩაცვივდნენ. კაკაბურმა კლდის თავზე განლაგებულ პარტიზანებს გასძახა:

— ტყისაკენ დაიხიეთ, იმათ მე შევაჩერებ!

პარტიზანები ჩოჩვით აჰყვნენ ფერდობს, ფერდობის თავზე კორტოხებთან კორომი იწყებოდა, კორომის იქით ტყე. პარტიზანების მთავარი ძალა ტყეში იყო დაბანაკებული. იქ ჯერ არავინ არაფერი იცოდა. ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენად სწრაფად მიაღწევდნენ ტყეს პარტიზანები და რამდენად სწრაფად მოიშველიებდნენ დამხმარე ძალას.

ტყვიამფრქვევთან სამნი დარჩნენ: მიშა, მარია და ლიქოკელი.

— წადი! — უთხრა ქალიშვილს მიშამ.

კაკარედუ ადგილიდან არ დაძრულა, არც თავი აუწევია მაღლა.

— წადი! — გაუმეორა მას ბიჭმა, თან თვალი ხევზე ეჭირა და მზად იყო, თუ იქიდან თავს ვინმე ამოჰყოფდა, ისევ ცეცხლი გაეჩაღებინა.

— არა!

მტკიცე გადაწყვეტილებით უთხრა ქალმა.

კაკაბურის ხმაში მუდარის კილო გაისმა:

— წადი, მარია, ლექსო გადამირჩინე!

მარიამ ვერ გაიგო რის თქმა უნდოდა „ჯორჯიანოს“, არც ახლა დაძრულა ადგილიდან, ისევ ჯიუტად გაიმეორა:

— არა!

კაკაბური ლიქოკელს მიუბრუნდა, ხვეწნით ჩაუქართულა

— ზაქრო მასწავლებელო, შენი ჭირიმე, შენ დაგენაცვლე, ეს ქალი სამშვიდობოს გაიყვანე.

არც ლიქოკელი დაძრულა ადგილიდან, გადაჭრით უთხრა:

— შენ მარტო ვერ დაგტოვებ, შენ რომ რამე დაგემართოს, სოფელში როგორღა გამოვჩნდე?

— ჩემი ფიქრი ნუ გაქვს, სროლა ტყეშია, ალბათ უკვე გაიგეს, სადაც არის მოგვეშველებიან. ის გამჩენძაღლები ისევ ამოჰყოფენ თავს. წაიყვანე-მეთქი, რამდენჯერ უნდა გითხრა, კაცო?

— არა, მე აქ დავრჩები. შენ კი მარია-

ნაციონალური ბიბლიოთეკა

ასთან ერთად უშველე თავს. ახალგაზრდა ხარ, შენთვისაა ეგ უპრიანი.

კაკაბური გაბრაზდა. პირველად შემოელანძღა თავისი საყვარელი მასწავლებელი.

— შენც რა ქიტესაანთ თედორეს ოდენა ხარ, ასი წლისა, არც მეტი, არც ნაკლები. ხუთი წელი გინდ აქეთ ყოფილა, გინდ იქით.

ლიქოკელმა დაყვავება სცადა:

— ომში ორიც ბევრია, ფია!

კაკაბურმა უფრო მკვახედ დაუშტიალა:

— წაიყვა-მეთქი, შენი!

არც მუდამ წყნარმა და თავშეკავებულმა ლიქოკელმა დაუთმო, გაჯავრებულმა გასძახა:

— ენას კბილი დააჭირე, კაკაბურო!

კაკაბურმა ტყვიამფრქვევის მაღაზიას დახედა. დარბილებული ხმით დამარცვლა:

— დრო არ ითმენს... ადე-მეთქი...

სახეზე ვედრება გამოესახა, მუდარით დააბოლავა:

— წაიყვანე მარია... შენი ჭირიმე...

როგორ გატყდა, დიდი ხნის შემდეგ იგონებდა და ვერასგზით ვერ იხსენებდა ზაქრო ლიქოკელი. გაძალიანებული მარია ძლივს აათრია ფერდობზე. ჯერ კორომთან მიფოფხებული არ იყვნენ, რომ კლდის თავზე ისევ გაისმა ტყვიამფრქვევის გაბმული კაკანი. ტყის სიღრმიდან სულ უფრო და უფრო მკაფიოდ მოისმოდა ხმაური და ჟრიამული. პარტიზანები საშველად მორბოდნენ. იმედმოცემული ლიქოკელი წამოდგა, წელში გაიმართა და კორომიდან ქვევით, კლდისკენ, გზისკენ და ხევისკენ გაიხედა. უცებ მიწისფერი დაედო სახეზე. გერმანელები გზატკეცილზე მირბოდ-მორბოდნენ, კლდეს გარშემო უვლიდნენ და ფერდობისკენ მოძვრებოდნენ. ტყვიამფრქვევის დაცარიელებული ლენტი კაკაბურს ხელში გაჰქვავებოდა. ერთხანს გატრუნული იწვა, მერე ფეხზე წამოხტა, „ჰაი დედასა“ დასძახა და უკანასკნელი ხელყუმბარა ისროლა. ჯერ გრიალი გაისმა, მერე კი გზაზე და ხევის პირზე ბოლი და მტვერი ერთად ავარდა. თოფის სროლა გახშირდა. ლიქოკელმა ცხადად დაინახა, თუ როგორ გადაქანდ-გადმოქანდა კაკაბური, წაიფორხილა, კლდეს თავდაყირა გადაევლო და თვალს მოეფარა. ცოტა ხნის შემდეგ, ეტყობა კლდიდან დაგორებული, ერთი წამით ისევ გამოჩნდა გზატკეცილზე, გორაობით გასცდა მას და ხევში გადაიჩეხა.

* * *

ომი სულ უფრო და უფრო ხურდებოდა. მსხვერპლი მრავლდებოდა. სიკვდილი ცელის ქნევას ვერ ასდიოდა. ქსოვრისში ხან ერთი სახლიდან გაისმოდა წივილ-კივილი, ხან მეორედან. სიკვდილმა მსახვრელი ხელი კაკაბურებსაც შეახო. ყველაზე ადრე სულ უმცროსი და ყველაზე ლამაზი ქალიშვილი დაქვრივდა. იმის დედამთილი ისე გაჰკიოდა, რომ მთელი სოფელი ცოდვით იწვოდა. ანო თავისთვის სლუკუნებდა, რადგან დედაკაცური მოთქმატირილი ჯერ არ შეეძლო. მალე უფროსი დებიც დაქვრივდნენ. ომში წასული ექვსი სიძიდან სალასალამათი მხოლოდ ორი დაბრუნდა.

ომმაც ისევე გადაიქუხა, როგორც ყველაფერი მთავრდება ამ ბებერ დედამიწაზე.

კაკაბურები თავიანთი მაღალი სახლის მაღალ კიბეზე ისხდნენ და გზას გასცქეროდნენ, მიშას გამოჩენას უცდიდნენ. მის შესახებ მათ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ უგზოუკვლოდ იყო დაკარგული. სამთავნელმა სიძემ, განთქმულმა ტრაქტორისტმა, სულ ახლახან მკერდზე ოქროს ვარსკვლავი რომ დაჰკიდეს, მოსკოვში ბევრგან მიიკითხ-მოიკითხა, მაგრამ ვერსად ვერაფერი გაიგო.

ზაქრო ლიქოკელი ისევ ქსოვრისის სკოლას დაუბრუნდა. სადღაც წამოსცდა, რომ მას იტალიაში სამი ჯამი ფია ჰყავდა ნანახი. მეზობლები კაკაბურებთან მიცვივდნენ და ეს ამბავი ახარეს. ლექსოს წამოდგომის თავი აღარ ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ფეფომ ფაცაფუცით ჩაიცვა ჩითის სადა, თეთრწინწკლებიანი კაბა, სუფთა თავშალი მოიხურა, უმცროს ქალს გაუარა და იმასთან ერთად ლიქოკელის სახლს მიადგა.

— ჩემი მიშა მართლა ნახე?

ჰკითხა გულამოვარდნილმა ფეფომ ლიქოკელს.

— ვნახე, დეიდა ფეფო, ვნახე, მაგრამ ისევ დავკარგეთ ერთმანეთი.

იცრუა ლიქოკელმა.

— დავიჯერო, დედ-მამა არ მოენატრა?

— როგორ არა, დეიდა ფეფო, სულ თქვენა გკითხულობდათ, თქვენცა და ძია ლექსოსაც.

— ვენაცვალე, ოქროს გული აქვს ჩემს ფიას.

ანომ თვალები გაკვირვებით დააფახულა, მისი დედა პირველად ახსენებდა იმ სახელს, რომელიც დედ-მამის გარდა სოფელში ყველას პირზე ეკერა.

ფიას ხსენებაზე ლიქოკელს ღიმილიც და ცრემლიც ერთდროულად მოერია.

ცალი თვალით გახედა სრულიად ნორჩ ქვრივს, რომელსაც ხელში თოთო ბავშვი ეჭირა. ახალგაზრდა ქვრივი მას მიხჩერებოდა და თითქოს ელიმებოდა კიდეც. „ცოლად არ გაჰყვები?“ აგონდებოდა ანოს ძმის ნათქვამი, მაგრამ ისე როგორ გაიცინებდა, როგორც მაშინ იცინოდა.

ისევ ფეფომ დაიწყო ლაპარაკი:

— პირველად წერილებს იწერებოდა, მერე და მერე ერთიც აღარ მოგვივიდა.

— ვინ იცის, ჩემი წერილიც სად და რამდენჯერ დაკარგულა. ეგეც არის, ომი იყო, დეიდა ფეფო, დიდი ომი, ჯარისკაცებს წერილებისათვის სადა სცალოდათ.

— არა, ფია ისე როგორ მოისვენებდა, ან ლექსო არ მოეკითხა ან მე, ან დები? რომ არ გასჭირებოდა, არც ეგრე გასჩუმდებოდა.

ლიქოკელმა თავი დაბლა ჩაღუნა, მაღლა ვერ აიღო.

მხოლოდ ანო მიხვდა, რომ ლიქოკელი იმას არ ამბობდა, რაც მან იცოდა. მიხვდა, მაგრამ ეს არაფრით არ შეიმჩნია. პირიქით, დედა სახლამდე ტიკტიკით მიაცილა, იმედი გაუცხოველა, ბავშვი დააძინა, თვითონ კი ხელები დაიკაპიწა, დედას და მამას დასარეცხი დაურეცხა, დასაკერებელი დაუკერა. მარტო რომ დარჩა, მაშინღა წამოსცვივდა თვალებიდან ცრემლები.

დღე დღეს მისდევდა, თვე თვეს, ზამთარს ზაფხული ცვლიდა, ზაფხულს ზამთარი. მიშა კაკაბური კი არსად ჩანდა. ცოლ-ქმარს იმედი არ უწყდებოდა, მაღალი სახლის მაღალი კიბიდან სოფლის შარაგზას გასცქეროდნენ.

ლექსო კაკაბურს არც ხმა აგონდებოდა, არც ჭამა. ცოლი პირს ძლივს უხსნიდა. ისეთნაირად გათეთრდა, როგორც ის ფრთამოტეხილი მერცხალი ქსოვრისში ზამთარში რომ დარჩა და როცა თოვლი ჩამოჰყარა და მიდამო გადათეთრდა, თავი მოიკლა.

ლექსოს ლაპარაკიც ავიწყდებოდა და თვალთაც აკლდებოდა.

თითქოს ფეფოს უფრო ყოჩაღად ეჭირა თავი.

ზაქრო ლიქოკელი ისე არ გაუვლიდა კაკაბურების სახლს, რომ ლექსო არ მოეკითხა.

— როგორ არის ძია ლექსო, დეიდა ფეფო?

— ვერ უყურებ, კიბეს არ შორდება, გზას გასცქერის, მაგრამ ბრმა რას დაინახავს, მიშა კიდევაც რომ გამოჩნდეს.

წუწუნებდა ფეფო.

— ჰო, ძალიან შეცვლილა, გათეთრებულა.

თავს ნაღვლიანად აქნევდა ლიქოკელი.

— ჰოდე, ზეზეურად ხმება, ზეზეურად კვდება, ეგ ჩემი ცოდვით სავსე, ეგა!

ფეფოს თანდათან ერთი რამ დასჩემდა, სადაც ლიქოკელს გადაეყრებოდა, სულ ერთსა და იმავეს ეკითხებოდა:

— შორს არის ის ქვეყანა?

— შორს, ძალიან შორს, დეიდა ფეფო.

ეუბნებოდა ლიქოკელი, თან ხელი ათრთოლებულ ტუჩებთან მიჰქონდა, ყელში ბურთი ეჩხირებოდა, აქეთ-იქით იყურებოდა, გაქცევა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

— ძალიან შორსა?

— ძალიან.

— ცხრამთის იქით, ცხრა ზღვის იქით?

— ჰო, ჰო, დეიდა ფეფო.

საჩქაროდ პასუხობდა ლიქოკელი და თან თვალს არიდებდა, რათა ბებერ ქალს მისი ცრემლი არ დაენახა.

— იქამდე ვერ მივალ?

— გაგიჭირდება, დეიდა ფეფო! ხანში შესული ქალი ხარ, გაგიჭირდება.

ფეფო გაშტერებული იდგა, რაღაცას ფიქრობდა.

— იქნებ ცოლიანია, ჰა?

ლიქოკელს მარია კაკარედუ გაახსენდა. მაშინვე უპასუხა ფეფოს:

— ცოლიანია, მე ეგრე მაქვს გაგონილი.

— იქნება შვილიცა ჰყავს?

— შვილიცა, მაშა!

— ბიჭი თუ გოგო?

— აი, ეგ კი არ ვიცი.

— მერე, ღმერთს სამართალი სადა აქვს? მიშას შვილი ჩემს კალთაში არ უნდა გორაობდეს?

ისევ ჩაფიქრდა და ის თქვა, რასაც ყოველთვის ამბობდა ხოლმე:

— იგეთი რა დავუშავეთ, რო ჩვენსკენ აღარ იხედება, ჰა?

ფეფო სულ უფრო და უფრო იძირებოდა თავის ფიქრებში. დაფიქრებული დადიოდა. აღარავის ამჩნევდა. აღარც ქმარს, აღარც ქალებს, აღარც სიძეებს და შვილიშვილებს. ლიქოკელს რომ დაინახავდა ხოლმე, მხოლოდ მაშინ ეფინებოდა სინათლე მის ჩამომხმარ პირისახეს. ერთხელ გზა გადაუჭრა მას და იმედმოცემულის ხმით ჰკითხა:

— საით არის ის ქვეყანა?

ლიქოკელმა დასავლეთისკენ გაიშვირა ხელი.

— იქით. დეიდა ფეფო. საითკენაც მზე ჩადის ხოლმე.

ფეფომ მოულოდნელად იკითხა:

— მაღალი მთიდან რო გავიხედო, ვერ დავინახავ?

ფეფო მუდარის ისეთი თვალებით იყურებოდა, რომ ლიქოკელს მყისვე დაავიწყდა თავისი მათემატიკური განათლება, ფიზიკისა და ასტრონომიის ცოდნა, დასავლეთისკენ გაიხედა და ჩქარ-ჩქარა, სულმოუთქმელად, გატაცებით, ნუგეშის და რწმენის მომგვრელი კილოთი სხაპასხუპით მიაყარა:

— მზე რომ დასავლეთით ცაზე დაეკიდება და რამაზაანთ დიდ კაკალს თავზე დაადგება, იქით გაიხედე და ის ქვეყანაც გამოჩნდება, მზე იმ დროს იქაც ისე ჩადის, როგორც ჩვენს სოფელში.

ლიქოკელს თავისი ნათქვამის თვითონვე შერცხვა, მიტრიალდ-მოტრიალდა და ორღობისაკენ მოკურცხლა.

გონებადაფანტულ ლექსოს აღარაფრის დანახვა აღარ შეეძლო, კიბის საფეხურს გაშტერებული დასცქეროდა, მუხლზე თავდადებულ იჯდა. მარტო მაშინ, როცა წვიმდა ან თოვდა, არ გამოჰყავდა ის კიბეზე მის უმცროს ქალს, რომელიც დედამთილ-მამამთილის სახლში მოათავებდა თუ არა მოსათავებელ-გასაკეთებელს, მაშინვე მშობლების სახლისკენ გარბოდა, რათა ახლა მათთვის მოევლო და პატრონობა გაეწია.

ზოგჯერ დანარჩენი ქვრივებიც მოდიოდნენ თავიანთი შვილებით და ის ორი დაც ქმარ-შვილით, რომელთაც, ფარული სიხარულის მიუხედავად, საყვარელი ძმის დაკარგვა, დედ-მამის ურვა და შავებში ჩაცმული დების ყურება შუბლს მაინც უნაოჭებდა.

მხოლოდ ლიქოკელმა იცოდა, თუ რატომ იდგა შუა ეზოში თვალგაშტერებული ფეფო კაკაბური სწორედ იმ დროს, როდესაც დასავლეთით, ცაზე დაკიდებული მზე რამაზაანთ დიდ კაკალს თავზე ადგებოდა ხოლმე.

ბებერი ქალი რაღაც შეუცნობელი გუმანით გრძნობდა, რომ ჩამავალი მზის შუქი ცხრა მთის, ცხრა ზღვის იქით იმ ქვეყანასაც ეფინებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ატოტილა

თეკლე მარიამულმა თავისი ყმაწვილქალობა ბულაჩაურში გაატარა და იქვე დაქორწინდა.

ყველაფერი სულ უბრალოდ მოხდა. თეკლე მარიამული ბულაჩაურში სოფლის ბიბლიოთეკას განაგებდა. საბჭოთა მეურნეობის ბუღალტერი ივლიანე ციცაგს, დღე ისე არ გაივლიდა, რომ ბიბლიოთეკაში არ შეევლო. რანაირი წიგნი არ მიჰქონდა შინ წასაკითხად. ყოველთვის დროზე აბრუნებდა. ბევრი-ბევრი ორი დღე გაეჩერებინა. მეორე ან მესამე საღამოს წაკითხული წიგნი უკან მოჰქონდა და ახალს თხოულობდა. ორ დღეში თუ არა, სამ დღეში მაინც თეკლე მარიამული და ივლიანე ციცაგი ერთმანეთს ხვდებოდნენ. ჯერ თითქოს ერთი მეორეს ვერ ამჩნევდა, მაგრამ თუ ბიბლიოთეკაში არავინ იყო, თეკლე მარიამული ენის ქავილს ვერ აჩერებდა, გაზეთს ამოფარებულ ივლიანე ციცაგს ეკითხებოდა:

— მეურნეობაში ახალი გუთნები მიიღეს, ბატონო ივლიანე?

გაზეთი ნელა ირხეოდა და ივლიანე ციცაგის თავი მხოლოდ იმიტომ ჩნდებოდა, რომ თეკლესთვის დაექნია. დუმილს ბუზების ბზუილი არღვევდა (თუ ზაფხული იყო), ანდა გამვლელების თოვლზე ხრაშა-ხრუში (თუ ზამთარი იყო). ივლიანე გაზეთში თავჩარგული იჯდა, მოწყენილი თეკლე კი მთქნარებას ძლივს იკავებდა. კიდევ კარგი, რომ ხმის გამცემი ბლომად ჰყავდა. ზოგს გაზეთისთვის მოდიოდა, ზოგი წიგნის წასაკითხად, ზოგიც (რა დასამალია), თვალს წყალს ალევინებდა და ცალი თვალი გაზეთზე რომ ეჭირა, მეორე თვალს ფაშფაშა თეკლეს არ აშორებდა.

— არ გამომყვები, გოგო?

ეკითხებოდა სოფლის დალაქი.

— მაგას, თეკლე, ნიავქარი წაიღებს. დაიჯერე ჩემი სიტყვა, ისევ ისა სჯობს მე გამომყვე.

ეუბნებოდა ბრგე მჭედელი.

ენაკვიმატ თეკლეს სიტყვის ძებნა არ სჭირდებოდა, ისეთ რამეს ეტყოდა ხოლმე, რომ დალაქის და მჭედლის ხარხარი სოფლის თავშიც ისმოდა და ბოლოშიც.

გატკრციალებული თეკლე ტუჩებზე თითს იდებდა:

—გაჩუმდით, თქვე გასაწყვეტებო, ივლიანეს ხელს ნუ უშლით.

„ივლიანე ვინ არისო, ჩვენ გვიყურე, ეგ მუნჯი კაცი ვის რაში სჭირდებაო“, ეწერათ იმათ სახეზე და თვალს ვერ აშორებდნენ გამხიარულებულ, პირგაბადრულ თეკლეს, რომელიც დროგამოშვებით რაღაცნაირი მოწიწებით იყურებოდა მეურნეობის ბუღალტერისაკენ.

ცივი წყალი დალაქსაც და მჭედელსაც იმ მუნჯმა კაცმა გადაასხა თავზე.

აპრილის წყნარი საღამო იდგა. გზის გაღმა, ხილის ბაღში ნუშიც ყვაოდა და ტყემალიც. თეთრად გადაპენტილნი, მსუბუქ ნიავზე ნელ-ნელა, თითქმის შეუმჩნევლად არხევდნენ ტოტებს. ბულაჩაურში ახალგაზრდები ლხინისა და ქიდაობისთვის ემზადებოდნენ, ძველგაზრდები სეირის საყურებლად. ბიბლიოთეკაში მარტო ივლიანე ციცაგი იჯდა. გაზეთი მთელ სიგრძეზე ჰქონდა გადაშლილი და არც თავი უჩანდა, არც ტანი. თეკლე წიგნს დასცქეროდა; ანაზდად გაზეთის ყრუ შრიალი გაისმა. თეკლე იმდენად იყო კითხვით გატაცებული, რომ მის ყურთასმენას ვერც გაზეთის შრიალი მისწვდა და ვერც ივლიანე ციცაგის რაღაცნაირი ჩახველება.

თავი მაღლა მხოლოდ მაშინ აიღო, როცა თავზე მეურნეობის ბუღალტერი დაადგა.

— სხვა გაზეთი თუ წიგნი? — ცოტა გაოცებულმა იკითხა მან.

— არც ერთი და არც მეორე. — მოუგო ივლიანემ და ფრთხილად აქეთიქით მიიხედ-მოიხედა. — ორიოდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა მინდა გითხრათ, ქალბატონო თეკლე!

თეკლე კიდევ უფრო გაოცებით მიაჩერდა მას. არ იცოდა რა უფრო გაჰკვირვებოდა, მისი გაბმული ლაპარაკი, თუ ერთ ადგილზე საქციელწამხდარი ტკეპნა. სავსებით აშკარა იყო, რომ მეურნეობის ბუღალტერი არც გაზეთს თხოულობდა და არც წიგნს. თეკლე ყურადღებად გადაიქცა. ახლა უკვე მკაფიოდ მოესმა მას ივლიანე ციცაგის რალაცნაირი ჩახველება, რომელიც დაუსრულებლად მეორდებოდა, იმაზე მეტის თქმას კი ვერ ახერხებდა, რაც წელან თითქოს მტკიცე გადაწყვეტილებით წარმოთქვა.

— რა გნებავთ, ბატონო ივლიანე?

ივლიანემ ისევ გაღებულ ფანჯარას გახედა, თვალი აყვავებულ ნუშებსა და ტყემლებს დაადგა. გზაზე არავის ჭაჭანება არ იყო, არც ბიბლიოთეკის ახლომახლო ჩანდა ვინმე. ივლიანემ გამბედაობა მოიკრიბა და თეკლეს არაჩვეულებრივად ზრდილი ტონით მიმართა:

— ქალბატონო თეკლე, მომიტევეთ თუ ჩემი სიტყვები უდიერად მოგეჩვენოთ. დიდი ხანია მინდა გითხრათ, მაგრამ ვერ გავკადნიერდი. მარტოხელა კაცი ვარ, მინდა ოჯახს მოვეკიდო. თუ არ გამიწყრებით, როგორც ძველად იტყოდნენ ხოლმე, ხელი მინდა გთხოვოთ, თანაგრძნობა გამიწიოთ და ცოლად გამომყვეთ, ჩემი ჭირი და ლხინი გაიზიაროთ, ერთად გავწიოთ ცხოვრების მძიმე უღელი.

თეკლე მას ჯერ გაკვირვებული უყურებდა, მერე კინაღამ სიცილი წასკდა. თავი ძლივს შეიკავა, ენის წვერზე „არა“ ედგა, მაგრამ რატომ უთხრა „ჰო“; ვერასგზით ვერ გეტყოდათ.

თეკლე მარიამულმა და ივლიანე ციცაგმა ხელი სოფლის საბჭოში მოაწერეს.

მარიამული ციცაგად იქცა.

მთელი ბულაჩაური სახტად დარჩა.

დალაქს სამართებელი გავარდა ხელიდან, მჭედელს — ურო.

საყვარული რა მოგახსენოთ, მაგრამ სხვა მხრივ ცოლ-ქმარი ერთმანეთს ხელს არ უშლიდა. ქმარი საბჭოთა მეურნეობაში ბუღალტრობდა, ცოლი სოფლის ბიბლიოთეკაში გამგეობდა. თეკლე, არა უშავდა რა, თავს ბედნიერ ქალად გრძნობდა. წაკითხული წიგნებიდან კარგად იცოდა, რომ იშვიათი იყო ერთმანეთის კმაყოფილი ცოლ-ქმარი, მაგრამ თავს არც მადამ ბოვარის ადარებდა, არც ქალბატონ რენალს. ლაპარაკი არ უნდოდა, ივლიანე ციცაგი წესიერი, პატიოსანი და მშრომელი კაცი იყო. რა ვუყოთ, რომ ლაპარაკი არ უყვარდა და გაჩუმებული იჯდა. სამაგიეროდ თვითონ ქმრის მაგივრადაც ლაპარაკობდა და სტუმარს მოწყენილს სახლიდან არასოდეს უშვებდა. ქმარი თავის დავთრებს ჩაჰკირკიტებდა საბუღალტროში, შინ ან გაზეთს ათვალიერებდა, ანდა წიგნს ჩასცქეროდა. ცოლსაც ბიბლიოთეკაში მაგიდაზე ან წიგნი ჰქონდა გადაშლილი, ანდა ლაპარაკით იყო გართული. ერთმანეთს საღამო ხანზე ხვდებოდნენ. ცოლი იმ დღეს მომხდარ ამბებს უყვებოდა ქმარს, ქმარი კი გაზეთით ხელში იჯდა და ყურს უგდებდა. სოფელი ადრე იძინებდა, ისინი კი გვიანობამდე ისხდნენ. ცოლი ლაპარაკით არ იღლებოდა, არაფერი ჰქონდა სადარდებელი. კვირაში ერთხელ სარეცხი ედგა, სადილობით კი მეურნეობის სასადილოში სადილობდნენ.

ასე უშფოთველად ცხოვრობდნენ ციცაგები. რამდენიმე წელიწადი რომ შემოტრიალდა, დარდმა ორთავეს თავი დაუკრა. ცოლ-ქმარი უშვილობამ შეაფიქრიანა. ისედაც გულდახურული ქმარი კიდევ უფრო მეტად დამუნჯდა, მუდამ პირმხიარული ცოლი კი თანდათან ლაპარაკს გადაეჩვია. ერთმანეთს იშვიათად სცემდნენ ხმას. გუნებაში ერთი მეორეს ადანაშაულებდა, უშვილობას აბრალებდა.

უფრო ხშირად ცოლი იყო წარბშეკრული.

ბიბლიოთეკაში ყურადღებიანი და თავაზიანი, შინ ქმარს მწარე-მწარე, პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლპილიან სიტყვას არ აკლებდა, თან ცოტა გულმკაცრი იყო, ოდნავ უკმეხი, ზოგჯერ თავნებაც.

ივლიანე იმის ჩამოკრულებს და სუვედურებს ისევე ითმენდა და იტანდა, როგორც იმთავითვე ყველა ჭკვიანი ქმარი თავის ქსანტიპას ითმენდა და იტანდა.

დალაქს უკვე ორი გოგო ჰყავდა, მჭედელს — სამი ბიჭი.

დალაქი ისე არავის გაპარსავდა და არ გაკრეჭდა, რომ ზედ არ დაეყოლებინა:

— აფსუს, რა ზაოდის ქალი ფუჭდება?!

— რომელ ზაოდზე ლაპარაკობ, თედო? — ეკითხებოდა მუშტარი.

— ბუღალტრის ცოლზე, იმისთანა მოსული ქალი ჩვენს სოფელში რომელია!

მჭედელი უფრო პირში მთქმელი, მოურიდებელი კაცი იყო. სოფლის გზაზე ისე არ მოჰკრავდა თვალს თეკლე ციცაგს, რომ შორიდან არ დაეძახა:

— არ შეგვეშველოთ, თეკლე ქალო?!

თეკლეს ბრაზი ეკიდებოდა, მაგრამ ცდილობდა არ შეემჩნია, წყნარად ნათქვამს მუქარის კილოს აყოლებდა:

— თავის გატეხვა მოგენატრა, შერმადინ?

— მაგარი გოგრა მაქვს, გავუძლებ, — სიცილით უბრუნებდა შერმადინი.

— გაუფრთხილდი.

— რასა თეკლე?

— ე მაგ თათრის საზამთროს ოდენა თავსა!

შერმადინი ხიცილით იჭაჭებოდა, თეკლეს კი უნებურად ღიმი ერეოდა ბაგეზე.

ისიც ქალი იყო, ხანდისხან ბრგე მჭედლისკენ ქურდულად იცქირებოდა და თავში აკვიატებული აზრი უტრიალებდა: „ხომ არ მოვტყუვდი, ჰა?“

ერთხელ შერმადინმა, არც აცია, არც აცხელა და, თეკლეს პირდაპირ უთხრა:

— მაინც რამ დაგაბრმავა ქალო, იმ მუნჯისა რა მოგეწონა?

— შენა, შერმადინ, გაზეთს რას კითხულობ?

შერმადინს გაუკვირდა.

— ეგ საიდან მოიტანე? ან რათ გინდა?

თეკლემ ცხვირწინ „კომუნისტი“ გადაუშალა.

— აბა ერთი, მაგ მართლა დასაბრმავებელი თვალებით აქ ჩაიხედე.

— ჩავიხედე. მერე რა?

— რა და ვერაფერსა პოულობ?

შერმადინი გაზეთის ფურცელს ჩააშტერდა, თეკლეს თითს თვალი გააყოლა.

— „ჩვენი სოფლის ავ-კარგი“.

დამარცვლით წაიკითხა მან, რადგან ხელში არც გაზეთს იღებდა, არც წიგნს. ოქროს ხელი კი ჰქონია. იმისთანად ახლომახლო სოფლებში მჭედლობით არავინ იყო განთქმული.

— წავიკითხე. მერე რა?

— ერთი ქვემოთაც ჩაიხედე, ნახე თუ ნაცნობი კაცი არ გამოჩნდეს.

შერმადინმა ჩაიხედა და ხმამაღლა წაიკითხა: „ივლიანე ციცაგი“.

— უყურე შენა! დუნიაზე განთქმული ქმარი გყოლია!

— აბა, შენ რა გეგონა?! — გაიცინა თეკლემ და რაკი ის არასოდეს არ ინდობდა, არც თვითონ დაინდო, — იმ ჭკვიან კაცს როგორ დავთმობდი? შენ როგორ გამოგყვებოდი? შე დიდთავავ, შენა?

— ვითომ რას მიწუნებდი?

— მაგ ბოხვერა, ცარიელ თავსა!

— არაფერი გამომტყუთ, ქალო! — გაბრაზდა შერმადინი.

თეკლემ უარესად შეუტია:

— შენი ღირსი, არ იცი ვინ არი? შენი ყბაჩუა ცოლი, ფეხებდაგრეხილი თიკუა!

შერმადინს პირი გაუყვითლდა.

— ცოლს რაღას ერჩი, რა დაგიშავა?

— გამოგაჩნდა ჭკუის ნატამალი? შენ რაღას ერჩოდები სხვის ქმარსა?

შერმადინი რეტდასხმულივით დატრიალდა და ორღობეში შევარდა.

თეკლემ ღიმილით გააყოლა თვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულაჩაურში ერთხელ კიდევ დარჩა ხანტალი.

სოფელში ხმა გავარდა — თეკლე ფეხმძიმედ არის.

ციცაგებს ვაჟი ეყოლათ. ცოლ-ქმარი სიხარულით ცას ეწია.

თავიანთ პირმშოს მალხაზი დაარქვეს და თითქმის მთელი სოფელი ძეობაში დაპატიჟეს.

სწორედ იმ დროს, რამდენიმე დღით ადრე თუ გვიან, ბულაჩაურში კიდევ ოთხი ბიჭი დაიბადა.

— ესე დიდი ომის წინ იცის.

წაიდუდუნა ას წელს მიტანებულმა დედაბერმა, უკბილო და სულერთიანად ჩამომჭკნარმა მელანომ, რომელსაც ქმარ-შვილი დამარხული ჰყავდა, ძაძებს აღარ იხდიდა და მეზობლების შეჭამადით ედგა პირში სული.

მელანოს სიტყვებს ყურადღება არავინ მიაქცია. სოფელს ყორანივით გაშავებული დედაბრისათვის არა სცალოდა. ხუთი ბიჭის ძეობა ერთმანეთს ზედიზედ გადაება, ქეიფი ქეიფს მიჰყვა, ადიდებულ არაგვში იმდენი წყალი სად იყო, რამდენი ღვინოც იმ დროს ბულაჩაურში დაილია. მთვრალი კაცები ერთმანეთს ეჯახებოდნენ ან კაკლიანებში ჭერხვებივით ეყარნენ. ივლიანე ციცაგიც, ვგონებ, პირველად გამოთვრა.

სწორედ იმ ხანებში დაიწყო საკოლმეურნეო მოძრაობა. კოლმეურნეობის ჩამოყალიბებაში ივლიანე ციცაგიც თავკაცობდა. პირველი ტყვია ბობოლეებმა იმას ესროლეს, მაგრამ ააცდინეს. ეს ჩუმი კაცი არავის და არაფერს ეპუებოდა. სოფლის კომუნისტებს თავს უყრიდა და რაზმავდა, მიტინგს მიტინგზე მართავდა, ორატორივით ლაპარაკობდა, სიტყვას ვერავინ მოუჭრიდა. თუ გააბრაზებდით, კიდევ უფრო ფიცხად ლაპარაკობდა. იმისი საბუთიანობა და მტკიცება გალესილ დანასავით ჭრიდა. გლეხებს თავიანთი ხარ-კამეჩი და ცხენები ბოსლებიდან და თავლებიდან გამოჰყავდათ და ერთ საერთო, საკოლმეურნეო ფარეხში აქუჩებდნენ. [illegible]ტერს ყველა უჭერებდა, ყველას სწამდა იმის ნათქვამი და მომავალიც ისეთი ეჩვენებოდათ, როგორადაც მათ მჭერმეტყველად გადაქცეული ივლიანე ციცაგი თვალწარმტაცად უხატავდა.

— ე მუნჯი კაცი რამ აალაპარაკა? — კითხულობდნენ გაკვირვებული სოფლელები.

ბობოლები იღრინებოდნენ და გაბოროტებულნი ნიშნის მოგებით გაიძახოდნენ:

— რატომ არ ალაპარაკდება, რა? მე შენ გეტყვი, ხარი უნდა გამოიყვანოს ბოსლიდან, ძროხა ან ცხენი. ქაღალდისა და მელნის მეტი სხვა რა აქვავია?!

— საიდან არი, ხადაურია? — იკითხა ახალგაზრდა ბობოლამ.

— კაცმა არ იცის მაგისი თავი და ტანი! ისპანკობას დედ-მამა და და-ძმა დაჰხოცნია, მაგასაც ფეხი დაუკრავს და აქეთ გადმოვარდნილა.

— რატო ფეხი არ მოსტყდა, სანამ აქ ამოვიდოდა?!

წაისისინა ახალგაზრდა ბობოლამ და ზედ გინებაც დააყოლა.

ხნიერი ბობოლა ყურადღებით მიაცქერდა.

— ფეხი, რათა, თავში ესროლე და გათავდა.

ივლიანე ციცაგს მეორედ ესროლეს თოფი ბობოლებმა. მეორედაც ააცდინეს.

ივლიანეს წარბი არ შეუხრია.

უშიშრად მიდი-მოდიოდა სოფლის გზებზე, შარაზე, ორღობეებში, მინდვრებში და არაგვზე.

კიდევ უფრო მეტად გაუვარდა სახელი ახლომახლო სოფლებში.

თეკლე ციცაგი წინანდელზე უფრო მეტად გაიბადრა. სახელოვანი ქმრით თავს იწონებდა. გატკრციალებული იყურებოდა. ქმრის სახელით, მისი თავგადადებული შეუპოვრობით ამაყობდა და ხშირად ბიჭიც კი ავიწყდებოდა.

ბიჭი უკვე ჩილიკა-ჯოხს თამაშობდა. ჯერ ეზოში ტრიალებდა, მერე სოფლის გზებზე და არაგვის პირებზე გაინავარდა. სიმაღლეში დედას ემსგავსებოდა, თვალები კი მამისა გამოჰყვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვიანური, ოდნავ ნაღვერლგადაკრული. ლაპარაკი არც იმას უყვარდა, მაგრამ ბრძანებას ვერავინ დაასწრებდა, პირველობას არავის დაუთმობდა. ტოლ-ამხანაგებში თავი ისე ეჭირა, როგორც სარდალს ჯარისკაცებში. ისინიც უსიტყვოდ, ხმის ამოუღებლად ემორჩილებოდნენ. სიტყვას ვინ გადავიდოდა, თუ ზურგზე მუშტების ბრაგუნი არ უნდოდა.

მისი ამხანაგები მისივე კბილა ბიჭები იყვნენ. ერთს წელსა და ერთ თვეში დაბადებულნი. ფიდო, დათა, ჯეკა (ეს სახელი მის დედას ჯეკ ლონდონის სიყვარულით დაერქმია) და გიგუცა. ერთმანეთის სახელები აღარ ახსოვდათ. სოფელში ნათლობის სახელის ამარა ვინ დარჩენილა, რომ ისინი დარჩენილიყვნენ. ერთს აწოწილას ეძახდნენ, მეორეს თავკომბალას, მესამეს თვალჩიტას, მეოთხეს დრუნჩას. მარტო ჯეკას არ უცვლიდნენ სახელს. ისედაც ზედმეტ სახელად მიაჩნდათ, რადგან ჯეკ ლონდონის ვინაობა და სადაურობა ჯერ არ იცოდნენ. ისე კი გაგიხარიან, იცინოდნენ ბიჭები. ბულაჩაურში ორი ჯეკა იყო. ერთი მათი ტოლ-ამხანაგი და მეორეც საღორე ფერმის გამგის მონადირე ძაღლი.

აწოწილა მალხაზი იყო, გრძელფეხა და ტანაყრილი. არაგვის ჭალებში ისე არ გაივლიდა, რომ ხის გადმოშვებულ ტოტებზე თავი არ მოეხვედრებინა.

— თავს იფხან, აწოწილა? — მისძახოდნენ სიცილით ბიჭები.

აწოწილა ილრინებოდა, უკან თვალების ბრიალით იხედებოდა და ვისაც მოიხელთებდა, იმას ემუქრებოდა.

— ზურგი აგექავა, დრუნჩავ, მუშტი მოგინდა? — კბილებს უკრაჭუნებდა გიგუცას.

თავის სარდლობა აგონდებოდა, ისეც ისეთ სერიოზულ გამომეტყველებას იღებდა, რითაც ივლიანე ციცაგი იყო განთქმული საბულალტროშიც და სახლშიც.

— თავკომბალავ, ერთი ეგ კაკანათი აქეთ მომაწოდე. ჩქარა-მეთქი, წელი ნუ გწყდება, — უყვიროდა ფიდოს.

— თვალჩიტავ, ჩიტების ბუდე შენ უნდა ჩამოიღო, ჩიტების ნათესავი შენა ხარ, არ დაფრთხებიან, — უბრძანებდა დათას, რომელსაც მარჯვენა თვალის წარბი მაღლა ჰქონდა აწეული და ცხვირიც ჩიტის ნისკარტს მიუგავდა.

— ჯეკა, ფაცერს ეგრე ვინა დგავს, შე უშნო შენა! ბიჭებო, თავიდან მომაშორეთ ეს გოგოების ნასხლეტი ესა!

ჯეკა უფრო გოგოს წააგავდა, ვიდრე ბიჭს. ქერა იყო, თვალჟუჟუნა. ბამბის ქულასავით თეთრს მზე არაგვის რიყეზე და ტალღებში მოჰკიდებოდა. ცოტ-ცოტათი ბიჭს ემსგავსებოდა. ტოლები მაინც დასცინოდნენ. ჯეკას კი პირი სულ უცინოდა, არასდროს არ ბრაზდებოდა. ტოლ-ამხანაგები ერთმანეთს არ უტყდებოდნენ, თორემ ყველაზე მეტად მუდამ პირმზიანი და აუღელვებელი ჯეკა უყვარდათ.

სკოლაშიც ერთად დადიოდნენ. მერხებზე ერთიმეორის გვერდით ისხდნენ. მარტო აწოწილა იჯდა წინა მერხზე, როგორც ეს სარდალს შეეფერებოდა.

კომკავშირელებიც ყველანი ერთ დღეს გახდნენ. კომკავშირის მდივნად მთელმა სკოლამ მალხაზ ციცაგი დაასახელა და აირჩია კიდეც. სარდლობას მიჩვეული კიდევ უფრო გაიფოფხრა. მაგრამ ცხვირის ასაწევად არა სცალიოდა. თვითონაც კარგად სწავლობდა და არ ეზარებოდა, სხვებსაც ამასვე ჩასჩიჩინებდა. შრომა-გარჯაში დაუზარებელი ტოლ-ამხანაგებისგანაც გარჯას მოითხოვდა. კედლის გაზეთს გატაცებით რედაქტორობდა. ჯეკას პირველი ლექსი მან გამოაქვეყნა. საქმის თაოსნობაში ივლიანე ციცაგს არაფერში ჩამოუვარდებოდა, ოღონდ იმისგან განსხვავებით, გასამართავს და გასაკეთებელს ყვირილითა და ხმაურით აკეთებდა. როცა სჭირდებოდა, ენაც დედასავით ჰქონდა გალესილი. სხვების აყოლასა და დარწმუნებაში კი პირწავარდნილი მამა იყო, საბჭოთა მეურნეობის განთქმული ბულალტერი ივლიანე ციცაგი. კომკავშირელები სკოლის ეზოს შეუსია, დო-

ეროვნული

როისაგან გააწმენდინა, გააკრიალებინა და ისეთი სპორტული მოედანი გაიმართა, რომ მთელი სოფელი ალაპარაკდა. ალოობასა და რთველში სოფლის ახალგაზრდები გვერდში ედგნენ კოლმეურნე გლეხკაცობას. მკაშიც შველოდნენ და თიბვაშიც. შემოდგომაზე კი ვენახებიდან ყურძნის ყველაზე მძიმე გოდრებს ისინი ეზიდებოდნენ. მაგალითს ყველას მალხაზ ციცაგი აძლევდა.

— ალი-კვალი მამაა!

ამბობდნენ სოფლელები.

— დედა რაღად გავიწყდებათ, — თქვა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა და მოსწრებულად იხუმრა, — წინათ სოფელში ამდენი ნატალია, იზოლდა და ჯეკა სად იყო?

— ჰო, ეგრეა, ეგრე, — ეთანხმებოდნენ სხვები, — ორსულ ქალებს მუცელზე წიგნი აქვთ გადაშლილი და შიგ ლამაზ სახელებს ეძებენ.

— რაც გინდა თქვით და მე უფრო გიორგი და თამარი მომწონს.

ამბობდა ერთი.

მეორე კი უმტკიცებდა:

— ქართულ ნაწარმოებებსაც ხომ ისევე კითხულობენ, როგორც რუსულსა და უცხოურს, ჩვენებური, ქართული სახელები თეკლემ ვის დაუშალა?

როგორ შემოეპარა სიყვარული და როდის დაუკაკუნა გულზე კომკავშირის მდივანს, ვერ გეტყოდათ. თუმცა როგორ არა, ზემობულაჩაურში იმ გოგოს თვალი მოჰკრა თუ არა, მაშინვე თვალები დააჭყიტა—„ასლი საჩემოაო“, დათას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ე მაგ გოგოს არ იცნობ, თვალჩიტავ?

თვალჩიტამ იმ გოგოსაკენ გაიხედა თუ არა, ხმამაღლა შესძახა:

— გამარჯობა, მზევინარა!

— გაგიმარჯოს დათა. როდის ამოხვედი?

— სულ ეხლახან, გოგო!

— თიკუა როგორ არის თავის ბიჭებითა?

— არიან რა, თიკუა თონეშია ჩაკიდებული, ბიჭები არაგვზე ყრიან, იმათი მამა კი სამჭედლოდან [illegible] ურობს ხელიდან არ უშვებს.

სარდალმა თავის ჯარისკაცს შეუბღვირა, „მეც მაცალე ლაპარაკიო“.

— მაგ გოგოს მზევინარი ჰქვიან?

— არა, მელანო, — გაიცინა დათამ.

ბიჭებს სიცილი წასკდათ. ყველას ერთად გაახსენდა ძაძებით შემოსილი ასი წლის დედაბერი.

— რა გაცინებთ, რა! თქვენი მასხარად ასაგდები აქ ვინ არი?

გაცხარებით დაიძახა მზევინარმა და თვალცრემლიანი სოფლის საბჭოს კარებში შევარდა.

— აბა, თვალჩიტავ, — შესძახა სარდალმა, — ეხლავე თავქვე დაეშვი, ბულაჩაურამდე ირბინე, თორემ თუ დაგეწიე, სადაც მოგასწრებ ცხვირპირს ისე დაგინაყავ, ვერც დედამ გიცნოს და ვერც მამამ.

თვალჩიტა დაფრთხა და თავქვე დაეშვა, აწოწილა უკან დაედევნა და მალე ორთავე გადაყვითლებული იელის ბუჩქებს იქით გაუჩინარდა.

სოფლის საბჭოს ფანჯარასთან მომდგარი მზევინარი გაკვირვებული იყურებოდა.

თიკუას, შერმადინის ცოლს, თეკლე ციცაგი არ უყვარდა. ვერაფრით ვერ დაევიწყებინა, რომ მისი ქმარი ოდესღაც ამ ორთაყვირივით დაგრძელებულ (თიკუას სიტყვები გახლავთ) ქალს ეტრფიალებოდა შორიდან. მიუხედავად ამისა, ჭორიკნობის სულმა წასძლია, ბიბლიოთეკაში შევიდა და თეკლეს გამოელაპარაკა.

— თეკლე, ქალო, ერთ კარგ წიგნს ვერ მომცემ წასაკითხადა, რომ მეც გავახილო თვალი?

— რატომ არა, თიკუა.

— მაინც რას მირჩევდი, ჰა?

თეკლემ თავისი საყვარელი „ოთარაანთ ქვრივი“ გაუწოდა, ზედ დაატანა:

— მშვენიერი ნაწარმოებია, თან ჭკუასაც გასწავლის.

თიკუამ წიგნი იღლიაში ამოიჩარა, ეტყობოდა იშვიათად ჰკიდებდა წიგნს ხელს. მიტრიალდ-მოტრიალდა და ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ დაუდგა თეკლეს, ჯერ თავსახვევის ბოლოთი გაოფლიანებული ცხვირი მოიწმინდა, ხმას დაუმდაბლა და ისე უთხრა ბიბლიოთეკის გამგეს, რომელიც მაინცდამაინც ყურებდაცქვეტილი არ უყურებდა თავისი დაწუნებული მიჯნურის ცოლს.

— შენ, თეკლე ქალო, მზევინარს არ იცნობ?

— არა, ქალო, ვინ არის?

— ჩემი ალალი დეიდაშვილი, ჩემსავით ზემობულაჩაურელია, სოფლის საბჭოს მდივნად მუშაობს.

— მერე მე რა, მე რაში მეკითხება ვინ ვისი ნათესავია ან ვინ სად მუშაობს?

თიკუამ უფრო დაუმდაბლა ხმას, თითქმის ჩურჩულით გაანდო თეკლეს.

— იმათ რომა, მზევინარს აწოწილა ეკურკულება.

— აწოწილა ვიღაა?

უკმეხად წარმოთქვა თეკლემ, რომელსაც მუდამ აღიზიანებდა ის, რომ მის მალხაზს აწოწილას ეძახდნენ.

— რა ვქნა, საკუთარ შვილს ვეღარ ცნობილობ?

— ჩემს შვილს მალხაზი ჰქვია.

— მალხაზი იყოს, განა სულერთი არ არის? მთელი ზემობულაჩაური იმას ლაპარაკობს, ქორწილს როდის გავაჩაღებთო?

— რა დროს ქორწილია, ქალო, ჩემს მალხაზს თხუთმეტი წელი უსრულდება.

თიკუა დაიბნა. ჯერ ვერაფერი თქვა, მერე კი გაკვირვებით გაშალა ხელი.

— რა ვიცი, რა? მე უფრო დიდი მეგონა, შენსავით (ერთხელ კიდევ ისარგებლა თიკუამ და გაჰკენწლა თავისი ძველი მეტოქე) თავით ზეცას ასუფთავებს, მარსკვლავებს აკრიალებს. ზოგზოგივით ადრე დაუწყია კურკური.

ტუჩაბზუებით ჩაარაკრაკა მან და გატრიალდა. მხოლოდ გზაზე გაახსენდა, რომ წიგნი ბიბლიოთეკის გამგის მაგიდაზე დარჩენოდა. უკან არ გაბრუნებულა, რა ეწერა იმ წიგნში, სულ არ აინტერესებდა.

თეკლეს გულმა ვერ მოუთმინა, ცნობისმოყვარეობამ წასძლია და ზემობულაჩაურში ავიდა, სოფლის საბჭოში შევიდა და იქაურობა მოათვალიერა. მთავარ მაგიდასთან აღმასკომის თავმჯდომარე, ახალგაზრდა და ჩაფსკვნილი კაცი, ასევე ახალგაზრდა, მაგრამ გამხდარ-გამხდარ ექსპედიტორს ფეხბურთზე ცხარედ, ქოჩრის გლეჯით ელაპარაკებოდა. თეკლე მათ დიდის ამბით მოიკითხეს, რადგან მცხეთის რაიონში ივლიანე ციცაგი განთქმულ კაცად ითვლებოდა. კუთხეში, პატარა მაგიდასთან, ერთი ციდის ოდენა, უფერული გოგო ქაღალდებში იქექებოდა. თეკლემ მას მიმართა:

— ვერ მეტყვით, გოგონავ, სად შეიძლება ვნახო მზევინარი?

— მზევინარი მე გახლავართ, ქალბატონო.

უპასუხა გოგომ და ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა.

თეკლეს პირკატა ეცა.

მის ოცნებასა და წარმოდგენაში მისი სარძლო სულ სხვანაირი იყო, ტანმაღალი და პირმშვენიერი, ეს კი მაგიდის იქით ძლივსა ჩანდა, თმაც დაუდევრად ჰქონდა შეკრეჭილი, მარტო ჭრელი, მხიარული თვალებით და ლამაზი პირისახით იქცევდა ყურადღებას.

რაკი თეკლე ხმას აღარ იღებდა, მზევინარმა ჰკითხა:

— რა გნებავთ, ქალბატონო?

— თქვენს გარდა, გოგონავ, სხვა ვინმე კიდევ არის ზემობულაჩაურში მზევინარი?

— არა. ჩემს გარდა სხვა არავინაა.

თეკლეს ახლა ხელები ჩამოსცვივდა. არაფრით არ ჰგავდა ზემობულაჩაურელი მზევინარი მის ნაოცნებარ მზეთუნახავს. რახან ცნობისმოყვარეობა სავსებით ჰქონდა დაკმაყოფილებული, აქ აღარ ედგომებოდა, მაგრამ რაღაც ხომ უნდა ეთქვა? თავმჯდომარე და ექსპედიტორი ფეხბურთზე აღარ ლაპარაკობდნენ, მისკენ იყურებოდნენ. თეკლეს გაახსენდა, რომ ამას წინათ მალხაზმა ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ გამოართვა და თან დასძინა, „ზემობუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაჩაურში ერთმა ნაცნობმა მთხოვა და ცოტახნით იმას უნდა ავუტანოო". ამაზე კარგ მიზეზს, ბევრიც რომ ეფიქრა, სხვას ვერაფერს მოიფიქრებდა. მზევინარს მიესიყვარულა, ალერსიანად უთხრა:

— მზევინარ, ჩემო კარგო, კიდევ დიდხანს გექნება „ომი და მშვიდობა"? რა ვქნა, ბულაჩაურში ძალიან თხოულობენ, თორემ არაფრით არ შეგახსენებდი.

მზევინარი ახლა კი მიხვდა, თუ ვინ იყო ეს მაღალ-მაღალი და ტანსრული ქალი. ყაყაჩოსავით გაწითლდა, მაგრამ მაინც მტკიცე ხმით უპასუხა:

— არა ქალბატონო. სულ რამდენიმე ფურცელი დამრჩა. თუმცა, თუ გნებავთ, ეხლავე მოგართმევთ.

დაიხარა და მაგიდის უჯრა გამოსწია. თეკლემ ხელით შეაჩერა.

— არა, მზევინარ, არც ისე საჩქაროა. დაამთავრებთ თუ არა, ტიმოთე ფოსტალიონს გამოატანეთ.

შინ მზევინარის გამო კრინტი არ დაუძრავს, არც ქმრისთვის უთქვამს რამე.

მეორე თუ მესამე დღეს მალხაზმა დედას ჰკითხა:

— ნახე, დედა, მზევინარი?

— ვნახე, შვილო.

— მოგეწონა, დედი?

დედამ შვილს დაკვირვებით ახედდახედა, მკვახედ მიახალა ერთადერთი სიტყვა:

— არა.

მალხაზი შეცბუნდა. ერთხანს გაჩუმებული იდგა, მერე დედას მორიდებით გაუბედა:

— ნიჭიერი გოგოა, წიგნიერი.

— იმის ნიჭიერებას და წიგნიერებას რა თავში ვიხლი, შენ ეგეთი აყლაყუდა, ის კი ციდისმტკაველი. ერთი მითხარი, ერთად როგორ უნდა გამოჩნდეთ?

— გამოვჩნდებით, დედი!

— სოფლის თრლობეში შეიძლება, მაგრამ ქალაქის ქუჩებში ხალხი აგვდევნებათ, თითით საჩვენებელი გახდებით.

მალხაზმა მტკიცე გადაწყვეტილებით მოუჭრა:

— ჩვენ ქალაქში არ ვიცხოვრებთ, დედი!

დედა მისკენ სწრაფად შემოტრიალდა.

— მაშ სადა?

— სოფელში, ბულაჩაურში.

თეკლეს მიტკლისფერი დაედო სახეზე.

— მაშ, შენც ჩვენსავით გინდა აქ თბი მოაყიდო? ეგ რა თქვი, ბიჭო?!

— რას ამბობ, დედი! — გაუკვირდა მალხაზს.

— არა, შენ აქ არ გაგაჩერებ. სკოლას დაამთავრებ თუ არა, ფილოლოგიურზე ჩააბარებ გამოცდებს, უნივერსიტეტში.

მალხაზმა გაიცინა.

— მამა სულ სხვა ფაკულტეტს მიხახელებს.

— მაინც რომელს?

— ეკონომიურს.

— არც ეგ არის ურიგო.

— მე არც ერთი მინდა, არც მეორე.

— მაშ რა გინდა?

— ტრაქტორისტობა.

აკი ერთხელ უკვე მოგახსენეთ, მიუხედავად იმისა, რომ თეკლეს ათასნაირი რომანი და მოთხრობა ჰქონდა წაკითხული, უფრო გულმოურიდებელი იყო, ვიდრე გულმოწყალე, შვილს დაუნდობლად დაუტატანა:

— გულიდან ამოირეცხე ეგეც და ის ყვიციანი გოგოც.

მხრებზე შალი მოისხა, ხელში ქოლგა აიღო და ბიბლიოთეკისაკენ გაემართა.

წვიმამ მალე გადაიღო და ისეთი დარები დაიჭირა, რომ სულსაც უხაროდა და გულსაც.

სწორედ ამ დროს დაირეკა ომის ზარი ბულაჩაურშიც და სხვა სოფლებსა და ქალაქებშიც.

მცხეთის სამხედრო კომისარიატის ეზო ახლომახლო სოფლებიდან მოსული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გლეხკაცებით, მუშებით და მოსამსახურეებით გაივსედა. ბულაჩაურელებიც აქ იყვნენ. დალაქიც, ბუღალტერიც და ტრაქტორისტიც. დალაქი ხელში უწყებას ატრიალებდა და გულწრფელად გაკვირვებული კითხულობდა:

— კაცო, სოფელს აღარც დალაქი სჭირდება, აღარც ბუღალტერი და აღარც ტრაქტორისტი?

— როგორ არა. — უთხრა ბულაჩაურელმა დურგალმა, — მაგ საქმეებს ქალებიც კარგად გაუძღვებიან.

დალაქმა ზიზღით აიბზუა ტუჩები.

— მერე, ქალის გაპარსულს თავზე ლაფი არ უნდა დაასხა?

— ლაფი რათა? — შეუბრუნა ისევ სიტყვა დურგალმა, — აქაფებული საპონი.

ლაპარაკში ბულაჩაურის წყალსადენის ზეინკალი ჩაერია.

— ეგ რა არი, მავან და მავან ქვეყანაში მექისეებად აბანოში თურმე ქალები ყოფილან.

— ეჰ, ნეტავ იმ ქვეყანაში მამყოფა! ინატრა ახალგაზრდა დურგალმა, რომელსაც ცოლი ჯერ არ ჰყავდა შერთული.

— სანატრელი რა არი? — გაიცინა ზეინკალმა, — გზაზე დაგვაყენებენ და იქნება იმ ქვეყანაშიც ჩავაღწიოთ.

ომში წასვლის დღე რომ დადგა, ცოლებმა ქმრებს სტაცეს ხელები, დედებმა — შვილებს, დებმა — ძმებს. ატყდა ყურისწამღები ტირილ-წუხილი. ყველა ხმამაღლა გაჰყვიროდა, თუმცა ერთმანეთს ვერაფერს აგებინებდნენ, ყველაფერს მგრგვინავი სასულე ორკესტრი ჰფარავდა. გაფიცხებული მუსიკა ცრემლს კი არ აჩერებდა, უფრო აძლიერებდა. დალაქის ცოლი ფისუა ქმარს ეხვეოდა და ხელიდან არ უშვებდა; მჭედლის ცოლი თიკუა დაბნეული ტორტმანობდა, რადგან არ იცოდა ქმარს მოხვეოდა, თუ ორ ვაჟს, რომლებიც მამასთან ერთად ჯარში იყვნენ გაწვეულნი... გამოძახებული. ისევ შვილებისკენ მიუწევდა გული, თუმცა არც ქმრის ხელს უშვებდა ხელიდან. ფისუა და თიკუა



გულამოვარდნილები ქაქანებდნენ, რას არ გაიძახოდნენ. სვეტიცხოველში მათ ერთად დაანთეს სანთლები, ქმრები ღმერთს შეავედრეს. ტაძრიდან გულისხეთქით გამოცვივდნენ, როცა მუსიკამ დასცხო. ახლაც გულს ვერ იბრუნებდნენ, რაც ენაზეადგებოდათ, იმას ამბობდნენ; მარტო თეკლე და ივლიანე არ მოხვევიან ერთმანეთს. განზე იდგნენ. ჩუმად ლაპარაკობდნენ. ბოლოს ქმარმა ცოლს გაუღიმა, მაგრად ჩამოართვა ხელი, ერთბაშად რაღაც ფიქრმა გაიტაცა, ცოლს მიაჩერდა და უთხრა: „თუ ვინიცობაა მე არ დავბრუნდი, თეკლე, მალხაზს მშვენიარი შერთე“. თეკლე ჯერ შეტოკდა, მერე უსიამოვნოდ ასწია წარბი. თავის გუნებაში გაიფიქრა: „დახე, ამასაც სცოდნია, კრინტს კი არა სძრავდა. ვინ იფიქრებდა: არა. ეს კაცი არც მუნჯია, არც ყრუ და არც ბრმა“. ქმარს რომ მისი უსიამოვნო გამომეტყველების გამო შუბლზე ჩრდილმა გადაურბინა, მოაგონდა თუ სად მიდიოდა ის, იმ აზრმაც გაუელვა თავში, რომ მას შეიძლება უკანასკნელად ხედავდა, რაღაცნაირად აწრიალდა, ერთბაშად გადასხვაფერდა, გული ამოუჯდა, ქმარს მოეხვია და გულმხურვალედ გადაკოცნა. ივლიანეს უფრო მისი დასველებული თვალები და ლოყები ეუცხოვა, ვიდრე მუდამ თავნება, ხშირად უკმეხი ცოლის ეს მოულოდნელი საქციელი. ცოლს ერთხელ კიდევ გაუღიმა და იქით გაემართა, სადაც ომში წამსვლელები მწკრივ-მწკრივად ეწყობოდნენ. თავში მჭედელი აღმოჩნდა, შუაში ბუღალტერი, ბოლოში დალაქი.

რამდენიმე დღის შემდეგ ბულაჩაურელმა სარდალმა თავის ჯარისკაცებს დაუძახა და უთხრა:

— ჩვენ რა, აქ უნდა დავრჩეთ? — არა, ყველანი ომში უნდა წავიდეთ, — ერთხმად დასძახეს პირტიტველა ჯარისკაცებმა.

მოითათბირეს და მცხეთაში ჩაიჭრნენ, სამხედრო კომისარიატს მიადგნენ.

— რა გნებავთ? — ჰკითხა კომისარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწოწილა წინ წადგა და მოახსენა:

— ომში გვინდა წავიდეთ, ჩვენს მამებს გვერდით ამოვუდგეთ.

კომისარმა თვალები მოჭუტა, ყურადღებით მიაჩერდა ნორჩ ყმაწვილებს, რომელთაც ჯერ ულვაში არ ამოსვლოდათ.

— ვერ გაგიშვებთ.

— ვითომ რატომაო? — აიფოფხრა აწოწილა.

ხნიერი კომისარი თვალმადლიანი კაცი ჩანდა. მამაშვილურად განუმარტა:

— ძალიან გვიჭირს, რა დასამალია, ძალიან, მაგრამ ბალღებს ფრონტზე ვერ გავუშვებთ.

— ჩვენ მაინც წავალთ! — ჯიუტად წარმოთქვა აწოწილამ.

— წახვალთ და გზაში დაგიჭერთ, — გაიცინა ჭაღარა კომისარმა.

— ე როგორ! — გაიკვირვა თავკომბალამ, — ვითომ რატომა?

აწოწილამ მას თვალების ბრიალ-ბრიალით მოჰხედა და შეუბღვირა: „უჩემოდ ლაპარაკი როგორ გაბედეო“.

თავკომბალას ენა მუცელში ჩაუვარდა.

კომისარმა ეს შენიშნა და ულვაშებში ჩაიცინა.

— არა, ციხეში არ ჩაგსვამთ, ყველას მინდვრებში გაგიშვებთ. ვერ უყურებთ, მოსავალი ასალები გვაქვს.

— მინდვრიდანაც შეიძლება გაქცევა, — ამაყად წარმოთქვა თვალჩიტამ.

— მაშა, მაშა! — დაუდასტურა დრუნჩამ.

სარდალმა ორთავეს ისეთნაირად მოხედა, რომ მათ თვალი ვერ გაუსწორეს, თავი ჩაჰკიდეს და ხმა გაკმინდეს.

კომისარი ფეხზე წამოდგა, მალხაზს მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— წლოვანებას ორი წელიღა გაკლიათ. თქვენც რომ არ მოხვიდეთ, ჩვენ მოგაკითხავთ. ახლა კი მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ვერ უყურებთ, მილეთის ხალხი მიცდის, ლამის კარები შემოამტვრიონ.

ბიჭებს ნაღვლიანი თვალი გააყოლა და ინატრა: „ღმერთო დიდებულო, თუ სადმე ხარ, ამნაირ ბალღებს ნუ გასწირავ, ომი მალე დაგვამთავრებინე“.

ორი წელი ორ დღესავით გავარდა. დრო მხოლოდ თვალუწვდენელ ფრონტებზე ზოზინებდა. ასე ეჩვენებოდათ ეს სახლებს მოშორებულ და ოჯახებს მონატრებულ ჯარისკაცებს.

მცხეთის რკინიგზის სადგურზე ბულაჩაურელები თავიანთი სოფლის ახალგაზრდებს აცილებდნენ. მატარებელი რაიონის ახალგაზრდებით იყო გაჭედილი. ვაგონებიდან დოლის ბრაგუნი და გარმონის ჭყვიტინი მოისმოდა. ბაქანზე ისევ შარშანწინდელი სასულე ორკესტრი გრგვინავდა, ოღონდ ინსტრუმენტებზე მაშინდელი ახალგაზრდები კი არ უკრავდნენ, არამედ დრამწრის, ალმასკომის და ფოსტა-ტელეგრაფის ხნიერი მუშაკები. ჭაღარა კომისარი მხედრულად გაჯგიმული იდგა სადგურის წითელქუდიანი უფროსის გვერდით, მაგრამ მის თვალს მაინც ნამი ეპარებოდა, ტუჩებიც ოდნავ უთრთოდა.

თვალჩიტას, თავკომბალას, დრუნჩას და ჯეკას დედები კალთებს აგლეჯდნენ და ვაგონებისკენ გზას ულობავდნენ. თეკლე ციცაგი ისევ განზე იდგა, გამტკნარებული და დადუმებული. მიზეზიც ჰქონდა. მალხაზი მზევინარს ჯერ რალაცას ცხარედ ჩასჩურჩულებდა ყურში, მერე დიდხანს თავაულებლივ უკოცნიდა თვალწარბს, ტუჩებს, ყურებს, ყელ-კისერს; ბოლოს ორივე ხელი მაღლა აამართვინა, თავდავიწყებით დაეკონა, არა, კი არ დაეკონა, ზედ დააკვდა. თავი მხოლოდ მესამე ზარმა ააღებინა. დედა მაშინ გაახსენდა, როცა ადგილიდან დაძრული მატარებლის ვაგონის საფეხურზე შეხტა და უკან მოიხედა.

— კარგად მეყოლე, დედი! — დაიძახა და ისე გაიღიმა, როგორც ივლიანე ციცაგი იღიმებოდა ხოლმე.

ბაქანზე გაქვავებულ თეკლეს მეზობლებმა გაჰკრეს ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წამო, ქალო. ღამდება. ბულაჩაურში ასვლა არ გინდა?

ბულაჩაურელი ჯარისკაცები ომის ვრცელსა და გრძელ გზებზე მიიფანტ-მოიფანტნენ. დალაქი ეშელონის დაბომბვის დროს დაიღუპა; დურგალი, მექისე ქალების აბანოში ყოფნა რომ მოიწადინა, ქერჩთან ზღვაში ჩაიხრჩო; ზეინკალი რამდენჯერმე დაიჭრა და რომ გამომრთელდა, ისევ ფრონტს მიაშურა; მჭედლის უფროსი ვაჟი კურსკთან დიდი არყის ხის ქვეშ განისვენებდა, შუათანას თვალის სინათლე ექიმებმა სვერდლოვსკის ჰოსპიტალში დაუბრუნეს, უმცროსი თავისი ტანკით მტერს ეომებოდა. ბერლინს ზეინკალმა, ბუღალტერმა, მჭედელმა, იმის ტანკისტმა შვილმა, თავკომბალამ, თვალჩიტამ და დრუნჩამ მიაღწიეს.

ბულაჩაურელი ბიჭები ერთ ბატალიონში მოხვდნენ. რაკი საერთო ოცმეთაური ჰყავდათ, აწოწილას სარდლობას წირვა გამოუვიდა, პეწი დაეკარგა. მაგრამ ბრძოლაში, ხელყუმბარის სროლასა თუ ხიშტის მოქნევაში მაინც ის იყო პირველი. სიკვდილში კი პირველობა ჯერ ჯეკას ერგო, სულ მუდამ უკანასკნელი რომ იყო ხოლმე, მეორე კი ის აღმოჩნდა, ვინც ბულაჩაურში და არაგვის ჭალებში პირველობას არავის არასდროს უთმობდა.

იმ დღეს და იმ საათს ერთად გაზრდილ ტოლებს რა დაავიწყებინებს, თუ ცა არ ჩამოინგრა, დედამიწას არ დაეცა და ქვეშ არ მოიტანა.

ბრძოლა რომ დამთავრდა, ტოლებმა ჯეკა დახოცილებს შორის იპოვნეს. შუბლი ტყვიით ჰქონდა გახვრეტილი. პილოტურა თავიდან გადავარდნილი, პირი ძველებურად უცინოდა, უწინდელივით ლამაზი იყო, გოგოსავით ლამაზი, მიუხედავად იმისა, რომ სისხლით იყო მოთხვრილი. ისეთნაირად იწვა, გეგონებოდათ არაგვის პირზე წევსო, აქეთ საგურამოს უყურებს, იქით ზედაზენსო. ბიჭებმა რომ დახედეს, კინაღამ აბღავლდნენ, მაგრამ აწოწილამ თავის სარდლობა გაიხსენა, თვალი უყო, „ღმერთი არ გაგიწყრეთ, თავი არ შეირცხვინოთო, მა როგორ, ომი არისო“, მაგრამ იმასაც ზაფრანის ფერი დაედო, როცა ხნიერმა ჯარისკაცებმა ჯეკას ჩექმები გახადეს, ერთმა მხრებში წაავლო ხელი, მეორემ ფეხებში, გრძლად გათხრილი ორმოსკენ წაიღეს და სხვა დახოცილებთან ერთად ისიც იქ გადაუშვეს. ხელები შარვალზე ჩამოიბერტყეს. ზანტად მოტრიალდნენ .ახლა სხვა მოკლულისკენ წალასლასდნენ. ბიჭებს ისე მოეჩვენათ, რომ ამ საქმეს ისინი გულგრილად და დაუდევრად აკეთებდნენ ხნიერ სანიტრებს მწუხარებისთვის არა სცალოდათ, მისავათებულებს მუხლები ეკეცებოდათ და საშინლად იყვნენ დაქანცულნი.

მეორედ აწოწილა გამოეცალათ ხელიდან. •

ბატალიონს ერთი მაღლობის აღება დაავალეს, მაგრამ ვერსაიდან ვერ მიუდგნენ. დაქანებულ ფერდობზე გერმანელებს ტყვიამფრქვევი ჰქონდათ დადგმული და ყველა მომართულებით ცეცხლს ისეთნაირად აფრქვევდნენ, რომ თავის აწევა და შუბლის გახვრეტა ერთი იყო.

ვერც არტილერიის ცეცხლმა დაადუმა ტყვიამფრქვევის ჩაბეტონებული ბუდე.

ჯარისკაცები ბალახებში იწვნენ და თავს მაღლა ვერ იღებდნენ ვინც წამოდგა და „ურა“ დაიძახა, მოცელილი მიწაზე დაენარცხა. მაღლობის აღებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ბატალიონი როგორმე უნდა აჭრილიყო იქ, დაეპყრო და გამაგრებულიყო.

— სად მიდიხარ, ბიჭო?!

დაიძახა თავკომბალამ, როცა აწოწილო წინ გაძვრა და ხოხვა-ხოხვით ბექობს შეუდგა.

— რას შვრები, აწოწილა?!

დაუყვირა თვალჩიტამ და ტანში გასცრა, რადგან სწრაფად მიისაზრა, თუ რა განზრახვით მიხოხავდა ბალახებში თავჩარგული აწოწილა ზევით, გერმა-

ნიკოლოზ [illegible]

ნელების ტყვიამფრქვევისაკენ, იმათ ამბრაზურისაკენ.

— დაბრუნდი, მალხაზ! შეეხვეწ დრუნჩა.

სხვა ჯარისკაცებიც აწრიალდნენ — რუსიც, უკრაინელიც, უზბეკიც და სომეხიც.

არტილერიამ კიდევ უფრო გააძლიერა ცეცხლი, რათა თავგადადებული ჯარისკაცისათვის საფარი შეექმნა.

ის უკან აღარ იხედებოდა, ბალახებში მიძვრებოდა, ხოხვით უახლოვდებოდა ტყვიამფრქვევს. უცებ აიწოწა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ერთი წამით მაღალი, აწოწილი ხესავით გამოჩნდა და მკერდით ამბრაზურას გადაეფარა.

ტყვიამფრქვევის კაკანი თვალისდახამხამებაში შეწყდა.

ომის ბორბალმა ბერლინში შეწყვიტა ტრიალი.

ბერლინში ბულაჩაურელი მეფრინველეც აღმოჩნდა. ისიც მიადგა რაიხსტაგის შენობას, ერთ დიდ ქვას იდაყვი გადაუსვა და წააწერა: „შერმადინ ლუაძე" მერე თავისი ჯარისკაცი ვაჟების სახელებიც მიაწერა: „ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი". სანამ მას რაიხსტაგის ფასადზე ბატიფეხური ასოები გამოჰყავდა, იქვე, სულ ახლოს, უნტერდენ ლინდენზე ფრიდონ ლუაძე თავისი ტანკის გვერდით იდგა და მინგრეულმონგრეულ ქალაქს გაჰყურებდა. თავიდან მამისა და ძმების ფიქრი არ შორდებოდა: „სად არიან, როგორ არიანო?" ალექსანდერპლაცზე კი პოლიტხელი ივლიანე ციცაგი იდგა ქვეით ჯარისკაცებთან ერთად და ისიც კვამლში გახვეულ ბერლინს გასცქეროდა.

მცხეთის სადგურზე ის მატარებლიდან მარტო გადმოვიდა. ბნელოდა. ღამის თერთმეტი საათი სრულდებოდა. უცებ ავტომობილის ფარების თვალისმომჭრელ შუქში გახვია. პატარა მოედანზე საბარგო მანქანა შემოტრიალდა. კაბინიდან ახალგაზრდა მძღოლი გადმოხტა, გახარებულმა შესძახა:

— შენა ხარ, ძია ივლიანე, დაბრუნდი?

ივლიანე დააცქერდა და მაშინვე იცნო, მისი მოლარის ვაჟი იყო.

— ე რამოდენა გაზრდილხარ, გიორგი?! ძაან აგიყრია ტანი.

— მაშა, მაშა. — იცინოდა გახარებული მძღოლი. — ფეხებზე სულ წყალს ვისხამდი, ეგება გავეზარდო, ომში მეც გამრიონ მეთქი. მაგრამ ვინ მომაქცია ყურადღება, წვიმა და წყალი მარტო ლობიოს უხდება.

ივლიანემ შუბლი შეჭმუხნა.

— ომი ჭირს წაუღია, მაგისი მომგონიც და დამწყებიც. შენ ეს მითხარი, გიორგი, ბულაჩაურში არ მიდიხარ?

— მაშ სადა, ძია ივლიანე. იქაც რომ არ მივდიოდე, მაინც წაგიყვანდი.

— აგაშენა ღმერთმა.

გიორგიმ ივლიანეს ზურგჩანთა და ჩემოდანი ძარაზე აიტანა, კაბინაში გვერდით მოისვა, მოტორი ჩართო, ხიდი, ყარაულები დღე და ღამე რომ დარაჯობდნენ, ნელ-ნელა გაიარა, სიჩქარეს შარაგზის ასფალტზე მოუმატა, წამდაუწუმ მისკენ იხედებოდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა. ივლიანე ციცაგი ლაპარაკით ბევრს არასდროს არ ლაპარაკობდა. ახლაც გაჩუმებული იჯდა და თითქოს თვლემდა კიდეც. ასე გაიარეს მცხეთა, ბებრის ციხე, აგურხანა, ნარეკვავი. ნატახტართან გიორგის ის წამოსცდა, რის თქმასაც წეღან გზაზე ვერასგზით ვერ ახერხებდა:

— ვერ წარმოიდგენ, ძია ივლიანე, როგორ გვეწყინა მალხაზის დაღუპვის ამბავი რომ გავიგეთ. მთელი სოფელი ცრემლად იღვრებოდა. ძალო თეკლემ ეხლაც არ იცის შვილის სიკვდილი. ვინ ეტყვის? ვის ამოუვა პირიდან? ხის და ელოდება.

ივლიანე ისეთნაირად შეინძრა, რომ გიორგი მაშინვე მიხვდა, თუ რა წამოაყრანტალა. ისე გახდა, კინაღამ საჭე გაექცა ხელიდან.

ჩუმად შევიდნენ ბულაჩაურში. ჩუმად მიადგნენ ციცაგების სახლს. გიორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიმ ზურგჩანთა და ჩემოდანი ივლიანეს ეზოში შეუტანა, უჩუმრად აფოფხდა კაბინაში, სტარტერს უხერხულად დააჭირა ფეხი და გაიძურწა.

სახლში ელექტრონის შუქი აინთო. აივანზე მაღალ-მაღალი ქალი გამოვიდა, ბნელ ეზოს თვალი მოავლო და დაიძახა:

— მალხაზი ხარ, შვილო, დაბრუნდი?

ივლიანეს მუხლთ მოეკვეთა, კინაღამ ჩაიკეცა.

მაღალ-მაღალმა ქალმა ისევ სცადა სიბნელეში შვილის დალანდვა, ისევ დაიძახა:

— რატომ ხმას არა მცემ, ბიჭო? არ გესმის, აწოწილა?

ივლიანეს გაახსენდა, რომ არც თეკლე და არც თვითონ მალხაზს არასოდეს აწოწილას არ ეძახდნენ.

აივანზე მეორე ქალიც გამოვიდა, მაღალ ქალზე გაცილებით დაბალი.

— რა იყო, დედი? ვის ეძახდი?

— არავის, მზევინარ. ისევ მომეჩვენა მე თვალდამდგარს, მანქანა რომ გაჩერდა, ვიფიქრე მალხაზია-მეთქი.

— რატომ მარტო მალხაზი, დედი. განა მამაც მოსასვლელი არ არის, ბატონი ივლიანე?

— ეჰ, შვილო, მამაზე და ქმარზე ვინ ფიქრობს, შვილისთვის მრჩება გზაზე თვალები.

უცებ მაღალი ქალის ხმაში ერთდროულად შეშფოთებისა და მზრუნველობის კილო გაისმა.

— მზევინარ, გარეთ ამ გრილოში, ღამის პერანგით რომ გამოსულხარ, რასა ფიქრობ, შვილო?

— აბა რა ვიცი. შენ რომ დაიძახე, გამეღვიძა. ავდექი, ვიფიქრე მამა ხომ არ დაბრუნდა-მეთქი.

— მამა? — გაუკვირდა მაღალ ქალს.

— ჰო, მამა, ბატონი ივლიანე.

დაბალი ქალი შეცბუნდა, ენას კბილი დააჭირა, რაღაცის გამოსწორება სცადა, მტკიცედ დარწმუნებული ადამიანის კილოთი წარმოთქვა:

— აი, ნახავ დედი. შეიძლება მალხაზი და ივლიანე ერთად დაბრუნდნენ.

— შენს პირს შაქარი, შვილო!

— ლოდინი იმედის დედაა. ეგრე ამბობენ და მართალიც არი.

— ლოდინის მეტს რას ვაკეთებ, შვილო. იმიტომ ვწევარ ტანთგაუხდელი მამლის პირველ ყივილამდე.

მაღალი ქალი დაბალმა ოთახში შეიყვანა.

ომის ჭირ-ვარამმა ივლიანეს ჯანიც გაუმაგრა და ღონეც მოუმატა, მაგრამ მაინც გაუჭირდა ზურგჩანთის და ჩემოდნის კიბესთან მითრევა. კიბის საფეხურზე ფრთხილად შედგა ფეხი, ფრთხილად აიარა ერთი საფეხური, მეორე საფეხური. კიბე ჭრაჭუნობდა. ეტყობოდა დიდიხნის მოუვლელი იყო. კიბესაც, და ალბათ სახლსაც; კაცის ხელი აკლდა. სულ რამდენიმე საფეხური იყო კიბის ფოლორცამდე და აივნამდე, მაგრამ ივლიანე დიდი გაჭირვებით ადიოდა. იმიტომ კი არა, რომ დაღლილი იყო, სულ სხვა აზრი და ფიქრი უტრიალებდა თავში. არ უნდოდა კიბის საფეხურების ჭრაჭუნს ქალების ყურადღება მიექცია და თავზე დასდგომოდნენ. არ უნდოდა ცოლს ქმარი დაენახა, რადგან დედა შვილს ვერასოდეს ვერ დაინახავდა.

უცებ ბავშვის გაბმული ტირილი მოესმა. ქალების შეშფოთებული ჩოჩქოლი. ივლიანე ჯერ გაშტერებული იდგა, მერე როცა მის გონებაში აზრი მკაფიოდ ჩამოყალიბდა, მოაჯირზე თავი დაუვარდა და ქვითინი წასკდა. თვალებიდან მწუხარებისა და სიხარულის ცრემლები სდიოდა. ისპანკობის შემდეგ მეორედ ატირებული ცრემლის ნიაღვარს ვერ აჩერებდა.

ეტყობა ისე ხმამაღლა ქვითინებდა, რომ აივანზე ოთახის კარმა ისევ გაიჭრიალა.

ბიბლიოთეკა

მზია ხეთაგური

## ხეები ქარში

სასჯელს იხდიან თითქოს ხეები
ისე მორჩილად ირხევიან ქარის ქროლვაში...
და წარბშეკრული ცა დაჰყურებს უმწეო როკვას...
რა დააშავეს ამ ხეებმა, რა დააშავეს,
იდგნენ თავისთვის, არ იშურებდნენ მწვანე ღიმილს,
ჩრდილს და სიმაღლეს,
და მაინც სასჯელს ვერც ერთი ასცდა...
იქნებ უძრავი მათი ფესვები და მწვანე ფერი
შურს ცისფერ ზეცას...
ან მოთმინება მათი და სევდა;
ან, იქნებ, — სუნთქვა,
ანდა აშოლტილ ტანზე ფოთლების ჩუმი შრიალი...
ზეცის განგებით ამოვარდა ეს ქარი ახლა
ასე უეცრად
და ქარიშხლადაც გადაიქცევა საცაა, ალბათ...
სხვა გზა არა აქვთ — დგანან თავისთვის
და ინჯღრევიან ქარში ხეები
და ეკაწრებათ ალერსს ნაჩვევი ნაზი მერქანი.
ჩადგება ქარი;
და თუ გადარჩნენ ახლა ხეები —
ვაი თუ მათაც ისწავლონ შიში,
მოხარონ ტანი და დაიშურონ მწვანე ღიმილი.

## ნ ი ვ თ ი

ეს ნივთი ძვირფასია და სამუდამო,
ნებისმიერ დროს შეიძლება გაიყიდოს;
თუ ფასს არ იმატებს, არც დაიკლებს.
ეს ნივთი ძვირფასია და საიმედო!
ეს ნივთი ძვირფასია, ქალბატონო!
კეთილი, გეთანხმებით, ვიცი ფასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრილიანტის და იაგუნდის, ოქრო-ვერცხლის,
ბროლის, ძოწის და ჩინური ფაიფურის;
და თუ არ დავუხრჩვივარ სამკაულებს —
ის მაინც გამიგია, რომ საჭიროა
ბევრი, ბევრი, ბევრი, ძლიერ ბევრი ფული.
რომ იგი ძვირფასია, — გეთანხმებით,
რომ მუდამ შეიძლება გაიყიდოს;
რომ ფასს თუ არ იმატებს, არ დაიკლებს,
რომ ნივთად ნივთი — არის მშვენიერი.
მაგრამ რა მოგახსენოთ: იგი მაინც
ვერასდროს იქნება სამუდამო —
უცებ რომ დავკარგოთ, ანუ, რომ მოგვპარონ?
როგორღა იქნება საიმედო,
როგორღა იქნება სამუდამო?
მაშასადამე, არც ძვირფასია,
არც ბრწყინვალე და არც მშვენიერი.
ამრიგად, ორი შაურია
მისი ფასი და მნიშვნელობა...
სიკვდილი? — ეს კია სამუდამო,
რადგან იარსებებს იგი მაინც,
სინდისი? ესეც და კიდევ, ვიცი,
რომ ღალატიც მუდმივია და ერთგულებაც;
რომ არსებობს ვნება და სიყვარულიც.—
აი ნიმუშები სამკაულთა,
აი რა არ დაიკლებს და არც იმატებს,
მაგრამ ძვირფასია და სამუდამო;
მაგ ნივთზე ძვირფასია და უპრიანი
ამ ნივთთა არსებობა, ქალბატონო!

## მეტროში

ესკალატორზე ვდგავარ და ჩუმად
ახალ სიმღერას ვღიღინებ ჩემთვის
და მეტროს მგზავრებს ეღიმებათ ჩემს დ[illegible]ზე
ესკალატორი ადის და ჩადის.
დემონსტრირება სხვადასხვა სახის,
ტანის, კაბების გრილი შრიალის
გრძელდება, როგორც ჩემი სიმღერა.
ხოლო გვირაბთან ზუსტი საათი
ელვის სისწრაფით კვლავ წამებს ითვლის
და ახლოვდება ცისფერ ვაგონთა
ხმაურიანი შემოძახილი.
ნეტავ ოდესმე თუ შევხვდები ამ მგზავრებს კიდევ
რომელს მოელის სიხარული, ანდა ხიფათი,
თუ ჯაბნის ვინმეს ავადმყოფობა.

რომელიც იქნებ, მის სხეულში ჩუმად ღიღინებს
და ის ღიღინი არც პატრონის, არც სხვა მგზავრების
ღიმილს არ იწვევს...
ვიცი, სიმღერა, ჩემი ახალი, უხმო სიმღერა
ერთ დღეს იფეთქებს და ვით ლოცვა თავგანწირული —
დასცდება ბაგეს ადამიანთა სურვილების გადასარჩენად,
ამ დამცინავი სახეების
გადასარჩენად,
კაბების გრილი შ[illegible] [illegible]ბის
და ვაგონების ელვარების
გადასარჩენად.
თავად სიმღერის გადასარჩენად
სიმღერისა დედამიწის ქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუზა ყაჭეიშვილი

# გამოცხადება

## რომანი

* * *[*]

მეორე დღეს ბევრი ლოდინი არ დასჭირვებია—მირიანი მალე გამოჩნდა და მანქანაც ისე მოხერხებულად ჩამოაყენა მის წინ, ხელის გაწვდენის მეტი არა უნდოდა რა; თამამად გამოაღო კარი და დაჯდა.

— საით წავიდეთ?.. — ხუმრობის კილოზე ჰკითხა კაცმა.

— საითაც თქვენ გაგიხარდებათ, ოღონდაც ქარხანაში — არა!.. — შინაგანი მღელვარებით მიუგო გოგომ.

მირიანი გააკვირვა მისმა სითამამემ, — გუშინ აქეთ თითქოს გარეგნულადაც შეცვლილიყო — უფრო მომწიფებულიყო... კვლავ მცხეთისაკენ მიაბრუნა მანქანა... არეული ამინდი იდგა, ოდნავ წინწკლავდა.

— წუხელ მთელი ღამე არ მიძინია... — თქვა გოგომ.

— რატომ?..

— ვფიქრობდი... ამ დილით წამთვლიმა და მაშინაც თქვენ მესიზმრეთ...

— როგორ?..

— ვითომ ხეზე ვიყავით ორივენი ასული — მაღლა, სულ კენწეროში... მე ლეღვს ვკრეფდი, თქვენ კი მადიანად შეექცეოდით... რა უცნაურია სიზმარი, არა?..

ის კი აღარ უთქვამს, ლეღვის ნაფცქვენებს კაცი სახეში რომ აყრიდა.

— ქალაქელ გოგოს ხეზე ახვლა რამ დაგასიზმრათ...

— სოფელში გვიდგას ლეღვის ხე. ზაფხულობით ჩავდივარ ხოლმე.

ისევ წინწკლავდა და საწმენდელები ჭრიალით ხაზავდნენ მინაზე ნახევარრკალებს.

— რა ვქნათ?.. — იკითხა კაცმა, გზას რომ მიუახლოვდნენ.

— წადით, წადით... — ჭირვეულად თქვა გოგომ და მარცხნივ მიიხედა. — ეს ის რესტორანი არაა, გუშინ რომ ვიყავით?

— ჰო, ისაა... — მიუგო მან.

— მერედა რატომ არ მეპატიჟებით?.. ამ დილით მართლაც არ მისაუზმია!

— დღეს სხვა რესტორანი გავსინჯოთ... — გაუღიმა მირიანმა.

სასტუმრო „ინტურისტის" ეზოში შეგრიალდნენ... — მირიანმა მანქანა საგულდაგულოდ ჩაჰკეტა და ყარაულს ჩააბარა... რესტორანიც იქვე იყო, პირველ სართულზე. ნაცნობმა ოფიციანტმა მომცრო, მყუდრო კუპე შეურჩია: მალე მაგიდა ნაირ-ნაირი სასმელ-საჭმელით გაივსო.

[*] გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 9, 10

გოგოს პირში ლუკმა არ ჩაუდვია — ცოტ-ცოტა კონიაკს წრუპავდა და საბოლოოდ მხოლოდ გაანახევრა ჭიქა. მირიანი კი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მადიანად მიირთმევდა და ერთი ბოთლი „ქინძმარაულიც“ დააყოლა საუზმეს. მერე კარგა ხანს უხმოდ ისხდნენ; გოგო უცნაურად მისჩერებოდა...

— დროა უკან გავბრუნდეთ, თორემ ვშიშობ, ორივეს მოგვხსნიან სამსახურიდან!.. — ღიმილით თქვა კაცმა.

— თქვენ დირექტორი ბრძანდებით და უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემთ, მე კი, თუნდაც მომხსნათ, მაინც არ წამოვალ...

— რატომ?..

— განა ასეთი ცუდი გოგო ვარ, ბატონო მირიან?.. — ხმა აუთრთოლდა.

— მერედა ვინა თქვა ეს?.. ცუდი კი არა და გადასარევი გოგონა ხართ, ლოლიტა!

— აბა რატომ არ მეფერებით?..

— მე არ გეფერებით?.. — დაიბნა კაცი. — როგორ არ გეფერებით...

— არა, არ მეფერებით... — სახე ხელებში ჩამალა და აქვითინდა. — მე მინდა კარგად მომეფეროთ, ჩამიხუტოთ და მაკოცოთ...

— თქვენ იცით რას ამბობთ ახლა, ლოლიტა?

— ვიცი, ვიცი...

— ჰოდა... მე არა მაქვს ამის უფლება!..

— მოგწონვართ კი, ბატონო მირიან?..

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს...

— აქვს, აქვს... — გაჭირვეულდა გოგო. — ესაა მთავარი... მითხარით რა, ნუ დამიმალავთ!

— გონს მოდით, ლოლიტა... — კაცი ადგა და აღელვებულმა გაიარ-გამოიარა — თქვენ ახალგაზრდა ხართ, ცხოვრებას ახლა იწყებთ, მე კი...

— უთქვენოდ არც ცხოვრება მინდა და არც არაფერი!..

— ასაკს რომ თავი დავანებოთ... — განაგრძო მირიანმა და გოგოს წინ შეჩერდა. — მე ცოლ-შვილიანი კაცი ვარ... ოჯახის დანგრევა კი არც ისე იოლია!

— მაგას ვინ გეუბნებათ, ბატონო მირიან... — იცრემლებოდა გოგო. — ოღონდაც თქვენს გვერდით მამყოფეთ და...

— განა ახლა ჩემს გვერდით არა ხართ, ლოლიტა?!. — კაცი გვერდით მიუჯდა და ოქროსფერ თმაში შეუცურა ხელი, ისე როგორც ბავშვს მოეფერებიან ხოლმე.

— არ გიყვარვართ და ასე იმიტომ ამბობთ... — გოგომ მოსძებნა მისი ხელი და ლოყაზე მიიხუტა.

— თქვენ არ იცით, ლოლიტა... — მღელვარე ხმით უთხრა კაცმა. — და არც მინდა იცოდეთ!

— რატომ?..

— ეს მაინც არაფერს შველის და იმიტომ...

— მშიშარა ყოფილხართ, ბატონო მირიან!..

— არცა ვმალავ... — მიუგო კაცმა. — ცხოვრებამ მასწავლა რომ არავინაა სანდო... არა მაქვს უფლება გრძნობებს ავყვე... წარმოდგენილი მაქვს რა იქნება, ჩვენს შორის რომ მართლა რამე მოხდეს და ეს ამბავი გამჟღავნდეს... თქვენ სახელი გაგიტყდებათ, გზა-კვალი აგერევათ და ბოლოს მაინც მე დამაბრალებთ ყველაფერს... სამსახურს დავკარგავ, პარტიიდან გამრიცხავენ — იტყვიან მდგომარეობა ბოროტად გამოიყენა, თავისივე თანამშრომელი, პატარა ლამაზი გოგო შეაცდინაო... ღმერთმა ნუ ქნას, ეს ამბავი ქალბატონ მედეას ყურამდე მივიდეს — რაც არ უნდა იყოს, მაინც სკოლის მეგობარი ქვია... თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა მოხდა მერე — ამით ქვეყანა კი არ დაიქცევა... მაგრამ არა, არა!..

— ვიცი არ მოგწონვართ, ბატონო მირიან... — სლუკუნებდა გოგო.

— რახან ეგრე გგონიათ, ლოლიტა, გამოგიტყდეთ უნდა, მომწონხართ კი არა და რომ გიყურებთ, ვგიჟდები კაცი... ოღონდაც არ ვიმჩნევ... იმიტომ რომ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართლა?.. მართლა, ბატონო მირიან?!. — თვალები გაუბრწყინდა გოგოს.

— იმიტომ რომ... — განაგრძო კაცმა. — მე ვალდებული ვარ გულში ჩავიკლა ჩემი გრძნობები... დიახ... ესეც არ უნდა გამემხილა!

— თუ კი მეც მიყვარხართ, რაღაზე უნდა ვიტანჯოთ?.. — უთხრა გოგომ და ცრემლებით სავსე თვალები შეანათა.

— არა, არა... — მირიანი წამოდგა. — მე თქვენ ვერ გენდობით, ლოლიტა!

— რატომ?.. რატომ ვერ მენდობით, პატივცემულო?.. — გოგოც წამოდგა, მის ხმაში მუდარა ისმოდა.

— ჯერ პატარა ხართ, გამოუცდელი... დიახ... ამხელა საიდუმლოს შენახვა სად შეგიძლიათ... წამოგცდებათ სადმე...

— შემიძლია, შემიძლია!.. — დაჟინებით იმეორებდა გოგო.

— ახლა ამბობთ ასე, ჩემო ლოლიტა, თორემ მომავალში ათასნაირად შეგეცვლებათ აზრი... მირიან დევიძემ დამღუპაო, იტყვით! დიახ...

— არ ვიტყვი, არა... თუ გნებავთ ხელწერილს მოგცემთ, ბატონო მირიან... მე თქვენ მიყვარხართ და მართლაც რომ შევეწირო ამ სიყვარულს, მაინც ბედნიერი ვიქნები!..

კაცმა უცებ ხელები მოჰხვია, მკერდზე მიიკრა და ისე დაეწაფა მის ლალისფერ ბაგეებს, როგორც გაზაფხულობით სკიდან ახალგამოფრენილი ფუტკარი ლალას...

— წამიყვანეთ სადაც გნებავთ... — წასჩურჩულა გოგომ. — მე თქვენი ვარ, თქვენი!..

კედელზე ხელი მოათათუნა მირიანმა, ზარის ღილაკი მოძებნა...

კუპეში შემოვარდნილ პირხმელ ოფიციანტს დაუთვლელად მისცა ერთი ბლუჯა თუმნიანები, იმან კი, სამაგიეროდ, გასაღები ჩაუდო მუჭში.

მეორე სართულზე ავიდნენ...

მირიანმა გასაღები კარს მოარგო და თროთახიან გაკრიალებულ ლუქსში შეიყვანა გოგო...

ქურქიც არ გაუხდია, ციმციმ გააქანა ტახტისკენ...

მერე გაახსენდა, კარი რომ ღია იყო, — მიირბინა, ჩაჰკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო...

გოგო ისევე იწვა, როგორც დასტოვა: თვალებმიბნედილი, მკლავებგადაყრილი და მუხლებმოხრილი — ქვეშ კალუნლლიანი თბილი ქურქი გაჰფენოდა... კაბაწამოწეულს თოვლივით თეთრი, მსხვილი ბარძაყები უჩანდა...

„ჩემია, ჩემი... დიახ!..“ — გაუელვა კაცს გონებაში და ვნებისაგან აცახცახებული, ორიოდე ნახტომით ზედ დააცხრა...

* * *

მეორე დღეს, დილით, მანქანაში ჩასხდნენ და მალე ლიხიც გადაიარეს... მანამდე გოგომ სახლში დარეკა და მოულოდნელად მივლინებაში გამგზავრების ამბავი აუწყა დედას, ხოლო მირიანმა ნესტორიჩს აცნობა—ოჯახური პირობების გამო მომიხდა ქალაქგარეთ გასვლაო..

ჯერ სოჭში აპირებდნენ გაჩერებას, მაგრამ იმის შიშით, ნაცნობებს არ გადავეყაროთო, გადაიფიქრეს და გზა ზღვის ნაპირ-ნაპირ განაგრძეს... ბოლოს ტუაფსეს მახლობლად, პატარა საკურორტო სოფელ ვიშნიოვკაში დაიდეს ბინა...

ზღვის სეზონი ჯერ არ დამდგარიყო, ციოდა და სანაპიროზე განუწყვეტლივ ჰქროდა ქარბორია; კოტეჯი ქარაფის პირას იდგა და ჩანდა როგორ იმსხვრეოდნენ ვეება ტალღები კავკასიის მცირე ფიორდებზე, ხოლო ზღვის შმაგი აკომპანიმენტი კიდევ უფრო ამძაფრებდა მათ სიყვარულსა და აფრაამშლილ ვნებებს...

ათიოდე დღის შემდეგ, მზემ რომ გამოიხედა და ზღვამაც ლურჯად იწყო კამკამი, ისინი უკვე შინ ბრუნდებოდნენ... გზისპირა ფერდობებზე ტყემლე-

ბიბლიოთეკა

ბი ჰყვაოდნენ და გოგოს უხაროდა გაზაფხული დადგაო...

ერთი სული ჰქონდა თბილისში ჩასვლამდე, — ახსოვდა, ჯერ კიდევ მათ გამომგზავრებამდე რომ დაჰბერვოდათ ატმებს კვირტები და აქა-იქ გორაკებზე თეთრადაც ანათებდა ნუში... ახლა იქ ნამდვილი გაზაფხული იქნებაო, ფიქრობდა!..

და როგორ დასწყდა გული, მშობლიურ ქალაქში რომ შევიდნენ, — ალუჩის გადაპენტილ ტოტებზე მარტის ნაგვიანევი თოვლი იდო... გოგომ შეუმჩნევლად მოიწმინდა ცრემლები: ნამდვილი გაზაფხული, მას რომ ეგონა, თურმე, ჯერაც არ დამდგარიყო...

მართალია ლოლიტა არწმუნებდა — ასი წელიც რომ ვიცოცხლო, ჩვენს კავშირს საიდუმლოდ შევინახავო, მაგრამ მირიანი გულში მაინც შიშობდა: ოდესმე ხომ გათხოვდებოდა და შესაძლოა ქმარი დაინტერესებულიყო მისი წარსულით... ამ დროს კი, როგორც წესი, ქალი ცდილობს ყველაფერი მამაკაცს გადააბრალოს, რომელმაც იგი „შეაცდინა“, „ძალა იხმარა“, „ნამუსი ახადა“ და ასე შემდეგ, რასაც შეიძლებოდა მთელი რიგი უსიამოვნებანი მოჰყოლოდა!.. მიტომაც მეტად კმაყოფილი დარჩა, როცა ერთხელ, ამ ხუმრობა-ხუმრობაში, მართლა დააწერინა გოგოს ხელწერილი — ყველაფერი ჩემი სურვილით მოხდაო... ეს უფრო მეტად პერსპექტივაში, ფსიქოლოგიური ზემოქმედებისათვის იყო საჭირო: რაკილა ეცოდინებოდა — სულერთია, ხუმრობით თუ სერიოზულად — ხელწერილი მაქვს გაცემულიო, მომავალში რაგინდ სიტუაციაც უნდა შექმნილიყო, იმის შიშით, მართლა არ გამოაჩინოსო, მოერიდებოდა საიდუმლოს გამჟღავნება... მირიანსაც, რა თქმა უნდა, სხვანაირად არ უფიქრია... მაგრამ ახლა, რაკილა ასე წავიდა საქმე, დიახაც გამოაჩენდა და ხვალვე თვალებზე აafარებდა გათავხედებულ ცოლ-ქმარს!..

ზღვიდან დაბრუნებულს სარისკოდ ეჩვენა გოგოს კვლავ ქარხანაში გაჩერება — შეიძლებოდა ეჭვი აეღო ვინმეს, ანდა ლოლიტას მისდაუნებურად დასტყობოდა რამე — და ამიტომ სხვაგან გადაიყვანა სამუშაოდ: სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მოაწყო, სადაც მისი მეგობარი კაცი გახლდათ უფროსი. იქ ლოლა უფრო ლაღად გრძნობდა თავს და საქმე ბევრი არაფერი ჰქონდა... როგორც კი დაურეკავდა ან გაუვლიდა, ყოველ წუთს მზად იყო გაჰყოლოდა!.. წლის ბოლოს ერთოთახიანი ბინაც მიაღებინა ბახტრიონის ქუჩაზე...

ლოლას ცალკე გასვლას ოჯახში უკმაყოფილება არ გამოუწვევია, პირიქით: გაეხარდათ, რაკი ორ ოთახში თავს ძალზე ვიწროდ გრძნობდნენ, თანაც გლახუნა ცოლის შერთვას აპირებდა უკვე... ამაყობდნენ ამ თითისტოლა გოგოს ამხელა შნო და მარიფათი რომ აღმოაჩნდა — ის, რაც არ მოსდევდა მამას, ხოლო გლახუნას არ გამოუდიოდა... ლოლიტა დედასა და ძმასაც ეხმარებოდა, — ოჯახი წელში გაიმართა!

მირიანმა ძვირფასი ავეჯით გამოუწყო ბინა და როცა მოეგუნებებოდა, თვითონაც იქ ათევდა ღამეს.

მალე ლოლიტა მთელ ქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო ჩამცმელი, მოდის მიმდევარი და გამორჩეული ქალი გახდა, თუმცა ხასიათი არ შეცვლია — ადრინდელივით წყნარი, მოკრძალებული და ოდნავ სევდიანიც კი იყო... მირიანი ხშირად დაატარებდა მას სხვადასხვა ქალაქებში, ერთხელ საზღვარგარეთაც იმოგზაურეს... ერთი სიტყვით, გიჟდებოდნენ, ისე უყვარდათ ერთმანეთი...

ოღონდ ეს კია: ხანდახან გოგოს უცნაური სევდა შემოაწვებოდა, მეტადრე ღამით, როცა კაცი მიდიოდა და შინ მარტო რჩებოდა... მისი მანქანის ხმა რომ ჩაიკარგებოდა ღამის სიწყნარეში, ლოლა ლოგინში პირქვე ჩაემხობოდა და სტიროდა... ცხადია, საყვარელ არსებასთან განშორებას განიცდიდა, საკუთარ ოჯახში რომ ბრუნდებოდა და შენი ლოლიტა, ალბათ, აღარც ახსოვდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან იმ საღამოს საქმეს უკვე მოთავებულად თვლიდა, მაგრამ უფრო მეტად შინაგან სიცარიელეს, სასოწარკვეთასა და უმწეობას გრძნობდა...

ვერა და ვერ გაეგო რა იყო მიზეზი ამ საშინელი უიმედობისა... ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ავტომობილისაგან გასრესილი ქუჩაში ეგდო... თითქოს უბრალო ჭურჭელი იყო მხოლოდ, მირიანის ვნებათა ჩასაწრეტი... ხანდახან ბუნდოვნად გაჰკრავდა ამგვარი აზრი, მაგრამ ბოლომდე ვერ მიჰყავდა და ეშინოდა კიდეც ძირისძირობამდე ჩაღრმავებოდა: მირიანზე კარგის მეტი აბა რა ეთქმოდა!..

ხან იგი ღამის ორ-სამ საათზე მოაკითხავდა; მანქანას მიმალულად დააყენებდა და ნელი ნაბიჯებით ამოუყვებოდა კიბეს... ხალათწამოსხმული გოგო კარებთან ელოდა... თუ კლიტეს თავისი გასაღებით დაუწყებდა წვალებას, მაშინ ნასვამი იყო და დილამდე აპირებდა დარჩენას... ფარდებს ჩამოუშვებდნენ, ცისფერ შუქს აანთებდნენ და მაგიდას შემოუსხდებოდნენ მოხალვათებულნი... კაცს ყავა სჭირდებოდა გამოსაფხიზლებლად და ქალიც დიდი ოსტატობით უხარშავდა. მაცივარში გამოულევლად ჰქონდათ nაირ-ნაირი სასმელები და სურსათ-სანოვაგე...

კაცი მუხლებზე დაისვამდა და თოჯინასავით ათამაშებდა... პენუარის ღილებს ჩაუხსნიდა, ხალათქვეშ ხელს შეუცურებდა; ჩამტკბარ ბაგეებს, ყელს, ღვრილებს უკოცნიდა, მერე კი ტახტისაკენ მიაქანებდა... გოგოს ემაყებოდა, ასე რომ რევდა და აგიჟებდა კაცს, თუმცა ხშირად ისე გრძნობდა თავს, ვით ნიაღვრისგან მოსილული მდელო... უკვირდა — რა მჭირს ნეტავი, რა ჯანდაბა მემართებაო; ძილი უტყდებოდა და უჩინარი მაჯლაჯუნა აწვალებდა...

ხოლო, მირიანი ამას ვერ ამჩნევდა... ხელს ჰხვევდა კედლისკენ მიბრუნებულს, — ბლუჯავდა და ბურჯგნიდა ჯერაც ვნებადაუმცხრალი. უცნაური, მაგრამ საამო ფიქრი ულიტინებდა სულსა და გულში: თითქოს ლოლიტა კი არა, მედიკო ეწვა გვერდში — ის ლამაზი, ტურფა მედიკო, ვისი გულისთვისაც თავ-პირს ალეწდნენ ერთმანეთს სკოლის უკან, სოფლის მამლაყინწა ბიჭები... როგორც კი ეს აზრი შემოუჩნდებოდა, ნახევრადმძინარე გოგოს კვლავ თავისკენ მოაბრუნებდა, უსაშველოდ გალიზიანებული და აღგზნებული... მარტო აწმყოთი კი არ ტკბებოდა, კაცი წარსულსაც ინაზღაურებდა!.. მერე გამაძღარი და ვნებადაწრეტილი გულაღმა გაიშოტებოდა და ტკბილად იძინებდა...

გაამთენიისას გოგო წასთვლემდა, მაგრამ მყისვე რაღაც უცნაური აფართხალდებოდა სულში — როგორც გალიაში ჩიტი — დაფეთებული ილვიძებდა და გაოგნებული აშტერდებოდა კაცს: „რა უნდა ამას აქ, ვინ არის... რას ჩავდივარ, ღმერთო, რას ჩავდივარ!..“

მთელი ოთხი წელი ასე გრძელდებოდა — არასდროს უჩხუბიათ და არც წალაპარაკებულან, ხოლო ზოგჯერ ლოლას ამგვარი უსიამო ფიქრები რომ შემოესეოდა, მერე რცხვენოდა, ან მეორე დღეს სულ აღარ ახსოვდა...

ის კი არადა, ეშინოდა არ გადამიყვაროს, სხვა არ გაიჩინოს ვინმე — უმისოდ ჩემს სიცოცხლეს რა ფასი ექნებაო, თუმცა მირიანს საბაბი არასოდეს მიუცია — უყვარდა და პატივისმცემელი იყო მისი.

მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა, — დაშორდნენ ერთმანეთს...

მალე ჰორიზონტზე კვლავ გამოჩნდა გუგა, და ბავშვობისდროინდელმა სიყვარულმა მტკივნეულად შეახსენა თავი...

* * *

მზიას ქორწილში ნახეს ერთმანეთი: ლოლა პატარძლის მეჯვარე გახლდათ, — გუგა კი ნეფეს აერჩია ხელისმომკიდედ...

მანამდე ათასში ერთხელ თუ გაახსენდებოდა, რაკილა ირწმუნა — სამუდამოდ ამოვირეცხე გულიდანო... კანტი-კუნტად რაღაც-რაღაცები აღწევდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ყურამდე: ჯერ სამედიცინოზე აბარებდა, თურმე. მერე ჯარი მოსწეოდა, — საღლაც შორეულ აღმოსავლეთში ემსახურა; იქიდან დაბრუნებულს უნივერსიტეტში ეცადა ბედი — ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, მაგრამ ქულები დაჰკლებოდა და ბოლოს სტამბაში დაეწყო მუშაობა...

გოგოს გულში ეცინებოდა და გამარჯვებას ზეიმობდა: ბიჭი, რომელიც სწორედ ნიჭიერებითა და ცოდნით სჩაგრავდა, ინსტიტუტის კედლებს მიღმა დარჩენილიყო, თვითონ კი მეოთხე კურსის სტუდენტი გახლდათ უკვე!

ამგვარი განსჯა-ფიქრებით გულმოცემული ამაყად შეხვდა გუგას, მაგრამ შერცხვა და სინდისმა ჰქენჯნა... იგი გაოცა მისმა დანახვამ: ადრინდელი ქარაქოცა, გამკილავი და ამპარტავანი ბიჭის მაგიერ მან ჭკვიანი, დაფიქრებული და დინჯი ყმაწვილკაცი იხილა, რომელსაც უცხო რამ კაეშანი ჩასდგომოდა თვალებში... ტანი აეყარა, დავაჟკაცებულიყო — თმა გასცვენოდა კიდეც. მოგრძო პირისახე და დახვეწილი, ლამაზი ნაკვთები ჰქონდა: ბაკენბარდები ყვრიმალებამდე ჩამოეზარდა და ულვაშიც დაეყენებინა... გოგო არ აპირებდა გამოლაპარაკებას, მაგრამ ბიჭი თვითონ მოვიდა და ღიმილით ხელი გამოუწოდა:

— იმედია, ძველ წყენას დაივიწყებდით, ლოლიტა... — უთხრა თბილად. — მაშინ ხომ ჩვენ ბავშვები ვიყავით!

— რა წყენას... აღარც კი მახსოვს... — მიუგო მან ცივად. უნდოდა ეგრძნობინებია — რაღა აზრი აქვს ძველის გახსენებას, ან იმას, ერთმანეთს დაველაპარაკებით თუ არა — სულერთია, მაინც ყველაფერი წარსულს ჩაბარდაო, მაგრამ ეს მოგონილი გულცივობა გახლდათ და სინამდვილეში კვლავ წამოუარა იმგვარივე ჟრჟოლამ, ბავშვობისას რომ თანგავდა ხოლმე მის შემოხედვაზე...

— ყველაფერი დაივიწყეთ?.. — ნაღვლიანი ღიმილით ჰკითხა გუგამ.

— ყველაფერი!.. — მიუგო გოგომ და მზერა მოარიდა.

— ყველაფერი არ უნდა დაგევიწყებინათ... — უთხრა ბიჭმა. — არ გქონდათ ამის უფლება!..

გოგომ ზურგი შეაქცია და ცხვირსახოცს დაუწყო ჩანთაში ძებნა...

ის იდუმალი სევდა-ნაღველი, ღამღამობით ძილს რომ უფრთხობდა და გულს უსერავდა, პირველად ახლა გასაცნაურდა: მთელი ოთხი წელიწადი თურმე, გუგას გამო დარდობდა...

მზიას ქორწილი მისთვის სატანჯველად იქცა...

უზომო სიხარულსა და ბედნიერებას გაეცისკროვნებია მზიას ისედაც მშვენიერი სახე... თეთრი საქორწილო კაბა ეცვა და თავზე მბრწყინავი დიადემა ედგა... ღვთისგან ბოძებულ წილხვედრ ბედნიერებას იმკიდა მზია!

ხოლო მას, ლოლიტას, გაურკვეველი ბედი ელოდა... ვინ იცის, ეღირსებოდა კი ოდესმე გადედოფლება და თეთრი საქორწილო კაბა?!. მართალია, მირიანს უყვარდა, მაგრამ მათი ურთიერთობა ამაზე შორს ვერასოდეს ვერ წავიდოდა: ვერასოდეს იგემებდა ახალი ოჯახის შექმნით გამოწვეულ სიხარულს — ისე, როგორც მზიას ახარებდა ახლა ყოველივე და ჩიტი უფრინავდა გულში...

მირიანის სამსხვერპლოდ მიეტანა თავი, როგორც შეჰპირდა მაშინ, — მუდამ შენი მონა-მორჩილი და მხევალი ვიქნებიო... და იმ დღეს მან პირველად იგრძნო რა საშინელი შეცდომაც ჩაედინა: ბედნიერება, მას რომ სწვეოდა, თურმე ისეთივე ყალბი და უხანო იყო, როგორც ნაძვის ხის ბრჭყვიალა სათამაშო, ჩამოხსნისას უცებ რომ ჩაგემსხვრევა ხელში...

ბიჭი კი გვერდიდან აღარ შორდებოდა, — ხელმკლავით დაატარებდა ქორწინების სახლის ფოიეში, სკოლისდროინდელ ამბებს ახსენებდა... რამდენი სითბო და სინაზე გამოსჭვიოდა მის თვალებში, ხმაში...

მერე ნეფე-დედოფალმა სვეტიცხოველში დაიწერეს ჯვარი... საყდარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამომდგარი თხელი ბურუსი და სანთელ-საკმევლის სურნელება თავბრუს ახვევდა გოგოს — ნატრობდა, ნეტავი მალე მაინც დამთავრდებოდეს ეს ყველაფერიო.

სამ დღეს გრძელდებოდა ქორწილი და მასთან ერთად გოგოს წამებაც; მთელი სამი დღე ერთად ისმებოდა ხელისმომკიდეების სადღეგრძელო... იმდენად შესაფერისნი იყვნენ, შეყვარებულები ეგონათ და თქვენი ქორწილიც მალე გვენახოსო — ლოცავდნენ...

მერე ბიჭმა სამსახურში დაურეკა — მოდი, ამა და ამ ადგილას გელოდებიო; მის ხმაში, მუდარასთან ერთად ბრძანებაც ისმოდა და გოგოს არაფრით არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია...

აქედან მოყოლებული ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, — დადიოდნენ კინოში, თეატრში; რუსთაველზე დასეირნობდნენ. ხან მზიასა და ლამას შეუვლიდნენ, როგორც მეჯვარეთა წესია...

ბიჭს აოცებდა გოგოს თავდაჭერილობა — უკარებლობა, რაიც სულ არ ეთანხმებოდა და ესადაგებოდა მის შინაგან სითბოს... აკვირვებდა უჩვეულო სევდა, მის მზერაში რომ გამოსჭვიოდა; როგორც კი სიტყვას ჩამოუგდებდა მომავალ ქორწინებასა და ოჯახზე, მოიწყენდა და ჩუმად ოხრავდა...

— რად მექცეოდი, გუგა, ისე მკაცრად?.. — ჰკითხა ერთხელ, საყვედურითა და გულისტკივილით.

— შენი სიყვარული მათამამებდა და მაბედვინებდა... — დარცხვენით მიუგო ბიჭმა. — მე მაშინ მხოლოდ შენს სიყვარულს ვხედავდი, ჩემსას კი — ვერა!..

ერთ საღამოს მზიამ უთხრა:

— რაც სკოლა დავამთავრეთ, სულ შეიცვალე, ველარ გცნობ... რა მოგივიდა, რა სახე ჩამოგტირის, ლოლიტა, — არ შეგფერის ასეთ ლამაზ გოგოს... თანაც ჩვენ შორის ხომ ყველაზე უკეთ შენ წაგივიდა საქმე: უმაღლესში მოიწყვე, სამსახური კარგი იშოვე, ბინაც მიიღე!

გოგომ ყრუდ ამოიოხრა.

— აი, გუგას კი არ გაუმართლა... თუმცა, კაცმა რომ თქვას, რატომ?.. კიდევ კარგი, სამედიცინოზე ვერ მოეწყო — თურმე რა ტალანტი იკარგებოდა!

ლოლამ გაკვირვებით შეხედა.

— ჩანს შენთვის არ უთქვამს, — განაგრძო მზიამ. — ერიდება... არავის ეუბნება რომ ლექსებს წერს... მაშ, არც ეს გექნება ნანახი... — ჟურნალის ახალი ნომერი გადმოიღო თაროდან, გადაშალა და გაუწოდა.

იქვე ბიჭის სურათიც მოეთავსებინათ. გზას ულოცავდნენ ახალგაზრდა პოეტს... გოგო კითხულობდა და ცრემლებით ევსებოდა თვალები: მისი, აქ, არც სახელი იყო ნახსენები, არც გვარი, მაგრამ იგრძნო — ყველაფერი, რასაც კი სწერდა ბიჭი, მხოლოდ მისდამი იყო მიძღვნილი...

— ასე ამბობს, ლოლას სიყვარულმა გამხადა პოეტიო... — ღიმილით დასძინა მზიამ.

* * *

მალე დაატყო მირიანმა გოგოს ცვლილება — თვალს არიდებდა, თითქოს გაურბოდა... არა. წინააღმდეგობას კი არ უწევდა, — როცა მოესურვებოდა მაშინვე ნებდებოდა, მაგრამ ნებდებოდა ყოველგვარი ვნების გარეშე, დაღვრემილი და გაუცინარი, თითქოს მძიმე რამ ბეგარას იხდისო... ერთი სიტყვით, ლოლიტა ის ლოლიტა აღარ იყო!

მერე შემთხვევით მოჰკრა ერთხელ თვალი რუსთაველზე, ვიღაც მაღალ-მაღალ ბიჭთან ერთად მოსეირნეს, მაგრამ ამ ამბისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია — არ ეგონა სერიოზულად თუ იყო საქმე და თავს ისე იჭერდა, თითქოს არაფერი იცოდა: თვითონ გოგო ჯერ კრინტს არ ძრავდა და მასაც არ ენაღვლებოდა — კუთვნილს ხომ იღებდა!..

ერთხელ, გვიან ღამით მიუკაკუნა კარზე, მაგრამ ხმა არავინ გასცა და იფიქრა, ალბათ დედამისთან არის წასულიო; მაინც თავისი გასაღები მოარ-

გო კლიტეს და ოთახში რომ შევიდა სახტად დარჩა: გოგო იქვე, კარსუკან იდგა გატრუნული...

რესტორნიდან ბრუნდებოდა ნაქეიფარი, — საუცხოო გუნებაზე იყო... მოდიოდა, მოუხაროდა და უცებ ისე ალაგზნო მოწითალო ხალათმა, როგორც ხარი ტორეადორის მანტიამ. თავბრუ დაახვია ნორჩი სხეულის საამო სურნელებამ... დაეძგერა, ხელები მოხვია და ტახტისკენ უპირებდა გატაცებას, მაგრამ იმან, პირველად მის სიცოცხლეში, წინაალმდეგობა გაუწია, დაუსხლტა და თავი გაითავისუფლა...

— რა მოხდა?.. — ჰკითხა მკაცრად, ისე, როგორც ბავშვს დატუქსავენ, უფროსს რომ აღარ ემორჩილება; მაჯაში ჩააფრინდა, ოთახში შეიყვანა, ტახტზე ჩამოჯდა და უნდოდა გოგოც გვერდით მოესვა, მაგრამ ის კვლავ დაუსხლტა და იქვე სავარძელში ჩაეშვა... ეტყობოდა, კარგა ხანს ებრძოდა თავს, ვიდრე ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა — სახეზე ფერი აღარ ედო, კრთოდა და ცახცახებდა...

— არა, არა, მირიან... ასე არ შეიძლება... ვატყობ, ვიღუპები!..

კაცმა თვალები მოჭუტა და კარგა ხანს გამომცდელად უმზირა; გოგოს თავი ჩაეღუნა, სასოწარკვეთილი თითებს იმტვრევდა.

— ჰოო... — თქვა მირიანმა, როგორც იცოდა ხოლმე, მრავალმნიშვნელოვნად და საყვედურით; მერე წამოდგა და დაფიქრებულმა გაიარ-გამოიარა. ვგრძნობდი, კი, ვატყობდი... ვგრძნობდი, უსიამოვნება მოჰყვებოდა ამ ამბავს... ვნანობ, აგყევი შენ, პატარა, სულელ გოგოს, რომელიც მარწმუნებდი, თავდავიწყებით მიყვარხარო... და იმის ნაცვლად, გულში ჩამექლა ჩემივე გრძნობები, ჭკუა მესწავლებინა შენთვის და სწორ გზაზე დამეყენებიე, — მოგენდე, დაგიჯერე... და აი, შედეგიც!.. — სკამზე ჩამოჯდა, ბორჯომი დაისხა და სვენებ-სვენებით იწყო წრუპვა.

გოგომ თავი ასწია და თანაგრძნობით შეხედა:

— მაგას ნუ იტყვი, მირიან... მე ხომ წრფელი გულით მიყვარდი და ახლაც პატივს გცემ... ოღონდაც, სანამ უნდა ვიყოთ ასე, — დღის სინათლისა რად უნდა გვეშინოდეს... მე ოჯახი მინდა, ქმარი მინდა, შვილები მინდა... თეთრი საქორწილო კაბა და ეკლესიაში ჯვარის დაწერა მინდა... გესმის ჩემი, მირიან?!

— მესმის... როგორ არა, მესმის, ჩემო კარგო: ეს ხომ ყველა ქალის კანონიერი უფლება და ძალზედ ბუნებრივი სურვილია, მაგრამ აკი თავიდანვე გაგაფრთხილე — ოჯახს ვერ დავანგრევ, მაგის იმედი ნუ გექნება-მეთქი... განა ეს აუცილებელია ჭეშმარიტი სიყვარულისათვის?.. ჯანდაბას — ვთქვათ, გადავდგი ეს ნაბიჯი... ვთქვათ, დავქორწინდით.. განა ქვეყნის სასაცილოდ არ გავიხდით თავს — მე როგორც ჩერჩეტი ბერიკაცი, ხოლო შენ — როგორც თავქარიანი ცუგრუმელა?.. მე ხომ ჩემი ცხოვრება თითქმის გავლიე, — საცაა ორმოცდაათს მივუკაკუნებ — ცალი ფეხი უკვე სამარეში მიდგას... ანკი რაღად გინდივარ... შენ ხომ ახლა იფურჩქნები და ყვავილობ!

— მე ეგ არა მაქვს მხედველობაში და არცა მსურს... — მიუგო ქალმა. — ადრე მჯეროდა, სიყვარულისთვის ასაკი არ არსებობს და არც ქორწინებაა აუცილებელი-მეთქი... რაც მოხდა, იმას რა ეშველება, ოღონდაც მეტი აღარ შემიძლია, გამიგე?.. აღარ შემიძლია, არა, არა!..

— თუ სხვა გიყვარს ვინმე, ნუ დამიმალავ... — უთხრა მირიანმა. — ჩემზე უკეთ მართლაც ვერავინ გაგიგებს...

— არა, არავინ... — აწრადთ მიაგება გოგომ. — ისეთი არაფერია... მაგრამ, მომავალზე, შვილებზე ხომ უნდა ვიფიქრო!..

— შენ მე, ულირს ბებრუხანას, სიცოცხლის აზრი და სიტკბო მაგრძნობინე, ჩემო ლოლიტა... — დაიწყო მირიანმა ნაღვლიან კილოზე. — ჩემთვის სიკვდილი იქნება შენთან განშორება,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესაძლოა ვერც გადავიტანო... მაგრამ დაე, მოსახდენი მოხდეს... და თუ ეს აუცილებელია, რა უფლება მაქვს წინ გადაგეღობო...

— მე თეთრი საქორწილო კაბა მინდა... ოჯახი, ქმარი და შვილები მინდა... — დაფიქრებით გაიმეორა ლოლამ. — მისი მზერა ასცდა კაცის ბრინჯაოსფრად მოლაპლაპე სახეს და გაჩახჩახებულ ბროლის ჭაღში მოლივლივე სინათლის ნაირ-ნაირ ფერებს შეერია...

— ვხედავ... — თქვა კაცმა და კვლავ დაისხა ბორჯომი. — ვხედავ არსებობს ვიღაც, კონკრეტული პიროვნება...

— არ დაგიმალავ... — მიუგო ქალმა და მისმა თვალებმა უცნაური შუქი გამოასხივეს. — ერთი ბიჭი მიყვარდა სკოლაში... მაგრამ დავშორდით... ახლა ცოლობას მთხოვს... არ ვიცი, ღმერთმანი, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე!..

— ისევ გიყვარს?.. — ჰკითხა მირიანმა.

— კარგი ბიჭია... — მიუგო ქალმა.

— ჰო, გყვარებია.. — ამოიოხრა მირიანმა.

— ჰო, მიყვარს... — წაიჩურჩულა ქალმა.

— რაღას უყურებ მერე, ადექი და გაჰყევი...

— მე ის მაღმერთებს, მირიან... — თქვა და წამწამებზე ცრემლი დაეკიდა. — მე მას ჩვეულებრივი გოგო ვგონივარ... უმწიკვლო...

— რა მოხდა მერე... თუ კი ერთმანეთი გიყვართ, მაგას რა მნიშვნელობა აქვს... — ვაშლი აიღო ვაზიდან, მაგრამ აღარ ჩაუკბეჩია, უკანვე დადო. — უმწიკვლო ხარ, აბა რა ხარ... რა უბედურებაა პირდაპირ, — დასძინა მერე უკმაყოფილოდ. — კაცმა რომ გვკითხოს, ვითომდა ცივილიზებული ერი ვართ და ჯერაც ვერ დაგვიღწევია თავი ამ მავნე ტრადიციების ტყვეობიდან!..

— დამცინით, ბატონო მირიან?..

— არა, როგორ გეკადრებათ... ახლა რას აპირებ? — ჰკითხა კაცმა ფარული შეშფოთებით.

— უნდა ვუთხრა სიმართლე...

— შენ გინდა ყველაფერი ჩაუკაკლო?..

— ყველაფერი არა... ვეტყვი რომ ვნებდებოდი კაცს, რომელიც მიყვარდა...

— რას ამბობ, ლოლიტა, გაგიჟდი?.. — მირიანი წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. — გინდა მე მომაყენო კარზე ის ბიჭი, ოჯახი და ცხოვრება ამირიო?!.

— ნუ ღელავთ, ბატონო მირიან... სახელდობრ ვინ იყო ეს კაცი, ამას არ ვეტყვი და ვერც ვერასოდეს გაიგებს... შენთან მაინც რა ესაქმება: განა არ ვიცი, ჩემი ბრალია ყველაფერი... მახსოვს, ხელწერილიც კი მოგეცით ერთხელ, ხუმრობით...

— მართლა?.. როდის?.. — ჩაიცინა მირიანმა და ისევ დაჯდა სკამზე. — საერთოდ, მე თუ მკითხავ, წინასწარ არაფრის თქმა არაა საჭირო... რა ძალა გადგას, იქნებ სულაც ვერ ხვდება ის კაცი... რას ირთულებ საქმეს!

— არა... დამალვით ვერ დავმალავ, მაგრამ თქმას რანაირად მოვახერხებ, ჯერაც არ ვიცი... — გოგომ ამოიოხრა.

— ჩანს, შენ უკვე ყველაფერი გადაგიწყვეტია...

— კი, მირიან, — გადავწყვიტე... მინდოდა შენთვისაც მეკითხა რჩევა... ვიცი, ჩემთვის სიკეთე გსურს... კარგი იყო თავიდანვე შენთვის დამეჯერებინა... არა, არა, არ ვნანობ... ახლა შენზე ახლობელი, ჩემს საქმეში რომ იყოს ჩახედული, სხვა არავინ გამაჩნია... წუთით დაივიწყე ჩვენი ძველი ურთიერთობა, — გთხოვ სხვა თვალით შეხედო ამ ამბავს: სწორად ვიქცევი თუ არა?..

— ჩემგან ძნელი სათქმელია... — კაცი ჩაფიქრდა. — მაგრამ მაინც მგონია, რომ სწორად იქცევი... რაგინდ სამძიმოც არ უნდა იყოს, ვალდებული ვარ ეს გითხრა...

— მადლობთ, მირიან... მე არასოდეს შემპარვია ეჭვი შენს გულწრფელობაში!

— ნაღდად სწორად იქცევი, თუ გინდა სიმართლე... — განაგრძო კაცმა. — ჩვენთვისაც უმჯობესი იქნება...

— როგორ თუ „ჩვენთვისაც?..“ — თვალები დაუმრგვალდა გოგოს.

— უბრალოდ... მერე უფრო გულ-არხეინად შევხვდებით ერთმანეთს... შენ დამშვიდდები, დაწყნარდები და ამდენს აღარ ინერვიულებ, რაკი საკუთარი ოჯახიც გექნება!

— სცდებით, ბატონო მირიან... — ცივი, ოფიციალური ხმით უთხრა გოგომ. — მე თუ ეს ნაბიჯი გადავდგი და მართლა გავთხოვდი, ქმარს არასოდეს ვუღალატებ, ისევე, როგორც არასოდეს მიღალატნია თქვენთვის; ეს არც უნდა გეკადრებინათ!

— რას ამბობ, ლოლიტა... აბა მე უშენოდ რა გამაძლებინებს... მაშინ წინააღმდეგი ვარ შენი გათხოვების — ეს ხომ ღალატია!

— ეს უკვე გადაწყვეტილია, მირიან... ახალი ცხოვრება უნდა დავიწყო!

— ნუთუ ამით გათავდა ყველაფერი?.. — სასოწარკვეთილის ხმით იკითხა კაცმა.

— დიახ... ეს ჩვენი ბოლო შეხვედრაა!

— რა გაეწყობა... — ამოიკვნესა კაცმა და სიგარეტს მოუკიდა. იჯდა და ხვნეშით ეწეოდა, თან თვალს არ აშორებდა გოგოს... არაფრით აღარ სჯეროდა, რომ ეს პაწია ლამაზი ქალი, ამ ოთხი წლის განმავლობაში, იმდენჯერ იყო მისი, რამდენჯერაც თვითონ მოისურვებდა... ვიდრე გვერდით იწვენდა, თავის ტოლად და სწორად მიაჩნდა, ახლა კი თითქოს კვლავ პატარა გოგოდ ქცეულიყო... იდგა მაგიდასთან ამაყი, დამცინავი, — უხმოდ უბრძანებდა, გამეცალეთ... მირიანმა სიგარეტზე ახალ სიგარეტს მოუკიდა, ძველი საფერფლეში ჩაასრისა, წამოდგა და უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან.

* * *

წარსულის დამალვა გოგოს არ უფიქრია, ოღონდაც ვერ მოეხერხებინა, — ვერა და ვერ გაებედა თქმა... რაგინდ უბრალო, გულწრფელი სიტყვებიც არ უნდა შეერჩია, რარიგ შემამსუბუქებლადაც არ უნდა ეამბნა ყოველივე, აზრი მაინც უცვლელი რჩებოდა... გუგა ისე უყურებდა, როგორც ღვთაებას — უამრავ ლექსებს უძღვნიდა, მისი სახით ყველა ამქვეყნიურ სიკეთესა და სილამაზეს უმღეროდა... მიტომაც უფრო ეძნელებოდა... სულერთია, ხელი რომ არ ეკრა და ყოველივე მიეტევებინა. მაინც მოისურვებდა დაწვრილებით გაეგო საქმის ვითარება, — მას კი მირიანის გამჟღავნება არ სურდა: ჯერ ერთი, პირობა ჰქონდა მიცემული, ნამუსს შეგინახავო... მეორეც: გუგა არაფრით არ დაიჯერებდა ამ სიყვარულის სიწრფელესა და უანგარობას (ხანდახან ხომ თავადაც ეპარებოდა ეჭვი); გარდა ამისა ეშინოდა, ბიჭმა შურისძიება არ გაივლოს გულში, — თავი არ დაიღუპოს...

ასე იტანჯებოდა მთელი ორი კვირა, ვიდრე საქორწილოდ ემზადებოდნენ... გუგამ ოქროს ბეჭედი, საათი და თეთრი კაბა უყიდა — განცხადებაც შეიტანეს ქორწინების სახლში...

ვაჟი ამჩნევდა უსაშველო დარდსა და ნაღველს, მაგრამ ამას მომავალი ცოლქმრული ცხოვრებისადმი ბუნებრივი შიშით ხსნიდა, რაც ასე დამახასიათებელია ახალგაზრდებისათვის ქორწინების მოლოდინში, და რაიც ხანდახან, თვით მასაც კი აკრთობდა...

გოგო ყოველდღე იმ განზრახვით ხვდებოდა, საიდუმლო გაემხილა, მაგრამ ვერ ბედავდა და ასე გაოგნებული, დამფრთხალი და გულმოშხამული მიჰყვებოდა ბედის დინებას... შიშით შეჰყურებდა მომავალს, სადაც მას შერცხვენა და თავსლაფის დასხმა ელოდა... გუგასათვის ამის გამჟღავნებას სიკვდილი ერჩივნა და სანამ შეეძლო ფეხს ითრევდა... ბოლოს ისედაც გაირკვეოდა ყველაფერი, ხოლო მანამდე ხომ იქნებოდა ბედნიერი: თეთრ საქორწილო კაბას ხომ ჩაიცვამდა და ჯვარს ხომ დაიწერდა გუგასთან ერთად სვეტიცხოველში!..

არც გაუმხელია... ეს ამბავი მერე გამჟღავნდა, ლენინგრადს რომ წავიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ საქორწილო მოგზაურობისთვის.

ბიჭს სიტყვა არ დასცდენია, მაგრამ გოგომ იგრძნო როგორ შეიცვალა იგი... მთელი კვირა არ გამოსულა სასტუმროდან, — გაოგნებული ტახტზე იწვა და მზერა ჭერისთვის გაეშტერებინა... ახსნა-განმარტებას ელოდა მეუღლისაგან, მაგრამ ლოლიტა კვლავ ჯიუტად სდუმდა — იჯდა ფანჯარასთან და ჩუმ-ჩუმად იცრემლებოდა... რამდენიმეჯერ დააპირა გამოსტყდომოდა, პატიება ეთხოვა, მაგრამ არა და არ უბრუნდებოდა ენა...

ერთი თვის მაგივრად ორიოდე კვირა დაჰყვეს ლენინგრადში... გაოგნებული დაბორიალობდნენ ნევის პროსპექტზე, უგულოდ ათვალიერებდნენ ერმიტაჟის შედევრებს; იყვნენ პეტერგოფში, პუშკინოში, — პეტრეს ქოხი და „ავრორაც“ მოინახულეს, მაგრამ ყოველივე ამას არავითარი სიხარული და სიამე არ ახლდა თან... ისაკის ტაძრის გუმბათზე რომ ავიდნენ, გოგომ თავის მოკვლა დააპირა და თუ განზრახვა სისრულეში არ მოიყვანა, მხოლოდ იმიტომ, რომ არ უნდოდა ზედმეტად გაეტანჯა და გაეწვალებინა ბიჭი...

ახალდაქორწინებულთა თბილისში ნაადრევად დაბრუნებამ ყველა გააკვირვა... დიდუბეში დაბინავდნენ, ბიჭის მშობლებთან. გუგამ რატომღაც არ ისურვა მეუღლესთან ბახტრიონზე გადასვლა... ყოველ საღამოს მოდიოდნენ ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები, იშლებოდა სუფრა და ისმებოდა ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოები, მაგრამ გულში ყველა გრძნობდა, რაღაც ისე რომ ვერ აეწყო საქმე, როგორც მოელოდნენ: თვალშისაცემი სიცივე ჩამომდგარიყო ცოლსა და ქმარს შუა...

ერთხელ ღამით, როცა იმის მაგივრად — ცოლს მოჰფერებოდა, ვაჟი გაუნძრევლად გულაღმა იწვა და სიგარეტს აბოლებდა, ქალს ნერვებმა უმტყუნა და ცრემლები წასკდა... ამან უარესად გაალიზიანა გუგა.

— შენ ეს ამბავი ჩემთვის არ უნდა დაგემალა, ლოლიტა!..

— ვერ გაგიბედე... — მიუგო მან და ბალღივით აზლუქუნდა.

— რა ვუყოთ... ყველაფერი ხდება... მაგრამ სულელად კი არ უნდა ჩაგეთვალე!..

— ეგ არ იფიქრო, გუგა... არ იფიქრო... — ზლუქუნებდა გოგო. — გულშიაც არ გამივლია შენი მოტყუება, მაგრამ ვერ შევძელი... საშინლად მრცხვენოდა...

— აი, თვეზე მეტია უკვე ცოლ-ქმარი ვართ... — უთხრა ბიჭმა. — შენ კი სიტყვაც არ დაგცდენია... ხომ იცი როგორ მიყვარხარ, ლოლიტა, ოღონდაც მე უნდა ვიცოდე... მე ყველაფერი უნდა ვიცოდე, რა მოხდა!..

— სწორედ იმ ხანებში, როცა ჩვენ დავშორდით... გამოჩნდა კაცი, რომელიც... რომელმაც... რომელსაც... — გოგოს ენა დაება.

— ყველაფერი უნდა მითხრა, გესმის?.. — ხმას აუწია გუგამ. — რამდენადაც ვიცი კანონიერ ქორწინებაში არავისთან ყოფილხარ... სიყვარულით კი მეგონა მარტო მე გიყვარდი!.. ვინ არის იგი, რა ჰქვია, რას წარმოადგენს... იქნებ დაგჩაგრა და დაგიბრიყვა და უსამართლოდ მოგექცა... იქნებ ჩემგან შურისძიებისა და დასჯის ღირსია... — სიბნელეში თავსთუმალთან ხელი მოაფათურა, სიგარეტი მოძებნა; ასანთს რომ გაჰკრა, გოგომ შენიშნა, ნერვიულობისაგან როგორ მობრეცოდა სახე, თვალები კი ნაკვერჩხლებივით უელავდა...

— გემუდარები, გუგა... ნურაფერს მკითხავ... ჯერ თავადაც ვერ გავრკვეულვარ... ცოტაც მადროვე და ყველაფერს გიამბობ... თუ ღირსი ვიყო, მაპატიე... თუ არა და მე თვითონ აღარ გავჩერდები შენთან, გაგეცლები!.. — ტირილით ეუბნებოდა გოგო. — ერთადერთი, რაშიაც ეჭვი არ მეპარება, ისაა რომ მიყვარხარ და უშენოდ თავს აღარ ვიცოცხლებ...

ამ საუბარმა ვერც ერთის სატკივარს ვერ მოსცხო მალამო და მათი ისეთაც

ბიბლიოთეკა

წკიპზე მიმდგარი ცოლ-ქმრული ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა...

ბიჭი ელოდა შეპირებულ ახსნა-განმარტებას და ამ მოლოდინში ათასნაირი ეჭვი უღრღნიდა გულს... ყველა მამაკაცში, ნაცნობსა თუ უცნობში, ლოლიტას ყოფილ საყვარელს ხედავდა. საკმარისი იყო საუბრისას ვისმე ღიმილი, მიმიკა ან აზრი საეჭვოდ სჩვენებოდა, მაშინვე ცოლზე ნათქვამ გადაკრულ სიტყვად იღებდა... ქუჩაშიაც კი უბღვერდა უცნობებს, თუ შემთხვევით მათ მზერას დაიჭერდა — თავს დაჩაგრულად და დამცირებულად გრძნობდა!

გოგო მთლად უარეს დღეში გახლდათ: თანდათან ეჭვი ეპარებოდა, ნუ თუ მართლა მიყვარდა მირიანი, და საერთოდ, იყო კი გულწრფელი ჩვენი ურთიერთობა?!. თავზარს სცემდა მომავლის შიში — გუგა კი დაჟინებით ითხოვდა „ახსნა-განმარტებას“... არა, არაფერი არ გაამართლებდა: ძალად შეეჩეჩა კაცს ხელში... რა იყო ეს — სიყვარული?.. არა, თავქარიანობა და ამჩატება!.. უფრო მეტიც — სიხარბე და საკუთარი თავის უმოწყალოდ ყვლეფა!.. მთელი პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა და მით უფრო ძნელი იყო ახლა ქმართან ამის აღიარება.

ერთ საღამოს ბიჭი ნასვამი დაბრუნდა სამუშაოდან და მაგარ-მაგარი სიტყვები აკადრა... მერე მთელი ორი დღე არ გამოჩენილა, — მეგობრებთან ათევდა ღამეს... მესამე დღეს გოგომ ტანსაცმელი ჩემოდნებში ჩაყარა, ტაქსი გააჩერა და ბახტრიონის ქუჩაზე გადაბარგდა.

ასე დამთავრდა მათი სამთვიანი ცოლ-ქმრობა და მასთან ერთად სამუდამოდ დასამარდა იმედი მყუდრო და თბილი ოჯახის შექმნისა... შვილიც არ გაუჩნდებოდა თურმე და ვერც ვეღარასოდეს იგემებდა დედობის სიტკბოს; ადრეულ ასაკში ხშირ აბორტებს მისი ნორჩი სხეული სამუდამოდ დაეზიანებინა, გამოეფიტა და გაეცვითა... ის ახალი უბედურება მან მოგვიანებით შეიტყო, ქმართან განშორების შემდეგ...

ინსტიტუტშიც გარიცხვაზე ჰქონდა საქმე, საგნები ჩაუბარებელი დარჩა; ადრე, მირიანი მატრიკულს გამოართმევდა და მზა ნიშნები მოჰქონდა... სამსახურსაც მიანება თავი... ერთი სიტყვით, ცასა და მიწას შუა იყო გამოკიდებული — მთელი დღეები შინ იჯდა მარტოდმარტო, საკუთარ ბედზე მგლოვიარე და მტირალი...

სწორედ ამ დროს კვლავ გამოეცხადა მირიანი, რომელიც შორიდან ადევნებდა თვალს მოვლენათა მსვლელობას და უზომოდ მადლიერი იყო ქალისა, პირობა რომ შეასრულა და მისი ვინაობის გამჟღავნებას ისევ ქმართან გაყრა ამჯობინა... არადა ახლა, როცა მოსალოდნელი იყო მისი გადაყვანა ტრესტის მმართველად, განსაკუთრებით უნდა მოფრთხილებოდა რეპუტაციას, თორემ მცირეოდენ სკანდალსაც კი შეიძლებოდა დიდი ზიანი მოეტანა, რაკი ამას მყისვე თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებდნენ მტრები — პირველ რიგში, კოწო შავდია (მაშინ ასე ეგონა!)... ისედაც მოსურნე იყო გოგოსთან ურთიერთობის განახლებისა, იმდენი სიტკბო და სიამე ახსოვდა მისგან... და თუ ამ დრომდე არ მიაკითხა, მხოლოდ იმიტომ, — უმჯობესია თვითონვე მომძებნოსო, ფიქრობდა... მით უფრო, იცოდა რა უმწეო მდგომარეობაში იქნებოდა განცდილი მარცხის შემდეგ... ყველაზე მეტად ახლა სჭირდებოდა მისი დამხმარე ხელი...

გაუკვირდა, ალტაცების მაგიერ, გოგო უგულოდ და ცივად რომ შეხვდა... ნუღარ მოხვალო, სთხოვა. ადრე ნაყიდი ოქროს ნივთები — საყურეები, სამაჯურები, ბეჭდები და სხვა ძვირფასეულობა, წინ დაუყარა, — აქედან მოაშორე, მეტად აღარ დამანახოო...

— კი, მაგრამ... — შეცბა მირიანი. — მე რა დაგიშავე, ლოლიტა?!.

— არ ვიცი... არ ვიცი ვინ რა დამიშავა... — აქვითინდა გოგო. — ვხედავ, დავიღუპე და გავუბედურდი... როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ გიყურებ, საკუთარი თავი მეზიზღება... ვერ ვიტან... რა ვქნა, სად წავიდე, რა წყალში ჩავვარდე...

— ნამდვილად მძიმე დღეში ხარ, ლოლიტა... — უთხრა კაცმა. — არა მაქვს უფლება მიგატოვო... ეკონომიურადაც გიჭირს... მე მუდამ უანგაროდ გეხმარებოდი, კეთილი გულით... შენ იქნებ სხვანაირად გესმოდა, მაგრამ ღმერთია მოწამე... ერთი სიტყვით, მინდა ხელი გაგიმართო... — ათმანეთიანების დასტა დააგდო მაგიდაზე. — მოიხმარე, ვიდრე სამსახურს დაიწყებდე; მე უკვე შეგირჩიე ადგილი — საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროში, აქვეა ახლოს, საქმე არაფერი გექნება... ინსტიტუტში აღდგენაზეც ველაპარაკე დეკანს: კი ბატონოო, მითხრა... გარიცხული ხარ უკვე, — იქნებ არ იცოდი?

— ჩემს გაჭირვებას უკვე აღარაფერი შველის... — სასოწარკვეთით ჩაილაპარაკა გოგომ და გაფერმკრთალებული სახე ტკივილმა დაუსერა. — აიღეთ ეს ფული და მიბრძანდით აქედან!..

კაცი ხედავდა, მეტისმეტად იყო გაღიზიანებული და იმის შიშით, საქმე მთლად არ გავაფუჭოო, როგორც კი გოგომ ხმას აუწია, მაშინვე წამოავლო ფულს ხელი, ჯიბეში ჩაიტენა და კარისაკენ გაემართა.

— ესენიც მიაყოლე!.. — მაგიდაზე დაყრილ ოქროულობაზე ანიშნა.

მირიანმა იგრძნო, მცირეოდენ წინააღმდეგობას შეიძლებოდა ისტერიკა მოჰყოლოდა, — ოქროულობა წამოხვეტა, ჯიბეში ჩაიყარა და ოთახიდან გავიდა... როცა ამ ამბებს მოინელებს და დაწყნარდება ისევ უკანვე მოვუტანო, — გაიფიქრა; იცოდა, მის გარდა ქალს სხვა გზა მაინც არ ჰქონდა!..

მართლაც მძიმე დღეები დაუდგა ლოლას: სანთელივით იწვოდა და იფერფლებოდა — არც ჭამდა, არც სვამდა, სანახევროდ ლოგინად იყო ჩავარდნილი... დედას წაეჩხუბა და აუკრძალა მოსვლა, — საშინლად შეიჯავრა, ველარ იტანდა, — თუნდაც მარტო იმის გამო, მირიანის ამხანაგი თუ მეგობარი რომ იყო... გულში ყველაფერს მედიკოს აბრალებდა — იმან კი არაფერი იცოდა... ერთხელ დააპირა ეთქვა — აი, რა გამიკეთა შენმა მირიანმაო, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან მირიანს რას ერჩოდა — თვითონვე შეუმზადა საკუთარ თავს რაც ახლა უბედურება სჭირდა... გლახუნა იშვიათად მოდიოდა და მაშინაც იმაზე იყო დამეცადინებული, წასვლისას ხელს რა გაეყოლებინა... ბოლო დროს მამა ესიზმრებოდა ხშირად, — წამიყვანე, შენთან მინდაო, ემუდარებოდა... საშინლად განიცდიდა ადრე რომ ეჩხუბებოდა და დასცინოდა... ისე ჩავიდა მიწაში, მისი ალერსით ვერ მოიჯერა გული!

მზია აკითხავდა ხშირად, — ის იყო ახლა მისი პატრონი — რა გჭირს, რა მოგივიდათ, რა არის თქვენი განშორების მიზეზიო, კვირობდა, მაგრამ გოგო თავს არიდებდა პასუხს, გულში კი ლოცავდა გუგას, საქვეყნოდ რომ არ გამოაჭენა მისი ამბავი... ბოლო დროს გულის ფრიალი დასჩემდა და მეტწილად ლოგინში იწვა; გახდა, გაილია, ყვრიმალები სანთელივით გაუყვითლდა.

ერთხელ, შინ მარტო რომ იყო და ლოგინში იწვა, ვილაცამ ფრთხილად დარეკა ზარი... წამოდგა, ხალათი გადაიცვა, ფეხები ქოშებში გაუყარა და კართან მილასლასდა.

სათვალთვალო მინაში გუგა დაინახა — სადღაც ძალიან შორს მოსჩანდა, უცხოდ და მიუწვდომლად; ცივმა ოფლმა გამოჟონა შუბლზე, ხელის კანკალით ურდული გამოსწია — გაუკვირდა კიდეც ასე ახლოს რომ იყო, როგორ მოასწრო იმ სიშორიდან მორბენაო... თვალთ დაუბნელდა, ჩაიკეცა, მაგრამ ბიჭმა შეაშველა ხელი: აიყვანა და ტახტზე დააწვინა... საფეთქლები დაუსრისა, წყალი აპკურა!..

გონს რომ მოეგო, სუსტად გაუღიმა თავსთუმალთან ჩამომჯდარ ბიჭს, — ჯერ ხომ ისევ მის მეუღლედ ითვლებოდა!

— მაპატიე, ლოლიტა... — გუგას ხმა აუთრთოლდა, ბურთი მოაწვა ყელში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ შეცვლილიყო, რას დამსგავსებოდა — გული დასწვა მისმა საცოდაობამ. აქეთობას თვითონაც არ იცოდა რითი დამთავრდებოდა მათი შეხვედრა, მაგრამ ახლა, ამ ყოფაში რომ იხილა, გადაწყვიტა შინ წაეყვანა. — შევრიგდეთ და გეფიცები არასოდეს... არასოდეს აღარაფერს გკითხავ!

— სუ... ერა თქვა ეგ, გუგა — რა გჭირს ჩემთან საბოდიშო... მე ვარ საძაგელი ქალი... მართლა მოვინდომე შენი მოტყუება, ეგ უკანასკნელი ღონე ვიხმარე, — დაგიმალე ჩემი საძრახისი წარსული და ხინჯად მაქვს გულში ჩარჩენილი... ახლავე გიამბობ თუ შევძელი... მინდა ყველაფერი იცოდე... განა იმიტომ — შევრიგდეთ... პირიქით, გული რომ აღარ დაგწყდეს ჩემზე: ქალი, რომელმაც ასეთი სიმდაბლე და სისაძაგლე ჩაიდინა, შენი სიყვარულის ღირსი არ არის!.. ამით ტანჯვას შევიმსუბუქებ და შენც ცოლ-ქმრული მოვალეობის ტვირთს მოგხსნი... იმისთვის პირობა მაქვს მიცემული, შენს სახელს არ ვახსენებ-მეთქი, იმიტომ რომ უხერხულია... ქვეყანა იცნობს და პატივს სცემს, დიდი კაცია... მაგრამ ახლა მასაც აღარ მოვერიდები; ისე კი, მინდა წინასწარვე იცოდე, მირიანი არაფერ შუაშია... მირიანი ჰქვია იმ კაცს... მე შევუჩნდი, საშველი არ მივეცი... გიჟივით ვიყავი იმ ხანებში, — მეგონა მიყვარდა — მშიშარასა და ლაჩარს ვეძახდი... იმას სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია: სამსახურში მიმიღო, ინსტიტუტში მომაწყო და ამ ბინას რომ უყურებ, ესეც მისი წყალობითაა, თორემ მე ჯერ ბინას ვინ მომცემდა!.. ჩემი ბრალია და დავისაჯე კიდეც — შენ დაგკარგე და თავიც დავიღუპე... ახლა ვიტანჯები... ატყობ, როგორ ვიტანჯები, გუგა?..

მერე ბოდიში მოუხადა ბიჭს, წამოდგა, თავი მოიწესრიგა... ჟურნალების მაგიდასთან სავარძლებში ჩასხდნენ, ერთმანეთის პირისპირ... წინ ჭიქა წყალი დაიდგა, სირცხვილს სძლია და დაწვრილებით უამბო ყველაფერი...

ჟვებოდა ნელა, სვ[illegible] ფერმკრთალ სახეზე ხან სიწითლე წამოუვლიდა, ხან კი უარესად ფითრდებოდა და ტუჩები ეცრიცებოდა; ზოგჯერ ღრმა დუმილში ჩაეფლობოდა და თვალს არიდებდა ბიჭს...

გუგა გულისყურით უსმენდა, ერთხელაც არ შეუწყვეტინებია. იჯდა გატრუნული და თვალებმოჭუტული — ცდილობდა არაფერი გამოჰპაროდა და სწორად გაეაზრებინა ყოველივე.

გოგომ სათქმელი მოათავა, ღრმად ამოიოხრა, წყალი მოსვა, მერე გაუბედავად შეხედა ბიჭს და გაშრა: აუწერელი ზიზღი და სიძულვილი ეხატა სახეზე...

— არარაობა... ცბიერება... სიფლიდე... — კბილებში გამოსცრა გუგამ და სიგარეტს დაუწყო თითებში სრესა...

ისედაც გასაცოდავებული გოგო კიდევ უფრო დაპატარავდა და მოიკუნტა... გული გადაუტრიალა სიძულვილით აღსავსე მზერამ, — ღირსი კი იყო, განა არ იცოდა, და პატიებას არც მოითხოვდა, მაგრამ ყოფილი მეუღლის ამ სიტყვებმა მაინც თავზარი დასცა...

— გაიძვერა... მანიაკი... ფარისეველი... — განაგრძობდა ბიჭი და სიგარეტს თითებში ფშვნიდა; მაგიდის მინა ქაღალდის ნაფლეთებითა და თამბაქოს მტვერით მოიფარა.

გოგოს გულს მოეშვა, — მიხვდა, გუგას მრისხანება მისკენ კი არა, მირიანისკენ იყო მიმართული!

— ჰო... არც ისაა მთლად მართალი, მაგრამ მაინც ჩემი ბრალია...

პასუხად კი აი, რა მოისმინა:

— შენ მსხვერპლი ხარ, საბრალო მსხვერპლი... უკეთურობის, გულქვაობისა და ადამიანურ აზრს მოკლებული, ცინიზმამდე მისული პათოლოგიური ეროტიზმისა; ამ მანიაკს წინასწარვე ჰქონდა გააზრებული და გამიზნული ყოველი სიტყვა, დუმილი, ჟესტი, მიმიკა, გამოხედვა და კაპიკები, რომლებსაც შენ გახარჯავდა... მან შენი გამოუცდელობითა და სხვა პიროვნული სისუსტეებით ისარგებლა და უანგარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცად მოგაჩვენა, — შეგაყვარა თავი... სინამდვილეში კი, ამ დიდსულოვნების მიღმა, საზარელი სულმდაბლობა იმალებოდა... დაუნდობლად გითრევდა გარყვნილების ჭაობაში, — ნიღბებითა და გრიმასებით დაგიბრმავა თვალი... თითქოს მსხვერპლიც კი გაუღია, შენი „სიყვარული“ რომ გაუზიარებია... ისე გამოდის, თითქოს შენ შეგიცდენია, ნამუსი აგიხდია და გაგიუპატიურებია „ბატონი მირიანი“... უუხ, მე მაგისი!.. არა, ამის პატიება არ შეიძლება, — ბოლო დროს მირიანებმა აქა-იქ წამოჰყვეს თავი... დროულად უნდა ამოიძირკოს და შანთით ამოიწვას!.. პასუხი უნდა აგოს შენს გამო... მე მას მოვკლავ, ლოლიტა!..

ამას რომ ამბობდა, გუგა გიჟივით დარბოდა ოთახში და ხან ერთ, ხან მეორე კედელს ასკდებოდა; გოგო შეშფოთებული ადევნებდა თვალს: იმ ზომამდე იყო მისული, შეიძლებოდა მართლაც რამე სისულელე ჩაედინა... მირიანი კი ყველაფრის ღირსი ყოფილა, მაგრამ რად უნდა გადაჰყოლოდა ამ ამბავს უდანაშაულო კაცი, რომლის ზურგზე ისედაც დაუმსახურებლად გადატყდა ჯოხი... დანაქადი რომ შეესრულებინა (გუგასგან ეს არ გაუკვირდებოდა!), საკუთარ თავსაც დაღუპავდა და ეს ხომ მისი, ლოლიტას ბრალი იქნებოდა... ამიტომაც ვერ ბედავდა ხმის ამოღებას და დაზაფრული შეჰყურებდა, როგორ ბობოქრობდა ბიჭი...

— ყელს გამოვღადრავ... ტვინს დავანთხევინებ... მოვსპობ, გავანადგურებ!.. — ყვიროდა იგი და კბილებს აღრჭიალებდა. მერე უცებ მიტრიალდა და გასასვლელისაკენ გავარდა.

— გუგა, გუგა!.. — დაედევნა ქალი, მაგრამ ამაოდ... კარი მოელიავებინა და კიბეზე სწრაფად ჩარბოდა. ლოლას მუხლები მოეკვეთა, მაგრამ საფრთხემ, რომელიც ახლა გუგას ელოდა, მხნეობა მოაკრებინა, ძალა შეჰმატა და მეორე სართულზე ჩაიყვანა, მეზობელთან — ტელეფონზე დასარეკად...

* * *

ზარის ხმა რომ გაისმა, მირიანი ამ დროს, კაბინეტში იჯდა და იუბილეზე მოსაწვევი სტუმრების სიებს აზუსტებდა... მაშინვე იცნო და ვნება შემოენთო — იცოდა, ადრე თუ გვიან ასე მოხდებოდა: რაკი ქმარი აღარ ურიგდებოდა, სხვა რა საშველი ჰქონდა, ისევ მის კალთებქვეშ უნდა შემოეფარებინა თავი... მყისვე შეაფასა სიტუაცია... „აჰა, — ესე იგი უკვე მომაკითხა!..“ რამეს მოიმიზეზებდა ახლა, თათბირს გადადებდა, დღეისათვის რომ ჰქონდა დანიშნული... ბახტრიონის ქუჩაზე არ უნდოდა მისვლა და გადაწყვიტა რუსთავში ან გორში წაეყვანა, სადაც მისთვის სასტუმროში მუდამ გამოიძებნებოდა ცალკე ნომერი...

— გისმენთ, ლამაზო... — ადრე ოფიციალურ კილოს ამჯობინებდა, მაგრამ ახლა მონატრებული ჰყავდა და ხმა დაიშაქრა... ისედაც, — კვლავ პატარა გოგო ხომ აღარ იყო: ცხოვრებას გემო გაუგო, ამდენი რამ ნახა... ქალად მოდგა... გაეშმაკდა, გაიქექა და გაირყვნა...

— რასაც ახლა გეტყვი... — გაისმა ყურმილში მისუსტებული, მაგრამ ზიზღით გაჯერებული ხმა. — არ გეგონოს შენზე ზრუნვით იყოს ნაკარნახევი... თვალები ამეხილა, ვიცი რა სასტიკადაც მომექეცი... მე გუგას ყველაფერი ვუამბე!..

„რაკი უამბო, ჩანს შერიგებულან და თვალებიც იმან „აუხილა“, ალბათ...“ — გაიფიქრა მირიანმა.

— შენს მოსაკლავად წამოვიდა... — განაგრძობდა გოგო. — ისეა გაცეცხლებული, ნაღდად არ დაგინდობს... მოერიდე, დაემალე, — ახლავე გაიქეცი სადმე... დროებით მაინც გადი ქალაქიდან, ვიდრე გაუვლიდეს რისხვა! მართალია, შენ ყველაფრის ღირსი ხარ, მაგრამ არ მინდა ამის გამო გუგა დაიღუპოს... იცოდე ღმერთი დაგსჯის, მირიან, ღმერთი!..

კაცი გაოცებული უსმენდა. მერე ყურმილში კვნესა გაისმა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გონს მოდი, ლოლიტა... მე არავისა არ მეშინია... აბა ერთი საკუთარ გულში ჩაიხედე: მირიან დევიძეს შენთვის ოდესმე უწყენინებია, ანდა ცუდი რამ უკადრებია?.. მარტო გუგა კი არ არის ამ ქვეყნად განმსჯელი და შემფასებელი, — მე ხალხი მიცნობს და პატივს მცემს... იმიტომ გეუბნები, რომ ვიცი იმან გადაგიბრუნა ტვინი... რომ ჰკითხო, პოეტად და ჰუმანურ კაცად მოაქვს თავი, — ასეთ უმწეო დღეში კი ჩაგაგდო, მიგატოვა და გაგაძევა... ახლა უნდა მშრალად გამოძვრეს და ჩემზე დაგგეშა... სამიოდ თვეში გული მოიჯერა, და გაძვალტყავებული კვლავ ჩემს ეზოში გადმოგდენა საბალახოდ... მე იმას არ ვგევარ — ისევ შეგიფარებ, შეგივრდომებ და მოგმწყემსავ, თუმც შენ თვითონ ულალატე ჩვენს მეგობრობას, და ვიღაც ნაბიჭვარზე გამცვალე... არა, არა ხარ მართალი, ლოლიტა — შენ თუ ჩემი სიკეთე სხვანაირად გესმოდა, ვისი რა ბრალია!.. შემომიჩნდი და გზები ამირიე... ახლა დამდგარხარ და ცრემლებად იღვრები, — მირიანმა მომატყუა, შემაცდინა და გამაბახა. არ გამეფრთხილებინე მაინც, — დაუფიქრდი რას სჩადიხარ, სანანებლად არ გაგიხდეს-მეთქი... ოღონდაც გულის წადილი აგესრულებინა და იქამდე დაეშვი, — ხელწერილის მოცემა აღმითქვი და მართლაც არ ითაკილე... მახსოვს, ისე გიყვარდი, წყალში გადავარდნასაც კი აპირებდი ჩემი გულისთვის!.. მერე თეთრი საქორწინო კაბა მოგენატრა და ეკლესიაში ჯვარისწერა მომინდომე ამ კომკავშირელმა ქალმა... ურცხვად მიმატოვე, მიღალატე — ზურგი აქციე შენს კეთილისმყოფელს და იმ ტუტუც ბიჭს შეაჩეჩე თავი...

რაო, რაო?.. ქალაქიდან გადი, გაიქეციო?.. ჰა ჰა ჰა!.. კაცი საიუბილეოდ ვემზადები — ცაი და ქვეყანა შეძრული და მე ქალაქგარეთ დავიმალო?.. ღევიაე არ გცნობია შენ, ჩემო კარგო... ოეხსაც არ მოვიცვლი კაბინეტიდან; ნელა მ[illegible] მოვიდოდეს ის თავქარიანი ბიჭი, — ცხვირპირს ამ[illegible] სულ კინწისკვრით ვისვრი აქედან...

რაო, რაო, კიდევ რა თქვი?.. ღმერთი დაგსჯისო?.. ჰე ჰე ჰე!.. მე თვითონ ვარ ჩემი თავის ღმერთი!.. თქვენ ჯერ ამ ქვეყნისა რა იცით, ღლაპებო — ცხოვრება თავისი კალაპოტით მოედინება და არა იმ თხრილებით თქვენ რომ თქვენი სასაცილო ჯვრებით ამოგიჩიჩქნიათ!..

გოგომ მანამ დადო ყურმილი, ვიდრე მირიანი ამ გრძელ ტირადას წამოიწყებდა... განა არ იცოდა, მაგრამ გულში მაინც ედავებოდა და ჰკიცხავდა გოგოს უმადურობისათვის, როცა ხელში შემორჩენილ ყურმილს დაჰყურებდა. მერე კვლავ მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს მიუბრუნდა... წამით სახეზე ღიმმა გაურბინა: კალამი აიღო და მსხვილი ასოებით ხერხაძის გვარი ჩასწერა, — იუბილეზე ნესტორიჩის ყოფნა იმდენად აუცილებელი იყო, სიაში მისი შეტანაც კი დავიწყნოდა.

* * *

მეორე დღეს, გუგა რომ მოვიდა, ლოლიტა ფეხზე იდგა უკვე... ისეთი შეშფოთებით შეათვალიერა, თითქოს მის სხეულსა და ტანსაცმელზე სისხლის ლაქებს ეძებსო, მაგრამ საბედნიეროდ ბიჭს არავითარი ლაქები არ ეცხო...

— ვერ მივუსწარი, თორემ მოვკლავდი... — უთხრა მან, თითქოს ბოდიშს იხდისო.

— მართლა იყავი ქარხანაში?.. — ჰკითხა გოგომ და მის გვერდით ჩამოჯდა დივანზე.

— ფეხად გამასწრო... ეზოში არ შემიშვეს... ყარაულმა მითხრა, ეს-ესაა წავიდაო...

— რა სისულელეა, გუგა... მეტად აღარ გაივლო გუნებაში!

— სულერთია, მაინც არ გავახარებ... — დაექადნა ბიჭი. — ოღონდაც ჯერ სხვა საქმე მაქვს მოსაგვარებელი... ადექი წავიდე[illegible], ჩვენებიც გე[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ეს არასოდეს არ მოხდება! — მტკიცედ თქვა გოგომ.

— მოხდება! — ჯიუტად გაიმეორა ბიჭმა. — შენ მე მჭირდები ლოლიტა!

— არა, გუგა... მე უკვე გავხარჯე საკუთარი თავი, აღარ გამოგადგები; ისედაც ტანჯვა მოგაყენე, ცხოვრება აგიწეწე!

— შენ უჩემოდ არ ვარგიხარ, ლოლიტა!

— მე ისედაც აღარ ვვარგივარ, გუგა... არ მინდა ჩემს გამო გაუბედურდე.

— მე შენ ისევ ისე მიყვარხარ!..

— არა, არა... ვერ ატყობ განა, რა ყალბად ჟღერს უკვე ეს სიტყვები?!

ბიჭს გული ატკინა გოგოს ნათქვამმა, — თავზე გადაუსვა ხელი, მოეფერა... ისე, როგორც ქუჩაში ატირებულ ბავშვს მოეფერება გულმოწყალე გამვლელი... გოგომ ფრთხილად მოიშორა მისი ხელი.

— ნუ ჯიუტობ, ლოლიტა, — ჩვენ უნდა შევრიგდეთ!

— არა, გუგა, არა... მე განადგურებული ვარ... — ხმა ჩაუწყდა. — შვილის გაჩენაც აღარ შემიძლია...

— რათ, რა თქვი?.. — ბიჭი ზეზე წამოიჭრა.

— არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ იძულებული გამხადე... — გამომშრალი თვალებით შეხედა.

გუგას ტუჩის კუთხეები შეუთამაშდა. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ შესძლო; ფანჯარასთან მივიდა და კარგა ხანს იდგა ასე, ზურგშექცევით... მხრები ურთთოდა და გოგოს ვერ გაეგო ახველებდა თუ რას აკეთებდა.

წასვლისას ბიჭმა უთხრა:

— არ გეგონოს, ლოლიტა, გტოვებდე... მე მოვალ, როცა მირიანს საბოლოოდ გავუსწორდები!..

მთელი ოთხი საათი გოგო გაუნძრევლად იწვა დივანზე, პირქვეჩამხობილი...

მერე — მზე რომ გადაიხარა, სხივები კედელ-კედელ გაცოცდნენ და დივანზეც ჩაინაცვლეს, — ნელა წამოსწია თავი...

სხეული მისი არ შერხეულა, თავ[illegible] მოსწია მხოლოდ, თვალი მოარიდა მზის ბრჭყვიალა დისკოს და ნელი-ნელა გააპარა მზერა ჭაღისაკენ...

დიდხანს, დიდხანს უცქეროდა მონუსხულივით...

ხელოსანი, რომელმაც ეს ჭაღი ჩამოჰკიდა, უგულისყურო, ფეთხუმი კაცი ჩანდა; ეტყობოდა, ცოტა ნასვამიც იყო და გოგოს შეეშინა, საქმე არ მიაფუჩეჩოსო...

„გაუძლებს კია?..“ — ჰკითხა.

აბა ვის უხარია მის საქმეში რომ ერევიან და ცხვირს ჰყოფენ — მეტადრე ხელოსნებს, მაგრამ ეს მთლად ფხუკიანი აღმოჩნდა:

„გვადროვეთ, თუ შეიძლებოდეს... — თვალები გადმოუბრიალა მაღლიდან. — ამას რო უყურებ, ამ დასაწვავს... — კაუჭზე მიუთითა. — სიმკარშია შესული და თავები აქვს აქეთ-იქეთ გადალუნული. ამას გაუძლებს კი არა, თუ გინდა თავსაც ჩამოიხრჩობ ზედ... აჰა, ბატონო, უყურე!..“ — კაუჭს ხელები მოავლო, ფეხები მოსწყვიტა კიბეს და საფრთხობელასავით ჰაერში ჩამოეკიდა...

მას აქეთ, გოგო ჭაღს რომ შეხედავდა, — თავის თავსაც წარმოიდგენდა ზედ ჩამოკონწიალებულს...

ადგა, სამზარეულოში გავარდა, კარადის უჯრა გამოსწია და თოკი ამოიღო... ამ ერთი კვირის წინ, პურზე რომ გავიდა, შემთხვევით მოჰკრა თვალი რკინაკავეულობის მაღაზიის ვიტრინაში... კი არაფრად სჭირდებოდა, მაგრამ მაინც იყიდა, — მოეწონა!..

ორად მოკეცა, ყულფი გაუკეთა, მკლავზე ჩამოიცვა და ოთახში შებრუნდა...

სკამიდან მაგიდაზე ავიდა, მერე სკამიც მაგიდაზე აიტანა და ზედ აფორთხდა...

ნელა გასწორდა წელში, ხელები აწია და თოკის ბოლოები კაუჭებს გამოაბა...

არაფერზე არ ფიქრობდა, გარდა იმისა რასაც აკეთებდა — ბროლის წკრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ესმოდა მხოლოდ და კიდევ ეს უნდოდა: გუგასთვის დაეწყვიტა ძლიერ გული...

ის იყო ყულფი კისერზე უნდა ჩამოეცვა, უცებ სკამი წაუბორძიკდა და გადმოვარდებოდა, თოკს რომ არ შეეკავებინა... შიშისაგან გული შეუქანდა. მაღლიდან რომ გადმოიხედა... სკამის ფეხი უკვე გადასცდენოდა მაგიდის ძგიდეს, კაუჭზე გაბმული თოკის წყალობით ინარჩუნებდა მხოლოდ წონასწორობას, მაგრამ სკამი რომ გამოშლოდა, მერე თოკიც ველარ უშველიდა... ფრთხილად ჩაცუცქდა და როგორც კი მაგიდაზე ფეხი ჩამოდგა, მყისვე სკამიც გადაყირავდა...

მაგიდიდან ჩამოფორთხდა და კარგა ხანს დაჰყო ასე, ზედ დამხობილმა: მერე სერვანტთან მივიდა, კონიაკი გამოიღო, ჭიქა გაავსო და სულმოუთქმელად დასცალა... უცებ სული შეეხუთა, თვალთ დაუბნელდა, — მიწისა და ცის დანახვა მოუნდა!

ოთახიდან გასვლისას შიშით გაჰხედა ჭალს: ყულფი გაშლილიყო და თოკი უძრავად ეკიდა კაუჭზე...

ბინდდებოდა...

ლოლა ბახტრიონისა და პეკინის ქუჩის კუთხეში იდგა...

ნეტა რა მაცვიათ, გაიფიქრა და გაახსენდა ლამაზად გამოწყობილი რომ დაუხვდა გუგას, ყაყაჩოსფერ კაბაში...

ოდნავ ირწეოდა და დროდადრო ზურგით ეყრდნობოდა ჭადარს...

ქუჩაში განუწყვეტლივ ღმუოდნენ მანქანები, მაგრამ ისინი მაინც ვერ ჰფარავდნენ ჩამავალ მზეზე მოლივლივე ბროლის უსაშველო წკრიალსა და წკარუნს...

ხელი ასწია თუ არა მყისვე შავი „ვოლგა" ჩამოდგა მის წინ.

შუა ხნის კოხტაპრუწა, გრძელცხვირა კაცმა სასწრაფოდ გაუღო კარი და მეტისმეტი თავაზით ჰკითხა:

— საით, ქალბატონო?..

— სადმე შორს წამიყვანე!.. — მიუგო გოგომ.

* * *

დილით იქვე, სავარძელში ჩაეძინა ამდენი ნერვიულობისაგან მოლილილმოქანცულს... მაინცდამაინც აღარ ეშინოდა, რაკი გამოიცნო მტერი, — თავს უკვე მდგომარეობის ბატონ-პატრონად თვლიდა და ისიც მოფიქრებული ჰქონდა, ამ საქმისთვის როგორ მოევლო: საამისოდ მარტო ხელწერილის ხსენებაც კმაროდა!..

ათ საათზე ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა.

ნესტორიჩი იყო...

რა დროს ლოგინში კოტრიალიაო, გამოლანძღა, დაგავიწყდა შაბათ საღამოს რა მოვილაპარაკეთ და ამ დილით სად უნდა მისულიყავიო?

მწარედ გაეცინა გუნებაში: რაღა დროს კარიერაზე ფიქრი იყო, ყოფნაარყოფნის საკითხი იდგა!..

— რა ჩემი ბრალიაო, მიუგო — ავად გავხდი, აბანოში გავცივდიო (მართლა გაეცივებინა მთელი ღამე ფანჯარასთან ჯდომას) და საერთოდ, ვერა ვარ კარგად ბოლო დროს, ჯანმრთელობა შემერყაო...

ჩაიცვა და სახლიდან გავიდა...

ტელეფონის ჯიხურთან გააჩერა მანქანა, ორკაპიკიანი მოძებნა და ნომერი აკრიფა. ყურმილში ქალის ხმა გაისმა...

ადრე ესალმებოდა ხოლმე — თავაზიანად მოიკითხავდა, მაგრამ ამჯერად აღარ გამოსცნაურებია, მოკრძალებით სთხოვა: თუ არ შეწუხდებით ქალბატონო, ლოლიტას დაუძახეთ, თქვენს ზემოთ რომ ცხოვრობს ერთოთახიანში, მესამე სართულზეო...

უნდოდა გარეთ გამოეხმო და ცალკე მოლაპარაკებოდა...

საინტერესო იყო რა ჰკუაზე დადგებოდა, ხელწერილს რომ დაინახავდა?!.

ქალი მალე დაბრუნდა და — ლოლიტა შინ არ გახლავთო, უთხრა...

ყურმილი ჩამოჰკიდა და მიუხედავად იმისა, თბილი ქურქი ეცვა და თავზე ნუტრიას ბეწვის ყურებიანი ქუდი ეხურა, მაინც შეამცივნა, კანკალმა აიტანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თოვდა კი, მართალია, მაგრამ ეს ამინდის ბრალი არ ყოფილა...

მეორე ორკაპიკიანი ამოიღო ჯიბიდან: გადაწყვიტა ახლა თვით იმ გიჟთან დაერეკა დიდუბეში, გაეგო მაინც შინ იყო თუ არა, — წინასწარვე მოესინჯა ნიადაგი...

გოგოს უნახა ადრე რვეულის ყდაზე წაწერილი მისი ტელეფონის ნომრები და ყოველ შემთხვევისათვის მაინც უბის წიგნაკში გადაიტანა...

მღელვარებისაგან სუნთქვა შეეკრა, გული გადაელია... გუგა რომ შეხვედროდა, რაღა თქმა უნდა, ყურმილს დაუკიდებდა!

— გისმენთ, გისმენთ... — გაიგონა ქალის ჩიფჩიფა ხმა.

— რომელი ბრძანდებით?.. — ჰკითხა მცირე ყოყმანის შემდეგ.

— მე ბებო ვარ, შვილო, ბებია... შენ ამხანაგი ხარ გუგასი?

— დიახ, დიახ... — მიუგო მან და ხაშინლად დაიძაბა.

— ლაშა ხარ, ბიჭო?.. ვერ კი გიცანი მე სახიკვდილემ... მზია როგორ არის, ჰა?.. რად არ მოხვედით წუხელა, რად არ გააცილეთ გუგაი?..

— ლაშა არ ავარ, დედი... — მირიანმა ყურები ცქვიტა. — სად წავიდა გუგაი?..

— ზღვაზე, შვილო, ზღვაზედა... ახლო უკვე გასული იქნება გემი!

— თბილისიდან გაემგზავრა?.. — ჰკითხა.

— ჰო, შვილო... გვიან მატარებელს გაჰყვა, ყველამ გააცილა!

ზუმერის ხმა გაისმა და მირიანმაც ჩამოჰკიდა ყურმილი.

რა გემი და რა მატარებელიო, გაკვირვებული იჩერდა მხრებს; ვერაფერი გაიგო... იქნებ არსადაც არ წასულა და განგებ მოაჩმახვინა დედაბერს ეს აბდაუბდა, კვალის ასაბნევად?..

კვლავ მისწვდა ყურმილს და ახლა ბიჭის სამსახურში დარეკა.

თვით სტამბის დირექტორი გამოეპასუხა და მანაც იგივე გაიმეორა, ოღონდაც უფრო გარკვევით და ნათლად: გუგა სამხარაძე ტრალერ „შოთა რუსთაველზე“ მოწყობილიყო მეზღვაურად, რომელიც დღეს ატლანტიკის ოკეანესაკენ აიღებდა კურსს და ექვს თვეზე ადრე მაინც აღარ მოადგებოდა ნაპირს...

მირიანი განაცვიფრა და გააოგნა ბიჭის ვერაგობამ:

სალამოს შვიდ-რვა საათზე იგი თავს ესხმის და ჰკლავს კაცს (ახლა ნამდვილად მკვდარი ჰგონია ალბათ, მირიან დევიძე), მოგვიანებით ჯდება მატარებელში, ჩადის ფოთში თუ ბათუმში, ადის გემზე და ექვსი თვით იკარგება სადღაც ოკეანეში... მოფიქრება არ გინდა?!.

ღირდა კი განგაშის ატეხა?..

თუ გაჩუმება სჯობდა?..

ჰო, მართალია, სექტემბერს აქეთ ნერვები აწყდება და ოთხჯერ კინაღამ სიცოცხლეს გამოესალმა, მაგრამ რაც მთავარია, ხომ გადარჩა!..

ექვსი თვე დიდი დროა, დრო კი ყველაფერს ასხვაფერებს და ჰკურნავს!.. ჰკურნავს როგორ... — გუშინდელ მტერს შემოგარიგებს და შეგაყვარებს, გულში ჩაგახუტებს, ხოლო მოყვარეს მტრად მოგკიდებს... მით უფრო, — ბიჭის მრისხანება უსაგნო და უმიზეზოა, იქნებ ნანობს კიდეც თავის საქციელს...

საჭიროა ნასწრაფოდ წერილი გაუგზავნოს... არა, წერილი ზღვაში არ მიუვა, — ტელეგრამით ან რადიოგრამით უნდა აცნობოს, რომ ცოცხალი და უვნებელია... არ იდარდოს, არ ინერვიულოს.. გაეხარდება, ეამება, რადგან შიში ექნება ახლა ტანში გამჯდარი... მეორე დეპეშასაც მიაყოლებს, წერილდეპეშას: ვიცი გუგა, შენი ბრალი არაფერია, — ლოლამ შეგაცდინა, აგიბნია თავგზა და მიტომაც მიპატიებია ყველაფერიო... იცურე არხეინად, წერე ლექსები და ხელდამშვენებული დაბრუნდი მშობლიურ ქალაქშიო...: მერე ხელწერილს აჩვენებს, საქმის ვითარებას აუხსნის... ამაზე, ცხადია, ბიჭი გადაირევა და იმ კახპას სახლიდან გააგდებს (ხაინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერესია, შერიგდნენ თუ არა?)... იმდენი უქნიათ, დაუჭამიათ ერთმანეთი — ოღონდ თვითონ დაიხსნას თავი ამ შარისაგან, ტყუილ-უბრალოდ შიგ რომ გახვეულა... ერთი სიტყვით, გუგა სამხარაძე საშიში აღარ არის: ექვსი თვის შემდეგ, ზღვიდან რომ დაბრუნდება, ის უკვე შხამგაცლილი გველი იქნება!

ქარხნიდან ისევ დაურეკა „ბებოს“ და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ჰკითხა, გუგა და ლოლიტა ხომ არ შერიგებულანო... არაო, მიუგო დედაბერმა და მერე მთელი ათი წუთი რაღაცას ბუტბუტებდა...

ეს იყო მხოლოდ უცნაური: თუ კი არ შერიგებულან და ცოლად აღარ უნდოდა, მაშ ამხელა რისკი რად გასწია და თვითონაც საფრთხეში რად ჩაიგდო თავი?..

მართლაც რომ უტვინო და ჩერჩეტი ბიჭი ყოფილაო, დაასკვნა გულში, — ჩანს, ლექსების წერას გადაურევიაო...

რამდენჯერმე მიაკითხა გოგოს ბახტრიონის ქუჩაზე და ერთხელაც ვერ მოიხელთა შინ, ღმერთმა იცის სად დაეთრეოდა... რაც იმან შიში აჭამა, მისდამი უკვე ზიზღისა და სიძულვილის მეტს აღარაფერს გრძნობდა, მაგრამ მაინც აინტერესებდა მასთან საუბარი, — ლოლამ წააქეზა ნეტავი, თუ გუგამ თავად განიზრახა მირიანის მოკვლა?.. შერიგებაც არ იყო გამორიცხული... სიძულვილი და სიყვარული ხომ ტყუპის ცალებია... თუნდაც იმიტომ შეურიგდებოდა, რომ ეშინოდა მისი... ბოროტებაზე ჯვარი უნდა დაიწეროთ, — სისხლი უნდა შეურიო და დაიძმობილო, თუ გინდა თავს მოსვენებულად გრძნობდე, — სიკეთე კი საშიში არ არის... სიძულვილითაც შეიძლებოდა ლოლიტასთანა გოგოს სიყვარული!..

მერე მთელი კვირა სამსახურის საქმეებში იყო ჩაფლული...

* * *

ტელეფონის ზარმა გაიწკრიალა; მირიანი ყურმილს დასწვდა...

— შენი ძმა და მეგობარი, შენი პატივისმცემელი და მოსიყვარულე ყოლეგა, კოწო შავდია მოგესალმება!.. — გაისმა ყურმილში ჩახლეჩილი, მაგრამ მხიარული და მოზეიმე ხმა. — როგორა ხარ, გედევანოვიჩ, როგორ გიკითხო, ჰა?..

— ოო... კოწო შავდიას ვახლავარ, უსაყვარლეს კაცს!.. — წამოიძახა გახარებულმა და სახე გაუნათდა. — როგორ ვიქნები, ჩემო კოწო, შენგან მოძულებული... ვშრომობთ, ვიღწვით — ხო იცი, წლის ბოლოა ახლა, — გვთხოვენ, გვაჩქარებენ... ავკოფაშვილიც თავზე მადგას აგერ, ბალანსით... — მირიანმა ღიმილით გადახედა მთავარ ბუღალტერს, რომელსაც პაწია მუშტები ციფრებით აჭრელებულ ბალანსზე დაეწყო და პირმოკუმული ფანჯარას გაჰყურებდა.

— შენთან ქეიფი და პურის ჭამა მომინდა, — მომენატრე, მირიან ჩემო!.. გახსოვს, სექტემბერში რომ მითხარი უარი?.. მაშინ გოგოები მომყავდა, მარა ახლა, სამაგიეროდ, იმისთანა ბიჭები მყავს აგერ, მომღერლები, — შენგან მოწონებული!

— სიამოვნებით, ჩემო კოწო, — შენ ოღონდაც მითხარი სად, როდის...

— დღეს თოვს, ძმაო, გლახა ამინდია — შორს გასვლა არ ღირს — დიღომში ავირბინოთ... კუპეებიც აქვთ და პურმარილიც დიდებული იციან... რვაზე იქ იყავი, არ დაიგვიანო!

მირიანს თავად სურდა შავდიასთან შეხვედრა: მას აქეთ, რაც გაირკვა, რომ უსაფუძვლოდ მიეტანა ეჭვი, მის თვალში იგი ასჯერ ამაღლდა, როგორც ჭეშმარიტად კაცური კაცი, რომელიც საძრახისს არასდროს არაფერს იკადრებდა!

ცოტა გზაში შეაგვიანდა და დათქმულ ადგილას ცხრის ნახევარზე მივიდა. კოჭებამდე გრძელ ქურქში და ყურებიან ბეწვის ქუდში ჩაფუთნილმა ყარაულმა მანქანის დასაყენებელი ადგილი გამოუძებნა და კუპეც მიასწავლა...

თოვდა და ჰყინავდა; ეზო ელექტრო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნის შუქით იყო გაჩახჩახებული, შეორთქლილ მინებზე უცხო ლანდები დაბორიალობდნენ, კუპეებიდან სიცილკისკისის ხმა მოისმოდა...

კარი რომ შეაღო,. შეკრთა — შეცდომით სხვაგან ხომ არ მოვხვდიო, გაიფიქრა.

კოწო შავდიას გარდა, რომელსაც შავი კოსტუმი ეცვა და თავისი განუყრელი სათვალეც ეკეთა, მაგიდას ორი ლამაზი გოგოც უჯდა...

ერთი მათგანი ლოლიტა იყო!..

ეტყობოდა, არ იცოდა მირიანს თუ ელოდებოდნენ — გაოგნებული შემოპყურებდა... მერე უცებ ჭიქა ასწია და მხიარულად წამოიძახა:

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!..

შავდიამ გაკვირვებით გადახედა.

— თქვენ რა.. ერთმანეთს იცნობთ, ლევანდებო?..

— არა, ვინა თქვა!.. — ლოლიტამ თვალი ჩაუკრა მირიანს, მერე ხელი შავდიასაკენ გაიშვირა და იმანაც მყისვე სიგარეტი ჩაუდო გაფარჩხულ თითებში.

— არ გადავირიე კაცი?.. — გაიცინა და სათვალე მოიხსნა. — კინაღამ ჩხუბი ავტეხე უცებ ეჭვიანობის ნიადაგზე!..

— მომიკიდე ჰო, კოწო... მომიკიდე!..

შავდიამ სანთებელა დააჩხაკუნა...

— მაშ, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ მირიან დევიძე... — გამოაცხადა მერე საზეიმო ხმით. — რაც შეეხება ამ ქალბატონებს... ეს ლამაზმანი — ლოლიტას მხარზე მოხვია ხელი. — ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარულია!.. ხოლო ეს კი ჯულიაა, ჩვენი ჯულია, — საშუალო ტანის თვალებმაყვალა, მკერდსავსე გოგოს გადახედა, რომელსაც ცისფერი „როლინგსტონის“ ზემოდან ყავისფერი ზამშის ფოჩებიანი კოვბოურა ეცვა. — დიახ... განათლებული, ჭკვიანი და ეშხიანი ქალი...

მირიანი თავაზიანად მიესალმა ქალებს, — ლოლიტას გაკვირვებული მზერა შეავლო, ჯულიას მუშტრის თვალით აჰხედ-დაჰხედა, — შავდია გადაკოცნა და უსაყვედურა, ასეთ ბრწყინვალე კამპანიაში თუ მეპატიჟებოდი, თავიდანვე რად არ მითხარი, რა მომღერლები აგიტყდაო...

— არ ვიცოდი, ძმაო... — ხელები გაშალა და მხრები შეათამაშა შავდიამ. — შენ რომ გელაპარაკე, მერე ჩამოცუნცულდნენ ეს ცუგრუმელები და მეც იძულებული გავხდი, პირველად ჩემს სიცოცხლეში, უკადრისი საქმე მეკისრა, — „მომღერლებს“ ავთესოდი, იმიტომ რომ, მირიან ჩემო, უქალებოდ არ ვვარგვართ, სიმღერას კი, თუ დაგვჭირდა, თვითონვე ვიტყვით და ვიცეკვებთ კიდეც... შენი ამბავი რომ ვიცი, იმედია არ დაიმორცხვებ!

— ნამდვილად, ნამდვილად... — გაიცინა მირიანმა. ქურქი გაიხადა და ჯულიას გვერდით დაჯდა.

ოფიციანტმა ხელადებით ღვინო ჩამოდგა, აშიშხინებული მწვადებიც მოიტანა.

— ვჭამოთ, ვსვათ და ერთმანეთს ვესიყვარულოთ... — თქვა შავდიამ და ჭიქები ღვინით შეავსო. — ოფიციალობას მოუკვდეს პატრონი... შიგადაშიგ ვიგიჟოთ კიდეც... მე მაინც არ ვარ მთლად დაწყობილი!

ერთ ხანს თვითონ თამადობდა, მაგრამ ძალზე „ოფიციალური“ სადღეგრძელოები გამოუვიდა და კარგად რომ შეჭიკჭიკდნენ, მერე თავისუფალი „ტოსტი“ გამოაცხადა — რიგრიგობით უნდა ეთქვათ, ვისაც რა გაეხარდებოდა...

ლოლიტამ „შორეული ნაპირი“ ადღეგრძელა, ჯულიამ — „ყველაფერი პირველი“, კოწო შავდიამ — „ქალები“, ხოლო მირიანმა — „სიმართლე“, თან ლოლიტას გაუსწორა თვალი... მეორე ჩამოვლაზე ლოლამ „სიზმრის სიზმარი“ ახსენა, ჯულიამ — „ჩვენი ნეტა“, შავდიამ — „ჩვენი გამსწორებელი“, მირიანმა კი სიმართლეს „სიცოცხლე“ შეუწყვილა და მკაცრად გადახედა ლოლიტას...

შუაღამე ახლოვდებოდა; შავდიას ბრძანებით ოფიციანტმა მაგიდა განაახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა, — პირწმინდად აალაგა ყველაფერი, სუფრაც გამოცვალა — ხილი, ტკბილეული, უამრავი შამპანური და კონიაკი მოიტანა, მაგრამ ვინლა იყო დამლევი ან მჭამელი...

თორმეტზე აიშალნენ. გარეთ ისევ თოვდა და ჰყინავდა. შამპანურები და კონიაკები გამოაყოლეს ხელს — გზაში დავლიოთო... მირიანმა ძრავა ჩართო.

— შეგიძლიათ ახლა მართვა?.. — ჰკითხა ჯულიამ, რომელიც გვერდით ეჯდა მას.

— რატომაც არა?.. — გაიცინა მირიანმა.

— მირიანი სუპერ-მენია... — ჩაურთო შავდიამ, რომელსაც ძლიერ მოეკიდებოდა სასმელი. — მომავალი მინისტრის მოადგილე!..

— ჩაიშალა ეს ვარიანტი, — უთხრა მირიანმა. — ჩანს, არ ვყოფილვარ „სუპერ-მენი“!..

— მაგის მეტი დარდი არ მოგცეს ღმერთმა!..

მანქანა ნელა მიგორავდა გადათეთრებულ, მოყინულ გზაზე. მირიანი სარკეში ხედავდა, როგორ ეხვეოდა კოწო შავდია ლოლიტას...

— გააჩერე, გააჩერე!.. — წამოიძახა მერე.

— რა იყო, კოწო, რა მოხდა?.. — მირიანმა გზისპირას გადააყენა მანქანა.

— არაფერი... ჩავიდეთ, დავლიოთ!.. — კარი გააღო და ძარაში მოწკარუნე ბოთლები გარეთ გადააწყო.

— მე საჭესთან ვზივარ!.. — თქვა მირიანმა.

— მე მეტი აღარ შემიძლია. — უთხრა ლოლიტამ.

— არც მე მინდა. — მიუგო ჯულიამ.

— აბა მე მოძულებული კი არ ვყავარ პატრონს!.. — იღრიალა შავდიამ, რომელიც მანქანიდან გადასულიყო უკვე და შამპანურს ხსნიდა.

— ნუ სვამ, რა ძალა გადგას. — უთხრა მირიანმა.

— აბა ამეებს რა ვუყოთ?!. — გზისპირას ჩამწკრივებულ ბოთლებს გადახედა.

— იყოს მანდ, დატოვე!

— არა, არა... მანქანას დავალევინებ, მადლია!.. — შამპანური კაპოტზე მიუშვა; თითქოს რძე ილვრებოდა ბოთლიდან. — გადმოდით, მომეხმარეთ!..

— გადადით, მიეხმარეთ... — თქვა მირიანმა.

ჯულია გადავიდა და კონიაკის ბოთლი გამოსტაცა ხელიდან.

— რას აკეთებთ, ცოდვაა, ბატონო კოწო... თქვენ თუ არ გინდათ, მე წავიღებ შინ!..

— არა, აქ უნდა დაილვაროს!.. — უთხრა შავდიამ.

— მოხურეთ კარი, ცივა! — გასძახა ლოლიტამ.

ჯულიამ ხელი წაჰკრა კარს.

— მე მეგონა შერიგდებოდით... — უთხრა მირიანმა ლოლას, ისე რომ იქით არც მიუხედავს.

— ნულარ გამახსენებ... — მიუგო მან.

სარკეში დაინახა: ქურქის საყელოში თავი ჩაემალა და თვალები მოეხუჭა... ეს სულ სხვა ქურქი იყო, — შავდიას ეყიდა.

— ვიცი, ჩემზე დაბოღმილი იქნები... იმან ჭკუა გადაგიტრიალა...

— რას გერჩი ან შენ ან ვინმეს... შენ სხვას ჯობიხარ კიდევ...

— ჩემი მოკვლა გინდოდათ, არა?..

— ეგ რომ მდომოდა, არ დაგირეკავდი... დაგავიწყდა?..

— როგორ... — მირიანი ქალისკენ შეტრიალდა. — შენ არაფერი იცი?..

— ვიცი... უნდა მოვკლაო, იძახდა, მაგრამ ჩანს, ველარ გარისკა... სამაგიეროდ ლექსი დაგიწერა და იმით მოიოხა გული...

— „ველარ გარისკა“ კაია... — ჩაიცინა მირიანმა — ოთხჯერ დამესხით თავს სექტემბერს აქეთ... კაცი ბეწვზე ვარ გადარჩენილი!

— რას ამბობ... — გოგომ წამით გაახილა თვალები და ისევ მილულა.

— ვითომ არ იცი!..

— რა დროს ხუმრობაა. არ მესმის...

— ბოლოს ამ ერთი კვირის წინ მეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლა... ახლა ზღვაზე წათრეულა სადღაც...

— მე რას მეუბნები, მე იმასთან რა მესაქმება...

— თავს ნუ ისულელებ...

გოგომ ისევ გაახილა თვალი.

— მაშინ აქ კი აღარ ვიქნებოდი...

მირიანი ჩაფიქრდა, — ნათქვამი სიმართლეს ჰგავდა!..

— ეტყობა, სიურპრიზს გიმზადებს...

— შეიძლება... — უგულოდ თქვა გოგომ.

— ძვირად დაუჯდება ჩემთან თამაში!

— ეჭვიც არ მეპარება... — მიუგო გოგომ. — ისე კი მართლა მითხრა: სანამ არ მოვკლავ, მანამ არ დაგიბრუნდებიო...

— ჩანს იმიტომ შეაგვიანდა!..

— ახლა ექვსი თვე კიდევ მომიხდება ლოდინი... — რაღაც უცნაურად ჩაილიმა. — თუმცა არ ღირს უკვე თავის შეწუხება... პირიქით: აწი ერთმანეთს ვჭირდებით... ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ!

— კისერს მოვუგრეხ, თუ ჰკუაზე არ მოვა!..

— მორჩი ახლა... არა მჯერა ეგ ზღაპრები... საქმეზე ვილაპარაკოთ: ჯულია მოგწონს?..

— რა უჭირს, კაი გოგოა... ასეთ ეხ!..

— ამაღამ შინ წაგიყვანს... იცის უკვე, ვუთხარი.

— შენი რაღაცეები მაქვს მე, ლოლიტა... ამ ზათხულს რომ გამყვა... კაცმა შალითის ჯიბეში ჩაჰყო ხელი და ოქროს ნივთები ამოაჩხრიალა. — ბევრჯერ მოგაკითხე შინ, მაგრამ ვერ გიპოვე...

ლოლას თვალიც არ გაუხელია, ისე ჩამოართვა ოქრეულობა და ქურქის ჯიბეში ჩაიყარა.

— კაი ადამიანი ყოფილხარ, — ზოგი არც დამიბრუნებდა...

— გეტყობა, ჯერ კიდევ ვერ გამიცანი კარგად, ლოლიტა!

— მეტი რაღა საჭიროა, რაც გაგიცანი კმარა... ეს გოგო ცუდ[illegible]ცევის არ გეგონოს!

— ვინა... ჯულია?..

— ჰო... ახლა იწყებს... მაგას შენი თანა კაცი სჭირდება!

— მარტო ცხოვრობს?

— საწყალს ქმარი დაეღუპა ამ სამიოთხი წლის წინ... ბავშვები მშობლებთან ჰყავს...

— გაგირეცხეთ, ძმაო, მანქანა... — შავდია სალონში შემოძვრა, გვერდით მიუჯდა ლოლას და ხელი უბეში ჩაუყო; გოგო არც განძრეულა.

— უუჰ... თითები წამეყინა! — თქვა ჯულიამ და კარი გამოიხურა.

ისეთი უცნაური გრძნობა ჰქონდა მირიანს, თითქოს მალულად უთვალთვალებდნენ... წელან მოეჩვენა, თითქოს მოტოციკლეტით ვიღაც მოსდევდა... რამდენიმეჯერ მოჰკრა თვალი სარკეში, მოკიაფე ცალ ფარს... მართლა ვინმე რომ ყოფილიყო, ამ დრომდეც უნდა გადაესწრო, — იქნებ ლოლიტასთან საუბარმა გამოიწვია ეს უსიამო შეგრძნება?

მანქანა დაიძრა და მალე ტრასაზე გავიდნენ. თოვამ იმატა, ფანტელებიც დამსხვილდნენ; მშვენიერი ღამე იყო, — იცინოდნენ, მღეროდნენ...

მირიანმა ბახტრიონის ქუჩაზე ჩამოსვა ისინი...

* * *

ჯულია დიდუბეში ცხოვრობდა, ფოთის ქუჩაზე..

ქუჩის სახელწოდებამ ზღვა გაახსენა, ზღვამ კი გემი და გემზე მყოფი ბიჭი...

ეზოში შესვლისთანავე ფინია ჩაუვარდათ ფეხებში წკმუტუნით. ქალმა მიუალერსა, დაუყვავა, — მერე ალაყაფი ჩაჰკეტა და აგურის ერთსართულიანი, პატარა სახლისკენ წაუძღვა სტუმარს...

შუშაბანდში შუქი რომ აინთო, მირიანმა შენიშნა რა კოხტად და კოპწიად გამოიყურებოდა ირგვლივ ყოველივე. ქალმა ქურქი ჩამოართვა და თვითონაც გაიხადა პალტო, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმაოდ შელახული ბეწვი ჰქონდა საყელოზე შემოვლებული; ფოჩებიანი „კოვბურაც“ იქვე, კუთხეში ობობასავით ფეხებგაფარჩხულ გარდერობზე დაჰკიდა...

ცისფერ „როლინგსტონსა“ და შავ ქვედაწელში მისი მაღალი, სავსე მკერდი და მრგვალი თეძოები ინაკვთებოდნენ, გრძელი წამწამები თითქოს ჩრდილს ჰფენდნენ ისედაც შავგვრემან სახეზე, — ტუჩებზე სქლად ეცხო პომადა.

— ყავა მოგიდუღოთ, ბატონო მირიან?..

— კარგი იქნება, თუ არ შეწუხდებით, ჩემო ჯული!..

ქალის არც ხმასა და გარეგნობაში დაუდევრობის ან უტიფრობის ნიშანწყალი არ შეიმჩნეოდა და მირიანს გაუკვირდა კიდეც, — შავდიასა და ლოლიტას კამპანიაში რა უნდოდა, საიდან მოხვდაო... ეს გოგო ლოლიტას ბევრად სჯობდა... ლოლიტა მოტეხილიყო უკვე, ალარაფრად ალარ ვარგოდა!..

— ცუდი წარმოდგენა შეგექმნათ, ალბათ, ჩემზე, ბატონო მირიან... — უთხრა მან. — ბევრის უფლება მიგეცა თავს ამ საღამოს... არადა, რაც მეუღლე დავკარგე, მას აქეთ სულ ვგლოვობ და ტირი — ჯერაც არ გამიხდია შავები, მაგრამ რომ არაფერს შველის?!.

— რას იზამთ, ცხოვრება თავისას მოითხოვს... — მიუგო მირიანმა. — თქვენ შეგფერით კიდეც მხიარულობა, — არ მინდა ასაკი დავაზუსტო, მაგრამ ოც-ოცდაოთხ წელზე მეტის არ იქნებით... მე კი ნამდვილად არ მეპატიება ასე აცეტება... არაუშავს, ხანდახან ხდება ხოლმე... ამ საღამოს კოწო შავდიას ჭკუაზე დავდექი — შავდიას „გაუსწორე“... ხასიათი, რაღა თქმა უნდა! ნუ მიწყენთ, ჯულია, და ვერც თქვენი სადღეგრძელო გავიგე, — ახლაც არ მესმის რას ნიშნავს „ჩვენი ნეტა“...

— სისულელეა... — დარცხვენით გაიცინა ქალმა. — ყურმოკრული მქონდა რაღაც, და ვითომ თავი გამოვიჩინე... ისე, „ნეტა“ ხომ ნატვრაა: როცა ამბობენ, — ნეტავი ესა და ეს მომცა, შემისრულა ან შემაძლებინაო...

— თქვენ პირადად, რას ინატრებდით?.. — ჰკითხა მირიანმა.

— არაფერი მინდოდა, ოღონდაც ქმარი მყოლოდა ცოცხალი... — სევდიანად გაიღიმა. — ძნელი ყოფილა მეგობრის დაკარგვა!

— რა მოუვიდა?

— ავარიაში დაიღუპა...

— დიდი ხანია?

— მეოთხე წელი დაიწყო უკვე...

— ცუდია სიკვდილი... — თქვა მირიანმა. — მით უფრო, როცა ასეთი ლამაზი ცოლი გრჩება!..

— კომპლიმენტისათვის მადლობა... —გაუღიმა ქალმა. მისალებ ოთახში ისხდნენ და ყავას შეექცეოდნენ. — იქნებ არ დაიჯეროთ, მაგრამ პირველი უცხო მამაკაცი ხართ, ვინც ამ ფეხებში შემოდგა ფეხი...

— ნუ ღელავთ, ქალბატონო ჯულია... ამ საქმეში დიდად გათვითცნობიერებული არა ვარ, მაგრამ მაინც ვატყობ, სრულ ჭეშმარიტებას რომ მეუბნებით... ის კი არა, მეშინია გარეთ არ მიმაძნიძანოთ!..

— უნდა გამოგიტყდეთ, — გაიღიმა ჯულიამ. — რაც აქ შემოვედით, სულ ეს აზრი მიტრიალებს თავში...

— აჰ, რას ამბობთ... — შეიცხადა მირიანმა. — უმჯობესია ტყვია მესროლოთ!.. — და ტყვიის ხსენებაზე ანაზდად შეკრთა.

— გნებავთ ყავაზე გიმჩითოთ?!.

— სიმართლე გითხრათ, ამეებისა არაფერი მჯერა... განა შეუძლია ვინმეს, ჩვენზე უკეთ განსჭვრიტოს ჩვენივე ბედი?!..

— მე კი პირიქით, — საშინელი ცრუმორწმუნე ვარ...

— ქალები, საერთოდ, ცრუმორწმუნეები არიან... შვილი რამდენი დაგრჩათ, ქალბატონო ჯულია?

— ორი ბიჭი! — ამაყად მიუგო მან. — მშობლებთან მყავან და მეტწილად მეც იქა ვარ ხოლმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე გული გადაუშალა: სამსახურს ვეძებ, მაგრამ საშუალოს მეტი სხვა განათლება არა მაქვსო.. მშობლები რომ არ მეხმარებოდნენ რა მეშველებოდა, ობლებს ვინ გამომაზრდევინებდაო... ამ სახლის გაყიდვას ვაპირებ და თან მენანება — არ მინდა ბიჭებს მამისეული კერა მოვუშალოო... არადა აწი, როცა წამოიზრდებიან, მეტი და მეტი დასჭირდებათო...

მირიანს გულში არ ეამა, ჯულია ასე აშკარად და მოურიდებლად რომ სთავაზობდა საყვარლობას, თუმცა, შავდიასი არ იყოს, მართლა ეშხიანი ქალი კა ჩანდა და თუ არა ეს ბედნიერი შემთხვევა, მასთან დასაახლოებლად ალბათ ბევრი დრო და წვალებაც დასჭირდებოდა...

ამ აზრმა უცებ აღაგზნო — გააბრუა, გაახალისა...

— მოხარული ვარ გაგიცანით... — ხელზე მოჰკიდა ხელი.

— კიდევ ხომ არ ინებებთ ყავას, ბატონო მირიან?.. ჯულიამ ხელი მოარიდა.

— არა... ძილს აფრთხობს... თუმცა დამისხით, დამისხით... თქვენს შემყურეს აწი მაინც რაღა დამაძინებს: — ფინჯანი ჩაამხო.

— მაინც გადაწყვიტეთ მამკითხავებინოთ, არა?

— არა... ისე, უბრალოდ... ხომ გითხარით ცრუმორწმუნე არ გახლავარ-მეთქი!

— მით უფრო საინტერესო იქნება, ბატონო მირიან... — ჯულია ფინჯანს დასწვდა. — რაც ამოვა, ყველაფერს დაუფარავად გეტყვით, აღარ მომერიდება!

— კარგი, თანახმა ვარ, — აბა ერთი ვნახოთ, რას მეტყვით.

გოგო იდუმალი სახით ჩააცქერდა ფინჯანს.

— მგონია, ვერ უნდა იყოს კარგად ჩემი საქმე... — გაიცინა მირიანმა.

— ნუ ხუმრობთ, ბატონო მირიან... — წამით შეავლო მზერა. — მე ასეთი უცნაური ფინჯანი ჯერ არ შემხვედრია... მტრები გყოლიათ ბევრი!

— მაშინებთ, არა?..

— ოო... ეს ერთი მაინც როგორაა გაბოროტებული... რა ჩაიდინეთ ისეთი?.. შეგიძლიათ ადამიანს რამე აწყენინოთ?

— გასაგებია... — ჩაილაპარაკა მირიანმა და ნერწყვი გადაყლაპა. — გსურთ შური იძიოთ, რაკი თქვენი მარჩიელობისა არა მჯერა რა...

— როგორ არა... ხელში მახვილი უპყრია და თავს გადგათ... — შთაგონებულის ხმით განაგრძობდა იგი. — ადამიანს არცა ჰგავს... ეშმაკია, ბოროტი სული... ფრთხილად, ბატონო მირიან, — ცუდად გყავთ ვიღაც შემოჩენილი!...

— მაინც ვერ შემაშინებთ... — ნერწყვი გაუშრა. იხტიბარს არ იტეხდა, თორემ გულზე ტყვიასავით ხვდებოდა ნათქვამი; შუბლი სიმწრის ოფლმა დაუცვარა.

ჯულია ფინჯანს ჩაშტერებოდა და ვერ ამჩნევდა რა დღეში იყო კაცი.

— ვინ არის ისეთი, ვისი სახელი ან გვარიც იწყებოდეს „გ"-ზე, ან „ს"-ზე?..

კაცმა შუბლი გახსნა, სახეზე ღიმი გამოუკრთა... ჩანს, ქალმა რაღაც იცოდა და ახლა სპეკულაციას ეწეოდა!

— თქვენ იცნობთ გუგა სამხარაძეს?.. — გამომცდელი ღიმილით შეუბრუნა კითხვა.

— გუგა სამხარაძე?.. — გაიოცა ქალმა.

— დაფიქრდით, იქნებ გაიხსენოთ...

— აჰ, როგორ არა!.. — ჯულიამ თავი ასწია და წამწამები პეპლის ფრთებივით ნელა დაიქნია. — გუგა სამხარაძე ხომ ლოლიტას ყოფილი ქმარია... მაგრამ ახლა აქ რა შუაშია?..

— ისე, უბრალოდ... მისი სახელი იწყება „გ"-ზე!

— აა... — გაიცინა გოგომ. — მე ის გითხარით, რაც ამოგივიდათ.

მირიანი დამშვიდდა... ცხადია, ჯულიას ეცოდინება მისი და ლოლიტას წარსული ურთიერთობა. გუგას მუქა-

რისა და ფახი-ფუხის ამბავსაც არ დაუმალავდა გოგო... ამას ნიშნავდა სწორედ — ვიღაცა გყავს შემოჩენილიო.. მოერიდა პირდაპირ ეთქვა, ყველაფერი ვიცით და მოიგონა— უნდა გკითხოო, ამგვარად რომ მიეხვედრებინა და მიენიშნებინა!.. რატომ დასჭირდა? — ცხადია, ჯერ სიყვარულის ახსნას მოელის... ქალი მაინც ქალია: სიამოვნებით მოგატყუებინებს თავს, ოღონდაც კი წამოგცდეს მიყვარხარო... აი, თურმე, რაც გაიპატიჟა წელან!

— ბოლოს რა ხდება, — ჰკითხა დამცინავი ტონით. — თავად ხომ არ უჭირს რამე პატივცემულ „გ"-ს, ან „ს"-ს?..

— ბოლოს?.. — დამნაშავესავით დაიბნა გოგო, მერე თავი ასწია და გულისმომწველი თანაგრძნობით შეხედა. — ნუ გეშინიათ, ბატონო მირიან... ყველაფერი კარგად იქნება... არ გატყუებთ... აი, ნახეთ, თუ არა გჯერათ... — ფინჯანის ფსკერზე რომელიღაც ხაზს გააყოლა თითი.

წამით მირიანს მოეჩვენა, თითქოს შავად და ოქროსფრად მბზინავი ლაქების მონახაზულობაში, ადამიანის მსგავსი გამოსახულება ამოიცნო, რომელსაც კუდი უცნაურად აეპრიხა... კვლავ უსიამოდ გაჰკენწლა გულმა, — მართლა ხომ არ არის, ნეტავი, ადამიანის ბედი წინასწარვე განსაზღვრულიო, გაიფიქრა.

— გმადლობთ... — თქვა მან დაბნეული ღიმილით, როცა ქალმა ფინჯანი კვლავ ლამბაქზე დადგა.

— ყავაზე რჩევისას მადლობა არაა საჭირო... თანაც ისეთი რა გითხარით... მართლა ხომ არ შეგაშინეთ, ბატონო მირიან?

— არა... — მიუგო უდარდელად. — მაინც არ გესიამოვნება კაცს, თურმე... თქვენ თვითონ გწამთ რამე?

— არა, წელან გაგეხუმრეთ... მაგრამ ბუნებით მაინც ყველა ცრუმორწმუნეა, — აი, ეს მინდოდა დამემტკიცებინა!

— მაგაზე ვერ დაგეთანხმებით, ჯულია!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცებ შენიშნა რა ვნებ[illegible] ჩერებოდა ქალი და, რა დროს ესაათ, გაიფიქრა... ხელები მოხვია, მკერდზე მიიკრა... იმას წინააღმდეგობა არ გაუწევია — მკლავები შემოაჭდო ყელზე...

კაცმა საძინებელ ოთახში გაიყვანა ქალი, მწვანეატლასგადაფარებულ ტახტზე დააწვინა...

— შუქი... შუქი... ამოილუღლუღა იმან, მირიანმა უკმაყოფილოდ რაღაც წაიბუზღუნა, მერე თვალებით დაუწყო გამომრთველს ძებნა და უცებ გაშტერდა: კედლიდან, შავ ჩარჩოში ჩასმული, ყმაწვილი კაცის ნაცნობი სახე გადმოჰყურებდა...

ვიქტორა იყო—მისი ყოფილი მძღოლი!..

— სად ხარ, სად... — ჯულიამ ჰაერში მოაფათურა ხელი, მერე თვალები გაახილა და მეუღლის სურათს მიშტერებული კაცი რომ დაინახა, ელდა ეცა:

— ვაიმე!.. — წამოიძახა სასოწარკვეთილმა, ტახტის კიდეზე წამოჯდა და სილა იტკიცა. თქვენ მას იცნობდით, ბატონო მირიან?.. მოიცათ, მოიცათ... მირიანი... მირიან დევიძე... საკონსერვო ქარხნის დირექტორი... რამ გამომაშტერა: ვიქტორი ხომ თქვენთან მუშაობდა, თქვენ გატარებდათ... ვაი, რა უსირცხვილო ვარ, რა უნამუსო... რატომ მიწა არ გამისკდება!.. — სახე ხელებში ჩამალა და აქვითინდა.

— მდაა... — თქვა მირიანმა და თავი გადააქნია. — რა არი მაინც ცხოვრება... საიდან სადაო, წმინდა საბაო... ამას ვინ იფიქრებდა... კარგი, დაწყნარდით, ქალბატონო ჯულია... რა ვუყოთ მერე, ხდება ხოლმე...

— რა მიქნა, რა დღეში ჩამაგდო... როგორ გამაუბედურა... — მოსთქვამდა მირიანის გვერდით ტახტზე ჩამომჯდარი ქალი.

— სულ ვეუბნებოდი — ე, ბიჭო, ნუ სვამ, თავი თუ არ გეცოდება ცოლშვილი მაინც შეიბრალე-მეთქი... კიდევ კარგი, შიგ არ ვიჯექი, თორემ მეც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქნებოდი ახლა ცოცხალი... მივლინებაში ვიყავი, ეს ამბავი რომ მოხდა და მერე სამძიმარზეც ველარ მოვახერხე მოსვლა; მოგეხსენებათ, გადადებული საქმე რაც არის... რამდენი ანეკდოტები იცოდა, მაცინებდა და თვითონაც იცინოდა... ბავშვები მომინათლეო, მეხვეწებოდა... ლიზიკო ახლაც მეუბნება ხანდახან — დედაჩემი — ნუ დაკარგამ იმ ხალხს, მოძებნე და ამბავი იკითხეო... ამ დრომდეც კი უნდა მომეხერხებინა, რაც მართალია, მარა რას წარმოვიდგენდი ასეთი კარგი ცოლი თუ ეყოლებოდა საწყალ ბიქტორას... ჰო, იმას ვამბობდი... რას ვამბობდი, ჩემო ჯული, ჩემო ლამაზო?.. ჰო, ბავშვებს ხვალვე მოგინათლავ... ეკლესია და მღვდელი რად გვინდა, ისედაც გავაჩაღებთ მოყვრობას... მერიდება შესვლა, ათასი მტერი მყავს, რო დამინახონ ერთ ამბავს ატეხენ, — ეკლესიაში დაიარება, ხომ იცი რანაირი ხალხია... ისედაც არ მიმიწევს გული, არ მწამს მაგათი არაფერი!..

— დიდი მადლობელი დაგრჩებით, პატივცემულო, მაგ სიკეთეს თუ მიზამთ... თან ვიქტორის სურვილიც იყო... რა დამემართა ეს, როგორ შევრცხვი... შვილებს გეფიცებით, ბატონო მირიან, ეს სამი წელი არაფერი, ანაგებად... არა ვარ ამის გამკეთებელი... რა იყო დღეს, რაღა მაინცდამაინც თქვენ... კიდევ კარგი რომ სწორედ თქვენ... ალარასოდეს გავივლებ გულში, სულ სხვანაირად ავაწყობ ცხოვრებას...

უცებ კაცმა კვლავ მიიკრა იგი მკერდზე.

— რას სჩადიხართ, ბატონო... — წამოიძახა სასოწარკვეთილი ხმით. — სირცხვილია, ნათესავებად ვერგებით ერთმანეთს... თავს მოვიკლავ, იცოდეთ!..—

ქალი დიდხანს ებრძოდა, — იგერიებდა, სთხოვდა, ემუდარებოდა...

მირიანი წამით გაირინდა, ყურები ცქვიტა... რაღაც ჭრიალისმაგვარი ხმა შემოესმა ეზოდან და ავმა წინათგრძნობამ გაუსერა გული...

მერე ფინია აჭაჭყანდა ალაყაფთან ჩამოხურულში, თითქოს მზად იყო ვინმეს სცემოდა...

მირიანი ფანჯარას მივარდა, ფარდა გადასწია და უცებ, ეზოში თეთრწვერა ნილბოსანი დალანდა!..

წიდა-ბლოკებით ნაგებ დაბალ გალავანზე იდგა, ცალი ხელი ალაყაფის სახურავისთვის მოევლო, მეორეში რევოლვერი ეჭირა... მსხვილი, ხშირი ფანტელების ფარდაში იგი ბუნდოვნად ჩანდა... ეტყობოდა ეზოში ჩამოხტომას ლამობდა და ძაღლმა შეუშალა ხელი...

როგორც კი მირიანი ფანჯარას მიადგა, ნიღბოსანმა მაშინვე მოუშვირა რევოლვერი...

იქვე ჩაიკეცა, მაგრამ თავდაცვის ინსტინქტმა მალე მოაფხიზლა, — ოდნავ წამოიწია, ეზოში გაიჭვრიტა და დაინახა: კაცი (თუ ბიჭი?.. ან იქნებ კუდიანი ეშმა?..) ის-ის იყო გალავნიდან ტროტუარზე ჩახტა... მირიანმა ჯიბეს გაიკრა ხელი, მაგრამ რევოლვერი მანქანაში დარჩენოდა, — რას წარმოიდგენდა, ექვს თვეზე ადრე მაინც თუ განმეორდებოდა ეს ამბავი... ნიღბოსნის თავი და მხრები ნელა გაცურდა გალავნის ზემოთ ჩამოშვებულ თოვლის ბადეში... მირიანმა კარგად გაარჩია ქეფასთან თეთრი ზონარით შეკრული ნიღაბი...

ფანჯრის მინები შეათვალიერა, — მთელი იყო: გასროლაც არ გაუგონია... მერე მოეჩვენა, თითქოს მიძინებული ქალაქი მოტორის გამაყრუებელმა ხმამ გადახერხა; ბოლოს ყველაფერი, მოჩვენებითიცა და რეალურიც, მიცხრა და ავად გაყუჩებულ ღამეში გაირინდა; მსხვილი ფანტელები კი ცვიოდნენ და ცვიოდნენ ციდან.

ჯულია ხომ არ იყო ნეტავი, ამ საქმეში გარეული?.. არა, არა, — ჯულია ახლა გა[illegible]ო, ეს ამბავი კი რახანია გრძელდება!.. ნუთუ გუგა სამხარაძე არსად წასულა, ხოლო ზღვა და გემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მოსალორებლად მოიგონა?.. იქნებ ამჯერადაც ეშლება რამე, მცდარ კვალს ადგას?.. არა, არა — აკი უთხრა ლოლიტამ, — შემპირდა და მომატყუაო!.. არ მოატყუებდა: ბიჭი პოეტია, სიკეთისა და სილამაზის ქომაგი... წამოდგა, ფარდა გადასწია: შემოსასვლელთან, ჩამოხურულში, კარის წინ გაფენილ ტილოზე, თოვლის გუნდასავით ეგდო ფინია: ისე მშვიდად თვლემდა ,ვერაფრით ვერ წარმოიდგენდით, ხუთიოდე წუთის წინ ხესა და მიწას თუ ანგრევდა ყეფით...

იქნებ მოეჩვენა?.. მთელი ღამის უძილოა, ნასვამი, განერვიულებული, — ნილბოსანი რომ ყოფილიყო, ხომ ესროდა?!. ისევ შეათვალიერა ფანჯრის მინები... არა, — ნაღდად მოეჩვენა, ნაღდად რაღაც ეშლება.

მირიანმა ჭიშკართან ის ადგილი შეათვალიერა, სადაც წუხელ ბიჭი წამოელანდა და გაშრა: გალავანზე თოვლი გადაჯეკნილი იყო და ზედ გარკვევით აჩნდა ნაფეხურები, ხოლო ალაყაფის სახურავზე. იმ ალაგას, სადაც ხელი ედო, ნილბოსანს მართლა დაეტკეპნა თოვლი... თავს მხრებში მალავდა, სანამ გაალებდა კარს და მიუჯდებოდა საჭეს... ჩანს გააცრუეს, — გუგა სამხარაძე არსადაც არ წასულა!.. ან იქნებ მოგვიანებით გაიგო მირიანი ამჯერადაც ცოცხალი რომ გადარჩა და მიტომ აღარ გაჰყვა გემს?..

* * *

კაბინეტში შესვლისთანავე ტელეფონს ეცა და ფოთის საზღვაო სანაოსნო შეუკვეთა საქალაქთაშორისო სადგურს... ნახევარ საათსაც არ გაევლია, „რაიონის ზარი“ აწკრიალდა... ახლავე გაირკვეოდა სიმართლე!

— ალო, ალო!.. საზღვაო სანაოსნოა?.. — ჩასძახოდა ყურმილს.

— დიახ, დიახ... კადრების განყოფილება გისმენთ!.. თქვენ ვინ ბრძანდებით?

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო, რომ გაწუხებთ... — მღელვარებისაგან სუნთქვა შეეკრა. — მე მამა ვარ, მამა... ამ ათიოდე დღის წინ ჩემი ბიჭი, გუგა სამხარაძე უნდა გაჰყოლოდა გემ „შოთა რუსთაველს...“ ამ დილით ვიღაცამ დამირეკა: — ორი საათით ადრე, გემის გასვლამდე, ჩხუბი მოუვიდა, კაცი დაჭრა და მიიმალაო...

— რამდენადაც ვიცი, ამგვარ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია... — მოისმა პასუხად. — მომითმინეთ, ამხანაგო სამხარაძე, ახლავე დავაზუსტებ!..

— ძალიან გთხოვთ, ბატონო... წარმოიდგინეთ რა დღეში ვიქნები, — მე მამა ვარ, მამა!..

— ნუ ღელავთ, მეგობარო... — გაიგონა მალე „იმედისმომცემი“ ხმა. — თქვენი ვაჟი, გუგა სამხარაძე, ჩარიცხულია ეკიპაჟის წევრად, ამჟამად იმყოფება გემზე და საცაა გასცდება კიდეც ჰიბრალტარს!..

მირიანმა ყურმილი დადო... კრიჭა შეჰკვროდა და ჭირის ოფლში ცურავდა...

ცოტა ხნის შემდეგ, სული რომ მოითქვა, მდივანი იხმო.

— გისმენთ, გედევანოვიჩ... — ნადია მაგიდასთან მოფეხუცდა, თან მხრებზე წამოსხმულ უჯრედულა შალს ისწორებდა გზადაგზა.

— თუ ვინმემ მიკითხოს ან დარეკოს, მე აქ არა ვარ...

— რა მოგივიდათ, გედევანოვიჩ?.. დაღლილი სახე გაქვთ...

— წუხელ მთელი ღამე გავათენე, ვმუშაობდი... ხომ იცი რამდენი საქმეა, წლის ბოლოა ახლა... აჰა, გასაღები, კარი ჩაკეტე — აქვე წავიძინებ ცოტას!..

— რომელ საათზე გაგაღვიძოთ?..

— ჩემით გავიღვიძებ... შენ ოლონდ ყარაული გააფრთხილე, უცხო არავინ შემოუშვას... ხომ იცი, წლის ბოლოა ახლა!..

— გასაგებია, გედევანოვიჩ...

ნადია გავიდა და კარი გარედან ჩაჰკეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი მეორე

## ძიება

* * *

გულში მწარედ ეცინებოდა:

დეტექტურ ფილმებში რომ ენახა და წიგნებში წაეკითხა, ზუსტად იმდაგვარი რამ სჭირდა... მაგრამ იმათ დასასრული აქვთ: ჯერ ჩაგითრევენ, დაგაინტერესებენ — გაწვალებენ, გაჯახირებენ და ბოლოს რაღაც სისულელე გამოირკვევა, მის ტანჯვას კი არა და არ უჩანდა ბოლო!

ნათქვამია, სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო: წასაკითხად და საცქეროლად იოლია, მით უმეტეს, იცი — თუ მთლად არა, ნახევარზე მეტი მაინც ტყუილია. მაგრამ ეს ხომ ცხოვრება იყო, სინამდვილე... თანაც სხვისი კი არა, პირადად მისი ცხოვრება და მის ზურგზე გადადიოდა ყოველივე!

აინტერესებდა კიდეც რა ხდება, რაშია საქმეო — მსგავსი რამ ამბვადაც არსად გაეგონა...

იქნებ ეს უარესი სისულელე გამომდგარიყო ბოლოს, ვიდრე ის „პირობითობა“ თუ „ალეგორიაა“, ლიტერატურულ და რეჟისორულ ხერხებად რომ იყენებენ დეტექტივებში, მაგრამ სანამ სიმართლე გაირკვეოდა, თავის გადარჩენაზე ხომ უნდა ეზრუნა, გაუგებრობისა თუ რაღაც „ალეგორიის“ მსხვერპლი რომ არ გამხდარიყო!..

სწორედ ამ მიზნით განმარტავდა კაბინეტში.

„ჩემი უმთავრესი შეცდომა ის არის, — გაიფიქრა მან. — ეჭვით რომ შევხედე საკუთარ თავს და პირად ცხოვრებას დავუწყე ქექვა, თითქოს ოდესმე შეიძლებოდა მართლა ისეთი რამ ჩამედინა, ვინმეს უფლება ჰქონოდა ახლა დანაშაულში წამომდავებოდა!..“

ასე ხომ დაუსრულებლად შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, — კვლავ და კვლავ დაეშვა ახალ-ახალი შეცდომები, ვიდრე ამასობაში უცნობი ნიღბოსანი შუბლს არ გაუხვრეტდა...

საბოლოოდ მივიდა უკვე იმ დასკვნამდე, რომ მიზეზი „საკუთარ დანაშაულში“ კი არა, ს ხ ვ ა თ ა ბ ო რ ო ტ ე ბ ა შ ი უნდა ეძებნა!

თავიდანვე ამ გზას უნდა დასდგომოდა, მაგრამ მაშინ რა იცოდა ასე რთულად თუ იყო საქმე და ამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს ამბავი, — უშუალოდ პირველ შთაბეჭდილებებს ენდო და თან ყველაფერი როგორღაც ისე აეწყო და დაემთხვა ერთმანეთს, რომ ძლიერ ჩამოჰგავდა სიმართლეს!..

მთელი ღამის ნერვიულობამ, დაქანცულობამ და უძილობამ თავისი გაიტანა: ყინწი სწყდებოდა სავარძელში მჯდომარეს, ფიქრები უსხლტებოდა და ეფანტებოდა...

დივანზე წამოწვა და ქურქი წაიფარა...

სიზმრად ხედავდა საკვამლე მილიდან ამომავალ ბოლს, რომელიც ღრუბელივით მთელ ცას ფარავდა... დაახლოებით საათნახევარი ეძინა... მერე უცებ, ამ მჭვარტლისა და მურში, ბახა-ბახა წამოელანდა და გახარებული წამოვარდა ზეზე ნახევრადმძინარე: ახლა კი, ვგონებ, მართლაც ამოვიცანი მტერიო!..

„ვგონებო“, იმიტომ დააყოლა ფიქრს, ამდენჯერ რომ შეცდა და შეეშალა, თორემ ახლა ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ უცნობი ნიღბოსანი სწორედ ბახა-ბახა იყო... ქურდი, რეციდივისტი, ნაბიჭვარი... „მაყუთის შეწერა“ რომ მოუნდომა ერთხელ, მაგრამ როგორ არა, მიართვა, — პირში ჩალაგამოვლებული გაისტუმრა...

მაშინ დაემუქრა ბიჭი: ბახა-ბახა აქ-ვიყო, თუ არ განანოო!..

ამ აღმოჩენამ გაახარა და გაახალისა: ბახა-ბახას გაჩუმებას რა უნდოდა — ისეთი ჩიტი გახლდათ, ყველა საქენქს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ დაუწყებდა კენკვას, ოლონდაც მიგეყარათ... მაშინ მართლაც მეტისმეტი მოუვიდა, გადააჭარბა — მთლად აიგდო, გაამასხარავა, გააპამპულა და ფეხებზე დაიკიდა კაცი (კოწო შავდიას ბრალი იყო, — იმან ურჩია ასე)...

კისრის ძარღვების ზელვა-სრესით გაემართა მაგიდისაკენ (თავი დივნის სახელურზე ედო და კინჩხი ასტკივნოდა)... ნადიას ჩაი შემოატანინა, სავარძელში ჩაჯდა და ნება-ნება იწყო წრუპვა...

ახლა, ბახა-ბახას ამბავს რომ იხსენებდა, სახიდან არ შორდებოდა ირონიული ღიმი...

* * *

შარშან ამ დროს — ახალი წლის წინა დღეებში — ვიღაც ბიჭმა შემოუღო კაბინეტის კარი...

ზამთრისათვის შეუფერებელი მოწნული ტუფლები, ზოლებიანი შარვალი და სინთეზური მასალისაგან შეკერილი ბაცი კურტაკი ეცვა, უქუდოდ იყო და მოკლეზე შეკრეჭილი ჭალარა თმა სველი ჰქონდა... არც უკითხავს შეიძლება თუ არაო, თავაღერილი პირდაპირ მისკენ გამოემართა; მარცხენა ხელი შებინტული ჰქონდა, ისე, რომ ერთმანეთზე მჭიდროდ შეტყუპებული თითები უჩანდა. ვიწრო შუბლი, კეხიანი ცხვირი და მოლურჯო-მოწითალოდ აჭრელებული სახე ბიჭს რაღაცნაირ შემზარავ და იმავდროულად შესაბრალის იერს აძლევდნენ...

გაკვირვებული შეჰყურებდა: ვინ ხარ, რა ხარ, რა გინდაო — ჰკითხა.

— გამარჯობათ, ბატონო მირიან!.. — განგებ დაბოხებული ხმით მიესალმა ბიჭი და დიდის ამბით გაუწოდა ხელი; გამოცვიებული ჭრელი თვალები და აპრეხილი წამწამები ჰქონდა... ყოველ უმნიშვნელო მოძრაობაზეც კი მის სველ, გახეშეშებულ კურტაკს ხრიგინ-ხრიგინი გაუდიოდა...

— გისმენთ ჰო... მითხარი ვინა ხარ, რა გინდა!- — თითქმის შეუღრინა მირიანმა და დაუფარავი ზიზღით აჰხედდაჰხედა. ნადიაზე გაბრაზდა, რად შემოუშვაო.

— ჩამომართვით ჯერ ხელი... მე ის კი არა ვარ!.. — წამოიქოჩრა ბიჭი და მისმა სიცივისაგან გალურჯებულმა მარჯვენამ მაგიდაზე ნებიერად დასვენებული, მირიანის თბილი, სათუთი ხელი მოსძებნა...

დააბნია და შეაკრთო პირველმა მარცხმა; ეტყობა, ამ ვიზიტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და საგულდაგულოდაც მომზადებულიყო წინასწარვე, მაგრამ მაინც მხედველობიდან გამორჩენოდა ეს უეცარი შეფერხება, რადგან არ ეგონა ხელის ჩამორთმევას თუ დაამადლიდნენ (ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ კაცი)...

— დაჯექი... — უთხრა მირიანმა და ორი თითი შეახო გამოწვდილ ხელს (მიხვდა უკვე ვინც იყო!)...

წამხდარ საქმეზე ბიჭმა ესეც საკმაოდ ჩასთვალა და მეტად აღარ დაიმჩნია წყენა...

— ჩემი სახელი, ალბათ, გაგონილი გექნებათ — ქვეყანა მიცნობს!.. — რიხიანად დაიწყო მან. სკამი ხრიგინით გამოსწია და დაჯდა. — მე ვარ ბახვა სითათიშვილი, ანუ ქურდობაში „ბახა-ბახა“... — დაახლოებით ოცდაექვსიოცდაშვიდი წლისა იქნებოდა, ლაპარაკისას ტუჩებს წელავდა და ვერცხლის კბილებს აჩენდა. თავისი მეტსახელის ხსენებამ, ეტყობოდა, სიამაყე და რწმენა შეჰმატა და გადაწყვიტა „ფსიქოლოგიური იერიში“ მიეტანა: — ბახ-ბახ იცით, ალბათ, რას ნიშნავს, პატივცემულო... — მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და მასპინძელი მეტისმეტად რომ არ დაეფრთხო, მარჯვენა ხელი გვერდზე გაიშვირა (მოარიდა!), საჩვენებელი თითი ორჯერ ზედიზედ მოხარა და გაშალა, და თან დააყოლა: „ბახ... ბახ!..“ — თუმცა, აქვე გამოგიტყდებით, დანას უფრო ვეგუები, ვიდრე რევოლვერს!..

— ვიცი, როგორ არა... — მირიანი გაალიზიანა მისმა უტიფრობამ, მაგრამ თავი შეიკავა და ზრდილობიანად გაუღიმა. ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავ კიდეც შეკრთა. — მაშ, ეს თქვენ ბრძანდებით ბახა-ბახა?..

— კი, მე ვარ... — ამაყად თქვა ბიჭმა და მაგიდაზე დადებულ „საქართველოს“ წითელ კოლოფს წაეტანა. — ჩემიცა მაქვს, არ იფიქროთ მთლად სხვის მოიმედე ვიყო, მაგრამ მე „პრიმას“ ვეწევი... იმიტომ კი არა, თითქოს „პრიმას“ ვამჯობინებდე — არა: იაფია და თანაც უფრო იშოვება... — კურტაკის ჯიბიდან კიდეებშემბალი, ნახევრადდაშლილი კოლოფი ამოიღო და ხელში შეატრიალ-შემოატრიალა, — არ გეგონოთ რამეს ვემმაკობდე და „სამსუნით“ მქონდეს პილზები დატენილი... არა, თქვენც არ მომიკვდეთ, — ჩვეულებრივი მტვერი და ნაგავი ყრია შიგ... მომკლა, გამიჩინა ყელის კიბო, მარა რა ვუყო... მომიკიდეთ თუ შეიძლებოდეს... — ცდილობდა ზრდილობიანად და კულტურულად ელაპარაკა. — ოო, დიდი მადლობელი!..

ორი კვირით ადრე ამ ამბამდე, დილის ფოსტას რომ ათვალიერებდა, ერთ უცნაურ ბარათს წააწყდა, რომელსაც ვინმე „ბახა-ბახა“ აწერდა ხელს... ბარათის შინაარსმა გადარია და გააცოფა, თუმც ავტორი უაღრესად მორიდებული და მოკრძალებული ტონით სთხოვდა „სესხად“ სულ რაღაც „ათი ათას“ მანეთს (ესე იგი ასი ათასს ძველი კურსით), რომელიც ციხიდან ახალგამოსულს ხელის გასამართავად სჭირდებოდა („წილის ყიდვას ვაპირებ ტყავსაგალანტერიო საამქროში!“). ფულს, რა თქმა უნდა, დაუბრუნებდა, როგორც კი სარგებელს ამოიგებდა, — ანდა ცოტა მოგვიანებით — „პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში“... ხოლო თუ ეს არ მოხერხდებოდა (ვალის დაბრუნება!), — ვთქვათ, „ობეხე“ რომ დასცემოდათ თავს, ან სხვა გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო საქმეს არ გაემართლებინა — მაშინ, მართალია, ფულს დაჰკარგავდა, მაგრამ სამაგიეროდ, ბახაბახას სახით, მირიანი შეიძენდა ერთგულ მეგობარსა და უსაყვარლეს ძმას, რომელიც თავისი „გამავლობის, ავტორიტეტისა და გამჭრიახობის წყალობით“ ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა როგორც პირადად მას, მირიანს, ასევე მთელ ქარხანას... ერთი სიტყვით, ბახა-ბახა შეფობას კისრულობდა!.. მარტო ის რად ეღირებოდა, „ობიექტი დაცული რომ ექნებოდა და მის მეტი ვაგლახად ცხვირს ვერ შემოჰყოფდა შიგ!“, რაც იმას ნიშნავდა, რომ „სამაგიეროდ წილი უნდა ეძლიათ“ (ვადებზე და თანხის ოდენობაზე ცალკე მოილაპარაკებდნენ)... დადებითი პასუხის შემთხვევაში (სხვანაირად ბახა-ბახას ვერც კი წარმოედგინა!), მირიანს ფული „ერთ კვირაში“ უნდა მიეტანა მალაქიას დუქანში და მებუფეტე ჭულურასათვის დაეტოვებინა (ფოსტითაც შეიძლებოდა გაგზავნა!), რისთვისაც ბიჭი წინასწარვე იხდიდა მადლობას... ხოლო უარის შემთხვევაში („მე მჯერა, რომ ეს არ მოხდება!“), მირიანს იმავე ჭულურას მეშვეობით უნდა ეცნობებინა მიზეზი: რატომ, რისთვის და რა უფლების ძალით?.. უმჯობესი იქნებოდა წერილობითი ახსნა-განმარტება მიეცა!.. „ბევრი კარგი მსმენია და ეჭვიც არ მეპარება თქვენს კაცურ კაცობაში, — დასძენდა ბოლოს ბიჭი. — ქალაქში ლეგენდები დადის მირიან დევიძეზე და მართლია, ხარჯიც ბევრი გაქვთ, მაგრამ, იმედია, ეს მცირე თანხა არ დაგაზარალებთ, რითაც მე ცხოვრების გზას გამიკაფავთ, ხოლო თქვენ კიდევ ერთ კეთილ საქმეს შემატებთ თქვენი ამდენი ხნის ნალვაწსა და ნაამაგარს!.. პატივისცემით: თქვენი მომავალი ძმა და მეგობარი — ბახა-ბახა“.

აი, რა კაცი ეჯდა ახლა კაბინეტში!

— მაშ, ეს თქვენა ხართ, ბახა-ბახა?!. — გაუღიმა მირიანმა.

— დიახ, დიახ... მე გახლავართ ბახა-ბახა, თქვენი უმცროსი ძმა და კოლეგა!.. იმიტომ შეგაწუხეთ, მინდოდა გამეგო: ჩემი წერილი მიიღეთ თუ არა?.. ჭულურასთან ვიყავი ახლა, იქედან მოვდივარ, მაგრამ პასუხი არ ჩანს, ვადა კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რახანია ამოიწურა... იქნებ არ მიგიღიათ?.. ხდება ხოლმე ფოსტის მუშაკთა დაუდევრობის წყალობით, რასაც, სამწუხაროდ, შეიძლება მთელი რიგი გაუგებრობები და უსიამოვნებანი მოჰყვეს შედეგად...

— ჰა, ჰა ჰა... — გაიცინა მირიანმა. — როგორ არა, ჩემო კარგო, — მივიღე, მივიღე და ბევრიც ვიხარხარე... — კიდეწაფხრეწილი კონვერტი ამოიღო ჯიბიდან. — აი, ისიც... ხა ხა ხა ხა... მიყვარს იუმორი! — ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოაძვრინა კონვერტიდან, გაშალა და დაანახა. — თქვენია, არა?.. ხომ არ მეშლება რამე, ხომ ხართ ნამდვილად ბახა-ბახა?!.

— დიახ, ვარ... — კბილებში გამოსცრა ბიჭმა და სცადა, რაც გაეწყობოდა, შემზარავი გამომეტყველება მიეღო. — დიახ, მე ვარ ბახა-ბახა, მაგრამ თქვენ მაინც გეშლებათ... ხომ არ დაგავიწყდათ, ვის ელაპარაკებით?..

— არა, არა, ნუ გეშინია, — ზედვე გეტყობა წესიერ კაცს რომ არ გავხარ... ხი, ხი... ჰი, ჰი... მაგრამ ეს სულ სხვა სტილზეა დაწერილი და მიტომაც შემეპარა ეჭვი, შენ სხვანაირად მეტყველებ... თუმცა არა, არა, — პირიქით: ორივენი ერთნაირი ყოფილხართ!

— მე თქვენ წესიერი კაცი მგონიხართ და წესიერად გელაპარაკებით... საინტერესოა რა გაქირქილებთ, რას ხედავთ აქ სასაცილოს?!.

— როგორ... — გაიოცა მირიანმა. — იქნებ გინდა თქვა, რომ არ ხუმრობდი, როცა ამ ბარათს სწერდი?!

— თქვენ ხუმრობად მიგაჩნიათ, ბატონო მირიან, კაცს რომ უჭირდეს და კოლეგას დახმარება სთხოვოს?..

— რა კოლეგა, რის კოლეგა... — მაგიდას მუშტი დაჰკრა. — წეღანაც ახსენე ეს სიტყვა... ვინაა შენი კოლეგა, შე ქურდო და გათახსირებულო, შენა!..

— დიახ... — ნიშნისმოგებით უთხრა ბიჭმა. — ვარ ქურდი და ამას არც ვმალავ... შენ კი, ვალდებული ხარ, თანამოძმეს დახმარების ხელი გაუწოდო!

— როგორ მიბედავ... — მირიანმა ისევ დაჰკრა მუშტი მაგიდას. — შენ მე ვინა გგონივარ, ამხანაგო?!.

— შეეშვი ამ მუშტების ბრახუნსა და თვალების პრაწვას, „ამხანაგო!..“ — ურჩია ბახა-ბახამ. — შენი ხელქვეითი ხომ არ გგონივარ, — მეც შენი რანგისა და „მასტის“ კაცი ვარ და არ უნდა მაკადრო... ხო ხედავდი, რა თავაზიანად გელაპარაკებოდი ამ დრომდე, მარა აწი მე მკითხე შენი პატივისცემა... — ბიჭა თვალები გადმოეკარკლა, სახე კიბოსავით გაუწითლდა და ყინტორა კისერზე ძარღვები დაებერა, — ვთქვი და კიდევაც გავიმეორებ: დიახ, ქურდები ვართ ორივენი, მაგრამ მე შენთან რას მოვალ, მე საწყალი... შენ ცოლ-შვილი ბრილიანტებში გყავს ჩასმული... — ვაი, საბრალო ნანო და ნუცა, ნეტა ერთი ეს მოგასმენინათ, რას იტყოდით, საინტერესოა, რა პასუხს გასცემდითო, ჩაილაპარაკა მირიანმა, მაგრამ ბახა-ბახას ყურადღება არ მიუქცევია, თავისას განაგრძობდა. — აბა თუ სადმე ლამაზი ქალი გაჭაჭანდა, ვინ შეგეცილება, ვის აქვს უფლება... — ამან რომ ლოლიტას ამბავი იცოდეს ცოცხლად შემჭამსო, — გაიფიქრა მირიანმა. „კიდევ კარგი, გათხოვდა ის გოგო და ჩაბარდა მის პატრონს!“.. — მე კი ვილაც ოხრებში დავეთრევი და შიშის კანკალში ვარ, ჭირვება არ დავიმართო-მეთქი... შარშანწინ, სანამ დამიჭერდნენ, ოთხი ჯვარი ავიკიდე და სამი თვე გამატკუცვინეს ნინოშვილის ქუჩაზე... სისხლი გამიწყალა ამდენმა „ლივანიამ“ და გველის შხამმა... ერთი გოგო მომწონდა და ისიც ქე გათხოვილიყო ამასობაში... მე თუ მკითხავ, დიდ უსამართლობად მიმაჩნია ამხელა განსხვავება ასე ერთნაირი პროფესიის მუშაკთა — მე და შენ რომ ვართ — შრომით ანაზღაურებაში... შენ კი რაღაც საცოდავი ათი ათასი მანეთის გულისათვის იმდენს მაყეფებ, ლამის ყბა მომექცეს... აქეთ მეც მანერვიულებ და იქეთ შენ თავსაც საფრთხეში იგდებ.. ორი კვირა გავიდა მას შემდეგ და ჯერაც არ მიგიტანია ფული ჭულურასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას ვინ ჩივა, პასუხის ღირსიც არ გამხადე!.. მოვკვდი, აღარ შემიძლია, გამიშრა ყია... იმდენი ზრდილობაც არ გაგაჩნია პირის გასასველებლად რამე შემომთავაზო... — ბიჭი კარადასთან მივიდა, ვაშლის წვენი დაისხა და დალია.

— მე შემიძლია ახლავე მილიციას გამოვუძახო და დავაჭერინო შენი თავი... — უთხრა მირიანმა და წერილი ჰაერში შეაფრიალა. — საბუთად მარტო ეს კმარა!.. ციხეებში ნათრევი კაცი ხარ და სისხლის სამართლის კოდექსი ზეპირად უნდა იცოდე: ამას გამოძალვა ჰქვია და სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება!.. ხომ არ გგონია ვერ მოგაგნებენ, რაკი ბაზვას მაგივრად ბახა-ბახა მიგიწერია ქვეშ?.. შენი დოსიე, ალბათ, სადაც ჯერ არს, სეიფში ინახება და იმდენს კი უნდა ხვდებოდე, რომ იქ, მაგ ტურტლიანი თითების ანაბეჭდებთან ერთად, ეგ შენი ქურდული მეტსახელიც იქნება ჩანიშნული... წესით, გულბოროტი კაცი რომ ვიყო, მართლა უნდა მომეტანა ფული (ვიშოვიდი სადმე — მივესესხ-მოვესესხებოდი) და მილიციაც დამეყენებინა თავზე!..

— შენგან არ გამიკვირდებოდა... — მიუგო ბიჭმა და კვლავ დაისხა წვენი. — ამბობენ, ამ სამი-ოთხი წლის წინ ერთი უკვე მოგიყუჩებია მაგნაირად, შენივე თანამშრომელი!..

— შენ მისამართი შეგშლია, ჩემო კარგო, ისევე როგორც იმ საბრალოს შეეშალა მაშინ, ვისზედაც ახლა მელაპარაკები... სხვათა შორის, განათლებული, წესიერი ყმაწვილი იყო, შენ კი არა გგავდა!... მე შემიძლია პასუხი მოგთხოვო შენ პირადად ჩემი და ჩვენი კოლექტივის შეურაცხყოფისათვის, მაგრამ არ გთვლი სერიოზულ კაცად — ნაძირალა ხარ, საზოგადოების ხორცმეტი და ამდენზეც არ უნდა შემოგყოლოდი... მაინც მინდა, მოგიწოდო და რჩევა მოგცე: გონს მოდი, მიაფურთხე ეშმაკს — პატიოსან შრომას მოჰკიდე ხელი... ჩემი კეთილი სურვილები ლიტონ სიტყვებად რომ არ დარჩეს, მზადა ვარ პრაქტიკული დახმარება აღმოგიჩინო და თუნდაც დღესვე მიგიღო ქარხანაში, თუ ჯერ მთლად არ გადაგვარებულხარ და რისიმე უნარი კიდევ გაგაჩნია...

— ნუ სწუხდებით, ბატონო მირიან... — ბიჭმა ისევ დაისხა ვაშლის წვენი, სავსე ჭიქა ხელს გამოაყოლა და თავის ძველ ადგილას დაჯდა. — მე რისი უნარიც გამაჩნია, მაგას მალე ნახავ... — დაგემოვნებით მოსვა წვენი. — მშვენიერი იქნებოდა, ტექნოლოგიურ რეჟიმს რომ იცავდეთ და სანახევროდ წყალს არ ურევდეთ შიგ... დიახ, — ბევრი წყალი, ცოტაოდენი შაქარი და ოდნავ მაყალოს ნაყური ან ლიმონმჟავა არომატისათვის... აი, როგორ ატყუებთ ჩემისთანა გულუბრყვილო მომხმარებლებს და მერე გვიკვირს, კუჭის წყლული რამ გაგვიჩინაო...

— ეგრე არაა, ლამაზო, შენ რომ გგონია, — მიუგო მირიანმა დამცინავად. — ათასი თვალი და ყური გვიდარაჯებს, გვაკონტროლებს და გვამოწმებს... ვერა ხედავ, შენ რა დღეში ხარ აგერ, სულ რომ არავინ გეკითხება, და ვისაც მართლა ეხება, ისინი რაღას იზამენ!..

— შეკრული ხართ ყველასთან, ბატონო მირიან... ყველგან მოიძებნება თითო-ოროლა შენისთანა სინდისგარეცხილი და ჰბანთ ერთმანეთს მაგ ბინძურ ხელებს... აბა მე კი არავინ შემეკვრება, — ჩემგან რა ხეირი უნდა ნახონ, და დავბალახობ მეც ამ გაფხეკილ ჯიბეებში — ერთ დღეს რომ წავკიკნი ცოტას, მერე, მთელი ორი დღე, ბაკში ვარ გამომწყვდეული, განტავების ვაცივით... სინამდვილეში თქვენს დანაშაულს გვაზღვევინებენ და თქვენთვისვე ვართ საჭირო „საზარბაზნე ხორცად“, შენ კი იმდენად ტუტუცი ხარ ეს ვერ შეგიგნია და რაღაც ქეციანი ათი ათასი მანეთისათვის ამდენს მაყბედებ... მარა, ამ ბოლოს, ჰკუა ვისწავლე და გადავწყვიტე კვალიფიკაცია ავიმაღლო, დიპლომიანი ქურდი უნდა გავხდე... იმისათვის მჭირდება ფული — ხუთი ათასად შემპირდა ერთი კაცი, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე მეც შენსავით მუხის პანელებში ჩავჯდები და კაზინონ მანქანას ამოვიდებ ჯიბეებში, — ხანდახან სხვებსაც ჩავსვამ შიგ — სულ კარებთან ბატონის ცხენივით კი არ მეყოლება დაბმული!.. ძვირფას კოსტუმებსა, გალსტუკებსა და დუბლიონკებში რომ გამოვიწკიპები და ჯიბეში მაყუთი დაიწყებს ჭყავილს, მერე ნახე რა ლამაზი ბიჭი გამოვჩნდე — ჩემი გულისთვის გოგოებმა ვინძლო თმებითაც დაითრიონ ერთმანეთი... აღარც შენ დამიწყებ ასე ცხვირაწევით ცქერას, დავმეგობრდებით და სულ ერთად ვივლით რესტორნებსა და გოგოებში — ჩემზე უკეთესი ვილან გეყოლება!.. ერთი სიტყვით, იმ ხუთი ათასსაც თუ წამომიმატებ, დიპლომისათვის რომ მჭირდება, ხომ კარგი, თუ არა და ჯანდაბას — იყოს ათი, — ოღონდაც მალე ჭენი, მოიტა ბარემ ახლავე და გამიშვი მე ჩემს გზაზე!..

— წადი მერე ვინ გაკავებს!.. — გაიცინა მირიანმა.

— ჯერ პასუხს ველი შენგან... — თვალები გადმოქაჩა ბიჭმა. — ან ჰო, ან — არა... მერე მე ვიცი!..

ბახა-ბახამ კურტაკი გადაიწია და მირიანმა თვალი მოჰკრა მის ჯიბეში ალაპლაპებულ დანას... მალე კურტაკი ისევ შეიკრა, მაგრამ დანის პირი მაინც მოუჩანდა... ბიჭს თვალები მოეწკურა, კბილები დაეკრიჭა, ქვედა ყბა ლაყუჩებივით წინ წამოეგდო და კითხვის ნიშანივით მხრებში მოხრილი მუქარით მისჩერებოდა...

მირიანმა დინჯად გამოსწია უჯრა (ბახა-ბახას წამით მოეჩვენა, მოტყდა როგორც იქნა, წახდა უკვე კაცი და ფულს მაძლევსო!), იქედან შავად მბზინავი რევოლვერი ამოიღო და მოშორებით, ბიჭი რომ არ მისწვდომოდა, მაგიდაზე დადო...

ბახა-ბახა გველნაკბენივით უკან გადაქანდა და სკამის საზურგეს აეკრა... ეტყობოდა არც ეს ჰქონდა გათვალისწინებული, — შიშისა და განცვიფრებისაგან ყბა ჩამოუვარდა, პირი დააღო და თვალები უაზროდ დაჭყიტა...

ბახა-ბახას წერილი რომ მიიღო, მირიანმა მეორე დღესვე კოწო შავდია მოინახულა... მართალია, დიდი მეგობრები არ იყვნენ, მაგრამ იცოდა მისი შავ-ბნელი წარსული და ისეთი ახლო ურთიერთობა კი ჰქონდათ, ამ გაჭირვების ჟამს რჩევა ეკითხა... შავდიას ჯერაც არ გაეწყვიტა კავშირი ძველ კოლეგებთან, — მას იცნობდნენ და აფასებდნენ ადრინდელ „დამსახურებათა“ გამო... ხშირად იწვევდნენ კიდეც და „საქმეებს არჩევინებდნენ“; ერთი სიტყვით დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა და თვითონაც ყველა იცოდა — ვინ რისი გამკეთებელი და შემძლებელი იყო... ამიტომაც განარისხა იგი ბახა-ბახას წერილმა: ვიცი, ვიცი, ნაბიჭვარია ერთი —მე მაგისი დედა ასე და ისეო... ბახა-ბახას ქურდობა ვინა თქვა, — თვითმარქვიააო... აფსუს, როგორ წახდა საქმე, ბახა-ბახაც ქურდობას იჩემებსო... როგორ შერყვნეს და გაათახსირეს ამ „წმიდათა წმიდა“ კასტის სახელიო... ლაჩარია, — ერთი ხმამაღლა რომ შეუყვირო, თაგვივით სოროს დაუწყებს ძებნასო... სწორედ ამ სილაჩრის გამო ეტმასნება ქურდებსო: კაპიკი არ მისცე, თორემ მერე ველარ მოიშორებ, — ხომ იცი, ლაჩარ და უნამუსო ხალხზე რაა ნათქვამიო... რავა გაბედავს, მარა თუ მოგაკითხოს არ შეეპუო და იარაღიც გედოს ჯიბეში, რა გენაღვლება — ერთი რომ დააკვრევინო თვალი, მეტიც არ უნდა, — მაგას რევოლვერისა ეშინია და ბახა-ბახა მიტომ შეარქვესო!

სწორედ კოწო შავდიას რჩევისამებრ მოიქცა და დარწმუნდა კიდეც, რა ნათელი გონების და ადამიანთა ფსიქოლოგიის რაოდენ ღრმად მცოდნეც იყო იგი... იქნებ ეს გახლდათ მიზეზი მისი შეცდომისა, როცა ცოტა მოგვიანებით, ტრესტის მმართველის სავარძლის ხელში ჩასაგდებად ატეხილ დავიდარაბაში, შავდია მიიჩნია თავის ყველაზე საშიშ მეტოქედ, რასაც ლოგიკურად მოჰყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე უფრო დიდი და სახიფათო შეცდომა: ამ პატიოსან, უბრალო კაცზე მიიტანა ეჭვი, ნიღბოსანმა რომ დაუწყო დევნა, სინამდვილეში კი, თურმე, ეს ლაწირაკი ბახა-ბახა ესხმოდა თავს!..

— ასე რომ, ჩემო კეთილო... — დაშაქრული ხმით უთხრა მაშინ ბიჭს მირიანმა და რევოლვერს თითებით ნაზად მიუალერსა. — გზა, რომელსაც შენ დასდგომიხარ, სახიფათოა, მოლიპული, და მალე უფსკრულში გადაგჩეხავს!.. ყველა ჩემისთანა კი არ შეგხვდება, — ზოგიერთი ადგებოდა ახლა და ტყვიას შიგ შუბლში მოგახლიდა... მე შენ გეტყვი და პასუხს მომთხოვს ვინმე თუ რა, ამ შენი ბრძნული ბარათისა და მაგ თევზისკუდა დანის შემხედვარე, ყასიდად რომ გიდევს ჯიბეში... თანაც არ დაგავიწყდეს, ჩემს კაბინეტში ხარ — თავს დამესხი!.. ტყუილს ვამბობ?.. — ცოტაც რომ მეცლია, ყელს გამომჭრიდი... ის კი არა და მიკვირს როგორ გითმენ... თავს დამესხი, — მორჩა და გათავდა!.. მე კი აუცილებელი მოგერიებისას შემომაკვდი... — მირიანმა რევოლვერი აიღო და ხელში შეათამაშა, ბიჭს შიშისაგან თვალები ლამის ბუდიდან გადმოუცვივდა, მაგრამ ამასობაში კაცმა რევოლვერი ისევ თავის ადგილას დადო და განაგრძო, — ეს ტერმინი გესმის, ალბათ, რასაც ნიშნავს იურისპრუდენციაში: ა, ბატონო, წერილი და ა, ბატონო, დანა — შემომივარდა კაბინეტში, სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისას, — მკლავდა ვიღაც ოხერი, ქურდი, რეციდივისტი და რა მექნა აბა, მომეკვლევინებინა თავი?!. — ისევ დასწვდა რევოლვერს და თითზე დაატრიალა. — თუ ხვდები მაინც, რამხელა სიკეთეს გიკეთებ, რომ არ გკლავ?.. ჩემი კეთილი ბუნება არ მაძლევს ამის ნებას, თორემ, იცოდე — ღირსი ხარ!.. ათი ათასი, ჩემო კარგო, თვალითაც არ მინახავს ერთად დაწყობილი, მით უფრო — თხუთმეტი!.. მე შემიძლია სამსახურში მოგაწყო, ანდა რჩევა-დარიგებები მოგცე უფასოდ, ჭკუა გასწავლო... შემიძლია, აგრეთვე, ჯემითა და კომპოტით გაგიმასპინძლდე და ორიოდე ყუთი სახლშიც გაგატანო... წვენებიც არ მენანება, მაგრამ შენ თვითონვე დაიწუნე და დაიჩემე, გინდა თუ არა კუჭის კატარს აჩენსო, თუმცა კი აგერ, მესამე ჭიქაც გადაგიყლურწავს უკვე!.. ეცადე რამე საქმეს მოკიდო ხელი, ამ გზით სიარული ხეირს არ მოგიტანს. მე სიტყვის პატრონი ვარ და მიუხედავად იმისა, ძლიერ მაწყენინე, მაინც მიგიღებ სამუშაოდ, თუ მოისურვებ!

— არაფერი არ მინდა შენი!.. — ხელი ჩაიქნია ბიჭმა, ადგა და დაქადნებულივით გაემართა გასასვლელისაკენ.

— ასე, ჩემო ბახა-ბახა... — ღიმილით დაადევნა მირიანმა. — რაკი არ გეყურება და ძველი გზით აპირებ სიარულს, ფრთხილად მაინც იყავი და მთლად მაგ თევზისკუდა დანას ნუ დაენდობი, თორემ ერთხელაც იქნება, — თავს წააგებ!

ბიჭი უცებ მოტრიალდა:

— გმადლობთ, ბატონო მირიან... — უთხრა ღვარძლითა და გაბოროტებით. — ვეცდები მომავალში მაინც გავითვალისწინო თქვენი კეთილი რჩევა და სხვა, უფრო საშიში იარაღით ვიმოქმედო!.. — გავიდა და კარი გაიჯახუნა.

მაშინ არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ამ სიტყვებისათვის, რაიც ახლა სანანებლად გახდომოდა...

მეტი სიდინჯე და წინდახედულება მართებდა; ასე თუ ისე, ბახა-ბახა მაინც საშიში კაცი იყო, — ცხოვრებაში ფეხმოუდგმელი და ქურდობაშიაც ხელმოცარული... ასეთ კაცს უნდა მოეფერო და დაუყვავო, არ უნდა გაალიზიანო... მან კი მთლად მოსპო და მოთხარა, ძაღლადაც არ ჩააგდო... ვინც გინდა იყოს, თავმოყვარეობა არ უნდა შეულახო — ყველაზე მეტად ეს აბოროტებს კაცს... თავიდან გადაწყვეტილი ჰქონდა ცოტაოდენი მიეშავებინა... შავდის ბრალია, — მის რჩევას დაჰყვა და აი, შეუღებლაც მოსისხლე მტრად მოიკიდა ბიჭი!..

ზარი დარეკა, — ჩაი გაცივებულიყო და ახალი შემოატანინა ნადიას...

ამ აღმოჩენამ მაინც გაახარა, — იოლად შემოსარიგებელ კაცად თვლიდა გუნებაში ბახა-ბახას.

იმ საოცარი მეხსიერების წყალობით, რომლითაც მთავარ ბუღალტერ ავკოფაშვილსაც კი ანცვიფრებდა, გონებაში სწრაფად აღიდგინა ბიჭის მისამართი: შავდიას ნათქვამი გაახსენდა, — ვიცნობ მაგ ნაბიჭვარს, დიდუბეში ცხოვრობს, ვახუშტის ქუჩაზეო...

* * *

ღამდებოდა უკვე: ცა მოწმენდილი იყო, ჰყინავდა... მეეზოვეებს ხის ძირებში მიეხვეტათ და მიეზვინათ წუხანდელი ჭუჭყიანი თოვლი... „დინამოს" სტადიონთან საეჭვო გარეგნობის სამი ახალგაზრდა იდგა; მირიანმა ქურდბაცაცებად შეიცნო ისინი და ჰკითხა, ხომ არ იცით, ბახა-ბახა ანუ ბახვა სითათიშვილი, რომელ ნომერში ცხოვრობს ვახუშტის ქუჩაზეო... ბიჭებმა უნდოდ შემოხედეს და მხრები აიჩეჩეს, მერე ერთმანეთს რაღაც ჩაულაპარაკეს და — ვგონებ, ცამეტ ნომერში უნდა ცხოვრობდეს მაგ სახელისა და გვარის კაციო, — დააწიეს. მანქანა რომ დაძრა, მირიანმა შენიშნა, ხარაჩოებში ჩასმული სტადიონის ზემოთ, ნარინჯისფერი ცის ფონზე, ბინდბუნდში რა თავზარდამცემ ურჩხულივით გაწოლილიყო ვეება ამწე-კრანი...

გაუკვირდა, ისე ძლიერ ჰგავდნენ ერთმანეთს ბახა-ბახასა და ჯიბო აბზიანიძის ეზოები, — ონკანიდან აქაც ისევე მოქშუოდა წყალი, მაგრამ მაშინ თუთის ხე ეფარებოდა, ტყვია არ გამომიჭუილოსო, ახლა კი თამამად აუყვა მეორე სართულის აივანზე ამავალ ხის კიბეს, ბახა-ბახასი რატომღაც არ ეშინოდა... ვისაც როგორ ეხერხება და ემარჯვება, ისე იბრძვის არსებობისათვისო, ფიქრობდა, — ხანდახან საჭიროა, ადამიანებმა მართლაც გავუგოთ და დახმარების ხელი გავუწოდოთ ერთმანეთსო... ფუნუქის ჩაჟანგულ ფირფიტაზე ძლივს ამოიკითხა გვარი „სითათიშვილი"...

შუა ხნის უშნოდ მოჯონჯილმა, წელზე შალშემოხვეულმა ქალმა გაუღო კარი და შეშინებულმა ჰკითხა, ვინ გნებავთო. ბახა-ბახას მეგობარი ვარო, — მიუგო მირიანმა... ქალი დაფაცურდა, — შალი მოიხსნა, თავსაფარი შეისწორა და ოთახში შეუძღვა სტუმარს. იქაურობა ისე იყო არეულ-დარეული და აყრილ-დაყრილი, თითქოს ეს-ესაა გაუჩხრეკიათ და გადაუქოთებიათო... ბიჭი შინ არ ჩანდა... მირიანი მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა და ქალმაც სწრაფად მოაშორა იქიდან სარკე, მაკრატელი და წითელი სავარცხელი... ეტყობოდა, ქერქეტა ქალი იყო, ანდა ჭკუაზე აფრაკად გახლდათ, ისე უბრჭყვიალებდა თვალები; ცხადია, არ მოელოდა, ალბათ, ამისთანა ღირსეული „მეგობარი" თუ ჰყავდა მის ბიჭს, და ამან მთლად გამოაყეყეჩა...

პატივცემული ბახვა სად ბრძანდებათ, — ჰკითხა მირიანმა.

ქალს უცებ ცრემლები ჩამოუგორდა ლოყაზე და მოთქმასავით გააბა:

— დაიჭირეს, დაიჭირეს... წაიყვანეს ჩემი ბახვა და ქე ვარ ახლა ასე გამოშტერებული... რა მეშველება, მე გაჭირვებულს, რა მეშველება — კაცის კვლას აბრალებენ, კაცის კვლას, კაცის კვლას... მე ხო ვიცი არაა ამის ჩამდენი... კაცს კი არა, ქათამს არ დამიკლავდა პატარაობისას — მეცოდებაო... გლახა წრეში მოხვდა, გლახა წრეში — დასაქცევი უბანია, დამიღუპეს შვილი!..

მირიანი გამოლენჩებული შეჰყურებდა... ისიც კი გაივლო გუნებაში: — ალბათ მე ვერ ვხვდები, თორემ მკვდარი ვარ უკვე,—მოვუკლივარ და ამის გამო დაუჭერიათო... მერე კვლავ უსიამო ფიქრებმა აუწეწეს სული: ძველ ამბებს ჩამოჰგავდა, რომ ვერ იქნა და ვერ მოიხელთა მტერი... წუხელ ბიჭმა მთელი ღამე უდარაჯა და სდია მოტოციკლეტით, ამ დილით, გამთენიისას, სცადა თავს დასხმოდა, დღეს კი სულ სხვა საქმეზე დაუპატიმრებიათ... მართლა კიდევ ხომ არ ეშლება რამე?.. არა, არა, — ბახა-ბახა ნაღდად მკვლელი ყოფილა, აკი დაუჭერიათ კიდეც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ამბავმა მირიანი ძლიერ დაალონა... უფრო სწორად, ჯერ დაალონა, დაამწუხრა — მერე კი გაახარა...

დაამწუხრა იმიტომ, რომ ბახა-ბახას შემორიგებას იოლ საქმედ თვლიდა და უნდოდა ახლავე მოეხსნა მხრებიდან ეს მძიმე ლოდი... განა ისეთი რა დაუშავა, — გველი ხომ არ შეუწვავს მისთვის, შავდიასი არ იყოს — ფული არ მისცა... უნდა მიეცა!.. მაგრამ რაკილა აქამდე მივიდა საქმე, მიაყრიდა ახლა თვალებში იმ ათი ათას მანეთს... ჯანდაბას, — ხუთასაც წაუმატებდა დიპლომისათვის. კარგი, ჰა — ოცამდე მოუსრულებდა (მანქანას გაყიდდა ბოლოსდაბოლოს — მაინც გამოცვლას აპირებდა!)... მაგრამ დაუჭერიათ და ახლა ღმერთმა იცის, როდის რა იქნებოდა!

კიდევ იმიტომაც ეწყინა ეს ამბავი, რომ დარწმუნებულ იყო, სინამდვილეში ბახა-ბახას ჩემი მოკვლა არ უნდოდა (ამას ამ დრომდეც უნდა მივმხვდარიყავიო, გაიფიქრა, — აბა სად ნახულა, კაცს ოთხჯერ დაესხან თავს და ოთხივეჯერ სასწაულად გადარჩესო), ბიჭმა ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა მხოლოდ... მისივე ბრალი იყო, თევზისკუდა დანა რომ დაუწუნა და მიახვედრა, რევოლვერი აჯობებდაო... იმან კი, რევოლვერის გარდა, გველისტარა დანაც იშოვა და სროლაშიაც გაიწაფა ხელი!.. მაგრამ მაინც არ იყო საშიში, რადგან ყოველივე ამას, სარჩულად, რაც შეიძლება მეტი ფულის გამოცანცვლა ედო!

პირველად, ერთის შეხედვით, ასე მოეჩვენა, მაგრამ მერე, კარგად რომ ჩაუფიქრდა, მიხვდა რა სასტიკად სცდებოდა: რახან ბიჭი, ამ საღამოს მკვლელობის გამო დაუპატიმრებიათ, მაშ ის მარტო ფულის გიჟი კი არა, გულბოროტი და დაუნდობელი მანიაკიც ყოფილა!.. მართლაც რომ ბედად გადარჩენილა ოთხივეჯერ, და ახლაც — ასე არხეინად რომ შემოაბიჯა მის სახლში... ვთქვათ, ცოტა ადრე მოსულიყო, სანამ ბიჭს დააპატიმრებდნენ — მაშინ ხომ ალარაფერი უშველიდა!..

— სახლიდან წაიყვანეს?.. — ჰკითხა.

— კი, სახლიდან, სახლიდან... — წაიმოთქმა ქალმა. — მიტომაა ასე არეული აქაურობა!..

ახლა ყველაფერს ის აჯობებდა, ბახა-ბახა რომ დაეხვრიტათ... მაშინ სამუდამოდ მოისვენებდა მისგან, ხოლო დახვრეტას თუ გადაურჩებოდა და თხუთმეტი ან ათი წლის პატიმრობას მიუსჯიდნენ, გულში მაინც შიში უნდა ჰქონოდა, ჯიბო აბზიანიძესავით ისიც ციხიდან არ გამოიქცესო... სასჯელის მოხდითაც რომ გამოსულიყო, სულერთია, მაინც არ დაიშლიდა მტრობას — პირიქით, უარესად გაცოფდებოდა: შენ რომ მაშინ ის ფული მოგეცა მე ამ დღეში არ ჩავვარდებოდი, კაცს ალარ მოვკლავდიო!..

იქნებ, ამ დედაკაცის თქმისა არ იყოს, მართლა ტყუილად აბრალებდნენ და შეცდომით დააპატიმრეს?.. — მაშინაც ეს აძლევდა ხელს, — დაე, შეცდომა შეცდომად დარჩენილიყო და ბიჭი დაეხვრიტათ... ერთხელ და სამუდამოდ თვითონაც შვებით ამოისუნთქავდა და ქვეყანაც მოისვენებდა ბახა-ბახასაგან!..

აი, რატომ გაახარა ახლა ასე ძლიერ მისმა დაპატიმრებამ.

— დაწყნარდით, ქალბატონო... რალაც გაუგებრობას ექნება ადგილი, — მალე გაირკვევა და გამოუშვებენ... ბახა-ბახა და მკვლელი?.. ყოვლად წარმოუდგენელია, ვერაფრით ვერ დავიჯერებ!.. ძალან საყვარელი და თავისებური ბიჭია, ვინც გაუგებს... სამსახურს ვიყავი შეპირებული... დიდი მეგობრები ვართ მე და ბახა-ბახა... უხაროდა ჩემთან მოსვლა, აწი რალას მოვა!.. უჰ, უჰ... დიახ, დიახ... როგორც კი გამოვა!.. შემოიაროს, ადგილს ვუნახავ... დაწყნარდით, დამშვიდდით!

ქალი ტახტზე ჩამოჯდა და იქვე მიყრილ ჭუჭყიან ძონძებს ჩითის ნაჭერი წააფარა.

— ბოდიში, ბოდიში, ბატონო... რასა გავს აქაურობა, თქვენისთანა საპატივცემულო სტუმარი არც შემოიყვანება, მარა ისე ვარ აფორიაქებული... ისე, ისე, ისე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მესმის თქვენი მდგომარეობა, — შეაწყვეტინა მირიანმა. — შვილია, რაც არ უნდა იყოს, თანაც უდანაშაულოა... მოტოციკლეტი დიდი ხანია შეიძინა?..

ქალმა გაკვირვებით შეხედა.

— სადა ყავს, ბატონო, მოტოციკლეტი... მანქანის გულიზა გიჟდებოდა, საწყალი, ძილშიაც აბოდებდა!..

— რომელ საათზე წაიყვანეს?

— რვა იყო... ზუსტად აღარ მახსოვს, მარა ისე რვა იყო, რვა...

მირიანმა საათზე დაიხედა: — რვის ნახევარი იყო... გაუკვირდა, მაგრამ მერე უცებ მოისაზრა, დილის რვა საათზე წაუყვანიათო... გულზე მოეშვა, — სულ ის უტრიალებდა თავში, ცოტა ადრე რომ მოვსულიყავი, რაღა გადამარჩენდაო... თურმე მაინც ვერ მოუსწრებდა — ეს ამბავი შუადღისას წამოესიზმრა და მაშინ უკვე დაჭერილი ჰყოლიათ ბახა-ბახა!

— რა საშინელებაა ლოგინში რომ დაგადგებიან თავზე, მძინარე კაცს... თანაც იცი, უდანაშაულო ხარ... ეუბნები, უხსნი, უმტკიცებ, მაგრამ მოგისმენს ვინმე?.. ანდა რომც მოგისმინონ დაგიჯერებს თუ რა!!.

— დილით არა, ბატონო... საღამოს, საღამოს!..

— აჰ... საღამოს წაიყვანეს? საღამოს რვაზე?..

— კი, რვა იყო ზუსტად... ახლა გამახსენდა!

— ხომ არ გეშლებათ რამე, ქალბატონო?.. — მირიანმა ისევ დაიხედა საათზე: რვის ნახევარი იყო... ხომ არ გაჩერდა ნეტავიო, — გაიფიქრა... ყურზე მიიდო, — მუშაობდა... მაგიდაზე მოწიკწიკე მაღვიძარაც რვის ნახევარს აჩვენებდა!

უცნაურმა შიშმა აიტანა: ის, რაც ამ ქალმა უამბო, აწი უნდა მოხდეს... ბახა-ბახა ჯერ არ წაუყვანიათ, — სადღაც აქვეა მიმალული... საცაა გამოვარდება და მომკლავს... მილიციაც განგებ ითრევს ფეხს, რადგან ბიჭს ჯერ დანაშაული არ ჩაუდენია და ხელს ხომ არ შეუშლიან... მერე, რვაზე, [illegible] და დააპატიმრებენ... დააპატიმრებენ მირიანის მკვლელობისათვის!.. სასოწარკვეთილი მზერა მოავლო ოთახს...

— დღეს კი არა, — გუშინ მოხდა ეს ამბავი, ბატონო... — თქვა ქალმა. — გუშინ, საღამოს რვაზე წაიყვანეს, ჩემი ბახა-ბახა!..

—გუშინ?.. — მირიანი ზეზე წამოიჭრა. — გუშინ, საღამოს რვა საათზე?!.

— ხო, ბატონო, გუშინ, გუშინ... გუშინ, საღამოს რვა საათზე დავიღუპე და დავიქეცი!

მირიანმა იგრძნო ყურებთან ბედისწერის შავი ფრთების ტკაცუნი... როგორ... ამჯერადაც შეცდა?.. თუ ბახა-ბახა გუშინ, საღამოს რვა საათზე დააპატიმრეს, მაშ ვინ არის ის ნილბოსანი.. ვინ იყო ის, ვინც წუხელ, ნაშუაღამევს, დათოვლილ კედელზე შემომდგარი, რევოლვერს უმიზნებდა?.. ჯულიას ნათქვამი გაახსენდა, — ადამიანს არცა ჰგავს, — ბოროტი სული უნდა იყოს.. თვალწინ დაუდგა კუდაპრეხილი ეშმაკი, ფინჯანის ფსკერზე რომ დალანდა წუხელ...

* * *

ამ ამბავმა ახლა მთლად აურია გზაკვალი, — რომ სცოდნოდა ვისთან ჰქონდა საქმე, როგორმე მოუვლიდა — შემოირიგებდა ანდა შეებრძოლებოდა და დაამარცხებდა, მაგრამ თუ რეალური პიროვნება კი არა მართლა რაღაც ბოროტი ძალა სდევნიდა?.. მაშინ, ცხადია ამაო იყო ყოველი ცდა და გარჯა: აღარც ამდენ ფიქრსა და ტვინის ჭყლეტას ჰქონდა აზრი, აღარც მალვასა და გარიდებას, არც ბრძოლასა და შერკინებას, არც ურვასა და სასოწარკვეთას, — ბედს უნდა შერიგებოდა, გულხელი დაეკრიფა და მოთმინებით დალოდებოდა აღსასრულს... ამ დრომდე კიდევ არა უშავდა რა, შიშსა და ელდას წამიერ ნახულობდა, თავდასხმისას (ზევრჯერ მკვდარიც რომ ეგონა თავი!), ვიდრე მერე, ოთახში განმარტოებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სიმართლეს გაარკვევდა“, ახლა კა სულ შიშის კანკალში უნდა ეცხოვრა — გამუდმებით სიკვდილის მოლოდინში!..

გამოსვლისასყოვლად უაზრო და ზედმეტი ხარჯი გასწია: სამი ცალი ასმანეთიანი დაუდო მაგიდაზე ბახა-ბახას დედას — ამით, ჩემგან, ბიჭს ციხეში რამე შეუგზავნეო (კინაღამ წამოსცდა, სანამ არ დაუხვრეტიათო)...

ეს ჟესტი, მარტო ამ ვიზიტისა და წამოცდენილი „მეგობრობის“ გასამართლებლად კი არ იყო საჭირო, არამედ, პერსპექტივაში, ბახა-ბახასაგან თავის დასაცავადაც — თუ, ვთქვათ, იგი დახვრეტას გადაურჩებოდა, ან ციხიდან გაიქცეოდა და მართლა გაბოროტდებოდა მასზე, ხოლო თვითონ კი თავს დაალწევდა ბედისწერის კლანჭებს და ბიჭს ცოცხალი დაუხვდებოდა... ასე რომ, მთლად წყალში გადაყრაც არ იყო!

ქალმა გაუთავებელი მადლობითა და ლოცვა-კურთხევით მიაცილა მანქანამდე, — სტუმრის უზომო შეშფოთება კი, მხოლოდ-და-მხოლოდ „მეგობრულ გრძნობებს“ მიაწერა...

ეშმაკსა და კუდიანზე ფიქრი ახლა, ამ ჩვენს განათლებულ დროში, რა თქმა უნდა გულუბრყვილობა და სისულელეა, მაგრამ ისეთი უცნაური სიტუაცია შეიქმნა, ისეთ გამოუვალ დღეში იყო კაცი ჩავარდნილი, ლამის მართლა ერწმუნა რაღაც მაგიური, ბოროტი ძალის არსებობა!..

* * *

ტიტემ ბუხარში ცეცხლი ააგიზგიზა, — ტაბლა ახლოს მოსწია, — ზედ პური, ყველი, ნივრის წნილი და აშიშხინებული მწვადები დაალაგა; ბოთლით არაყი და გრაფინით ამღვრეული ღვინო ჩამოდგა... ვერცხლის წყალივით დახტოდა და დაცუნცულებდა ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში, სიხარულისაგან თვალები უბრწყინავდა: ამ ორი ათეული წლის განმავლობაში, სახელოვანმა მეზობელმა, მირიან დევიძემ, პირველად გადმოდგა ფეხი მისი კარის ზღურბლზე...

ოთახი კი არა, სარდაფი იყო — იატაკიც ცემენტისა ჰქონდა... ორსართულიანი სახლი, რომლის მშენებლობა მამამისს მანამ წამოეწყო, ვიდრე ქალაქი აქამომდე მოაღწევდა, ჯერაც ვერ მოემთავრებინა და სარდაფში ატარებდა ზამთარ-ზაფხულს... წელან, შემთხვევით რომ შეხვდნენ ერთმანეთს და მანქანები თავთავიანთ ეზოში ჩაიყვანეს, მირიანს, რატომღაც, ტიტესთან საუბარი მოესურვა...

მასპინძელმა ტაბლის მეორე თავში დაიდგა სკამი, არაყი ჩამოასხა, მოახლოებული ახალი წელი დალოცა და გადაჰკრა...

მირიანმა პურს ყუა წაატეხა; მთელი დღე ლუკმა არ ჩაედო პირში, — შიოდა, მაგრამ არ ეგონა ტიტეს ნახელავზე თუ მიუვიდოდა გული... მერე ყველაფერი ეგემრიელა და მადიანადაც ჭამა... ოთახს მკრთალად ანათებდა ელექტრონათურა. კედლის გასწვრივ, გამწვდენ თაროებზე, უამრავი სხვადასხვა ზომის კალაპოტი ეწყო, ხოლო ჭერში გამოკიდებულ ცელოფანის დამტვერილ პარკში სათუთად გამოკრული ბავშვის სათამაშოები ჩანდა...

— ჰო, მართლა... როგორაა შენი და ვარდიკოს საქმე?.. — ჰკითხა მირიანმა.

— არა... არ ანებებს ის კუდიანი... — ამოიქშინა და სიმწრისაგან კბილები ტურასავით დაკრიჭა ტიტემ. — საქმრო გამოუძებნია უკვე, ათხოვებს... ბავშვებსაც შეაძულა ჩემი თავი — ახლოს აღარ მეკარებიან, დამცინიან... ატელიეშიც გახლაფორთებული მაქვს საქმე, იმ ტყავის გამო, — დღეს თუ ხვალე გამომაგდებენ. მარა ამას ვილან ჩივა, თუ არ დამიჭირეს... ჯანმრთელობაც არ მივარგა, — შემერყა... სახლი თავზე მენგრევა — ცალი კუთხე ჩამოულპა წინა მხარეს, ქე ხედავთ, ალბათ... და ეს, ყველაფერი იმ კუდიანის ბრალია... ღამ-ღამობით ცოცხზე გადამჯდარი შემოდის კარის ჭუჭრუტანიდან, გულზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაწვება და მახრჩობს, — შანს მიგებს!

მირიანმა ყურები ცქვიტა.

— გადაგიყვან ქარხანაში, როგორც კი გამოჩნდება რამე ხეირიანი... ისე კი, ჩემო ტიტე... რახანია შენთან ამ თემაზე საუბარი მინდოდა... აი, ამ კუდიანებზე... ბოროტ სულებზე... და საერთოდ — ამ ამბებზე!.. ვერ იქნა და ვერ მოვიცალე ერთი, გულდასმით მომესმინა...

ტიტეს სახე გაუბრწყინდა, ცა გაეხსნა: სკამი ახლოს მიაჩოჩა, აცმუკდა, — ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა ჰქონოდა: სხვები სიგიჟედ უთვლიდნენ, ყურს არიდებდნენ, გაურბოდნენ... ახლა კი აგერ, გამოჩნდა კაცი (მერე რა კაცი, — ჭკვიანი, განათლებული, თანამდებობის პირი!..), რომელიც აქეთ ეხვეწება!.. მადლიერი თვალებით შეხედა, ამოიქშინა და დაიწყო:

— ბოროტება რომ არ იყოს ამ ქვეყნად და სიკეთეს არ სდევნიდეს, ხალხი ბედნიერად იცხოვრებდა...

— მოდი დავაზუსტოთ... — შეაწყვეტინა მირიანმა. — ნუ ავჩქარდებით და ნუ ვულალატებთ ჭეშმარიტებას... ბოროტება სხვაა, ეშმაკი და კუდიანი კი სულ სხვა რამეა... თუნდაც შენი მაგალითი ავიღოთ: კუდი რა შუაშია — იქნებ იმ ხალხს არ მოსწონხარ, არ უნდიხარ... უბრალოდ, — ვერ შეეწყვეთ ერთმანეთს...

— არა, არა... — იწყინა და იუკადრისა ტიტემ. — იმათი დასაწუნი რა მჭირს, ღმერთო კი მომკალი... ვარდიკოსაც ვუყვარვარ, განა არა?!. მარა ის კუდიანი აძულებს ჩემს თავს, — უხარია ბოროტებას რომ სჩადის... კუდის სიტყვაზე ვამბობ, თორემ რასაც უნდა, იმას გამოიბამს, მისი ნებაა!

— აი, შენ რომ თქვი, — ცოცხზე გადამჯდარი დაქრისო და ჭუჭრუტანიდან ოთახში შემოდისო... ვინ დაიჯერებს მაგას, მიტომაც არ გიგდებენ ყურს, გულში ეცინებათ...

— ცოცხი აუცილებელი კი არაა... — გაიცინა ტიტემ. — სულერთია ცოცხი იქნება თუ ველოსიპედი!

მირიანი შეკრთა.

— ველოსიპედი რაზე [illegible] ჰკითხა.

— ისე, უბრალოდ... თუ უნდა, კოლოდ გადაიქცევა, მოგეპარება და ახალჩაძინებულს ყურებთან გაგიბამს წუილს... დღისით რომ შეხედავ, ჩვეულებრივი ადამიანია!

— და შენ ეს ყველაფერი გჯერა?..

— თქვენ რა... ახლა გაიგეთ, პატივცემულო, ქვეყნად ბოროტება რომ არსებობს?

— ეს კი ვიცი, ჩემო ტიტე... — ამოიხვნეშა მირიანმა. — ვიცი რომ არსებობენ ბოროტი ადამიანები, მაგრამ რაც შეეხება ეშმაკს და კუდიანს, — ეს სისულელეა!

— კუდიანიც იგივე ადამიანია... — მიუგო ტიტემ.

— როგორ?..

— ადამიანები თავიდანვე კეთილებად და ბოროტებად იბადებიან... — გულდაგულ დაიწყო ტიტემ. — ერთნი ქვეყანას აშენებენ, მეორენი კი აშენებულის დანგრევას ლამობენ, მაგრამ საამისო ძალა არ შესწევთ, მცირერიცხოვანნი არიან... მათ შორის განსაკუთრებით ბოროტნი მაგიის საიდუმლოს ეუფლებიან და ჯადოქრობას სწავლობენ... მაგია კი ორნაირია: თეთრი და შავი... ვინც თეთრ მაგიას ფლობს, ის ზეციურ ძალებთანაა კავშირში და იმდენად საშიში არაა, ხოლო ვინც — შავს, — იგი ქვესკნელის ბნელ ძალებს ემყარება და იშველიებს... აი, თქვენ გეცინებათ, პატივცემულო, არა გჯერათ... ზოგს ბოროტების არსებობაც არ სჯერა, სანამ თვითონვე არ გახდება მსხვერპლი... არსებობს შავი წიგნები, სადაც მაგიის დაუფლების საიდუმლოა აღწერილი... ადრე ხშირად დამინახავს სიდედრის ხელში... ფუი ეშმაკს, ფუი, ფუი!.. — თავი გვერდზე მიიბრუნა და სამჯერ გადააფურთხა. — როგორც კი თვალს მომკრავდა, უცებ თავშალში, დამალავდა, ან კაბის ქვეშ ამოიდებდა... ზოგ-ზოგი რამ კი ვიცი შიგ რაც სწერია, მაგრამ უხერხულია ახლა მოყოლა — მეშინია გული არ აგერიოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიდი, მიდი, განაგრძე... — უთხრა მირიანმა, რომელსაც სახეზე ეტყობოდა არ სჯეროდა მისი, თუმცა კი გაფაციცებული უსმენდა.

— დასაწყისი არაა ძნელი, არც გულისამრევი... ათჯერ, ზედიზედ უნდა გაათიო ღამე სასაფლაოზე, მარტომ — არ უნდა შეგეშინდეს... საერთოდ, რასაც გააკეთებ, შენს მეტმა არავინ არ უნდა იცოდეს!.. მერე, ამდენივე დღე და ღამე, შუშის ნატეხებზე უნდა იწვე მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი... დაძინება უნდა შეიძლო, ამაშია საქმე, თორემ ხორცი რომ შემოგეფლითება, ეს თავისთავად ცხადია!.. მე პირადად, მესამე სარტყელი მიმაჩნია საძნელოდ, თუმცა მეოთხე უფრო სახიფათოა...

მესამე ცდაზე, შენ ხარ ჩემი ბატონი, — გომბეშო უნდა გადაყლაპო ცოცხლად... მთლად დიდიც არა — ბოსტნის გომბეშო როა, არც მთლად პატარა — წყლის ბაყაყი როა, ანდა ხის ვასაკა... საშუალო ზომისა უნდა შეარჩიო, გემოვნებისამებრ... გადაყლაპვასაც მისი წესი და რიგი აქვს: თავით კი არ უნდა ჩაიდო, თავისით რომ არ ჩასრიალდეს, — უკანა ფეხებით უნდა ჩაისვა, როგორც უხსენებლები ყლაპავენ... წინააღმდეგობას უნდა გიწევდეს და ამოხტომას ლამობდეს, შენ კი უნდა ქაჩო და ქაჩო... მუცელში რომ დაიწყებს ხვანცალს, არ უნდა შეგეშინდეს, რადგან კუჭის წვენის მოქმედებით მალე კვდება... ვატყობ, გული გერევათ, პატივცემულო, — თუ გნებავთ ტაშტს მოგირბენინებთ... მიტომაც არ მინდოდა მოყოლა, მარა ხათრი ველარ გაგიტეხეთ... აგერ, არაყი დააყოლეთ, — კარგია, მოუხდება!..

მეოთხე საფეხური, შავი მაგიისაკენ მიმავალ გზაზე, გულისამრევი აღარაა, მაგრამ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვისაა საშიში: — შხამიანი გველი უნდა ჩაისვა უბეში და ათი დღე და ღამე ატარო... წელზე და იღლიებქვეშ თოკი უნდა შემოიჭირო, რომ არ გამოძვრეს — შიგ იტრიალოს და იწრიალოს რამდენიც უნდა, თუნდაც შუაგზე შემოგაცოცდეს... შენ განუწყვეტლივ უნდა შთააგონებდე, რომ არ დაგკბინოს... თუ დაგიჯერა ხომ კარგი, — თუ არა და ამდენი შრომა წყალში ჩაგეყრება: ნამეტნავად, გომბეშოს ჩაყლაპვა ტყუილ-უბრალოდ რომ ჩაგივლის, ესაა გულდასაწყვეტი!.. სხვა მხრივ, — შხამი სწრაფად მოქმედებს და ვერც გაიგებ, ისე გაფშეკ ფეხებს (სპეციალური ჯიშის გველებია, ჩვენში არც იცის. — საზღვარგარეთ უნდა დააბარო ვინმეს!)... კიდევ არის რაღაცრაღაცები, მაგრამ მე მეტი არ მახსოვს...

და, ყველაფერ ამას თუ გადაურჩი, მაგია ხარ უკვე, აბა რა ხარ... მერე მოდექი და რაც გინდა აკეთე... სადაც ამდენს შეძლებ კაცი, იქ კუდის გამობმაც არ გაგიჭირდება, და თუ გინდა, ცოცხსაც გააჭენებ!..

მირიანმა ინანა რად შემოვედიო. — საბოლოოდ დარწმუნდა, ტიტე რომ სრულ ჭკუაზე ვერ იყო... ნეტავი მანქანას როგორღა დაატარებს, ავარიას რომ არ ახდენსო, — ანდა ფეხსაცმელს როგორ კერავს, სადგისსა და მახათს თითებში რომ არ იყრისო... ბოროტება სულ სხვა რამაა, ვიდრე ამ გიჟსა ჰგონიაო, ფიქრობდა გულში... ბოროტება სიკეთის მახინჯი შვილი იყო, მისი წყლულიდან გამონადენი შხამი და ბალღამი... მერე უცნაურმა აზრმა გაუელვა: ვინ იცის, იქნებ ტიტე მართალიაო... და მაშინ, თუ კი მის გასაჭირს სხვანაირად არ მოევლებოდა, შავ წიგნებს იშოვიდა, მაგიის საიდუმლოს დაეუფლებოდა და ბოროტებას ბოროტებითვე დათრგუნავდა... თუმცა, იქიდან რომ გამოვიდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ტიტეს, უკვე გომბეშოც შეეჭმიოს და შხამიანი გველიც ჩაესვას უბეში...

* * *

ბოლოს მაინც დაიჯერა, — ნაღდად კუდიანი უნდა მყავდეს შემოჩენილიო. იმ ერთ კვირაში ისე შეიცვალა, ყველას უკვირდა და ეკითხებოდნენ კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეც, რა გჭირს, რა მოგივიდაო... მოტყდა, ბეჭებში მოიხარა, დაპატარავდა — სადღა იყო მისი ზვიადი იერი და თვალთა ფოლადისებური ელვარება, ნაზამთრალ ხარივით დასუსტდა და გაიქუცა; დილაობით ზედ კანტორის კართან აჩერებდა მანქანას და გადმოსვლისას ჯერ ქურდულად ზვერავდა გარემოს... მალიმალ ახსენებდა დაცვას — უცხო არავინ შემოუშვათ, ხომ არ დაგავიწყდათ წლის ბოლო რომააო... საქმესაც ველარ უდებდა გულს, იჯდა კაბინეტში დაფიქრებული და კარებს მიშტერებული. ნადია გააფრთხილა, თუ ვინმეს შემოსვლა უნდოდეს, სულერთია შინაური იქნება თუ გარეული, წინასწარვე მომახსენეო... ხან გაზეთებს ათვალიერებდა — მეტწილად გარდაცვლილთა განცხადებებს — და უკვირდა თავის გვარსა და სახელს რომ ვერ პოულობდა შიგ... ვერავის უტყდებოდა გასაჭირში; ხომ არ ეტყოდა ეშმაკი და უხილავი მყავს შემოჩენილიო — ანკი ვინ დაუჯერებდა, — ამის გაფიქრებაზე თავადაც მწარედ ეცინებოდა...

ხანდახან რაღაც სისულელეები ემართებოდა...

იმ დღეს ბუზი დააჯდა ხელზე და ამან საშინლად გაალიზიანა...

ვეება, გამოფერფეტებული შავი ბუზი იყო, ზაფხულიდან შემორჩენილი და ახლა, სითბოზე, პლინტუსიდან გამომძვრალი... ხელი იტკიცა მაჯაზე, მაგრამ გაასწრო და ისეთი გაბოროტებით შემოუტია სახეში, თითქოს გონიერი არსება ყოფილიყო; მერე მაგიდაზე დაჯდა სწორედ მის ცხვირწინ და უარესად გაიფხორა... საზიზღარი რამ იყო, გულისამრევი, დაჩენჩილი, გამომშრალი და ჭინჭარივით ფეხებდაბუსხული... გაკეცილი გაზეთი მოუქნია და ისევ ააცილა... ბუზმა გაავებული ბზუილით სამჯერ თავს შემოუფრინა... ხან მაცივარს მიაჯდებოდა, ხან ტელევიზორს, ხან კედელს... მირიანი გაზეთმომარჯვებული დასდევდა კაბინეტში — ვინმეს რომ დაენახა გიჟი ეგონებოდა, მაგრამ ჩაფიქრებული ჰქონდა, უნდა მოვკლაო... ბოლოს კარადაში შეფრინდა და შიგნიდან მოაჯდა მინას; ახლა სადღა წაუვიდოდა: ის იყო, უნდა მიესრისა, უცებ ხელი გაუშეშდა... ისე უშიშრად იჯდა ბუზი, ისე მუქარით შემოჰყურებდა, ტანში გააცივა — ბუზად გადაქცეული კუდიანი არ იყოსო, იქნებ ჩემს გამოსაცდელად შემოფრინდა, აინტერესებს როგორ დავიჭერ თავსო... ეს ბუზი, ნაღდად ჩემი მადევარი ნილბოსანიაო... მერე თვითონვე გაეცინა ამ ამბავზე, მაგრამ მაინც ველარ შეჰბედა... ანკი რა ხელს უშლიდა, ეფრინა რამდენიც უნდოდა — გინდ ცხვირზე დასჯდომოდა, გინდ ლოყაზე, რას დაუშავებდა!.. ბოდიში, მაპატიეთ — არ ვიცოდი თქვენ თუ ბრძანდებოდით, მე მართლა ბუზი მეგონეთო, რაღაც ამდაგვარი გაიფიქრა და თქვენობით ხომ მიმართავდა, — „ბატონო" თუ „პატივცემულოც" დააყოლა გუნებაში... ხმამაღლა კი ესა თქვა: იყავი, იცოცხლე, ბუზო, იფრინე გაიხარე!.. — და გარედან თითიც კი წაუცაცუნა მინაზე, მოეფერა... ისე, მაინც, ყოველ შემთხვევისათვის, რა ენაღვლებოდა: თუ ვინმე იყო დამნახავი და გამგონე, ხომ დაინახავდა და დარწმუნდებოდა რა მოწყალე გულიც ჰქონდა, თუ არა და, მის მეტი მაინც ვერავინ გაიგებდა... ბოლო დროს განსაკუთრებული სიფრთხილე დასჩემდა, — ისედაც შემომწყრალი ბედი უარესად რომ არ განერისხებინა!

მეორე დღეს, პავლოვის ქუჩაზე, პროცესიას წამოეწია...

მიცვალებული ღია კატაფალკაზე ესვენა. კუბოს თავსა და ბოლოში მკლავზე არშიაშემოვლებული ოთხი თავშიშველი კაცი იდგა და ცხედრისაკენ ოდნავ წახრილნი გამოჰყურებდნენ ქუჩას...

მირიანი მიცვალებულს დააკვირდა, რა ნაცნობი სახე აქვსო, და გაშრა, გაშტერდა: კუბოში თვითონ იწვა!..

მისებრ ჭაღარა თმა, ბრინჯაოსფერი სახე, მაღალი შუბლი, ოდნავ მორკალული, არწივისებური ცხვირი, ენერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიული ნიკაპი და ლამაზი ყვრიმალები... შეიძლება განა კაცი ასე კაცს დაემსგავსოს?.. რატომ ამ დრომდე არ შეხვედრია ორეული თუ ჰყავდა...

არა, არა... თვითონაა!.. ჩანს, მოუკლავს უკვე ნიღბოსანს და ყველაფერი მოუმთავრებია... „მე კი მეგონა ცოცხალი ვიყავი და დიდის ამბით ვუფრთხილდებოდი თავს!..“ — გაიფიქრა სინანულით.

პროცესიამ ვაკე-საბურთალოს გზისაკენ გაუხვია...

„ჰო, ჰო... მე ვარ... აგერ, გვირგვინსაც აწერია, მირიანი..“

გაეგო მაინც, სცოდნოდა, რისთვის მოკლეს, რას ერჩოდნენ, ვის რა დაუშავა... აგერ ლიზიკო, ნუცა, ნანო... ვაჟაც მოსულა, — გახარებული იქნება აბა, ახლა!..

სასაფლაოს შესასვლელთან პროცესია შედგა.

მირიანი კატაფალკიდან გადმოიღეს და ხელით წაასვენეს... კუბოს არაუშავდა, მაგრამ მთლად მისი საკადრისიც ვერ იყო... თუმცა ახლა აღარაფერს აღარა აქვს აზრი — თუ უნდათ სულ ნუ დამარხავენ, ვინ ეხვეწებათ — სანაგვეზე გადააგდონ, კი ბატონო... მზე და მთვარე მაინც დახედავს ერთ ხანს, ნიავი გაუქროლებს, წვიმა დაედინება... რა გაუძლებს ახლა, მიწას რომ მიაყრიან!

ხრიგინ-ხრიგინით ჩაუშვეს კუბო საფლავში დაქიჩმაჩებულმა მესაფლავეებმა... ცოტა ფრთხილად მაინც, თქვე წუნკლებო, ნამუსი აღარ არი ამ ქვეყნად?.. რაკი პასუხს ვეღარ მოგთხოვთ იმიტომ?.. აფსუს!.. თვითონ უნდა იყოს მკვდარი და ეს მახინჯი, თოკს რომ ძურწავს ეგერ — ლამის ამოაყირაოს — ცოცხალი?! არა, არა აქვს ბუნებას სამართალი... მის თავს ზემოთ, სახურავზე, გოროხები აბრახუნდნენ, ზოგმა მუჭითაც ჩამოყარა, ზრდილობის გულისთვის... მირიანს სული შეეკმა კუბოში...

— ვაიმე, ვაიმე... მიშველეთ!..

— ეჰ, რას იზამ ჩემო ძმაო... არაფერი არ ყოფილა სიცოცხლე!.. სანამ ხარ, თურმე, — უნდა ჭამო, სვა, დრო ატარო და ნერვები არაფერზე აიშალო, — მეტი არაფერი არ შეგრჩება ამ ქვეყნად! — უთხრა დაბალმა, ღიპიანმა კაცმა, რომელსაც ხელში ცილინდრი ეჭირა.

— ვენაცვალე... ეგეთი კაცი იყო, სწორედ, ჩვენი მირიანი- — თქვა მეორემ, პირველის გვერდით მდგომმა, მასავით ღიპიანმა კაცმა.

— ვიინ?..

— მირიანი აგერ, ჩვენი... — კაცებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს და მერე თანაგრძნობით დაუწყეს მას ცქერა.

მირიანის საფლავი ამოავსეს, მიასწორ-მოასწორეს, ამობურცეს, ყვავილები მიაზვინეს, ღეროებაწყვეტილი მიხაკები მიაბნ-მოაბნიეს, თავის მხარეს დაგრეხილ არმატურაზე მიმაგრებული შავი ფირფიტა ჩაურჭეს...

მიიხედ-მოიხედა, — აღარავინ იყო... წასულან უკვე, დაუტოვებიათ... თავიანთი საქმეები აქვთ სიცოცხლეში მოსაგვარებელი, — კაციშვილს არ უფიქრია ამდენ ხალხში, ერთ დროს მათაც რომ ეს დღე ელით... ვალი ხომ მოიხადეს და სხვა რაში ენაღვლებათ; ვის რაში აინტერესებს მირიანს საფლავში რა მოუვა, რა დღე დაადგება!.. გაკვირვებულმა ის ორი კაცი შენიშნა, წელან კუბოში რომ გამოესაუბრნენ... მიუახლოვდნენ და მკლავში გამოდეს ხელი აქეთ-იქიდან:

— ეჰ... წამობრძანდით... აწი რაღა ეშველება, ბატონო!

— მეე?.. მე წამოვიდე?..

— დიახ... „ისინდში“ ვიკრიბებით მირიანის მეგობრები!..

ხალხს გული აუჩუყა, ისეთ სადღეგრძელოებს ამბობდა... ბევრი საერთო მეგობარიც აღმოაჩნდათ მას და მის სეხნიას... მხრებს იჩეჩდნენ — არ ვიცოდით, თქვენ თუ ასეთი ძმაკაცობა გქონდათო... გაიხსენა კიდეც ეს კაცი, — ერთ-ერთი სამშენებლო ტრესტის მმართველი იყო, მაგრამ არ ჰგავდა მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ ასე ძლიერ და მერე რა ჯანდაბა მოუვიდა ნეტავი?.. ეტყობა, მკვდარი დამსგავსებია ცოცხალს... ანდა ცოცხალი მკვდარს!..

ლევინომ თავისი გაიტანა და კაი გვარიანად შეჭიკჭიკდა... ქელეხიდან რომ ბრუნდებოდა, გზაში მაგნიტოფონი ჩართო... უხაროდა სხვა მირიანი რომ მომკვდარიყო, თვითონ კი ცოცხალი იყო!.. არაფრით არ დანებდებოდა ეშმაკსა და კუდიანს, — ყოველ ღონეს იხმარდა და თავს გადაირჩენდა!..

ახალწლის ღამეს სიძე-ქალიშვილი ესტუმრათ...

ნანოს წარა-მარა გული ერეოდა — ჩანდა. ისევ ფეხმძიმედ იყო: ვაჟას ცივად ეჭირა თავი, ძალად წამოყვანილს ჰგავდა. ნიკა უკვე კაცივით გამართული დადიოდა, ენაც ამოედგა — ბაბუა კი ველარ იცნო, იუცხოვა...

დიდად არც სწყენია, რადგან არ ჰქონდა მისი მოფერების თავი, არც სიძე-ქალიშვილის დანახვა გაჰხარებია; საუბარიც ვერააწყვეს, არ გამოუდიოდათ; ერთ ხანს უხმოდ იჯდა და ტელევიზორს უყურებდა, მერე ადგა და კაბინეტს მიაშურა, სადაც სექტემბრიდან მოყოლებული მარტო იძინებდა. უაზრობად ეჩვენებოდა ეს საახალწლო რიარია და ალიაქოთი...

ახალჩაწოლილი იყო, როცა სროლის ხმა შემოესმა...

საბანი თავზე წაიფარა, ზლარბივით შეიკუმშა... „გათავდა, ყველაფერი გათავდა!..“

კარი ხმაურით გაიღო და შემოცვივდნენ... ბევრნი ჩანდნენ.

„გათავდა, ყველაფერი გათავდა!..“

საბანი გადაუწიეს, პირში რაღაც ჩასჩარეს... რევოლვერის ლულა?.. დანის პირი?.. არა, არა — თურმე, შოკოლადი და გოზინაყი!

— გილოცავთ, გილოცავთ... ასე ტკბილად დაგვიბერდი!..

— შემეშვით, — ავად ვარ, ავად!..

ახალი წელი დამდგარიყო და ვეება საათიც ავად გუგუნებდა დიდ დარბაზში... წელი უიმედობისა და სასოწარკვეთისა!

მარტო რომ დარჩა, კარი ჩაკეტა, შუქი ჩააქრო და ფანჯარასთან მივიდა. ფერად-ფერადი შუშხუნები სერავდნენ მეწამულ ზეცას, ისმოდა გამაყრუებელი ჟრიამული და ბათქა-ბუთქი. მოეჩვენა, თითქოს მთელი ქვეყანა მის წინაალმდეგ ამდგარიყო... — ნეტავი რას უქადდა ეს ახალი წელი?..

* * *

განსაკუთრებით ღამ-ღამობით იტანჯებოდა: ძილი უტყდებოდა, ბორგავდა, წრიალებდა... წასთვლემდა თუ არა, კუდიანი ეშმაკი ესიზმრებოდა და მაშინვე ილვიძებდა; ბალიშქვეშ ხელს შეაცურებდა, რევოლვერს მოსინჯავდა... ადგებოდა, ეზოს დაზვერავდა, მერე კარს გამოალებდა, ძაღლებს დაუწრუპუნებდა — ამხნევებდა და აფხიზლებდა...

ასე მიილია ახალი წლის პირველი კვირა, ი მ ი ს ა გ ა ნ ბაი ბური აღარ ისმოდა და მირიანს თანდათან შეუჩნდა ეჭვი: მისივე ფანტაზიის ნაყოფი ხომ არ იყო ეს ყოველივე?.. ბევრი ნერვიულობა შეხვდა შარშანაც შემოდგომაზე, იქნებ გადაიღალა?..

ნაშუაღამევს სიზმარი ნახა: პიტალო კლდეზე მიცოცავდა, მერე ძარღვებში სისხლის ჩუხჩუხიც გაიგონა...

გადაწყვიტა, როგორც კი გათენდებოდა მაშინვე ჯულიას მისდგომოდა კარზე... მას მერე ქალმა რამდენჯერ დაურეკა, შეეხმიანა, თავი შეახსენა!..

მეორედ, ღამის ორ საათზე, ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა... ახსოვს: დიდხანს და დაჟინებით რეკავდა...

გაუკვირდა, — ასე გვიან ვინ უნდა იყოსო; ადგა საწერ მაგიდასთან მივიდა, ყურმილი აიღო...

ამაოდ იძახდა „ალო-ალოს“, პასუხი არ ისმოდა... მერე რაღაც გაფაჩუნდა ყურმილში და იმან უცნაური ბგერა გაიღო...

შიშისაგან ტანზე ეკლები დააყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს... სუნთქვაც ესმოდა, — ჩუმი, შემპარავი, მოდარაჯე...

ვინ იყო, რა უნდოდა, რად არ ეძინა... ხმას რად არ იღებდა, რას უთვალთვალებდა!..

მონუსხულივით იდგა მთელი ათი წუთი, მერე იმან ყურმილი დადო, ზუმერის ხმა გაისმა.

მირიანი ჭირის ოფლში ცურავდა...

ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო: პირველად ახალწლის ღამეს დარეკა, — ნაშუაღამევის სამი საათი იქნებოდა...

მაშინაც დიდხანს და დაჟინებით რეკავდა, სანამ არ გამოაღვიძა... ვინმე ნაცნობი იქნებაო, იფიქრა — ჩვენი ბიჭები ქეიფობენ, ალბათ, სადმე, და უნდათ ახალი წელი მომილოცონო... ხმას რომ არ იღებდა, რაღაც ეჭვმა კი გაჰკრა, მაგრამ არ უნდოდა დაეჯერებინა და მიტომაც ჩასძახოდა ყურმილს ასე თავგამოდებით: ცოტა ხმამაღლაო... არაფერი არ ისმისო... დადე ყურმილი და ხელმეორედ დარეკეო...

ახლა უკვე იცოდა, ვინც იყო... იცოდა კი არა, თითქოს ხედავდა კიდეც მავთულის მეორე ბოლოში მდგარ ნიღბოსანს, თუმცა ამჯერად ის უნიღბოდ იქნებოდა...

კვლავ ძვალსა და რბილში გაუჯდა შიში, — მეორე დღეს ჯულიასთან მისასვლელად აღარ ვარგოდა!..

* * *

მტკვრის სანაპიროზე ახალგახსნილ ლუდის ბართან შეაჩერა მანქანა, — თავის საქმეზე გზად მიმავალს უცებ შიმშილმა წამოუარა და გადაწყვიტა ცოტა წაეხემსა... ბოლო დროს უმადობაც დასჩემდა, — შეეძლო მთელი დღე ჭიქა ჩაისა და იმ ერთ ნაჭერ ნამცხვარზე გადასულიყო, ძალად რომ შემოჰქონდა ნადიას კაბინეტში, შესვენებაზე... მანქანა ჩაჰკეტა და ნელა აუყვა ქვის კიბეს...

ხინკალი და ლუდი აიღო; მიდგა მერე კუთხეში, მრგვალ მაგიდასთან და ნებანება იწყო წრუპვა, თან ხალხით სავსე დარბაზს ათვალიერებდა: მეტწილად ახალგაზრდობა იყო — დაბალ მაგიდებს შემოსხდომოდნენ, უამრავი ლუდი მოემარაგებინათ და იჭყიპებოდნენ...

იქნებ ი ს ი ც აქ იყო სადმე?..

ინანა, რად შემოვედიო... აქეთ არც იხედებოდნენ, მაგრამ ვაი თუ ის მალულად უთვალთვალებდა და ახლა, ამ წუთას, ჩახმახს წკიპავდა?..

ქურქის ჯიბეში ჩაიყო ხელი, რევოლვერის საკეტი გადასწია — თვითონაც გაემზადა...

მშიერ კუჭზე ლუდი ერთბაშად მოედო სხეულს, თავში აუვარდა... გემრიელი იყო, ოდნავ მომწარო, ცივი, ქარვისფრად გამჭვირვალე — პირდაპირ ქარხნიდან მოედინებოდა მილებით. დახლთან მივიდა და კიდევ ერთი კათხა აიღო...

წელან რომ ზიზღით უჭვრეტდა მოყაყანე ბრბოს, ახლა სასოებით დაუწყო ცქერა: არა, არა, ამდენ ხალხში ვერ გაბედავსო!..

ლუდმა გააბრუა, მხნეობა შეჰმატა და გუნება გამოუკეთა... მაგრამ მერე, ვიწრო კიბით, სადღაც ჯურღმულისკენ რომ დაეშვა „წყლის დასაქცევად“, კვლავ დაეუფლა შიში, ვაი თუ დრო მიხელთოს და ამედევნოსო.

ონკანზე ხელი გადაიბანა, სახეზეც შეისხა წყალი, თეთრხალათიანმა კიკნა მოხუცმა ტილო მოამზადა...

მირიანი დიდხანს იმშრალებდა ხელებს, თან დაფიქრებული შეჰყურებდა ბერიკაცს... მერე დაჭმუჭნილი, ალაგ სველი ტილო სარკესთან კაუჭზე ჩამოჰკიდა, ჯიბიდან ხუთმანეთიანი ამოიღო, ტუმბურაზე დაუდო და უთხრა:

— ბედნიერი კაცი ხარ, ბედნიერი!..

— დამცინი, შვილო?.. — იწყინა ბერიკაცმა. ადრევე შენიშნა მისი დაჟინებული, უცნაური მზერა და თავი უხერხულად იგრძნო... ფული უკანვე გაუწოდა. — არ მაქვს ამის ხურდა!

— როგორ გეკადრება, ძია კაცო... დაცინვა არც მიფიქრია... შენი იყოს, ხურდას არა გთხოვ!

— არა... ამდენი არაა საჭირო... ცოტას თუ მაჩუქებ, იმის მადლობელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქნები... — ბერიკაცმა ჯიბეები მოიქექა, ოთხი ცალი დაჩენჩილი მანეთიანი იპოვა, ტუმბურაზე დაუდო და ახლა რკინის ფულს დაუწყო ძებნა.

— ბედნიერი ხარ, — არ გეშინია...

— ეგ კია... — გაიღიმა ბერიკაცმა. — არავის არ ვთხოვ... მისით თუ ვინმე დატოვებს ხანდახან... დაჭერისა და მოხსნის არც ხმუმის მშინებია: თანამდებობა და ფულიანი ადგილი მე არ მქონია და რომც მქონოდა, ამას არ ვიზამდი... რკინიგზაზე ვმუშაობდი მეისრედ.

— ბედნიერი ხარ, ბედნიერი... — იმეორებდა მირიანი და დაფიქრებული შეჰყურებდა, — ზიხარ შენთვის, არხეინად, არავისი და არაფრის გეშინია...

— ვისი უნდა მეშინოდეს?.. — გაუკვირდა ბერიკაცს.

— რა ვიცი... ისე... უბრალოდ...

— რას ქვია მეშინოდეს — მთელი ჩემი სიცოცხლე სიკეთის მეტი არაფერი მიკეთებია, ნეტა იმის მადლი ჩემს შვილებსა და შვილთაშვილებს მოსწიოთ!

ჩია ბერიკაცი იყო, მოლეული: მუქისოდენა დამჭკნარ-დანაოჭებული სახე ჰქონდა, თვალები — ბებრული, ლიბრგადაკრული და ამოწირპლული, მაგრამ ამ წუთას ეს თვალები უცნაური თვითკმაყოფილებისა და სიამაყის შუქით ბრწყინავდნენ... ამ ანთებულ მზერას რომ წააწყდა, მირიანი შეკრთა: მოეჩვენა, თითქოს იმ სიტყვების მიღმა, რომლებიც ახლა ბერიკაცს ასე დაუფიქრებლად, გაზეპირებულივით წამოსცდა (მსგავსი გამოთქმა ადრეც ხშირად სმენია, მაგრამ ყურადღება არ გა[illegible]ახვილებია), რაღაც ფარული და მეტად მნიშვნელოვანი დიდი აზრი იმალებოდა, და ეს აზრი რომ არ გასხლტომოდა, ჰკითხა:

— სიკეთე რაა და ბოროტება რაა, იცი შენ?..

— მაგას რა ცოდნა უნდა, — გაიცინა ბერიკაცმა. — სიკეთე — სიკეთეა, ბოროტება — ბოროტებაა!..

— მაინც, მაინც?..

— სიკეთე კარგია, ბოროტება — ცუდი!

— მაინც როგორი, რანაირად?.. — ჩაეძია მირიანი.

— მე უსწავლელი კაცი ვარ, — მიუგო მან. — ჩვენს დროს არ იყო იმდენი საშვალება, ახლა როა... სხვანაირად თქმა არ შემიძლია, მაგრამ, ჩემი შეტყობით, კაცი რო მარტო მის თავს უყურებს და სხვას არა, ის ბოროტების გზას ადგას...

— მაგისთვის ვერ გაამტყუნებ... — ჩაიცინა მირიანმა. — პირიქით, უკეთესიც კია: ყველამ მის-მის თავს რომ მიხედოს ერთმანეთს აღარ დააწვებიან კისერზე... კაცი ორ დღეს ცოცხლობს და ცდილობს რაც შეიძლება მეტი სიამტკბილობა ნახოს ამ ქვეყნად!

— ყველა ასე ორ-ორ დღეს ვცოცხლობთ, — გაიღიმა ბერიკაცმა. — ცას კი არავინ გამოვეკვრებით, და ამიტომაც უფრო უნდა მივხედოთ ერთმანეთს!

— შენ ამბობ — სიკეთის მეტი არაფერი მიკეთებიაო?.. — ჰკითხა მირიანმა.

— აბარაა!.. — მიუგო მან და კვლავ ამაყად გაუსწორა თვალი.

— ცხოვრება ისე რთულია, არ შეიძლება ხანდახან რამე არ შეგეშალოს.

— ეგეც კია... — დაემოწმა ბერიკაცი და რაღაც ჩრდილმა გაურბინა სახეზე. — რამდენჯერ ჩემივე სიტყვაპასუხი ან ნამოქმედარი არ მომწონებია და ამის გამო მთელი ღამეები არ მძინებია... ერთხელ მეზობლის ბავშვი შემომელახა... ერთ-ორჯერ წამოვარტყი, დიდი კი არაფერი, მაგრამ არ ვიყავი მთლად მართალი... — ხმა გაებზარა და თვალები დაენისლა. — დაიღუპა მერე ის ბავშვი... ტრამვაიმ გაიტანა... მე დარდს კინაღამ გადავყევი... მერე აი, ასე დავისაჯე თავი... — ბერიკაცმა მარცხენა ხელი ასწია და ქვემო სახსარში მოკვეთილი ნეკა თითი დაანახა. — ნაჯახით წავითიბე!..

— უჰ, ეს რა გიქნია!.. — მირიანმა მარცხენა ხელი მომუშტა და ნეკა თითი დამალა. — მერე აღარ გაგელახა არა-

 

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ, თუ მაინცდამაინც... ეგ რა საჭირო იყო!

— ღმერთი მაინც დამსჯიდა... — თქვა ბერიკაცმა.

— ეჰ, ძიაკაცო... — ხელი ჩაიქნია მირიანმა. — მე შენ უფრო ჭკვიანი მეგონე!

— რა ვთქვი იმისთანა?.. — შეცბა იგი.

— ცრუმორწმუნე ყოფილხარ, — სხვა რა უნდა გეთქვა!..

— შენ იცი რამ შექმნა და ააწყო ამოდენა ქვეყანა ასე საათივით?.. — უთხრა ბერიკაცმა. — უმცროსი ბიჭი მიყვებოდა ამას წინათ, — დიდმა მეცნიერებმაც არ იციან დანამდვილებითო!..

— იციან, ყველაფერი ძალიან კარგად იციან, — მიუგო მირიანმა. — რაც არ იციან, იმასაც მალე გაიგებენ!

— მე უსწავლელი კაცი ვარ და ვერ შემოგედავები, — უთხრა ბერიკაცმა. — მაგრამ ასე მწამს, ასე მჯერა: ასე ვიცხოვრე და არც არაფერი წამიგია: დარწმუნებული ვარ, ადამიანს, ბოლოს ყველა ცოდვა მოეკითხება!

ამასობაში მან მონეტებსაც მოუყარა თავი და მანეთიანებზე დააწყო. მირიანს არ უნდოდა აღება, მაგრამ ბერიკაცის წყენინებას მოერიდა: ხურდა ფულისთვის მაინც არ უხლია ხელი...

ვიწრო კიბით მაღლა ამავალს ფული ისევ ხელში ეჭირა, მოეჩვენა, თითქოს სველი იყო და შმორის სუნიც აუდიოდა... ურნაში ჩაჰყარა, ცხვირსახოცით გაიწმინდა თითები და ისიც ზედ მიაყოლა.

* * *

ერთადერთი, რაც ამ დრომდე შეურყევლად და მტკიცედ სჯეროდა, სწორედ ღმერთის არარსებობა იყო... სკოლის მერხიდანვე ასე ჰქონდა შესისხლხორცებული (თუ არ ჩავთვლით ბავშვობის ადრეულ ხანას, როცა ღმერთსა და სამყაროს შექმნაზე ნადიაკვნარი ბიძა რაღაც სულელურ ზღაპრებს უამბობდა) და თუმცა ჰუმანიტარული საგნები იმთავითვე არ იზიდავდა (ზუსტ [illegible]ერებებში გახლდათ ძლიერი!), მაგრამ მაინც, მარქსისტული ფილოსოფიის მოკლე კურსში, სტუდენტობისას რომ გაიარა, ულმერთობა იყო მისთვის ყველაზე ნათელი და იოლად მისაწვდომი ჭეშმარიტება... უკვირდა, — ისეთ თავიან ხალხს, როგორიცაა არისტოტელე, ჰეგელი, კანტი და ბევრი სხვაც, — რა ღმერთი გაუწყრათ, ღმერთის არსებობა რამ აფიქრებინათო... მეტადრე ნიუტონისაგან არ მოელოდა ამას, რადგან მისი ტექნიკური ტალანტისა ყველაზე მეტად სჯეროდა. ხუმრობდა კიდეც გუნებაში: ჩანს, მე უფრო ჭკვიანი ვყოფილვარო!.. რაც შეეხება რელიგიასა და ეკლესიას, მთელი თავისი საიქიოთი და სულის უკვდავებით, — სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა!..

იმ ნადიაკვნარი ბიძის გავლენით, ბავშვობისას, ეს ყველაფერი მართლაც სჯეროდა, მაგრამ ერთხელ, სასაფლაოზე ამოყრილი ძვლები და კბილებდაკრეჭილი თავის ქალა რომ იხილა, მიხვდა, ვრცელი და ფერადი საიქიო, რომელსაც მისი ბავშვური ფანტაზია ხატავდა, თურმე, იქვე, სულ ახლოს, სამარის ფსკერზე მთავრდებოდა!.. სასაცილო იყო ფიქრიც კი, თითქოს ამ საცოდავი ძვლების ყოფილი პატრონი, „სული“, სივრცეებში ლაღად ნავარდობდა...

მისთვის უკვე ცხადი გახდა, ქვეყნიერება რომ სამუდამოდ იარსებებდა, „უკუნითი უკუნისამდე“, როგორც ბიძა ამბობდა ხოლმე, მაგრამ სიცოცხლე კი წამიერი გაელვება იყო დროის ამ მარადიულ სრბოლაში... ადამიანი მატერიის მტვერისაგან იზილებოდა და მალე უმცირეს მოლეკულებად და ატომებად დაშლილი კვლავ უკუგანიფინებოდა და განზავდებოდა წყალსა, ჰაერსა თუ მიწაში!..

ეს თავზარდამცემი ჭეშმარიტება რომ გაიაზრა (ბავშვობისას, ერთხანობას, მართლა უკვდავი ეგონა თავი!), მერე სულ იმის ცდაში იყო ამ ფუჭი და უნაყოფო ფიქრებით წუთისოფელი არ მო-

ეროვნული

ეშხამა და ვიდრე მართლა მტვრად და ქია-ლუად გარდიქცეოდა, მანამდე საკუთარი სამკალი ემკა და თავისი კალო ელეწა... რაკი სიცოცხლე ასე ხანმოკლე იყო, ხოლო სურვილთა საწყაული აღუვსებელი, — ყოველი ღონე უნდა ეხმარა, რათა არსებობა გაეხანგრძლივებინა და ცხოვრების ხიდანაც უფრო მეტი და გემრიელი ნაყოფი ჩამოეკრიფა!..

განა არ იცოდა, ცას რომ არ გამოეკერებოდა, და ერთხელ თვითონაც მიაყუდებდა ყალიონს, მაგრამ ეს შორეულ მერმისში უნდა მომხდარიყო, ჯერ კი შუა გზა ჰქონდა გავლილი... თუ ბოლოს, ასაკის მატებისდა კვალობაზე, ხორცი დაჩაჩანაკდებოდა და სურვილთა სათავე იმდენად დაიშრიტებოდა, ამქვეყნიური სიამენი დაჰკარგავდნენ მიმზიდველობას, მაშინ აღსასრულიც აღარ იქნებოდა თავზარდამცემი, გარდა იმ ერთი სულის აღმოხდომის წამისა, მაგრამ მეტწილად მაინც სხვათა სიკვდილზე ფიქრობდა, რაკი სულ სხვები იხოცებოდნენ, თვითონ კი სულ ცოცხალი იყო...

ცხოვრების ფერხულში ჩაბმულსა და გალაღებულს, ხშირად მართლაც ავიწყდებოდა იმ საბედისწერო ჟამის გარდუვალობა... მეზობელს გაეხუმრა ერთხელ, — მზის ყურზე ჩამომჯდარ ასს გადაცილებულ ბერიკაცს, — ქელეხი როდის უნდა გვაჭამოო, და მაშინვე ინანა: ბერიკაცს კრიალოსანი ხელში გაუშეშდა, შეკრთა, მერე უცნაურად გაულიმა და უთხრა: ჩემი სიკვდილი შენ რას გიშველის, — ყველას საკუთარი აქვს ზურგზე წამოკიდებულიო...

ვითომ არ კმაროდა, ისედაც რომ ვერ გაექცეოდა ამ ამბავს, — ახლა აგერ ვილაც უსახური გადაჰკიდებოდა და ნაადრევად უბნელებდა მზეს... თავად სიკვდილი არ იქნებოდა იმდენად საშიში, როგორც მისი მოლოდინი და ამ მოლოდინში გათრეული ყოველი წამი...

ან ეს ფილოსოფოსობა რა მისი საქმე იყო, — კაცი ტექნოლოგი გახლდათ, მთელ სისტემაში ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე და აღიარებული სპეციალისტი... სიყრმითვე შესისხლხორცებულ რწმენასაც რაღა გადასინჯვა უნდოდა, მაგრამ იმისთანა ამბავში გაიხლართა, იძულებული შეიქნა ერთხელ კიდევ დაფიქრებოდა ამ საკითხს...

ადამის ძეთაგან ვინც გინდა ყოფილიყო ნილბოსანი, თუნდაც რკინის მკვნეტელი და თვალთაგან ნაპერწკლების მკვესავი, მაინც მოერეოდა, მოარგებდა რამე გასაღებს, მაგრამ ვაი თუ ბერიკაცი მართალს ამბობდა?!.

იქნება სცდება რომ ჰგონია, ზედმიწევნით კარგად ვიცნობ ბუნებისა და ცხოვრების კანონებსო, რასაც ამ დრომდე საკუთარი წარმატებებიც უდასტურებდა!.. იქნებ შემთხვევით მოაღწია დღემდე, გაუმართლა უბრალოდ, და სინამდვილეში კი ინჩი-ბინჩი არ გაეგება ამ ქვეყნის?..

შეიძლება, ნეტავი, მართლა არსებობდეს ვინმე იდუმალი მსაჯული, ვინც ჩუმ-ჩუმად აკვირდება ჩვენს ყოფაქცევას, ცოდვა-მადლს ითვლის და მერე ბედის სასწორზე სწონის?..

ეს რომ სცოდნოდა, სხვანაირად წარმართავდა მაშინ ცხოვრებას, — იმ წესისა და რიგის გათვალისწინებით, რაიც მას არსებობის უფლებას მოუპოვებდა!..

იმ დღეს, ლუდხანიდან დაბრუნებული ტახტზე რომ წამოწვა და ბერიკაცის ნათქვამს ჩაუღრმავდა, იგი აიტანა ყველაზე ძლიერმა შიშმა, რომელთან შედარებითაც ტყვიების ზუზუნი, ამ დრომდე რომ ზაფრავდა, კოლოს წუილად ჩანდა, რადგან თუ მართლა ღმერთი ჰყავდა გამწყრალი, მაშინ უბრალო სიკვდილი კი არა — სამარადისო ტანჯვა და მდუღარე კუპრი ელოდა!..

იმედად ისღა დარჩენოდა, ტყვიით რომ უპირებდა განგება დასჯას, — გაგონილი ჰქონდა, ტყვიით სიკვდილი იოლიაო...

ტყვია დიდებული გამოგონება გახლდათ, ოლონდაც გააჩნია სად მოგხვდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა... და მირიანმა თვალებზე აიფარა ხელები...

იწვა ტახტზე გულაღმა და სიგარეტს სიგარეტზე ქაჩავდა... ფანჯრიდან ჩანდა მოქუფრული ცა, ბინდდებოდა... ოთახი თამბაქოს ბოლით იყო სავსე... ხან ჯუიზიკო შემოიხედავდა, ხან — ნუცა: გვითხარი რა გჭირს, რა წაგვეკიდაო, ჩაის აგიდუღებთ, რაიმე წამალს მოგცემთ, ანდა ექიმს გამოვუძახებთო...

არც ჩაი მინდა თქვენი, არც წამალი. ექიმიც ვერაფერს მიშველის, — მე თვითონვე ვუმკურნალებ ჩემს თავსო...

ვთქვათ და ბერიკაცი მართალია (წეურაცხყოფილად კი გრძნობდა თავს, იძულებული რომ შეიქნა ამგვარ სისულელეებზე ეფიქრა და ყოველგვარი რწმენის გარეშე, ღმერთის არსებობა დაეშვა ან დაეჯერებინა!), ისეთი მაინც რა ცოდვა უნდა ჰქონოდა ჩადენილი, ასე სასტიკად დასჯილიყო?..

ნაგაზებმა წამოიყეფეს და თითქოს სახლიც შეზანზარდა... სუნთქვა შეიკრა, მიაყურადა: ფანჯრის მინებზე წვიმამ გადაიშხაპუნა, — ქარიშხალი ამოვარდნილიყო...

მალე ძაღლების ყეფა მიწყდა, დალამდა... ქარი აჭრიალებდა დროდადრო გალავნის გასწვრივ ჩაყოლებულ ალვის ხეებს...

* * *

უცებ, ბონდის ხიდზე მდგარი წითელპალტოიანი გოგონას მოკუნტული ფიგურა გაკრთა გონებაში, სასოწარკვეთილი რომ ჩასჭიდებოდა ბაგირს... ქვემოთ კი ადიდებული მდინარე მიჰქუხდა... თითქოს ბედი (რომელიც ახლა სჯიდა!) გამოცდას უწყობსო, მანქანაში მარტოდმარტო იჯდა და მის გარდა სხვა არც არავინ შესწრებია იმ გოგოს საცოდაობას...

ათიოდე წლის წინანდელი ამბავი იყო... ქუთაისში მიდიოდა, ქარხნისათვის მეტად საჭირო და დეფიციტური ნედლეულის — ლიმონმჟავას მოწოდების საქმეზე, რასაც ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში იყვნენ ნაცნობი ბიჭები შეპირებულნი...

თბილისიდან დილაუთენია გამოვიდა და ათი საათისათვის ძირულას ხეობაში მიაქროლებდა უკვე მანქანას... შემოდგომა იყო, წვიმდა; კენწეროები გაშიშვლებოდათ გადაყვითლებულ ხეებს, მთათა ფერდობებზე აქა-იქ შეყუჟულ, მოწყენილ სახლებს თავზე კვამლის ლურჯი სვეტი ადგათ... ბორითს უახლოვდებოდა უკვე... ძირულა კი ბობოქრობდა და გაავებული ეხეთქებოდა ვეება ლოდებს...

ჩანს, იმ დილით, მისდა საბედისწეროდ, გოგონას სკოლაში დაგვიანებოდა; ან იქნებ, ავად გახდა და პირველსავე გაკვეთილზე გაითავისუფლა თავი... შუამდე მიეღწია, მერე კი, ეტყობა, თვალთ აუჭრელდა... დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მობრუნებულს ხელები ბაგირისთვის მოევლო, ჩელტზე ჩაცუცქულიყო და მუხლებით ჩანთას იკავებდა...

მირიანმა შორიდანვე შენიშნა და მიხვდა რა გასაჭირიც დასდგომოდა: წყლის დინება, ალბათ, საკუთარ სრბოლად ეჩვენებოდა და ეგონა, ხიდთან ერთად მდინარის ალმა თავბრუდამხვევი სისწრაფით მივქრივართო.

ჯერ ჩანთა გადაუვარდა...

მირიანმა სვლას უმატა და ის-ის იყო ხიდს მიაღწია, მაგრამ ამასობაში გოგონამ ხელები შეუშვა ბაგირს — გვარლს წაეტანა...

გვარლი რომ გაწყდა, ერთ ხანს ჩელტზე შეიკავა თავი... მერე კი, თითქოს განგებ შვრებაო, ხელები გაშალა და გადაეშვა...

წითელმა პალტომ გაიელვა ჰაერში... წყალი ოდნავ შხეფდა და გოგონა მღვრიე ტალღებში გაუჩინარდა... ხიდს ქვემოთ კალაპოტი ფართოდ იშლებოდა და გოგონა მალე ისევ გამოჩნდა... ეტყობა გონება არ დაუკარგავს და თავის გადასარჩენად გაიბრძოლა: როცა დინებამ ნაპირს მიუახლოვა, წყალზე გამოშვერილ ჩხერგს წაეტანა, მაგრამ მოსილული ჯოხი დაიძურწა...

მანამდე კი ნაპირს გამოხედა და მათი მზერაც ერთმანეთს შეხვდა...

გოგონას არ უყვირია... ან იქნებ ყვიროდა კიდეც, მაგრამ მის ხმას მდინარის ღრიალი ფარავდა...

ან იქნებ იმიტომ არ უყვირია — არ ელოდა მანქანაში მჯდომი უცხო კაცისაგან შველას... აქ ხომ გამუდმებით დაჰქროდნენ მანქანები, — ისინი მოდიოდნენ გაურკვეველი შორეთიდან და ასევე შორეული, ბუნდოვანი მიზნებისაკენ მიისწრაფვოდნენ... ხოლო გზის ეს პაწია მონაკვეთი, მისი შემოგარენი, სადაც გოგონამ მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე გაატარა, მათთვის სპიდომეტრის ერთი გაჩხაკუნება იყო, — მეტი არაფერი...

ხან გამოჩნდებოდა, ხან ისევ ჩაიმალებოდა მღვრიე, ტალახისფერ ტალღებში... გზა მდინარის ნაპირს გასდევდა და მირიანმა რამდენჯერმე დააპირა მიშველება, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ გაბედა წყალში შესვლა...

შემხვედრმა მანქანებმა ჩაუქროლეს, — ორიოდემ კიდეც გადაუსწრო... მალე კალაპოტი ისევ დავიწროვდა და გოგონა დინებამ გაიტაცა... ჩანდა წყლის ზედაპირზე გაშლილი შავი თმა და ბაფთა, რომელსაც დამხრჩვალ პეპელასავით მიაქანებდა ტალღა... ახლა მისი პალტოც შავად ჩანდა... მერე, როცა გოგონა საბოლოოდ დაეკარგა თვალთაგან, მირიანმა სიჩქარეს უმატა...

თუ დასჯა იყო, — ნაღდად ამისთვის დასჯიდა ღმერთი!..

თავი წამოსწია და ყური მიუგდო ალვის ხეების უცნაურ შრიალს... ფანჯრებზე ისევ ასხამდა წვიმა...

საკუთარ თავს ჰკიცხავდა ახლა:

კარგი მოცურავე გახლდათ, — გამოცდილებაც არ აკლდა... რომ მოენდომებინა—გადაარჩენდა... მაგრამ ამინდი იყო საძაგელი: ციოდა, წვიმდა... წყალიც მღვრიე, ყინულივით ცივი... ტანსაცმლიანად უნდა გადამხტარიყო, — გახდას ვერ ასწრებდა...

არა, — ეს არ იყო მაინც მიზეზი...

ძლიერ ეჩქარებოდა... თერთმეტზე, ქუთაისში, სასტუმროს წინ კაცი ელოდებოდა ლიმონმჟავას საქმესთან დაკავშირებით...

არც ეს!..

ვთქვათ და თვითმფრინავით გადაფრენილიყო იმ დილით?.. ან ათიოდე წუთით ადრე ჩაევლო, ან გვიან?.. ანდა სულაც არ გაეხედა იქეთკენ?.. მაშინ ხომ აღარ იქნებოდა ბრალში?.. თვითონაც სხვებივით ჩაიქროლებდა!..

არა, არა, — მიზეზი არც ეგ იყო!..

რაკი სწორედ მან შენიშნა ეს ამბავი, უნდა მიშველებოდა და იქნებ მიშველებოდა კიდეც, — მით უფრო გოგონა ძლიერ შეეცოდა... მართლაც ძლიერ შეეცოდა: წამით, როცა მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა, მოეჩვენა, თითქოს შიში და სასოწარკვეთა კი არა, — მორცხვობა ეხატა სახეზე... სწორედ იმ დროს ხელი მოსილულ როკზე ჰქონდა მოვლებული და, ალბათ, ეგონა გადავრჩიო... იქნებ თაკილობდა კიდეც ამისთანა ამბავი რომ შეემთხვა და ერცხვინებოდა უცხო კაცის თანდასწრებით წყლიდან ამოსვლა, ტანზე შემოტმასნილი სველი სამოსით, — გოგონა წამოჩიტული ჩანდა... ერთი სიტყვით, შეებრალა და აპირებდა მიშველებას...

მაშ, რაღამ შეუშალა ხელი?..

ახლა გამოუტყდა თავს: მიზეზი ის გახლდათ, რომ ვერავინ დაადანაშაულებდა... არავინ იყო ამ ამბის მოწმე... მარტო გოგონამ იცოდა, მირიანმა რომ დაინახა და ისიც დაიღუპა... იმ ჯოხს რომ არ ემტყუნა და ნაპირზე ამოსულიყო, მერე კი აღმოუჩენდა დახმარებას...

აბა რას იფიქრებდა, მაშინ თუ განგების თვალი უდარაჯებდა და მერე ამის გამო დასჯიდა!..

ნაშუადღევს, ლიმონმჟავას საქმე რომ მოითავა და უკან ბრუნდებოდა, ბონდის ხიდთან შეგროვილი ხალხი შენიშნა... იქვე, გზისპირას, წითელპალტოიანი გოგო იდგა, და წამით ელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავით დაუარა ფიქრმა — ნეტავი, შემთხვევით ხომ არ გადარჩაო...

გოგო ტიროდა...

ალბათ იმ საცოდავის და იყო!

ხალხი ყაყანებდა, მხრებს იჩეჩდნენ. ტუჩებს იბზუებდნენ და მდინარისაკენ იშვერდნენ ხელს... ჩანს, არ იცოდნენ რა მოუვიდა, სად გაქრა ბავშვი...

სახედახოკილ, გამხდარ, თმებგაშლილ ქალს ძლივს აკავებდნენ.

ეტყობოდა, გოგონას დედა იყო...

მირიანმა დააპირა გაეჩერებინა მანქანა და ეთქვა მათთვის, რაც ამ დილით უბედურება დატრიალდა, მაგრამ გადაიფიქრა.. მხოლოდ უსიამოვნებას გადაეყრებოდა... არაფრით აღარ შეიძლებოდა ახლა ამ ამბის გამჟღავნება და სისწრაფეც არ შეუნელებია, ისე ჩაუქროლა ხალხს.

უცნაურმა ფიქრმა გაჰკრა გონებაში: კიდევ კარგი არ გადარჩენილაო... თორემ, ის რომ ყოფილიყო ახლა, გზისპირას მდგარი წითელპალტოიანი გოგო, უთუოდ მიცნობდა და ქვეყანას მომისევდაო, — აი, ამ კაცმა დაინახა ამ დილით ჩემი გასაჭირი, მაგრამ არ მომეშველა და თქვენც არაფერი შეგატყობინათო... კი, ნამდვილად ასე იქნებოდა... შესაძლოა, ცოცხალსაც ვერ გამოესწრო!..

და სწორედ ამისთვისაც სჯიდა ახლა ღმერთი!..

შიშსა და ძრწოლაში თეთრად გათენებულ იმ ქარიშხლიან ღამეს, კიდევ ერთი სხვაც გაიხსენა, მირიანმა, რისთვისაც ღმერთს მისი დასჯა შეეძლო... ეს ამბავი ცოტა მოგვიანებით მოხდა.

* * *

დეკემბრის თოვლჭყაპიანი ღამე იყო, — მირიანი მცხეთიდან ბრუნდებოდა (შავდიასთან გახლდათ რაღაც საქმეზე და უპატივცემულოდ აღარ გამოუშვა — მიტომაც შემოჰგვიანებოდა)... სველი ასფალტი ფარების შუქს ნთქავდა, მაგრამ ტრასა ცარიელი იყო და მთელი სისწრაფით მიერეკებოდა მანქანას...

დიღმის გადასახვევს რომ მოატანა, უცებ გაზონებიდან კაცი გამოუხტა...

მუხრუჭებმა ველარ უშველეს საქმეს... კაცმა ხელები შემოაგება მანქანას, თითქოს ბედისწერის შეჩერებას ლამობსო... მერე ისე აცურდა მინაზე, როგორც მყვინთავი აკვარიუმის კედელზე... დარტყმა ძლიერი იყო და კაცი გაზონებში გადავარდა...

მირიანი მანქანიდან გადმოხტა...

ირგვლივ ძე-ხორციელი არ ჭაჭანებდა, — ქარი უბერავდა მხოლოდ და სველ ფანტელებს სახეში აყრიდა...

კაცი გულაღმა ეგდო გზისპირას... ტალახიანი რეზინის ჩექმები ეცვა...

შუა ხნის ტანმორჩილი კაცი იყო, ხელოსანი... ასფალტზე, მის ფეხებთან, სისხლის გუბე დგებოდა; იქვე, ბრეზენტის ჩანთა და ქაღალდის პარკი ეგდო — ჩანთიდან სადურგლო ხელსაწყოიარაღები: ბურღი, შალაშინი, ხერხი და რაღაც-რაღაცები გამოყრილიყო. გადაფხრეწილ ქაღალდის პარკში ნაძვის ხის ჩამსხვრეული სათამაშოები მოჩანდა (ახალი წელი ახლოვდებოდა)... ერთი, სასწაულად გადარჩენილი კრიალა ბურთი კაცის ფერხთით ეგდო, სისხლის გუბეში... დაჯახებისას მანქანის მარჯვენა ფარი ჩამსხვრეულიყო და მირიანმა დააპირა შუშის ნატეხები აეკრიფა, მაგრამ გაახსენდა, ფარებზე ნომრები რომ არ ჰქონდა ამოკაწრული და გადაიფიქრა... კაცს მიუახლოვდა, სახეში ჩააცქერდა, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა...

საჭეს მიუჯდა და ერთხელ კიდევ მიიხედა უკან... წამოკვნესება მოესმა და მოეჩვენა, თითქოს კაცი თლნავ შეინძრა...

მანქანა სწრაფად მოსწყვიტა ადგილს...

ორმოცდაათიოდე მეტრი ექნებოდა გავლილი, შემხვედრმა მანქანამ ჩაუქროლა... სარკეში უთვალთვალებდა, მაგრამ მანქანა ისე ჩასცილდა ავარიის ადგილს, არაფერი შეუმჩნევია...

მეორე დღეს, ფარი რომ გამოაცვლევინა და შელუნული ფრთაც გაასწორა, ის ადგილი მოინახულა, თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანა არ შეუჩერებია, — იცოდა, სახიფათო იყო... აინტერესებდა — რა ბედი ეწია ნეტავი, იმ საცოდავსო... წუხანდელი ავარიის კვალიც კი აღარ ჩანდა...

მოგვიანებით გაზეთში მოზრდილი წერილი წაიკითხა: „ტრანსპორტი და ფეხით მოსიარულენი", სადაც, სხვათა შორის, ეს შემთხვევაც იყო მოხსენიებული... მართალია, ავარიის გამომწვევ მიზეზებში მძღოლს ვერ დავადანაშაულებთო, — წერდა ავტორი, — იგი უშუალოდ ფეხით მოსიარულის დაუდევრობითაა მომხდარი, მაგრამ ქვის გული უნდა ჰქონოდა კაცს, ასეთ უმწეო მდგომარეობაში მიეტოვებინა დაზარალებული, რომლის გადარჩენაც, დროული სამედიცინო დახმარების პირობებში, სულ იოლად შეიძლებოდაო...

ახლა ეს ამბავიც მძიმე ცოდვად აწვა კისერზე!..

მაინც, რატომ მოიქცა ასე?..

იმიტომ, რომ მისი ბრალი არაფერი ყოფილა (ამას ხომ კორესპონდენტიც აღიარებდა!) და გარდა ამისა, მკვდარი ეგონა უკვე..

მერე კვნესა რომ მოესმა, წამით შეყოყმანდა — გადაწყვიტა მანქანაში ჩაესვა და საავადმყოფოში მიეყვანა, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა...

რატომ?..

ჯერ ერთი, მაგარი ნასვამი იყო და ამის მოერიდა (ხომ გაიგებდნენ — შეამოწმებდნენ და მერე მტყუან-მართალს ვინღა დაგიდევდა!), მეორეც: უბრალო კაცი ჩანდა... თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მაინც... იმის შიში არ ჰქონდა, ვინმე ძლიერი პატრონი გამოუჩნდებაო, — ქვეყანას შეძრავენ და მიპოვნიანო (თვითონ რომ ყოფილიყო დამნაშავე, კიდევ ჰო...).

თანაც სულ სისხლსა და ტალახში იყო საბრალოდ მოთხვრილი... ხელში უნდა აეყვანა... გაკრიალებულ სალონში დაეწვინა... ეს ისე, უბრალოდ, სიტყვაზე...

რაც მთავარია, გააბრაზა დურგლის დაუდევრობამ: შე, მამაცხონებულო, კარგი, თავი არ გებრალება, მაგრამ მე რას მერჩი, მე რაღა დაგიშავე: ახლა რომ ავტოინსპექტორი შემომსწრებოდა და ეს დაენახა, ხომ დავიღუპებოდი კაციო... თანაც სიგნალი მისცა, გააფრთხილა, მაგრამ მაინც არ შეეპუა და გამოვიდა გაზონებიდან — ალბათ, ეგონა გადავასწრებო... ჯიბრში ჩაუდგა, — შენ თვითონ მომერიდეო... გაგონილა მძღოლზე ნდობა ამ შუაღამისას, ამ უკაცრიელ ტრასაზე?.. თვითონაც მოუმატა სიჩქარეს, თან საჭე მარცხნივ შეხარა, კაცს რომ არ გადაესწრო, ხოლო მერე, რომ დაინახა ის მაინც არ შეეპუა და დაჯახება გარდაუვალი იყო, დაამუხრუჭა, მაგრამ არა მთელი ძალით... ხომ შეიძლებოდა მოსველებულზე მანქანა გადაბრუნებულიყო და რად უნდა ჩაეგდო თავი ხიფათში, როცა ამ კაცთან მაინც მართალი იყო...

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლდათ, რომ ამ ამბავს არავინ შესწრებია, არავის დაუნახავს... თუნდაც გამოეძიებინათ, მაინც ვერ მოაგნებდნენ... მაშ რად აეტკივებია აუტკივარი თავი?.. დურგალიც აგერ, უგონოდ ეგდო, სულს ლაფავდა და ცოცხალიც რომ გადარჩენილიყო, სულერთია, ვერ გაიგებდა ვინ დაეჯახა...

ახლა კი, ყოველივე ამის გამო, პასუხს სთხოვდნენ!..

* * *

თუ ადრე გამთენიისას ორიოდ საათით მაინც წასთვლემდა, იმ ღამეს სულ არ მოუხუჭავს თვალი.

მეორე დღეს მოგვიანებით ადგა, ჩაიცვა და გაბრუებული კიბეს ჩაუყვა... აივანზე გადმომდგარი მეუღლისა და დედის შეშფოთებულ მზერას გრძნობდა.. სამსახურში მიდიხარო? — დაეკითხა ნუცა... არაო, — უკმეხად მიუგო... ექიმთან, შვილო, ხომ?.. — დააწია ლიზიკომ.. საექიმო რა მჭირსო, — ნერვები მოეშალა მირიანს; თავად ვერ ატყობდა, როგორ შეცვლილიყო იმ ერთ ღამეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანა არ გამოუყვანია გარაჟიდან, არც რევოლვერი ჩაუდვია ჯიბეში — რაღაც აზრი ჰქონდა: ღმერთს ხომ ვერც მოკლავდა და ვერც ვერსად გაექცეოდა!..

ნუცუბიძის ქუჩა გადაკვეთა, ერთი კვარტალი ფეხით გაიარა, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე გავიდა და ავტობუსის გაჩერებასთან იდგა.

აგერ, ორი ათეული წელი იყო უკვე, რაც ქალაქის ტრანსპორტით აღარ უმგზავრია და სალონში უცხოდ იგრძნო თავი... ვიღაც ახალგაზრდა ვაჟმა ადგილი დაუთმო, მაგრამ არ ისურვა დაჯდომა, — ხელი მოავლო რკინის თბილ ლატანს და გაკვირვებული მიაჩერდა ხალხს:

ისხდნენ კმაყოფილნი, არაფერი არ აწუხებდათ, — ზოგს წიგნი ეჭირა ხელში, ზოგი გაზეთს ათვალიერებდა, ანდა საუბრით იქცევდნენ თავს... ისეთი საოცარი თანხმობა და ინტიმი სუფევდა მათ შორის, თითქოს ყველანი ერთმანეთის ნაცნობები, მეზობლები, მეგობრები ან ნათესავები არიანო... არც ისე საცოდავები ჩანდნენ, როგორც ეჩვენებოდა ადრე, მანქანით რომ ჩაუქროლებდა ხოლმე და ფანჯრებში მათ დაფიქრებულ სახეებს მოჰკრავდა თვალს... ამაყადაც კი ეჭირათ თავი, თითქოს რაღაც საერთო აზრს თუ მიზანს შეუკავშირებიათო, — თუნდაც იმას, ერთი ავტობუსის მგზავრები რომ იყვნენ...

მოქალაქევ, ბილეთი აიღეთო — კონდუქტორმა ისე შეახსენა, თითქოს ჩვეულებრივი მგზავრი ყოფილიყო... ორმოცდაათმანეთიანი გაუწოდა, მაგრამ ქალმა ღიმილით გააქნია თავი და ჩანთაშიც კი ჩაახედა.

ბოლო გაჩერებაზე, ავტობუსი რომ დაცარიელდა, თვითონაც ჩავიდა და რუსთაველის პროსპექტს გაუყვა...

უფასოდ გამოუვიდა მგზავრობა, არადა, რა იაფი ღირდა ბილეთი!..

მირიანი ეკლესიაში მიდიოდა...

* * *

სალოცავად კი არ მიდიოდა (რა სისულელეა!), — უბრალოდ, მღვდელთან გასაუბრება უნდოდა...

მან იცოდა, რომ ქალაქში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი საყდრები, სადაც ღვთისმსახურებას ეწეოდნენ...

ადრე მღვდელს რომ დაინახავდა, ჯვაროსანსა და წვეროსანს — შავი ანაფორის ფართხუნით ქუჩაში მიმავალს, — დამცინავ მზერას გააყოლებდა, როგორც შუა საუკუნეების სიღრმიდან გამოწვეულ აჩრდილს, ანდა „მოძრავ ბუტაფორიას“... ერთხელ, როცა ქაშვეთის წინ ჩაიარა და შემთხვევით, ეკლესიის კედელ-კედელ საცეცხლურის ქნევითა და ლოცვა-ბუტბუტით მიმავალი მღვდელი იხილა, რომელსაც მლოცველთა ამალა მისდევდა, გულწრფელად გაუკვირდა, — რად რთავენ ნებას, რატომ ახლავე არ აღკვეთენ ამ უმსგავსოებასო...

მერე და მერე ყურადღებას აღარ აქცევდა: თანდათან შეუმუშავდა აზრი, რომ მღვდელს ეკლესია შემოსავლის წყაროდ გაეხადა, და ანაფორა და ჯვარიც ისევე სჭირდებოდა, როგორც ოფიციანტს — თეთრი ხალათი და საანგარიშო, ანდა ყასაბს — ნაჯახი და ფეშტემალი... ოღონდაც ეს კია — არსებობის პურის მოპოვების ამგვარი გზა, ამ ცივილიზებულ და განათლებულ ეპოქაში, მას სამარცხვინო და საძრახის საქმედ მიაჩნდა... ბოლოს ჩვეულებრივ ამბად ჩასთვალა და სულ არ უკვირდა, მღვდელს რწმენის გარეშე ელოცა, თუ კარგი „გამომუშავება“ ექნებოდა, რაკილა ეს მისთვის და მისი ოჯახის კეთილდღეობისთვის იყო საჭირო...

სინამდვილეში კი, თურმე, ცოტა სხვანაირად ყოფილა საქმე და აი, მიდიოდა ახლა ეკლესიაში, ვინმე მოძღვართაგანი რომ ენახა და მისთვის ესონდენ საინტერესო და საჭირბოროტო თემაზე ესაუბრა...

ქაშვეთში აპირებდა შესვლას, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან იქვე მოპირდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირედ მდებარე სახინკლეში შეიძლებოდა ვინმე ნაცნობი ყოფილიყო და დაენახა...

გადაწყვიტა სიონს სწვეოდა: ჯერ ერთი, მივარდნილ და მყუდრო ადგილას მდებარეობდა და მეორეც, — უმთავრესი საყდარი გახლდათ და იქ უფრო სანდო, „კვალიფიციური სპეციალისტები“ იქნებოდნენ...

ზამთრისათვის შეუფერებელი, კაშკაშა, მზიანი დღე იყო — თბილოდა... მირიანმა ქურქის ღილები გაიხსნა და ქუდი მოიხადა: წუხანდელი ქარიშხლიანი ღამის შემდეგ ქალაქი განბანილი და განახლებული ჩანდა... კომუნარების ბაღის ჭიშკართან პატარა ბიჭებმა უბიდან მტრედები ამოიყვანეს და ფრთებაფართქუნებულნი ჰაერში შეისროლეს...

კეცხოველის ქუჩას გაუყვა...

ისე უცნაურად გარინდულიყვნენ მზეში შიშველი აკაციები, თითქოს ტოტებზე ჩამომსხდარი ბეღურების ჟღურტულს უსმენენო... საჯარო ბიბლიოთეკას მიატანა, სადაც სტუდენტობისას დაიარებოდა... აქ, სადღაც ახლოს, საყდარი ეგულებოდა, მაგრამ ვერ გაიხსენა, — სად... ფურცელაძის ქუჩაზე ჩაინაცვლა და უცებ, იქვე, ხელმარჯვნივ ეკლესია დიანახა. არ იცოდა მოქმედი იყო თუ მიყრუებული... მიუახლოვდა და როცა ღია კარებიდან ბინდში მოციმციმე სანთლებს მოჰკრა თვალი, გახარებულმა ზღურბლს გადააბიჯა.

* * *

შესვლისთანავე საკმეველის სუნმა გააბრუა და გალობის ტკბილმა ხმამ მოაჯადოვა... მოკრძალებით გაჩერდა კარის შორიახლო და ხელები ზურგსუკან დაიკრიფა... თეჯირის მიღმა მაგიდასთან მჯდომმა ხნიერმა ქალმა, რომელიც სანთლებს თეთრი ძაფით კონებად კრავდა, ანიშნა ხელები ჩამოიღეო.

წირვა მიდიოდა...

ტაძრის სიღრმეში, პატარა კათედრასთან, მისკენ ზურგშექცევით იდგა მღვდელი და სახარებას კითხულობდა; მის დუდუნს დროდადრო [illegible] მონოტონური ხმა ენაცვლებოდა, მაგრამ არც დიაკვანი და არც მგალობლები არ ჩანდნენ... გუმბათებიდან და კედლებიდან წმინდანები გადმოსცქეროდნენ; ჯვარცმული იესო და თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი იცნო, — აგრეთვე გრძელნაწნავებიანი შავტუხა ნინო კაბადოკიელი და მარიამ ღვთისმშობელი, რომელსაც ხელში ყრმა ქრისტე ეჭირა, ხოლო თავზე ნათლის გვირგვინი ადგა... ოქრო-ვერცხლით დაფერილ მაღალ შანდლებსა და კანდელაბრებში წმინდა სანთლები იწვოდნენ. ხატების წინ გაქვავებული თითო-ოროლა ექსტაზში შესული მლოცველი ტუჩებს აცმაცუნებდა. ერთმა შავოსანმა, კოჭლმა დედაკაცმა რის ვაივაგლახით დაიჩოქა ჯვარცმის წინ, და ფეხზე ეამბორა მაცხოვარს...

მღვდელმა სახარება დახურა, კათედრას მოშორდა და საცეცხლურის ქნევით ჩამოუარა ხატებს... წამით მან თვალი შეავლო მირიანს, მერე მიტრიალდა, საკურთხეველს მიაშურა და კანკელს დატანებული პაწია კარი შეაღო...

წირვა დამთავრდა, ეკლესიიდან ხალხი გაიკრიფა.

მირიანი თეჯირთან მივიდა.

— მღვდლის ნახვა მინდა... როგორ მოვახერხო?..

— მაგას რა მოხერხება უნდა, — უთხრა პალტოსა და თავშალში ჩათბუნებულმა ქალმა, რომელსაც სანთლების კონებად შეკვრა მოეთავებინა და ახლა ლითონის წვრილ ხურდა ფულს ითვლიდა მაგიდის სრიალა ზედაპირზე. — დაელოდე და გამოვა!

— უკაცრავად... ეს რა ეკლესიაა?..

— წმინდა სამებაა... — მიუგო ქალმა, თან ფულის თვლას განაგრძობდა.

— მღვდელი რა გვარია?..

— არ ვიცი, აღარ მახსოვს... — შემოხედა და უხერხულად გაუღიმა. — წმინდა ბარბარედანაა დროებით მოწვეული; ჩვენი ეპისკოპოსი ლაგოდეხს წაბრძანდა...

ამასობაში მღვდელიც გამოვიდა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურთხევლიდან; მანტია და გვირგვინი მოეხსნა, — შავი ანაფორა ეცვა და გულზე ვეება ჯვარი ეკიდა. შეჭაღარავებული გრძელი თმა-წვერი ჰქონდა... ცოტათი ჩამოჰგავდა კიდეც — ასაკითაც, დაახლოებით, ტოლები იქნებოდნენ.

მირიანი შესაგებებლად გაეშურა.

— დილა მშვიდობისა, მამაო... — დაბნეულად მიესალმა იგი.

მღვდელს რაღაც ღიმილისმაგვარი გაუკრთა სახეზე: შედგა და ჩვეულებრივი, „საერო“ ხმით მიუგო.

— გაგიმარჯოს...

მან ჯერ კიდევ წირვისას შენიშნა მირიანი და დაატყო, მორწმუნეს რომ არ ჰგავდა...

მღვდელი კარგად იცნობდა ქალაქის ეკლესიებში მოსიარულე მცირერიცხოვან მრევლს: უმთავრესად დედაბრებს, ან მიხრწნილ, ჩია ბერიკაცებს. ადრიდან რომ შემორჩენოდათ რწმენა; უახლოესი ნათესავების დაკარგვით დატანჯულ შავოსან ქალებს და ახალგაზრდა გოგონებს, სიყვარულში რომ მოსცარვოდათ ხელი; ხეიბრებსა და ღვთის გლახებს, ყველა ჯურისა და ასაკის უნდილ, უუნარო და ბედოვლათ ხალხს, სამსახურსა თუ პირად ცხოვრებაში რომ ეწვნიათ მარცხი და ახლა ღმერთს შესთხოვდნენ შველას; ძვირფასად შემოსილ, სახელაქლაკა გოგო-ბიჭებს, სეირის საყურებლად რომ შემოივლიდნენ ათასში ერთხელ, და მერე გასვლისას, ზრდილობის გულისთვის, უკულმა იწერდნენ პირჯვარს...

ხოლო ეს კაცი არც ერთ მათგანს არ ჰგავდა... ჯერ მარტო მისი ჩაცმულობა რად ღირდა!.. თუნდაც ეს ძვირფასი, რძიანი კაკაოსფერი ქურქი... ანდა ყურებიანი ბეწვის ქუდი, დამხრჩვალი მგელივით რომ ეჭირა ხელში...

მიუხედავად ნაჭამი შიშისა და ნანახი ზაფრისა, მირიანს ჯერაც შემორჩენოდა ამპრტავნული, ზვიადი იერი, და მიტომაც გაოცა მღვდელი მისმა მოკრძალებულმა „მამაომ“, თუმცა თვალებზე კი დაატყო მცირე ტანჯვის ნასა-ხი...

— ორიოდე წუთს ხომ ვერ მოიცლიდით ჩემთვის, მამაო?.. — შესთხოვა მირიანმა.

— დიახ... რა გნებავთ?..

— თქვენთან გულახდილი საუბარი მინდოდა, მამაო...

— ბრძანეთ, ბრძანეთ... გისმენთ!

— არა, ასე უხერხულია... — მირიანი შეიშმუშნა. — მე მინდოდა უფრო დაწყნარებით, დამშვიდებით... არ შეიძლებოდა სადმე რომ ჩამოვმსხდარიყავით, მამაო?..

მღვდელმა ეჭვით შეათვალიერა და კარგა ხანს გამომცდელად უცქირა, მერე ერთ-ერთი კუთხისაკენ წარუძღვა კაცს, სადაც მომცრო მაგიდა და ორი სკამი იდგა.

— არც კი ვიცი როგორ დავიწყო... — მირიანმა ცხვირსახოცით შეიმშრალა სახეზე ოფლი. — მე მაინტერესებდა, მამაო...

— რა გაინტერესებდათ?.. — შეახსენა მღვდელმა, როცა კაცი ხანგრძლივად ჩაფიქრდა.

— ჩემთვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს... — ამოღერღა მირიანმა. — მიჭირს... ძალიან მიჭირს, მამაო... თქმაც კი მიჭირს და მეძნელება... ყოფნა-არყოფნის საკითხი დამიდგა... მე მინდოდა გამეგო, ღმერთი მართლა არსებობს, ნეტავი?.. — სასოებით შეხედა და კვლავ შეიწმინდა სახეზე ოფლი.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორ გგონიათ?.. — შეუბღვირა მღვდელმა.

— მე რა ვიცი... — დაიბნა მირიანი.

— თქვენთან იმიტომაც მოვედი...

— არა, არა... მაინც როგორ გგონიათ, — ჩემგან რა პასუხს მოელით?.. — როყიოდ ჰკითხა მღვდელმა, თან ჯვარი შეათამაშა ხელში, თითქოს ემუქრებაო.

— დიახ... რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა...

— აგერ უკვე ოცი წელიწადია ღვთისმსახურებას ვეწევი... — ბრაზიანად გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგრძო მღვდელმა. — იქნებ გგონიათ სართვამ მომიყვანა ეკლესიაში?.. ასე რომ ყოფილიყო, არტელში ან „ტორგში" ამოვყოფდი თავს... სახელიც მეტი მექნებოდა და სახრავიც, — მაწყენდა თუ რა?.. მე რა ვიცი თქვენ ვინა ხართ, რა ხართ...

— მე ახლა პირველად მიხდება ამ თემაზე საუბარი, — მიუგო მირიანმა. — ბევრი რამ არ ვიცი და თუ რამ შემეშალოს, ნუ მიწყენთ, მამაო... რიგითი მოქალაქე ვარ, ერთ-ერთი სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელი... თუ შეიძლება ვინაობას არ გავამჟღავნებ, — ასე მირჩევნია, უფრო გაბედული და გულახდილი ვიქნები!..

— კეთილი და პატიოსანი... — გამოცოცხლდა მღვდელი და სიამოვნებისაგან წვერზე ჩამოისვა ხელი. — მიპასუხეთ თქვენ კი, გიკეთებიათ ოდესმე ის, რაც არა გჯეროდათ?..

— არა!..

— აკი შემპირდით, გულახდილი ვიქნებიო?.. — მღვდელი დაჟინებით მიაჩერდა თვალებში. — რაკი რჩევისათვის მომმართავთ, გულახდილიც უნდა იყოთ!

— სიმართლეს მოგახსენებთ, მამაო... რასაც ვაკეთებდი და ვაკეთებ, მჯერა კიდეც!

— არც ტყუილი წამოგცდენიათ?..

— ხანდახან... — დაიმორცხვა მირიანმა. — რა ვქნა, ისე არ გამოდის...

— ტყუილის თქმა უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე — ქმნა... — უთხრა მღვდელმა, — სიცრუე ბოროტების მაპიკია და ყოველი უკეთურების სათავე!

— თქვენ მუდამ ჭეშმარიტებას ქადაგებთ?.. — შეჰბედა მირიანმა. — ნუ კი მიწყენთ, მამაო...

— დიახ!.. — მკაცრად თქვა მღვდელმა და თვალები აულაპლაპდა. — მე მწამს ყოვლისშემძლე და ყოვლისმხილველი ღმერთი! წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ანაფორას არ ჩავიცვამდი და არც ამხელა ჯვარს ჩამოვიკიდებდი კისერზე. მე მხოლოდ მისი სახელით ვქადაგებ და ვლაღადებ... — პირჯვარი გადაისახა, თვალები ზეაღაპყრო და წაილუღლუღა: — მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი, ამინ...

— მაშ, არსებობს, არა?.. — ჩაეკითხა მირიანმა.

— მორწმუნეთათვის — კი, ურწმუნოთათვის — არა!

— მე მინდა ვიცოდე, სინამდვილეში როგორაა საქმე... რეალურად...

— დიახ, დიახ, სინამდვილეში... მორწმუნეთათვის მუდამ არსებობს, ურწმუნოთათვის — მოგვიანებით!

— მაინც... როგორ მოგვიანებით? — მირიანი დაიძაბა, სმენად იქცა.

— როცა განკითხვის დღე დგება!

მირიანი გაშრა.

— მანამდე, მამაო?.. მანამდე რა არსებობს მათთვის?..

— ეშმაკი, სატანა და კუდიანი!

მირიანი მოიკუნტა, დაპატარავდა, — ლამის ჩაძვრა ქურქში.

— სატანას და ეშმაკს შეუძლია ცოდვების გამო კაცი დასაჯოს?..

— არა, შვილო ჩემო, — მიუგო მღვდელმა. — სატანა და სხვა ქვესკნელის ბნელი ძალები პირიქით, — აცდუნებენ და ბოროტებისაკენ უბიძგებენ ადამის ძეთ!

— მაშ, ვის შეუძლია ცოდვებისათვის კაცის დასჯა?.. — მირიანი ცოტა უფროსიც კი ჩანდა მღვდელზე, მაგრამ მაინც არავითარი უხერხულობა არ უგრძვნია ამ „შვილო ჩემოს" გამო, ისევე, როგორც თავისივე „მამაო" აღარ ეხამუშებოდა უკვე ყურებს.

— ვის შეუძლია, შვილო ჩემო და — მამაზეციერს!.. მაგას რა კითხვა უნდა!

— მაშ, მართალია ეს ამბავი, მამაო?.. — მირიანს მკვდრისფერი დაედო.

— რა ამბავი?.. — გაუკვირდა მღვდელს. — მითხარი, შვილო ჩემო: ცოდვილი ხარ?

— ჩანს ასეა, რაკი ვისჯები!.. — ამოიგმინა მირიანმა. — არ კი მეგონა, მამაო...

— რა არ გეგონა?.. — ჰკითხა მღვდელმა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— უბრალოდ... ზოგჯერ არც კი იცი ცოდვად რა ჩაგეთვლება...

—მაგაზე იოლი რაა, შვილო ჩემო, — მიუგო მღვდელმა. — წაიკითხე სახარება, წაიკითხე ათი მცნება... — კვლავ აღაპყრო ხელები და წაიდუდღუნა: — არა კაც-ჰკლა, არა იპარო, არა იმრუშო, არა ცილ სწამო, პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა და შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი... — მერე დაჟინებით მიაჩერდა სახეში. — მითხარი, ნუ დამიმალავ: კომუნისტი ხარ?..

— დიახ... — მიუგო მირიანმა მცირე ყოყმანის შემდეგ და ნერწყვი გადაყლაპა.

— მერე რა, შვილო ჩემო... სახარება და ბიბლია მაინც წაკითხული უნდა ჰქონდეს განათლებულ კაცს... თუმცა, — დასძინა ირონიით. — გეტყობა, არც პარტიის პროგრამასა და წესდებას უნდა იცნობდე, — არ უნდა იყო მაგ ჩახედული, თორემ სიკეთე და ბოროტება ერთმანეთში არ აგერეოდა!

— არა, არც ამრევია... — ამოიხვნეშა მირიანმა. — მართლა ასე კი არაა საქმე, თქვენ რომ გგონიათ, მამაო... ოღონდაც ეგაა: ისეთი საოცარი ამბავი მჭირს, ისეთი, ისეთი...

—რა გჭირს ამისთანა?.. — ჰკითხა მღვდელმა. — არა, თუ არ გინდა ნუ იტყვი, შვილო ჩემო...

— ახლა მიმძიმს... ხვალ გეტყვით ან ზეგ ან მაზეგ, — თუ მანამდე არ... იცით, რა მინდოდა კიდევ, რა მაინტერესებდა მამაო... ვთქვათ და ღმერთი არ არსებულიყო... მაშინ?..

— ეს მკრეხელობაა, შვილო ჩემო, მაგრამ მოგეტევოს, რაკი ამ დრომდე ულმერთოდ გიცხოვრია!.. რაო, რა გაინტერესებდა?..

— აი... ღმერთი რომ არ... დავუშვათ, ერთის წამით, მამაო... ჰო, მაშინ ვინღა აწონიდა ცოდვა-მადლს... ბოროტებას ვინღა დასჯიდა?

— შენ ეს ჩემზე უკეთ უნდა იცოდე... მიტომაც არსებობს სახელმწიფო, კანონი, სამართალი... თუმცა აღმსრულებლები მაინც ადამიანები არიან, ადამის ძეთ კი ცდომილობა და ცოდვილობა ოდითგანვე მოსდგამთ; უამრავი საცდუნებელია ამ ქვეყნად, რაც ბოროტებას იფარავს და კვებავს... მამაზეციერი კი მოუსყიდველი და პირუთვნელი მსაჯულია, ხოლო მისი განაჩენი — სამართლიანი და გარდუვალია!

მირიანი აცახცახდა.

— მითხარით, მამაო... მაშ, მე აღარაფერი მეშველება?..

— ჯერ უნდა განაცხადო, უნდა გამოტყდე, შვილო ჩემო!

მაშინ მირიანმა მხნეობა მოიკრიბა და მღვდელს დაუფარავად, შეულამაზებლად უამბო ის ორი შემთხვევა, წუხელ რომ გაიხსენა და რისთვისაც მისი რწმენით, ახლა ღმერთი სჯიდა. მერე გაჩუმდა და თავი ქურქის საყელოში ჩამალა, ქუდს კი ისე აწვალებდა ხელში, თითქოს მგელს ახრჩობსო.

მღვდელი დაფიქრებული უსმენდა; არ შეუწყვეტინებია თხრობა, ვიდრე ბოლომდე არ მოათავა.

— ცოდვილი ხარ, შვილო... — უთხრა მერე. — შენ თუ დაგეზარა წყალში შესვლა, შე კაი დედმამიშვილო, — მით უფრო ცურვაც გცოდნია და ყველაფერი! — იმ მანქანებს მაინც გავაჩერებდი, აქეთ-იქიდან რომ ჩაგიქროლეს... გამოერეოდა ვინმე ღვთისნიერი, მიეშველებოდა და გადაარჩენდა საბრალოს, — ყველა შენისთანა ხომ არ გგონია, მაშინ დავიღუპულვართ და ესაა!.. მარტო ამის გამო დაგსჯიდა ღმერთი, ის საცოდავი დურგალიც რომ არ გაგეტანა!.. ტელეფონი გაქვს სახლში?..

— დიახ... — მიუგო აკანკალებულმა და გაშტერებულმა.

— ჰოდა, შე მამაცხონებულო... შინ რომ მიხვედი მერე მაინც დაგერეკა სასწრაფო დახმარებაში, ან მილიციაში — სულ არ გამოვჩნდებოდი, — ანდა მეზობლისთვის გეთქვა — შენ თუ ახალ კოსტუმსა და მანქანის შალითას უფრთხილდებოდი, არ გამესვაროსო, — ასე და ასეა საქმე, მომაკვდავი კაცი გდია გზაზე ამა და ამ ალაგას უპატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონოდო... ან რა გულით შეძვერი ლოგინში, ან რამ დაგაძინა, როცა შენი მსხვერპლი, შენივე თანამოძმე ფეხებგადამსხვრეული და მკერდშელეწილი ეგდო იმ ქარაშოტში და სულს ებრძოდა... მისი შვილი მაინც არ შეგეცოდა, — თვალებგამოშტერებული რომ ელოდა ალბათ მამას: სათამაშოებს მომიტანს და ნაძვის ხეს გამიწყობსო?!. ცოდვილი ხარ, ცოდვილი და მე თუ მკითხავ, ამ დრომდეც უნდა დაესაჯე ღმერთის!.. მაინც, რას გიშვება, — რანაირად გსჯის?..

—მოსაკლავად დამდევს ვიღაცა... — მირიანი მთლად დაპატარავდა და ჩაძვრა ქურქში, დამფრთხალი დაჰყურებდა თავისავე ქუდს, თითქოს მართლა მგელია და შეჭმას უპირებსო.

მღვდელი კარგა ხანს იჯდა ჩაფიქრებული.

— შეუნდე უფალო, რამეთუ არა იცოდა, რასა იქმოდა... — წაიდუდღუნა მან.

— ნუთუ საბოლოოდ დაღუპულია ჩემი საქმე და ვერარაფერი მიხსნის?.. ჰკითხა მირიანმა. — აკი რაღაცები მსმენია ცოდვათა მონანიებაზე?..

— ამისთვის გეტყვი თქვენ: — დაიწყო მღვდელმა, თან დაჟინებულ მზერას არ აშორებდა. — ყოველი ცოდვაი და გმობაი მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაი არა მიეტეოს კაცთა!

— მართლა, მამაო, მართლა?!. — მირიანი ზეზე წამოიჭრა აცახცახებული, ხელები მოხვია მღვდელს; „მგელი" ილლიაში ჰყავდა ამოჩრილი. — მაშ ყველაფერი არ დაღუპულა?.. მითხარით რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რა ვიღონო... ჩქარა, — ჩქარა — ვიღუპები!..

ისე იყო აღგზნებული, ვერც კი გრძნობდა ხმამაღლა რომ გაჰყვიროდა და მთელი ძალით ეჯაჯგურებოდა მღდელს მკლავზე, რომელიც ამასობაში წამომდგარიყო და უხერხულად ცდილობდა მის მოშორებას... საყდარში მყოფმა ორიოდე კაცმა მოშველებაც კი დააპირა, მაგრამ ეტყობა, მერე მიხვდნენ, აქ რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოსო, თვალი მოარიდეს [illegible]ტების წინ დაეყუდნენ ლოცვად...

— შენი საქციელი, შვილო ჩემო, — უთხრა მღვდელმა და მკლავი გაითავისუფლა. — ღვთისგმობას უფრო ჰგავს, ვიდრე ღვთისმოსაობას... დიახ, შეიძლება ცოდვები მოგეტეოს და განწმენდილი წახვიდე იმ ქვეყნად, მაგრამ არა ამგვარი მკრეხელობით...

— იმ ქვეყნად არა, არა, მამაო... — კვლავ დაეჯაჯგურა მირიანი. — მე ამ ქვეყნად მინდა ყოფნა, ამ ქვეყნად — სიცოცხლე მინდა... ჯანმრთელი და ახალგაზრდა კაცი ვარ... ჯერ ამ ქვეყნად და მერე — იმ ქვეყნად... მასწავლე რა ვიღონო, როგორ მოვიქცე, როგორ გამოვიხსნა თავი და სამაგიეროდ ჩემზე იყოს!..

— ღვთისმოსავი უნდა გახდე, ღმერთი უნდა იწამო... ბევრი უნდა ილოცო და ცოდვები მოინანიო! — მიუგო მღვდელმა.

— ახლავე ვილოცებ, მამაო, ახლავე... მაგაზე იოლი რაა, ეგ თუ მიშველის!.. მწამს უკვე ღმერთი, მწამს... მის სახელს ვენაცვალე!.. ადრე, ბავშვობაშიაც მწამდა, ბიძა მყავდა ნადიაკვნარი და იმან განმანათლა... ყველაფერს გავყიდი და ეკლესიას შევწირავ... მე სადმე ქალაქგარეთ გადავსახლდები — ცარიელ წყალსა და ხმელა პურზე გადავალ იჯრას... ფეხშიშველი ვივლი, ჩამოხეულ-ჩამოფხრეწილი, ოღონდაც ვიცოცხლო — ამ მზეს, ამ ცას, ამ აკაციებს უყურო და ჩიტების ჭიკჭიკს ვუსმინო...

— მონათლული ხარ?.. — ჰკითხა მღვდელმა.

— მონათლული?.. — მირიანმა თვალები აახამხამა, ჩაფიქრდა და დაღონდა.

— ეგ არაფერი... — უთხრა მღვდელმა. — წადი ახლავე, გავარდი და ორი მეტრო მიტკალი იყიდე სადმე, ფართლეულობის მაღაზიაში... ჯვარი ჩვენა გვაქვს, — მიდი ეგერ, ფოთოლასთან, გამოართვი — არ ღირს ძვირი, ნუ გეშინია... ნათლიასაც აქვე შეგირჩევთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შემოვა ვინმე, ამასობაში, შენი ღირსი და საკადრისი...

— ვარ, ვარ, მამაო — ახლა გამახსენდა! — აღტაცებით წამოიძახა მირიანმა.

— რა ხარ... ვინა ხარ?..

— ვარ მონათლული, ვარ!.. ადრე იყო ეს, მამაო, ბავშვობაში — სანამ ჩვენს სოფელში ეკლესიას დაანგრევდნენ... ნათლიას, მგონი, სიმონი ერქვა!

— მართლა?.. — გაუხარდა მღვდელს. — მეც სიმონი მქვია!

—დიახ, დიახ... დიდად სასიამოვნოა, მამაო სიმონ... კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, მე მირიანი ვარ, დევიძე, — რაღა დაგიმალოთ!

— პირჯვარის გადაწერა იცი, შვილო მირიან?

— დიახ, დიახ, როგორ არა, მაგას რა დიდი საქმე უნდა!.. — ხატისკენ შებრუნდა და პირჯვარი გადაისახა.

— ოო... არა, ეგრე არა, შვილო მირიან, — შეუსწორა მღვდელმა. — ჯერ მარჯვენა მხარი, მერე მარცხენა... ოო, ყოჩაღ — ახლა კარგია!.. წადი, ფოთოლას სანთლები გამოართვი, — ჩამოუარე ხატებს, დაანთე და ილოცე და ილოცე!

— ლოცვა რომ არ ვიცი, მამაო სიმონ?..

— ფული ხო გაქვს სანთლებისათვის, შვილო მირიან?. .

— ფულის მეტი რა მაქვს მამაო!.. — გაიცინა.

— ჰოო, ეგაა მთავარი... აბა ლოცვას კი ისწავლი... ზოგმა ლოცვა იცის, მაგრამ ფულს ვერ შოულობს... შენთვის იფიქრე რაც გინდა, ოღონდაც ცუდი არაფერი გაივლო გუნებაში!

მირიანი თეჯირთან მიდგა და ქალს ორმოცდაათმანეთიანი გაუწოდა.

— არ მაქვს ხურდა... — შეწუხდა ფოთოლა.

— სულ მომეცი, რაც მოვა! — უთხრა მირიანმა ალგზნებით.

— სადა მაქვს ამდენი სანთელი... სხვებს რაღა ვუყო?!.

— მოიტა, მოიტა... — უთხრა მირიანმა. — სხვები მოითმენენ, [illegible] ახლა არავის არ უჭირს!...

— რა დაგემართა ბატონო?.. — ღიმილით ჰკითხა ფოთოლამ, რომელმაც ხუმრობად ჩათვალა ნათქვამი. — მაშინ კელეპტრებიც აიღეთ, — ხუთი მანეთი ღირს ცალი.

— იყოს, იყოს... სულერთია რაც იქნება, ოღონდ ცეცხლი მოეკიდოს და დაიწვას!

ექვსი კელეპტარი და უამრავი პატარა სანთელი აიღო. ქალმა ურჩია: კელეპტრები შინ წაიღე და ხანდახან აანთე, კარგ სურნელებას დააყენებს ოთახებშიო.

— შინა არა, — აქვე, აქვე!.. ყველაფერი აქვე უნდა დაიწვას და დაინავლოს... რა მესურნელება, ჩემო ფოთოლა, კაცი ვილუპები!

დედაბერმა ისევ გაიცინა კაცის ხუმრობაზე.

თითქმის ყველა ხატსა და ჯვარცმას ჩამოუარა: სანთლებს ანთებდა, პირჯვარს იწერდა (ხანდახან მაინც ეშლებოდა), თავისთვის რაღაცებს ბუტბუტებდა (ლოცულობდა), — მთელი ეკლესია აბრიალა და გააჩახჩახა...

სიმონ მღვდელი განცვიფრებული უჭვრეტდა ახალგამოჩეკილი მორწმუნის ჩალიჩს, მერე წვერზე ხელი ჩამოისვა, ჩაიღიმა და საკურთხეველს მიაშურა...

ორად ორი სანთელიღა დარჩა...

შემოსასვლელთან კედელზე გაკრულ ღვთისმშობლის ხატს მიეახლა და ის იყო სანთლები უნდა ჩაემაგრებინა, უცებ მოეჩვენა, თითქოს კართან რაღაც ლანდმა გადაირბინა... გული მწარედ შეუკრთა და მზერა გაუშტერდა, მაგრამ არავინ ჩანდა — არადა ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს კოლონებთან ვიღაც იმალებოდა... მერე რაღაც გამოიწვერა და ჭაღარით მოსილი თავი გამოჩნდა... სულ ახლოს იყო... სახეზე მზე ადგა და მირიანმა გარკვევით დაინახა ნილბის მრავალ ჭრილებში ნაღვერდლებივით მოელვარე თვალები... სვეტს ქვემოდან რევოლვერი ამოიმართა... მზეზე ალაპ-

ეროვნული

ლაპებულ ლულას ორჯერ ავარდა მსუბუქი, ლურჯი ბოლი, თითქოს ასანთს გაჰკრესო...

გასროლის ხმა ღრიალმა დაჰფარა, რომელიც კარგა ხანს აღარ მიმცხრალა და გუგუნად შემორჩა გუმბათს...

სანთლები ჩაქრა... კაცი იატაკზე დავარდა...

მღვდელს ეგონა გუმბათი ჩამოინგრაო და თავზე ხელებწაფარებული გამორბოდა საკურთხევლიდან... რაღა ახლა მოუნდა ექვთიმ ეპისკოპოსს ლაგოდეხს გამგზავრებაო, დარდობდა, — არა სჯობდა, მის ეკლესიაში თვითონვე გამოჰყოლებოდეიყოო?!. მირიანი რომ დაინახა იატაკს განრთხმული, იფიქრა—ამას უკვე დასცემიაო... ზედ გადახტომასა და გარეთ გავარდნას აპირებდა, ისე გამოქანებული მორბოდა, მაგრამ ბათქაშს რომ ვერსად მოჰკრა თვალი, წამით შედგა და მოგუგუნე გუმბათს აჰხედა.

ის ორი მლოცველი კი, მირიანის ყვირილზე წამებულთა ხატებივით რომ აჰკვროდნენ კედელს (ერთი ქალი იყო, მეორე — კაცი), შეშინებულნი ჯერაც ვერ ბედავდნენ ჩამოსვლას...

ბოლოს ყველანი ერთად მისცვივდნენ მირიანს — ფოთოლაც გამოძვრა თეჯორიდან...

— წყალი!.. — იყვირა სიმონ მღვდელმა, რომელიც ჰალსტუხს ხსნიდა და საყელოს უღელავდა მირიანს. ვერაფრით ვერ მოესაზრებინა, რა უნდა მოსვლოდა ასე უცებ ამ საღ-სალამათ კაცს, რომელიც მოწამეობისა და მომნანიებლის ჭეშმარიტ გზას ადგა... ის კი თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა.

— ცოცხალი ვარ?..

— ცოცხალი ხარ, შვილო ჩემო, ცოცხალი... — მიუგო მღვდელმა, რაკი დარწმუნდა საშიში არაფერი იყო, — აბა შენ ასე იოლი გეგონა სამოთხეში შესვლა?!.

— დაჭრილი ვარ, დაჭრილი... — მირიანი წამოიწია, მღვდლის მკერდს მიაყრდნო თავი და მის მიერ მოწოდებული ტოლჩიდან მოსვა წყალი; ხელში შემორჩენილი სანთლები იქვე დაჰყარა და ნატყვიარებს დაუწყო [illegible] ძებნა... მერე მის არსებაში კვლავ გახმიანდა „გადარჩენის მუსიკის" ნაცნობი ჰანგი!

— ამათ რა მოუვიდა?.. — ჰკითხა მღვდელმა და თავწათიბულ სანთლებს დააცქერდა.

— აბა რას ვამბობდი, მამაო... — ამოიკვნესა და შეშინებული მზერა მიაპყრო კარებს. — დახურეთ, დახურეთ... არ შემოგვივარდეს!

ფოთოლამ ჯერ გარეთ გაიჭყიტა, მერე კარი გამოიხურა და ურდული გაუგდო.

— ეს უკვე მერამდენედ... — ამოიღნავლა მირიანმა და მლოცველი კაცის მიერ შემოთავაზებულ სკამზე ჩამოჯდა ღვთისმშობლის ფერხთით.

— ამაზე ამბობდი ვისჯებიო?.. — ჰკითხა მღვდელმა და კვლავ მოასმევინა ტოლჩიდან წყალი.

— აბა!.. აი, რა დღეში ვარ, მამაო სიმონ... — მიუგო დამწუხრებულმა. — გასროლის ხმა არ გაგიგონიათ?

— შენ იმოდენა იღრიალე, ვიფიქრე — გუმბათი ჩამოინგრა-მეთქი! — უთხრა მღვდელმა.

— სვეტს ეფარებოდა... — თქვა მირიანმა და შეაჟრჟოლა. — ასე ახლოდან არასდროს დამინახავს!

— გაიგო უნდა, ვინაა, რას გერჩის... — დააყენა გზაზე მლოცველმა კაცმა, წელში მოხრილმა მოხუცმა, რომელიც თავს განუწყვეტლივ აქიცინებდა.

— არა, — აქ სხვა ამბავია!.. — იდუმალის ხმით უთხრა მღვდელმა.

— რა ამბავია, მამაო?.. — საშინლად დაინტერესდა მლოცველი ქალი, რომელსაც გამოთაყვანებული სახე ჰქონდა.

— რა თქვენი საქმეა... — დაუტატანა მღვდელმა. — ასე იოლად ვერ გაიგებთ!

მერე ვიღაც შავოსანი დედაბერი მოადგა კარს და შემოუშვეს... ახლო-მახლო საეჭვო ხომ არაფერი შეგიმჩნევიაო, ფოთოლამ ჰკითხა, და — არაო, იმან მიუგო. მლოცველი კაცი ტაქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაყვანად გაგზავნეს... მილიციას შევატყობინებო, დაიყინა, მაგრამ მირიანმა არ ისურვა და მღვდელმაც დაუკრა კვერი; ჩანს, აქ სამილიციო მართლაც არაფერიაო... ფოთოლა მტვერში ამოგანგნილ ქურქს უწმენდდა პაწია ცოცხით... ქუდი კი აღარ გახსენებიათ, იქვე კედელთან რომ ეგდო მკვდარი მგელივით.

ტაქსი ზედ კართან მოადგა წმინდა სამების ეკლესიას... მირიანი ჩაჯდა და სიმონ მღვდელიც გვერდით მოისვა!

* * *

ქალებს სიზმარში ეგონათ თავი, კიბეზე ამომავალი მღვდელი რომ დაინახეს, რომელსაც ხელმკლავით მოჰყავდა მხრებში საცოდავად მოკუნტული, თმაგაწეწილი მირიანი... რაღაც ფარსაგი სჭირსო, იფიქრეს და დაზაფრულნი მისცვივდნენ, მაგრამ მღვდელმა დააწყნარა: ნუ გეშინიათ, ისეთი არაფერია, — ცოტა შეუძლოდ შეიქნა ლოცვისასო...

ამაზე მთლად გაშტერდნენ: რის ლოცვა, რა ლოცვა, — მღვდელსა და ეკლესიას თვალზე დასანახავად ვერ იტანდაო... ჩვენ ექიმთან გვეგონა წასული, — ორჯერ დარეკა დღეს მინისტრმა, სამსახურშიაც ეძებენო...

მალვას აზრი აღარ ჰქონდა და მირიანმა თავისი გასაჭირი გაამხილა: გახსოვთ, სექტემბერში რომ მესროლეს, ავარაკზე... მას აქეთ დამდევს და არ მასვენებსო...

— ვინ არ გასვენებს... ვაჟა?.. — კინაღამ გადაირია ლიზიკო.

— ვაჟა არა, არა... ვიღაც სხვა დამდევს მოსაკლავად!..

— რას ლაპარაკობ, კაცო... ხომ არ გაგიჟდი... — მხრები აიჩეჩა ნუცამ.

— თქვენ რა გენაღვლებათ... — ამოიხვნეშა მირიანმა. — თქვენ რა იცით, მე რა მაქვს გადატანილი და ახლაც რა დღეში ვარ!..

ის კი აღარ უთქვამს, ამა და ამ ხალხზე მქონდა ეჭვი, ანდა ამა და ამ ცოდვის გამო ვისჯებიო...

ვალერიანის წვეთები დაალევინეს, ფეხები დაუთბილეს და ლოგინში ჩააწვინეს გასავათებული... მღვდელი კარგა ხანს ეჯდა თავსასთუმალთან: ტკბილად ებაასებოდა, ამშვიდებდა: ხვალაც უსათუოდ მოგინახულებო, შეჰპირდა წასვლისას.

მირიანმა ასმანეთიანი ჩაუდო მჯიღში...

არაფრით არ იღებდა — ორჯერ გადმოუგდო უკან, მაგრამ, ბოლოს, ავადმყოფი რომ არ გაეღიზიანებინა და გაენერვიულებინა, იძულებული გახდა დაყაბულებოდა...

მირიანი კვლავ ფიქრებს მიეცა:

ამ დილით, ეკლესიაში წასვლა რომ განიზრახა, აზრადაც არ ჰქონია სანთლებს დავანთებ, ან ლოცვად დავდგებიო — უბრალოდ, მღვდელთან გულახდილი საუბარი სურდა, ღმერთის არსებობა-არარსებობის თაობაზე...

მერე, ჯვარცმულ იესოს სანთლებს რომ უნთებდა, გულში ეცინებოდა: მეტი არაა ჩემი მტერი, შენ ვერაფერს ხედავდე და არაფერი გესმოდეს — გაჭირვებას რა უთხრა, თორემ მირიან დევიძეს ეს ნამდვილად არ ეკადრებაო...

ერთი სიტყვით, ღმერთის მოტყუება სცადა და აი, დაისაჯა კიდეც! მღვდლის სიტყვები მოაგონდა: ყოველი ცოდვა და გმობა მიეტეოს კაცს, გარდა მამაზეციერის გმობისაო! მართალიც გამოდგა... რა იცოდა ის დალოცვილი გულთამხილველიც თუ იქნებოდა, თორემ პირჯვრის წერისას, სანთლით ხელში, ასეთ უკეთურ ფიქრებს გულში როგორ გაივლებდა!.. სამაგიეროდ, ახლა მზად იყო ნამდვილად ერწმუნა რაღაც ზებუნებრივი ძალის არსებობა... „სულერთია, გინდ ღმერთი დაუძახე, გინდა სხვა რამ!..“

* * *

მთელი თვე ავადმყოფობდა და იწვა მირიანი, ამასობაში კი ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა!

რაც მთავარია, იმ დღიდან მოყოლებული, სიმონ მღვდელი მათი ოჯახის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუყრელი მეგობარი და სასურველი სტუმარი გახდა: თავსასთუმალთან დაუჯდებოდა ხოლმე შერისხულს, ბიბლიიდან და სახარებიდან ადგილებს უკითხავდა — მონანიების გზებსა და ხერხებს ასწავლიდა...

მისივე ინიციატივით, ოთახის ერთ კუთხეში გაჩნდა სპილოს ძვლის ჯვარცმა და ოქროთი მოვარაყებული ღვთისმშობლის ხატი... ვერცხლის შანდლებში მუდამ ენთო წმინდა სანთლები და კელაპტრები, რომლებსაც მღვდელი დროდადრო საკმელს აფრქვევდა და ოთახშიაც თავბრუდამხვევი სურნელება დგებოდა. ხატი და ჯვარცმა თვით სიმონ მღვდელმა უსახსოვრა, რომელსაც მირიანი ყოველ მოსვლაზე ასმანეთიანს მიართმევდა ხოლმე.

— კარგი ოჯახი და ნადგამობა გქონია, შვილო მირიან... — უთხრა ერთხელ მღვდელმა და თვალი შეავლო ოთახის ცალ მხარეს ჭერამდე ასულ თაროებს, რომლებიც ქართული, რუსული და უცხოური უნიკალური გამოცემებით იყო გამოტენილი. — ჯერ მარტო ეს ბიბლიოთეკა რა ეღირება...

— ეეჰ... — ამოიკვნესა მირიანმა. — ვცდილობდი შვილებისათვის რამე დამეტოვებინა, მამაო სიმონ... ყველამ ჩვენსავით ხომ არ უნდა იწვალოს... ცუდი დრო შეგვხვდა, ცუდი: ეს ომიო, ეს ესაო, ის ისაო...

— იმ ერთი გოგოს მეტი გყავს, შვილო მირიან?.. — ჰკითხა მღვდელმა.

— მეტი რა საჭიროა... — მირიანმა ხელი ჩაიქნია. — ჯერ იმან რა ხეირი დამაყარა!.. — გულში კი გაიფიქრა: ეჰ, რაღა დროსია, თორემ საჭირო როგორ არ ყოფილა, — რად ღირდა ახლა ერთი ვაჟიშვილი რომ მდგომოდა გვერდში.

— ცუდი ზნე გჭირთ ამ ფულიან ხალხს, შვილო მირიან... — უთხრა მღვდელმა. — ამდენ ძაღლებსა და კატებს ინახავთ, ბავშვების დაზრდა კი გეზარებათ... მერე სამწუხაროდ, თქვენს ფუძეზე სხვები რომ სახლდებიან!

— ნეტა ესეც არ გამჩენოდა, — მიუგო მირიანმა. — ნერვების აშლის მეტი რა გამიკეთა... ანდა რომელი ფულიანი კაცი მე მნახეთ, მამაო სიმონ!?.

— ადგილი გაქვს ისეთი, შვილო მირიან, — სამსახური...

— როგორ გეკადრებათ, მამაო...

— მაგას ვერ დავიჯერებ... არ შეიძლება ცოტა არ კეთდებოდეს!..

— არა-მეთქი, გეუბნებით, მამაო...

— ცოტა, ცოტა, შვილო მირიან... — დაიჟინა მღვდელმა. — ამდენ ხანს ისე არც გაგაჩერებდნენ...

— მე უკვე გითხარით ჩემი, მამაო...

— ცოტა, ცოტა... სულ ცოოტა... — დაყვავებით ეუბნებოდა მღვდელი და თან მაცდური ღიმილით შეჰყურებდა თვალებში.

— არა, არა და არა, მამაო... — მტკიცედ ადგა თავისას მირიანი.

— შენ ხო იცი, ტყუილის თქმა რომ არ შეიძლება, შვილო მირიან?..

— ვიცი, ვიცი და კარგი ჰა, ჯანდაბას, — ეგრე იყოს, რაკი მაინც არა გჯერათ... — გაიცინა მირიანმა. — ოღონდაც ცოტა, სულ ცოტა, მამაო!

— ჰოდა, მაგ ცოდვისაგანაც უნდა განთავისუფლდე, შვილო მირიან...

— როგორ?.. — გაკვირვებული მიაჩერდა სახეში; წამოიწია, ბალიში გაისწორა და თავსასთუმალი აიმაღლა.

— სულ იოლად... — მიუგო მღვდელმა სერიოზული ხმით. — გახსოვს, შვილო, ეკლესიას შესაწირავს რომ შეჰპირდი?.. ხომ ნახე შენი თვალით — წმინდა სამების თალი გაბზარულია... იმ დღეს, მკრეხელობისათვის რომ შეგრისხა მამაზეციერმა, მე მეგონა სწორედ ის თალი ჩამოინგრა-მეთქი... არც წმინდა ბარბარეს აწყენდა შეკეთება!..

— მახსოვს... — თქვა მირიანმა და ჩაფიქრდა.

მღვდელმა ბიბლია გადაშალა და ის თავი წაუკითხა, სადაც ბალთაზარის დალუპვა და მიდიელთაგან ბაბილონის დაპყრობაა მოთხრობილი... მან არ იცოდა რა შეემთხვა მირიანს იუბილეს მეორე დღეს, თორემ იქნებ ვერც გაებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და... იმ ადგილს კითხულობდა, სადაც ბრძენი დანიელი, სასახლის კედელზე უჩინარის ხელით მიწერილი უცნაური სიტყვების აზრს განუმარტავდა მეფეს:

— „არა დაიმდაბლე გული შენი წინაშე ღმერთისა და უფლისა ღმერთისა, ზეცისა ზედა აღმაღლდი, და ჭურჭელი ტაძრისა მისისა მოიღე წინაშე შენსა და შენ და მთავარნი შენნი და ხარჭნი შენნი და თანამწოლნი შენნი ჰსვამდით ღვინოსა ჭურჭლითა მით; ამისათვის პირისა მისისაგან მოვლინებულ არს ხელი ესე და დაწერილი არს ესრეთ: მ ა ნ ე — აღრაცხა ღმერთმან მეფობა შენი და აღასრულა იგი; თ ე კ ე ლ — აღიწონა სასწორსა ზედა და იყო იგი დაკლებულ; ფ ა რ ე ზ — განიყო სამეფო შენი და მიეცა უქიკთა და სპარსთა...“

— იცით, მამაო?.. — შეაწყვეტინა შიშისაგან აცახცახებულმა მირიანმა, რომელიც ამ დრომდე გასუსული უსმენდა და სახეზე თანდათან ეხატებოდა სასოწარკვეთა. — ეს სიტყვები ჩემს გარაჟზეც გამოჩნდა იუბილეს მეორე დღეს, შარშან სექტემბერში, ვიდრე ნილბოსანი დამიწყებდა დევნას... მე მაშინ ბავშვების ონავრობად ჩავთვალე, მერე კი სხვებს დავაბრალე...

— მართლა?.. — ჩაჰკითხა მღვდელმა და თვალები მოჭუტა. — ხომ გეუბნები, შვილო, ამ ამბავში განგების ხელია გარეული-მეთქი... შენ კი ხანდახან, თითქოს მაინც გეეჭვება.

— არა, არა... არ მეეჭვება, მამაო!.. — მირიანმა უმწეო მზერა მიაპყრო ჯვარცმას და პირჯვარი გადაისახა. — რა ვქნა, რა მეშველება?

— ნუ დარდობ, შვილო მირიან, — გადარჩენილი ხარ უკვე... — მღვდელმა ბიბლია დახურა და მაგიდაზე დადო. — ისე კი... მთლად გულდამშვიდებული რომ იყო, ესეც გაითვალისწინე, შვილო ჩემო: უკანვე უნდა დაუბრუნო ტაძარს, რაც რამ ჭურჭელი გაქვს ხაზინიდან წამოღებული!..

ლიზიკომ მომცრო მაგიდა მოაჩოჩა ტახტთან და ზედ თეთრი სუფრა გადააფარა... მღვდელი „ხელის დასაბანებლად“ გავიდა... მირიანი პიჟამოსამარა წამოჯდა ტახტზე, ფეხები ძირს ჩამოუშვა, ლუნლლებიან თბილ ფოსტლებში წაჰყო და მხრებზეც „ბუკლეს“ პიჯაკი წამოისხა...

სიმონ მღვდელს უპატივცემულოდ არასდროს უშვებდნენ (ჩვეულებისამებრ, ნაშუადღევს მოდიოდა ხოლმე — ისედაც სადილობის დრო ემთხვეოდა). თავს ევლებოდნენ, დიდ პატივში ჰყავდათ და რაც მთავარია, უმადობას არ უჩიოდა. მხარბეჭიანი, ჯანმრთელი, კაცი იყო, — მირიანივით მასაც არწივისებური ცხვირი, დიდრონი საღი კბილები და ბურჩხა წარბებქვეშ მჭიდროდ ჩამჯდარი, მოელვარე, შავი თვალები ჰქონდა... ნოყიერ სადილს, ჩვეულებრივ, ერთ ბოთლ „წარაფსაც“ დააყოლებდა ხოლმე!..

მირიანი ოდნავ წიწკნიდა საჭმელს და ერთ ჭიქა წყალგარეულ ღვინოს ბოლომდე იზოგავდა... გახდა, გათეთრდა, განაზდა და თანდათან დაემსგავსა წმინდანს... ავად კი არ იყო, მაგრამ ჭამასმაში თავშეკავებასა და წოლით რეჟიმს მღვდელი ურჩევდა..

— მამაო სიმონ!.. — მოუთმენლად გასძახა მან მღვდელს, ცოტა რომ შეაგვიანდა.

— ეხლავე, შვილო ჩემო, ეხლავე!.. — მოისმა აივნიდან.

ონკანში წყალი არ მოდიოდა და ნუცა ტაშტში აბანინებდა ხელს აივანზე...

— გამაგებინეთ, ბატონო სიმონ. რა სჭირს მირიანს...

მღვდელს არ მოეწონა დიასახლისის იჭვნეული კილო.

— მაგას მე მეკითხებით, შვილო ჩემო და დაო ჩემო?.. ხომ გითხრათ თავად — ვიღაცა მოსაკლავად დამდევსო!.. ასევე იყო იმ დღესაც ეკლესიაში.

— რა მოხდა იმ დღეს ეკლესიაში... თქვენ დაინახეთ ვინმე, ანდა სროლის ხმა გაიგონეთ?

— არა, შვილო ნუცა, — ყვირილი გავიგონე და ვიფიქრე გუმბათი ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგრა-მეთქი. მესროლესო, თვითონ ამ-ბობს...

— კედელს აჩნია რამე?..

— არა... საგულდაგულოდ ვეძებე ნატყვიარები, მეშინოდა ხატები არ იყოს დაზიანებული-მეთქი.

— იცით, მე რას ვფიქრობ, ბატონო სიმონ?.. — ნუცამ ტოლჩა მაგიდაზე დადგა და გატკიცნებული ტილო გაუ-წოდა, მკლავზე რომ ჰქონდა მანამდე გადაფენილი. — ხომ არ ეჩვენება რამე მირიანს?..

— არც ესაა გამორიცხული, შვილო ნუცა... მოგეხსენებათ, როცა კაცს ცო-დვები აწუხებს...

— განა ისეთი რა ცოდვა გაგ-მქლავ-ნათ?

— ისეთი არაფერი... იქნებ ცოდვა-დაც არ ჩაითვალოს, — გააჩნია ვინ რო-გორი თვალით შეხედავს!

— თქვენ ნუ გეწყინებათ, ბატონო სიმონ. და თვალებს არ ვუჯერებ, ამ ყოფაში რომ ვხედავ: მირიანი და მორ-წმუნე?! პირდაპირ სასაცილო ამბავია. — თანამდებობის პირი მაინც არ იყოს, ამხელა ქარხნის დირექტორია... ეს რომ გაიგონ, მოხსნიან და პარტიიდანაც გა-რიცხავენ... თუმცა თვითონაც ფრთხი-ლობს, — მნახველები რომ მოდიან, ხატებზე ფარდას მაფარებინებს...

— გმადლობთ, დაო ნუცა!.. — მღვდელმა დაჭმუჭნილი ტილო უკანვე დაუბრუნა.

— მეთანხმებით თუ არა, ბატონო სი-მონ?..

— რაზე, შვილო ნუცა?

— რომ ეს ყველაფერი მოჩვენება და აკვიატებული შიშია... დევნის მანია!

— დიახ, დიახ, რა თქმა უნდა... ცო-დვათა გამო!

— მე ეგ არა მჯერა... უბრალოდ კა-ცი გადაიღალა, სამსახურიც ისეთი აქვს — დაძაბული... შარშან, მაინც, ბევრი ინერვიულა: ეს იუბილეო, ის ისაო... — ტრესტის მმართველად გა-დაყავდათ, მერე მინისტრის მოადგი-ლეობაზეც იყო ლაპარაკი... აქეთ კი-დევ ნანო შეურიგდა ქმარს, ესეც განი-ცადა — თავიდანვე წინააღმდეგი ვიყა-ვით ამ ამბის... ძლივს გავაშორეთ...

— ხო გეუბნებით, დაო ნუცა — შე-იძლება, ყველაფერი შეიძლება, ცოდ-ვათა გამო!

— ასე რომ ყოფილიყო, ამ დრომდე უნდა დაესაჯა ღმერთს... — ჩაიცინა ქალმა. — ჯერ რაც მარტო ჩემს წინა-შე ცოდვები აქვს ჩადენილი, ეს ეყო-ფოდა!..

— ყველანი ერთნაირები რადა ხართ ქალები, შვილო ნუცა!?. — გაიცინა მღვდელმა.

— მა-მა-ო სი-მონ!.. — კვლავ მოის-მა ოთახიდან მირიანის სუსტი, მინაზე-ბული ხმა.

— ეხლავე, შვილო მირიან... მოვდი-ვარ! — რიხიანად გასძახა მღვდელმა და ნაბიჯი წარსდგა.

— ერთი სიტყვით, ბატონო სიმონ... — კვლავ შეაყოვნა ქალმა. — რჩევა მინდოდა თქვენთვის მეკითხა...

— გისმენთ, შვილო ნუცა...

— ექიმ-ფსიქიატრის მოყვანას ვაპი-რებ, და თქვენი აზრი მაინტერესებ-და...

მღვდელი წამით ჩაფიქრდა, თვალებს მოჭუტა.

— არ იქნება ურიგო, დაო ნუცა!..

ნასადილევს მღვდელმა ქრისტეს ცად ამაღლების ამბავი წაუკითხა მირიანს ლუკას სახარებიდან, მერე ისევ ბიბლია გადამალა...

— სხვანაირად ნუ მიიღებთ, მამაო სიმონ... — მოკრძალებით უთხრა მი-რიანმა. — მე მჯერა და ერთი წუთი-თაც არ მეპარება ეჭვი, ცოდვათა გამო რომ ვისჯები; მაგრამ მინდა მაინც, ბო-ლომდე გარკვეული ვიყო: პრაქტიკუ-ლად როგორ ხდება ეს... ესე იგი, კონკ-რეტულად ვინაა ის ნიღბოსანი, რომე-ლიც რევოლვერით ხელში, მოსაკლა-ვად დამდევს... ხომ არ შეიძლებოდა თვით მამაზეციერი ღმერთი ჩამოსუ-ლიყო მიწაზე ჩემი გულისთვის?..

— არა, შვილო მირიან... ამის ფიქრი გულუბრყვილობა და ცოტა არ იყოს მკრეხელობაც იქნებოდა.

— ჰოდა, ეგ მაინტერესებდა, მამაო... ამიხსენით თუ შეიძლებოდეს.

— ეგ ხომ უკვე აგიხსენი, შვილო მირიან?..

— ჰო მაგრამ, კარგად აღარ მახსოვს...

— რაკი მაღალმა ღმერთმა ჩადენილი ცოდვებისათვის შენი დასჯა გადაწყვიტა, ნიღბოსანიც მიტომ მოგივლინა, მაგრამ სულაც არაა სავალდებულო და აუცილებელი, ის ნიღბოსანი რეალური პიროვნება იყოს... მითხარი: შენს მეტს იგი დაუნახავს ოდესმე?

— არა!.. — მიუგო მირიანმა.

— ვერც დაინახავდა, შვილო მირიან...

— რატომ?..

— იმიტომ, რომ იგი სინამდვილეში არავინ არაა... გეჩვენება... ნიღბოსანი არსებობს მხოლოდ შენს შეგნებაში, როგორც განგების მიერ მოვლინებული სასჯელი... თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ საშიში არ იყოს... მოჩვენებითი ნიღბოსნის მიერ, მოჩვენებითი რევოლვერის ლულიდან გამოსროლილ, მოჩვენებით ტყვიას, ისევე შეუძლია სული გაგაცხებინოს, ოღონდაც ჭრილობის გარეშე, როგორც ნამდვილს... და მართლაც ასე ხდებოდა: დაგავიწყდა განა, რას ჰგავდი? — კაცი სიკვდილის პირას იყავი მისული, სხეულზე კი, ერთი განაკაწრიც არ გაჩნდა!

— გასაგებია, მამაო სიმონ... — მირიანმა ხატს შეხედა და პირჯვარი გადაიწერა; მერე ბალიშქვეშ ხელი შეჰყო და შემნახველი სალაროს წიგნაკი გამოაძვრინა. — მე ჩემი სიტყვის პატრონი ვარ, — განაგრძო მან — არ დამვიწყებია, ეკლესიას შესაწირავს რომ დავპირდი... — წიგნაკი ხელში ეჭირა და ჰაერში აქნევდა. — არ იფიქრო, მამაო, ვითომც ეს იმ „ტაძრიდან“ წამოღებული „ჭურჭელი“ იყოს... მთელი ჩემი ცხოვრება ცოტ-ცოტას ვინახავდი, კაპიკს კაპიკზე ვაწებებდი... ქალიშვილისთვის მინდოდა მზითევი გამომეწყო... სიძისთვის მანქანა მეყიდა... მაგრამ არ არიან ღირსნი — არც ერთი და არც მეორე, თანაც უარს ამზ[illegible]-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან დახმარებაზე... აჰა, შემომიწირავს ეკლესიისთვის!.. გინდ წმინდა სამებას მოახმარეთ, გინდ წმინდა ბარბარეს — ჩემთვის სულერთია; ჩემთვის ყველა ღვთის სახელი თანაბრად ძვირფასია და სათაყვანებელია!.. თუ საჭირო გახდება, მანქანასაც მივაყიდი და აგარაკსაც... ყველაფერს შემოგწირავთ!.. — წიგნაკი გაუწოდა, მერე აღელვებული მიეყრდნო ბალიშს და თვალები მოხუჭა.

მღვდელმა ჩამოართვა სალაროს წიგნაკი, ლოცვა-კურთხევით აღავსო და ჰკითხა:

— ფულს როგორ გამოვიტანთ, შვილო მირიან?..

— ვინც წარადგენს, იმას მისცემენ... — მიუგო ისე, რომ თვალები არ გაუხელია. — ოღონდაც ცენტრალურ შემნახველ სალაროში, რუსთაველის პროსპექტზე.

მღვდელმა წიგნაკი გადაშალა და განცვიფრდა: ორმოცდაათი ათას მანეთს სწირავდა ეკლესიას მირიანი!

— მე ამ ამბავს უწმინდესსა და უნეტარესს ვაცნობებ... — წაიბუტბუტა მან. — იგი ლოცვა-კურთხევას არ მოგაკლებს და დღეიდან შენი საქმეც წაღმა წავა, ძმაო მირიან!

* * *

მეორე დღეს ლიზიკოს წამოსცდა, ექიმის მოყვანას ვაპირებთო, რამაც კაცი საშინლად განარისხა (ოღონდ ისე კი არა, ადრე რომ იცოდა: დალანძღავდა და დათათხავდა ყველას) — როგორ... თქვენ მე გადარეული გგონივართო?.. მოწყალე მზერა შეავლო ორივე რძალ-დედამთილს და ხატს შეჰღაღადა: შეუნდე უფალო, რამეთუ არა იციან რასა იტყვიანო!..

იძულებული გახდნენ დაეთმოთ.

სხვა რამ აწუხებდა ახლა მირიანს: მესამე დღე იწურებოდა, მღვდელი აღარ ჩანდა... არადა, საშინლად ენატრებოდა!.. ენატრებოდა მისი მოდუდუნე ხმა, ადგილებს რომ უკითხავდა ბიბ-

ლიიდან და სახარებიდან... ორივე აგერ ედო, თავსასთუმალთან, მაგრამ წაკითხვა და წაკითხულის გაგება უჭირდა, — მამა სიმონი კი ისე ჩაარაკრაკებდა და ისე განმარტავდა, თითქოს იმ ამბების მომსწრე და მონაწილე ყოფილიყო...

ორიოდე დღე კიდევ ადროვა, — იფიქრა, საყდრის შეკეთება დაიწყეს, ალბათ, და ვეღარ მოიცალაო, და მერე ნუცა გაგზავნა მოსაყვანად: მიასწავლა, წმინდა სამებაში თუ არ დაგიხვდეს, წმინდა ბარბარეში იკითხე — სადღაც ნავთლუღში ყოფილაო.

მოუთმენლად ელოდა კიბეებზე მძიმე ნაბიჯების ახმიანებას; დროც კი დაინიშნა, რამდენი დაჭირდებოდა აქეთ-იქით ტაქსით მისვლა-მოსვლას...

აი, აჭრიალდა ალაყაფის კარი და მალე ნაბიჯების ხმაც გაისმა კიბეზე, მაგრამ კენტი... მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების პაკუნი...

მარტო რატომ მოდიოდა ნუცა?..

მეუღლემ გასაოცარი ამბავი მოუტანა:

სიმონ მღვდელს ანაფორა გაეხადა, ჯვარი მოეხსნა, ცოლ-შვილი მიეტოვებინა და ვიღაც ლამაზ გოგოსთან ერთად ქალაქიდან გადაკარგულიყო!..

მირიანი პირდაღებული უსმენდა...

ამბობენ, სადღაც ბევრი ფული უშოვნიაო, — სიცილით დასძინა ნუცამ (შესაწირავის ამბავი რომ სცოდნოდა რა გააცინებდა!). — მთელი მისი ცხოვრება ეყოფაო... ესეც შენი ღმერთი, ხატი და რჯული, ჩემო მირიან!..

კაცი კარგა ხანს გაუნძრევლად და უხმოდ იწვა, მერე აფთარივით წამოვარდა ლოგინიდან... ფარდა ჩამოფხრიწა — ხატი, ჯვარცმა და შანდლები ძირს ჩამოყარა, საიდანღაც ჩაქუჩი მოარბენინა... დასცხო და დასცხო — დაჭეჭყა, დალუნა, დაგრიხა... მერე წამოხვეტა და სანაგვეში ჩაჰყარა; — ბიბლია და სახარებაც მიფხრიწ-მოფხრიწა და ზედ მიაყოლა, თან უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა და იგინებოდა...

ასე დამთავრდა მირიან დევიძის მოწამეობის, ღვთისმოსაობ[illegible] ვილობის ერთი თვე!

მაშ ასე: მღვდელი სიმონი იყო ერთადერთი კაცი ამ ქვეყნად, რომელმაც მას ჭკუით აჯობა... თუმცა...

ერთის შეხედვით ჩანდა ასე, თორემ ჯერ კიდევ საკითხავი გახლდათ ვინ ვის აჯობა და რომელმა რომელი გაასულელა!..

მირიანი თავს გამოუტყდა: მაშინ, როცა მან თითქმის უკვე იწამა ღმერთი, მაგრამ გულის სიღრმეში ჯერ ისევ ფუთფუთებდა მცირეოდენი ეჭვი, — ჭეშმარიტების დასადგენად მოიფიქრა და გადაუგდო მღვდელს ეს სატყუარა!..

რაკი ცდუნებას აჰყვა, — ანაფორა გაიხადა, ჯვარი მიაგდო, წმინდა შესაწირი გაიტაცა, ოჯახი მიატოვა და ვიღაც ქალთან ერთად ქალაქიდან გადაიხვეწა, — ეს იმას ნიშნავდა, რომ თავად მას დასჯის შიში არ ჰქონდა, და მაშასადამე ღმერთიც არ არსებობდა!

ამრიგად, მან, იმ ორმოცდაათი ათასი მანეთის საფასურად, ჭეშმარიტება „იყიდა“ და თავი დააღწია ცრუმორწმუნეობის მძიმე ბორკილს, მთელი მისი ცხოვრება ჩხრიალ-ჩხრიალით რომ უნდა ეთრია...

თავიდანვე უნდა მიმხვდარიყო სიმართლეს რომ არ ეტყოდა, — ანკი რომელ მღვდელს წამოაცდენინებ, ღმერთი არ არსებობსო... მაშინ ხომ ანაფორასაც აღარ ჩაიცვამდა!

სწორედ ამის გამო ფულს იმდენად აღარ მისტიროდა, რადგან თუ გაბრიყვდებოდა და ბოლომდე ირწმუნებდა ღმერთს, უფრო ძვირიც დაუჯდებოდა: მაშინ იმ ორი, მართლაცდა მეტად დასანანი შემთხვევის გარდა, სხვა „ცოდვებსაც“ გაიხსენებდა, ისევე, როგორც ადრე უამრავი დანაშაული დაიბრალა, და „სულის ხსნისათვის“ არ დაიშურებდა ეკლესიისთვის შეეწირა მანქანა, აგარაკი, სახლი და საერთოდ ყველაფერი, რაც გააჩნდა!.. ასე, რომ იმ ფულს დაკარგულად არც თვლიდა — მით უფრო, ოდესმე მღვდელს ნახავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცხვირში ძმრად ამოადენდა ყველაფერს!

დიახ, სწორედ მან, მირიანმა, გაასულელა სიმონ მღვდელი, რადგან ეს ამბავი წინასწარვე ჰქონდა მოფიქრებული!..

ყველაფერი წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული და მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა ის უსიამო განცდა, ამ ჭეშმარიტების შეცნობას რომ მოჰყვა თან... იძულებული გახდა ელიარებინა, რომ ის ერთი თვე, რომელიც მან ღმერთის რწმენით იცხოვრა, იყო რაღაცნაირი სიხარულისა და შვების მომგვრელი... გულიც კი დასწყდა, — ნეტა ეს ამბავი არ გამეგოო... ცოდვებისაგან განვიწმინდებოდი, მისი უზენაესი ნება-სურვილით ვიცხოვრებდი და ჭია-ღუების კერძად ქცევის ფიქრიც აღარ შემაღონებდაო, — თუმცაღა ეს ყველაფერი იქნებოდა სიცრუე, ბორკილი, ილუზია და თავის მოტყუება!

რაკი ღმერთი გაბათილდა, მისგან დასჯის შესაძლებლობაც გამოირიცხა... ანკი დასასჯელი რა სჭირდა, კაცმა რომ თქვას: ის ორი სამწუხარო შემთხვევა, რომლის მოწმე და მონაწილეც უნებლიედ გახდა, უფრო ადამიანურ სისუსტედ ჩაეთვლებოდა, ვიდრე დანაშაულად და „ცოდვად...“

მაგრამ ახლა გონებაში კვლავ წამოტივტივდა შემზარავი კითხვა: მაშ ვინღაა ის ნიღბოსანი მდევარი?..

დაიღალა, აღარ იცოდა უკვე რა ეფიქრა!..

ვიღას არ ეომა და ედავა — თვით სატანა და მამაზეციერი ღმერთიც არ დაჰკლებია; ახლა სხვა არა დარჩენოდა რა, გარდა ლოდინისა: ვინძლო ჩამოხსნოდა ნიღბოსანი, ან იქნებ თავი თვითონვე გაემჟღავნებინა, ანდა მიენიშნებინა მაინც რა სურდა, რას ერჩოდა — თუ მანამდე, რაღა თქმა უნდა, ზუსტი სროლით საიქიოს არ გაისტუმრებდა!..

* * *

ახალწათვლემილი იყო, როცა ნაშუაღამევს ტელეფონის ზარმა გაუბურღა ტვინი...

მაშინვე მიხვდა ის იქნებაო... კარგა ხანი იყო აღარ შემოხმიანებოდა!

აკანკალებული და ძარღვებდაწყვეტილი მივარდა საწერ მაგიდას; ყურმილს დასწვდა:

— გისმენთ, ბატონო!..

პასუხად გამყინავი დუმილი „ისმოდა...“ არადა ვიღაცას ხომ ნამდვილად ეჭირა ხელში ყურმილი... იმ ხელში, რომლითაც მას ტყვიებს უშენდა!.. ყველაფერი იცოდა მისი: სახელი, გვარი, დაბადების წელი... გარდაცვალების თარიღს თვითონვე დაადგენდა!.. ფეხდაფეხ დასდევდა, მხედველობიდან წამით არ ჰკარგავდა... ხელები ბანჯგვლიანი ჰქონდა, თითებზე ბრჭყალები წამოზრდოდა, სახე ურჩხულს უგავდა... თვალები ნაკვერჩხლებივით უღუოდა, ხოლო ნესტოებიდან ცეცხლს აფრქვევდა... დროდადრო საზარლად ამოიფშვინებდა და ყურმილს შეაშმაშუნებდა...

მერე ზუმერის ხმა გაისმა და მირიანიც მთელი ღამე ფხიზლობდა, ძაღლებს გეშავდა!

მთელი ერთი კვირა, ზედიზედ, რეკავდა და რეკავდა უცნობი ნიღბოსანი.

ტელეფონი თავსასთუმალთან ედგა და როგორც კი ზარის ხმას გაიგონებდა, მაშინვე ეცემოდა... შეეძლო ყურმილი გადაედო, ტელეფონი სხვა ოთახში გაეტანა, ანდა სულაც გამოერთო, მაგრამ ვერ ბედავდა: უარესად არ გავაგულისოო, თუმცა ამაზე უარესი რაღა უნდა ყოფილიყო!..

ჯერ დაწოლილი „უსმენდა“, მერე იფიქრა, არ ეწყინოს, თავხედობაში არ ჩამომართვასო, და ფეხზე ამდგარი „ესაუბრებოდა.“ ხანდახან მაინც გაჰკრავდა ძველი ეჭვი, — მართლა სატანა ან ღმერთი არ იყოსო... თავაზიანობით მოეგო იქნებ მისი გული!.. ბოლოს, ფეხზე დგომით რომ დაიღლებოდა, ტახტის კიდეზე ჩამოჯდებოდა მოკრძალებით, ხოლო **იმას** უყურადღებობა რომ არ დაეწამებინა, ანდა არ ეფიქრა ჩამოეძინაო, მალიმალ ახსენებდა თავს, — გის-

მენთ ბატონოო; ხან პატივცემულოთიც მიმართავდა... როგორ აკადრებდა, უწინ დაედო ყურმილი, — იქნებ მართლა რაიმეს თქმა მოესურვებინა!

ერთხელ ღამის სამ საათზე დარეკა...

ხუთიოდე წუთის ჩაძინებული იყო და ისე გაუჭირდა გაღვიძება, თითქოს შუაზე გახლიჩესო, — თითქოს ხელი ჩაავლეს და ყავარივით აზადესო... უცებ, ჯერაც ბურანში მყოფს, საშინელმა ბრაზმა წამოუარა, ყურმილი აიღო, და ვინა ხარ მართლადამართლა, რა ხარ... რა გააჭირვე საქმე ბოლოსდაბოლოს, მე შენი დედა ასე და ისეო (ასე და ისეო კი არა, კაი მაგრად შეაგინა!)... მერე ჭირის ოფლში გაიწურა, ერთი სიკვდილი გაათავა, — ეს რა მომივიდა, ეს რა წამომცდაო... ყურმილი თავში არ მთხლიშოსო... მავთულს არ გამოყვეს და მიკროფონის ნასვრეტებიდან არ ამოძვრეს, ანდა შიგ არ შემითრიოსო...

რა ღმერთი გაუწყრა მაინც, ადრე გულშიაც არ გაუვლია გინება და ამისთანა უკადრისი რამ — ეშინოდა, რაღაც მანქანებით არ მიმიხვდესო... ხელისგულით მოიწმინდა სახეზე ოფლი: თქვენზე არ მიიღოთ, პატივცემულო, „დეზიამა“ შემომწოლია აგერ ფეხებში — ძაღლი — და იმას გავუწყერიო...

ნუცას და ლიზიკოს ტელეფონის ამბავი არ სჯეროდათ და მეორე ღამეს სამ საათამდე უდარაჯეს, თავისი ყურით რომ მოესმინათ...

კაცი ბრაზობდა, რაღა ახლა არ რეკავს ის ოჯახაშენებულიო.

ოთხის ნახევარი იყო, დასაძინებლად რომ დაწვნენ...

ხოლო იმან ოთხზე დარეკა...

ძილის ბურანში იყო და ზარის ხმამ შხამიანი გველივით უკბინა... ნერვიულმა თრთოლამ და ცახცახმა აიტანა, მერე უცებ თმა ყალყზე დაუდგა და ძარღვებში სისხლი გაეყინა: ტელეფონის აპარატი იატაკზე ჩამოცოცებულიყო და თვალებს აბრიალებდა ურჩხულად ქცეული!..

ბალიშქვეშიდან რევოლვერი გამოიღო და დაცხრილა... მერე ტარი ჩასცხო და ჩასცხო...

მაინც მოლოლავდა...

მირიანმა კუდში ჩაავლო ხელი, მოიქნია და იატაკს დაათხშვნა!

* * *

თეიმურაზ გიჟიმყრელი სამოცს მიღწეული საშუალო ტანის ჩაფსკვნილი კაცი იყო, — გადაგრეხილი ულვაშები, ხუჭუჭა წვერი და ჭაღარა თმა ჰქონდა. შავი რქის ჩარჩოიანი სათვალე ეკეთა, რომელიც ისე ადიდებდა მის წამწამებს, თითქოს ტელევიზორის ეკრანზე რვაფეხას საცეცები ირხევიანო. შავი კოსტუმი, ჟილეტი და თეთრი პერანგი ეცვა, რომელზედაც მსხვილად გამონასკვული ჭრელი ჰალსტუხი ეკეთა. ხელში მომცრო პორტფელი ეჭირა, საიდანაც სტეტოსკოპს გამოეყო ბრჭყვიალა თათი...

მირიანმა თავის ოთახში მიიღო ექიმი; სპორტულად იყო გამოწყობილი, — თეთრი ბოტასები, ლურჯი პიჟამო და უსახელოებო თბილი ჯუბა ეცვა, თავზე სვანური ქუდი ეხურა...

ცოცხლად და მხნედ გამოიყურებოდა:

წუხანდელი ამბის შემდეგ დარწმუნდა — ჩანს, მართლაც ვერ უნდა ვიყვე მთლად დალაგებულ ჭკუაზეო (თუმცა მერე გაირკვა: ტელეფონი ლიზიკოს შეედგა სკამქვეშ) და დიდი წინააღმდეგობა აღარ გაუწევია დილით ექიმის მოსაყვანად მიმავალი მეუღლისათვის... პირიქით, იმედი და რწმენა ჩაესახა: თუ ეს იყო მიზეზი მთელი ამ ამბისა, მაშინ გადარჩენილად ითვლებოდა, ხოლო რაც შეეხება მცირე ნერვიულ აშლილობას, საშიში არ უნდა ყოფილიყო და იოლად განიკურნებოდა, ალბათ, მედიცინის განვითარების თანამედროვე დონის პირობებში, მით უფრო, პროფესორი გიჟიმყრელი ქალაქში ცნობილ სპეციალისტად ითვლებოდა!..

მართლაც გულისხმიერი კაცი ჩანდა და შემოსვლისთანავე მეგობრულად გაუბა საუბარი, როგორც ამას პროფესიული ეთიკა მოითხოვდა: ოდნავადაც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგრძნობინებია, გიჟი ხარო... სამსახურის ამბები გამოჰკითხა — გასული წლის გეგმის შესრულების პროცენტული მაჩვენებლებით დაინტერესდა; ვიცი ეგ ქარხანა, გამიგონია და შორიდან გიცნობდით კიდევაცო, დასძინა. მერე უშუალოდ საქმეზე გადავიდა: მიამბეთ, გეთაყვა, რა მოხდა, რამ გაგალიზიანათო, და უცებ ისეთი თვალებით აჰხედ-დაჰხედა, მირიანს ტანში გააცივა — ჩანს, მართლა ხელიდან წასულა ჩემი საქმეო...

წვრილად უამბო ყოველივე, რაც თავს გადახდენოდა, გარდა ზოგიერთი უმნიშვნელო დეტალებისა, რაიც, მისი აზრით, ბევრს არაფერს შესძენდა მკურნალს... ბატონი თეიმურაზი დიდის გულისყურით უსმენდა; პაციენტი რომ წაეხალისებინა და წაეთამამებინა, ხან ხუმრობით, ხან სერიოზულად, ყოველი ამბის დასასრულს თავის მცირე შენიშვნებს და კომენტარებს ურთავდა ხოლმე:

— რა არის აქ გასაკვირი, ბატონო მირიან... დიალაც გეკუთვნოდათ (იუბილეზე იყო ლაპარაკი), უფრო ფართო მასშტაბითაც შეიძლებოდა!..

— ბუნებრივია, მშობლები ვცდილობთ კარგ ბედში ჩავაგდოთ შვილები... რაღა თქმა უნდა, არც სიძეა სანდო!..

— უპკუობით თავს იღუპავენ — წუწკობენ, ქურდობენ, მამაძაღლობენ და მერე სხვებს აბრალებენ (ჯიბო აბზიანიძეს ეხებოდა)... როგორ გაბედა უცხო კაცისაგან ფულის აღება!..

— ჰი, ჰი, ჰი, ჰი... მესმის, მესმის... კარგია პატარა გოგონები!..

— ის ქვრივი ნამდვილად არაა ხელიდან გასაშვები, — იცოდეთ მე დამწყდება გული თქვენს მაგიერ!..

— ერთი ფახეთ ამ ლაწირაკს (ცსე იგი ბახა-ბახას), უარესის ღირსი ყოფილა, ჩემმა მზემ, თქვენ კიდევ ჰუმანურად მოქცეულხართ!..

— რა. თქმა უნდა, ბოროტება — როგორც ასეთი — განყენებულად, არ არსებობს!..

— რას იზამთ, ბატონო მირიან, — ერთი კაცი ხომ ქვეყანას ვერ გასწვდება და ვერც დარაჯად დაუდგება ყველას... სამწუხაროა, სამწუხარო!..

— დიახ, დიახ — მესმის, მესმის... ფეხით მოსიარულეზე ბევრი რამაა დამოკიდებული!..

— სურვილი, იწამო ღმერთი, ნიშნავს არ ენდო საკუთარ თავს სიკეთისა და სათნოების გზაზე!..

— ოჰო, ჰო, ჰო, — ეგ არა თქვათ, — გიჟს რა გიგავთ, გიჟს რა გიგავთ... ანკი ვინაა დღეს მთლად დალაგებული!..

მირიანმა თხრობა რომ დაამთავრა, ექიმი კარგა ხანს იჯდა დაფიქრებული, მერე ჰკითხა:

— მითხარით, გეთაყვა... თქვენს მეტი არის ვინმე ამ ამბის მოწმე, სროლის ხმა რომ გაეგონოს, ანდა ნიღბოსნისათვის წაეკრას თვალი?..

— არა... — მიუგო მირიანმა.

— ეს არის მთავარი... — ჩაილაპარაკა ექიმმა და ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა. — აი, თქვენ ბრძანეთ, რომ აბანოში გესროლეს... ტყვიები ხომ არ გიპოვნიათ აუზში?..

— არ მომიძებნია, ბატონო თეიმურაზ, თუმცა... — გაიხსენა მან. — მექისე ჩავიდა მაშინვე აუზში, მაგრამ ვერ იპოვა...

ექიმმა კვლავ ჩაინიშნა რაღაცა.

— თქვენ ამბობთ, რომ ავტომანქანის საქარე მინა ტყვიებმა გახვრიტესო, არა?..

— დიახ!

— ხომ არ შემოგინახავთ, შემთხვევით?

— რა... ტყვიები?..

— არა, საქარე მინა!

— არა, — მიუგო მირიანმა. — პარპრიზი მეორე დღესვე გამოვაცვლევინე ხელოსანს; იმას ანასხლეტი კენჭებისაგან ეგონა დაზიანებული...

— კარგი და კეთილი... — ექიმმა ესეც ჩაინიშნა. — იმ საღამოს... ქვრივთან რომ ბრძანდებოდით... ნასვამი იყავით, არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ... მაგრამ ამასობაში გამოვფხიზლდი კიდეც!

— არ უსროლია, უბრალოდ დაგიმიზნათ, არა?..

— დიახ... ამჯერად არ უსროლია!

— ეკლესიაში, კედელზე ხომ არ გინახავთ ნატყვიარები?

— მე არა... მღვდელიც ამბობს, ვერ აღმოვაჩინეო...

— კეთილი და პატიოსანი... — ექიმს თანდათან კმაყოფილება ეხატებოდა სახეზე. — ვერც აღმოაჩენდა!

— რატომ?..

— იმიტომ, რომ არავის უსროლია... ის გაიძვერა მღვდელი, როგორც ჩანს, მიხვდა ამას, როცა ღმერთითა და ცოდვების მონანიებით დაგიწყოთ „მკურნალობა"... აკი უთქვამს კიდეც, ნიღბოსანი რეალური პიროვნება არაა, მხოლოდ თქვენს წარმოსახვაში არსებობსო... ამით მან ერთგვარად თავი დაიზღვია, რაკი განგებ არასწორი ინტერპრეტაცია მისცა ამ ამბავს... სიმართლის გზით მან სიცრუე შემოგაპარათ!

— ჰო მაგრამ, ბატონო თეიმურაზ... სანთლის წათიბული თავები?..

— ეს ზღაპარია... სანთლებს თქვენ თვითონვე წააცლიდით თავს ფრჩხილებით!

მირიანი განცვიფრებული მისჩერებოდა.

— ხელში ჩამსხვრეული ჭიქა?..

— ჭიქა ხელში არ ჩაგმსხვრევიათ... უბრალოდ, დავარდა და გატყდა... თქვენ ისე იყავით თავზარდაცემული, ერთმანეთში აგერიათ მიზეზი და შედეგი, უფრო სწორად: აგერიათ დროის თანმიმდევრობა... ეს ცნობილი ფაქტია!

მირიანმა უჯრა გამოსწია და გველისტარა დანა ამოიღო.

— ამაზე რაღას იტყვით, ბატონო თეიმურაზ... ნუთუ ესეც მოჩვენებაა და ნივთიერ მტკიცებად არ გამოდგება?.. — ის ბარათიც დაუდო მაგიდაზე, მანქანაში რომ იპოვა.

— როგორ არა, გეთაყვა... — მიუგო ექიმმა და ბარათი თვალის ერთი გადავლებით გადაიკითხა. — სწორედ ამ ბარათმა, მანამდე კი უცნაურმა სიტყვებმა, ბავშვებს გარაჟის კედელზე რომ წაუჩხაპნიათ (თქვენ პირველად სწორად გამოგიცნიათ!), წინასწარვე შეგამზადეთ შემდგომი ამბებისათვის... გამოიწვია უსიამო განცდა... ამას ზედ დაერთო მაწანწალას გაღმოძრომა გალავანზე!.. მერე იმის გამო, რომ წვეროსანი მაწანწალა, ქურდი (შესაძლოა მართლაც ნიღაბი ეკეთა!), მარტივ სიტუაციაში სასიკვდილოდ გაიმეტეთ, გასწირეთ და ტყვიები დაუშინეთ, შთაგენერგათ მისგან შურისძიების მოლოდინი... ჩანს, ემოციური კაცი ბრძანდებით და ცხოვლად წარმოიდგინეთ, რომ იგი თქვენი ხელიდან უკვე მკვდარი იყო... მერე ეს აკვიატებულ შიშად გადაგექცათ და ნიღბოსნის სახე, რომელმაც მაშინ, თავდაცვის მიზნით, ეს მახვილი გესროლათ, დღემდე არ გასვენებთ... — მან აიღო დანა და დაკვირვებით შეათვალიერა. — გეთანხმებით, ამაზრზენი რამეა, მაგრამ შიშის წარმომშობი ძირითადი მიზეზი, მაინც თქვენივე სისასტიკე და დაუნდობლობაა ქურდის მიმართ, რომელიც სასწაულად გადაგირჩათ... ეტყობა, მაშინვე ინანეთ აფექტით გამოწვეული გადაჭარბებული სიმკაცრე (რაიც მე, პირადად, კონკრეტულ შემთხვევაში, ძალზედ ბუნებრივად მიმაჩნია), და ამან კიდევ უფრო გაგიძლიერათ უცნობი ნიღბოსნისაგან უთუო შურისძიების მოლოდინი!

— განა მოჩვენებებს ფინიები უყეფენ, ანდა ისინი თოვლზე კვალს სტოვებენ?.. — ჰკითხა მირიანმა და კვლავ ფოთის ქუჩაზე გათამაშებული სცენა გაიხსენა.

— ფინიები სწორედ მოჩვენებებს უყეფენ, — ჩაიცინა თეიმურაზმა. — თუმცა არ არის გამორიცხული კედელზე მართლაც მდგარიყო ვინმე, რომელსაც მანქანის გატაცება ჰქონდა განზრახული და წინასწარ იქაურობას ზვერავდა, თქვენ კი, იმ თოვაში, ნიღბოსნად მოგეჩვენათ... მოგეხსენებათ: შიშს დიდი თვალები აქვს!

— კარგი... ვთქვათ ყველაფერში მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თალი ბრძანდებით, ბატონო თეიმურაზ, მაგრამ ტელეფონზე რაღას იტყვით, — ეს გაუთავებელი რეკვა და დუმილი რაღაა?

ამის თქმა იყო და უცებ, ექიმს სიცილი წასკდა... მირიანი გაკვირვებული შეჰყურებდა, ხომ არ გაგიჟდაო: ჩაბჟირდა კაცი, გადაფიჩინდა, სათვალე მოიხსნა და ცხვირსახოცით მოიწმინდა ცრემლები.

— რაც შეეხება ტელეფონს... — თქვა მან სიცილ-ხითხითით. — ეს უკვე მესამე შემთხვევაა ჩემს პრაქტიკაში... ორი კაცი უკვე განვკურნე ტელეფონის გამოისობით შექანებული... მოგეხსენებათ, ბატონო მირიან, როგორ მუშაობს ჩვენი „ატეესი"... ქალაქის მოსახლეობაში გავრცელებულ ნევროზთა ნახევარზე მეტი სწორედ ტელეფონების წილად მოდის... ასე, რომ, ეს არ უნდა გაგკვირვებოდათ!

მირიანსაც გაეცინა.

მერე ექიმმა პორთფელი გახსნა და გულდასმით გასინჯა ავადმყოფი: წნევა გაუზომა, სტეტოსკოპით გულს მოუსმინა; ქუთუთოები ჩამოუქაჩა, პირში ჩაჰხედა, ფეხი ფეხზე გადაადებინა და კვირისთავებზე ჩაქუჩი დასცხო... ზეზე წამოაყენა, თვალები დაახუჭვინა, ხელები წინ გააშვერინა და თითები გააფარჩხვინა; მუცლის კუნთები მოუსინჯა, ჩააცუცქა და წამოაყენა, ბოტასებიც გაახდევინა და ფეხისგულებზე დაჰხედა...

— მადა როგორი გაქვთ? — ჰკითხა.

— კარგი... — მიუგო მირიანმა. — იმ ერთ თვეს ძალიან ცოტას ვჭამდი... კი მინდოდა, მაგრამ მღვდელი არ მანებებდა... ახლა, მიუხედავად იმისა, რა დღეში ვარ — უმადობას მაინც არ ვუჩივი!

— ქალების მიმართ მიზიდულობა?..

— უჰ, დიდებული!.. — დაიმორცხვა მირიანმა. ექიმისათვის არ გაუმხელია კაცობა ჯერაც რომ არ დაბრუნებოდა, — დარწმუნებული იყო, ყველაფერი თავისთავად მოგვარდებაო.

— კარგით, კარგით... ჩაიცვით ფეხზე, არ გაცივდეთ... — მზრუნველი ხმით უთხრა ექიმმა. — პირველი (მადა), ნიშანია ჯანმრთელობისა და თვითშენახვის ძლიერი ინსტინქტისა, ხოლო მეორე (ქალთა სქესისადმი ლტოლვა) ასევე ჯანმრთელობისა, და შთამომავლობის დატოვების მოჭარბებული სურვილისა... იქნებ ეს არის გაუცნობიერებელი წუხილიც იმის გამო, რომ თქვენივე მსგავსი და ხატი, მემკვიდრე ვაჟი არა გრჩებათ!

— ჰოო... — წარმოთქვა მირიანმა დაფიქრებით, — კარგია, რომ ასე ყოფილა, მაგრამ ახლა რაღა მეშველება ამ გიჟს?..

— არა, თქვენ გიჟი არა ხართ... ვინ გითხრათ ეს?.. თავს არ უნდა შთააგონოთ!

— რა ჰქვია აბა ჩემს ავადმყოფობას, ბატონო თეიმურაზ?

— ისეთი არაფერი... მშვენივრად ბრძანდებით!

— არა, მაინც... ვინმემ რომ მკითხოს... რა ჰქვია თქვენს ენაზე იმას, რაც მჭირდა თუ მჭირს?..

— ეს ყველაფერი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს... — გაიცინა ექიმმა. — მეტისმეტად გამახვილებული მოქალაქეობრივი შეგნებისა და მაღალი მორალური პასუხისმგებლობის ნიადაგზე აღმოცენებული პარალოფიბია, ანუ შიში საკუთარი თავის წინაშე, — არ შეგეშალოთ რამე, ცალკეულ ადამიანებთან და მთლიანად საზოგადოებასთან ურთიერთობაში, რაიც ოდნავ მაინც ჩრდილს მიაყენებდა თქვენს უმწიკვლო სახელს, ღირსებასა და ავტორიტეტს... სწორედ ამის შედეგია პარალოგიკური მოვლენები, ანუ მცდარი მსჯელობანი საკუთარ პიროვნებაზე, რაც თავის მხრივ მოჩვენებითი დევნისა და თავდასხმის აფექტის გავლენით აღმოცენდა... მხედველობაშია მისაღები აგრეთვე სხვადასხვა ფობიები და მანიაკური აზნევა, რაც ასევე დამახასიათებელია ძლიერი აღგზნებადობის შემთხვევაში...

გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, — განაგრძო გულამყრელმა. — ადგილი ჰქონდა ჰალუცინაციებთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეზავებულ მითომანიისა და ფსევდოლოგიკის ფაქტებს, როცა ინდივიდს თვითონვე სჯერა შეთხზული ამბებისა, რაც ამ შემთხვევაში დეპრესიულ თვითბრალდებებშია გამოხატული...

საჭიროდ არ მიმაჩნია განსაკუთრებული კლინიკური ღონისძიებების გატარება, — ამის აუცილებლობას ანამნეზი არ გვიკარნახებს და ამდენად არც სიმპტომალური მკურნალობაა მიზანშეწონილი... ხერხემლიდან სითხის გამოღებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, — გუგა მშვენიერია; ნაწიბურები არ შეინიშნება; ენაზე ნაკბენები არ შეიმჩნევა; მუცლის კანსა და ფეხისგულებზე ცვლილებები არ აღინიშნება; სტუპორულ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია და, რაც მთავარია, პიროვნების ბირთვი შენახულია... და საერთოდ, ბატონო მირიან, ძალზე ჯანმრთელი და ჭკვიანი კაცი ბრძანდებით!.. ეს მცირე გადახრები შედეგია გადაღლილობისა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია უმნიშვნელო ფიზიკური და ფიზიოლოგიური ილუზიები, დროისა და სივრცის აღქმის მცირეოდენი გაუკუღმართებით...

ამჟამად თქვენ გესაჭიროებათ დასვენება, ფიზიკური ვარჯიშები და ცხოვრების სწორი რეჟიმი... მეტად სასარგებლო და სასურველი იქნებოდა შვებულება აგელოთ და ბაკურიანს გამგზავრებულიყავით, ანდა სხვაგან სადმე — ბაკურიანი არაა აუცილებელი...

წასვლისას, როცა რჩევა-დარიგებით ყელამდე აავსო, დამამშვიდებელი მიქსტურები გამოუწერა და ასმანეთიანიც ჯიბეში დაიგულა (არ იღებდა, მაგრამ მირიანმა შეუმჩნევლად ჩაუცურა ჯიბეში), დამატებით აი, რა უთხრა ექიმმა:

— სავსებით ლოგიკურად მიმაჩნია თუნდაც ის ფაქტი, მილიციაში რომ არ განაცხადეთ ეს ამბავი: ქვეცნობიერად გრძნობდით — მოჩვენება იყო!.. წინააღმდეგ შემთხვევაში ნილბოსანს ხელს არაფერი შეუშლიდა ამ დრომდე სისრულეში მოეყვანა განზრახული... მაგრამ მადლობა ღმერთს, ამგვარი რამ ცხოვრებაში არ ხდება და არც სპეციალურ ლიტერატურაშია აღწერილი!..

გულის სიღრმეში მირიანს მაინც არ სჯეროდა მისი და გადარეული თუ ვიყავი, ამ დრომდე რატომ ვერ ვხვდებოდიო, წამოცდა, რაზედაც ექიმმა მეტად მოსწრებული პასუხი გასცა: ამ ვერაგი სენით დაავადებულთა დამახასიათებელი თვისება სწორედ ისაა, რომ ყველას ჭკვიანი ჰგონია თავი, ხოლო ჩვენ, მკურნალნი, ამგვარ ფსიქოლოგიურ-ემოციური კლიმატის ქვეშ რომ ვექცევით, ხანდახან გვჯერა კიდეც მათი და საკუთარ თავში გვეპარება ეჭვიო...

ექიმის წასვლისთანავე მაგიდას მიუჯდა და მადიანად ისადილა, ზედ ერთი ბოთლი „წარაფიც“ დააყოლა... ქალები იჭვნეულად უთვალთვალებდნენ, შუმი გიჟი რომ არ იყო, ხედავდნენ, მაგრამ წუხელს აქეთ, სროლა რომ ატეხა, მაინც ნამეტანი დაშინდნენ...

მერე და მერე თვითონაც დარწმუნდა, მართლა დევნის მანია უნდა მჭირდესო, თორემ ექიმის თქმისა არ იყოს — მსგავსი რამ ჯერ არ მომხდარიყო და რაღა მას უნდა მოსვლოდა პირველად!..

ღამ-ღამობით ძილი ისევ უტყდებოდა, მაგრამ რაც მთავარია სპილოსძვლისფერი ტელეფონის ახალი აპარატი ჭკვიანურად სდუმდა: ჩანს, ქალაქის „ატეესი“ უფრო ოპერატიულად და გამართულად მუშაობდა!..

კვირის სწორზე ექიმმა კვლავ გასინჯა და შედეგით მეტად კმაყოფილი დარჩა... როგორ გრძნობთ თავს, ბატონო მირიანო, ნიშნისმოგებით ჰკითხა — კიდევ გისაფრდებიან, გესვრიან და გდევნიანო?.. არაო, მიუგო დარცხვენილმა, თქვენ მართალი ბრძანებულხართო... ნერვების ბრალია, გეთაყვა, ნერვებისო, უთხრა თეიმურაზმა, ანკი რა გასაკვირია — ატომის საუკუნეში ვცხოვრობთ, ამ მხრივ კაცობრიობისათვის გაცილებით უმჯობესი იქნებოდა ტექნიკური რევოლუცია ორთქლის მანქანაზე შეჩერებულიყოო..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდს, რომლითაც მე თქვენ განგკურნეთ, დასძინა მან მერე ამაყად, ფსიქოანალიზური მეთოდი ჰქვია... მისი ფუძემდებელია ავსტრიელი ექიმი ზიგმუნდ ფროიდი, და მართალია, ჩვენთან ეს მეთოდი ჯეროვან პატივში არ არის, მაგრამ პირადად მე, როგორც ხედავთ, დიდის წარმატებით ვიყენებო!

* * *

ორიოდე დღის შემდეგ მირიანი ბიჭვინთას ეწვია და პანსიონატ „ოქროს საწმისში“ დაბინავდა...

დილაობით ვარჯიშობდა და აუზში ბანაობდა ღია ცის ქვეშ, სხეულს იკაჟებდა; მერე მთელი დღე სუფთა ჰაერზე დასეირნობდა ფიჭვნარში, ქერათმიან ლამაზ ქალთან ერთად... საღამოობით კი მეტწილად ბარში ისხდნენ ხოლმე: მუსიკას უსმენდნენ, ცეკვავდნენ, შამპანურსა და კონიაკს მიირთმევდნენ, პეპსი-კოლასა და მანგოს წვენს წრუპავდნენ... რაც მთავარია, იმ მხრივაც გამოჯანმრთელდა თავისთავად, ყოველგვარი მკურნალობისა და ექიმის გარეშე.

ერთი სიტყვით, შესანიშნავად დაისვენა და შინ გამოჯანსაღებული დაბრუნდა.

ამასობაში გაზაფხულდა კიდეც — ჩამოთბა; ბუნება მწვანედ შეიმოსა და თეთრად მოიჩითა.

სამსახურში გავიდა და მისი არყოფნის პერიოდში მოშვებული დისციპლინა კვლავ აღადგინა — ხელში აიყვანა თანამშრომლები...

სარემონტო სამუშაოები მთავრდებოდა უკვე ქარხანაში, — წესრიგში მოჰყავდათ „საქმიანი ეზო“, საამქროები, საწყობები...

ახალი სეზონი იწყებოდა!..

ღიმილით იგონებდა ავადმყოფობის კოშმარულ დღეებს, თუმცა ხანდახან ღიმილი სახეზე შეეყინებოდა და ღრმა ფიქრებში იძირებოდა: ისე ცოცხლად და ნათლად აღბეჭდოდა გონებაში ნილბოსანი, ისე ცხადად ხედავდა მის თეთრ წვერსა და ნაღვერდალივით მოგიზგიზე თვალებს, — არაფრით არ სჯეროდა, თუ მოჩვენება იყო...

ღმერთი არ მიწყრებოდეს — თავს არ ვიტყუებდეო, ფიქრობდა.

ეჭვს თან ახლდა რაღაც უცნაური შინაგანი უკმაყოფილების განცდა: მართალია, უსაშინელესი დღეები გამოიარა, მაგრამ თან ცნობისწადილიც ჰკლავდა, ნეტავ ვინ არისო და უცებ — არაფერი!..

ერჩივნა რეალური არსება ყოფილიყო: ნახავდა, ხელს შეახებდა, გამოესაუბრებოდა, თავის სიმართლეში დაარწმუნებდა და კეთილმოსურნედ ჩამოიშორებდა, — უფრო გულდანდობილი იქნებოდა და ეს მტანჯველი ეჭვიც აღარ შემორჩებოდა გულში ხინჯად...

მერე თვითონვე ბრაზობდა, რა ძალად ვიტკივებ აუტკივარ თავსო: ორი თვე იყო უკვე აღარავის და აღარაფერს შეეწუხებია და განა ეს არ კმაროდა საბუთად, რომ ყველაფერი წარსულს ჩაბარდა:!.

იმ საღამოს ჯულიას დაურეკა სამსახურიდან...

— აჰ, ეს თქვენ ბრძანდებით, ბატონო მირიან?.. — გაუხარდა ქალს, — სად დაიკარგეთ, პატივცემულო... სულ გირეკავთ, გირეკავთ!

— იყო რაღაც ისეთი, ჩემო ჯულია — გიამბობ მერე... მარტო ხარ?

— დიიახ... — წაიჩურჩულა ქალმა.

— შეიძლება მოსვლა?..

— დიიახ... მობრძანდით, პატივცემულო!

— ახლავე მოვრბივარ!..

— გელოდებით... ოღონდაც ცოტა შებინდდეს ჯერ, პატივცემულო!..

მირიანი ვნებამ გათანგა: თვალწინ ედგა ტახტზე წამოწოლილი ქალი... ძალიან დასწყდა მაშინ გული!

დაღამებას ბევრი უკლდა, მაგრამ კაბინეტში ველარ დაეტია და გარეთ გაიჭრა...

გაზაფხული ძალაში შედიოდა უკვე... გზისპირებზე გადმომდგარ ძეწნებს მწვერებივით დასხდომოდნენ ტოტებზე სიფრიფანა ფოთლები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ოგვიანებდა ჩასვლას...

გადაწყვიტა, რაკი დრო ჰქონდა, წმინდა სამების ეკლესიაში შეევლო და ნამღვდელარი მოეკითხა; ახლა, როცა ყველაფერი ასე მშვიდობიანად ჩამთავრდა, საკუთარი თავისთვის ველარ მიეტევებინა მაშინდელი დოყლაპიობა, ძალად რომ შეატენა ამდენი ფული...

მართალია, „მამა სიმონი" ქალაქში გამოჩენას ვეღარასოდეს გაბედავდა, მაგრამ იმედი ჰქონდა — იქნებ როგორმე მის კვალსა და ასავალ-დასავალს მივაგნოო!

ეკლესიაში ორიოდე სანთელი ციმციმებდა; საკურთხეველთან, ჯვარცმის წინ, ვილაც შავოსანი დედაბერი დაყუნცულიყო... ფოთოლა თავის ადგილას იჯდა თეჯირის მიღმა, წვნიანში პური ჩაეტეხა და ილუკმებოდა. მირიანი მიესალმა, მაგრამ ეტყობოდა, ვერ იცნო, ისე გაკვირვებით დაუწყო ცქერა... აღარც შეუხსენებია თავი.

— სიმონ მღვდელი მინდოდა...

ქალმა სამი თითით ამოიღო ჯამიდან ჩამბალი პური. კარგა ხანს აცმაცუნებდა ტუჩებს, თან უნდოდ შეჰყურებდა.

— სიმონ მღვდელი წმინდა ბარბარეში იკითხე...

— იქ იქნება, ნეტავი?.. სასწრაფო საქმე მქონდა!

— მე რა ვიცი... რო მიხვალ, ნახავ!

მირიანმა ათმანეთიანი გაუწოდა და ათი ცალი სანთელი სთხოვა.

ფოთოლამ თეთრი ძაფით შეკრული კონები ქალალდში შეუხვია და ხურდას დაუწყო უჯრაში ძებნა.

— იყოს, არაუშავს... — უთხრა მირიანმა და ღიმილით დასძინა: — ვიცი მე, სიმონ მღვდელის ამბავი, რას მიმალავ...

— მოგვჭრა თავი იმ შეჩვენებულმა... — ქალმა უჯრა შესწია და მადლობა გადაუხადა ფულის ჩუქებისათვის.

— სად უნდა იყოსო მაინც, რას ამბობენ?..

— ჯანდაბაში და ოხრობაში... ვინ გაიგებს მის გზა-კვალს!

იქნება რამეს მოკრა ყური — მე ისევ გამოვივლი ამ ორ დღეშიო, დაუბარა წამოსვლისას.

ბინდდებოდა უკვე...

დედას გიტირებ, არ შეგარჩენ! მიწაში რომ ჩაძვრე, მაინც გიპოვნი ნამღვდელაროო, ფიქრობდაა გზაში და ბრაზით კბილებს აკრაჭუნებდა.

ხუმრობა საქმე იყო განა, ორმოცდაათი ათასი მანეთი?!.

სიგარეტისათვის ჯიბეში ხელი რომ ჩაიყო, სანთლები წამოებორკა თითებში... დასრისა და ფანჯრიდან მოისროლა!

ამასობაში ფოთის ქუჩაზე გავიდა... მთელი მისი არსება კვლავ დაიპყრო ჯულიაზე ფიქრმა...

* * *

მეორე დღეს, კაცი მოკუნტული იწვა ლოგინში, მოცახცახე და უაზროდ თვალებდაჭყეტილი: არ ახსოვს როგორ მოაღწია სახლამდე, ან რა სასწაულით გადაურჩა წუხანდელ ღამეს...

თავსთუმალთან თეიმურაზ გიყიმყრელი ეჯდა, რომელიც მან სასწრაფოდ ახმობინა ნუცას...

დილით, ოდნავ რომ ირიყრაყა, როგორც იქნა, გაბედა ჯულიას სახლიდან გამოსვლა...

მერე ქუჩის კუთხეში, ფარების შუქზე ნიღბოსანი დალანდა: ორიოდე ნაბიჯით გამოსცილებოდა ბორდიურს, — შავი ლაბადა ეცვა და ხელში რევოლვერი ეჭირა!..

შემზადებული იყო უკვე, მოელოდა მის გამოჩენას... ბოლომდე დააწვა პედალს, საჭე მარჯვნივ შეხარა, რომ გაეტანა, გაეთელა და გაესრისა, მაგრამ იმან მოასწრო უკან გადახტომა და ხეს მოეფარება... მანქანამ ბამპერი გაჰკრა აკაციას და კანი გააცალა, ძრავა ჩაქრა... შავი, გრძელი ხელი წაეტანა მაშინვე კარის სახელურს... მირიანი არ დაიბნა — მანქანა სწრაფად დაქოქა და წინ გავარდა, ნიღბოსანი აკაციას შეასკდა...

გასროლის ხმა არ გაუგონია, უკანა მინა კი ზრიალით ჩაიმსხვრა...

— დამშვიდდით, გეთაყვა, დაწყნარდით... — დაუყვავა ექიმმა. — აბა ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიამბეთ იქ რა მოხდა, ქალბატონ ჯულიას ბინაზე...

ახალმისული იყო, ზარმა რომ გაიწკრიალა... ეჭვი არაფერზე აუღია, უბრალოდ არ ეამა, რადგან ბოლო დროს ვეღარ იტანდა ტელეფონის ხმას. ჯულიამ ერთ ხანს წაუყრუა, მერე ლოყაზე იტკიცა ხელი — ვაიმე, ბავშვი არ იყოს ცუდად, — ცოტა შეუძლოდ დავტოვეო... ღილებჩახსნილი ვარდისფერი ხალათის ფრიალით მიიჭრა ტელეფონთან, — იქვე, ხავერდგადაფარებულ პაწია მრგვალ მაგიდაზე რომ იდგა... მირიანი ტახტზე იწვა პირქვეჩამხობილი, — თავი მოაბრუნა მხოლოდ და ქალის თეძოებს გააყოლა თვალი...

— ალო, გისმენთ!..

კაცს რატომღაც უსიამოდ გაჰკენწლა გულმა.

— დიიახ... — მიუგო ჯულიამ ვიღაცას.

მირიანი სმენად იქცა.

— დიახ, ბატონო, დიახ!.. — ქალს საშინელი განცვიფრება გამოეხატა სახეზე.

მირიანმა სუნთქვა შეიკრა.

— კი, ბატონო... ახლავე!.. — ჯულიამ ყურმილი გამოუშვირა, ტელეფონზე გთხოვენო.

— მეე?.. — წაიზმუვლა კაცმა და შიშისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა; მთელი სხეული მოუდუნდა, ძლივს აითრია წელი. მაგიდასთან მილასლასდა და ყურმილი გამოართვა, იცოდა უკვე ვინც იქნებოდა...

— გისმენთ, პატივცემულო...

ჯულიას ეწყინა, რად გაამხილა საიდუმლო — ჩემი ტელეფონი სხვას რად მისცაო... ტახტზე მჯდარი უყურებდა როგორ იწურებოდა კაცი შიშის ოფლში: არც ხმას იღებდა, არც ყურმილს დებდა — იდგა სარგადაყლაპულივით და თავს უცნაურად აქიცინებდა... სკამი მიუტანა, მაგრამ დაჯდომაც არ ისურვა.

ბოლოს, როგორც იქნა, დადო ყურმილი — ტახტთან მივიდა ჩამქრალი და გამოციებული... მთელი ღამე ჩვარივით ეგდო... სულ იმას ჩასჩიჩინებდა — ვინ იყო, როგორი ხმა ჰქონდა, მართლა მე მიკითხა თუ არაო, და შეაეჭვა კიდეც ქალი: დიახ — ვგონებ, მირიანი ახსენაო...

გამთენიისას გამოვიდა იქიდან და კიდევაც მოხდა ის, რასაც მოელოდა...

— ასე, რომ, ბატონო თეიმურაზ...— უთხრა მან მისუსტებული, მაგრამ გაჯავრებული ხმით. — მე გიჟი არ გახლავართ!..

— მე ეს არც მიკადრებია თქვენთვის... — გაბრაზდა ექიმი. — მე ვამტკიცებდი და ახლაც ვადგავარ იმ აზრს, რომ საქმე გვქონდა ფსიქოპათიის იოლ ფორმასთან... გთხოვეთ ზღვიდან დაბრუნებისთანავე მჩვენებოდით, რაიც, სამწუხაროდ, თქვენ არ შეასრულეთ, და ნაადრევად შეუდექით აქტიურ ცხოვრებასა და მოღვაწეობას... თუნდაც ის ფაქტი, ხანდახან ეჭვი რომ გეპარებათ და ნიღბოსანი რეალურ პიროვნებად გესახებოდათ, მიგვანიშნებს იმაზე, რომ არ იყავით საბოლოოდ განკურნებული — და აი, შედეგიც: ავადმყოფობამ კვლავ იჩინა თავი!.. მადროვეთ, მადროვეთ, პატივცემულო... ნუ მაწყვეტინებთ... მე ვიცი რას ვამბობ და ამიტომაც არ გაძლევთ ამდენ უფლებას, — ახლავე აგიხსნით და დაგიმტკიცებთ რა მოხდა წუხელ... მანამდე კი მინდა შეგახსენოთ, რომ ფსიქიატრიაში, გარდა ფროიდიზმისა, არსებობს კიდევ სხვა მრავალი სკოლა და მიმდინარეობა, ხოლო ამათგან ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიას, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველგვარი ფსიქიკური მოვლენა წარმოადგენს ინდივიდის წინასწარი განწყობის რეალიზაციას, განპირობებულს პიროვნების სუბიექტური მოთხოვნილებებითა და ობიექტური სიტუაციით, ანუ რეალობით... დიახ, დიახ! როცა კვლავ აღმოჩნდით ანალოგიურ გარემოში, სადაც არცთუ დიდი ხნის წინათ გარკვეული უსიამოვნება შეგემთხვათ, ხოლო კრიტიკულ სიტუაციაში ამას თან დაერთო ტელეფონის ზარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზედაც გარკვეული მიზეზების გამო უარყოფით რეაქციას ამჟღავნებთ, ბუნებრივია თქვენს შეგნებაში აღმოცენდა შიშის ძლიერი განცდა... არ არის გამორიცხული, რომ უცნობმა აბონენტმა მართლაც იკითხა ვინმე მირიანი, მაგრამ ეს სახელი ქალაქში ჰქვია არანაკლებ ათი ათასი კაცისა... ისევ და ისევ ტელეფონის გაუმართავ მუშაობასთან გვაქვს საქმე... თქვენ რომ იქ არ ყოფილიყავით, ეს ამბავი შეუმჩნევლად ჩაივლიდა! ქალბატონი ჯულია უპასუხებდა უცნობ აბონენტს: შეგეშალათ, სხვაგან მოხვდით, მირიანი აქ არავინააო (დარწმუნებული ვარ იმ წუთას, უცებ თქვენი არსებობაც არ გაახსენდებოდა!), მაგრამ რაკი შემთხვევით „მირიანი" იქ იმყოფებოდა, ქალმა კრიტიკულად აღარ შეაფასა სიტუაცია და შეცდომა მიიღო როგორც რეალობა ანუ აუცილებლობა... მით უფრო, ალბათ იგულისხმა, რომ თქვენ, როგორც პასუხისმგებელ და ხელმძღვანელ მუშაკს, რომლის ადგილსამყოფელიც მუდამ ცნობილი უნდა იყოს ზოგიერთი ზემდგომი ან ქვემდგომი ამხანაგებისათვის (ვინ იცის ვის როდის და რა საქმეზე დასჭირდებით!), შეგეძლოთ კოორდინატები — ამ შემთხვევაში ქალბატონ ჯულიას ბინის ტელეფონის ნომერი — მიგეცათ ვინმესთვის! უფრო ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ უცნობ აბონენტს სულაც არ უხსენებია „მირიანი", არამედ, ვთქვათ „მარიამი" ან სხვა ვინმე ასევე მიმსგავსებული, — ახლა ასე უცებ მეტი არ მაგონდება — მაგრამ გარკვეული ფსიქოლოგიური დაძაბულობის პირობებში (თქვენი იქ ყოფნა... საკუთარი დანაშაულის შეგნება... ანუ, უფრო სწორად, ქალური სიმორცხვე და სხვა) ქალბატონ ჯულიას მოესმა როგორც „მირიანი" და მიგიხმოთ კიდეც ტელეფონთან... აკი ბრძანეთ, თვითონაც არაა კარგად დარწმუნებულიო!.. ხოლო გამთენიისას რაც მოხდა, ძალზე იოლი ასახსნელია და უშუალო შედეგია თქვენივე წინასწარი განწყობისა (წელან, ვგონებ, წამოგცდათ — მოველოდი კიდეც ამ ამბავსო!)... დიახ, — ნაგვიანევი მგზავრი, რომელმაც ხელი აგიწიათ და წაყვანა გთხოვათ (არც ისაა გასაკვირი, იმ საცოდავს წვერი ჰქონოდა!), თქვენ ნილბოსნად მიიღეთ და კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმეთ!.. ცხადია, მანქანაში შემოვარდნას შეეცდებოდა და მერე, გაქცეულს, უკან ქვას მოგაყოლებდათ, თუმცა შესაძლოა, მინა დაჯახებისას თავისთავად ჩაიმსხვრა...

მირიანი პირდაღებული უსმენდა.

— რახან ეგრეა, ბატონო თეიმურაზ, ჩანს, ალარასოდეს განვიკურნები... — ამოიოხრა და მღვდლის ნათქვამი გაახსენდა: სულერთია ნამდვილი ტყვია გაგიხვრეტს გულს თუ მოჩვენებითიო.

— ეგ არ იფიქროთ, გეთაყვა, — პირიქით: თავს უნდა შთააგონოთ, რომ ეს ყველაფერი მოჩვენებაა... შიში არ უნდა გაივლოთ გულში, მთავარია რწმენა!

— როგორ შთავაგონო, რანაირად?..
— ჰკითხა მირიანმა, რომელსაც კვლავ იმედი მიეცა.

— სულ უბრალოდ... თუნდაც სიტყვიერად. სიტყვა მაგიურად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. სიტყვა შეიძლება მატერიალურ ძალად იქცეს, თუ დროულად და ჭკვიანურადაა ნათქვამი... შეგიძლიათ ახლავე სცადოთ: აბა გაიმეორეთ ხმამაღლა, რამოდენიმეჯერ, მეჩვენება-თქო!

— მეჩვენება-თქო... — მოწაფესავით გაიმეორა მირიანმა.

— არა, არა... ეს „თქო" რაღა ჯანდაბაა... „თქოს" თავი დაანებეთ, — მარტო „მეჩვენება"-თქო.

— მეჩვენება, მეჩვენება... — გაუბედავად დაიწყო და მერე თანდათან აუწია ხმას.

— მიდით ჰო, კარგია, კარგი... — გაამხნევა ექიმმა. — ოღონდაც, უფრო სწრაფად!

— მეჩვენება არმეჩვენება არმეჩვენებაარმეჩვენება!.. — ერთმანეთს წააბა მირიანმა.

— ეგრე არა, არა... — უკმაყოფილოდ შეაწყვეტინა ექიმმა. — თან უნდა დაუფიქრდეთ რას ამბობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—-შემეშალა რამე?.. — ჰკითხა.

— არაუშავს, არაუშავს... ჯერ კიდევ არა ხართ მდგომარეობიდან გამოსული... თავისთავად, ესეც თქვენი გულწრფელობის მიმანიშნებელია!.. აბა ახლა ვცადოთ ძევე ხმამაღლა გავიმეოროთ, არ მეშინია-თქო.

— არ მეშინია, არ მეშინია!.. — დაიწყო მირიანმა დინჯად, მერე ეშხში შევიდა და მუშტების ქნევას მოჰყვა, თითქოს უჩინარ მტერს ებრძვისო.

— კარგია, კარგი!.. — გააქეზა ექიმმა. — აბა ჰო, მიდით, მისცხეთ, სულ დედა უტირეთ კუდიანებს!

— რაო?.. — მირიანმა თვალები ჰყიტა.

— არაფერი, არაფერი... განაგრძეთ, — თქვენ მე ნუ მიგდებთ ყურს!

მირიანი ტახტზე წამოჯდა, ასე უფრო უკეთ იქნევდა მუშტებს.

— არ მეშინი ამეშინი ამეშინიამეშინია!..

— ნუ გეშინია, ნუ!.. — შემოუძახა ექიმმა გაგულისებით, რადგან მუშტი კინალამ სახეში მოხვდა. — რისი გეშინია, ბოლოსდაბოლოს — ბავშვი ხომ არა ხარ ამხელა კაცი!..

— არ ვამბობ სწორად?.. — ჰკითხა მან და სული მოითქვა, მაგრამ ხელებს მაინც არ აჩერებდა.

— კარგი ჰო, კარგი, დაწყნარდი... — დაუყვირა თეიმურაზმა და თავი სწრაფად გასწია, მაგრამ ოდნავ მაინც გაეკრა მუშტი ცხვირზე. — სირცხვილია მართლადამართლა, რა გიჟივით იქნევ მაგ ხელებს!..

იმ დღიდან მირიანმა მოსვლა აუკრძალა ექიმს, რადგან ირწმუნა: მე არაფერი მჭირს სამკურნალო, თვითონ კი ნამდვილად ჰგავს შექანებულს, შეშლილსა და ცეტსო!..

* * *

წასვლისას თეიმურაზმა ქალები გააფრთხილა: მდგომარეობა მეტად სერიოზულია — ავადმყოფი საჭიროებს განუწყვეტელ მეთვალყურეობასა და დაკვირვებას, ხოლო შემდეგ საფუძვლიან მკურნალობასო... მაგრამ, ვინაიდან მე ამიგდო, ამითვალწუნა და ჩემი ალარაფერი სჯერა, გირჩევთ, ვიდრე გვიან არ არის, მოძებნეთ ვინმე სხვა, ასე თუ ისე გამოცდილი სპეციალისტიო...

ჯერ ლიზიკომ, მერე ნუცამ, რამდენჯერმე ჩამოუგდეს სიტყვა, მაგრამ მირიანს გაგონება არ სურდა, — კატეგორიულად აკრძალა ექიმის სახელის ხსენებაც კი!..

ამ ამბავს არ ახმაურებდნენ, მაგრამ თითო-ოროლა კაცმა მაინც გაიგო... მოდიოდნენ მნახველები (ვინც განსაკუთრებით ახლო იდგა მათ ოჯახთან) — ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები...

თავი ისე ეჭირათ, ვითომც არაფერიო, მაგრამ გულში ყველამ იცოდა გიჟი რომ იყო...

ერთ საღამოს კოწო შავდიამ მოინახულა.

— თუ კაცი ხარ, ეგ სათვალე მოიხსენი ახლავე! — შემოსვლისთანავე მიახალა მირიანმა.

შავდიამ უსიტყვოდ შეასრულა ბრძანება... მხრები ოდნავ შეათამაშა და თვალები ზომაზე მეტად გადმოკაკლა.

— გამოტყდი კოწო, რომ შენც გიჟი გგონივარ... — უთხრა მირიანმა. ლოგინში იწვა და თავი მომაღლოდ ედო ბალიშზე.

— ჰო... რაღა დაგიმალო და რაღაცეებს კი მოვკარი ყური — დევნის მანია სჭირსო, შიშები აქვსო... ვიღაც ნიღბიანი კაცი ელანდებაო...

— არ მელანდება, ამის დედა ვატირე... — მირიანმა ხელები გაშალა. — სრულ ჭკუაზე ვარ, გეფიცები ძმობას — ძალად მაგიჟებენ ეს შობელძაღლები... შენ იმიტომ გეუბნები, ვიცი გამიგებ!

— მჯერა, მჯერა... — გაიცინა შავდიამ. — მე რომ არა ვარ მთლად დალაგებული კი ვატყობ, მაგრამ შენ ჯვარი გწერია... რა იყო მაინც, რა მოგივიდა, რა წაგეკიდა?!

— მართლა მყავს ვიღაც შემოჩენილი... — მირიანმა სიგარეტს მოუკიდა. — გამოგიტყდე უნდა: შენზეც კი მქონდა ეჭვი, ერთი პერიოდი...

— რაო... ჩემზე?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო... შარშან სექტემბერში...

— ეგ რამ გაფიქრებინა, კაცო — შენ მართლა ხომ არ გადაირიე... მე მეგონა მაშინ რაღაცას ხუმრობდი... არ უნდა გეთქვა — მეწყინა, უნამუსო ვიყო!

— მაპატიე, კოწო... განა არ ვიცი, კაცური კაცი ხარ და შენზე ერთგული მეგობარი არცა მყავს!

— მაინც რას ფიქრობ?.. — ჰკითხა შავდიამ. — მტერი გეყოლება, ალბათ, ვინმე!

— რო ვერ გავიგე ვინ არი... ვერ დავადგინე... რა ვიცი აბა... — ტუჩები წაიბზუა და გაშლილი ხელები შეატრიალ-შემოატრიალა. — შენ ხომ მიცნობ, ჩემო კოწო, — ხომ იცი, სიკეთის მეტი არაფერი მიკეთებია ამ ქვეყნად!

— ვიცი, განა არ ვიცი, მაგრამ მთლად მაგაზეც არაა საქმე!..

— ფეხდაფეხ დამდევს, მისაფრდება და თავს მესხმის, — ნიღაბი უკეთია... აღარ მეცხოვრება ქვეყნად, გადავსახლდე უნდა სადმე!.. რო ვიცოდე ვინაა, ვერ დამიმაგრდება, ცხრათავიანი დევიც რომ იყოს — რკინის მკვნეტელი, მაგრამ საამშკარაოზე არ გამოდის... არადა, რავარი საქმეა ყოველდღე სიკვდილის მოლოდინი!..

— ყოჩაღ შენ, კიდევ მაგრადა ხარ!.. გადასარევი ამბავია პირდაპირ... — შავდიამ მხრები აიჩეჩა. — ან ამ დრომდე როგორ გადაურჩი, თუ მართლა ისე მიზანში ისვრის, როგორც შენ ამბობ — ჰიქა შემატეხა ხელშიო... იქნებ გაშინებს?.. თუ კი არ დაგაშამათებს, ქიში იძახოს რამდენიც უნდა, რა გენაღვლება!..

— ეგ მეც ვიფიქრე, მარა რა შეღავათია... — სიმწრით ჩაიცნა მირიანმა. — ხომ შეიძლება ერთხელაც „მიზანს ააცილოს“ და ჰიქის მაგივრად მე მომარტყას?!. არა, არა, შემთხვევითა ვარ გადარჩენილი... კიდევ ერთი ასეთი ქიში და მე უკვე ჩემი დამემართება!..

— პირველად მესმის... იქნებ შეცდომაა რამე?

— როგორ შეცდომა?.. — მირიანმა ყურები ცქვიტა, ეგებ გზაზე დამაყენოს. სიგარეტი საფერფლეში ჩააქრო, რომელიც მკერდზე ედო.

— იქნებ ვინმეში ეშლები?..

— ამდენჯერ შეშლა გაგონილა?.. შეშლა მესმის ერთხელ — ან მოგკლავს, ან გადარჩები... ამასობაში ხომ უნდა მიმხვდარიყო, ხომ უნდა გაეგო, მე რომ არა ვარ ის...

— რა ვიცი აბა, რა გითხრა, ჩემო მირიან... მილიციაში არ მისულხარ?

— აქვს კი რამე აზრი?.. — ჩაიცინა მირიანმა. — არც დაიჯერებენ... მე თვითონ არ ვიცი ვინაა, მოწმეც არავინ მყავს, — იმათ, ხო იცი, ფაქტები უნდათ, — მე კი, სანამ არ მომკლავს, მანამდე არავითარი „ფაქტი“ არ მექნება ხელში!..

— თუმცა, ჰო... ეგეც სწორია!

— აი რა დღეში ვარ, ჩემო კოწო, ჩემო კეთილო... ამათ კიდევ ავად ვგონივარ!.. ან რა გასაკვირია, მეც დავიჯერე ერთი პერიოდი... რა არ ვსინჯე, რაღა არ მოვიმოქმედე, რო გითხრა, გაგეცინება... ერთი მეზობელი მყავს აგერ, ჩვენს პირდაპირ ცხოვრობს, სახელად ტიტე ქვია — კინაღამ დამარწმუნა, კუდიანი გეყოლება შემოჩენილიო — თვითონ წმინდა წყლის გიჟია და ეს ყველაფერი სჯერა... ამას ვინღა ჩიოდა — შენ წარმოგიდგენია? — იქამდე მივედი, ღმერთიც კი ვიწამე!.. ეკლესიაში ხატის წინ დავიჩოქე და სანთლები დავანთე...

— მერე რა მოხდა, შე კაცო... — გაუამინა შავდიამ. — ღმერთი მეც მწამს და სანთლებსაც ვანთებ ხანდახან ეკლესიაში... აი, შეხედე! — თითი ჩაიყო საყელოში და წვრილ ძეწკვზე გამობმული პატარა ოქროს ჯვარი ამოაცურა.

— რა ვიცი, რა ვიცი... — თავი მოიფხანა მირიანმა.

— მე ერთი რამისა მეშინია ყველაზე მეტად... — იდუმალის ხმით თქვა შავდიამ.

— რისი?.. — მირიანმა სუნთქვა შეიკრა, თვალები გაუფართოვდა.

— მე ეჭვი მაქვს, შენ ზარში არ იყო წაგებული!..

— რაო?!. — მირიანი ტახტზე წამოჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და... საფერფლე აიტაკზე გაგორდა, საბანზე ასანთის ღერები და სიგარეტის ნამწვავები მიმოიფანტა... მარტო ამის წარმოდგენამაც კი საშინლად გაამწარა:

— ვისა აქვს უფლება ადამიანის ბედზე ითამაშოს და კონში ჩავიდეს სხვისი სიცოცხლე... ეს რა თქვი, კოწო, რა წამოგცდა!..

— მე რას მიჯავრდები, შე კაცო... — გაიცინა შავდიამ. — უბრალოდ გითხარი, სიტყვაზე... მე მგონია, შენ მართლა რაღაცას ურევ, ჩემმა მზემ: რის ნილბოსანი, რა ნილბოსანი — ადე, ჩაიცვი, გარეთ გავიდეთ, თითო ბოთლი ღვინო დავლიოთ სადმე... ხედავ რა კარგი ამინდია?!. მე შენ მართლა ავად მეგონე!

— აღარაფრის ხალისი აღარ მაქვს, აღარაფრის... — ამოიოხრა მირიანმა.

— შეეშვი ფიქრებს, უარესია... კაცმა არაფერზე არ უნდა იფიქრო, — ჭამო უნდა, სვა, დრო ატარო, იძინო... ხვალვე გადი სამსახურში, მართლა გიჟი არ ეგონო ვინმეს... ერთხელ თუ გაგიტყდა სახელი, მერე აღარაფერი გიშველის. კაცი სანამ საქმეში ვარგიხარ, ცოტას კიდევაც რომ მოიგიჟიანებდე, ჩემსავით, მაინც ჭკვიანად ითვლები, მაგრამ თუ პრაქტიკულმა ალღომ გიმტყუნა, სოლომონ ბრძენიც რომ იყო, აღარავის სჭირდები!

— რა ვქნა არ ვიცი, ჩემო კოწო, — რა გზას დავადგე...

— თუ არ გეჩვენება რამე და რასაც ახლა ამბობ მართალია, — უთხრა შავდიამ. — მაშინ კარგად გაახილე თვალები, დაუკვირდი... სტაცე მერე ხელი და მოუგრიხე კისერი; უცხო კი არავინ იქნება, — ისევ შენს გვერდით და შენს მირა-მორე ტრიალებს, ალბათ!..

მირიანმა იქვე გააშლევინა მაგიდა...

შავდია მოშიებული გახლდათ და მადიანად მოილხინა. მანავის მწვანეს სვამდნენ (სიმონ მღვდელს უყვარდა, — მისთვის მოიმარაგა და იმ დროიდან ჰქონდა შემორჩენილი), თვითონაც დასცალა ერთი ბოთლი და ცოტათი გამხიარულდა...

— რა ქენი იმ საღამოს, — ჰკითხა შავდიამ. — მას მერე აღარც მინახივხარ... იმ გოგომ ხომ ზორბად გასიამოვნა?..

— ეეჰ... ხელი ჩაიქნია მირიანმა, — ჩემს ყოფას და ჩემს სიამოვნებას ნულარ გამახსენებ!.. — ველარ მოითმინა და მერე თვითონაც ჰკითხა: — შენ ისევ დადიხარ ი მ ა ს თ ა ნ?..

— ჰო მართლა, ახლა გამახსენდა ქვისლები რომ ვყოფილვართ მე და შენ!.. — ხელი ხელს შემოჰკრა და თავი გადააქნია. — რა მიქენი, შე გაფუჭებულო, რავა წამაწყმედინე სული... რატომ მაშინვე არ მითხარი ეს ამბავი? ხომ იცი, მე ცოტა სხვანაირი კაცი ვარ... რო გავიგე, მერე აღარც გავკარებივარ!.. შენ გაგირყვნია თურმე, მიამბო ყველაფერი... ჩემმა მზემ, არ უნდა გეკისრა — ქალების მეტი რაა, შე გათახსირებულო... მართლა კი ხარ მისაბრალი!.. — დასძინა ღიმილით.

— არა... მანდ ცოტა სხვანაირად იყო საქმე, — ღიმილითვე მიუგო მირიანმა. — ასე ადვილად ვერ გაიგებ!..

მარტო რომ დარჩა, კიდევ ერთი ჭეშმარიტება შეიცნო: შენს გასაჭირს სხვა ვერასოდეს გაიგებდა, — თანაგრძობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... აი, კოწო შავდიამ: ჭამა, სვა, ილაყბა და ღიღინ-ღიღინით გაუდგა გზას — მირიან დევიძე ფეხებზე ჰკიდია... გულში იქნებ კიდეც ეცინებოდა — ეს რა უცნაური სენი შეჰყრიაო... ერთი რამ კი ჭკვიანური უთხრა: მიიხედ-მოიხედე, უცხო არავინ იქნებაო... თვითონაც ხომ ამ აზრს ადგა თავიდანვე, მაგრამ მაშინ გონებით ეძებდა, სინამდვილეში კი, თვალებით უნდა მოენახა და ამოეცნო მტერი!

თუ ბრძოლაა ბრძოლა იყოსო, გაიფიქრა ღვინისაგან შეზარხოშებულმა... ბრძოლა უსამართლო და უთანასწორო: თავად ხილული, ნიშანში ამოღებული — მოწინააღმდეგე კი, უჩინარი და შემპარავი!

* * *

დაუჯერა კოწო შავდიას და გავიდა სამსახურში (ისედაც გავიდოდა, აბა ქარხანას თავს ხომ არ გაანებებდა!), მაგრამ ვაი იმ გასვლას და ამ ყოფას: კარის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველ გაჭრიალებაზე კრთოდა და ჯიბეზე იკრავდა ხელს, სადაც შეწკიპული რევოლვერი ედო...

მოლოდინში იყო, მაგრამ იმისგან ჯერჯერობით არაფერი ისმოდა, — არც თავს ესხმოდა და ალარც ტელეფონზე რეკავდა.

იქვით უყურებდა ყველას და ყველაფერს; ორჯერ ამის გამო ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, — ერთხელ კინაღამ სკანდალით დამთავრდა საქმე...

პირველად ფედიაზე მიიტანა ეჭვი, მათ ყოფილ მონტიორზე, — ლოთობისათვის რომ დაითხოვა სამუშაოდან შარშან აგვისტოში... იმ დღეს ქარხანაში მოხეტებულიყო, გახეთქილი მთვრალი; დაექინებინა — გინდა თუ არა „საბოლოო ანგარიში“ მერგებაო... მოლარეს ეთქვა, რალა დროს საბოლოო ანგარიშია, ფედია — რახანია შენმა ცოლმა აიღოო. დიდხანს უკირკიტა, თურმე უწყისს — ეს ვალიას ხელმოწერა არააო... მერე მოლარეს მინდობილობაც ეჩვენებინა, მაგრამ ამაზედაც მოედო შარი — ყალბიაო; ფული დირექტორმა შეჭამა და ახლავე ვუჩვენებ მე იმას სეირსო...

ესმოდა როგორ ილანძღებოდა და იგინებოდა მისაღებში, — მირიანი ქურდია, ხელფასი მომპარაო; კაბინეტში შემოჭრას ლამობდა, მაგრამ ნადია ულობავდა გზას. ეტყობოდა იქ სხვებიც იყვნენ და აწყნარებდნენ — ე, ბიჭო, სუ, ფედია, გაჩუმდი, რამ გადაგრიაო...

ველარ შეიკავა თავი, წამოხტა და კარი რომ გაალო სახტად დარჩა: ეს ხომ სწორედ ის ნიღბოსანი იყო!..

ფედია ორმოციოდე წლის კაცი გახლდათ, — მოზრდილ წვერს ატარებდა და ისეთი წვრილი თვალები ჰქონდა, თითქოს მართლაც ნიღბის ჭრილებიდან იმზირებიანო... დირექტორის დანახვაზე მთლად გადაირია, გაიქაჩა, მაგრამ საიმედოდ ჰყავდათ გაკოჭილი. მირიანმა არც აცია, არც აცხელა, — მივარდა წვერებში სწვდა და დაუყვირა: ახლა გამოჩნდება ვინაა ქურდი და მკვლელი, მ ნილაბს რომ ჩამოგაგლეჯო...

ძლივს გამოსტაცეს ხელიდან...

მერე ღრიალით გაიჭრა ეზოში — მილიციას მოვიყვანო, იმუქრებოდა, მაგრამ ეტყობა, გადაიფიქრა და მალაქიას დუქანში შეუხვია...

ბლუჯად ჩამოტანილი ქერა წვერი მირიანმა იქვე დაჰყარა და შემცბარი შეიძურწა კაბინეტში.

ყველა გააკვირვა ამ ამბავმა — ვერ მიმხვდარიყვნენ რომელ მკვლელსა და რა ნიღაბზე იყო ლაპარაკი; რალა თქმა უნდა, ფედია მართალი არ გახლდათ, მაგრამ დირექტორის საქციელიც უცნაურად გამოიყურებოდა; მისგან ამგვარ ამჩატებას არ ელოდნენ!

მეორედ მთლად სასწაული დაემართა:

ნაშუადღევს მაგიდის უჯრა რომ გამოსწია და შიგ ხელი მოაფათურა, ნახა სიგარეტები გამოლეოდა; ფანჯარასთან მიდგა და ქლალწვერიან მეავტოკარე ბიჭს ანიშნა მოდიო.

ბიჭმა მაშინვე გააჩერა ავტოკარი, მკვირცხლად ჩამოხტა და მიეახლა.

— შენ ჯიქურა გქვია, ხომ?.. — ჰკითხა მირიანმა და ათმანეთიანი ამოიღო ჯიბიდან.

— დიახ. — მიუგო მან.

— მგონი მოტოციკლეტიც გყავს, არა?..

— კი, მყავს... — დარცხვენით გაიღიმა ბიჭმა, რადგან ძველთაძველი, დანჯღრეული მოტოციკლეტი ჰყავდა.

— მალაქიას დუქანი იცი სად არის?

— როგორ არა, ხანდახან ლუდის დასალევად შევდივარ...

— ჭულურას იცნობ, მებუფეტეს?

— ვიცნობ... — გაიცინა ბიჭმა.

მირიანმა ფული გაუწოდა.

— მეცი პატივი, ჩემო ჯიქურ... მოაჯექი იმ შენს მოტოციკლეტს, გავარდი მალაქიას დუქანში და ჭულურას უთხარი ერთი ბლოკი „კოლხეთი“ გამომიგზავნოს. კარგი?..

— კი, ბატონო. — მიუგო მან და ფული გამოართვა.

ათიოდე წუთის შემდეგ უკანვე მოათუხთუხა მოტოციკლეტი, რომლის შეღუნული სპიცები და ფერგადასული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაპოტი ალაგ-ალაგ მავთულებით იყო დამაგრებული.

მირიანი ფანჯარასთან ელოდა...

სიგარეტები რომ ჩამოართვა, ანაზდად მისი ყურადღება მიიპყრო გამხდარმა გრძელმა თითებმა და დაკოჟრილმა ხელისგულებმა, რომლებსაც თითქოს მოყვითალო ფერი დაჰკრავდათ... მყისვე თვალწინ დაუდგა შარშანდელი სექტემბრის იმ ავბედით ღამეს გალავნიდან გადახტომისას ჰაერში გაელვებული უცნობი ნიღბოსნის ხელისგულები და გაფარჩხული თითები... თან აგერ მოტოციკლეტიც ჰყავდა (რატომღაც სჯეროდა, რომ ნიღბოსანი სწორედ მოტოციკლეტით დასდევდა)!..

— შემოდი შენ ჩემთან, შემოდი!.. — უთხრა შეცვლილი ხმით.

ბიჭი შეკრთა...

ვიდრე შემოვიდოდა, მირიანმა მოასწრო მაგიდასთან მისვლა და სავარძელში ჩაჯდომა.

— მიკეტე კარი! — უთხრა მკაცრად.

ბიჭმა უსიტყვოდ შეასრულა ბრძანება.

— მოდი ახლა აქ!

მივიდა და შემცბარი გაჩერდა მაგიდასთან .

— დაჯექი!.. — დაუყვირა.

ფრთხილად გამოსწია სკამი და მოკრძალებით ჩამოჯდა; ხელები მაგიდაზე დაკრიფა და კორძს დაუწყო ჩიჩქნა... დროდადრო გაჰხედავდა და როცა დირექტორის გამცვეთ მზერას წააწყდებოდა, ისევ ჩაღუნავდა თავს.

— გამაგებინე, რა გინდა ჩემგან... — მუქარით უთხრა მირიანმა. — რას გადამეკიდე, რას დამდევ მაგ შენი დამპალი მოტოციკლეტით?..

ბიჭმა ის იყო ფრჩხილებით აახლიჩა კორძი ხელისგულს... თავი ასწია და გაშტერებული მიაჩერდა. მერე, თითქოს რაღაც მოაგონდაო, ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო. გაგეხუმრეთ!

— რაო, რაო?.. რა ბოდიში, რის გახუმრება... — მირიანი დაიბნა, [illegible]

მერე უცებ მოაგონდა:

ამ ერთი კვირის წინ ქარხანაში რომ მოდიოდა, ბიჭს წამოეწია: მიათუხთუხებდა ნელა თავის დანჯღრეულ მოტოციკლეტს... სიგნალი მისცა, მაგრამ ამან არ გაუშვა — ალბათ, ვერ იცნო... მერე სასაცილოდ გაშვერილ მრგვალ სარკეში დაინახა დირექტორი და მყისვე მარჯვნივ მიიწია, გზა გაუთავისუფლა... მირიანმა გაუსწრო და არც შეუხედავს, ისე ჩაუქროლა. რომ ეგონა შორს ჩამოვიტოვეო, უცებ შენიშნა: მოტოციკლეტი კუდში მოსდევდა. გაუკვირდა, რა სისწრაფე ჰქონიაო... ბიჭი უღიმოდა და ხელს უქნევდა — ეტყობოდა, გასჯიბრებოდა და ამაყობდა ახლა თავისი მოტოციკლეტით... მირიანმა არ შეიმჩნია, მაგრამ მიიღო გამოწვევა და კვლავ დიდი მაანძილით ჩამოიტოვა, მაგრამ ბოლოს მაინც ამან შეასწრო ქარხანაში... ყარაულმა შეაფერხა, რომელმაც ჭიშკრის გაღება შეაგვიანა; ამასობაში ბიჭი წამოეწია და სიჩქარის შეუცვლელად შევარდა ეზოში, — მანქანის მარჯვენა ფრთას აუქცია მხარი... გაუკვირდა, რა ოსტატურად შეძვრაო; გაუღიმა და თითი დაუქნია, მაგრამ გულში მაინც არ ეამა და თავხედობად ჩაუთვალა!..

— მეტად აღარ ვიზამ, ბატონო... არ მეგონა თუ გეწყინებოდათ!

ახლეჩილი კორძი მაგიდაზე დაეგდო და კიდევ სხვაც დაემატებინა.

— გაჩუმდი!.. — მაგიდას მუშტი დაჰკრა მირიანმა. — თავს ნუ ისულელებ, ვიცი ვინცა ხარ... ნიღაბს იფარებ და მოსაკლავად დამდევ, მაგრამ მე დაგასწრებ და ახლავე სულს გაგაცხებინებ!..

ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და დაუმიზნა...

შიშისაგან ბიჭს ლამის თვალები გადმოუცვივდა, სახეზე ხელები აიფარა, მაგრამ მერე, ჩანს, იფიქრა მეჩვენებაო... ოდნავ გამოიჭყიტა და კვლავ მისკენ მიშვერილი რევოლვერი რომ დაინახა, დაფეთებული ზეზე წამოვარდა; კარს ეცა, მაგრამ ვერ გააღო... ღრიალით

მიიჭრა ფანჯარასთან, იშვირა ფეხი და ზედ გადაევლო...

მაშინვე ძრავაც აგუგუნდა და მირიანმა თვალი მოჰკრა, როგორ გააძვრინა მან მოტოციკლეტი ღრიჭოდ დატოვებულ ჭიშკარში...

რაღა თქმა უნდა, მერე ინანა!

ფედიას რომ წვერები დააგლიჯა, ამ ამბავს ყველა შეესწრო, მაგრამ ახლა, მისდა იღბლად, ყველაფერი ისე ჩამთავრდა, არავის არაფერი შეუმჩნევია (თვით ბიჭის ფანჯრიდან გადახტომაც კი!) და უხაროდა, გადავრჩიო...

იმ დღეს მეავტოკარე მუშა აღარ გამოჩენილა.

მეორე დღეს ადრე მივიდა ქარხანაში, — უნდოდა გაეფრთხილებინა, არ წამოგცდეს ვინმესთან, უბრალოდ გაგეხუმრეო, მაგრამ ბიჭი აღარსად ჩანდა...

ამასობაში მილიციიდან დაურეკეს, — უფროსი იბარებდა სასწრაფოდ.

მიხვდა რაშიც იყო საქმე!..

არ ეჭაშნიკა, რადგან მილიციის ახალ უფროსს, ახალკაცს, ჯერ არ იცნობდა (ღვინიაშვილი სადღაც არასაუწყებოში გადაიყვანეს); როგორ გინდა ახლა აუხსნა და გააგებინოო, სწუხდა, თუმცა გონებაში უკვე მოფიქრებული ჰქონდა ყველაფერი!

შესვლისთანავე ლომკაცა მოიკითხა, — ჩემი ძველი მეგობარიაო...

— მე არ ვიცი, ამხანაგო, თქვენი ლომკაცაო, — ცივად მიუგო ახალკაცმა და ამით მიახვედრა, დიდად რომ არ ეპიტნავებოდა თავისი წინამორბედის ხსენება... ახალგაზრდა კაცი იყო, ოცდაათისაც არ იქნებოდა, — ლეიტენანტის სამხრეები ეკეთა და ძალზე სერიოზული სახე ჰქონდა; სკამი შესთავაზა და რაღაც ქაღალდი გამოუწოდა—აბა ერთი იმაზე რას იტყვითო...

ბიჭი უჩიოდა, — დირექტორმა კაბინეტში შემიხმო და რევოლვერით მკლავდაო... გთხოვთ მიიღოთ სასწრაფო ზომებიო!..

— გთხოვთ განგვიმარტოთ... — უთხრა მილიციის უფროსმა. — რას ერჩოდით თქვენსავე მუშას, ანდა ვინ მოგცათ უფლება ცეცხლმსროლელი იარაღის ტარებისა?..

— რის იარაღი, პატივცემულო... — გაიცინა მირიანმა. — ანდა მუშას რას უნდა ვერჩოდე... სიგარეტზე გავაგზავნე და მადლობის მეტი რა მეთქმოდა, მაგრამ მერე, აი, ამ სანთებელათი სიგარეტს რომ ვუკიდებდი, — ჯიბიდან რევოლვერის ფორმის სანთებელა ამოიღო და დაანახა. — იმან უცებ იშვირა ფეხი და ფანჯრიდან გადახტა!..

— სიმართლე გითხრათ, მეც არა მჯეროდა ეს ამბავი... — გაიღიმა ახალკაცმა. სანთებელა გამოართვა და დაათვალიერა. — მუშას რომ მოეკლას დირექტორი კი გამიგონია, მაგრამ დირექტორს რომ მუშა, — არა!.. — სანთებელა უკანვე დაუბრუნა. — თუ არ შეწუხდებით, ბატონო, დაწერეთ ახსნა-განმარტება და ხელწერილიც დაურთეთ... რა თქმა უნდა, ეს ფორმალობაა, მაგრამ რაკი განცხადება რეგისტრირებულია, რაღაც მსვლელობა უნდა მიეცეს, და საერთოდ, ხუმრობა საქმე ხომ არაა, — მუშა გაბრალებთ კაბინეტში რევოლვერით მკლავდაო... ისეა დამფრთხალი, ქარხანას თავი უნდა გავანებოო, იძახის, — აწი იქ მიმსვლელი აღარ ვარო!..

მირიანმა დაწერა ახსნა-განმარტება, თუ როგორ მოეჩვენა მუშას სანთებელა რევოლვერად... ხელწერილიც დაურთო, რომ არაფერს ერჩის და თუ კი ოდესმე, მისი მიზეზით ბიჭს თუნდაც ფრჩხილი წამოსტკივდება, მზად არის აგოს პასუხი და კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯოს!.. ძალზე მუყაითი, ერთგული და დამჯერე მუშააო, დასძინა სიტყვიერად...

ნაშუადღევს ერთად დაბრუნდნენ ქარხანაში.

გაჰკიცხა, მილიციაში რა მიგარბენინებდა, — რევოლვერი კი არა, სანთებელა მეჭირა ხელში, შენ რა გულდედალი ბიჭი ყოფილხარო... მაინც ნუ გაახმაურებ ამ ამბავს, არც შენთვისაა საქებარი და არც ჩემთვისო. მერე გულიანად გაეცინა, როცა სანთებელა ამოიღო და ბიჭმა კვლავ სახეზე აიფარა ხელი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ორი სამარცხვინო შემთხვევის შემდეგ ფრთხილობდა და მართალია, შიში ისევ ჰქონდა გულში, მაგრამ ცდილობდა ამგვარ უაზრო ეჭვებს აღარ აჰყოლოდა...

თანაც უკვე თვეზე მეტი გავიდა, **იმას** არ შეუწუხებია და თანდათან დაიჯერა: ჩანს, მართლაც ავადმყოფობის ბრალი იყო, მე კი საბრალო გიჟიმყრელი ტყუილ-უბრალოდ ამოვიშავე!..

რაც შეეხება სანთებელას, რომელიც მაშინ ავკოფაშვილისაგან ითხოვა, ძლიერ მოსწონდა და ხელიდან აღარ იშორებდა; ხანდახან პატარა ეშმაკობაც საჭირო ყოფილა ცხოვრებაშიო, ფიქრობდა საკუთარი თავით კმაყოფილი!

* * *

მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სცდებოდა...

ნიღბოსანი, თურმე, ავადმყოფური გონების კოშმარი, რამე შეცდომა, ღმერთი ან სატანა კი არ ყოფილა, არამედ რეალური არსება!..

ნაშუაღამევს პირველ საათზე დარეკა...

მირიანი ორიოდე წუთით ადრე საშინელმა სიზმარმა გამოაღვიძა:

მღვრიე, ტალახისფერი ტალღები მიაქანებდა...

არ ახსოვს მდინარეში როდის ჩავარდა, ან რამ ჩააგდო...

ლოდებსა და კლდოვან ნაპირებს ახეთქებდა წყალი, თავ-პირიდან სისხლი სდიოდა. ყველაფერი, რასაც კი ხელს მოავლებდა, იმსხვრეოდა და ტყდებოდა, ხოლო დინება საცაა ჩაიტანდა ზღვაში, სადაც ხაფანგივით შემართულიყო ტალღის კედელი... ჰორიზონტზე ცას წურბელასავით მიჰკვროდა შავი ღრუბელი, რომელსაც მუცელში სისხლისფრად მოუჩანდა მზის დისკო... უცებ ნავი დაინახა ზღვაში, შესართავთან... ის გოგონა იჯდა შიგ... პალტო შემოფლეთოდა და სველი ძონძები უფარავდა ტანს, თავზე პეპელასავით მისჯდომოდა შავი ბაფთა... მირიანი შიშმა აიტანა, — ხალათი გაიხადა და ჩააცვა; მერე ნიჩბებს წამოავლო ხელი, ნაპირზე რომ გაეყვანა, მაგრამ სადღა იყო ნიჩბები — მარტო ტარებიღა დარჩენილიყო. ნავსაც არ ჰქონდა ფსკერი, წყლით ივსებოდა და იძირებოდა... წამოქცეული ტალღის კედელი კი საცაა გასრესდათ... მიშველეო, იყვირა გოგონამ და მკლავები ყელზე შემოაჭდო...

შხამიანი გველივით სისინებდა თავსასთუმალთან ტელეფონი; სიზმარი მაშინვე გადაავიწყდა... მხნეობა მოიკრიბა და ყურმილი აიღო: ადამიანი იქნებოდა, სხვა ვინ უნდა ყოფილიყო... შეეხვეწებოდა, მითხარი ვინა ხართ — რა გინდა ჩემგან, რას მერჩი და რას მოითხოვო... ყველაფერზე თანახმა ვარო, ეტყოდა, თვით სიკვდილზეც კი, მაგრამ მე ხომ უნდა ვიცოდე რატომ და რისთვისო...

— ალო!.. — ჩასძახა მიკროფონს, და როცა პასუხად მსუსხავი დუმილი „მოესმა“, სულ გაუქრა გამბედაობა. სხვა ვერაფრის თქმა ვეღარ მოახერხა, გარდა დაშაქრული „გისმენთ ბატონო...“

მაგრამ ამჯერად მოხდა სასწაული...

**იმან** ენა ამოიდგა, ალაპარაკდა!..

ალაპარაკდა ჩვეულებრივი ადამიანური ხმით:

— ჩანს, არ ყოფილხართ განწირული... როგორ გიკითხოთ, ბატონო მირიან?..

— გმადლობთ, პატივცემულო, კარგად!.. — მიაგება მყისვე, რათა დარწმუნებულიყო სინამდვილეა თუ არაო, რადგან ეს ხმა სულ არ ჰგავდა ხმას იმ კაც-ურჩხულისას, მავთულის მეორე ბოლოში რომ ეგულებოდა...

ეს იყო ხმა ყმაწვილი კაცისა — რბილი, ხავერდოვანი, დაფიქრებული და ოდნავ ნაღვლიანიც კი... წარმოუდგენელი გახლდათ ამ ხმის პატრონს ესოდენ დიდი ბოროტება ჰქონოდა გულში: არც დამცირება, არც დაშინება, არც მუქარა... პირიქით, — დარდი, წუხილი, რაღაც ფარული ნაღველი და თანაგრძნობაც კი გამოსჭვიოდა... არა, იმას არაფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით არ შეეძლო კაცის მოკვლა... განგებ ხომ არ იცვლიდა, ნეტავი, კილოს?.. ან იქნებ სხვას არეკინებდა, უარესად რომ აებნია გზა-კვალი?!.

— ეს თქვენ ბრძანდებოდით, პატივცემულო, ხანდახან თავს რომ მესხმოდით?.. — ჰკითხა მოკრძალებით.

— ჰო, მე ვიყავი... — მიუგო მან.

— ხუმრობდით, ალბათ, პატივცემულო... მე კი შიშისაგან ლამის სული გამძვრა... ასეა, როცა კაცმა საქმის ვითარება არ იცის!

— არა, არ ვხუმრობდი... — მოისმა პასუხად.

მირიანი კვლავ გათანგა შიშმა, მაგრამ ეს მაინც არ ჰგავდა ადრინდელს: განა შეიძლებოდა ამნაირი ხმის მქონე კაცისა შეეშინებოდა? როგორმე საუბარში უნდა შეეჭყოლიებინა — იქნებ, ამასობაში, ეცნო კიდეც, ანდა რამე წამოეცდენინებინა... ხმის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, ალალი, გულუბრყვილო და კეთილი ჩანდა!

— ალბათ რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, პატივცემულო!..

— არა... გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია! — მიუგო მან.

— რატან ეგრეა, — უთხრა მირიანმა იმ კაცის ხმით, რომელმაც დიდი ჭირი და განსაცდელი უვნებლად გადაიტანა. — ეტყობა, მართლაც არ იყო იოლად განწირული!

— იმ დრომდე რაც იყო — იყო... დღეიდან კი ყველაფერი თავისზეა დამოკიდებული!

სიხარულისაგან გააყრუოლა: თითქოს მოლაპარაკების სურვილს გამოთქვამდა უცნობი!..

— სიამოვნებით, პატივცემულო, — უთხრა საქმიანად. — ოღონდაც ბრძანდებით... თქვენი ხმალი და ჩემი კისერი!

— ხმალი არა — ცეცხლი... ჩაილაპარაკა იმან.

— ვიცი, დანაზეც არ ბრძანდებით, მწყრალად, პატივცემულო, თუმცა ტყვია უფრო გემარჯვებათ... აი, რაც შეეხება მიზანში სროლას... — ენაზე იკბინა, რა სისულელე წამოვროშეო: ამას კიდევ გაღიზიანება უნდოდა?!. ვითომ იხუმრა, მაგრამ რა დროს ხუმრობა იყო, ყველა სიტყვას უნდა დაკვირვებოდა და გონებაში აეწონ-დაეწონა!..

— გაინტერესებთ, ალბათ ვინა ვარ... — უთხრა მან.

ტანზე ეკლები დააყარა და თმაც წამოეშალა...

— მაინტერესებს კი არა და გადარევას ვარ კაცი, პატივცემულო!..

— ეგრე ნუ მელაპარაკებით, — უთხრა უცნობმა. — რომელი „პატივცემულო" მე მნახეთ, ჯერ არ დამიმსახურებია... მეტადრე თქვენთან!..

— რა ვუყოთ მერე... ცხოვრებაში ყველაფერი ხდება!.. მთავარია დღეიდან გავუგოთ ერთმანეთს... ხანდახან უკეთესიც კია, ჩხუბით რომ იწყება გაცნობა, — მერე განუყრელი მეგობრები ხდებიან!.. როგორც მოგეწონებათ და გეამებათ, ისე მოგმართავთ, ბატონო... სული კბილით მიჭირავს... ძალიან მაინტერესებს რას მერჩოდით, იმიტომ რომ... — უნდოდა ეთქვა, სიკეთის მეტი ამ ქვეყნად არაფერი მიკეთებიათ (ჩია ბერიკაცისაგან ისწავლა ეს გამოთქმა), მაგრამ ვერ გაბედა — იფიქრა, ვაი თუ ამას შენი სიკეთე ფეხებზე ჰკიდია და უარესად გაბრაზდესო. — ვერაფრით ვერ მივმხვდარვარ, ბატონო, ვინ ბრძანდებით... არადა, თითქოს ნაცნობი ხმა გაქვთ...

— არ ცდებით, ბატონო მირიან... ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს!

— საიდან... როგორ?..

— წარმოდგენილი მაქვს, როგორ შეგაცბუნებთ და განგაცვიფრებთ კიდევაც ჩემი დანახვა...

— რასა ბრძანებთ, ბატონო... ოღონდაც მაგ ბედნიერ დღეს ვეღირსებოდე და!..

— შევხვდეთ ხვალ ერთმანეთს, — უთხრა უცნობმა. — თუ გნებავთ თვითონვე შეარჩიეთ შეხვედრის დრო და ადგილი...

სიხარულისაგან გული აუძგერდა: საპყრობილეზე გამოსვლასა და მოლაპარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კებას სთავაზობდნენ, — ეს ხომ უკვე გადარჩენას ნიშნავდა!.. დიდ საიდუმლოს აეხდებოდა ხვალ ფარდა, მაგრამ ვიდრე პასუხს გასცემდა, მაინც შეყოყმანდა და ჩაფიქრდა: ხომ არ იმალებოდა აქ რაიმე ცბიერება, — რამე მახეს ხომ არ უგებდა ნილბოსანი?..

მისი ალესილი გონების ბორბალი სწრაფად ბრუნავდა და ელექტროგამომთვლელი მანქანის სისწრაფით ანგარიშობდა სხვადასხვა ვარიანტებს... რა განზრახვა უნდა ჰქონოდა, გარდა ამ საქმის მშვიდობიანად მოგვარების სურვილისა?.. აკი თვითონვე მოიწადინა შეხვედრა და არჩევანიც დაუთმო, ეჭვი რომ არ შეჰპარვოდა მის გულწრფელობაში!.. ჩანს, რაღაც შეიცვალა, რაღაც მოხდა — უკეთესობისკენაა საქმე... არადა ამ ბიჭს (ბიჭის ხმა ჰქონდა!) ხომ შეეძლო ისევე მალულად განეგრძო დევნა, ვიდრე საწადელს მიაღწევდა... შერჩებოდა კიდეც ხახვივით: ვინლა იქნებოდა მერე მისი მძებნელი და მპოვნელი; ზერელედ მოკვლეულ მასალებს გაუხსნელ საქმეთა კართოტეკაში მიუჩენდნენ სამუდამოდ ბინას, — ვინ გამოიდებდა თავს და ვინ მოინაღვლებდა უპატრონო მკვდარს!.. ხოლო თუ ავი განზრახვით იბარებდა, მაშინ თვითონაც სასწორზე დებდა თავს, რადგან, ჯერ ერთი, მომზადებული წავიდოდა, და თან ისეთ ადგილზე დაუნიშნავდა პაემანს, სადაც ბლომად იქნებოდა ხალხი, მათი შემხედვარე და დამნახველი!..

— ჩანს, არ მენდობით, ბატონო მირიან... — შეახსენა თავი უცნობმა. — მესმის... ეს ბუნებრივია, მაგრამ გონიერი კაცი ბრძანდებით და იმედია ჩახვდებით, რომ აქ არავითარი ცბიერება არ იმალება. გაძლევთ პატიოსან სიტყვას!

— გასაგებია, პატივცემულო... მთლად შტერი კი არა ვარ... — თავის დამცირებასაც არ მოერიდა რომ ესიამოვნებინა. — თუ გნებავთ ადგილიც თვითონვე შეარჩიეთ... ჩემთვის სულერთია!

— დიდად გამახარეთ, პატიოსან სიტყვას რომ ენდეთ... შევხვდეთ ხვალ, საღამოს ექვს საათზე, კიროვის პარკში, ვერაზე... პავილიონისაკენ მიმავალ ხეივანში ოთხსაფეხურიანი ქვის კიბეა; მარცხენა მხარეს დავჯდები სკამზე... თუ ადრე მიხვალთ, დამელოდეთ... ფიქრი ნურაფრისა გექნებათ: ამ დროს იქ უამრავი ხალხი ირევა, მით უფრო ახლა გაზაფხულია; მილიციელებიც იქვე ტრიალებენ... იარაღს ნუ ჩაიდებთ ჯიბეში, არ არის საჭირო, — მეც უიარაღოდ ვიქნები!

— ერთი სული მაქვს, ბატონო, თქვენთან შეხვედრამდე... დარწმუნებული ვარ გამოვძებნით საერთო ენას — წყნარად და მშვიდად მოვილაპარაკებთ!..

— მე კი, სიმართლე გითხრათ, ვღელავ... მერიდება... იმედია გაუგებრობას არ ექნება ადგილი და მილიციას არ დამაყენებთ თავზე!

— რასა ბრძანებთ, პატივცემულო... ჩანს, თქვენ მირიან დევიძეს მარტო ხმიზნე მანძილიდან იცნობთ!

— არა, — გაცილებით უფრო ახლოდან... — ჩაიცინა ბიჭმა. ახალგზრდა კაცის ხმა ჰქონდა, არაუმეტეს ოცი-ოცდაერთი წლისა. — პატარა სათხოვარი მაქვს, იოლად გადავწყვეტთ... დანარჩენზე ხვალ ვისაუბროთ უფრო დაწვრილებით... ძილი ნებისა, ბატონო მირიან!

— თქვენც ასევე, პატივცემულო!..

— ხომ გთხოვეთ, პატივცემულოს ნუ მეძახით-მეთქი...

— მაპატიეთ, მეტად აღარ ვიზამ... — თავი მოიქაჩლა მირიანმა. მაშ ასე: ხვალ, საღამოს ექვს საათზე, კიროვის პარკში... ოთხსაფეხურიან ქვის კიბესთან...

— დიახ, დიახ... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა უცნობმა. — დადგა დრო პირისპირ შეყრისა!..

ზუმერის ხმა გაისმა და მირიანმაც კმაყოფილი სახით დადო ყურმილი, თუმცა ბოლო სიტყვები საშინლად არ მოეწონა.

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რევაზ დანელია**

## სხივის ტაძარი

თბილი თითებით დამინამე, ჩემო, ბალახი,
ჩემო, ბალახი დამინამე თითებით თბილით
და ამივერცხლე გევედრები ლამაზი დილა,
დილა და ზეცა, ზეცა მაღალი!

ო, ღმერთო ჩემო, მასმენინე გალობა სხივის,
დამაწყალობე გაზაფხულის პირველი ღიმით,
პირველი ღიმით გაზაფხულის პირველი დილის...
სხივის ტაძარში მალოცვინე გაზაფხულისა
ჩემი მამული —
ჩემი ცოტნე
და კახაბერი
და ტაძარს ამას ნუ დამინგრევ, ნურც დამიბერებ,
თუნდაც სხივის შრიალა ფიქრით,
ო, გევედრები, გევედრები სქანსანთელო!

თბილი თითებით დამინამე, ჩემო, ბალახი...

ჩამომიღვარე მკერდზე ზეცა სანათლოისფრად.
აგვისტოს ცეცხლი უკიდია და ეწვის ტანი...
ო, ღმერთო ჩემო, დამიწყევლე ეშმა ტიალი
და სხივი ჩემი ისევ წალმა შეატრიალე!

## ჭ ი ა მ ა ი ა

მინდვრიდან ისევ მინდორს ველი
განათებულს ჭრელი სიზმრებით.

...ერთხელ,
მახსოვს,
ბაბუმ ხელისგულზე,
თუთუნისფერ ხელისგულზე
დაისვა ჭიამაია
და თავისთვის ჩაიჩურჩულა:
— აფრინდე უნდა დილიდანვე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მგონია, თუ მახსოვს რამე
იმ დღეებიდან,
ეს მახსოვს მხოლოდ.

. . . . . . . . . .

ჭიამაია,
მოხატული ჭიამაია,
ხელისგულზე უნდა დაისვათ,
თბილი სიზმრებით და მინდვრებით
მოხატული ჭიამაია!

## ნისლის ქარავანი

თბილია ცაი ქალის მკერდივით.
ნისლის ქარავანს,
რძისფერ ქარავანს
ცხრა მთის იქითკენ
მივერეკები,
თ, იქაც უნდა მოვხატო ზეცა
რძისფერი ნისლით!

ყაყაჩოებით გულდაწინწკლულო ყანის სინათლევ,
მე უხათუოდ უნდა მოვბრუნდე
და შენი ზეცის,
სინათლის ზეცის
ნათელ შუბლზე
უნდა ავბოლდე!

ნისლის ქარავანს,
რძისფერ ქარავანს
ცის მოსახატად მივერეკები.

## აპრილის გალობა

შემოიხედე ჩემს ეზოში, შემოიხედე,
ჩემს ეზოში აპრილი გალობს
ნინოს თვალებით,
მწვანე სინათლით,
მოშრიალე მწვანე სინათლით
ტანი დაფერილი აქვს.

შემოიხედე ჩემს ეზოში,
შემოიხედე

და მერმე, მერმე
გაგაყოლებ მეგზურად ნინოს,
ვერც ვერაფერზე
გაგიღიმებს
ჯერაც რომელიც...

შემოიხედე ჩემს ეზოში,
ჩემს ეზოში აპრილი გალობს,
აპრილი გალობს კახაბერისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ვაშლის ხეს
მოიისფროდ გაღიმებულს
ყელი ისე მოღერილი აქვს,
გეგონება
გაუყვება
ცის ცისფერ ბილიკს.

ამაღამ მწვანე წვიმები
ორღობეებს
შეუყეფებენ...
უთენიისას კი ჩემი ბიჭები
გააგორებენ ყანწივით მთვარეს,
გაგვაგონებენ პეპლების სუნთქვას,
მოგვირთავენ ცას პეპლებივით.

ვაშლის ხეს
მოიისფროდ გაღიმებულს,
ყელი შენებრ მოღერილი აქვს.

## ႺႤႺႾႪႨ

ვუძღვნი ყველა მათ, ვინც მშვენიერი ფილმ
„ნატვრის ხე“ შექმნა.

ბროწეულის ბრიალა ცეცხლი,
ბროწეულის ჩუმი ხინათლე,
ამ ცაზე უკვე გადმოფენილა,
გადმოფენილა ამ ცაზე, ცაზე!

...ჩუმი ჩრდილი, ჩრდილი ქანაობს
და სწუხს მარიტას სისხლივით ნათელს,
და ყაყაჩოთა ცრემლის ღვართქაფს.

...მოწვეთავს სითბო ამ ზეციდან,
მოწვეთავს ჩუმად, —
ფერს იბრუნებს წყნარი მდინარე,
ფერს იბრუნებს,
იკრებს ძალას,
რომ წალეკოს სასახლე ძველი,
რომ შეაღოს კარი საყდრისა,
რომ შეაღოს კარი ციხისა
და განდევნოს მყრალი ჰაერი.

ბროწეულის ბრიალა ცეცხლი,
ბროწეულის ბრიალა ცეცხლი
ამ ცაზე უკვე გადმოფენილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბროლის ყელი

შენი ღიმილის,
თბილი ღიმილის
სხივებზე ცვარის,
ცვარის მძივი,
ო, აასხი, ჩემო სინათლევ,
ო, აასხი
და გადაჰკიდე მიწას მხარზე,
ჩემო სინათლევ!

გამითენე შუბლი ღიმილით,
მკერდზე სიყვარულის წყარო მაშხეფე,
ცა მაშხეფე მკერდზე, სინათლევ!

მიგალობე ოქროსფერი ჩემი გუგული,
მიგალობე ჩემი ყანის მწვანე სინათლე —
გაწოლილი ნოდელასპირას.

მოდი, აასხი
მაგ ღიმილის სხივებზე მძივი,
ცვარის მძივი,
მოდი აასხი, ჩემო სინათლევ,
და ამ ცას ბროლის ყელზე დაჰკიდე!

* * *

შეკაზმა ცხენი გიჟმა საწუთრომ?
ეს ცხენი ზურგზე ყველას დაგვიტევს!
ზოგს ერთი ნაბიჯის მერმე დაგვტოვებს,
ზოგს ორი ნაბიჯის, ზოგს სამის მერმე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა ქინქლაძე

## ქორწილი

იწყება ახალი კარნავალი
და ძველი ზღაპარი კვდება,
დღეს ჩემი ბავშვობის დედოფალი
სხვისი დედოფალი ხდება.
ნეტავ რა მამღერებს ახლა ცაო? —
თრობას უდარდელად ველი,
ნუთუ ოცნებების სასაფლაოდ
იქცნენ ლაჟვარდები ძველი?

ნუთუ ღრუბლებს შერჩათ ჩემი ფლოტი
ცისკენ განაცური გზნებით?
ნუთუ ამდენი ხნის დონ კიხოტი
უკვე სანჩო პანსა ვხდები?
არა, ნუ ინაღვლებთ ლამაზებო,
თქვენ თუ შემოქმედის ნებით
უნდა სხვის ცოლებად იარსებოთ,
ჩემთვის დედოფლები რჩებით.

## ნატვრა

ღმერთო, მომკალი წვიმაში და ბავშვობაზე ფიქრებით,
ოღონდ დახატე ის წვიმა ძველი ფერადი ფანქრებით,
აგურგურებულ ბუხარზე ჯერ მიმიფიცხე ხელები,
მერე დამიცხვე ნაცარა კვერები მთვარისხელები.
შებუდრებული ზღაპრებში როგორც წიწილა ბუმბულში
მომკალი კერიისპირას ფანჩატურების ბუბუნში,
მომკალი პალიასტომზე, შავ ზღვაზე, კაპარჭინაში,
ზღვის პირას თვალებციმციმა თეთრი შუქურას ჭიატში.
ბედკურთხეული ვყოფილვარ თუ ვინმე გამიმეორებს
აკალმახებულ ჩანჩქერებს და ამაჭრებულ მორევებს,
მივარვარებდა ოცნება, როგორც წალამი მაყალზე,
ღმერთო, მომკალი ნამივით ამძივებული მაყვალზე;
ის ჩემი პირველი ზავთი, ჩხუბი და გაამაყება,
იმდროინდელი უჟმური ნუთუ ბოლომდე გამყვება?
დაწყებულიყო სიცოცხლე სიბერით, — ლაღად ივლიდა,
განა არ სჯობდა ბავშვურად მიახლოება სიკვდილთან?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მწვერვალზე

აუფაფრიათ ჩანჩქერები და
ფლეთენ კლდეები ღრუბელთა ჯოგებს,
აზვავებულა ეს გულიც ისე
ყველა მყინვარ-ქედს წამოაჩოქებს.

მწვერვალზე ვდგავარ და გათოშილი
ჩაწობილი მაქვს მზეში თითები,
ღირდა ეს ჯაფა, ფერხთით მიყრია
კავკასიონის მარგალიტები.

## მამალი

რომელმა ქარმა ახვეტა ჩემი კერიის ნაცარი?!
ჩემი ჩამქრალი ბუხრები აქეთკენ რატომ დაძარი?
იქნებ, სიზმრების ძახილით დღეს ზეცა გადაიხიდე
და ჩემსკენ გადმოაქროლე ღელე, ტყეები, ქალები?
არა, ბაზარში გიყიდეს...
ჰო, ეს ღამეც და ახალ წელს შემოყვებიან ფიფქები,
იქ შენს გალიას ისევე თავზე ადგანან იფნები,
ისევ იცრება რტოებში განთიადის მზე ცვრიანი,
...და შენც გლოვით და ალმურით გაჰყივი გლოვისხმიანი.
იყივლე! დაე, ყივილმა ქალაქი არ დაასვენოს,
და შუაღამე დაცხრილოს, და ვარსკვლავები დასეროს,
იყივლე არდავიწყებავ და იავნანის დაშრობავ!
უკანასკნელად, ამაყად იყივლე ჩემო ბავშვობავ!

## ზვიგენი და ეჰანი

ბულა კამეჩის სიგანის,
შუბისკბილებით სავსე
გემბანზე გდია ზვიგენი
და სისხლით ბადეს ავსებს.
თავად ვეშაპთა მფლეთავი
და ოკეანის რისხვა,
ახლა ძლივსაღა მფეთქავი
დატოვა ძონამ მისმა.
მუცელზე ეკრა გაჩენით
და დაყვებოდა მაყრად,
ეჰანი მისი ნარჩენით
ყოველთვის იყო მაძღრად.

რამდენი ნახა წამება
ამ ციცქნა თევზის დინგით,
ახლა დათვლილმა წამებმა
ჩამოაცილეს იგი.
მკერდზე კი დარჩა წყლულები
სისხლისმწოველის შმორით...
იცოდეთ ღირსეულებო
ადამიანთა შორის:
რაც გინდა იყოს სიგანის
და ქედუხრელი ზღვასთან,
როდესაც კვდება ზვიგენი,
ეჰანი მიდის სხვასთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ომი

— ნუ მომკლავთ, ძია!!! მე თქვენ გიმღერებთ...
ტყვიის ცრემლებით ავტომატი ატირდა მაშინ.
...შეშლილი დედა
ახავლებულ ყელს მოიღერებს
და ახლაც მღერის
რასაც იმ დღეს მღეროდა
ბავშვი.

## მთამსვლელთა ბანაკში

კოდალასავით კენკავს
წვიმა კარვებზე სიჩუმეს,
თეთრ ვარსკვლავების კანკელს
შორი ცარგვალი იჩემებს.
კვამლი კარდალას კოცნის,
კვლავ იცრიცება ცრიატი,
უსმენს გიტარას მოცლილს
ხევში მდგარი წყვდიადი.
მერე ჩაქრება ცეცხლი,
ძილში ჩაყვინთავს ბანაკი,
როცა დაწყდება რწევით
ფოთლებზე წვიმის ჰამაკი,
როცა ნიავი უქრით
და ღამეს სვამენ წიფლები,
ჩუმად, ზიარი ქურქით
ტყისკენ მიდიან წყვილები.

ხამიდ გულიამი

# ორი ბალადა

## 1.

## უდაბნოს ვაშლები

ცხრაას სამოცდაცამეტი წელი,
საჩვენებელი გამოდგა ცერით.
იმ წელს რომ ვაშლი მოვიდა,
მართლაც,
იმ წელს რომ ვაშლი მოვიდა,
არ მახსოვს თითქმის ყრმობის დროიდან.
ვაშლი წითელი, ვაშლი ყვითელი,
ვაშლი მოგრძო და ვაშლი მომრგვალო,
მათმა ჩამოთვლამ რომ არ მოგვღალოს,
ვიტყვი უბრალოდ, ვიტყვი უბრალოდ:
ის მოსავალი იყო უბადლო,
ამას მეტყველებს თვითონ უდაბნოც,
სად
საქსაულიც ძლივსა ხარობდა,
არა გვწყალობდა ღმერთის წყალობა,
არ გვახლდა მცირე ფერიცვალობაც.
ვიგონებ
ცხრაას ორმოცდაერთსაც,
ტახტი რომ ეპყრა
ტყვიას და ცეცხლსა;
ვიგონებ არა დიდი მოსავლით
მონა-მორჩილი თქვენი მგოსანი.
ვიგონებ მხოლოდ იმა სურვილით,
რომლის ძლიერი გვკლავდა წყურვილიც:
სულ რამდენიმე გვედგა ვაშლის ხე,
შემწიფდებოდა? ვკრეფდით მაშინვე...
ჩვენთვის საჭმელად ვერ ვიმეტებდით,
ვცოცხლობდით ქვეყნად სხვა იმედებით.
თუ არა გჯერათ, ჰკითხეთ ალსაკალს,
თავს კარგადა გრძნობს იგი ახლაცა...
ჰკითხეთ ალსაკალს, ჰკითხეთ ალსაკალს,
ფერით რომ უგავს წვერი სარსარაკს,
როგორ გავგზავნეთ ფრონტზე საწყალი
ვაშლის ნობათით, ვაშლის საგზალით...
ბევრი ბაქანი, ბევრი ვაგზალი,
ბოლოს — მოხუცი ყინვით დამზრალი...
ყინვას
შიმშილიც დაერთო ზედა,
როგორღა ევლო მას ალალბედად.
შერჩა შუა გზას, დახსნა ყუთები,
შეფუთნულიც და შეუფუთვნელიც.
შემდეგ დაჭრილთა უხმო ეშელონს, —
იქნებ ვაშლითო რამე ეშველოს...
ეშველა კიდეც, დაიძრა იგი,
ახლა ბალღების ჩამოდგა რიგი.
საწყალ ალსაკალს იმათი ცქერით
მიმქრალ თვალებზე მოადგა ცრემლი...
დანაყრდა ყველა, დიდიც, პატარაც;
წავიდნენ?
გულიც თან გაატანა.
მშიერი თვითონ დარჩა ისევე;
ამას ალსაკალ ახლაც იხსენებს, —
და გონებაში ითვლის და ითვლის,
რამდენი ვაშლი დარგო მის მერე...
ცხრაას სამოცდაცამეტი წელი
საჩვენებელი გამოდგა ცერით.
მართლაც,
იმ წელს რომ ვაშლი მოვიდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ მახსოვს თითქმის ყრმობის დროიდან.
უხვი მოსავლის ამ დიდ ალსავალს
სულის ჩამდგმელად ედგა ალსაკალ.
ედგა და
დღესაც არ იტეხს იმედს,
კიდევ შეჰყურებს მომავლის კიბეს...

კიდევაც უნდა —
უდაბურ მიწებს
დიდი სიცოცხლის უნარი მისცეს,
რომ ვაშლის, ვაშლის ბრიალა ბაღებს
თვით ვარსკვლავების
დააკვდეს ბაგეც!..

2.

## მწვანე პლანეტა და მისი ერთი წელიწადი

კიდევ ერთი, ერთი წელი
მოიმატა პლანეტამა
მშობელთმშობლის დასანახად
გამოვდივარ გარეთა და
თითქოს ასაკს შევამჩნევდე,
ვაკვირდები ნამეტნავად,
თან მომღერლებს ვეხვეწები,
თარს ჩამოჰკრან,
რამე თქვან და
რამაზანის დღე ნათელი
სულ ქეიფში დავალამო,
ნება არ მაქვს,
მაგრამ რა ვქნა,
გული როგორ გავალაღო,
მშობელთმშობლის სიყვარული
რად გამიხდეს სავალალოდ,
გულიც ამას მეუბნება:
— გამახარე, სანამ ვარო!..
აჰა ღამეც, მთვარიანი,
თვალებმოხამხამე,
ლაილათულ — რამაზანის
ღვთაებრივი ღამე,
რასაც გულში ჩაიფიქრებ,
რომ აგიხდეს ნატვრად;
მე კი, მასთან დამნაშავემ,
აღარ ვიცი, რა ვქნა...
თუმცა როდის ახდენილა
დაპირება მისი,
ბევრს ახდენის მოლოდინში
ჩაჰქცევია სისხლი.
მე ხომ სისხლი, ჩემი სისხლი
ისევ მიჩქეფს ძარღვში,
ლაილათულს
თუ გადვუდექ,
რა მალონებს მაშინ?!
სისხლზე მეტი სანატრელი
სხვა რა უნდა იყოს,
დანარჩენი ყოველივე
მხოლოდ შრომას ითხოვს.
წელიწადის სისწრაფე და
სივერაგე მისი
სულ არ უნდა გაშინებდეს
წარმავლობის რისხვით...
კაცი უნდა კაცი იყო,
არ უფრთხოდე გარჯას;
დიდ სამშობლოს ბურჯად ედგე,
უკოცნიდე აბჯარს.
სხვისი ჭირი ღობის ჩხირად
არ მიგაჩნდეს შენაც,
გასაჭირში ჩავარდნილთა
შეგძლებოდეს შველა...
კაცი უნდა
კაცი იყო,
არ გითრთოდეს მაჯა,
წარბს უკრავდე ვიეტნამზე
ამოღებულ ხანჯალს...
რამაზანის ღამე არი,
მთვარიანი ღამე,
ვარსკვლავებით მოკენჭილი,
თვალებმოხამხამე.
ნება არ მაქვს,
მაგრამ ჭიქას
ვილევ ღვინით სავსეს,
სიტყვას ვამბობ სიცოცხლეზე,
ვსვამ და სხვასაც ვასმევ...
ვასმევ, მწვანე პლანეტასაც
არ ვუკარგავთ წადილს,
მის დიდ ასაკს რომ წაება
ერთი წელიწადიც...

თარგმანი შალვა ამისულაშვილისა

# ირაკლი აბაშიძე 70

×

× ×

იდგა გელათი, იდგა ურბნისი,
იდგა ყინწვისი, იდგა ბოლნისი...
მე კი:
— მოძველდა წლის ფურცლებით,
მე კი:
— მოძველდა წლის სიმბოლოებით.

იდგა ვარძია, იდგა ხერთვისი,
იდგა ბედია, იდგა დმანისი...
მე კი:
— მოძველდა წლის ქრონიკებით,
მე კი:
— მოძველდა წლის ურბნისებით.

გზა, გზა უახლესს,
მხოლოდ უახლოესს,
გზა, გზა უძველესს,
მხოლოდ უძველესს...
შენ გასწავლეს,
შენ მოაწყეს,
შენ გაამართლეს,
შენ უარყვეს,

ნაირ-ნაირი, ფერად-ფერადი
იყო,
არ არის,
იყო,
არ იქნა...
და დგას ურბნისი, და დგას გელათი,
და დგას ბოლნისი და დგას დმანისი.

1979
VIII

ირაკლი აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მზეგრძელი იყავ!

ბარე ორს გაუქირდება საკადრისი სიტყვით მოგმართოს შენ, ერის საყვარელ კაცსა და მოამაგეს, შენ, ვინც ტაძარივით მაღალი და ნათელი ხარ და მწვერვალივით ჩანხარ ყოველი მხრიდან, რამეთუ საქართველო გიმზერს და გიხმენს, ვით თავის შვილსა და პოეტს.

მძლავრი და ღონიერი ფესვი გაქვს, ბევრ ქარბორბალას გაუძელი და, თუ ქვეყანას დასჭირდება, კიდევ ბევრს ქარბუქს შეაგებებ შენს ნათელსა და შორსმჭვრეტელ შუბლს.

გულზე აწერია საქართველოს შენი სტრიქონი.

მე რა გითხრა. დღეს სრულიად საქართველო ზეიმობს შენს დაბადებას.

მე ამაყი და ბედნიერი ვარ შენით.

მზეგრძელი იყავი, ბატონო ირაკლი!

შენს ახლოს ყოფნა ნუ მომიშალოს ღმერთმა!

რეზო ამაშუკელი

## იცოცხლე, მრავალჟამიერ!

თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწვავდა
უტკბილეს დღეთა, უტკბილეს წამთა
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო!

ჩემს სიცოცხლეში ცოტა, ძალიან ცოტა ლექსი წამიკითხავს საჯაროდ. ჩემთვის ლექსის თქმა იგივეა, რაც როლის თამაში. ლექსი უნდა განვიცადო, ლექსი უნდა მაღელვებდეს, ლექსი უნდა მიტაცებდეს. აი, ასე გამიტაცა, ამაღელვა შენმა „ხმამ კატამონთან“. დიდი პოეტი ხარ, ჩემო ირაკლი, ბევრი შესანიშნავი ლექსი შექმენი, მაგრამ ეს უკანასკნელი, რუსთაველს რომ მიუძღვენი, „პალესტინა, პალესტინა“ — ჩემთვის არის უსაყვარლესი. შენს პოეტურ სიტყვაში — შორეულია ეს თუ ახლობელი, პირადია თუ საზოგადოებრივი — მჭიდრო კავშირში არიან გრძნობები და ფიქრები, განუყოფელნი არიან, უაღრესად ადამიანური, ხალხური, ყველასათვის მისაწვდომი, თანაც ამაღლებული და დრამატული — აი ეს მხიბლავს მე!

შენს გარეშე შეუძლებელია წარმოიდგინო თანამედროვე მშობლიური პოეზია. ვლაპარაკობ შენზე და უნებლიეთ წარსული მაგონდება — ახალგაზრდობა, ძვირფას ადამიანთა სახეები, დრო, როცა გული მთელი ძალით ისრუტავდა ყოველ სიახლეს, რომელსაც უხვად გვაწვდიდა ყოველი დღე!

ხომ გახსოვს, ირაკლი, დღეებიც ხომ გაჩირაღდნებული გვეჩვენებოდა, ყველაფერს თითქოს ნათელი ედგა.

არ დამავიწყდება ერთი ახალწლის ღამე —

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრში ვითამაშეთ „მარგარიტა გოტიე“. წარმოდგენის შემდეგ პიერ კობახიძემ აიჩემა, წავიდეთ, ვესტუმროთ ვისმეო; ოთხნი ვიყავით. გავყევით თბილისის ქუჩებს, და რა სახლიც მოგვეწონებოდა, შევდიოდით, ყველგან სუფრა იყო გაშლილი, ყველას უხაროდა ჩვენი სტუმრობა. დიდხანს არ ვჩერდებოდით, ავაფორიაქებდით იქაურობას და გავუდგებოდით გზას. ერთ-ერთი სახლის ფანჯრებიდან მოგვესმა შესანიშნავი მრავალჟამიერი — შევალეთ კარები და სუფრას თამადობდი შენ. თუ გახსოვს, ირაკლი, ის ღამე... შენ არ დაგვშორდი. ზოგი სტუმარიც შეუერთდა ჩვენს ჯგუფს, და ახე დილამდე ვზეტიალობდით, კიდევ რამდენიმე ქართულ ოჯახს ვესტუმრეთ და დილამდე შენი ლექსის თქმა არ წყდებოდა! მას აქეთ დიდი ხანი გავიდა, შენ გახდი საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი, ერთ-ერთი გამოჩენილი ქართველი, ცნობილი მთელს საბჭოეთში, შენით ამაყობენ ქართველნი, მაგრამ ჩემთვის კი ისევ ისეთი მშფოთვარე პოეტი დარჩი!

ამას წინათ შენ მომილოცე დაჯილდოება. და იმდენი კეთილი სიტყვა წარმოთქვი, რომ, წარმოიდგინე, შენი ჩახლეჩილი ხმა არავის უშლიდა აღქმისათვის. ახლა მე მინდა მოგილოცო ჩემი უკვე ჩამქრალი ხმით, მაგრამ წრფელი გრძნობით მაღალი წოდება, რომელიც შენ კიდევ უფრო დაგამშვენებს!

იცოცხლე, მრავალჟამიერ, ძვირფასო ირაკლი!

ვერიკო ანჯაფარიძე

## მისი სტიქია — ახალგაზრდობაა

სიტყვა „მოღვაწე“ ჩვენში ისე გაიაფდა, ზოგჯერ გეუხერხულება კიდეც მისი წარმოთქმა სერიოზული პიროვნების მისამართით.

თუ ეს კაცი „მოღვაწეა“, მაშინ იმ მეორეზე რაღა ითქმის, რომელსაც ზოგჯერ ერთ კვირაში გაუკეთებია იმდენი, რისთვისაც პირველს (ჩვენს მიერ „მოღვაწედ“ წოდებულს) ორი სიცოცხლე არ ეყოფოდა?

მე პირადად დიდხანს ვიარსებე ისე, რომ წარმოდგენა არ მქონდა (ან ძალზე ბუნდოვნად ვხვდებოდი) რას ნიშნავს, ჩვენს დროში, ჩვენს პირობებში „მოღვაწეობა“. როცა ილიაზე ან გოგებაშვილზე ამბობდნენ ამას, ყველაფერი ნათელი იყო. თანამედროვეებზე კი, მართალი გითხრათ, გაუგებარი.

ახლა, მგონი, ზოგი რამ მაინც მესმის ამ სიტყვის თანამედროვე შინაარსისა და მეტად ვაფასებ, კერძოდ, ირაკლი აბაშიძის ღვაწლს.

ძალიან მშვიდი სიტყვა ვიხმარე. „ვაფასებ“ კი არა, ნამდვილად მანცვიფრებს და აღტაცების გრძნობას მგვრის.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენს საუკუნეში, პაოლო იაშვილის შემდეგ, ქართულ მწერლობას არ ჰყოლია სხვა ასეთი ავთანდილისებური იერის პიროვნება — ასეთი „თამაშით და მღერით“ ამხელა ტვირთთა მზიდველი! სამწუხაროდ, პირველს ბევრი არ დასცალდა და მეორემ თითქოს ბევრი რამ თავისი მშვენიერი წინამორბედის მაგივრადაც მოიმოქმედა.

ირაკლი აბაშიძე ჩემთვის ყოველთვის სიცოცხლის განსახიერება იყო, უფრო ზუსტად, სიცოცხლის დიდოსტატი, „ბინდისფერი სოფლიდან“, ცხოვრების ყოველდღიური უღიმღამობიდან მშვენიერებისა და სიამის ფერადოვანი წვეთების გამოწურვის უბადლო მცოდნე და ვირტუოზი. ეს უთუოდ ეროვნული თვისებაა მისი ხასიათისა.

პოეტის ახალ ლექსებში („კომუნისტი“ 1979 წ. 14 ოქტ.) არის რამდენიმე სტრიქონი, რომლებიც უთუოდ შეაშფოთებს ქართველ მკითხველს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მისი სიცოცხლე და შემოქმედება,

ჩამოისვენე,
შენ ხარ დაღლილი.

ასეთი ინტონაცია ბოლო დროს რამდენჯერმე შეეპარა მის ლექსს.

არამც და არამც! ვინ დაიჯერებს?!

მასზე მთელი თაობით უმცროს თანამოკალმეებისათვისაც კი ირაკლი აბაშიძე დღემდე სიცოცხლის ყველაზე ცხოველი, ყველაზე სიცოცხლისმიერი ხანის — ახალგაზრდობის ცოცხალი განსახიერებაა, არა აბსტრაქტული, სავსებით კონკრეტული, ხილული, ხელშესახები.

ჩამოისვენე,
შენ ხარ დაღლილი...

ესეც მომხიბლავად არის ნათქვამი, კდემით, ამაღლებულად. და მაინც: „დაღლილობა“ მისი ამპლუა არ არის, არც „შაღარა“, არც „დავჩაჩანაკდი“ და სხვა ამგვარნი.

მის სტრიქონს და თვალებს სიჭაბუკის ალმური ჯერ არ მოკლებია. ასეთი პოეტები, ასე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი პიროვნებები ღრმა სიბერეშიც დაზღვეულნი არიან მოხუცებულობის სენისაგან, ვინაიდან მათი სტიქია ახალგაზრდობაა, სილაღეა, სიკისკასეა, ვინაიდან ჩვენ ასე შევეჩვიეთ მათ ხილვას, მათ წარმოდგენას, მათთან ახალ შეხვედრათა მოლოდინს, ვინაიდან, რაც უფრო ბევრია განვლილი და გასრულებული, მით უფრო მეტის სურვილს აღძრავს, ვინაიდან, როგორც თვითონაც გვიდასტურებს:

არ მოგწყენია
ჯერ მზის ალმური
შენი თბილისის,
შენი თაბორის;
არ წამოჭრილხარ ჯერ სიხარულით
იმ შედარების, იმ მეტაფორის!

არც ისე ბევრი გვყავს, ძვირფასო ბატონო ირაკლი, თქვენნაირი ახალგაზრდა ტოლებსა და მიმდევართა შორის, არც ვინმეს გამოუჩენია თავი სახვალიოდ თქვენებური ცეცხლის დამნთებად, რომ ისე იოლად გაგიმეტოთ თქვენს მიერ უთუოდ დამსახურებული დაცხრომისა და დასვენებისათვის.

გურამ ასათიანი

## ვ უ ლ ო ც ა ვ!

ამ ორმოცი წლის წინ...

ვწერ და არც კი მჯერა, რომ ეს იყო ოთხი ათეული წლის წინ, როდესაც პირველად შევაღე ჟურნალ „ჩვენი თაობის" რედაქციის კარი.

ღიმილით, ფართოდ ხელგაშლილი წამოდგა ფეხზე რედაქტორი, ჩემკენ ოდნავ გადმოიხარა და სკამი შემომთავაზა.

მანამდე მხოლოდ შორიდან ვიცნობდი პოეტ ირაკლი აბაშიძეს. ახლა ბევრად მაღალი მეჩვენა და მომხიბლავი. ასე შემოვიდა და დამკვიდრდა იგი ჩემს მეხსიერებაში. შემდეგ ამ ხატებამ თავისი ლექსებიც შემოიტანა, რომელთაგან განსაკუთრებით ორმა, პოეტის გარეგნულ იერთან შერწყმულმა, დაიდო ბინა ჩემს გულში. პირველი სურათი: ირაკლი აბაშიძე ზღვის პირას დგას, ტალღებისაკენ დახრილი და ფართოდ ხელგაშლილი.

„ზღვა ღელავს, ღელავს, ამხელა სივრცე
ნაპირებს აწყდება, ბორგავს და მწყრალია...
რა არის რომ შევხვდე და ხელი მივცე,
რა ვუყოთ რომ ზღვაა, რომ მხოლოდ
წყალია!"

ანდა განთიადისას ეზოში გამოსულა და პირველი თოვლის საფარზე დაეძებს საყვარელი ქალის ნაფეხურებს.

„წუხელ თოვდა... ნეტავ ჩემთან რად არ
გაჩნდი,
გენახე და ძილში თბილად დაგეხურე.
მე ავდექი პირველ თოვლზე, განთიადში
და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს"...

თანდათან ფართოვდება ლირიკული გმირის სამყარო: დიდი სამამულო ომი და „კაპიტანი ბუხაიძე", მსოფლიოს გზები და გზაჯვარედინები, რუსთაველის ნაკვალევის ძიება... და აი ბრწყინვალე ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა" იპყრობს მკითხველის გულს.

შემდეგ კიდევ რამდენი შესანიშნავი ლექსი წმინდა ლირიკული ხასიათისა თუ საერო საფიქრალით განმსჭვალული! და მათთან ერთად დაუცხრომელი, გულმხურვალე მოღვაწეობა მწერალთა კავშირში თუ მეცნიერებათა აკადემიაში, სსრ კავშირისა თუ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოებში. და საშვილიშვილო საქმის „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" თაოსნობა...

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია მართლაც ისტორიული მნიშვნელობის წამოწყება იყო. მას უნდა მოეხდინა უმდიდრესი მასალის, ცოდნის დაუშრეტელი წყაროების სისტემატიზაცია, აქ უნდა წარმოდგენილიყო როგორც ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსული, ისე აწმყო, ამასთან ერთად, აქ გამოხატულება უნდა ეპოვნა კაცობრიობის ისტორიისა და მისი კულტურის უმნიშვნელოვანეს მომენტებს და იმ ადამიანებს, რომლებიც ქმნიდნენ ამ ისტორიას და რომელთაც თავიანთი კვალი დასტოვეს მსოფლიოს ხალხთა მეხსიერებაში. ეს არ იყო ადვილი ამოცანა, და თუმცა ადრე იყო ცდები ქართული ენციკლოპედიის შედგენისა, მაგრამ მაინც ეს საქმე უდიდეს თავდადებას, დიდ შრომასა და გარჯას, დიდ ერუდიციას მოითხოვდა. და ენციკლოპედიის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ ამოცანას წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმატებით გაართვა თავი; და აქ, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი როლი ითამაშა მისი მთავარი რედაქტორის — ირაკლი აბაშიძის ნიჭმა, უნარმა, მისმა ავტორიტეტმა და თავდადებამ.

70 წელი იხეთი შემოქმედისა და მოღვაწისათვის, როგორიც ირაკლი აბაშიძეა, დიდებული ახაკია, როდესაც ცხოვრების ცოდნით გამდიდრებულს, ბევრი, ძალზე ბევრი აქვს საქვეყნოდ სათქმელი და გასაკეთებელი და საამისო ხელიერი სიჭაბუკე, ხალისი და ენერგიაც გააჩნია.

დაე, მარად ვხედავდეთ ირაკლი აბაშიძეს პირველი თოვლის განთიადებში თუ საქართველოსა და მსოფლიოს გზებზე პოეტური ძიებით გართულს, ქართული პოეზიისა და კულტურის, ჩვენი ხალხისა და საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ვულოცავ ძვირფას მეგობარს დაბადების 70 წლისთავს და ვუსურვებ დაულეველი ყოფილიყოს მისი სიჭაბუკე, ენერგია და სიცოცხლის წლები...

მარიკა ბარათაშვილი

## რაც ჩვენს გულებს აერთებს

გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ჩემს უახლოეს მეგობარს ირაკლი აბაშიძეს მინდა სულითა და გულით მივულოცო დაბადების სამოცდაათი წლისთავის იუბილე.

მინდა მივულოცო ეს თარიღი და გავიხსენო ჩვენი შეხვედრები, ზოგი რამ ჩვენი წარსულიდან, რაც არასოდეს არ დამავიწყდება!

არის დღეები ადამიანთა შეხვედრებში, რომელთა გახსენება, ანუ გაცოცხლება არაჩვეულებრივ სიხალისეს ანიჭებს ადამიანის სულს.

ასეთი დღე იყო ჩემთვის ის დღე, როცა ირაკლიმ და ლევან ასათიანმა ჩემს ბინაზე მოიყვანეს ბორის პასტერნაკი; ეს იყო 1944 წელს; ქვეყნად დიდი ომი მძვინვარებდა, და ჩვენი დიდი გამარჯვების გარიჟრაჟი უკვე ძალიან ახლოს იყო. მახსოვს, იმ დღეს პასტერნაკმა წაიკითხა თავისი ბრწყინვალე თარგმანები ბარათაშვილის ლექსებისა „საყურე“ და „ცისა ფერს“, და მაშინ ჩვენ დავლიეთ პოეზიის სადღეგრძელო ბარათაშვილისეული ბროლის სურებიდან.

ჩვენ ბევრი რამ გვაერთიანებს და კერძოთ, რუსთაველის თემა. უღრმესი ინტერესით ვადევნებდი თვალს აკაკი შანიძის, გიორგი წერეთლის და ირაკლი აბაშიძის იერუსალიმში მოგზაურობის ყოველ დეტალს. მაშინ ჩავიფიქრე მონუმენტური ტილო, რომელსაც უნდა დარქმეოდა „რუსთაველის დაბრუნება“.

რა დამავიწყებს წყნეთის საღამოებს, როცა ირაკლი ჰყვებოდა მოგზაურობის ამბებს; 1966 წლის აგვისტო იყო. სწორედ იმ ხანებში მე დავხატე სურათი — „ირაკლი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში“. სურათზე ის დგას რუსთაველის ფრესკასთან და გულში იხუტებს „ვეფხისტყაოსანს“. ეს სურათი ჩემს ექსპოზიციაში იყო 1969 წლამდე, მერე კი იგი გავუგზავნე ირაკლის მისი დაბადების სამოცი წლის თავზე.

და ახლა, ათი წლის შემდეგ, მინდა გავიმეორო ის სიტყვები, რომლებიც მაშინ წავაწერე იმ სურათზე: „ძვირფასო ძმაო და მეგობარო ირაკლი! დაე, ეს საჩუქარი იყოს ჩვენი ერთგული მეგობრობის მუდმივი ნიშანი შენი ლადო გუდიაშვილი“.

ჩვენს გულებს აერთებს და აკავშირებს სიყვარული ყოველივე იმისადმი, რასაც ქართული ჰქვია, იქნება ეს რუსთაველის პოემა, თუ ჩვენი ბუმბერაზი მთები, სვეტიცხოველი თუ ჩვენი აყვავებული მინდორ-ველები.

იცოცხლე და იდღეგრძელე, ჩემო ირაკლი! გაგიმარჯოს შენ და გაუმარჯოს ქართულ პოეზიას!

ლადო გუდიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოქალაქეობრივი პათოსით

ირაკლი აბაშიძის პოეზიაში დიდებულად აისახა ჩვენი ხალხისა და დროის მხატვრულ-ესთეტიკური იდეალები; პოეტის შემოქმედებითი პალიტრა ფართოა და მოიცავს ერის სულიერი ცხოვრების ბევრ უმნიშვნელოვანეს მომენტს, და რასაც არ უნდა უმღეროდეს ირაკლი აბაშიძე, იგი ყოველთვის დღევანდელობის მოქალაქეობრივ პათოსის პრიზმაშია გატარებული და პოეტური შედევრის მწვერვალამდე ამაღლებული.

გავიხსენოთ ირ. აბაშიძის ლექსების შესანიშნავი სამხედრო-პატრიოტული ციკლი, უმშვენიერესი „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „პალესტინა, პალესტინა“, შეუდარებელი ჰიმნი, მშობლიურ ენას და მაღალ-ნიჭიერი მისი პუბლიცისტური ლირიკა და ნათქვამის სამართლიანობაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით.

მომხიბლავია ირაკლი აბაშიძის პოეზიის ფილოსოფიური განწყობილება; ზოგიერთ ლექსში პირდაპირ, ზოგან — ქვეტექსტში — პოეტი ულრმესი შთამბეჭდაობით აყენებს ადამიანის „ყოფნის“ ე. წ. ძირეულ საკითხებს, რომლებიც მუდამ აღელვებდა მოაზროვნე ადამიანს, და პოეტს უცვლელად მოეპოვება ნათელი, ადამიანის მოქალაქეობრივი მოწოდებით დასაბუთებული, საკუთარი დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი.

რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის, რომ პოეტი-აკადემიკოსი ირ. აბაშიძე — პირველი ქართული ენციკლოპედიის იდეური თავკაცია და ენციკლოპედისტების სახელოვანი ტრადიციების გამგრძელებელი ჩვენში, ახალი დროის გრანდიოზული სამეცნიერო-ტექნიკური წინსვლის პირობებში და საფუძველზე.

დიახ, ირაკლი აბაშიძის შემოქმედება ჩვენი სულიერი ცხოვრების მშვენებაა და ქვეყნის ფასდაუდებელი სიმდიდრე; ამიტომ შეიყვარა იგი ხალხმა ასე ძალუმად, ამიტომ იკრავს გულში მშობლის წრფელი სიყვარულით და მხურვალედ უსურვებს მრავალჟამიერ სიცოცხლეს.

ვიქტორ კუპრაძე

## მ ა დ ლ ო ბ ა

ერთხელ, სიტყვაში ერთ ახალგაზრდა პოეტზე, ვთქვი:

„ძნელია, ძალზე ძნელია ხალხის გული იპოვოს ლექსმა!

ამისათვის საკმარისი არაა არც საჭირბოროტო თემატიკა და არც ლექსის მხატვრული სახეებით დახუნძვლა!

ხმაა მთავარი! —

სათქმელის შესატყვისი ხმა!

მიაგნებ კია მას?!..“

ახლა იგივე მინდა ვთქვა ერთ უკვე ხანდაზმულ პოეტზე:

ყოველი ლექსი, რომელიც ქართველმა ხალხმა შეისისხლხორცა, უწინარეს ყოვლისა, ხმისა და სათქმელის ურთიერთდამთხვევის გამოა შესისხლხორცებული!

დასაბამიდან დღემდე ამგვარ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულია სულ რამდენიმე ლექსი;

ერთ-ერთი მათგანია „ხმა კატამონთან“.

ეს ლექსი ხმაა სრულიად საქართველოსი ოდითგან აქამომდე და დღეის ამას იქით უკუნითი უკუნისამდე!

მე ამ ლექსიდან ხმა მესმის ყველასი, — ვინც იყო, ვინც არი და ვინც ჯერ არაა!

განა მარტო კაცთა?! —

საქართველოს ყველა მდინარის, ყველა ციხის, ყველა ტაძრის ხმაა ეს ლექსი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ესაა ხმა სამარიდან,
ხმა აკვნიდან,
ხმა ციდან და ხმა ხვალიდან!

ამ ლექსის წერისას — მარჯვენა მისი ავტორისა, მჯერა, ხელთ ეპყრა თვით პანტოკრატორს, ვითარცა ხელი იმ ბალღისა, წერას რომელიც ხწავლობს, მოძღვარს უპყრია მისას.

მადლობა, დიდი მადლობა, არაერთგზის ხულიწმიდით ალვსილო უფროსო ძმაო ჩემო ირაკლი, ლექსისათვის „ხმა კატამონთან".

ᲛᲣᲮᲠᲐᲜ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ

## ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

სიყვარულისა და სიამაყის გარეშე არასდროს მომიგონებია და მიხსენებია ჩემი ქართველი მეგობრის, შესანიშნავი პოეტის ირაკლი აბაშიძის სახელი; აი, უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა ჩვენ ცხოვრებაში გვერდიგვერდ მივაბიჯებთ და მთელი ამ ხნის მანძილზე სიხარულიც და მწუხარებაც ზიარი გვქონდა. ყოველთვის ვგრძნობდი და ახლაც ვგრძნობ ირაკლის მეგობრულად გამოწვდილ ხელს, რომელიც მუდამ მზადაა დაგეხმაროს, განუგეშოს მძიმე წუთებში, მოგეხვიოს დიდი ხნის განშორების შემდეგ.

თავიდანვე დამიპყრო ირაკლიმ, როგორც ადამიანმა და როგორც პოეტმა. მე შევიყვარე მისი ლექსები და სწორედ ამ სიყვარულმა ამეტყველა ისინი აფხაზურ ენაზე. არც ირაკლი დარჩენილა ვალში.

ჩვენი ყველა მრავალრიცხოვანი შეხვედრა ჩემს მეხსიერებაში ერთ მთლიან, თუნდაც ხანმოკლე, მაგრამ უწყვეტ და ლამაზ სიცოცხლედ გაერთიანდა. ეს სიცოცხლე ჩვენ, როგორც მეგობრებს, კოლეგებს, როგორც ძმებს, საზიარო გვაქვს.

ერთ დროს ჩვენ ორი სამწერლო ორგანიზაციის ხელმძღვანელები ვიყავით. ირაკლის რჩევები, რეკომენდაციები, მისი მოსაზრებები ორი ლიტერატურის განვითარების შესახებ, მისი ზრუნვა აფხაზური ლიტერატურის შემდგომი წინსვლისათვის, კიდევ უფრო განამტკიცებდნენ ჩემს ისედაც ღრმა სიმპატიას მის მიმართ.

ირაკლი აბაშიძე ყოველთვის საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. ვერც ახლა წარმომიდგენია ის სხვანაირი, ახლაც კი, როცა პოეტმა ცხოვრების მეშვიდე ათეულს უნდა გადააბიჯოს.

შეუძლებელია წარმოიდგინო პოეტი-აკადემიკოსი ირ. აბაშიძე ქართული ლიტერატურის საჭირბოროტო ამოცანებზე ზრუნვის გარეშე, ქართველი ერის კულტურის, მეცნიერების პრობლემებზე ზრუნვის გარეშე — ამ საკითხების გადაჭრაში ის იღებდა და იღებს უაღრესად აქტიურ მონაწილეობას: ლიტერატურული გამოცდილება, პოეტის დიდი ავტორიტეტი კიდევ უფრო ნათელსა და ნაყოფიერს ხდიან მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ირაკლი აბაშიძე წინა თაობის პოეტების ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელია. მისმა სახელმა — გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, პაოლო იაშვილის შემდეგ — ისეთი ძალა მოიცა, რომ დღეს უკვე შეუძლებელია წარმოიდგინო ქართული საბჭოთა პოეზია ირაკლი აბაშიძის ლექსების გარეშე.

როცა მეგობრის პოეზიაზე ვფიქრობ, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ყველასათვის საყვარელი, ყველას მიერ აღიარებული პოეტი ირაკლი იმიტომ გახდა, რომ

მშობლიურ ენას მან უპოვა
თვისება სიმის,
მშობლიურ სიტყვას
ჰკვეთდა როგორც მუსიკის ნიშნებს...

ირაკლი აბაშიძეს ერთი მეტად საოცარი თვისება აქვს: რაზეც არ უნდა წერდეს — შორეულ და მცხუნვარე ინდოეთზე, ირანზე, პალესტინასა თუ ხმაურიან ქაბულზე, მის ლექსებში მუდამ მოსჩანს მისი სამშობლოს დიდებული სახე. განგის ნებიერი დინება და ავლაბრის დედაქალაქის გარეუბნის ქოხი — კიდევ ერთი ბედნიერი შემთხვევაა ირაკლისათვის, რომ კვლავ უფრო დიდი სიყვარულით უმღეროს საქართველოს.

სუნთქვა ხარ, სუნთქვა, გულის ფანცქალი,
ლხინის აფრენა, ჭირის მოთმენა,
მაგრამ მცირე ხარ,
შენ გენაცვალე,
სულ პატარა ხარ, გულისოდენა

ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე იმ ბრძენი პოეტების რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ამაოდ არ ფანტავენ სიტყვებს, არამედ იყენებენ ამ უდიდეს განძს წმინდა გრძნობების გამოსახატავად მაშინ, როცა დუმილი შეუძლებელი ხდება, როცა გაქვს სათქმელი ხალხისათვის.

ამიტომაა მისი ლექსები ასეთი ამაღელვებელი, გულწრფელი, შინაარსიანი, ყოველთვის „გამთბარნი დიდი ადამიანური სითბოთი“.

ირაკლის პოეზიას და თვითონ მას იცნობენ და აფასებენ ჩემს აფხაზეთში. ჩვენი ლიტერატორები დიდად მადლიერნი არიან მისი, რადგან იციან რამდენ გულისხმიერებას, ყურადღებას იჩენდა ის აფხაზური ლიტერატურის, პოეზიის მიმართ, როგორი სიყვარულით და მონდომებით თარგმნიდა ის აფხაზი პოეტების ლექსებს ქართულ ენაზე.

ირაკლი აბაშიძის ლექსებს ღირსეული ადგილი უჭირავთ თანამედროვე საბჭოთა პოეზიაში. ის მისი, საბჭოთა პოეზიის, ერთ-ერთი მწვერვალია.

ირაკლი აბაშიძის პოეზიას ახასიათებს ის სიცოცხლისუნარიანობა, რაც ნიშანდობლივია ნიჭიერი ლექსებისათვის.

ისლა დამრჩენია, ჩემს 70 წლის მეგობარს ვუსურვო ისეთივე პერსპექტივა ჰქონდეს ცხოვრებაში, როგორიც მის ლექსებს აქვთ. მით უმეტეს, რომ ჩვენთან, აფხაზეთში, 70 წელი არ გაძლევს უფლებას მოხუცად ჩათვალო თავი. 70-წლიანები ჩვეული წესით აგრძელებენ შრომას, რათა „არაო, არა, ჩემო ფიქრებო, ნურც გაგვეგონოს ეს საოცრება“. ხოლო შრომა ჩემი მეგობრისათვის — ეს ახალი სიმღერებია საქართველოზე, მის მშრომელებზე; ეს ლექსებია, რომლებსაც ელიან ირაკლის ნიჭის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები.

ბაგრატ შინკუბა

## ჩვენ მაჭახელში ერთად ვიყავით

ჩვენო გულიანო მამულიშვილო, ჩვენო საყვარელო ძმაო, ირაკლი, მღელვარებით და სიამაყით მოგესალმებით ამ დიდებულ თქვენს ზეიმზე. იბედნიერეთ მარად!

ახლახან კვლავ ვიმოგზაურეთ ჭოროხისა და მაჭახლის ხეობაში, ვიყავით მაჭახლის ხევის სოფელ ჩხოტუნეთში, სადაც თქვენი შარშანწინდელი იქ ყოფნა გაიხსენეს, მოგიკითხეს, დაგლოცეს. იქაურთ დავპირდი, რომ ბარათს მოგწერდი და მათი სახელით მოგიკითხავდი. ბარათი ლექსად გადამექცა.

შენი ხმა — ბზაში ჩუქურთმის ხვეწა,
კალმახის ტანი — ზეცა იმ ღამის.
ალმართს მივყავდით შენცა და მეცა,
ჩვენ მაჭახელში ერთად ვიყავით.

გზა იყო ლურჯი, — ჭოროხის სევდა,
იქ ზეგნით ზესვლა ჰგავდა სიყვარულს.
გალმიდან გვიცნეს კირნათის სერთან,
ჩვენ მაჭახელში ერთად ვიყავით.

შეატყვე ნანგრევს თამარის ხიდთან
დუმილი, — სიტყვა ტუჩზე მიმხმარი.
ძველისძველ ქვევრთან გლეხი რახს ხდიდა,
ჩვენ მაჭახელში ერთად ვიყავით.

არც მაჭახელა გავარდა არსად,
არც ჩადრი ჩანდა სულის მბინდავი.
ერთი ტკივილით ვეტრფოდით წარსულს,
ჩვენ მაჭახელში ერთად ვიყავით.

ჩვენ მაჭახელში ერთად ვიყავით,
შევენოდი ღამეს, ლოცვებით სავსე,
ალწევა ფრთებით იმ შენ სიტყვამდი
ეწადათ სოფლის დიდებს თუ ბავშვებს.

გახსოვს ჭოროხი რომ შეგეხვეწა:
— მეწვიეთ კვლავაც, რამე მითხარით...
შენი ხმა გავდა ჩუქურთმის ხვეწას,
ჩვენ მაჭახელში ერთად ვიყავით.

ფრიდონ ხალვაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

# ირაკლი აბაშიძის პოეზია

ომის წინა წლები... საკმაოდ შფოთიანი დრო... არ იყო სიწყნარე და მყუდროება არც შინ, არც გარეთ...

როგორც კი გერმანიაში ხელისუფლების სათავეში ჰიტლერი და მისი მომხრენი მოექცნენ — მაშინვე ევროპის ჰაერში თოფისწამლის სუნი დატრიალდა. უკვე ნათელი იყო, რომ საქმე უომრად არ გათავდებოდა, უსისხლოდ არ ჩაივლიდა, და საჭირო იყო მზადება მრისხანე მტრის დასახვედრად.

თავდაცვისათვის ემზადებოდა ჩვენი ქვეყანა.

იმ ხანებში, ოცდაათიანი წლების დასაწყისში, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მობილიზაციით ჯარის ნაწილებში გაგზავნილ იქნა მოწინავე ახალგაზრდების საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი. მათ რიცხვში იყო ახალგაზრდა ირაკლი აბაშიძე; მან ხალისით ჩაიცვა საკის გიმნასტურა და ცილკილოზე სამი კუბიკი დაიმაგრა; ირაკლის ბედმა გაუღიმა. იგი კონსტანტინე ლესელიძესთან მოხვდა, ქართულ საარტილერიო პოლკში.

რთული დრო იყო. ასეთ ვითარებაში კვალავდნენ საბჭოთა პოეზიის ოსტატები ახალ გზებს, თვითონაც ახალგაზრდები იყვნენ, ან ის იყო შედიოდნენ სიჭარმაგეში.

მსოფლიოს ცაზე კი ნელ-ნელა გროვდებოდნენ შავი ღრუბლები — სადღაც შორს, შპრეეს ნაპირებზე, სამხედრო დაფდაფების ყურისწამღებ გრუხუნში მარშით მიდიოდნენ მოიერიშეები და გაჰკიოდნენ — „დღეს ჩვენია ბერლინი, ხვალ ჩვენი იქნება მთელი მსოფლიო"; ცაზე ნელ-ნელა გროვდებოდნენ შავი ღრუბლები, და საჭირო იყო მოახლოებულ ავდარს მზად შეხვედროდი: საბურთალოში კონსტანტინე ლესელიძე გულმოდგინედ ზრდიდა თავის არტილერისტებს და „ახალგაზრდა ჩვენი ლეგთავი" გულიანად ხარხარებდა, თავის აწოწილ ჯარისკაცს — ირაკლი აბაშიძეს რომ შესცქეროდა, რომელსაც ფარაჯა მხოლოდ მუხლებამდე სწვდებოდა. ჯარისკაცსაც ერთი სული ჰქონდა შეხუმრებოდა პოლკის მეთაურს, მაგრამ ჯერ ვერ უბედავდა. ჯერ არც ერთმა და არც მეორემ არ იცოდა, რა ქირსახდელსა და ჯოჯოხეთში შეხვდებოდნენ ერთმანეთს კავკასიონის ორწოხებში სულ რაღაც ექვსი თუ შვიდი წლის შემდეგ; არ იცოდა სარდალმა, რომ ეს ჭაბუკი პოეტი მისი დამტირებელი და მოზარე იყო, და თუ ლექსი გაჩენილა ქვეყნად გმირთა უკვდავსაყოფად, მისი სახელის უკვდავებაც ამ პოეტის სტრიქონებს უნდა შეეხსნა. ჯერ კი ახალგაზრდა იყო ქვეყანა. ჯერ ისევ ყმაწვილი იყო მიხეილ ბუხაიძეც, საშუალო სკოლას ის იყო ამთავრებდა, ირაკლი აბაშიძეს არც კი იცნობდა და სიზმარშიც არ მოელანდებოდა, რომ ეს კაცი დაუწერდა ეპიტაფიას მისი საფლავის ქვას ყაბარდო-ბალყარეთის მთებში...

წლები კი მიდიოდნენ, მძაფრი, შფოთიანი წლები... ბარომეტრი სულ უფრო იშვიათად აჩვენებდა წყნარ ამინდს, მისი ისარი უფრო ხშირად ქარიშხლისაკენ მიიწევდა, ხანაც სეტყვისა და ავდრისაკენ. ამ მძაფრ ბრძოლებსა და ქარიშხლებში იზრდებოდა და წინ მიიწევდა საბჭოთა ქვეყანა.

ეს მარტო ჩვენი დროის ისტორია კი არა, პოეტის ბიოგრაფიაც არის.

ამით არის საინტერესო ირაკლი აბაშიძის პოეზიაც. მე არ შევუდგები მისი ცხოვრების თარიღების ჩამოთვლას, მხოლოდ შევეცდები გავაცნო მკითხველს პოეტის შემოქმედებითი სამყარო — ვის და რას უმღეროდა, რა ახარებდა, რა აწუხებდა, რა სათქმელი მოიყოლა მან ამ ქვეყნად და რა მიუმატა ჩვენი ხალხის სულიერ საგანძურს — მრავალსაუკუნოვან ქართული ლიტერატურის ისტორიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფანტომი

მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ პოეზიის წყარო და საფუძველი დასაბამიდან იყო ცოცხალი სინამდვილე, ის მიწა, სადაც შენ დაიბადე, სადაც შენი ხალხი ცხოვრობს და იცხოვრებს; პოეზია ხან ფიქრია, ხან საბრძოლო შეძახილი, ხან ლოცვა სულისა და ხანაც ოცნება. ფიქრსა და ოცნებას კი საზღვარს ვერ დაუდებ! ის თამამად არღვევს საზღვრებს წარსულსა და აწმყოს, ხილულსა და უხილავს, „მიწიერსა" და „ციურს" შორის, მისთვის სამყარო მთლიანია და თვალმიუწვდენელი. ირაკლი აბაშიძის ერთ ლექსს წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი ბარათაშვილიდან: „მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული". ამ ლექსში პოეტი ამბობს.

ვინ რას დამყვედრის, —
დღეც არ გასულა
მე არ მეცოცხლოს
ქვეყნის ხმაურით:
მე გულში მედო
მთელ საგანძურად
ხმა მიწიური, ხმა აქაური.
მაგრამ მსურს მოვკვდე,
როგორც მთის კაცი,
და სამარის წინ
ვთქვა გატეხილად,
რომ ზოგჯერ
ჩემთვის გახსნილ ცისკარში
მე მსურდა ღმერთიც, ღმერთიც მეხილა.

განმარტება არ სჭირდება იმას, რომ აქ საბაოფზე არ არის ლაპარაკი. აქ იმ ღმერთზეა ლაპარაკი, რომელიც გულში ეჯდა ბარათაშვილს, პოეტს, რომელმაც თავის უმაღლეს მიზნად სამშობლოს სამსახური და საქვეყნო სიკეთე მიიჩნია. ამ მხრივ მართლაც ვერავინ დააყვედრებს ირაკლი აბაშიძეს. პირველი ლექსებიდან დღემდე ის მესიტყვე და მესაიდუმლეა თავისი ხალხისა, ერთ-ერთი შემოქმედი მისი სულიერი კულტურისა, იმ საგანძურისა, რაც ამ საუკუნემ მომდევნოს უნდა დაუტოვოს. და სწორედ ამ ახლის წარმოქმნის ინტერესები მოითხოვდნენ პოეზიას არ შეევიწროებინა თავისი ადრინდელი, დიდი და თვალგადაუწვდენელი ჰორიზონტები, რუსთაველისა და ბარათაშვილის ჰორიზონტები.

ირაკლი აბაშიძის ამ ლექსის პოლემიკური დასაწყისი („ვინ რას დამყვედრის") მიგვანიშნებს, რომ მას სურს განუმარტოს ვიღაცას — ალბათ დამყვედრებელს, ჭეშმარიტი პოეზიის დანიშნულებაც და ამასთან გვითხრას, თუ როგორ უცხოვრია მას — პოეტსა და მოქალაქეს ამ მიწაზე; ხან მხარში გაჰყოლია, ხან წინ გასძღოლია ადამიანს, როცა ის უკეთესი მომავლისათვის იღვწოდა და იბრძოდა, როცა მისი ფიქრი მაღლა მიიწევდა — ლურჯი ცისაკენ, განზე მიიწევდა — უცნობი სივრცეებისაკენ, საუკუნეების სიღრმისაკენ, რომლებიც უკან დარჩნენ და დიდი ანდერძი დაგვიტოვეს.

პოეტის გულმა ეს ყველაფერი უნდა დაიტიოს. და როცა ირაკლი აბაშიძის ლექსებს კითხულობთ, თქვენ გრძნობთ ამ გულის მართლაც რომ გადამდებ მღელვარებას, თრთოლვას; სტრიქონი აქ დაელექტრონებული და დამუხტულია ძალიან დიდი სიყვარულით და სინათლით; პოეტს შეუძლია სტრიქონს თან გაატანოს თავისი გული. აქ მან მიაღწია იმ უშუალობას, იმ პირვანდელ სიხარულს გრძნობისას, რომელიც ნამდვილ და დიდ პოეზიას განასხვავებს და გამოარჩევს, ზუსტად ისევე როგორც პატიოსანი თვალი გამოირჩევა რიყეზე დაყრილი ქვებისაგან: ჭეშმარიტი პოეტის გულში ერთად და დაუბერებლად ცოცხლობენ ჭაბუკიც, მებრძოლი ტრიბუნიც და ფილოსოფოსიც, გატაცებული რომანტიკოსიც და ფხიზელი რეალისტიც.

„მომავალ ნახევარ საუკუნესაც იყავი ისეთი ჭაბუკური და ბრძნული, როგორც ამ ნახევარ საუკუნეში გიცნობდით", — ასე მიმართავდა ალექსანდრე ტვარდოვსკი ირაკლი აბაშიძეს ამ ოცი წლის წინათ, პოეტის დაბადების ორმოცდაათი წლისთავზე. ნათქვამია ზუსტად და ამომწურავად. ჭაბუკური და ბრძნული — ხომ არ უპირისპირდება ეს ცნებები ერთიმეორეს? არა, ამ სიტყვებში მარტო ირაკლი აბაშიძის შემოქმედების თავისებურება კი არა, საერთოდ ჭეშმარიტი პოეზიის ბუნებაა ახსნილი და ამოცნობილი, ვინაიდან პოეზია ამქვეყნად ერთადერთი შერწყმაა და შეერთება სულის ჭაბუკური თრთოლვისა და მღელვარებისა ფილოსოფიური აზრის სიღრმესთან.

ყველაზე მთავარი, რითაც ირაკლი აბაშიძის პირველივე ლექსებმა მიიქციეს ყურადღება — იყო და არის ხაოცრად წრფელი და ულრმესი განცდა სიცოცხლის სილამაზისა, გადმოცემა იმ სიკეთის, იმ მადლის, რომელიც ადამიანს თავის წილად რგებია ამ წუთისოფლად. უცნაური ძალით გადაედება მკითხველს განცდა იმ სილამაზისაც, რომელიც პოეტის ლექსშია გადმოცემული, განცდა იმ ტკივილისა, რომელიც მის სტრიქონებში ესოდენ დიდი ძალით იგრძნობა. აქ, ამ ლექსებში ყველაფერი უშუალოა, ყველაფერი ნამდვილია — სიხარულიც, დარდიც, მოთქმაც, მძიმე და ნაღვლიანი ჩაფიქრებაც და გულლია მოლხენაც; და ყველაფერი ეს გამთბარია ადამიანური გულის სითბოთი, დედამიწის სიყვარულით, სამშობლოს სიყვარულით; პოეტი ამ დიდ მიწასაც — თვალუწვდენელს, ისე უმღერის, როგორც სატრფოს, და სატრფოს ისე, როგორც მთელ სამყაროს. კითხულობთ ამ ლექსებს და გრძნობთ, რომ პოეტს ლურჯი ზეცა უბრწყინავს თვალში. ლექსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრიქონებიდან, თითქოს თავისთავად წამოსული უბრალო სიტყვებიდან, გამოკრთის სინათლე უსაზღვროისა, პოეტს სული და გული გაუღია ბუნებისათვის, მზის შუქისათვის, ბავშვის ღუღუნისა და ჭაბუკის შეძახილისათვის. როგორ შინა ხარ თვით ცაშიც კი და ირლანდიის ღრუბლებიც შენი ყრმობის თბილი სიზმრებია.

უხმარ ნოხების
უხვად გაფენა,
იქით ფანქარი,
აქეთ ოფორტი,
წყნარ ირლანდიას
ასწყდა „საბენა",
უკან გაფრინდა აეროპორტი.
ნუ, მაღალ ღრუბლებს
ნურც რამ ეწყინოთ,
ღრუბლები ჩემი მასპინძლებია,
ამალამ მათთან უნდა მეძინოს,
როგორც ყრმობაში დამსიზმრებია.

რეაქტიული თვითმფრინავი, აქ რომ არის აღწერილი, წინათ პოეზიის თემა ვერ იქნებოდა; ის არ არსებობდა, ეს ტექნიკის ახალი სასწაულია, უსულო ტექნიკას კი თითქოს რა საერთო უნდა ჰქონდეს ლირიკოსის ოცნებასთან. მაგრამ აქ მან დაბადა ახალი და უმშვენიერესი ლირიკული სახე სამყაროსი, სადაც ამწვანებული და ყვავილებით აჭრელებული მდელოები უზარმაზარ და უხმარ ნოხებივით უხვად გაუფენიათ ამ ვეება დედამიწაზე. დიდი მნათობი ჩამოუკიდიათ ცაზე, რომ ეს ჭრელი ნოხები უფრო თვალისმომჭრელად გაბრწყინდნენ, სადღაც მაღალი ღრუბლებიც მიუყრ-მოუყრიათ, შენი ყრმობის სიზმრებივით თეთრი, ზმანებასავით მოელვარე და მოცახცახე.

პოეზიაში სიახლე რეაქტიულ თვითმფრინავს კი არ მოაქვს; სიტყვის ოსტატი, ნამდვილად შთაგონებული პოეტი თითქოს ჯადოსნური შეხებით პოეზიად აქცევს ყველაფერს, რასაც შეხედავს. რეაქტიული თვითმფრინავი ახალი თემაა პოეზიისათვის, კერძოდ, ირაკლი აბაშიძისათვის, რომელსაც ჭეშმარიტად შეუძლია თქვას — „შემოუვლელი მე დამრჩა მთვარე, თითქოს გავეცან ამ დედამიწას", რომელსაც შეუძლია დახატოს კაცობრიობის ისტორიის ყველა წინანდელი ეპოქის პოეტებისათვის ყოვლად გაუგებარი, და, იმავე დროს, ულამაზესი სახე — „ცას მოარღვევდნენ ჩემსკენ ქვემოდან ჰიმალაები, ჰინდუკუშები"; ეს ახალია. მაგრამ სიზმარი ძველისძველი თემაა პოეზიისა. ძველ ბერძენთა რწმენით, სიზმარიც, სიყვარულის მსგავსად, სულიერი არსება იყო და მასაც სიყვარულის ღმერთივით ფრთები ჰქონდა, რომ რაც შეიძლებოდა სწრაფად გაფრენილიყო იქით, საითაც ოლიმპის მბრძანებელი გაგზავნიდა, გაფრენილიყო და მოსჩვენებოდა ადამიანებს. ძველი თემაა გაზაფხულიც, სიყვარულიც, ასეული და ათასეული წლების წინანდელია. მისთვის ყველა ქვეყნისა და დროის პოეტებს. ძველისძველია წარმავლობის სევდა და ნაღველიც — ჰომეროსმა ათასეული წლების წინ, ბრძოლის ველზე ათქმევინა ჰექტორს ეს სიტყვები: ადამიანები ტყის ფოთლებსა ჰგვანან, ერთნი რომ ქარს მიაქვს, მეორენი, მათს სანაცვლოდ ყოველ გაზაფხულზე იბადებიანო.

მაშ რა გზით შეიძლება პოეტმა დაიმკვიდროს თავისი დროის მესიტყვის სახელი? ის ახლებური უნდა იყოს, იმიტომ, რომ ახალია ყველა გაზაფხული. ფოთლები, ტყეს რომ ესხმიან, პირველად არიან მოსულნი ქვეყნად, იმავე, ძველ ფესვებზე, მაგრამ პირველად მოსულნი, ისინი არ იმეორებენ შარშანდელს; ყველა ჭაბუკი და ქალიშვილი ავთანდილისა და თინათინის, ლეილისა და მაჯნუნის, ვისისა და რამინის სიყვარულს კი არ იმეორებს, არამედ თვითონ ხელახლა იწყებს, თავიდან იწყებს სიყვარულის ამბავს, თითქოს ქვეყნად მათს მოსვლამდე არავის ჰყვარებოდეს. სინამდვილეში კი ისინი იმ ტყის ფოთლებივით ჰგვანან შარშანდელებს, ასი, ათასი წლის წინანდელებს, მაგრამ მომხიბვლელი არიან იმიტომ, რომ ახლები არიან, ხასხასად მოელვარენი და დაჯილდოებულნი ქვეყნად ყველაზე დიდი სასწაულით — სიცოცხლის ნიჭით.

ირ. აბაშიძის ლექსში გახსნილია ეს იდუმალი სიახლე სიცოცხლისა და აღმოცენებისა, ესოდენ დიდი სიხარული რომ ახლავს თან, ხიბლავს ადამიანის თვალს და ძლიერად ათრთოლებს მის გულს; მას არ შეუძლია იყოს დამშვიდებული, როცა მის თვალწინ პირველად იბადება ქვეყანა, იბადება შფოთვით, ზარით და ზეიმით, არ შეუძლია აუღელვებლად შეხვდეს სამყაროს გაჩენის პირველ წუთებს:

მოგილოცავთ პირველ ფოთლებს,
ხეებო!
მოგილოცავთ პირველ შფოთვებს,
ხევებო!
მოგილოცავთ პირველ მეწყრებს,
მნათობო!
მოგილოცავთ პირველ მერცხლებს,
ტატნობო!
მოგილოცავთ პირველ სუნთქვას,
ლელებო!
მოგილოცავთ პირველ ფუტკარს,
ველებო!
მოგილოცავთ პირველ ცისკარს,
კვირტებო!
მოგილოცავთ პირველ რისხვას,
ზვირთებო!
მოგილოცავთ პირველ დუღილს,
ფერებო!
მოგილოცავთ პირველ ქუხილს,
ტევრებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსში „იწვის აპრილი“ პოეტმა გამოხატა შერწყმა ადამიანისა მთელ სამყაროსთან, გამოხატა ის წუთები, როცა ადამიანი ნატრობს იქცეს მწვანედ, ზეცად, სინათლედ. თითქოს თრთის ფეხქვეშ სამშობლოს მიწა და ხეებიც იმიტომ შრიალებენ, რომ შენ გეძახიან, გეძახის მდინარეთა ტალღების ბორგვა და ტლაშუნიც:

ჩალიც არ გყოფნის
ამ დიდ სიახლის,
ბორგვის, ტლაშუნის
ჩქამის ანაზდის, —
იქნებ იორის,
იქნებ ლიახვის,
იქნებ რიონის,
იქნებ ალაზნის.

ეს განცდა სიცოცხლის მშვენიერებისა არის საფუძველი პოეზიის, ასე ლაღად და თავისუფლად რომ მოდის ლექსის სტრიქონებიდან; ეს მოიცავს ბუნებასაც, სოციალურ სფეროსაც, წარსულსაც, აწმყოსაც; სამყაროს ეს პოეტური შეგრძნობა არის სათავე იმ ჰუმანიზმისა, ადამიანში იმ წმიდათაწმიდის გაღვიძებისა, რომელიც პოეზიის მთავარი შინაარსი და უპირველესი დანიშნულებაა: სიკეთისა და სილამაზის შეგრძნობამ წარმოშვა პირველი ლექსი ქვეყნად, და ასე მოსდევს პოეზია კაცობრიობის ისტორიას, რათა დაუპირისპირდეს სიკვდილსა და არყოფნას, კაცობრიობის ჭირსა და ტკივილებს.

ლექსი თვით სიკვდილზე სავსეა ამ მთრთოლვარე სიყვარულით გაზაფხულისადმი:

ო, არა გაზაფხულზე
ამ მზეში, ამ დარში,
ო, არა გაზაფხულზე, —
ზამთარში... ზამთარში!..

ირაკლი აბაშიძის ლექსებში სიცოცხლის ეს ჭაბუკური ენთუზიაზმი შეერთებულია ფილოსოფიური აზრის სიღრმესთან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი ლექსი „ფანტომი“:

სიმშვიდე!
მშვიდად შეხვდი განსაცდელს,
რა მწარეც ჩანდეს, რა დამღუპველიც, —
არ შეიძლება შენს ცას არ ასცდეს,
წავა, ჩაივლის
  წარღვნის ღრუბელი.
სიმშვიდე!
იდექ, როგორც ბატონი...
სიმშვიდე!
. . . . . . . . .
სადღაც ღმუის ატომი,
შენი ატომი...
ფანტომი.

აქ არის კაცობრიობის ისტორიის [illegible] ჭეშმარიტება — ადამიანი უძლეველი და დაუმარცხებელია. ის მოერეოდა ხოლმე და კვლავაც მოერევა ყველა განსაცდელს, ყველა ჭირს, ყველა წარღვნას, რაც უნდა მწარე, რაც უნდა დამღუპველი მოჩვენებოდათ ის თანამედროვეებს... მაინც, ბოლო წუთებში, განსაცდელთან შებრძოლების დროს, ადამიანი პოულობდა ხსნის გზას, რათა გადაერჩინა ქვეყანა — თავისი კერა, ტაძარი და სახელოსნო; კაცობრიობის ისტორია ბნელისა და ნათელის ბრძოლის ისტორიაა და ვინ იცის რამდენჯერ იდგა ადამიანი განსაცდელის წინაშე... სიმშვიდე! იდექ, როგორც ბატონი! ეს არის ჩვენი დროის პოეზიის მთავარი სიტყვა, ის იდუმალი, ჯადოსნური სიტყვა, რომელიც ძალას აძლევს ადამიანს გზა გაუხსნას კეთილ საწყისს ამ აწეწილ-დაწეწილ მსოფლიოში, და გადაარჩინოს ქვეყანა. მარტო სიცოცხლეზე ძლიერად შეყვარებულ პოეტს შეეძლო ასე შეეძახნა ადამიანისათვის — „იდექ, როგორც ბატონი“, რათა დაპირისპირებოდა იმ ბნელ პესიმიზმს, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და რომელსაც კლასიკური ფორმულა მოუძებნა იობის წიგნის ავტორმა — „შეაგინე ღმერთს და მოკვდი“.

არა, შენ ასე ვერ ჩაიქნევ ხელს, შენ უნდა გადაარჩინო შენი ცა და შენი მიწა, შენს გონებას ყველაფერი შეუძლია. გონების ეს ძლევამოსილება არის შენი ბედნიერებაც, და... უბედურებაცო, დაუმატებდა ეკლეზიასტეს წიგნი, ვინაიდან, ამ წიგნის აზრით, „რომელმან შეიძინა სიბრძნე და მეცნიერება, შეიძინა ლმობა (ტანჯვა, ტკივილი)“ („წიგნი ეკლეზიასტე“, I, 18). მერე გაივლიან ათასეული წლები, ახლა რუსო აუჯანყდება გონებას. გაიხსენებს ეგვიპტიდან საბერძნეთში გადასულ თქმულებას, რომ მეცნიერება იმ ღმერთმა შექმნა, რომელიც ადაიმანის მტერი იყოო და საშიშ ბოდვად გამოაცხადებს ჰობსისა და სპინოზას ნააზრევს (რუსო, რჩ. თხზ. I, გვ. 53, 62). ხოლო ბაირონი ლექსში „წყვდიადი“ აღწერს თავის სიზმარს, თუ როგორ იქცევა მიწა უდაბნოდ, ჩაქრება მზე, ხე აღარ გამოიტანს მწვანე ფოთოლს, აღარ იღელვებენ ზღვები, აღარ იფრენენ ფრინველები.

მაგრამ ახლა სხვა სფეროს გადავავლოთ თვალი. უკვე ჩვენს დროში, მეორე მსოფლიო ომის მიწურულში, ნიუ-მექსიკოს სამხრეთ ნაწილში, ტრინიტის მიდამოებში პირველი ატომური ბომბის აფეთქების მხილველი „განკითხვის დღეს“ იხსენებს, როცა „ანგელოსი დასცემს საყვირს“ (ფარელის ჩანაწერები); ერნესტ რეზერფორდი, ფუძემდებელი თანამედროვე მოძღვრების რადიოაქტიურობაზე და ატომის აგებულებაზე, ჯერ ისევ 1916 წელს ამბობდა: „კაცობრიობის ბედნიერებაა ის, რომ ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი ბირთვული ძალების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპლოატაციის მეთოდი. პირადად მე ძლიერ ვიმედოვნებ, რომ ეს აღმოჩენა არ განხორციელდება მანამდე, სანამ ადამიანი არ მიეჩვევა მშვიდად იცხოვროს თავის მეზობლებთან", ე. ი. ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, სანამ იმპერიალიზმი იარსებებსო. რეზერფორდი მოკვდა ისე, რომ ხიროსიმას ვერ მოესწრო. მაგრამ მოესწრო ოტო განი, რომელმაც შრომა მიუძღვნა ურანის გახლეჩის ამოხსნის საიდუმლოებას და თანაც დახძინა — ეს ქვეყნის დაქცევა და ღვთის ნების საპირისპირო რამ არისო; მოესწრნენ ალბერტ აინშტაინი, ენრიკო ფერმი, ნილს ბორი, რომლებიც ღრმა სინანულმა და სინდისის ქენჯნამ შეიპყრო. ლაურა ფერმი, გამოჩენილი იტალიელი ფიზიკოსის ცოლი თავის მოგონებებში წერს — ჩემი ქმარი და მისი მეგობრები ხიროსიმასა და ნაგასაკის ჯოჯოხეთს თავიანთ თავს აბრალებდნენო.

აი, რა სევდა და ტკივილი ისმის პოეტის სიტყვებიდან — „შენი ატომი... ფანტომი"... ანუ საშინელი აჩრდილი, თუ მოჩვენება, რომელიც შენვე გამოიძახე სადღაც სამყაროს ბნელი წიაღიდან. შენი ატომი... თავის ფიქრს რომ ვეღარ ერევა ადამიანი, თავის გონებას! აქ არის დიდი შეშფოთება პლანეტის ბედზე, კაცობრიობის ბედზე, მის ყოფნა-არყოფნაზე, რომელიც ჰამლეტის კითხვაზე ათასჯერ უფრო წყევლა-კრულვიანი საკითხავია. აი ეს ფიქრი ადამიანისა გამოხატა თავის ლექსში ირაკლი აბაშიძემ. მაგრამ ჩვენი პოეტი ახალი დროის შვილია, იმ ქვეყნის შვილი, რომელიც წინ მიუძღვის მოწინავე კაცობრიობას და მას უფლება აქვს უთხრას ადამიანს:

სიმშვიდე!
იდექ, როგორც ბატონი...

შენ მოერევი ყველა განსაცდელს, რა მწარეც არ უნდა ჩანდეს ის, რა დამღუპველადაც არ უნდა გეჩვენებოდეს.

## ომის წლები

ფრონტი... ყირიმისა და ჩრდილო კავკასიის მიდამოები. ქართველი პოეტი, ბრძოლის ველზე რომ ხწვევია თავის თანამემამულეებს, რათა ლექსით უკვდავყოს და სიმღერად აქციოს მათი სახელი, მთელი ღამე უძილობას შეუპყრია. ან რა დააძინებს მას მერე, რაც მან სახილველი იხილა: აქ ბნელეთის ძალა წამოსულა სიცოცხლის მოსასპობად, აქ გაუღვიძნია და თავი აუწყვეტია ჯოჯოხეთს, რომ უდაბნოდ აქციოს ეს მწვანე და ლამაზი პლანეტა — დედამიწა. და ჩვენი მეომრებიც იმიტომ ჩამოსულან აქ, რომ შეაჩერონ ეს თარეში სიკვდილისა. ამ უძილო ღამის ფიქრებზე მოგვითხრობს პოეტი ლექსში, რომელსაც ეწოდება „სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე":

მოზდოკის,
ვლადიკავკავის,
მრისხანე ღამე ყირიმის...
ზეცაზე ბევრი ვარსკვლავი,
ერთი ნახტომი ირემის.
წვრილი ვარსკვლავი ზეცაზე,
  მიწაზე ღამის უკუნი,
შავ ზღვიდან ყინულეთამდე
გაბმული ომის გუგუნი.
აქეთ მტრის ხელი მოიწევს,
  იქით მტერს მისდევს მდევარი;
ზეცა ჩამოაქვთ გრიგალებს,
  მიწას ზეცაში იტაცებს...
ვაჰ თუ ზის იმ წვრილ ვარსკვლავზე
  და გვარკვევს მათი მკვლევარი:
„— არის თუ არა სიცოცხლე პლანეტა
  დედამიწაზე?"

ერთი შეხედვით, თითქოს გროტესკულ შტრიხებშია მოცემული ის ვიღაც უცნობი და უცნაური არსება, რომელიც ვაჰ, თუ ზის სადღაც ვარსკვლავზე და იკვლევს, იძიებს, არის თუ არა სიცოცხლე იმ შორეულ პლანეტა „დედამიწაზე", სადღაც რომ ციალებს უძირო და უსასრულო კოსმოსში. მაგრამ არა, აქ გროტესკი არ არის, აქ ისევ ქვეყნის სიცოცხლეზე შეყვარებული პოეტის შეშფოთებაა. მიწაზე ღამის უკუნი დგას და ამ წყვდიადშიც არ სძინავს ომს, გუგუნებს და ღმუის სიკვდილი, და მთელი ქვეყანა წამომდგარა ფეხზე მის დასათრგუნავად. აქ სევდა და ნაღველი შერწყმულია მებრძოლის იმედთან და დაუცხრომლობასთან, მის საკეთილო მისწრაფებასთან, არ დაუთმოს ასპარეზი, არ დაუთმოს ეს ქვეყანა და მწვანე გაზაფხული სიცოცხლისადმი მტრულად აღმართულ ბოროტ ძალას.

ომის წლები... კარგა ხანია, რაც მათ გადაიარეს, მაგრამ რაოდენ ხშირად გვახსენებენ თავს ხან ლექსებში, ხან ფიქრებსა და მოგონებებში. ჩვეულებრივი ზაფხულია, წყნარი და მშვიდობიანი. ინგილო გლეხები თბილისიდან ჩასულ მონადირეებს დახვედრიან, როგორც კეთილი მასპინძლები, და ღამით ტყეში, კოცონის ირგვლივ შემომსხდარნი, კვლავ იმ ქარიშხლიან და ვაი-ვაგლახით სავსე წლებს იხსენებენ. ირაკლი აბაშიძეს, ამ უაღრესად ლირიკული ხმის პოეტს, აქვს გარემოს და ადამიანების ხატვის იშვიათი უნარი. ის ნათლად ხედავს და კარგად ხატავს. ლექსი „ინგილოები" ჰგავს ფერწერულ ტილოს, და იქნებ ამიტომაც ასე ცოცხალია აქ მთელი გარემო. ირგვლივ შუაღამე ჩამოწოლილა, სძინავთ თივის ბულულებზე მიყრილ მყეფრებს, ბოლავენ წიფლის კუნძები. უღრანი ტყის სიბნელეში, შორს, მგლის ბრიალა თვალი გაიელვებს — ნადირმა გაირბინა სადღაც. რაღაც ლაწალუწი ისმის — დაჭრილი ტახი სადღაც, შორს, ხის ხმელ ფესვებს ბღლეჯს... გარემო ველური და უდაბურია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ათასი წლის წინათ, და აი ამ ღამეში, ტყის შუაგულში კოცონს უსხედან მკერდზე ღილკილო შეხსნილი ინგილოები. გარემო ისეთია, სადაც ქაჯებზე და ქაჯეთის ციხეზე უნდა ჩამოვარდეს სიტყვა, და ასეც არის. ომს იხსენებს ლაზარე, ინგილო ღამის მეხრე:

მე ვიცი ყველა მისი უბანი,
ყველა ბილიკი მაქვს განჭვრეტილი,

მე კენიგსბერგზე ვყრიდი ყუმბარებს,
მე გავიარე ფეხით შტეტინი.

ჩემს თვალწინ გატყდა მისი ბრესლაუ —
ციხე-ქალაქი ქვეყნის ოდენი,
მე ინსტენბურგის ვარ შემმუსრავი,
მე გადავცურე მისი ოდერი.

მე ფერფლად მახსოვს გადაქცეული
ბევრი სიმაგრე,
ბევრი ბანაკი,
მე ალში ვნახე გამოხვეული
მისი შავბნელი დედაქალაქი.

რაც გამივლია,
რაც თავს მომსვლია,
სიზმრად ნახავდნენ მამა-პაპანი?
ხელისგულივით ვიცი პრუსია,
ვით ზაქათალა და ბელაქანი.

მოხრობელს დინჯად უსმენენ ინგილოები. პოეტმა, მკითხველისათვის თითქოს შეუმჩნევლად. [illegible] გარემოც და კილოც უძველესი ეპიკური თქმულებებისა, კი არ მიბაძა იმ მანერას, თითქოს ინსტინქტმა აგრძნობინა, დაბრუნებოდა ამ უბრალო, მაგრამ ბრძნულ მთქმელთა და გამომეტყველთა თითქოს მიამიტურ კილოს. ამიტომ გვაგრძნობინა ლექსმა ომის ისტორია, ომის ცეცხლი და მდუღარე; „ჩემს თვალწინ გატყდა მისი ბრესლაუ, ციხე-ქალაქი ქვეყნის ოდენი", — ყვება ლაზარე, ღამის მეხრე, პრუსია ხელისგულივით რომ იცის, ყვება და ჩვენ ძველი ეპოსის ტყვეობაში ვართ. ამ კილოს, ამ მანერას კი არ გადმოაქვს ძველი ეპოსის ხერხები, არამედ პირდაპირ გულიდან არის წამოსული, ვინაიდან ირაკლი აბაშიძის მთელი პოეზია არის მეტად უშუალო განსახიერება ქართული ეროვნული სულის, ხასიათის, ტემპერამენტისა და კოლორიტის. ქართულია მისი სევდაც, დალონებაც, მისი სიხარულის ჟიჟინაც, მისი მოლხენაც და ჩაფიქრებაც, ქართულია მისი საბრძოლო შემართებაც, ასე ნათლად რომ გამოჩნდა მის ფრონტულ ლექსებში.

ირ. აბაშიძის ლექსებს, რომლებიც ომის წლებში იწერებოდა, ბოლოში წარწერილი ჰქონდა ხან „1942 წელი, მოსკოვის მახლობლად", ხან „ყირიმი, აკ-მონაი", ხან „ქერჩი", ხანაც „ნალჩიკი". არის სახელები, რომლებიც თავისთავად მეტყველებენ. ვინ არ იცის ახლა, რას ნიშნავს ჩვენთვის ქერჩი და ნალჩიკი, რა ფიქრებს და მოგონებებს აღძრავენ ისინი. ხოლო პოეტის ეს ლექსები უშუალოდ აცოცხლებენ იმ ქარიშხლიან დღეებს. იქ, იმ ადგილებში, ბრძოლის ველზე იბადებოდნენ პირველი სახეები და პირველი სტრიქონები ამ ლექსებისა, მათი უმრავლესობა, კერძოდ „კაპიტანი ბუხაიძე", ჯერ საფრონტო გაზეთების ფურცლებზე იბეჭდებოდა.

ომი იყო უდიდესი და უმკაცრესი გამოცდა მარტო ჯარისკაცისათვის კი არა, პოეტისათვისაც. ომის შემდგომ წლებში დასავლეთ გერმანიაში აუარებელი მემუარები ქვეყნდება, რომლებსაც ომის მონაწილე გენერლები და ოფიცრები წერენ. ყველანი ერთხმად ომის წაგებას თავიანთ „ფიურერს" აბრალებენ. ეს დიდად ხელსაყრელია რევანშისტებისათვის: ომი გერმანიის გენერალურმა შტაბმა კი არ წააგო, არამედ ჰიტლერმა, რომელიც აღარ არის, გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი კი არ დამარცხდნენ, ჰიტლერი დამარცხდა. თურმე მოსკოვთან ბრძოლაც და სტალინგრადიც მარტო ჰიტლერმა წააგო — მას რომ ჩვენთვის დაეჯერებინა, პაულუსის 300 ათასიანი არმია გადარჩებოდა და მომდევნო ზაფხულში გამარჯვება ჩვენი იქნებოდაო, — წერს ვერმახტის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ცეიტცლერი; ხოლო გენერალი ბლიუმენტრიტი, შტაბის უფროსი მეოთხე არმიისა, მოსკოვს რომ უტევდა, უფრო, ასე ვთქვათ, ღრმა ანალიზს ახდენს: „აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიიდან და საფრანგეთიდან მოდიოდა მთელი მატარებლები, დატვირთული წითელი ღვინით. თქვენ, რა თქმა უნდა, წარმოიდგენთ, თუ რა საშინელი გრძნობა აღეძვრებოდათ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, როცა ყუმბარების ნაცვლად, ურომლისოდაც ჯარებს სული ეხუთებოდათ, მათ სთავაზობდნენ ღვინოს. თანაც, ეს ღვინო, ფრონტს რომ მოაღწევდა, დასალევად აღარ ვარგოდა. გზაში იყინებოდა, ბოთლები სკდებოდნენ და ხელთ მარტო წითელი ყინულის ნატეხები შეგვრჩებოდა ხოლმე". ასე ხსნის დამარცხების მიზეზებს ბლიუმენტრიტი. ხოლო გენერალ-ლეიტენანტმა კურტ ტიპელსკირხმა, ჯერ დონზე რომ იბრძოდა და შემდეგ მეოთხე არმიას ედგა სათავეში, დაწერა ვეება წიგნი „მეორე მსოფლიო ომის ისტორია", სადაც აღნიშნა, რომ „გაჯიუტებული ჰიტლერის მოუქნელი ხელმძღვანელობა ოპერატიული მასშტაბებით ღუპავდა ჯარების მიერ ესოდენ ძნელად მოპოვებულ წარმატებებს". ყოფილი სარდალი და ახლანდელი „მემატიანე" თავისი ჯარის დამარცხების სხვა მიზეზებსაც ასახელებს: „გერმანიის ჯარები — წერს იგი, — შეუჩერებლად ისწრაფოდნენ კავკასიისაკენ", მაგრამ თურმე „კომუნიკაციები ისე დაგრძელდნენ, რომ ავტოკოლონები, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებსაც საწვავი მოჰქონდათ, გზაში თვითონვე ხარჯავდნენ თავიანთი ტვირთის უდიდეს ნაწილს“, მერე, „საწვავის ტრანსპორტირებისათვის აქლემების ქარავანს ვიყენებდით“; აქლემები, მოგეხსენებათ, ბენზინს არ სვამენ, მაგრამ მეტად ზანტად დადიან, თურმე მარტო ამან, „საწვავის დაგვიანებამ, შეუშალა ხელი კავკასიის უღელტეხილების აღებას“.

არა, ეს ასე არ იყო. ომი წააგეთ იმიტომ კი არა, რომ აქლემებმა საწვავი არ მოიტანეს, ხოლო ყინვამ წითელი ბორდოს ღვინით სავსე ბოთლები დახეთქა, არამედ იმიტომ, რომ იყო ქვეყნად კაპიტანი ბუხაიძე, ერთი კი არა, ასი ათასობით, მილიონობით; ეს იყვნენ ყველა მოძმე საბჭოთა ხალხის შვილები, რომლებიც ერთი მეორის მხარდამხარ იბრძოდნენ თავიანთი სამშობლოს თავისუფლების გადასარჩენად.

ჩვენმა პოეზიამ უკვდავყო ამ მამაცი ადამიანების სახელი. ომის ყველაზე უფრო ცხარე დღეებში დაიწერა „კაპიტანი ბუხაიძე“. „მე ქართველი ბუხაიძე, ბალყარეთის მთებში ვწევარ“... როგორ შეძრა და ამღელვარა ამ უბრალო სიტყვებმა მთელი ხალხის გული, და ეს იმიტომ, რომ აქ ადამიანის ყველაზე მაღალი მისწრაფება იყო გადმოცემული; ეს მოთქმა იყო, მაგრამ როგორი ვაჟკაცური და გულამდე ჩამწვდენი! იქნებ იმიტომ, რომ ეს ლექსი ბრძოლის ველიდან შორს კი არა, ახლად გათხრილ საფლავის პირას იყო დაწერილი, მგავს იგი ძველებურ ქართულ მოტირილსაც და ძველებურ ქართულ ვაჟკაცურ გამოთხოვებასაც, როცა წასული ამ ცხოვრებიდან უბარებს დანარჩენებს, იდგნენ ამაყად და უშიშრად. ეს ლექსი დაწერილია ეპიტაფისებურად. ძველი საფლავის ქვების წარწერებში მუდამ თვითონ მიცვალებული ლაპარაკობს და იყო ამაში რაღაც მიამიტური თუ ბრძნული რწმენა, რომ ის, ვინც გიყვარდა, ისევ ცოცხალია და მიწიდანაც, შავეთიდანაც ისევ მოგაწვდინა ხმა. ასევე ისმის საფლავიდან მამაცი კაპიტნის ხმა;

და ვუბარებ ყოველ ქართველს,
მისი წმინდა ვალი არი —
მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეკრას
ღერბენდი და დარიალი.

აი, რამ გადაარჩინა კავკასია!

ზემოთ ჩვენ ტიპელსკირხის სიტყვები მოვიყვანეთ, იმ მიზეზებს რომ ხსნიდა, თუ რატომ ვერ გადმოვიდნენ გერმანიის ჯარები კავკასიის უღელტეხილებზე. მაგარმ ტიპელსკირხი თავის ვეებერთელა, ექვსასზე მეტ გვერდიან წიგნში არ ახსენებს იმ ქართველი გენერლის გვარს, რომელსაც კავკასიის უღელტეხილები ებარა, ებარა ვეება ფრონტი მთელი ოთხასი კილომეტრის სიგრძეზე. ეს იყო კონსტანტინე ლესელიძე, რომელსაც პოეტმა უძღვნა ლექსი, სადაც ისმის ომის ცხელი სუნთქვა და სადაც მთელი სიმაღლით ჩანს გამოჩენილი ქართველი სარდალი:

და ატყდა ომი.
და ფოლადით გამოჭედილი
როცა გულ-მკერდით
კავკასიის მთებში დგებოდი,
როცა მტრის ჯართან
ლომკაცური გქონდა ჭიდილი,
იცოდი, ვიცი,
რომ სიკვდილსაც ეჭიდებოდი.

და თითქოს ქართლის
გადარჩენის გსურდა მოსწრება,
სანამ სიკვდილი მოგისწრებდი,
როგორც დემონი.
რომ მტრისგან მკერდით დაგეფარა
ჩვენი ოცნება —
ჩვენი თბილისი,

. . . . . . . . . . .

შენთან, თვით მკვდართან,
მე შემეძლო გასაუბრება,
ჩემთვის კვლავ ის ხარ,
მეომარი, ჯართა მმართველი,
შენ მაგ სიკვდილით დაიმკვიდრე
იმის უფლება,
რომ, როგორც ცოცხალს,
გესაუბროს მუდამ ქართველი.

აქაც თითქოს იშლება საზღვარი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის და ამ ქვეყნიდან უკვე წასულს ესაუბრები, როგორც ცოცხალს; და ეს ჰქმნის უძლიერეს ემოციურ ეფექტს, რაღაც ძველებურ ზარს გახსენებს, დღემდე რომ შემორჩენილია საქართველოს მთიანეთში. მაგრამ პოეტის ლექსში ამ რიტუალის თუ ძველი ფოლკლორის ხერხების სტილიზაცია კი არ არის, არამედ ბუნებრივი და უშუალო მიგნება თავისავე სულში მოძმისადმი სიყვარულის გამოხატვისა; უშუალობა უპირველესი თვისება ირ. აბაშიძის ლექსისა და აქაც ეს მთელი ძალით ჩანს.

## ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო

თანამედროვე პოლონელი პუბლიცისტი ზბიგნევ ზალუსკი თავის წიგნში „ისტორიაში შესვლის უფლება“ წერს:

„ჩვენი ერი, ალბათ, როგორც არცერთი სხვა, მიჯაჭვულია თავის ისტორიაზე, ფიქრში მუდამ მასთან არის და განუწყვეტლივ, კვლავ და კვლავ, ახლად განიცდის მას“.

ამ სიტყვების ავტორს, ცხადია, ვერ მოვთხოვთ იცნობდეს ქართულ პოეზიას და ქართულ ეროვნულ მსოფლშეგრძნებას. ის დაინახავდა, რომ ქართველიც ასევეა „მიჯაჭვული თავის ისტორიაზე“ (და არა მარტო ქართველი), რომ ქართველი პოეტი ხელახლა განიცდის არა მარტო დიდგორსა და ბასიანს, მარაბ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დახა და კრწანისს, არამედ ქერჩსა და ქლუხორს, ისე როგორც პოლონელი თავის ვესტერპლიატესა და მონტე-კასინოს, განიცდის ისე, რომ ხანდახან გეჩვენებათ თითქოს იგი ჰკარგავს დროის შეგრძნობას.

ირაკლი აბაშიძეს აქვს ერთი ლექსი, „რად გელანდება“, რომელშიაც ვკითხულობთ:

როცა ტოლებში ლხინი ცხარდება
და გულ-ღვიძლს გიღნობს ტკბილი საკრავი,
უეცრად თვალწინ რად გეცხადება
ყუბანი, ქერჩი, ვლადიკავკავი.

რად გელანდება, რად გაგონდება,
მთებში ქვემეხთა ცხარე დუელი,
დაჭრილ ქართველის ჩუმი გოდება,
ველზე — დამწვარი ყაბარდოელი.

რად გელანდება, რაც გაქვს ნახული,
მეხის გუგუნში, ქართა ხრიალში,
ორმოცდაორის ცხელი ზაფხული,
სისხლის წვიმები კავკასიაში.

ეს არ არის მარტო ერთი ადამიანის, ამ შემთხვევაში პოეტის, ლირიკული განწყობილება; ეს არის, თუ შეიძლება ითქვას, ეროვნული, სახალხო ხსოვნა; ეს არის მოლანდება, რომელსაც ვერც მოიშორებ და არც გინდა მოიშორო, იმიტომ, რომ ეს შენი ხალხის ისტორიაა.

მაგრამ ეს ხსოვნა უფრო შორსა სწვდება, ვიდრე ერთი ადამიანის ხიცოცხლის ხანგრძლივობაა. „მე ხიბერის ზღურბლთან ვდგავარ, — ამბობდა მიშლე, — და ჩემს ცნობიერებაში, გარდა იმისა, რაც მე განმიცდია, არის კიდევ ორი ათასი წლის ისტორია... ეს არის ამბები, გატაცებანი, მოგონებანი“...

ამას ყველაზე მკაფიოდ პოეზია ადასტურებს.

აქ მინდა გავიხსენო ირაკლი აბაშიძის ლექსი „სამარყანდში“. პოეტი უზბეკეთშია, მოძმეთა ქვეყანაში. მას აქ აუარებელი მეგობარი ჰყავს, თანამოაზრენი, თანამებრძოლნი; ისინი გულღიად, სიყვარულით შეხვედრიან სტუმარს, დაატარებენ თავიანთ სამშობლოში, აცნობენ თავიანთ წარსულსაც, აწმყოსაც; ლამაზია უზბეკეთი, და პოეტსაც ალტაცება შეიპყრობს, ვინაიდან „სადაც არ უნდა მოხვდეს ქართველი, რა უცხოც ნახოს გადასახედი, ყველგან ერთი აქვს მყისვე სათქმელი: აგერ — გურია, აგე — კახეთი... ალბათ ამიტომ ის სილამაზეც მწვავდა, მრჩებოდა მისკენ თვალები, ხან მომეჩვენა ველი ალაზნის, ხან კავკასიის მთის მწვერვალები“. ამ მოგზაურობის დროს პოეტი ერთ ღამეს სამარყანდში გაათევს:

ძველ სამარყანდში,
ცა რომ ბულია
და მიწა ხვატით ღულს სამინელით,
„ბიჭო გოგია“, „ბიჭო გოგია“, —
განთიადისას კვნესდა ფრინველი.
ძილში ეს კვნესა,
ხმა უცნაური,
ჩამწვდა, ვით სუსხი მწვავე გოდების
და ფრინველს უხმოდ გავეხმაურე:
— შენ კიდევ აქ ხარ?
კვლავ ელოდები?

აწიოკება... გაწყვეტა... ცემა...
გადარჯულება... ყმობა... მძევლები...
სამშობლოვ ჩემო,
სამშობლოვ ჩემო,
შენს ახალ დღეებს შემოვევლები.

რამ გადაისროლა პოეტი ასე უცებ ახლიდან ძველ სამარყანდში, „კოჭლი ვეფხვის“ დედაქალაქში? მოლალურის „ბიჭო გოგიამ?“ საიდან არის ეს უცნაური და გულისდამწველი წუთიერი მოლანდება მეთოთხმეტე საუკუნისა, თემურის მიერ წაყვანილი ტყვეები აქედან რომ მისტიროდნენ სამშობლოს. რამ აღძრა ეს ჩვენებანი?

აღძრა იმან, რომ ადამიანი „მიჯაჭვულია თავის ისტორიაზე“, რომ ჩვენს ხსოვნაში სძინავთ საუკუნეებს და უცებ, რაღაც ბიძგის გამო, იღვიძებს ერთი მოგონება თუ მოლანდება.

იღვიძებს არა მარტო მაშინ, როცა საქართველოდან შორსა ხარ, არამედ შინ ყოფნის დროსაც. ლენტეხუმისაკენ მიმავალ გზაზე სამი ციხე დგას. პირველს „დაუხვდი“ ჰქვია, მეორეს — „დაჰკარი“ და მესამეს — „არ გაუშვა“... და პოეტი მიმართავს ჩვენს თანამედროვეს, მოგზაურს, შემთხვევით რომ მოხვედრილა ამ მიდამოში:

ყური მიუგდე ქედებს, მთა-გორებს,
ჩუმათ მთვლემარებს კიდეთ-კიდეში,
„დაჰკარ“, „დაუხვდი“ და „არ გაუშვა“
იქნებ მოგესმას ამ სიმშვიდეში.

პოეტი ხედავს: ეს ციხეები კი არა, კაცები არიან. „დაუხვდი“ — ფიცხი ჭაბუკია: ომის ქარბუქი თავს რომ აიწყვეტს, მომხდურს ყველაზე ადრე მან უნდა შეაგებოს მკერდი. როცა მტრების ალყაში გატყდება მისი ზღუდე, წაიქცევა ეს ჭაბუკი, მაშინ ომის ქარ-ცეცხლში გადაეშვება ციხე „დაჰკარი“ — ეს უკვე დინჯი და ქარმაგი ვაჟკაცია. როცა შემოხეულნი მასაც გადასთელავენ, მტრის წინ დგება ბერიკაცი, დგება ციხე, რომელსაც „არ გაუშვა“ ეწოდება.

„დაჰკარ“, „დაუხვდი“ და „არ გაუშვა“ —
აი, რა არის ჩვენი მამული.

ამავე ციკლს განეკუთვნებიან ლექსები „აფტო და დმანისი“, „დმანისის ქვები“ და „იქნებ ნატრობენ“. იქნებ ნატრობენ ეს მდუმარე ქვები, ეს ხავსმოდებულნი ნანგრევები, რომ შენ მათთან ერთად იყო, იქნებ ნატრობენ კაცებს, მეტყველებს, „ხევისბერივით ჩამომსხდარან მთები ქვიანნი, როგორც თემობა, შეწყობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ძველებური, რომ თქვან ზღაპრები სულიერი ადამიანის, წლიდან წლებამდე უწყვეტი და გაგრძელებული“. ამ უწყვეტზე და გაგრძელებულზე ბუტბუტებენ დმანისში მიყრილ-მოყრილი ქვები და თუ პოეტი ხარ, ის ხმები უნდა გაიგონო.

იქნებ ეს მარტო პოეტების სულში ხდება, იქნებ ეს გადაჭარბებული გრძნობიერებაა, მისული იდიოსინკრაზიამდე? არა, ეს უბრალო ხალხური გრძნობაა, ხალხის თვისებაა; ეს სამშობლოს მიწის ძახილია. ეს არ არის მარტო პოეტის განცდა. ჩვენი გლეხკაცები ომის წლებში ჯარისკაცის ფარაჯები რომ ეცვათ, პოლონეთსა, უნგრეთსა და გერმანიაში რომ იბრძოდნენ, პარტიზანებად რომ იყვნენ გასულნი საფრანგეთისა და იტალიის მთებში, ამასვე განიცდიდნენ. ჩემთვის უამბნიათ, რომ ხშირად გაზაფხულობით, ტყის ფრინველს გაუხსენებია მათთვის საქართველო. შორს მყოფი ჯარისკაცი ალერსით ეფერება ფრინველს, უცხოეთში „ქართულად რომ იძახის“, და ჯარისკაცები უკვე შინ არიან. არის რაღაც პოეტური ამ ამბავში. მრისხანე ჯარისკაცები უცებ სოფლელ ბიჭებად იქცნენ, ბუნების ლაღ შვილებად, ფრინველის ენა და ბალახის ჩურჩული რომ ესმით. დივიზია „ტოტენ კოპფის“ ჯარისკაცებს ეს არ დაემართებოდათ. მათს სულში პოეტს კი არა, მხეცს ეძინა. ამას თავის მიზეზი ჰქონდა და ეს მიზეზი „ეროვნულის“ ფარგლებს მიღმა ძევს. ეს უკვე კლასობრივია.

ახლა ვნახოთ რა არის ეს ეროვნული ხასიათი, რა ნიშნებით გამოირჩევა, როგორ უნდა ამოვიცნოთ და განვსაზღვროთ იგი?

ერისა და ეროვნული კულტურის იდეალისტური თეორიები ახლო წარსულშიც და დღესაც, უმრავლეს შემთხვევაში, აგებულნი არიან ოტო ბაუერის ე. წ. „ნაციონალური აპერცეფციის“ იდეაზე, ბაუერმა ეს ცნება კანტიდან გადმოიღო, ოღონდ ტრანსცენდენტალური „ნაციონალურით“ შეცვალა. შინაარსი კი არსებითად ერთი დარჩა: როგორც იქ, კანტის შემეცნების თეორიაში მთელ სინამდვილეს განსაზღვრავდა რაღაც წინასწარმოცემული იდეა, უკვე შემდგომში განსახიერებული ემპირიულ სინამდვილეში, ისე აქაც, ერს აფუძნებდნენ მისტიკურ იდეაზე, რომელიც დასაბამიდან აერთიანებს ადამიანებს ბედის საფუძველზე.

ისტორიული მატერიალიზმის მიხედვით, ერი არის ისტორიული კატეგორია, წარმოშობილი არა მისტიკური იდეის საფუძველზე, არამედ სავსებით რეალურ და მიწიურ საწყისებზე.

ერებსა და ხალხებს ბევრი რამ საერთო აქვთ: ვერავინ იტყვის, რომ, ვთქვათ, თავისუფლების იდეა მარტო ერთი ხალხის წიაღში დაბადებულიყოს და მერე სხვებს გადაეღოთ. არა, ეს ყველასია. ვერავინ იტყვის, რომ სილამაზე პირველად რომელიმე ერის შვილის ხილვის შედეგად დაბადებულიყოს და [illegible] ხალხებსაც გადაეღოთ. ასევე ამათ იქნება დავუწყოთ ძებნა პოეზიის პირვანდელ სამშობლოს. გოეთეს სიტყვებით, ჰერდერმა პირველმა აღნიშნა, რომ პოეზია „საერთოდ არის ნიჭი და უნარი, რომლითაც აღჭურვილია მსოფლიოს ყველა ხალხი და ის არ არის მემკვიდრეობითი კერძო საკუთრება ცალკეული მგრძნობიარე და განათლებული ადამიანებისა“ („პოეზია და სიმართლე“, წიგნი X). ასევეა სიკეთის, სათნოების, საერთოდ, ჰუმანიზმის გრძნობები.

მაგრამ, ამავე დროს, არსებობს ეროვნული ხასიათი ანუ ფსიქიკური წყობა, ეროვნული ტემპერამენტი და სპეციფიურობა. ის ჩანს პოეზიაშიც, კულტურის ისტორიაშიც, ხალხის მთელ ცხოვრებაში, ეს გარემოება ხაზგასმით არის აღნიშნული მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებებში, რომელთაც კაცობრიობის ისტორიის ერთადერთი სწორი და მეცნიერული განმარტება მოგვცეს, კერძოდ, დააფუძნეს ერის მატერიალისტური თეორია.

რა სპეციფიურობა შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ ეროვნულ ხასიათს, ამა თუ იმ ხალხის ფსიქიკურ წყობას? აი, მაგალითად, ირლანდიელების დახასიათების დროს კარლ მარქსი აღნიშნავს, რომ მათ უფრო მგზნებარე და უფრო რევოლუციური ხასიათი აქვთ, ვიდრე ინგლისელებს.

ხოლო ფრ. ენგელსი წერს, რომ ირლანდიელთა იმიგრაციას „ინგლისში და ინგლისის მუშათა კლასში შეაქვს შმაგი, ცოცხალი ირლანდიური ტემპერამენტი. ირლანდიელები და ინგლისელები ბევრმხრივ ისევე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც ფრანგები და გერმანელები... აღმგზნები და ფიცხი ირლანდიური ტემპერამენტის შერევა წყნარ, თავდაჭერილ და გონიერ ინგლისურ ტემპერამენტში, ბოლოს და ბოლოს, ორივე მხარისათვის მხოლოდ სასარგებლო შეიძლება იყოს. ინგლისის ბურჟუაზიის უსულგულო ეგოიზმი გაცილებით უფრო დიდხანს გაყვებოდა მუშათა კლასს, მასში რომ არ შერეულიყო სულგრძელი, პირდაპირ თავდადებული და გრძნობით აღსავსე ირლანდიური ხასიათი, და რომ წმინდა გონივრული, ცივი ინგლისური ხასიათი არ შერბილებულიყო, ერთი მხრივ, ირლანდიური სისხლის შერევით, და, მეორე მხრივ, ირლანდიელებთან მუდმივი ურთიერთობით“.

აქ ნაჩვენებია რით შეიძლება განსხვავდებოდეს ერთი ერის ხასიათი მეორისაგან, კერძოდ, ირლანდიული ინგლისურისაგან, რომელსაც ენგელსმა პარალელისათვის გვერდზე დაუყენა ფრანგული და გერმანული ხასიათები. ეროვნულ ხასიათზე ამბობენ მიუწვდომელი რამ არისო, მაგრამ აქ დასახულია ჭეშმარიტი გზა ამ საიდუმლოების ამოსახსნელად, ამ „მიუწვდომელის“ მისაწვდომად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა ეს მოსაზრებანი ბევრ რამეს ხსნიან ხალხთა ცხოვრებაშიც და, მაშასადამე, მათს ლიტერატურაშიც — ნათელყოფენ იმე, რომ ითვალისწინებენ ყველა სხვა ფაქტორებს, რომელნიც თავიანთი მჭიდრო ურთიერთ ზემოქმედებით წარმართავენ საზოგადოებრივი ყოფის განვითარების მთლიან პროცესს.

ეროვნულ ხასიათს ჰქმნის მთელი განვითარება ცხოვრებისა; მასში გამოხატულია, თუ რა ძალა და მისწრაფება აქვს ხალხს, რა საგანძურს ინახავს მისი სული. რუსთაველის ავთანდილი და ბარათაშვილის მხედარი გამოხატავენ ქართულ ეროვნულ ხასიათს, ეროვნულ გენიას, მაგრამ, იმავე დროს, ეს ზოგადკაცობრიული ხასიათებია... რუსთაველიცა და ბარათაშვილიც განასახიერებენ ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის, მოძმეთათვის თავდადების, სიკეთისა და სილამაზის დამკვიდრებისათვის, ნათელი მომავლისათვის ბრძოლის მაღალ იდეალებს. ისინი, ერთსა და იმავე დროს, ღრმად ეროვნულიც არიან და თანაც ვერ ეტევიან ეროვნულ ჩარჩოებში — მათს მერანს გასაფრენად მსოფლიოს ჰორიზონტები სჭირდება. სწორედ აქ არის ეროვნულისა და ზოგადკაცობრიულის დიალექტიკური მთლიანობა.

საქმე ის არის, რომ ერის ისტორია მსოფლიოს ისტორიისაგან გათიშულად არასოდეს არ მიმდინარეობს. ხალხებს ყველაზე სანუკვარი და ინტიმური — საერთო და განუყოფელი აქვთ, თუნდაც ისინი გეოგრაფიულადაც და ისტორიული ტრადიციების თვალსაზრისითაც ძლიერ დაშორებული იყვნენ ერთიმეორეს. ზემოთ ჩვენ ეროვნულ ხასიათზე რომ ვლაპარაკობდით, ირლანდია ვახსენეთ. ამ ქვეყანასთან საქართველოს არასოდეს არაფერი ჰქონია საერთო, არ ჰქონია შეხების არცერთი წერტილი. მაგრამ ისტორიის განვითარების ლოგიკამ შესაძლებელი გახადა ილია ჭავჭავაძეს თავისი გულის ყველაზე უფრო ღრმად ჩამარხული ფიქრები გამოეხატა წარმოშობით ირლანდიელი პოეტის თომას მურის ლექსის თარგმანში, რომელსაც ეწოდება „ირლანდიისადმი“.

> არ დაგივიწყებ, არა, არა!
> ვიდრე ჰფეთქს გული,
> ვიდრემდის მიდგას ძარღვში სისხლი,
> და პირში სული!
> თუმცა დიდების სვითა შენით
> მე დავტკბებოდი,
> მაგრამ მაშინაც მეტად
> მე ვერ მეყვარებოდი,
> ვით მიყვარხარ დღეს,
> სევდიანი, მჭმუნვარ-მწუხარე,
> გულდაკოდილი, მოღრუბლული
> და მგლოვიარე.

ეს სიტყვები გამოხატავდნენ არა მარტო ირლანდიელის, არამედ იმ დროის ქართველის, იტალიელის, პოლონელის, ბულგარელის, ყველა დაჩაგრული ხალხის სწრაფვასა და გულისტკივილს. ასე გააერთიანა ხალხები და ერები მეცხრამეტე საუკუნის ეროვნულგანმათავისუფლებელმა მოძრაობამ.

ეს მაგალითი თარგმნითი ლიტერატურის სფეროდან მოვიყვანეთ. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მჭევრმეტყველი დამჯაფიოა ისტორია ილია ჭავჭავაძის ორიგინალური ლექსისა „მესმის, მესმის“... გარიბალდიმ განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა რომ აღმართა და სიცილიიდან იტალიის ნახევარკუნძულზე დესანტი გადმოსხა, ილიამ სწორედ მაშინ დაწერა უკვდავი სტრიქონები: „მესმის, მესმის ხანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა, სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს, დასათრგუნად მონობისა! აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა და აღმიძრავს იმედს გულში, ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში“. აქვე ის ამბავიც გავიხსენოთ, რომ ილიას ვოლონტერად უნდოდა წასვლა გარიბალდის ჯარში და საერთოდ ქართული ინტელიგენციისათვის სიტყვა გარიბალდი — თავისუფლების სიმბოლო იყო. მათ საწოლ ოთახებში ამ დიდი იტალიელის სურათები ეკიდათ. გარიბალდის გარდაცვალება რომ შეიტყეს, გორელებმა იტალიაში სამძიმრის დეპეშა გაგზავნეს და ხელი ასე მოაწერეს — „გორის ინტელიგენცია“; რომში ეს დიდად გაუხარდათ გარიბალდის ჭირისუფლებს და საერთოდ თავისუფლებისმოყვარე იტალიელებს, მათ გადაწყვიტეს სამადლობელი პასუხის გამოგზავნა, მაგრამ რადგან გორი მათთვის სრულიად უცნობი იყო, აიღეს და პირდაპირ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შემოუთვალეს მადლობა „გორის ინტელიგენციისათვის“ გადასაცემად. საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის მხრივ ფიცხელი განკარგულება გასცა აღმოეჩინათ ის „თავხედი“ და „კადნიერი“ ადამიანები, ვინც გაბედა და სამძიმრის დეპეშა გაგზავნა უცხოეთში ისეთი საშიში ადამიანის გლოვაზე, როგორიც იყო გარიბალდი თვითმპყრობელობის მოხელეთა თვალში. ბევრი ეძებეს თურმე ავტორები სამძიმრის დეპეშისა, მაგრამ ოფიციალურად ხელი ვერავის დაადეს. თედო სახოკია ამ ამბის მოთხრობას შემდეგნაირად ამთავრებს: „ასე რომ, გარიბალდის გორელმა თაყვანისმცემლებმა შიში სჭამეს თავიანთი პატრიოტული გამოსვლისათვის“... სავულისხმო სიტყვებია: გარიბალდის ბრძოლაც, გლოვაც ამ ადამიანის გარდაცვალების გამო, საქართველოში პატრიოტული საქმე იყო. ეს ბევრ რამეს ხსნის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში, კერძოდ იმაში, თუ რამდენ ძნელია დასდო საზღვრები ეროვნულსა და ზოგადკაცობრიულს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ქართული ეროვნული ხასიათი იწრთობოდა დაუსრულებელ და გაუთავებელ ბრძოლაში ორი ათასზე მეტი წლის მანძილზე. რა კვალი დააჩნიეს მას ამ მძიმე საუკუნეებმა, როგორია იგი? გაიხსენეთ როგორები არიან რუსთაველის ავთანდილი და თინათინი, როგორია ბარათაშვილის თავგანწირული მხედარი, როგორები არიან ილიას ლელთ ღუნია და აკაკის ნათელა, ალ. ყაზბეგის ელგუჯა და ვაჟას ზვიადაური, კონსტანტინე გამსახურდიას ღიღოსტატი არსაკიძე და ლეო ქიაჩელის ტარიელ გოლუა... ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება გააგრძელო, მაგრამ ეს ხაკმარისია. ეს არის დიდი ენციკლოპედია, სადაც შეგიძლია ამოიკითხო თუ რა არის და როგორია ქართული ეროვნული ხასიათი. როცა ის სუფთა და შეუმღვრეველია, როცა ის თავისი ნამდვილი სახითაა წარმოდგენილი, უშუალოა, ვაჟკაცური, გულითადი... ფრ. ენგელსის პარალელების მიხედვით, ზემოთ რომ მოვიყვანეთ, თავისი სიფიცხით, მგრძნობიარებით ის უფრო ირლანდიურს შეიძლება შევადაროთ, ვიდრე ინგლისურს: მაგრამ ეს მსგავსებაც შორეული იქნება. კარლ მარქსმა ირლანდიას „ქმუნვის ქვეყანა“ უწოდა, საქართველოზე ამას ვერ იტყვი. ათას წელს ჩვენი კარის მეზობელი იყო ბიზანტია, ქართველი ახალგაზრდობა იქით ისწრაფვოდა სწავლა-განათლების მისაღებად, მაგრამ ქართველისათვის უცხო დარჩა ბიზანტიური ასკეტიზმი და მწვალებლობა, ერთ დროს ბიზანტიაში დიდად გავრცელებული იყო ხატთმებრძოლობა, მართალია, იგი დასძლიეს და უარყვეს, მაგრამ ბიზანტიურ ხატებზე გამოსახული წმინდანები არა ამქვეყნიური არსებანი იყვნენ, მათ ალარაფერი შერჩენოდათ მიწიური, ვინაიდან ოსტატებისათვის, მათ რომ ხატავდნენ, ეს ქვეყანა ცოდვის და წარწყმედის სამყოფელი იყო. მაგრამ შეადარეთ მათ ქართული ხატები და ფრესკები. პეტრე პავლენკო მშვენიერი მწერალი იყო, თბილისში იყო დაბადებული და საქართველოს კარგად იცნობდა. მაგრამ ის მაინც გაოცებული დარჩა, როცა პირველად გელათის ფრესკები დაათვალიერა — იქ მან დაინახა არა ფერმიმკრთალი და თვალებდაშრეტილი არსებანი, არამედ ლამაზი, ვაჟკაცური, გაბედული მხედრები ქალწულთა თვალებით. ის მიხვდა, რომ თვით ქრისტიანობას, ამ უაღრესად კოსმოპოლიტურ მსოფლშეგრძნებას საქართველოში მეტად თავისებური და ეროვნული სახე ჰქონია. მიხვდა, რომ ქართველთა წმინდანები — მხედრები იყვნენ. დრო, როცა ისინი წმინდანებად შერაცხეს — შფოთიანი იყო და მაშინ მარტო ლოცვით ლელოს ვერ გაიტანდი. მიხვდა, რომ ეს მათი უწმინდესობანი ხმლებით იწერდნენ პირჯვარს და მათ სახეებს რომ შეხედავ, ვერ იტყვი, რომ ისინი ხშირად მარხულობდნენ. მათ კარგი ჭამა, კარგი ხმა უყვარდათ, მათ სიყვარულიც იცოდნენ და ომიც. მათ სახარების გარდა „ვეფხისტყაოსანიც“ წაკითხული ჰქონდათ და „ვისრამიანიც“, ამიტომ კარგად იცოდნენ, რომ ვინც მიჯნური არ არის, ის არც მამაცია. იმ ფრესკებზე მათ ხმლები ისე მარჯვედ და საქმის ცოდნით უჭირავთ, რომ თამარის დროის ქართველს შეეძლო მშვიდად დაეძინა ასეთი დამცველების იმედით. ეს ახალგაზრდა, ხუჭუჭა თმა-წვერით მოსილი წმინდანები იარაღს არ დაჰყრიდნენ თვით მამა-ღმერთის წინაშე და უყოყმანოდ შეებმოდნენ მას, რაზედაც არ უნდა დაწყებულიყო ჩხუბი.

და მწერალი დაასკვნიდა: „მათ განიერი მხარბეჭი აქვთ და ხმაც ალბათ ბოხი და ზარიანი ჰქონდათ. მხოლოდ ამ წმინდანებს, ასეთი მამაცური თვალები რომ აქვთ, უმადლის საქართველო თავის გადარჩენას“.

ეროვნულ ხასიათს თვით ისტორია წარმოქმნის, ურთულესი კომპლექსი ცხოვრებისა, მთელი საზოგადოებრივი ვითარება დაწყებული ეკონომიურიდან და დამთავრებული სულიერი კულტურის უმაღლესი სფეროებით. აქ თავის როლს ასრულებს გეოგრაფიული გარემოც, ბუნებაც. ინდოელთა ეროვნულ ხასიათზე რომ ლაპარაკობდა, მარქსი იხსენებდა ჰიმალაის მთებს, და ბენგალაიის დაბლობს, ხოლო იტალიაზე საუბრის დროს — ალპებს, ლომბარდიის დაბლობს, აპენინებს და კუნძულ სიცილიის ბუნებას. არის პეიზაჟი, რომ ძარღვებში სისხლს აუჩქროლებს ადამიანს, ეალერსება, ალაგზნებს, არ შეიძლებოდა საქართველოს ცის ნორჩსა და ხასხასა სილურჯეს თავისი კვალი არ დაეჩნია ადამიანებისათვის, რომლებიც თვალის პირველი გახელიდან საფლავის კარამდე მას შესცქეროდნენ.

ირაკლი აბაშიძის პოეზიამ ქართული ეროვნული ხასიათი და ფსიქიკური წყობა თავისი ხალხისა გამოხატა ახალ ისტორიულ ვითარებაში, როცა ქართველი ხალხი, მოძმე საბჭოთა ხალხებთან ერთად, აშენებს კომუნიზმის სამყაროს. ეს არის წარმმართველი და მთავარი სტიმული ახალი ქართული პოეზიისა. და რომ იგი მაგარ და მტკიცე საფუძველზე ააგო, პირველ რიგში საჭიროა არ მოსწყდე შენს ფესვებს, შენს ცას და შენს მიწას.

პოეზია მუდამ იწყება სამშობლოს სახელით, მისი სიყვარული აძლევს ძალღონეს, თავის მადლს გაატანს თან და თვალს აუხელს თავის პოეტს მთელი უზარმაზარი სამყაროს სილამაზის სახილველად. ასე იყო მუდამ და ასეა ჩვენს დროშიც, საბჭოთა ეპოქაში; ჩვენი საუკუნე მყუდრო და წყნარი დრო არ ყოფილა, ის დიდი გარდაქმნების და გარდატეხების პროცესში ვითარდებოდა. ამ გარდატეხათა წიაღში დაიბადა და ამაღლდა ახალი, საბჭოთა საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველო. ახლის აგება, როგორც ვთქვით, მას შიშველ მიწაზე არ დაუწყია. მისი საქმეც და აზრიც, გრძნობაც და აღმაფრენაც იყო გაგრძელება და ახალი საფეხური ძველად ნათქვამის, ძველად ნამღერისა და ნაშენებისა.

ასევე ითქმის ახალ ქართულ პოეზიაზეც, კერძოდ, ირაკლი აბაშიძის შემოქმედებაზეც. მის ლექსებში მუდამ იგრძნობოდა ფესვები ძველისა, იმისა, რაც უკვდავი და ძლიერი იყო ძველ ქართულ კულტურაში, ძველ ქართულ მიწაზე; ეპოქათა ამ მემკვიდრეობითობას ვერ გამოხატავ უკეთესად, ვერ მოუძებნი უკეთეს სიმბოლოს, ვიდრე ეს მოცემულია ირაკლი აბაშიძის ლექსში „კომბაინი ბახტრიონთან“.

ირაკლი აბაშიძის პოეზია მთელი ხულით, სისხლითა და ხორცით განუყრელად არის დაკავშირებული ახალი საბჭოთა საქართველოს ისტორიასთან. არ ყოფილა დღე, როცა ის განზე გასდგომოდა ცხოვრებას, პოეტი მუდამ მის შუაგულში ყოფილა, ის ეფერებოდა პირველ მწვანე ჯეჯილებს საკოლმეურნეო მიწაზე, ის თავის ხალხთან ერთად იყო ფიცხელ მკაშიც და ფიცხელ ბრძოლაშიც, უმღეროდა პირველ საგუბრებს და პირველ კაშხალებს, მშვიდობას და ხალხთა მეგობრობას, ხალხის დიდებულ და კეთილ შრომას; მისი ლექსები — პოეტური მატიანეა ახალი საბჭოთა საქართველოსი, რომელიც ღონიერ და უკვდავ ფესვებზეა აღმოცენებული.

ირაკლი აბაშიძის ლექსში იგრძნობა ის უხილავი ძაფები, რომლებითაც პოეტის გული გადაბმულია ხალხის გულთან, სამშობლოსთან მის გაზაფხულთან, მის ქარხნებსა და მინდვრებთან... სამშობლო ცოცხლობს ადამიანში, პოეტში, ლექსში და ფერწერულ სურათში; ადამიანი-შემოქმედი პატრონია ამ მომხიბვლელი ქვეყნისა, მისი სისხლი სისხლთაგანია.

შერწყმა ბუნებასთან და გადასვლა ბუნებაში ტრადიციულად მოსდევდა ქართულ პოეზიას — მასში იხატებოდა, მთელი ძალით ღვიოდა დიდი სიყვარული სიცოცხლისადმი.

ვერ შეველიე აპრილის დილებს,
ლურჯ კიონდარზე ტყემლების ფთილებს.
. . . . . .
სამ ადლზე მქონდა გაშლილი მკლავი,
მე ვიყავ ძმობის გული და თავი.
. . . . . .
ვერ შეველიე ლამაზის ალერსს,
წადილით ავსილ ნამიან თვალებს.
. . . . . .
კრწანისში ძველთა ტკბილ გახსენებას,
ვერაზე ახალ ბაღთა შენებას.

აქ იგრძნობა ქართული ტემპერამენტი, გაშლილი გული, მზად რომ არის ჩაიხუტოს მთელი მსოფლიო, გაუნაწილოს ყველას თავისი სიხარული, და შორეულ ინდოეთშიც ისე იგრძნოს თავი, თითქოს შინ იყოს. „განგის ნაპირას“, როგორც არაგვზე, ახალ მწვანილზე, პურზე, არაყზე, დავსხედით, როგორც თბილისელები“.

ამ კონტექსტში მეტად საინტერესოა პოეტის შემდეგი სტრიქონებიც:

თუმც სულ ქართული მქონდა ბუნება:
გული მგოსნური, სული ფრთოსნური,
ახალგაზრდობის ყველა ცდუნება
თუმცა სულ ჩემზე იყო მოსული;

თუმც გაფლანგული მაქვს ასეული
ხან სიხარული, ხან დალონება,
მაინც ათასი ზეშთაგონება
მაქვს შენახული ვით ფასეული.

საქართველოს ისტორიას, მაღალ ინტელექტთან ერთად, აშენებდა ეს „გული მგოსნური, სული ფრთოსნური“, ამ რომანტიკული საწყისის მოძალება და მისი შერწყმა რეალიზმის დიდ გრძნობასთან.

აქ უნდა გავიმეოროთ ის, რითაც დავიწყეთ — ამ ეროვნულ თვითმყოფობას გაჰყავს ქართული პოეზია დიდ მსოფლიო ასპარეზზე. ამის დადასტურებაა საბჭოთა ეპოქის მოწინავე ქართველი პოეტების, მათ შორის ირაკლი აბაშიძის პოეზია.

ამიტომ ესოდენ თავისუფლად გრძნობს პოეტი თავს შორეულ ინდოეთში:

ასი ენა გვაქვს აღმოსავლელებს,
ჩვენზე მდიდარი ქვეყნად ვინ არი!
ას მღერალ ტალღას ერთად აელვებს,
ერთი დინება ზვიად მდინარის.
ჰანგი ჰანგს გვიგავს,
ენა ენას ჰგავს,
შიგ ჩვენი აზრი, ჩვენი გულია;
ასი კი არა,
ერთი ენა გვაქვს,
ეს ჩვენი ენა — სიყვარულია.

და პოეზიაც — ამ სიყვარულის გამოთქმა და გამოხატვაა.

## რუსთაველის ნაკვალევზე

იერუსალიმი... ჯვარის მონასტერი... შუა საყდარში დგას ქართველი პოეტი და ათვალიერებს ირგვლივ ყოველივეს, ასცქერის გუმბათს, მერე ლახეღავს იატაკს, ფერადი მარმარილოს კენჭებით რომ არის მოფენილი. ახსენდება ადრე წაკითხული, რომ სწორედ ამ ადგილას უნდა ჩანდეს შავი ნიშნები, ნაკვალევად რომ მიუჩნევიათ იმ ქართველთა სისხლისა, ოდესღაც სარკინოზებს რომ ამოუწყვეტიათ.

ეძებს, ათვალიერებს... აი, ეს უნდა იყოს ის ნაკვალევი, შავად ჩამხმარი მოზაიკის ფერად კენჭებში... როდინდელია? ვისია? იქვე იატაკში ჩაჭედილი ლითონის ფირფიტა ჩანს, ზედ ქართული ასომთავრული წარწერაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სწრაფად გავძახე კედლების წარწერებითა და ფრესკებით გართულ აკაკი შანიძესა და გიორგი წერეთელს, ისინიც მოვიდნენ და ამოვიკითხეთ:

„დექით მტკიცედ და შეურყევლად“.

ფრუანტელმა ამიტანა, — მოგვითხრობს ირაკლი აბაშიძე, — ამ პატარა ლოთონის დისკომ თითქოს ქვემოდან ამწია და ჰაერში შემისრილა, თითქოს იატაკიდან ამოვარდა გუგუნი თავგანწირულთა მოწოდებისა, თუ მახვილდაკრულთა სმაჩახლეჩილი ძახილი, სადღაც საუკუნეების გაღმიდან.

რითი არა ჰგავს ეს ძველი ქართული ახალს: „არც ერთი ნაბიჯი უკან!“

დექით მტკიცედ და შეურყევლად! — ვეჩვენება, რომ ამ სიტყვებს ფირფიტაზე კი არ კითხულობენ, საიდანღაც მოესმით. რა უცნაური წუთია, რა მტანჯველი გულის შეკრთომა!

ეს ადგილი ირაკლი აბაშიძის „პალესტინის დღიურიდან“ მოგვყავს, სადაც პოეტს მოთხრობილი აქვს თუ როგორ გაემგზავრა იგი გიორგი წერეთელსა და აკაკი შანიძესთან ერთად იერუსალიმში, როგორ მიაგნეს მათ უკვე დიდი ხნის დაკარგულ პორტრეტს რუსთაველისას, როგორი სასოებით და გულის თრთოლვით ხწმენდდნენ კედელს, და როგორ ჩნდებოდა სახე პოეტისა და შემდეგ როგორ ჩამოტანეს ეს სურათი საქართველოში.

მთელი ეს ამბავი ულექსოდაც, ისე სადად და უბრალოდ მოთხრობილი, როგორც პოეტის ჩანაწერებშია, თავისთავად არის უმშვენიერესი პოეზია.

მთელი ეს ამბავი სამუდამოდ დაამახსოვრდათ თანამედროვეებს და დარჩა საქართველოს ისტორიაში, როგორც დიდი სიხარულის დღე.

საუკუნეების მანძილზე გულში დაგუბებული ნაღველი და ტკივილი, ძებნა რუსთაველისა, ოცნება მისი კვალის პოვნისა იქცა ირაკლი აბაშიძის მთავარ თემად, უფრო მეტიც — იქცა მის პოეტურ ბიოგრაფიად. ორი ასპექტი აქვს ამ ძიებას: პირველი — ეს ისტორიისა და მეცნიერების სფეროა, სადაც ქართველი მკვლევარები ნაყოფიერ ძიებას იწყებენ ჯერ ისევ XVIII-XIX საუკუნეებში და დიდი წარმატებით განაგრძობენ დღესაც, მეორე კი — პოეზიის სამყაროა, დაუცხრომელი ფიქრისა და ოცნების სამყარო — აჩემებული იდეა — იარო მხოლიოს გზებზე რუსთაველის კვალის საპოვნელად; ეს უკვე საკუთრივ პოეტის მარშრუტია, ხოლო ჯერ ისევ არისტოტელე ამბობდა თავის „პოეტიკაში“, რომ პოეზია უფრო მართალია და უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე ისტორიათ.

ეს არის ძებნა, ხეტიალი პოეზიის სამყაროში. იქნებ ყველაზე კარგად ეს ვაიგო ლადო გუდიაშვილმა, რომელმაც პოეტის ფიქრი ნახატში გადაიტანა. ეს ნახატი სუპერზე აქვს დართული ირ. აბაშიძის წიგნს „რუსთაველის ნაკვალევზე“ — მასზე ჩანს უსაზღვრო, დაულეველი ლურჯი სივრცე ღრუბლების ქულებით და იმ სივრცეში კრთის მოჩვენება თუ აჩრდილი რუსთაველისა, ღრუბლებსა და ლურჯ მთებს მაღლა. იმავე სივრცეში ჩანან ქვეყნად უნახავი, უცხო რამ ფრინველები, მოფრენილნი ზღაპრიდან თუ სიზმრებიდან და მათ ცისარტყელასავით გაშლილი ფრთები აქვთ. ასე გაიგო მხატვარმა პოეტის ჩანაფიქრი, დახატა მისი ოცნება, თუკი საერთოდ ოცნების დახატვა შეიძლება. ამ მინიშნებით იხსნება ეს წიგნი და ჩვენ, პოეტთან, მხატვართან ერთად გადავდივართ ამ ერთსადაიმავე დროს რეალურ და ფანტასტიკურ სამყაროში, სადაც იწყება ძებნა რუსთაველის ნაკვალევისა.

რამდენ საგულისხმოა, რომ ყოველივე ამას პოეტი იწყებს თავის სიჭაბუკეშივე.

**1943** წელი... მოსკოვი... კავშირთა სახლის სვეტებიანი დარბაზი... ერთ სვეტზე — რუსთაველის დიდი პორტრეტია, და გასაოცარი მღელვარებით გადმოსცემს პოეტი ამ საგულისხმო ეპიზოდს:

თქვა, მგოსანით საოცრების მოველ
ქვეყნიდან,
მე გადავურჩი განუწყვეტელ წვას და
უკუნეთს,
რომ სიკვდილამდე მიჯნურობის ცეცხლი
ეკიდა,
სიკვდილის შემდეგ იწვებოდა რვა საუკუნე.

იერუსალიმში წასვლას წინ უძღვის მთელი ციკლი ლექსებისა, სადაც პოეტი მოუთხრობს მკითხველს, თუ რატომ ვერ მოუსვენია, რისთვის დადის მაღრიბის გაუთავებელ გზებზე:

და მეც დავალ,
ვინძლო მის კვალს ვინიშნებდე
ინდოეთის
გადაკარგულ გზებზე,
რვაასი წლის,
რვა ათასი წვიმის შემდეგ
მის ნაფეხურს,
მის ნაკვალევს ვეძებ.
სად იარა,
სად უცქირა ცრემლთა ფრქვევას,
სად მოუსწრო
ძმას შეფიცულს ძმასთან?
არაბეთის ზღვასთან იდგა?
მეც აქ ვდგავარ,
მეც აქ მოველ,
არაბეთის ზღვასთან.

პოეტი მოგვითხრობს, თუ რამდენ ხანს ეძებდა ამ კვალს. სად, სად არ გძებნე, მესხეთს თუ სამცხეს, მე გული ჩემი შენს მონად ვრაცხე, ინდთან და განგთან, ფენჯაბს და ლახორს, შორს, სულ შორს, მაგრამ ახლოს, სულ ახლოს, შენი ხმა მოწვდა ჩემს მგოსნურ გუმანს.

მეც ჩემი სმენა დავძაბე უმალ, და მგოსნის გზნებით და მდევრის გზნებით, ვკეცე და ვთელე მაღრიბის გზები, მაგრამ ის გზები სდუმან და სდუმან.

და ბოლოს, აი, იერუსალიმიც... ჯვარის მონასტერი.

მიძნელდება გადმოვცე შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს ლექსი „შენ აქ ხარ“. რა არის ეს? დიადი სევდა და მწუხარება, თუ ზენა სიხარული. იქნებ ეს არის ის თავდავიწყება, ის ექსტაზი, როცა ადამიანი ეზიარება მარადისობას და ჰკარგავს დროის შეგრძნებას; არის რაღაც იდუმალი იმ ხმელ ჭახანშიც, რომლითაც ჯვარის მონასტრის კარი იხსნება, თრთოლვით და ძაგძაგით ეხება ხელი ამ კარს, და ესმის ზარი, საუკუნეების წინათ რომ რეკდა, თითქოს იმ საუკუნეებიდან წამოსული ქარი დაჰკრავს და გარდასულ ჟამთა სუნთქვას მოიტანს. „შენ აქ ხარ, აქ ხარ“, აღმოხდება პოეტს და აქედან იწყება ის წუთები, როცა იგი უსმენს საუკუნეების წინათ აქ წარმოთქმულ ღაღადს.

უსმენს რუსთაველს, ესმის მისი ამოკვნესა და უკანასკნელი დანაბარები სამშობლოსადმი.

არსებობს ასეთი ცნება — „ფილოსოფიური ერთდროულობა“. იგი, შეიძლება აბსტრაქტული მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ ჭეშმარიტია მაღალი პოეზიის თვალსაზრისით, ხოლო ეს სფერო სულიერი კულტურისა მუდამ როდი ემორჩილება მარტივ ბიოლოგიურ კანონს — ყველაფერი, რაც დაიბადა, უნდა მოკვდეს; „ფილოსოფიური ერთდროულობა“ გულისხმობს, რომ ყველა თაობანი წარსულისა და აწმყოსი ურთიერთშორის თანამედროვენი არიან. ეს ფილოსოფიური ერთდროულობა აძლევს აზრს ერის ისტორიასაც და მსოფლიო ისტორიასაც; ის აძლევს დანტეს შესაძლებლობას ელაპარაკოს ვირგილიუსს, როგორც თანამედროვეს, თუმცა მათ თითქმის ცამეტი საუკუნე აშორებთ ერთიმეორისაგან. ის აძლევს შესაძლებლობას აკაკი წერეთელს ელაპარაკებოდეს რუსთაველს და რჩევასაც სთხოვდეს — გვასწავლე სიტყვის საიდუმლო, რომელსაც შენ ფლობდიო. ის შესაძლებლობას აძლევს გიორგი ლეონიძეს ელაპარაკოს ბარათაშვილს, როგორც ცოცხალსა და თანამედროვეს. ეს ფილოსოფიური ერთდროულობა კაცობრიობას სჭირდებოდა იმისათვის, რომ ეჯობნა სიკვდილისათვის, დაპირისპირებოდა ეკლესიასტეს მოთქმას — ამაოთა ამაოება და ყველაფერი ამაო, ან ნაღვლიან ქართულს: ბინდის ფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება.

ამ სასოწარკვეთილებას აი რა პასუხი გასცა ირაკლი აბაშიძემ:

არა, არ წაგყვეს,
არ წაგყვეს ჯავრი,
თუ ბინდის ფერი არის ყოველი,
რატომ დგას, რატომ, დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი.

ირაკლი აბაშიძემ შეიძლო ფანტაზიით გადასულიყო მეთორმეტე საუკუნეში ისე, რომ დარჩენილიყო მეოცე საუკუნის პოეტად.

გადასულიყო და მოესმინა რუსთაველის ხმები, „ხმა ჯვარის მონასტრის გალავანთან“, „ხმა ზეთისხილის ბაღში“, „ხმა სამრეკლოსთან“, „ხმა თეთრ სენაკში“, „ხმა კატამონთან“, „ხმა გოლგოთასთან“... აქ ყველგან ჩვენ ვხედავთ შეყვარებულ რუსთაველს, თვით სიკვდილის მოახლოების წუთებშიც შეყვარებულს მიწაზე, საქართველოზე, დიდ თამარზე და ჩვენი ქვეყნის სიცოცხლეზე. აქ კარგად არის გადმოცემული საიდუმლო რუსთაველის უკვდავებისა — მისი უჭკნობი სიყვარული სიცოცხლისადმი, ჰუმანიზმი, თავისუფლებისმოყვარეობა, მისი დაუცხრომელი ლტოლვა სილამაზისადმი, მისი რწმენა ადამიანის გულისა და გონების ძლევამოსილებისადმი. და აქ, პალესტინის მონასტრული მყუდროების, გაცრეცილი ხატების, მთელი ამ მკვდართა სამყაროს, ამ სასაფლაოების მიღმა შრიალებს მუდამ ჭაბუკურად ნორჩი გაზაფხული — მზე კირჩხიბზე ზის და ქვეყნად მწვანე ამოდის, შრიალებენ მესხეთის ვენახები და მერცხლები თავს დასტრიალებენ თმოგვის ხავსიან კედლებს.

ადამიანს აქვს სამშობლო — ეს არის მიწა-წყალი, მთები და მდინარეები, ლაჟვარდი ცა და მზე; აქვს სამშობლო — სოფლის ორღობე თუ ქალაქის ქუჩა, რომელიც პირველი დაინახა თვალის ახელისას; აქვს სამშობლო — მამის სახლი და პირველი სკოლა, ჭეჭილებით ამწვანებული მინდორი და სოფელ-ქალაქებით სავსე ხეობები, — ყველაფერი, რაც შენს ირგვლივ არის, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია.

ასეთია სამშობლო, აღბეჭდილი რუკაზე; ამას გარდა, ადამიანს აქვს შინაგანი სამშობლო, ეს არის დედა-ენა, რომელშიაც გადახატულია ყველაფერი — ეს ლაჟვარდი ცაც და შფოთიანი არაგვიც, დედის სახეც და შვილის თვალების ფერიც, მინდორიც და ტყეც და საგულისხმო ის არის, რომ ამ სამშობლოს თან წაიღებ ყველგან, ცხრა მთასა და ცხრა ზღვის იქითაც რომ იყო გადახვეწილი და განდევნილი. ენა აძლევს კაცს შესაძლებლობას თან ატაროს თავისი სამშობლო; მასში ყველა სიტყვა — ხატია, სურათია, ფიქრია, სუნთქვაა, სრბოლა და აღმაფრენა, ქვათა და კირთა დუღაბია და ჭირთა მალამო...

ასეთია აზრი ლექსისა „ხმა კატამონთან“. აქ კარგად არის მინიშნებული, თუ რამ გააძლებინა საქართველოს საშინელი ქარტეხილებიანი საუკუნეების მანძილზე, როცა ერთ განსაცდელს უმალ მეორე მოჰყვებოდა ხოლმე. თავის დროზე ბაირონმა პოემაში „დანტეს წინასწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტყველება“ დიდ იტალიელ პოეტს ათქმევინა: ჩემს სხეულს სამშობლოს მიწა მიიბარებს, ჩემი სული კი მის ენაში დარჩებაო. ეს არის უკვდავება, ასე დარჩა დანტეს სული იტალიურ ენაში, პუშკინისა — რუსულ ენაში, ხოლო რუსთაველის სული ასევე ცოცხალია ქართულ ენაში. ვინც რუსთაველი იცის, ვისაც ის უყვარს, გრძნობს კიდევაც მას, ხედავს მას და ესმის მისი ხმა არა მარტო „ვეფხისტყაოსანში“, არამედ ყველგან — ილიასა და ვაჟას ლექსებშიც, გრძნობს ლელის, მეგობრის, სატრფოს საუბარში, მზით განათებულ ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში, ყველგან, ყოველ ნაბიჯზე.

ენა — ერის უკვდავებაა; ვინ მოსთვლის რამდენმა ომმა დაარბია საქართველო, რამდენმა მტერმა აიღო მისი ციხეები, მაგრამ ვერსაიდან მიუდგა ერთ დიდ ციხე-სიმაგრეს — ქართულ ენასა და „ვეფხისტყაოსანს“; ამიტომ გადარჩა ეს პატარა ქვეყანა:

დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დაიკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ, უქნობს,
შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?

ეს ლექსი ეხმაურება გარდასულ საუკუნეებს, უნებურად გახსენდება იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, დაწერილი მეათე საუკუნეში, სადაც ნათქვამია: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“, შემდეგ უნდა გავიხსენოთ თქმულება, შეტანილი მეთერთმეტე საუკუნის ძეგლში — გიორგი ათონელის თხზულებაში „ცხოვრება იოანესი და ეფთიმესი“, რომელიც მოგვითხრობს ამბავს იმაზე, თუ რამ იხსნა სიკვდილისაგან ექვთიმე მთაწმინდელი. კონსტანტინეპოლში, ბერძნულად განსწავლულ ექვთიმეს ხრულიად დაავიწყდა ქართული ენა. გავიდა ხანი და მძიმე ავადმყოფობამ შეიპყრო. სახიკვდილო აგონიაში მყოფს, ხენაკში შუაღამისას წარმოუდგა ვინმე დიდებული დედოფალი, ჰკითხა: „რაი არს, რაი გელმის (გტკივა) ეფთიმე?“ „ვკვდები, დედოფალო!“ როგორც კი ეს გაიგონა, მოჩვენება მიეახლა, მაჯაში ჩასჭიდა ხელი და უთხრა: „არარაი არს ვნება შენ თანა, ნუ გეშინიან, აღსდექ, და ქართულად იუბნე“. იმ წუთამდე ძლიერ უჭირდა ექვთიმეს ქართული („ძნიად უბნობნ ქართულად“) და დიდად ნაღვლობდა ამის გამო. იმ ღამეს კი წამოდგა და დაიწყო ლაპარაკი ქართულად „დაუყოვნებლად, ვითარცა წყაროი, აღმოდინ უწმინდეს ყოველთა ქართველთასა“.

ასე გამოსტაცა კაცი სიკვდილს დედა-ენამ, უკვდავმა და მარადიულმა. ამ სიმბოლოში, იყო დიდი აზრი, რწმენა და სიყვარული ენისადმი. ა. ვესელოვსკიმ ეს ქართული თქმულება მთელ მსოფლიო ლიტერატურაში სამაგალითოდ მიიჩნია და დააყენა ძველ ბერძენთა მითოსის გვერდით აპოლონზე, შვიდსიმიანი ლირა თუ კითარა რომ ეპყრა ხელთ, აქვე მან ჰომეროსის დემოდოკოსიც გაიხსენა, რომელსაც მუზებმა თვალის სინათლე წაართვეს და სანაცვლოდ მომაჯადოებელი ხმა მიანიჭეს. განა ქართული თქმულება უფრო კეთილი და ჰუმანური არ არის?

ასე, ათასი წლის შემდეგ ეხმაურება თანამედროვე ქართველი საბჭოთა პოეტი საუკუნეთა გადმოძახებას ჩვენკენ, ჩვენი ეპოქისაკენ და თვითონ ეს ფაქტი ბრწყინვალედ ადასტურებს ირაკლი აბაშიძის სიტყვებს — დაეცეს იქნებ სიმაგრე ყველა, ხოლო შენ, უქნობს ვერაფერი ვერ მოგერევაო. ამ ნაწარმოებთა შორის განვლილმა ათასმა წელმა ათასზე მეტი ჭირი და განსაცდელი დაატეხა თავზე საქართველოს, მაგრამ ვერაფერმა გატეხა იგი; და აი, ქართული ენა კვლავ, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ლაღად ფრთაგაშლილი და აღორძინებულია დიად საბჭოთა ეპოქაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გაწერელია

# მხატვრული ენის სპეციფიკური არსის საკითხისათვის

1. მხატვრული ენის სპეციფიკური არსის თეორიული თვალსაზრისით ახსნა და მისი ფორმულირება მთელ რიგ სიძნელეებს აწყდება. უწინარეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია არა მარტო თეორიულ მოსაზრებათა უთვალავი სპექტრი, არამედ სალიტერატურო ენათა განვითარების სტადიები თვითეულ კერძო შემთხვევაში; რადგან ენის „მხატვრული ნიშნების" რეალიზაცია ნაციონალური მეტყველების (სიტყვის) ფარგლებში ხდება, ხოლო ეს ფარგლები შინაგანი თავისებურებებითა და მხატვრულ გამოთქმათა სტილური ორიგინალობით ხასიათდება, თეორიულ განზოგადებებს ეკარგება ყოველგვარი მნიშვნელობა, ან ისინი მიახლოებითსა და შედარებითს (რელატიურ) ცნებებთა წრეში რჩებიან, თუ ესათუის დასკვნა მოწყვეტილია ენათა ევოლუციის ძირითადი კანონების ცოდნას, ამ ენათა ბაზაზე შექმნილი სალიტერატურო შედევრების უაღრესად ინდივიდუალური სტილის ინტიმიურ აღქმას და ა. შ.

მეორე დაბრკოლებას ქმნის ის გარემოება, რომ ლიტერატურის, როგორც სისტემის შიგნით ძირითად გვართა და ჟანრთა ენა გარკვეული დიფერენციაციით ხასიათდება. ეს იმით აიხსნება, რომ თვითეულ ჟანრში ერთი რომელიმე კომპონენტი თუ ფაქტორია დომინიური, რომელიც ამ ჟანრის კონსტრუქციის რეგულატორია (რიტმი — ლექსით ნაწარმოებებში, მოქმედების სისტემა — დრამაში, სიუჟეტი — პროზაში და ა. შ.). თანაც: ეს დომინიური ფაქტორები შესუსტებული სახით მოქმედებენ საპირისპირო ჟანრებში („რიტმულობით", მაგრამ არა რიტმით, როგორც სისტემით შეიძლება მდიდარი იყოს მაგ. რომელიმე პროზაული ნაწარმოების თხრობითი ენა; მოქმედების დინამიკური პრინციპი, დამახასიათებელი დრამატული ქმნილებისათვის, გვხვდება არადომინიური კომპონენტის სახით პოეტურ ეპოსში და პროზაშიც და ა. შ.). ეს მომენტი თავის გამოხატულებას პოულობს ჟანრობრივად განსხვავებულ ნაწარმოებებში და იგი თავის დაღს აჩნევს ამ ნაწარმოებთა ენას: რაც „მხატვრული" შეიძლება იყოს პროზისათვის (ცალკეული ელემენტების სახით), იგი შეიძლება რუდიმენტური ფერმენტების დონეზე აღმოჩნდეს დრამისათვის და ა. შ.

უფრო კონკრეტულად რომ წარმოვიდგინოთ ყოველივე ზემოთ აღნიშნული, საჭიროა ესკიზურად მაინც გავითვალისწინოთ სალიტერატურო ენათა განვითარების თავისებურებანი უეჭველი ისტორიული ფაქტების საფუძველზე (და არა მარტო ქართულის მასშტაბით).

ცნობილია, მაგ. დასავლეთ-ევროპული ენების (ინდოგერმანულის, რომანულის) სალიტერატურო ენებად ჩამოყალიბების ისტორია. ინდოგერმანულ ენებს შორის ყველაზე მდიდარი საკუთრივ გერმანული ენა სახალხო-სალიტერატურო მეტყველებად გაფორმდა რეფორმაციის ხანაში, მისი ფუძემდებელია მარტინ ლუთერი, „ბიბლიის" გენიალური გერმანულით მთარგმნელი. მაშასადამე, ლუთერამდე გერმანული სალიტერატურო ენა დიალექტიური ენის ცალკეულ სახეობათა სისტემას ქმნიდა; ზოგად იტალიური სალიტერატურო ენა წარმოიქმნა უმთავრესად ტრეჩენტოს (XIV ს.) ეპოქაში, ფლორენციული დიალექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის დახვეწილი მეტყველების რანგში აყვანის გზით (ჯერ დანტეს, შემდეგ და საბოლოოდ — პეტრარკასა და ბოკაჩოს წყალობით); იგივე გზა გაიარეს ფრანგულმა და სხვა ენებმა. ამ ეპოქამდე კერძოდ ზოგად-საერთო სალიტერატურო იტალიური არ არსებობდა; სრულიად უჩვეული გზა გაიარა ინგლისური სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებამ. კელტური დიალექტების (უელსი, შოტლანდია...) ანგლო-საქსურ დიალექტებში აღრევის შედეგად (VI–X სს) ინგლისში ჯერ კიდევ არ არსებობდა საერთო-სახალხო ლიტერატურული ენა. მხოლოდ ფრანგული (ნორმანდიული) დიალექტის ანგლო-საქსურთან საბოლოო შერწყმის (XI-XIII სს) და სიმბიოზის ნიადაგზე ყალიბდება დღევანდელი ინგლისური (ლონდონის დიალექტის გაბატონებით). ჯეფრი ჩოსერი ამ ენის სათავეშია, ხოლო სტიქიურ გამარჯვებას იგი ჰუმანიზმის ეპოქაში აღწევს (XV-XVI სს. — შექსპირი, ჯონსონი...). ევოლუციის ასეთი ხანგრძლივი პროცესი ერთხაზობრივი არ ყოფილა არცერთ კულტურულ ევროპულ ქვეყანაში. მაგ. ცნობილია ე. წ. „ნეოლათინურის" თ ა ნ ა ბ ა ტ ო ნ ო ბ ა ეროვნულ ენათა განვითარების ზოგიერთ ეტაპზე, როცა საზოგადოების ელიტარული ფენები ამჯობინებდნენ მკვდარ ლათინურზე ლიტერატურული და მეცნიერული ნაწარმოების შექმნას. ზოგჯერ ეს ტენდენცია ერთბაშად და პარალელურად გვხვდება ცალკეული ავტორების ქმნილებებში. მაგ. პეტრარკა რაფინირებული იტალიურით წერს Canzoniere-ს, ხოლო თეორიულ ტრაქტატებს — „საიდუმლოს" და „ჩემს საიდუმლოს", აგრეთვე დიდ პოემას „აფრიკა" — ლათინურად; ლათინური პოპულარული იყო ნიდერლანდებსა და გერმანიაში რეფორმაციის პერიოდში (ერაზმ როტერდამელი, ჰუტენი და სხვები ძირითადად ლათინურად სწერდნენ). ინგლისში ბიბლიის პირველი თარგმანი ლათინურად შესრულდა, ხოლო ამ ქვეყნის ჰუმანიზმის პერიოდის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის თომას მორის „უტოპია" თავდაპირველად ლათინურ ენაზე დაიწერა. XV ს-ის იტალიური ელიტარულ-ჰუმანისტური კულტურა (ე. წ. კვატროჩენტოს ხანა) ლათინურის ბატონობით ხასიათდება (ლორენცო მედიჩის ლირიკა, ფილოლოგიური შტუდიები და ა. შ.). „ნეოლათინური" ლიტერატურა ევროპული ჰუმანისტური ეპოქისა რომაულ ლიტერატურას კი არ ეკუთვნის, არამედ ევროპის ხალხთა კულტურას. ამდენად თეორეტიკოსები მსჯელობენ ამ ლიტერატურის ენის მხატვრული ნიშნების შესახებაც.

ჩვენ არ ვეხებით აღმოსავლეთის ენების, აგრეთვე ბიზანტიურ-ბერძნულ ენაზე შექმნილი ძეგლების (მაგ. ჰიმნოგრაფიული პოეზიის, თეოლოგიური შრომების და სხვ.) განვითარების გზებს, ეს საკითხები სპეციალურ შრომებშია განხილული, ვიტყვით მხოლოდ, რომ ენის მხატვრულობის უხვ საილუსტრაციო მასალას გვაწვდიან არა მარტო სპარსელი და არაბი პოეტებისა და მწერლების უკვდავი ქმნილებანი, არამედ თეოლოგიური და მისტიკური სულით გაჟღენთილი ქრისტიანული პოეზიაც (მაგ. იოანე დამასკელის „კანონები", გრიგოლ ნაზიანზელის ლირიკა და სხვ. იგივე ითქმის აფრიკულ-ლათინური ლიტერატურის შესახებ — აპულეუსი, ნეტარი ავგუსტინე...).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მხატვრული ენის სპეციფიკური არსის შესახებ მსჯელობისას არ შეიძლება განხილვის არეალიდან გამოვრიცხოთ ამათუიმ ენის დიალექტებზე შექმნილი ნაწარმოებები. საქმე ისაა, რომ მაგ. ელინური პერიოდის საბერძნეთში (IX-IV სს. ძ. წ.) სწორედ დიალექტურ ენებზე შეიქმნა იგავმიუწვდენელი ქმნილებანი ეპოსის, ლირიკის, დრამისა და პროზის (ისტორიულის, ფილოსოფიურის, დრამატულის) დარგებში. იონური, ეოლიური, დორიული და — ბოლოს—ატიკურ-დორიული დიალექტები თანაბარუფლებიანი სალიტერატურო ენები იყო ელინურ პერიოდში და ჯერ კიდევ საკითხავია — რომელი ქვეყნის ჩამოყალიბებულ საერთო-სახალხო ენაზე შექმნილა მხატვრულად უფრო სრულყოფილი ქმნილებანი ლირიკის (საფო, პინდარე...), ტრაგედიისა და კომედიის (ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, არისტოფანე...) ან ფილოსოფიური და ისტორიულ-რიტორიკული პროზის (ჰეროდოტე, თუკიდიდე, პლატონი, დემოსთენე...) სფეროში. მგონი სადავო არაა, რომ დიალექტებზე შექმნილი ელინური ლიტერატურა ენის მხატვრულობის სფეროში გამოთქმის სრულყოფილობათა მაქსიმუმითაა აღბეჭდილი.

მაშასადამე, საკუთრივ ლიტერატურაში დიალექტური ენების მნიშვნელობის შემცირება — ანტიისტორიზმია. ამასთან, დიალექტებს შეუძლია უაღრესად მნიშვნელოვანი და ფუნქციურად დიდად ღირებული როლი შეასრულონ ცალკეული ნაწარმოების ენის მხატვრულ ქსოვილში: ისინი ან პაროდიის მასალად იქცევიან (მაგ. არისტოფანეს კომედიაში „ლისისტრატე", გ. ერისთავის ზოგიერთ პიესაში, ოსტროვსკის დრამებში, ლათინურის პაროდია მოლიერის „გააზნაურებულ მდაბიოში" და მრ. მისთ), ან ტიპიზაციის ერთ-ერთ და ძლიერ საშუალებად იქმნას გამოყენებული (მაგ. დ. კლდიაშვილის პიესებსა და პროზაში). დიალექტის სალიტერატურო ენის რანგში აყვანის მაგალითია რ. ბერნსის ლირიკა, ხოლო ვაჟა-ფშაველა დიალექტის (ფშაურ-ხევსურულის) გამოყენებით საფუძველს უქმნის მსოფლიო მასშტაბის მქონე მითოლოგიზირებულ პოეტურ ეპოსს.

ყველა ქვეყნის პოეზია, პროზა და დრამა

უხვ მასალას გვაწვდის ანალოგიური მაგალითების ჩამოთვლისათვის.

მოკლედ: დიალექტის ფუნქცირება ან პაროდიულ ასპექტში განიხილება, ან ნაწარმოების ნეგატიური შეფასების ფარგლებში, ან კიდევ — უმაღლესი სრულყოფილობის თვალსაზრისით (პოლისური საბერძნეთის ლიტერატურა, ვაჟა-ფშაველა...). მხატვრული ენის სპეციფიკური არსის შესახებ მსჯელობისას ეს მომენტი თეორეტიკოსს არც ერთი წამით არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან.

2. „მხატვრული ენის“ ცნებაში ჩვეულებრივ იგულისხმება საკუთრივ სალიტერატურო ენის ესთეტიკური კორელატი, გამოთქმათა სრულყოფილობის კოეფიციენტი. თუ როგორ რეალიზდება ეს მომენტი თვითეულ ცალკეულ შემთხვევაში — ცალკეულ ნაწარმოებთა თუ ავტორთა სტილზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად ხდება ცნობილი. მაგრამ თვითონ ანალიზის მეთოდისა და გამოყენების სფეროები მრავალფეროვანია და ამ დარგში ლიტერატურისმცოდნეობის მომიჯნავე დისციპლინებიც აცხადებენ გარკვეულ უფლებებს. ამ დისციპლინათა თვალსაზრისებისა და მონოპოლიური ცდების ისტორიული მიმოხილვა ჩვენს ამოცანას არ შეადგენს. მოკლედ შევეხებით მხოლოდ 1. წმინდა ლინგვისტურ, 2. ლინგვისტურ-სტრუქტურალისტურ და 3. პოეტიკურ (ავტონომიურ ლიტერატურისმცოდნეობით) ასპექტებს.

ლინგვისტიკა მხატვრული ენის სპეციფიკური ნიშნების დადგენის ამოცანის ახსნის დანიშნულებას აკისრებს სტილისტიკას. ეს განშტოება, როგორც ენის გარკვეული მხარის შემსწავლელი ნაწილი, ზოგჯერ „ენათმეცნიერების შესავალში“ შეაქვთ ლექსიკოლოგიის ნაწილად (ა. ა. რეფორმატსკი და სხვ.). ლინგვისტების გარკვეული ჯგუფი საგანგებოდ განიხილავს „სიტყვის ტიპებს ენაში“, სიტყვათა „პოლისემიას“, მეტაფორას და მეტონიმიას და ა. შ. აგრეთვე სინტაქსური ფორმების თავისებურებებს და სხვ. ე. ი. იმ ელემენტებს, რომელთაც პოეტიკა ეხება „სტილისტიკის“ რუბრიკის ქვეშ. ზოგადენათმეცნიერული აზროვნების თვალსაზრისით განსაკუთრებით გავლენიანი და პოპულარული აღმოჩნდა ე. წ. სინქრონული ლინგვისტიკის მამამთავრის ფერდინანდ დე სოსიურის მოწაფის შარლ ბალის შრომები „ფრანგული ენის სტილისტიკა“ (1909) და „ზოგადი ლინგვისტიკა (1932). შ. ბალი სტილისტიკის ძირითად ამოცანად სახავს მხატვრული ენის, როგორც სტილური კატეგორიის ექსპერიმენტული და ემოციური სპეციფიკისა და მისი ფუნქციორების დადგენას. მაგრამ შ. ბალი ეხება საერთოდ ენის წიაღში ბუნებრივად მოცემული ექსპრესიული (ინფორმაციული კოდის მქონე) ანუ აკუსტიკური (ბგერითი) და სიმბოლური (მნიშვნელობითი) ელემენტების ფუნქცირების მომენტებს მეტყველების აქტში, იგი არ ითვალისწინებს ამ ელემენტთა ლიტერატურაში სპეციფიკური გამოყენების მომენტებს. შ. ბალის კონცეფციის ზეგავლენა ლინგვისტურ აზროვნებაზე მეტნაკლებად დღემდე გრძელდება და მან თავისებური გამოძახილი ჰპოვა ზოგიერთი სტრუქტურალისტის უახლოეს შრომებშიც. ყველაზე ნაყოფიერი კი ლინგვისტურ-სტრუქტურალისტურ სტილისტიკაში აღმოჩნდა რომან იაკობსონი, რომლის კალამს ეკუთვნის ამ მიმდინარეობისათვის ფუძემდებლური და საანთოლოგიო მნიშვნელობის მქონე ნარკვევი — სტატია „ლინგვისტიკა და პოეტიკა“. (1961). იგი საკმაოდ ვრცლადაა გარჩეული ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რ. იაკობსონის მიერ მხატვრული ენის ერთადერთ ნიშნად „შერჩევისა“ და „შეხამების“ („შერჩევის ღერძიდან შეხამების ღერძზე ოპერირების“) პრინციპი ამჟამად აღარაა დამაკმაყოფილებელი. ამ მხრივ აღსანიშნავია ცნობილი საბჭოთა ენათმეცნიერის, აკად. ვ. ვინოგრადოვის განცხადება: „დღეს-დღეობით საეჭვოა ვინმე დააკმაყოფილოს ენის პოეტური ფუნქციის ისეთმა განსაზღვრამ, რომელსაც შეიცავს რ. ო. იაკობსონის ინგლისურ და პოლონურ ენებზე დაბეჭდილი შრომა „ლინგვისტიკა და პოეტიკა“ და რომელიც სათავეს იღებს მიმდინარე საუკუნის ეგრეთწოდებულ რუსულ ფორმალიზმში: „განწყობა შეტყობინებაზე, როგორც ასეთზე, ყურადღების მიპყრობა შეტყობინებაზე მისივე გულისათვის — ესაა ენის პოეტური ფუნქცია“ (ვ. ვინოგრადოვი. სტილისტიკა... მოსკ. 1963, გვ. 130).

ეს საკითხები ვრცლადაა განხილული ჩვენს შრომებში „სტრუქტურალიზმი პოეტიკაში“ („მნათობი“, 1979, № 1) და გამოუქვეყნებელ ნარკვევში „ქართული და ზოგადი პოეტური სტილისტიკის საკითხები“ (1975). რა თქმა უნდა, სადავო არაა ის აზრი, რომ მხოლოდ ლიტერატურულ ნაწარმოებში და განსაკუთრებით პოეტურ ნაწარმოებში იძენენ სტილისტიკური კომპონენტები თვითღირებულ და თანაც ინფორმაციული კოდის მნიშვნელობას, მაგრამ მათი ესთეტიკური არსი „თავის თავზე მიმართვაში“ (ასოციალობის მომენტი!) კი არ გამოიხატება, არამედ წინასწარგამიზნულ ორიენტაციაში მკითხველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში „გამოთქმაზე განწყობა“ კარგავს ლიტერატურული სისტემის შიგნით ფუნქცირების ხასიათს. ყველა სტილური ელემენტი სალიტერატურო მეტყველებაში და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრულია ჩვეულებრივი (პრაქტიკული ენისა თუ მეტყველების) ფარგლებიდან და იგი ესთეტიკურ ანუ მხატვრულ კატეგორიად იქცევა. ამდენად გასაზიარებელია სტრუქტურალისტების მიერ მოცემული დიფერენციაცია ენათა ტიპებისა მათი ფუნქციონალურ განსხვავებათა საფუძველზე. (1. პრაქტიკული ანუ ბუნებრივი, სასაუბრო ენა, ზოგჯერ „დიალექტურ ენად“ წოდებული; 2. სალიტერატურო ფიქსირებული ენა — გაცილებით ორგანიზებული ჩვეულებრივ, სასაუბრო ენასთან შედარებით და 3. პოეტური ენა, რომელსაც საგანგებოდ შერჩეული და ღირებულ ელემენტთა აქტუალიზებული სისტემა ახასიათებს). სრულიად მიუღებელია მხოლოდ ამ დიფერენციაციის ასოციალური ასპექტი, რაც სტრუქტურალისტურ პოეტიკას განსაკუთრებულ ნაკლად ეთვლება. ჩაკეტილი სტრუქტურები არ არსებობენ, ესთეტიკურ ღირებულებას ამ სტრუქტურებს მათი გამოყენების მასშტაბი ანიჭებს.

3. საერთოდ, მხატვრული ენის სპეციფიკურ ნიშანთა ლინგვისტური ინტერპრეტაციები უთვალავია („რამდენი ლინგვისტიცაა — ამდენივე ლინგვისტიკა არსებობს“). ასევე მრავალფეროვანია ფილოსოფიური თუ სოციოლოგიური მიდგომანი ამ პრობლემისადმი. სემიოტიკის დონეზე ჩვენთვის მნიშვნელოვანი პრობლემა ითქვიფება ნიშანთა ზოგად ლოგიცისტურ კალეიდოსკოპში. მაგრამ მოვაგონებთ მკითხველს ცნობილ მარქსისტულ ფორმულას მეცნიერული განმარტების დროს **Specifica differentiatia**-ს მნიშვნელობის შესახებ. რამდენადაც მხატვრულ ენაში ვგულისხმობთ ლიტერატურული თუ სასაუბრო ენის ხარისხის წვდომის აქტს, ჩვენ ამ პრობლემის შემსწავლელ დარგად ლიტერატურისმცოდნეობა მიგვაჩნია, რაც სრულ იზოლაციონიზმს არ გულისხმობს. აღძრულ პრობლემაზე თავისი სიტყვის თქმა შეუძლია ფსიქოლოგიას, ფსიქოლინგვისტიკას და ა. შ. მაგრამ, მაგალითად, თუ ფიზიკის ან ბიოლოგიის მიღწევებს იყენებენ მედიცინაში, ეს არ ნიშნავს ამ დარგთა (ფიზიკის, ბიოლოგიისა და მედიცინის) ინტეგრაციას. საკუთრივ პოეტიკის მიმართ საკითხი სწორედ ასე დგას.

რამდენადაც ცნება „მხატვრული“ a priori შეიცავს შეფასების მომენტს, კერძოდ ლიტერატურული ენის ესთეტიკურად ღირებულ ნიშანთა გამოყოფასა და ხაზგასმას, ამდენად აღძრული საკითხი ესთეტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის ერთ-ერთი დარგის, ლიტერატურული კრიტიკის სფეროშიც შედის. მაგრამ თუ ესთეტიკის საგანს შეადგენს სილამაზის ფენომენის ახსნა ხელოვნებასა და ბუნებაში (მათი ურთიერთმიმართების ასპექტის გათვალისწინებით), ხოლო კრიტიკის ამოცანაა ძირითადად კონკრეტულ-ლიტერატურულ ქმნილებათა სრულყოფილობისა და მათი საზოგადოებრივი ღირებულების გარკვევა, კერძოდ მხატვრული ენის არსის გარკვევის ცდა კი პოეტიკის ამოცანაა, იგი ძალზე სპეციფიკური მასალის ანალიზის საფუძველზე მიიღწევა. ორივე შემთხვევაში შეფასების მომენტი წინა პლანზე გამოდის.

მაშასადამე, შეფასების პრინციპი ძირითადად განსაზღვრავს ლიტერატურული კრიტიკის ამოცანებს. რუსულ ლიტარატურისმცოდნეობაში ჩვეულებრივ მოაქვთ ცნობილი პოეტებისა და კრიტიკოსების შეხედულებანი ამ საკითხზე. მაგ. ჟუკოვსკის აზრით „კრიტიკა არის მსჯელობა, დაფუძნებული ფაქიზი გემოვნების კანონებზე, მიუკერძოებელი და თავისუფალი“. მაგრამ როგორ ესმოდათ თვითონ ცნება „გემოვნება“ ჟუკოვსკის ეპოქაში? „ჭეშმარიტი გემოვნება შეიცავს არა ამათუიმ სიტყვის განკიცხვას, არამედ თანაზომიერებისა და მიზანდასახულობის გრძნობას“ — აცხადებდა პუშკინი. იგი დიდ როლს ანიჭებდა კრიტიკას და მართებულად აცხადებდა, რომ „კრიტიკის ვითარება თავისთავად მიუთითებს მთელი ლიტერატურის განვითარების ხარისხზე“. ლ. ა. ფრეიბერგის აზრით, პუშკინსავე ეკუთვნის რუსულ ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი ზოგადი განმარტება ლიტერატურული კრიტიკისა: „კრიტიკა არის მეცნიერება ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებებში სილამაზისა და ნაკლოვანებათა აღმოჩენისა. იგი ემყარება ზედმიწევნით ცოდნას კანონებისა, რომლითაც ხელმძღვანელობს მხატვარი ან მწერალი თავის ნაწარმოებებში, სანიმუშო ქმნილებათა თანადროულ შესანიშნავ მოვლენათა შესწავლასა და ხანგრძლივ დაკვირვებას“. ბელინსკი კრიტიკას „მოქმედ ესთეტიკას“ უწოდებდა.

კრიტიკის, როგორც ლიტერატურის შემფასებლის დანიშნულებაზე მსჯელობდა, მაგ. ბალზაკი, რომელსაც ეკუთვნის განთქმული სიტყვები „„ნამდვილი კრიტიკა — ეს მთელი მეცნიერებაა, იგი მოითხოვს ნაწარმოების სრულ გაგებას, ეპოქის მისწრაფებებზე ნათელ წარმოდგენას, მყარ პოლიტიკურ შეხედულებებს, გარკვეულ პრინციპების რწმენას. სხვა სიტყვებით — მიუკერძოებელ გარჩევას და ზუსტ ალრიცხვას, განაჩენს. კრიტიკოსი მაშინ იქცევა ფიქრთა მპყრობელად, თავისი დროის მსაჯულად, იგი წმინდა მსახურების მატარებელია“.

კრიტიკის, როგორც შეფასებითი მეცნიერების ჩანასახი გვაქვს ძველ ინდურ, ჩინურ, იაპონურ ლიტერატურებში და იგი ცნობილია სპეციალური შრომების მეშვეობით. განსაკუთრებით დიდი მასალაა გამოვლენილი და სის-

ტემატიზირებული ანტიკური (ძველი ბერძნული — ელინური და ელინისტური პერიოდების, რომაული ლიტერატურულ-ფილოლოგიური კომენტარების) მხატვრული (შეფასებითი) კრიტიკის ნიმუშებისა; ცალკეული შრომების, ცნობილი დრამატურგების, კომედიოგრაფების, თვითონ პოეტების და ხელოვანთა გამონათქვამების და ტექსტების სქოლიასტთა დაკვირვებების, ისტორიული მიმოხილვების, ენციკლოპედიური ხასიათის საძიებლების და ცალკეული თეორეტიკოსების (პლატონი, არისტოტელე, ჰორაციუსი, ქვინტილიანი, ფსევდო-ლონგინოზი, სკალიგერი, და ვინჩი, ვაზარი, ბუალო და მრ. სხვ.) შესახებ სპეციალური მონოგრაფიებისა და სტატიების აღრიცხვაც კი შეუძლებელია. პირდაპირ აღურაცხელია აგრეთვე ლიტერატურა, რომელიც სალიტერატურო კრიტიკისა და ესთეტიკის ზოგად პრინციპებსა და მათ შორის ურთიერთშემხვედრ პრობლემატიკას ეხება. კოლოსალური სამუშაოებია ჩატარებული ამ დარგში უცხოურ და საბჭოთა (განსაკუთრებით რუსულ) ლიტერატურისმცოდნეობაში. იგივე ითქმის თანამედროვე ლინგვისტური კონცეფციების გამოც.

ამავე კონტექსტში უნდა მოვიგონოთ თვითონ შემოქმედთა თუ ამათუ იმ ისტორიკოსის ან თეორეტიკოსის ცდები ლიტერატურისა და ხელოვნების ბუნებათა ზოგადი შიფრის ძიებათა სფეროში, მათი ინტეგრაციული კორელატის ერთ ან რამდენიმე ფორმულაში მოქცევის მიზნით. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ჯერ კიდევ ბერძნულ ლიტერატურაში გაფანტული შესანიშნავი გამონათქვამები, რომელთაც შემდგომი ტრადიციების ხანგრძლივ ისტორიაში ერთგვარი „მარგალიტების“ სახით ინახავდნენ. ასეთი, მოარულად ქცეული გამონთქვამი-ფორმულის ხასიათისაა მაგ. სიმონიდე კეოსელის (V-IV სს. ძ. წ.) მაქსიმა: „პოეზია უნდა იყოს მეტყველი მხატვრობა, მხატვრობა კი — მუნჯი პოეზია“. ანალოგიური პოპულარობით სარგებლობენ გამოთქმები „შაირობა იმ თავითვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ (რუსთაველი), „სტილი — თვითონ ადამიანია“ (ბიუფონი); „ხელოვნების მთავარი ნიშანი — ზომიერებაა“ (ტოლსტოი) და სხვა. არაერთი მსგავსი გამოთქმა-ფორმულა ყველა მსოფლიო რანგის ლიტერატურაში (ბერძნულ-რომაულში, ინდურში, არაბულ-სპარსულში, რუსულსა და ქართულში...) გვხვდება მხატვრული სენტენციების სახით, რომელთაც ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპებზე უცილობელი ჭეშმარიტების უფლება ჰქონდათ მოპოვებული.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, მოტანილი ფორმულები ან ნორმატიული ხასიათისაა (ასეთი ფორმულებით მდიდარია უმთავრესად სხვადასხვა ლიტერატურულ [illegible] თეორიული მანიფესტები), ან კიდევ იმპრესიონისტული და, არც თუ იშვიათად, ღრმად სუბიექტური შინაარსისა. ისტორიულ-თეორიული პოეტიკა მათ დიაქრონიული ასპექტით აფასებს. მთავარი ნაკლი ყოველგვარი ზოგადი განმარტებისა (თუ ის მხატვრული ქმნილების უალრესად სტაბილურ ანუ კანონიკურ ფორმებს არ ეხება, მაგ. ჟანრების კლასიფიკაციას, მათს ცალკეულ კომპონენტებს — რითმას, შედარებას, მეტაფორას და ა. შ.) იმაშია, რომ იგი არ ითვალისწინებს ხელოვნებისა და ლიტერატურის ურთიერთისაგან გამმიჯვნელ და სპეციფიკურ ნიშნებს, — თითქმის ყოველი ზოგადი ფორმულა, როგორც წესი, ამ ნიშანთა ელიმინაციიისა და ნიველირებისადმი მიდრეკილებითაა აღბეჭდილი. ასეთი მიდრეკილებანი დამახასიათებელია, მაგ. ხელოვნებისა და ლიტერატურის კვლევისათვის სემიოტიკის დონეზე და აქ მას შეიძლება ერთგვარი გამართლებაც ჰქონდეს: იგი ემყარება აღნიშნულ დარგთა საერთო ნიშნების ფორმალიზაციას, რასაც კერძოდ ლიტერატურა არ ემორჩილება თავის სპეციფიკურ, არსებით გამოვლინებაში. ამიტომ ობიექტისგან მოწყვეტილი ზოგადი განმარტება სცოდავს სწორედ ზოგად ნიშანთა თეორიული ჰიპერტროფიით, იგი ივიწყებს იმ არსებითს, რომელიც ცალკეული დარგების ანალიზის ცენტრშია ხოლმე მოქცეული. სწორედ ამიტომ უცილობელ ჭეშმარიტებას შეიცავს ჩვენ მიერ ზემოთ ნაგულისხმევი დებულება იმის შესახებ, რომ თუ მოვლენათა „ახსნა-განმარტებისას გათვალისწინებული არაა Specifica differetiatia — არაა ახსნა-განმარტება“. ერთი კონკრეტული მაგალითით შეიძლება ეს აზრი დასაბუთდეს.

ხელოვნების ისტორიაში ცნობილია, მაგალითად, ჰაინრიხ ვიოლფლინის განთქმული შრომა „ხელოვნებათა ისტორიის ძირითადი ცნებები“, რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა, მაგ. ცნობილი ლიტერატურის თეორეტიკოსის ოსკარ ვალცელის მეთოდოლოგიაზე. ვიოლფლინის კვლევითი მეთოდი ასოციაციური და ფორმალისტურია, რომელიც ხელოვნების სტილთა ანალიზს მათი განვითარების იმანენტური კანონებით ზღუდავს. ეს მეთოდი ო. ვალცელმა გამოიყენა ხელოვნების დარგების და ლიტერატურის „ურთიერთახსნის“ თეორიულ დონეზე. ო. ვალცელი წერდა, რომ „ვიოლფლინმა ბევრი გააკეთა მხატვრული აგების საკითხის გაგებისათვის. მან აჩვენა, რომ არა მარტო არქიტექტურასა და პლასტიკაში, არამედ მხატვრობასა და სურათში, მოცემული სივრცის შევსების საშუალებებში ცხადდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებითი ნიშნები მხატვრული გაფორმებისა, [რომელიც] საშუალებას იძლევა დადგინდეს [მხატვრული] აგების საპირისპირო ტიპები. ვძოლფლინის მიერ ტ ე ქ ტ ო ნ ი კ ი ს ა და ა ტ ე ქ ტ ო ნ ი კ ი ს (ანუ დახურული და ღია ფორმების) დაპირისპირება აღმოცენდა ასეთი დაკვირვების ნიადაგზე. ვინც ვძოლფლინის სკოლა გაიარა, იგი პოეზიაშიაც სულ ცხადად და ცხადად ამჩნევს, თუ როგორ შეერწყმის ნაწარმოებში ერთი ნაწილი მეორეს და რა კანონის მიხედვით ქმნიან ისინი ერთს მთლიანს: მოიპოვება თუ არა მათ შორის სიმეტრიული ან მეტი თავისუფალი კავშირი, ჩაკეტილია თუ არა ნაწარმოები თუ გვგონია, რომ იგი არავითარ საზღვრებში არ თავსდება და დაუსრულებლად იშლება". ო. ვალცელის თეორიული მსჯელობის მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი რადიკალური დასკვნები გამოჰქონდათ ზოგჯერ ხელოვნებათმცოდნეობის გავლენით მკვლევარებს ლიტერატურულ ნაწარმოებთა ზოგადი ანალიზისა და ხშირად მთელი ეპოქის სტილების ტიპოლოგიურად შესწავლის დროს. ამგვარ შემთხვევათა გამო სრულიად სამართლიანად წერს შვეიცარიელი მეცნიერი ი. ვ ე რ ლ ი: „ასე, ვძოლფლინის „ძირითად იდეებს" მივყავართ ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის ანალოგიებთან, იქნება ეს შესაბამისად შემუშავებული ტიპოლოგია სტილებისა... თუ ზოგადი ლოზუნგი „ხელოვნებათა ურთიერთ ახსნისა" (ო. ვალცელი)". მაგრამ „სახვით ხელოვნებათა ისტორიიდან ლიტერატურისათვის უცხო კატეგორიების უბრალო გადმოტანას, სხვათა შორის, აგრეთვე შეუძლია დაბნეულობა გამოიწვიოს" (მ. ვერლი. „ლიტერატუროვედენიე". მოსკ., 1957, გვ. 22).

ამგვარად დაბნეულობამდე მიჰყავს ლიტერატურისმცოდნეობა, კერძოდ პოეტიკა „სტილის" ცნების უაღრესად გაფართოებას, ზოგადკონკრეტული საანალიზო მასალიდან უაღრესად აბსტრაჰირებულ განმარტებათა გაზვიადებას და, მით უფრო, მის გადატანას არა შესაფერ, სპეციფიკურ მასალაზე. საკმაო სიცხადით ეს ჩანს მაშინ, როცა ლიტერატურის ენობრივი ელემენტების ფუნქციირების ხასიათს ვიკვლევთ. ზოგად ფილოსოფიურ-ესთეტიკური თეორიების მიხედვით კერძოდ მხატვრული ენის სპეციფიკური არსის დადგენისას პოეტიკის ამოცანის ფარგლების უსაშველოდ გაფართოება ყოველგვარი უნივერსალიზაციისა ან ამჟამად მოდად ქცეული მათემატიკური ფორმალიზაციის მიმართულებით — არა მარტო საზოგადოდ სიტყვიერი ხელოვნების ბუნების, არამედ კერძოდ მხატვრული ენის სპეციფიკური ხასიათის იგნორაციას მოწმობს. ეს მეთოდი — ნაწარმოების კონსტრუქციული პრინციპებისაგან მოწყვეტის გზაა: „ლიტერატურული ფაქტი — სხვადასხვა შედგენილობისაა, და ამ მნიშვნელობით ლიტერატურა წყვეტილ-ევოლუციური — რიგია. ლიტერატურის თვითეული ტერმინი უნდა იყოს კონკრეტული ფაქტების კონკრეტული შედეგი. არ შეიძლება მეტაფიზიკური ესთეტიკის გარე — და ზელიტერატურულ სიმაღლეებიდან გამოსვლა, ტერმინისათვის შესაფერი მოვლენების ძალდატანებით შერჩევა. ტერმინი კონკრეტულია, განსაზღვრანი ევოლუციონირებენ, როგორც ევოლუციონირებს თვითონ ლიტერატურული რიგი" (იური ტინიანოვი. „არქაისტები და ნოვატორები". ლენინგრ., 1929, გვ. 24).

იგივე თეორეტიკოსი ბრწყინვალედ წერდა მათემატიკურ-სტატისტიკური „კრიტერიუმებისა" და საერთოდ კვაზი-მათემატიკური აპარატისა და ფორმალიზაციის გამოყენების შესახებ ლიტერატურული ფაქტის ელემენტთა ანალიზის დროს: „სიტყვიერების თეორია თავგამოდებულია მათემატიკურ განმარტებებში და ივიწყებს, რომ მათემატიკა ეფუძნება განსაზღვრებს; ლიტერატურის თეორიაში კი განსაზღვრანი საფუძველი კი არაა, არამედ სახეცვალებადი შედეგი მუდმივად ევოლუციონირებული ლიტერატურული ფაქტისა" (იქვე, 5).

როცა ამ სიტყვების ავტორი ილაშქრებს ლიტერატურის თეორიაში მათემატიკური ფორმალიზაციის წინააღმდეგ ლიტერატურული ტერმინის კონკრეტულობისა და მისი ევოლუციური ხასიათის დაცვის მიზნით, ეს როდი ნიშნავს თვითონ ლიტერატურულ ტერმინთა მნიშვნელობისა და ფუნქციათა მუდმივი ცვალებადობის წმინდა რელატივისტურ გაგებას. არა, მას მხედველობაში აქვს ლიტერატურის ის სპეციფიკური არსი, რომლის დინამიკური ხასიათი არ ექვემდებარება მათემატიკური ფორმალიზაციის სტატიკურ ბუნებას. ეგებ 1929 წ ე ლ ს გამოთქმული თვალსაზრისი მოძველებულია ამჟამად? მაშინ აქ მოვიტანთ სულ ბოლო დროს, 1978 წ ე ლ ს, დაბეჭდილ შრომიდან სათანადო სიტყვებს, რომელიც ეხება კერძოდ ლექსთმცოდნეობაში ფორმალიზაციის დანერგვის ცდებს, საკუთრივ სტატისტიკის სფეროში:

„ხელოვნება არ ემორჩილება ფორმალიზაციას... რაც უფრო ვშორდებით ზოგადენობრივ მოვლენებს ლექსის, როგორც მხატვრული ფენომენის (შესწავლის დროს)... მით უფრო ნაკლებია საშუალებანი სტატისტიკის გამოყენებისა. ბ. ტომაშევსკი ტყუილ-უბრალოდ (როდი) აფრთხილებდა (მკვლევართ) ციფრობრივი აპარატის ნდობისას ნაწარმოების შესწავლის დროს". ავტორი იმოწმებს ბ. ტომაშევსკის სიტყვებს ამ უკანასკნელის წიგნიდან „ლექსი და ენა" (1954): „არავითარი სტატისტიკა აქ საქმეს არ შველის... მსგავს სტატისტიკას შეუძლია აღმოაჩინოს მარტოოდენ შემთხვევითი დამთხვევანი ციფრებისა (ცგრეთწოდებული „ყალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი კორელაცია“), რომელიც უკუგდებული იქნება რომელიც გნებავთ სხვა ლექსის ანალიზის დროს“ (იხ. კრებული „მეტოდოლოგია სოვრემენოვო ლიტერატუროვედენია“. მოსკ., 1978, ნ. გონჩაროვის წერილი: „ისტორიზმი და სისტემური ანალიზი სალექსო ნაწარმოებისა“. გვ. 299-300).

სალექსო ელემენტთა (ისევე, როგორც სხვა სისტემისა თუ ჟანრის ნაწარმოებთა ნაწილების) თვლა („ბუღჰალტერული ჩოთქის“ გამოყენება!) პოეტიკაში — არსებითად ბალღური საქმიანობაა.

4. მხატვრული ენის სპეციფიკურ ნიშანთა შესახებ მსჯელობისას ჩვენ წინასწარ ხაზს ვუსვამთ საერთოდ ენის არსებით ნიშანს, მის ფუნქციირებას საზოგადოებაში: „ენა ხასიათდება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მას ყოველთვის ორი პლანი აქვს: აღმნიშვნელი და აღსანიშნავი“ და რომ ეს „კონსტიტუციური თვისება ენისა და მისი რეგულარობა თუ დისჰარმონია, რომელსაც იგი წარმოშობს — წარმართავს თავის შიგნით დაძაბულობასა თუ ცვალებადობებს“ (ემილ ბენვენისტი). ეს ძირითადი თვისებანი ყოველი ენისა თავისებურად ვლინდება სალიტერატურო ენაში და მის განშტოებებში (პოეტური ენა და სხვ.). უწინარეს ყოვლისა, ყველაფერი რაც ენაშია, პოტენციურად მოცემულია მხატვრულ ენაში. მაგრამ სხვა ფუნქციური დატვირთვით: იგი ზოგ რასმე უკუაგდებს განვითარების გარკვეულ ეტაპებზე (მაგ. მიუღებელ არქაიზმებად ქცეულ სიტყვებს, სტერეოტიპულ თუ შაბლონურ გამოთქმებს და ა. შ.), ზოგიც ისეთი ახალი შემოაქვს, რომელიც მხოლოდ მის სისტემაში რჩება, მაგრამ პრაქტიკულ ენაში არ პოულობს გავრცელებას (მაგ. ხელოვნურ ნეოლოგიზმებს, ძალზე ინდივიდუალურ, მხოლოდ ცალკეული მწერლებისთვის დამახასიათებელ სინტაქსურ თორმებს და ა. შ.). კერძოდ პოეტური ენა ძალზე რიგორისტულია ენობრივ თვისებათა შერჩევის სფეროში (პ. ვალერი: „პოეზია ჩემს თვალში არის... ენის რამდენიმე თვისების გამოყენება“). ამის გამოც, როცა წამდაუწუმ ვხმარობთ ტერმინს „მხატვრული“, ჩვენი მაძიებელი აზრი უმალვე უნდა აწყდებოდეს დაბრკოლებებს მისი შინაარსის გაგებისა და განმარტების პროცესში: ჩვენ შეგვიძლია ანალიზი სტრუქტურის ყველა ელემენტისა, მაგრამ რა ღირებულებისაა ის ესთეტიკური ნაშთი, რომელსაც ეს ანალიზი სტოვებს ჩვენი სულიერი თუ ინტელექტუალური აღქმის პროცესში და როგორ უნდა გამოვხატოთ შემდეგ იგი მეცნიერული დეფინიციის სახით — გვიძნელდება. ცნება „მხატვრულობა“ — ქამელეონია, სხვადასხვა ობიექტზე გადატანისას იგი სხვადასხვა შინაარსით ივსება. „მხატვრულობის“ მხრივ ციცერონის ფილოსოფიური და რიტორიკული პროზა ან იულიუს კეისრის —გალებთან ომის ჩანაწერები“ და „სამოქალაქო ომის ჩანაწერები“ უსაზღვროდ მაღლა დგას, მაგალითად, პეტრონიუსის რომანზე („სატირიკონი“). XVII საუკუნის პროზის მშვენებაა ლაროშფუკოს მცირე წიგნი „მაქსიმები“ და არა მისი ეპოქის მრავალტომიანი რომანები. ისინი დავიწყებულია; თავის დროზე პოპულარული ბელეტრისტის აკადემიკოს ბობორიკინის, მორდოვცევის, შელერ-მიხაილოვსკის და არციბაშევის რომანები დღეს არავის ახსოვს, ხოლო ვ. როზანოვის პროზა (დღიურების ჟანრის ნაწარმოებნი) მას რუსეთის „ერთ-ერთი უდიდესი და გენიალური პროზაიკოსის“ სახელს ანიჭებს (მ. გორკი, ა. ბლოკი, ნ. ბერდიაევი, ვ. შკლოვსკი, ვ. ვინოგრადოვი, ი. ტინიანოვი, ლოსევი...)* ლიტერატურული ჟანრი აპრიორულად არ განსაზღვრავს ნაწარმოების რაიმე უპირატესობას „არა ლიტერატურულ ჟანრებთან“ შედარებით. ესეისტი მონტენი უდიდესი პროზაიკოსია, თუმცა არც ერთი რომანი ან მოთხრობა არ დაუწერია. ამრიგად, ცნება „მხატვრულობა“ სცილდება ჟანრის ფარგლებს. პლატონი თავისი დიალოგებით არათუ უდიდესი მოაზროვნე და პროზაიკოსია, არამედ დიდი პოეტიც და მისი ქმნილებების გვერდით მხოლოდ დამთხვეული თუ მოათავსებს ბერძნული „პოეტური“ ეპოსის ნიმუშებს „მარგიტე“-ს ან „ბაყაყების ომს“. ანალოგიური მაგალითების მოტანა დაუსრულებლად შეიძლება მსოფლიო ლიტერატურიდან.

არც ენის მხატვრულობის აბსტრაქტულ დონეზე და ზოგადი დახასიათებით შეიძლება ლიტერატურულ ნაწარმოებთა ენის ღირსებაზე და ხარისხზე მსჯელობა. ბოსუეს ჰომილეტიკური ქმნილებანი პ. ვალერის უდიადეს ქმნილებებად მიაჩნია სწორედ ენის მხრივ; არქაული ქადაგებანი იოანე ბოლნელისა მაღალი ღირსებებით ხასიათდებიან. ზოგჯერ ეს ნაკადი ერთბაშადაა წარმოდგენილი ამათუ იმ მწერლის შემოქმედებაში. ამის ჩინებულ მაგალითს წარმოადგენს სულხან-საბას პროზაული მემკვიდრეობა. ელიპსიური კონსტრუქციის შესანიშნავი გამოყენებით ხასიათდება მისი „სიბრძნე სიცრუისა“ და „მოგზაურობა ევროპაში“. აი ნიმუშებიც.

„ერთი მელი დაცანცარებდა. ძველთაგან თურმე ნასოფლარი ყოფილიყო. სამლებროს ქვევრი, ლილით სავსე, პირღია დარჩომილიყო.

* „კონტექსტ-78“. მოსკ., 1979, გვ. 323. მ. გორკის სიტყვები: „ვ. ვ. როზნოვს მე ვთვლი გენიალურ ადამიანად... იგი ჩემი უსაყვარლესი მწერალია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სლვასა იქა-აქა შიგ თურმე ჩავარდა. ამობროტყდა. ამოვიდა. ბელი შავად შეღებილი შეიქმნა. დაიწყო სიარული" („მოძღვარი მელა").

ფრაგმენტი „მოგზაურობიდან":

„ფრანციისის თემის ბოლოდამ წამოვედით, რომელსა ჰქვიან ტანტიბის ქალაქი. ათი მილი ვლეთ. დაილია ფრანცია. ნისი ერქვა. იტალიის ადგილია. საბიას ბატონის ქალაქია. საბიას ბატონს აქამდის დუკა ერქვა. ახლა სიცილია მისცეს ამ შერიგებაზე. სპანიის მეფისა იყო. დიდი სამეფოა და მეფედ დაერქვა".

ეს ადგილი რეალიზმითა და სისადავის არტისტიზმითაა აღბეჭდილი. სულ სხვა ენა აქვს საბას ქადაგებებს. მაგ. ერთი ნაწყვეტი:

„არამედ ვინაითგან მარიამ დაუცხრომლად თქვენთვის ესრეთ მეოხ არს, თქვენცა განემზადენით აღსვლად მის თანა, გსუროდესთ ხილვად წმიდისა პირისა მისისა, გული გითმოდესთ წინაშე მისა დგომასა და ილვწოდეთ, რათა არავინ დაგაბრკოლნეს მსახურებად მისთა, რამეთუ დიდ არს, ვისა მეგობარ იყოს დედა მეუფის დიდისა" (აგვისტოს იე. სწავლა მიცვალებისათვის ყოვლად ღმრთის-მშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისი").

თითქოს სხვადასხვა ავტორის ენაა!

ენობრივი ელემენტები, ურთიერთისგან განსხვავებული, ყველა კანონზომიერია თავის ჟანრულ სისტემაში. ეს მეთოდი უძევს საფუძვლად სტილურ განსხვავებებს ზოგჯერ ერთი ავტორის შემოქმედებაშიც (მაგ. ვ. ბარნოვის ისტორიული რომანების ენა უფრო არქაიზებულია, ვიდრე მისი სოციალური მოთხრობებისა, მაგ. „თებერას დანიშნულისა"). აზრი ან თემა ხშირად ენას იქეთ კარნახობს გარკვეულ მორფოლოგიურ და სინტაქსურ წყობებს (ვამბობთ „სკამზე დაჯდა", მაგრამ ითქმება „სავარძელში ჩაჯდა" და არა „სავარძელზე დაჯდა", — ამ საგნებზე გნოსეოლოგიურმა წარმოდგენებმა გააფორმეს შესაბამისი მორფოლოგიური კატეგორიები ქართულში და სხვა ენებში). მით უფრო ეს მომენტი ვრცლად ეხება ჟანრების სტრუქტურას, მათს სტილს და ენას.

5. ნაწარმოების მხატვრული ენის კონსტრუირებას განსხვავებული კანონები უძევს საფუძვლად პროზასა და პოეზიაში. ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ხშირად თქმის რეალიზმის პრინციპი, სისადავისა და ხალხურობის ბეჭედი აზის ორივე ამ გვარის ძეგლებს. შესადარებლად გამოდგება მაგ. თამარის ეპოქის ორი ძეგლი: გენიალური „ვეფხისტყაოსანი" და თარგმნილი „ვისრამიანი". აი სათანადო პარალელები:

„იყო არაბეთს როსტევან,
მეფე ღმრთისაგან სვიანი
მაღალი, უხვი, მდაბალი
ლაშქარ-მრავალი, ყმიანი" („ვტყ.")

რიტმულად კონსტრუირებული ეს პოეტური ენა — სისადავითა და ლექსიკური ერთეულებით ძალიან ახლოსაა „ვისრამიანის" შემდეგ პასაჟთან:

„იყო დიდი და მაღალი ხელმწიფე ადრაბადაგანის და ყოველთა თემთა და ქვეყანათა მყრობელი და საჭურველთა პატრონი".

მეორე პარალელი:
"ნახეს უცხო მოყმე ვინმე,
ჯდა მტირალი წყლისა პირსა
შავი ცხენი სადავითა
ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა
ხშირად ესხა მარგალიტი

ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა" („ვტყ".)

ანალოგიურ ასოციაციებს აღძრავს შემდეგი წინადადებანი „ვისრამიანიდან":

„მასვე ჟამსა გზასა ზედა მოვიდოდა კაცი შავითა შეკაზმული, შავსა ცხენსა ზედა მჯდომი, უნაგირი და აბჯარი შავივე იყო".

მაგრამ ამ ნიმუშებს შორის დემარკაციულ ხაზს ავლებს მათი კონსტრუქციული ფაქტორები: რიტმული სისტემა სტროფებისა — ერთი მხრივ, და თავისუფალი სინტაქსური წყობა პროზული აბზაცისა — მეორე მხრივ: „ვეფხისტყაოსანში" დაცულია საზომის აქცენტური მოდელი, რაც პროზაულ აბზაცს არ მოეპოვება.

ეს ნიმუშები ცხადყოფენ, რომ პროზაულ აბზაცში საჭირო არაა რიტმის, როგორც სისტემის ძებნა. ამგვარი ძიების ტენდენცია საკმაოდ ძლიერია რუსულ და ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში. რიტმი და რითმა არაა პროზაული აბზაცების მაკონსტრუირებელი ფაქტორი, თუმცა გარეგნულად „ამგვარი რამ" სრულიად თავისუფლად შეიძლება „ვიპოვოთ" პროზაში. ჩავატაროთ მსგავსი „ოპერაცია" „შუშანიკის წარტყვილობაზე":

I

ჟამსა ზაფხულისასა
ცეცხლებრ შემწუელი
იგი მხურვალებაა
ქარნი ხორშაკნი
და წყალნი
მავნებელნი,
რომლისა მკვიდრიცა
მის ადგილისანი
სავსენი
სენითა,

წყლითა განსივებულნი
და განყვითლებულნი
დაწრეტილნი
და დამჭკნარნი
და დამღირებულნი,
ჩარადოვანნი
და დღემოკლედ ცხოვრებულნი.

II

ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა,
და სანთელი ჩემი დაშრიტა
. . . .
შუენიერებანი სიკეთისა ჩემისა
დააბნელა
და დიდებაჲ ჩემი
დაამდაბლა.
. . . .

III

ფსალმუნითა
სულიერითა
და კეროვნითა
ალნთებულითა
და სუნელებითა და ა. შ.

არც ერთი აქ მოტანილი აბზაცი, რომელიც ჩვენ პოეტური ტექსტის ანალოგიური გრაფიკის მიხედვით დავანაწევრეთ — არც რიტმს შეიცავს და არც რითმას. რატომ? იმიტომ რომ „შუშანიკის მარტვილობა“ პროზაა, რომელსაც წარმართავს სიუჟეტი, რის გამოც მასში სისტემური საზომი ან რითმა, როგორც ამ საზომის სასიგნალო ელემენტი არ მოიპოვება. რიტმულობა არაა რიტმი, შემთხვევითი სინტაქსურ-ბგერითი დამთხვევები — არაა რითმა. ეს უკანასკნელი ლექსის ფორმალური ელემენტია და იგი მუდამ აბრკოლებს პოეტური მეტყველების დაშვებას პროზამდე (პ. ვალერი).

რითმასთან დაკავშირებით რ. იაკობსონი ალნიშნავს აბსოლუტურად მართებულად: რითმის კვალობაზე კარგად ჩანს, რომ რაიმე იდეური აზრის გადმოცემა პოეტური ფონეტიკის ფუნქციაში არ შედის. საწინაალმდეგოს მტკიცება, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, აბსურდია. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ რითმათა მეტრული კლასიფიკაცია (ვაჟური, ქალური, დაქტილური, ჰიპერდაქტილური...) მეტნაკლებად ვრცელდება ყველა ლექსწყობაზე. გადახვევანი კი განიხილება, როგორც „დეფექტი“. ამიტომ პრინციპულად არავითარი „ძველი“ და „ახალი რითმა“ არ არსებობს.

ზემოთ მოტანილი „რითმები“ — პროზის ენობრივი ერთეულებია მაშინ, როცა რითმა, როგორც უწინარეს ყოვლისა ბგერათა თანხმოვანება სალექსო ტაეპების ბოლოში — მეტწილად შინაარსის მხრივ ნეიტრალური ბგერებია და თვით სარითმო სიტყვებიც ლექსში — არაა ენობრივი კატეგორია. „რითმა — უეჭველად, საკუთრივ ლიტერატურული ფენომენია, რომელსაც ენასთან კავშირი არა აქვს“. „ძნელი არაა დამტკიცება იმისა, რომ ლექსში ბგერების მხრივ შეთანხმებული ორი სიტყვა არ ეკუთვნის ენას ამ ბგერათშეთანხმების თვალსაზრისით“. („კონტექსტ — 74“, მოსკ., 1975, გვ. 271 ვ. კოჟინოვის წერილი. ხაზგასმა ჩვენია. ა. გ.) ამიტომ რითმების თუ სარითმო სიტყვების რიტმისგან დამოუკიდებელ „სემანტიკაზე“ საუბარი — თეორიული გაუგებრობაა (და სათანადო „სიმფონიების“ შედგენაც!)*

ეგებ „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვისრამიანის“ გვერდით V საუკუნის ძეგლიდან ადგილების მოტანაა უხერხული? მაგრამ არქაიზაციისა და მწიგნობრული სტილითაა აღბეჭდილი არა მარტო ჩახრუხაძისა და შავთელის ოდები, არამედ VII-XII სს. თარგმნილი ქართული ლიტერატურა, ორიგინალური პროზაული ქმნილებანი და თვით თამარის ეპოქის მატიანეები. აი ერთი პასაჟიც ძეგლიდან „აზმანი შარავანდედთანი“:

„ვინათგან მოსე მხილველი ღმრთისა და წინასწარ-მეცნი ყოფადთა, ეურჩა განმგზავნსა. მათდა მომღები ენა-მძიმობისა, მიერულა ურულოსა, ვითარ ყოფადთა დამსახსა, ვითარ ესევითარისა შემკადრე ვიქმნა მე, ვერ-მეტყვ თქმათა ალმატებულებისა“ (ქ. ცხ. II, გვ. 1. თბ., 1959).

ენის თვალსაზრისით ეს ფრაგმენტიც ისევე სრულყოფილია, როგორც სისადავით აღბეჭდილი „ვისრამიანის“ და „ვეფხისტყაოსნის“ ენა, ოღონდ... თავის სისტემაში!

საერთოდ, ყველა ერის ლიტერატურაში ენათა ორი პლასტი ხშირად სინქრონულად არსე-

---

* ამ აზრის საილუსტრაციოდ ერთი მაგალითი. სარითმო სიტყვებია „გ/ული: ს/ული, ხოლო საკუთრივ რითმაა „ული“. იგი ბგერათა კომპლექსია და არავითარ „სემანტიკას“ არ შეიცავს. სემანტიკური ოპოზიციის თუ „კონტრფრონტაციის“ პრინციპი არ ვრცელდება თვით სარითმო სიტყვებზე (მაგ. რეფრენებზე). რითმა ლიტერატურული ფენომენია და არა ენობრივი: იგი სალექსო სტრუქტურის წევრია და ამ სტრუქტურაში ფუნქცირებს. ლექსის ელემენტებს შორის რითმა ყველაზე მეტად მიეკუთვნება მეტრული უნივერსალიების რიგს.

ბობს და ვითარდება. მაღალი სტილის სისადავითაა აღბეჭდილი — ვეფხისტყაოსანი, ვისრამიანი, სიბრძნე-სიცრუისა, დ. გურამიშვილის ლირიკა, აკაკის, ილიასა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედება; მის პარალელურად V საუკუნიდან მოემართება მწიგნობრული ლიტერატურის ნაკადი, ის არქაიზებული ენა, რომელზედაც არაერთი შედევრი შექმნილა, და რომელმაც თავისი არსებობა ძირითადად 60-იანი წლების ზღრუბლთან შესწყვიტა. ცალკეული იმიტაციების და „რესტავრაციების“ ცდები, რა თქმა უნდა, XX ს-შიაც გაგრძელდა, მაგრამ ასეთ მოვლენებს ყველა ხალხის ლიტერატურის ისტორიაშიც ჰქონია (და აქვს) ადგილი.

მიუხედავად ყველაფერი ზემოთ თქმულისა, მხატვრული ენის სპეციფიკური არსის შესახებ მსჯელობისას შეუძლებელია მისი ერთ-ერთი თვისების, **სისადავის** იმავე ხარისხში აყვანა, როგორც სტილიზაციის ან არქაიზაციის (თუნდაც ისტორიული თვალსაზრისით). ყველაზე უმაღლესი (მხატვრული ენის თვალსაზრისით) გამოვლინებაა რუსთაველის მეტყველების სისადავის და სტილის არტისტიზმი ისევე, როგორც ქართულ ე. წ. „საერო პროზაში“ — საბას „მიამიტური“ ქართული; თეიმურაზ I-ის ან ბესიკის ენა არ შეიძლება გავუტოლოთ დ. გურამიშვილის მკაცრ „ხალხურ“ ენას. ვაჟას პოეზია ენის მხატვრულობის თვალსაზრისით მთელი ქართული კულტურის უდიადესი მონაპოვარია.

**წმინდა მწიგნობრული (მასში შედის არქაული) ენის ფუნქციერების ფარგლებში გაცილებით ვიწროა სისადავითა და დემოკრატიზმით აღბეჭდილი ჭეშმარიტი ლიტერატურული ენის ფუნქციერების ფარგლებთან შედარებით.** რაგინდ მაღალი ლიტერატურული ღირსებებით არ იყოს აღჭურვილი ჩვენი ჰიმნოგრაფების ან იოანე ბოლნელის და საბას ქადაგებანი, ან კიდევ უბრწყინვალესი ძეგლები ქართული ისტორიოგრაფიისა („აზმანი“... დავითის ქრონიკა და სხვ.) — მათი ესთეტიკური გავლენის სფერო ვიწროა ე. წ. საერო მწერლობის ძეგლებთან შედარებით. **მხატვრული ენის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა მისი ელემენტის ვიბრაცია ვრცელი აუდიტორიის სწრაფი ემოციური და ინტელექტუალური რეაგირებით აღიქმება.** ენობრივი სისადავე მტრობს სტილიზაციასა და ძალზე მწიგნობრულ-რაფინირებულ მეტყველებას. ამასთან — სისადავე და ლაკონიზმი უპირისპირდება მრავალსიტყვაობას, ბუნდოვანებას და ენობრივი ინფორმაციის ელემენტების (ბგერების მიხედვით ბუნების მოვლენათა გადმოცემის ფორმები) **გაზვიადებულ** გამოყენებას, მათს ჰიპერტროფიას („ზაუმი“ და სხვ.). **ბგერებისადმი (თანხმოვნებისა თუ ხმოვნებისადმი) რაიმე იდეური ინფორმაციის ფუნქციის მიწერა — თეორიული აბსურდია და ამგვარი აბსურდებისაგან, სამწუხაროდ, ქართული პოეტიკა დაზღვეული არაა.** მოტივირებული „ბგერათხატოვნება“ მეტყველებაშიაც ხშირია, მაგრამ მისი ხშირი გამოყენება კერძოდ ლექსში — ამ უკანასკნელს პოეზიის გარეთ სტოვებს.

ამიტომაც მხატვრული ენის სპეციფიკური არსის კიდევ ორი ნიშანია: **ზომიერების გრძნობა** (ტოლსტოი მას საერთოდ ხელოვნების ყველაზე არსებით ნიშნად სთვლიდა) და **უნიკალური გამოთქმის უკეთესი ვარიანტით შეცვლის შეუძლებლობა.** ამ უკანასკნელის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ გამოთქმის ფორმების შეცვლა მის წიაღში „უკეთესი“ (სადა თუ არა სადა) ფორმებით უკვე აღარ შეიძლება. მაგ. რუსთაველის ტაეპი „გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი“. — არ შეიძლება შეიცვალოს ამჟამად უფრო გასაგები სიტყვებით:

„შიშველ ტანზე ეცვა ყარყუმის ფართო ბეწვეული“.

აკაკის ტაეპს: „გულთა მხილავო არა მაქვს ბრალი“, ვერ შევცვლით პროზული გამოთქმით: „ღმერთო, არა ვარ დამნაშავე“ და ა. შ.

**მხატვრული ენის არსი—მის განუმეორებლობაშია, როცა თქმის სრულყოფილება გადაულახავ ზღვარს აღწევს. სიტყვები იდეალურად ემთხვევა საგნებს და ეს უკანასკნელი თავისი მატერიალური გარსის გარეშე აღარ არსებობს.**

ამრიგად — მხატვრული ენის ძირითადი და სპეციფიკური ნიშნები — ფორმის და სტილის სისადავე და არტისტიზმი, გამოთქმის სტრუქტურის უნიკალობა და სხვ., რომელნიც ენობრივ ნიშანთა (სიტყვა, სინტაქსი...) ბაზაზე წარმოიშობიან — გავრცელების არეალის თვალსაზრისით გამორიცხავს ვიწრო, კასტურ და ელიტარულ ფენებში მის ფუნქცირებას, **იგი საერთო ნაციონალური ლიტერატურის ხარისხსა და განვითარების დონეს აღნიშნავს.** საკუთრივ პოეზიაში მხატვრული ენის ღირებული ელემენტები რეგულარული განმეორების პრინციპს ექვემდებარება. ასევეა პროზაშიც. ამიტომ ყველა ერის ლიტერატურაში უნივერსალური შედევრები უმაღლესი ხალხურობითა და სისადავითაა აღბეჭდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკოფი რატიანი

# ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები

## აბუსერიძე ტბელის მოთხრობა როგორც საისტორიო წყარო

იმ უნიკალურ წერილობით ძეგლებს შორის, რომლებიც ჟამთა სიავეს გადაურჩნენ და ჩვენს დრომდე მოაღწიეს, ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი მწერლისა და მეცნიერის აბუსერის ძე ტბელის ისტორიულ თხზულებას (მოთხრობას) „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი და ანდერძი მთქმელისა“. ეს მოთხრობა, როგორც მისი სათაურიდანაც ჩანს, თავისი გარეგნული ფორმით რელიგიურ-ლაპრული ხასიათისაა, მაგრამ არსებითად, ე. ი. თავისი შინაარსით იგი შესანიშნავი რეალისტური ნაწარმოებია და უაღრესად საყურადღებო ცნობებს შეიცავს XII-XIII საუკუნეების საქართველოს სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ვითარების გასაგებად.

აკად. ივანე ჯავახიშვილი თავის სახელგანთქმულ ნაშრომში „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, საგანგებოდ აღნიშნავდა, აბუსერისძე ტბელის მიერ „დიდის ნიჭიერებით შედგენილ სასწაულთა აღწერილობაში იმდროინდელი შინაური ყოფა-ცხოვრება ხორცშესხმულ სურათად არის წარმოდგენილი“, და დაასკვნიდა: „თანამედროვე მკვლევარი ამ პატარა თხზულებაში ძვირფას ცნობებს იპოვის მრეწველობისა და ხელოსნობის შესახებ საქართველოში“.[1]

ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა ამ ძეგლს აკად. კ. კეკელიძე. მისი აზრით, აბუსერისძე ტბელის თხზულება „საყურადღებო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იმაში წარმოდგენილია იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრების საბუთები“.[2]

ძეგლის ასეთი დიდი მნიშვნელობით უნდა აიხსნას ის ცხოველი ინტერესი, რომელსაც მის მიმართ ქართველი ისტორიკოსები (მ. ბროსე, თ. ჟორდანია, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ლ. მუსხელიშვილი, ი. სიხარულიძე და სხვ.) ყოველთვის იჩენდნენ და დღესაც იჩენენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც ძეგლის შესასწავლად და სანიმუშოდ გამოსაცემად აწ განსვენებულმა ნიჭიერმა ისტორიკოსმა ლევან მუსხელიშვილმა გასწია.[3] უკანასკნელ ხანებში აბუსერისძე ტბელს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ისტორიკოსმა ი. სიხარულიძემ.[4]

ხსენებულ ისტორიკოსთა ნაშრომებში საკმაოდ დეტალურად არის განხილული და შესწავლილი აბუსერისძე ტბელის ისტორიულ მოთხრობასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ: ავტორის ვინაობა (დადგენილია, რომ იგი იყო მაღალი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი, ერისთავთ-ერისთავის შვილი), დაწერის თარიღი (მოთხრობა დაწერილია 1231-1235 წლ. შორის), ძეგლში დაცული ისტორიული და გეოგრაფიული ცნობები და მრავალი სხვა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ძეგლის შესწავლა, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ არაა დამთავრებული. ვფიქრობთ, აუცილებელია შემდგომი გაღრმავებული კვლევა-ძიება იმისათვის, რომ მეცნიერულად დადგინდეს ძეგლში დაცული ცნობების მნიშვნელობა იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გასარკვევად.

წინამდებარე ნაშრომი ამ ამოცანის გადაწყვეტის ცდაა.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით დაწვრილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვიხილოთ და გავაანალიზოთ თხზულებაში დაცული მონაცემები, — განსაკუთრებით ის ცნობები, რომლებზეც წინამორბედ მკვლევარებს ყურადღება არ გაუმახვილებიათ, ოღონდ მანამდე საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც გადმოვცეთ მოთხრობის შინაარსი.

## 1. შუასაუკუნეების ქართველი ხელოსანი ბოლოკ-ბასილი და მისი საკუთარი საკულტო ტაძარი

მთავარი ამბავი, რომელიც აბუსერისძე ტბელის მოთხრობაშია გადმოცემული, შეეხება ერთი სოფლელი ხელოსნის (ქვითხუროს ანუ კალატოზის) მიერ წმინდა გიორგის სახელზე ეკლესიის აშენებას. ამ ხელოსნის სახელია ბასილი, რომელსაც შინაურობაში ბოლოკ-ბასილს უწოდებენ, ხოლო თხზულების ავტორი მას ზოგჯერ მოფერებით „ბაჩილას“ ეძახის. ეს ბასილი, — წარმოშობით სამხრეთ საქართველოს (სამცხის) ცნობილი სოფლის შუარტყლის მკვიდრი, — განთქმული ოსტატი ყოფილა, რომელსაც თვით წმ. გიორგი წყალობდა და ეკლესიების მშენებლობის დროს ხელს უწყობდა, მძიმე შრომას უმსუბუქებდა.

ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი ბასილი სამუშაოდ („საშოვარზე“) წასულა „ქუეყანასა სომხითისასა მახლობლად თფილისისა“. აქ მას გამოცხადებია წმ. გიორგი და ასეთი მძიმე დავალება მიუცია: „აღმიშენე ტაძარი ხელთა მიერ ოდენ შენთა, და ნუმცა ვინ კაცნიერ იქმნების მუშაკობად და შუელად შენ თანა“ (გვ. 57).[5] ამ დავალების შესრულება ბასილმა თავდაპირველად შეუძლებლად მიიჩნია და უარის თქმა დააპირა, რადგან ერთი კაცისაგან ტაძრის აშენება „დასაბამითგან არაოდეს ვისგან ქმნილ არსო“, მაგრამ წმ. გიორგი მას ოჯახის ამოწყვეტით დაემუქრა და ბასილიც იძულებული გახდა დავალება მიეღო. იგი ჯერ თავის სოფელში, ოჯახის წევრებთან მოსალაპარაკებლად დაბრუნდა, შემდეგ კი, წმ. გიორგის მითითების თანახმად, გაემგზავრა კლარჯეთის უდაბნოში, ოპიზას, სადაც ვინმე ბერს, სახელად სტეფანეს გამოართვა რკინა ტაძრის მშენებლობისათვის საჭირო ხელსაწყოების დასამზადებლად და აგრეთვე — ერთი კარაული (ჯორი) — მშენებლობისათვის მასალის მისაზიდად. სწორედ ამ ჯორისა და თავისი საკუთარი ერთი ულილი ხარის შემწეობით ბასილი ენერგიულად შეუდგა ტაძრის მშენებლობას. მან, ცხადია, დიდი შრომა დახარჯა და ბევრი გაჭირვებაც გამოიარა, რადგან წმ. გიორგის მიერ დადებული პირობის თანახმად მარტოდმარტო მუშაობდა (ერთხელ შვილმა სცადა მიხმარებოდა, მაგრამ წმ. გიორგიმ ეს ცდა მაშინვე აღკვეთა); უზარმაზარ ქვებს, რომელთაგან ზოგი თერთმეტი მტკავლის სიგრძისა ყოფილა, ბასილი მარტო ამზადებდა და შორი მანძილიდან მშენებლობაზე ეზიდებოდა.

თავისთავად ცხადია, ერთი ადამიანი ვერ შესძლებდა ასეთ მძიმე სამუშაოს შესრულებას, მას წმინდანი რომ არ „დახმარებოდა“. ავტორი გვარწმუნებს, წმ. გიორგი თვითონ ეხმარებოდა ბასილს, რომელიც ამ დახმარების წყალობით ადვილად სწევდა ფრიად მძიმე ქვებს, ზოგჯერ კი ქვები თვითონ ჩამოგორდებოდნენ ხოლმე მთიდან და ზედ ტაძრის მშენებლობის ადგილზე შეჩერდებოდნენო. გარდა ამისა, წმ. გიორგი ხელოსანს თურმე საკვების შოვნაშიც ეხმარებოდა. ავტორის თქმით, „იყო მათ ჟამთა შინა სიყმილი და სიძვირე პურისაჲ“, ამიტომ წმ. გიორგი თავის „ბაჩილას“ ზოგჯერ ყურძენს ან სხვა რაიმე ხილსაც მიართმევდა (გვ. 60).

ასეთი დახმარების შედეგად ბოლოკ-ბასილმა „მარტომან სრულქმნა“ საკვირველი ტაძარი, „დიდად შუენიერი და წმიდად გებული ქვებითა ფრიად დიდითა და მრავალთა მიერ სატვირთავადცა ძნიად შესაძლებელითა“ (იქვე).

მაგრამ, ავტორის სიტყვით, ბოლოკ-ბასილის გულმოდგინება და წმინდანისადმი სამსახური ამითაც არ დამთავრებულა. ამას გარდა, მან „ერთი ტაძარი სხუაჲ აღაშენა სახელსავე ზედა წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისსა, გამოცხადებითავე მისითა და შენდობითა კაცთა თანაშეწევისაჲთა, ვითარცა არს ჩუეულება და წესი სოფლის დასაბამითგანი“ (იქვე); ჩანს, ეს მეორე ტაძარი, პირველი ტაძრისაგან განსხვავებით, ბასილმა ააშენა სოფლისთვის და თანაც არა მარტომ, არამედ სხვების დახმარებით. მაშასადამე, კალატოზ ბოლოკ-ბასილს არა მარტო საკუთარი, ასე ვთქვათ, კარის ეკლესია აუშენებია, არამედ სოფლის მცხოვრებთათვის განკუთვნილი ეკლესიის მშენებლობაშიც თავკაცის როლი შეუსრულებია.

ასეთია მოთხრობის მთავარი სიუჟეტი. ამ სიუჟეტში ჩართულია კიდევ რამდენიმე ეპიზოდი, რომლებიც იმავე წმ. გიორგის სასწაულებრივ მოქმედებას შეეხება, ხოლო თხზულების ბოლო ნაწილში ავტორი გვაწვდის ფრიად საინტერესო ცნობებს აბუსერისძეთა გვარის ბიოგრაფიისა და აგრეთვე ეკლესია-მონასტრების მშენებლობის საქმეში თავისი საკუთარი დამსახურების შესახებ.

უპირველეს ყოვლისა გავეცნოთ მოთხრობის მთავარ სიუჟეტში ჩართული ეპიზოდების შინაარსს.

პირველი. ერთი კაცი, — „ვინმე მხედართაგანი“ (ალბათ რაინდი — აზნაური), სპარსეთში წავიდა, სადაც მისი ვაჟი ტყვედ იმყოფებოდა. მას წმ. გიორგი გამოეცხადა და უთხრა: „უკუეთუ აღმიშენო სასჭთლე ქვისაჲ ქარის

მოსაფარებელი, ხელთა მიერ შენთა, უეჭველად გამოგიხსნო" მხედარმა წმინდანის მითითება შეასრულა, რითაც შვილი ტყვეობიდან დაიხსნა.

მეორე. ქვემო იჭარის სოფელ ცხმორისიდან „ვინმე კაცნი წარვიდეს ნაპირსა წარმართთასა (ე. ი. სპარსეთში) მოსარეწელად რაჲსმე, ლო[illegible] ნიგლახაკისა თვისისა". იქ მათ „გარდაეკიდნეს აგარიანნი" და დაატყვევეს. გაჭირვებაში ჩავარდნილები წმინდა გიორგის შეევედრნენ. „ერთმან გულისმოდგინებით იმარხა და მეორე მცირედ ურწმუნო იქმნა" (გვ. 64), თუმცა იისიც ლოცულობდა. წმ. გიორგიმ ორივე ტყვე აღიტაცა და ის კაცი, რომელიც გულმოდგინედ ლოცულობდა, თავის სოფელში (ცხმორისში) მოიყვანა, — პირდაპირ ეკლესიის წინ დასვა, ხოლო მეორე — „ურწმუნოებისთვის" სოფელში კი არ დააბრუნა, არამედ საქრისტიანოს საზღვრამდე მოიყვანა და იქ დატოვა.

მესამე. ერთ ქრისტიან ბავშვს, რომელიც განძის ეკლესიაში მთელი კვირა მძინარი ეგდო და გონს ვერ მოდიოდა, სიზმარში ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი გამოეცხადა და უთხრა: ჩემს მათრახს ხელი მოჰკიდე, მევედრე და აქედან წაგიყვანო. ბავშვი, რა თქმა უნდა, დაეთანხმა და წმ. გიორგიმაც შეასრულა თავისი სიტყვა, აღიტაცა იგი და დასვა კახეთს, — ალავერდის ეკლესიის წინ. აქ ბავშვმა გამოიღვიძა და გონზეც მოვიდა.

აი ეს სამი პატარა ეპიზოდია ჩასმული მოთხრობის მთავარ სიუჟეტურ რკალში.

რაც შეეხება თხზულების ბოლო ნაწილში დაცულ ცნობებს აბუსერისძეთა საგვარეულოს და თვით ავტორის საქმიანობის შესახებ, ამაზე არსებითად ქვემოთ გვექნება საუბარი, ამჯერად კი აღვნიშნავთ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ თხზულების ავტორი თვითონაც ენერგიულად შრომობს ეკლესია-მონასტრების აშენებისა თუ განახლებისათვის და წმ. გიორგი მასაც ყოველმხრივ დახმარებას უწევს. ოღონდ ტაძარი, რომელსაც ის აშენებს ჯერ დამთავრებული არ არის, ამიტომაც შესთხოვს ღმერთს, რათა „ამათ წმიდათა ღმერთისათა მეოხებამან მეცა მომანიჭოს სრულქმნიაჲ ჩემგან სამუშაკოდ [illegible]რებულისა ხ ი ხ ა თ ა ეკლესიისაჲ" (გვ. 66).

ასეთია მოკლედ აბუსერისძე ტბელის თხზულების შინაარსი. როგორც ვხედავთ, ზღაპრებთან ერთად, მოთხრობაში ბევრი საინტერესო ცხოვრებისეული ფაქტია ფიქსირებული, რომელთა ანალიზი, ჩვენი ფიქრით, ფრიად საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

დავიწყოთ იმ მონაცემების ანალიზით, რომლებიც იმდროინდელი ხელოსნური წარმოებისა და თვით ხელოსნების მდგომარეობაზე გვაძლევენ გარკვეულ წარმოდგენას.

## 2. ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა მაღალი ფენა XII-XIII საუკუნეების საქართველოში

უპირველეს ყოვლისა, დავსვათ ასეთი კითხვა: ვინ არის ბოლოკ-ბასილი, ღარიბი და გაჭირვებული ყმა გლეხია, რომელიც ლუკმა პურისათვის დადის საშოვარზე, თუ მდიდარი და თავისუფალი ხელოსანია?

სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, რომელიც ისტორიკოს ლევან მუსხელიშვილს ეკუთვნის, ბოლოკ-ბასილი „ღარიბი აჭარელი გლეხია", რომელიც „ალბათ, აბუსერისძეთა ყმა იქნებოდა"; იგი „მხოლოდ ერთ ულლეული ხარის პატრონია... მას საკუთარი იარაღიც კი არ გააჩნია" (გვ. 12).

სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია ამ თვალსაზრისს დავეთანხმოთ, რადგან იგი ეწინააღმდეგება როგორც აბუსერისძე ტბელის მოთხრობის მთელ შინაარსსა და სულისკვეთებას, ისე თვით ლევან მუსხელიშვილის ნაშრომის ძირითად დებულებებს. პატივცემული ისტორიკოსი თვითონ აღნიშნავს, რომ „აჭარაში, რომელიც... ძველთაგანვე ბერძნული კულტურის გავლენას განიცდიდა... განვითარებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ხელობა. დამახასიათებელია, მაგალითად, რომ X ს-ის დამდეგსაც, როდესაც ზარზმის ეკლესიას აშენებდნენ, ხუროთმოძღვარი „ქუეყანისაგან ბერძენთაჲსა, ადგილისაგან ხუფათ წოდებულისა" მოუყვანიათ, ხოლო თანაშემწედ მისთვის გალატოზი მიუციათ, „სახელით შუარტყლელი", ე. ი. ჩვენი ბოლოკ-ბაზილის თვისტომი. ცნობილია, რა მყარი იყო ხელოსნობის ცენტრები შუა საუკუნეებში და ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ X საუკუნეში, ისევე როგორც XIII-ში ქვითხუროობა შუარტყლის პრივილეგიას შეადგენდა" (13).

აქედან აშკარაა, რომ შუარტყალი, თვით პატივცემული მკვლევარის აზრით, ჯერ კიდევ X საუკუნის დამდეგს ყოფილა ხელოსნობის ერთი დარგის, სახელდობრ ქვითხუროობის ცნობილი ცენტრი. მაგრამ რას ნიშნავს ეს? თეორიიდან ცნობილია: როცა ფეოდალიზმის ეპოქაში შრომის დანაწილება ამდენად შორს წავა, მაშინ ჩვენს წინაშეა ხელოსნური წარმოების ფრიად განვითარებული ეტაპი, — სასაქონლო წარმოების ეტაპი; ამ ეტაპზე ხელოსნობა არა მარტო სოფლის მეურნეობისაგან, არამედ ვაჭრობისაგანაც გამოყოფილია, — ესაა ხელოსნობა დაკვეთით ანუ წარმოება ბაზრის საჭიროებისათვის. მაშასადამე, თავისთავად ის ფაქტი, რომ ხელოსანი თავისი სოფლიდან შორს მიდის და იქ ეკლესიას აშენებს, სულაც არ არის მისი სიღარიბის თუ გაჭირვების ნიშანი. რაკი შუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტყალი მთელი ორასი წლის მანძილზე ხელოსნობის ცენტრია და თანაც აქაური ხელოსნები ისეთ რთულ ნაგებობათა დახელოვნებული ოსტატები არიან, როგორიც ეკლესია-მონასტრებია, თავისთავად ცხადია, რომ ეს ქვითხუროები საქართველოს სხვადასხვა მხარეებში ივლიდნენ არა მარტო გაჭირვების გამო, — ლუკმა პურის საშოვნელად, არამედ იმისათვის, რომ მათი ოსტატობა საჭირო იქნებოდა ქვეყნის სხვადასხვა მხარეებისათვის და, მაშასადამე, მათი გასამრჯელოც იმდენად მაღალი იქნებოდა, რომ იძულების გარეშეც მიიზიდავდა ხელოსნებს შორეულ კუთხეებში.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ შუარტყალი ქალაქი კი არაა, სოფელია (ან დაბაა), რაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს იმდროინდელ საქართველოში შრომის დანაწილების უაღრესად გაღრმავების ფაქტს. ცნობილია, რომ ხელოსნური წარმოება იმ დროს უმთავრესად ქალაქებში იყო თავმოყრილი. სოფლიდან გაქცეული ყმა გლეხი, როგორც წესი, ქალაქში გარბოდა, ამქართა ორგანიზაციას აფარებდა თავს და დროთა ვითარებაში ყმობას თავს აღწევდა. შემდგომში, შრომის დანაწილების პროცესის გაღრმავების კვალობაზე, თავისუფალი გლეხი — ხელოსნები თვით სოფლებშიც ჩნდებიან. სასაქონლო მეურნეობამ გაზარდა ფეოდალის მოთხოვნილებები, ახლა მას ოსტატ-ხელოსანთა სულ უფრო და უფრო მეტი და კარგი ხარისხის საქონელი სჭირდება, ამიტომ ის იძულებულია ასე თუ ისე შეურიგდეს ყმა გლეხის თავისუფალ ხელოსნად გარდაქმნის პროცესს. აქედან წარმოსდგა თავისუფალ ხელოსანთა ფენა არა მარტო ქალაქად, არამედ სოფელ ადგილებშიც, — პირდაპირ აზნაურ ფეოდალთა თვალწინ. აკად. ნიკო ბერძენიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა: „ხელოსნები იმ დროს მეფისა თუ ფეოდალების (ეკლესია-მონასტრების, დიდაზნაურების) კარსასახლეებშიც შრომობდნენ, სოფლებშიაც და ქალაქებშიაც. ზოგნი ერთი კუთხიდან მეორეში მამოდიოდნენ, ზოგნი ერთ ადგილას ისხდნენ და ცალ-ცალკე ან ჯგუფებად, ხოლო ზოგიერთ დარგში, როგორც ჩანს, თემობითაც კი ხელოსნობდნენ... ხელოსანთა უმრავლესობა ქალაქებში იჯდა... ხელოსნური ნაწარმი იმ დროს აღებმიცემობის მთავარ საგანს წარმოადგენდა“.[6]

შუარტყალში, რა თქმა უნდა, მარტო ხელოსნები როდი ცხოვრობდნენ, იქ აზნაურებიც იყვნენ (რასაც მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ისტორიაში ცნობილია აწყურის ეპისკოპოსი გიორგი შუარტყლელი), მაგრამ ხელოსნობაც რომ აქ დიდად განვითარებული ყოფილა, ეს უდავოა. განვითარებული ხელოსნური წარმოება კი ყოველთვის გულისხმობს ხელოსანთა შორის ქონებრივი დიფერენციაციის არსებობას, ე. ი. მდიდარი ხელოსანი — ოსტატებისა და მათი ხელქვეითი ღარიბი ქარგალ-შეგირდების ერთდროულად არსებობას.

ბოლოკ-ბასილი უდავოდ მდიდარი და მაღალკვალიფიციური ხელოსანი-ოსტატია და სწორედ ამიტომ სარგებლობს იგი წმინდა ვიორგის განსაკუთრებული მფარველობით, რაც სხვა არაფერია, თუ არა თხზულების ავტორის თვალსაზრისის გაიდეალებული გამოხატულება; ბოლოკ-ბასილის მაღალკვალიფიციურობის უდავო დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მას ძალა და უნარი შესწევს სხვების დაუხმარებლად ააგოს „საკვირველი ტაძარი“; რაც შეეხება მის ქონებრივსა და სოციალურ მდგომარეობას, ამის გასათვალისწინებლად საკმარისია ყურადღება მივაქციოთ შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებებს:

პირველი, მოთხრობაში ერთი სიტყვაც არსადაა ნათქვამი იმის შესახებ, რომ ბოლოკ-ბასილი თითქოს ღარიბი გლეხი, ან კიდევ ვინმეს ყმა იყო. მართალია, წმ. გიორგიმ იგი ხელსაწყო-იარაღების დასამზადებლად საჭირო რკინისათვის კლარჯეთში, სტეფანე ბერთან გაგზავნა, მაგრამ ეს ფაქტი არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ მას თითქოს „საკუთარი იარაღი არ გააჩნდა“ (თუ სამუშაო იარაღი არ გააჩნდა, მანამდე როგორღა მუშაობდა და როგორ გახდა ცნობილი ოსტატი?); საქმე ისაა, რომ ის სტეფანე, რომელმაც მას იარაღების დასამზადებლად რკინა მისცა, ავადმყოფი იყო და წმ. გიორგიმ იგი სწორედ ამ რკინის მოცემისთვის განკურნა. ამით ავტორმა აღწერა წმ. გიორგის სასწაულთმოქმედება, რაც მისი თხზულების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს; გარდა ამისა, ბოლოკ-ბასილს, როგორც კალატოზს, მანამდე, ცხადია, მხოლოდ კალატოზისთვის საჭირო იარაღები ექნებოდა, მას შემდეგ კი, რაც მან წმ. გიორგის დავალება მიიღო, მას დასჭირდებოდა მრავალი სხვა ახალი იარაღი და ხელსაწყო (ქვის სატეხად, მიწის სათხრელად, ხის მასალის დასამუშავებლად და ა. შ.).

ასევე არ გამოდგება ბოლოკ-ბასილის სიღარიბის მოწმობად ის ფაქტი, რომ იგი ტაძრის აგებაზე მარტო ერთი უღელი ხარით მუშაობდა. ჯერ ერთი, მოთხრობაში არსად არ არის ნათქვამი, რომ მას მარტო ის ერთი უღელი ხარი ჰყავდა, რომელსაც ტაძრის მშენებლობაზე იყენებდა; პირიქით, მოთხრობის კონტექსტი უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მას, თუ მეტი არა, ორი უღელი ხარი მაინც უნდა ჰყოლოდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, როგორ მოახერხა მისმა შვილმა წლების მანძილზე ოჯახის მოვლა-პატრონობაც და ახალი სახლის აშენებაც; მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, რაკი თვითონ ბოლოკ-ბასილი მოვალე იყო ტაძრის მშენებლობაზე მარტოდ-მარტო ემუშავნა, როგორ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძლო მას, — თუნდაც რომ ათი უღელი ხარიც ჰყოლოდა, — პრაქტიკულად ერთ უღელ ხარზე მეტი გამოეყენებია, — მით უმეტეს, რომ ჯორიც მას უნდა დაეტვირთა? დაბოლოს, ესეც ვიკითხოთ, ბოლოკ-ბასილი ხომ მხვნელ-მთესველი გლეხი არაა, ის პროფესიული ხელოსანია, და რატომაა სავალდებულო მისი ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა ხარების რაოდენობით განისაზღვროს? ხომ შეიძლება წარმოვიდგინოთ ხელოსანი, რომელსაც არც ერთი ხარი არ ჰყავს, მაგრამ მაინც ღარიბი არ ეთქმის? ძნელი მისახვედრი არაა, რომ ხელოსანთა (განსაკუთრებით ქალაქებში მცხოვრებთა) უმრავლესობა სწორედ ასეთი იქნებოდა, მაგრამ მათი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ეს ფაქტი ვერავითარ წარმოდგენას ვერ მოგვცემს.

რაც შეეხება მის ყმობას, ესეც სრულიად დაუჯერებელი ამბავია. ჯერ ერთი, მოთხრობაში ბატონის (პატრონის) ხსენებაც კი არსადაა, მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, განა წარმოსადგენია, რომ ფეოდალურ ეპოქაში ყმამ, ბატონის უკითხავად, საკუთარი ეკლესია აიშენოს?! ან კი რომელი ბატონი მისცემდა თავის ყმას იმის უფლებას, რომ დიდი ხნის მანძილზე მიეტოვებინა საბატონო ვალდებულებათა შესრულება და საკუთარი ტაძარი ეშენებია?! ბოლოკ-ბასილი რომ ყმა გლეხი ყოფილიყო, ცხადია, წმ. გიორგის დავალების მიღებისთანავე ის ბატონთან (პატრონთან) უნდა წასულიყო და ეკლესიის აშენების ნებართვა აელო, მოთხრობაში კი არაფერი ამის მსგავსი არ ხდება: ბასილი მარტო თავის ძმებსა და ოჯახის წევრებს ამცნობს წმინდანის დავალებას, შემდეგ კი სრულიად დამოუკიდებლად და თავისუფლად მოქმედებს.

მეორე, ეკლესიის ცოტად თუ ბევრად რიგიანი შენობის აგებას (ისიც ერთი კაცის მიერ) რამდენიმე წელიწადი მაინც დასჭირდებოდა და ამ ხნის განმავლობაში ვინ აჭმევდა და ასმევდა, ვინ აცვამდა და ახურავდა ბოლოკ-ბასილსა და მის ოჯახს? სახელმწიფო გადასახადიც ხომ უნდა გადაეხადა, პირუტყვებსაც (ხარებს და ჯორს), ხომ ჭამა უნდოდა და საიდან შოულობდა ბოლოკ-ბასილი ამდენ სახსრებს იმ წლებში, როცა იგი საკუთარ ეკლესიას აშენებდა და არსაიდან არავითარ ხელფასს არ იღებდა? განა ღარიბ ოჯახს შეეძლო ასეთი ხარჯი გაეწია და თანაც ისეთ დროს, როცა ქვეყანაში „სიყმილი და სიძვირე პურისაჲ“ იყო?

მესამე, მოთხრობის მიხედვით, სწორედ იმ დროს, როცა ბოლოკ-ბასილი საკუთარ ეკლესიას აშენებდა, მისმა შვილმა „სახლი აღაშენა საყოფელად სახლეულთა თვისთა, გამოცხადებისთავე წმიდისაითა, დაღაცათუ კაცთა შეწევნად შეუნდო წმიდამან“ (გვ. 60). უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლოკ-ბასილს და მის ოჯახს სახლი ადრეც ექნებოდათ, მაგრამ ახლა, ჩანს, იმავე წმ. გიორგის ჩაგონებით, ახა[illegible] ნებით, — თანაც ამ სახლის აშენება „კაცთა შეწევნით“ მომხდარა. აქ ბუნებრივად ისმება კითხვა: რომელ ღარიბ გლეხს შეუძლია ერთდროულად აიშენოს საკუთარი ეკლესია და ახალი სახლი?

მეოთხე. მოთხრობიდან გარკვევით ჩანს, რომ ბოლოკ-ბასილმა თავისი ეკლესია „განასრულა“ ანუ „სრულ ქმნა“ (გვ. 60, 61); გარდა ამისა, მოთხრობიდან ჩანს, რომ ეს ეკლესია მოქმედი საკულტო დაწესებულებაა, სადაც ასვენია სასწაულთმოქმედი წმინდა ჯვარი (65), მარხავენ მიცვალებულებს, კერძოდ თვით ბოლოკ-ბასილსა და მისი ოჯახის წევრებს (66) და, მაშასადამე, ასრულებენ ღვთისმსახურების ჩვეულებრივ რიტუალებს. ეს გარემოება ჩვენ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბასილმა არა მარტო ეკლესიის შენობა ააგო, არამედ უზრუნველჰყო კიდევაც იგი ყველაფრით, რაც ეკლესიისათვის საჭიროა, კერძოდ: მას ეკლესიის ინტერიერი უნდა მოეხატა და ხატებით დაემშვენებია, მღვდელმსახურებისათვის საჭირო ნივთები შეეძინა და, ბოლოს, თვით კულტის მსახურნი — მღვდელი და დიაკონიც მოეწვია. რამდენადაც ხატებს და სხვა საკულტო ნივთებს ბასილი თავის ხელით ვერ დაამზადებდა; გარდა ამისა, რამდენადაც იგი ერის კაცი იყო და რელიგიურ რიტუალებს თვითონ ვერ შეასრულებდა, ცხადია, ჯვარ-ხატებიც ფულით უნდა შეეძინა და სასულიერო პირებიც საკუთარი ხარჯით დაექირავებია.

ამრიგად, გამოდის, რომ ჩვენი ხელოსანი არა თუ ღარიბი არ იყო, არამედ სიმდიდრით თითქმის არ ჩამოუვარდებოდა მისი დროის ფეოდალებს, რომლებსაც საკუთარი კარის ეკლესია და საკუთარი საძვალე ჰქონდათ.

ბოლოკ-ბასილი რომ ღარიბი გლეხი და რიგითი ხელოსანი არ ყოფილა, ამას თვალნათლივ გვიჩვენებს მისდამი მოთხრობის ავტორის დამოკიდებულებაც. ის ფაქტი, რომ უმაღლესი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი, ერისთავთ-ერისთავის შვილი, მას ასეთი განსაკუთრებული სიმპათიებით ეპყრობა და მასზე თითქმის როგორც თანასწორზე ლაპარაკობს, ცხადია, იმის უტყუარი ნიშანია, რომ ბასილი მდიდარი და თავისუფალი ხელოსანია, რომელიც იმდენად მაღლა ასულა საზოგადოებრივი ცხოვრების კიბეზე, რომ თვით წმიდა გიორგის განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული დაუმსახურებია.

ამ დასკვნას, ცხადია, ვერ შეარყევს ის ფაქტი, რომ თხზულების ერთ ადგილას (გვ. 57) ბოლოკ-ბასილი წმ. გიორგისთან საუბარში თავის თავზე ამბობს: „მე ესრეთ გ ლ ა ხ ა კ ს ა ნუგეშინისაცემლად ჩემდა მაქუნდა უცხოებასა მუშაკობაჲ, რათა მოვირეწო დასარჩენელი სახლეულთა ჩემთა“. აქ სიტყვა „გლახაკი“, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმა უნდა, პირდაპირი აზრით არ უნდა გავიგოთ, რადგან ძველად წმინდანთა წინაშე ამგვარი თავის „მოგლახაკება“ ჩვეულებრივი ამბავი იყო. ხშირად თვით უმდიდრესი თავადები და მღვდელმთავრებიც კი თავის თავს „გლახაკს“ ეძახდნენ. აი, მაგალითად, რას ამბობს ქართლის კათალიკოზი მიქაელი: „ვინცა ესე... ჩ-ნ გლახაკისა ქართლისა კათალიკოზისა მიქაელისაგან დამტკიცებული შეურაცხყოს...“[7]

ყოველივე ზემონათქვამი, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს დამტკიცებულად ჩავთვალოთ ის აზრი, რომ შუარტყლელი ხელოსანი ბოლოკ-ბასილი ვაჭარ-ხელოსანთა კლასის ზედა ფენის, ე. წ. „მესამე წოდების“ შორეული, მაგრამ ტიპიური წარმომადგენელია. იგი იმავე სოციალური წრის ღვიძლი შვილია, რომელსაც ცნობილი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი ეკუთვნოდა.

ასეთი დასკვნა სრულიად ბუნებრივად და ლოგიკურად გამომდინარეობს აბუსერისძე ტბელის მოთხრობიდან. მაგრამ მკითხველს აქ შეიძლება დაებადოს შემდეგი სავსებით კანონიერი კითხვა: რისთვის სჭირდებოდა ხელოსანს, თუნდაც მდიდარს, საკუთარი ეკლესია და საძვალე, — განა მას არ შეეძლო სავალდებულო რელიგიური რიტუალები სოფლის საერთო ეკლესიაში შეესრულებინა?

ვნახოთ, რა პასუხს გვაძლევს ამ კითხვაზე აბუსერისძე ტბელის მოთხრობის შინაარსი.

## 3. ვაჭარ-ხელოსანთა ზედა ფენის („მესამე წოდების“) იდეოლოგიის ასახვა

როგორც სამართლიანად მიუთითებს აკად. ნ. ბერძენიშვილი, „XI-XII საუკუნეებში, როცა საქართველოში მრავალი ათეული ფეოდალური ქალაქი ჰყაოდა, ხელოსნები შეადგენდნენ დიდად მნიშვნელოვან სოციალურ ფენას, რომელიც ვაჭრებთან ერთად, ფეოდალური ქვეყნის დიდი ყურადღების საგნად იყო ქცეული“.[8] სწორედ ამ საქვეყნო ყურადღების შედეგია აბუსერისძე ტბელის მოთხრობა, რომელიც არა მარტო ხელოსანთა მაღალი ფენის ტიპიურ წარმომადგენელს გვიხატავს, არამედ იმ მოვლენის ნამდვილ მიზეზებსაც დაუფარავად გვამცნობს, რამაც ხელოსანთა ხსენებული ფენისათვის საკუთარი საკულტო დაწესებულების აშენების საჭიროება გამოიწვია.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ გამდიდრებულ ხელოსანს (იგივე „ბიურგერს“ ანუ მომავალ კაპიტალისტს) ესაჭიროებოდა თავისი კლასობრივი ინტერესების დაცვა არა მარტო რეაქციული ფეოდალების აღვირახსნილი თარეშისაგან, არამედ იმ ქარგლების, შეგირდების თუ უბრალო მუშებისაგანაც, რომელთაც იგი, თავისი სიმდიდრის წყალობით, გაუბატონდა. საკულტო დაწესებულება ანუ ეკლესია სხვა არაფერია, თუ არა იდეოლოგიური იარაღი, რომელიც მოწოდებული იყო იმისათვის, რომ წმ. გიორგისა და სხვა „ზეციური“ არსებების საშუალებით ახლად ჩამოყალიბებულ კლასს თავისი „მიწიერი“ ინტერესები დაეცვა.

აბუსერისძე ტბელის მოთხრობის შინაარსი, როგორც ითქვა, ზღაპრულ ხასიათს ატარებს და შესაძლებელია მთლიანად მისი ავტორის მიერ იყოს გამოგონილი, მაგრამ ეს საკითხის არსს არ სცვლის: რაკი მწერალმა ასეთი ამბის გამოგონება საჭიროდ მიიჩნია, ხოლო მკითხველმა იგი მიიღო, შეიწყნარა და მრავალი საუკუნის განმავლობაში სათუთად შეინახა, ცხადია, რომ მოთხრობა ცხოვრების რეალურ სინამდვილეს ასახავს და მის საჭირბოროტო, მტკივნეულ საკითხებს ეხება.

რაც შეეხება მოთხრობის რელიგიურ-ზღაპრულ ფორმას, ესეც ტიპიურია თავისი დროისათვის და უაღრესად საინტერესოა მხატვრული თვალსაზრისით; ავტორი უდიდეს ემოციურ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე არა მარტო წმ. გიორგის სასწაულთა აღწერით, არამედ მოთხრობის სიუჟეტის ოსტატური განვითარებითაც. ავტორი მხატვრული სიტყვის ნამდვილი ოსტატია, ის ყოველნაირად ცდილობს, და ახერხებს კიდევაც, მოთხრობის მთავარ გმირს მკითხველის სიმპატიები მოუპოვოს. შემთხვევითი როდია, მაგალითად, რომ ავტორი ასე ბევრსა და ხაზგასმით ლაპარაკობს იმ განსაკუთრებულ მზრუნველობაზე, რომელსაც წმ. გიორგი ბოლოკ-ბასილისადმი იჩენს. ამით მას სურს მკითხველს ის აზრი ჩაუნერგოს, რომ მისი მოთხრობის გმირი ღმერთის რჩეულია; ასევე არ არის შემთხვევითი და სრულიად გარკვეულ მიზანს ემსახურება მთელი ეს ისტორია ერთი ხელოსნის მიერ ეკლესიის აგების შესახებ. ამით ავტორს სურს მკითხველს ის აზრი შთააგონოს, რომ ხსენებული ეკლესია ბოლოკ-ბასილის პირადი საკუთრებაა და სხვა ვერავინ შეეცილება. ეკლესია ბასილმა საკუთარი ხელით ააგო და, მაშასადამე, იგი მის საკუთარ ინტერესებს იცავს, ასეთია თვით წმ. გიორგის ნება.

ხოლო ამ ეკლესიის მფარველობას რომ ბასილი და მისი შთამომავალნი თავიანთი ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის იყენებენ, ესეც აშკარად ჩანს მოთხრობის შინაარსიდან. ავტორი გვარწმუნებს, რომ წმ. გიორგი თითქოს ხშირად ხილულად ეჩვენებოდა და ესაუბრებოდა ბასილს, აგრეთვე მის შვილს იოვანეს და შვილიშვილს იოსებს; წმინდანი თავის რჩეულთ, ავტორის თქმით, ყოველნაირად ეხმარებოდა და ამხნევებდა, ხოლო მათს მტრებს ებრძოდა და აშინებდა. მაგრამ ავტორი ასეთი ზოგადი განცხადებითაც არ კმაყოფილდება და მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ დაეხმარა წმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ბასილის შვილს იოვანეს. მოვუსმინოთ:

„უკეთუ ენების რაჲმე ბასილის, მომთხრობელსა მახლობელთა მიმართ მისთა, გინა სხუათა მიერ არა მომცემელთა, მეყსეულად შერისხვით ამხილის და იძულებით წინაშე მისსა მოაწიან, და არავის მოუტევის ესევითარი წმიდამან... და იოვანეს, შვილსა მისსა, ვალისა მისისა წილ, ერთი ძელი წარუღო უნებლიეთ ვინმე კაცმან, სიცოცხლესავე შინა მამისა მისისა პასილისსა. ხოლო წმიდაჲ ესე მივიდა უდეს ჩუენებით, მწუხრსა, სახლსა შინა მის კაცისსა, რაჟამს ღამე იქმნა დღე იგი, რომელი განთენდებოდა კვირიაკედ, და ჰრქუა მას წმიდამან: „მოიყიდე სხუაჲ უმძიმესი ძელი და ალიტვირთე ზურგითა შენითა, რათა მოაწიო წინაშე ტაძრისა ჩემისა და ამისი არა მყოფელი მოგწყვიდო უეჭველად ყოვლითურთ რაჲცა არს შენი“ და მოაწია უდით ზურგითა თვისითა მრავალთაგან ძნიად სატვირთავი ძელი წინაშე ამის ტაძრისა, შეწევნითავე წმიდისაჲთა“ (გვ. 61).

ეს ამონაწერი ჩვენთვის მრავალმხრივ არის საინტერესო, რადგან მასში, როგორც სარკეში, არეკლილია იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ნამდვილი სურათი.

ჯერ ერთი, ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ სიმდიდრით გალაღებული ხელოსნის თვითნებობას და თავგასულობას საზღვარი არა აქვს: „უკეთუ ენების რაიმე ბასილის“, ყველა მოვალეა მისი სურვილი დაუყოვნებლივ შეასრულოს, თუ არა და წმ. გიორგი მზადაა ურჩებს საშინელი რისხვა დაატეხოს; ვიღაც კაცმა უნებლიედ ერთი ძელი წაიღო, — ისიც ვალში, და მას უბრძანებენ უფრო დიდი ძელი თავისი ზურგით უკანვე მიიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი ოჯახის ამოწყვეტით ემუქრებიან; ულონო კაცი იძულებულია ბრძანებას დაემორჩილოს, მაგრამ განა ეს ფაქტი მდიდარსა და ღარიბს შორის უსამართლო დამოკიდებულების კლასიკური ნიმუში არ არის?!

მეორე, ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, აგრეთვე, ქართული ეკლესიის წოდებრივი (კლასობრივი) ბუნება: თუ წინათ, ადრინდელი ქრისტიანობა ლატაკთა და არაფრისმქონებელთა დახმარებას ქადაგებდა; თუ გიორგი მთაწმინდელისა და დავით აღმაშენებლის დროსაც კი ქვეყნის მოწინავე ძალები ეკლესიის წოდებრივობას ებრძოდნენ და დემოკრატიულ პრინციპებს იცავდნენ, ახლა დრო შეცვლილა და ქართულ ეკლესიაში წოდებრიობის პრინციპი იმდენად გაბატონებულა, რომ წმინდანის სახელით მდიდრის მიერ ღარიბის დაჩაგვრა და ძალმომრეობა მოწინავე მწერლებსაც კი ნორმალურ მოვლენად მიუჩნევიათ. წმინდა გიორგი თვითონ მიდის უდელ გლეხთან, რომელმაც მისი საყვარელი „ბაჩილას“ ნაშიერს ვალში ერთი ძელი წაართვა, და აიძულებს მას უფრო დიდი ძელი თავისი ზურგით უკანვე დაუბრუნოს.

მესამე, ამ ამონაწერიდან აშკარად ჩანს, დაბოლოს, დიდი ფეოდალების (დიდებულების) ერთი ნაწილის უაღრესად მჭიდრო კავშირი ახლად ჩამოყალიბებულ ვაჭარ-მრეწველთა კლასთან: აბუსერისძე ტბელის მთელი სიმპათიები ბასილის მხარეზეა, მწერალი თავგამოდებით იბრძვის გამდიდრებული ხელოსნის ინტერესების დასაცავად, ამავე დროს იგი ღარიბი გლეხის მიმართ დიდ სისასტიკეს იჩენს. მოთხრობის ავტორი აშკარად კმაყოფილია იმ გარემოებით, რომ ხელოსანმა წმ. გიორგის დახმარებით აჯობა თავის მოვალეს და მძიმე ტვირთი თავისი ზურგით უკან დააბრუნებია.

წმ. გიორგის (და, მაშასადამე, მოთხრობის ავტორის) განსაკუთრებული სიმპათიები რომ გამდიდრებული ხელოსნისკენაა, ხოლო საზოგადოების უფრო დაბალი (ღარიბი) ნაწილი ასეთ განსაკუთრებულ სიმპათიებს მოკლებულია, ეს მოთხრობის სხვა ეპიზოდებიდანაც ჩანს. ავიღოთ თუნდაც ის ეპიზოდი, სადაც საუბარია წმ. გიორგის მიერ „ვინმე მხედართაგანის“ ყრმის სპარსთა ტყვეობიდან განთავისუფლებაზე. ეს სამხედრო პირი (ცხენოსანი) ალბათ აზნაური-რაინდი, ან მსახური — მოლაშქრე იქნებოდა, მაგრამ სიმდიდრით ბოლოკ-ბასილს უთუოდ ჩამოუვარდებოდა. ამით აიხსნება, რომ წმ. გიორგი მის მიმართ არც ისეთ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს, როგორსაც ბასილისა და მისი ოჯახის მიმართ იჩენდა, და არც ისეთი ძნელი დავალება მიუცია მისთვის, როგორც ბასილს მისცა; ამ მხედარს წმინდანმა დაავალა „სასანთლე ქვისაჲ, ქარის მოსაფარებელი“, ამიშენეო; ჩანს, მხედარს შეძლებაც არ ჰქონდა იმდენი, რომ ეკლესია აეშენებია და არც სჭირდებოდა საკუთარი ეკლესია.

კიდევ უფრო გულგრილად ეპყრობა და დავალებასაც ადვილად შესასრულებელს აკისრებს წმ. გიორგი იმ ორ გლეხს, რომლებსაც გაჭირვებამ სპარსეთში წასვლა გაიბედვინა და იქ ტყვეობაში აღმოჩნდნენ. როგორც ჩანს, ამ ღარიბებს უბრალო „სასანთლის“ აშენებაც არ შეეძლოთ, ამიტომ წმ. გიორგი მათგან მხოლოდ მხურვალედ ლოცვას და მარხულობას მოითხოვს, მაგრამ ფრიად საინტერესოა, რომ ერთი მათგანი ამ დავალების შესრულებასაც თავს არიდებს, რისთვისაც წმ. გიორგის სასჯელს იმსახურებს.

ამრიგად, აბუსერისძე ტბელის ისტორიული მოთხრობის ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ იმდროინდელ საქართველოში ხელოსანთა ზედაფენა (იგულისხმება ვაჭართა ზედაფენასთან ერთად) იმდენად დიდმნიშვნელოვანი ეკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომიური ფაქტორი გახდა, რომ საჭირო შეიქმნა მისი საკუთარი იდეოლოგიის ჩამოყალიბება, — იდეოლოგიისა, რომელიც თუმცა ჯერ კიდევ რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული, მაგრამ უკვე აშკარად ატარებდა „მესამე წოდების“ იდეოლოგიისათვის დამახასიათებელ კლასობრივ შინაარსს.

იმავე მოთხრობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მდიდარ ხელოსანთა გვერდით იმდროინდელ საქართველოში იყვნენ შედარებით ღარიბი მხედრები ანუ მოლაშქრენი და აგრეთვე ხავსებით ღატაკი გლეხები; ეს დაგლახაკებული გლეხები მასობრივად დადიოდნენ „საშოვარზე“ არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მის გარეთაც; ლუკმა პურის ძიებაში ისინი უცხო ქვეყნებშიც დაეხეტებოდნენ და ტყვეობაში ჩავარდნის საფრთხესაც კი არ ეპუებოდნენ.

მოთხრობის ანალიზი გვიჩვენებს, დაბოლოს, რომ იმდროინდელ საქართველოში დიდ ფეოდალთა (დიდებულთა) შორის არსებობდა გარკვეული ფენა, რომელიც აშკარად თანაუგრძნობდა ვაჭარ-მრეწველთა (ხელოსანთა) კლასს და ამ კლასის ინტერესების დაცვას აუცილებელ საქმედ მიიჩნევდა. ვისგან შესდგებოდა ეს ფენა? როგორ მოხდა, რომ ბრწყინვალე არისტოკრატიის წარმომადგენლებმა პლებეური წარმოშობის ხელოსანს თავი გაუყადრეს და მისი ინტერესების დასაცავად მოთხრობების შეთხზვაც კი დაიწყეს?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია უფრო ახლოს გავეცნოთ აბუსერისძე ტბელის პიროვნებას და იმ სოციალურ წრეს, რომელსაც იგი ეკუთვნოდა.

## 4. აბუსერისძე ტბელი — ქართული ლიბერალიზმის წინამორბედი

თავისი თხზულების ბოლო ნაწილში („ანდერძში“), როგორც უკვე ითქვა, აბუსერისძე ტბელი ფრიად დაწვრილებითსა და საინტერესო ცნობებს გვაწვდის არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ თავის ოჯახსა და ახლო ნათესავებზეც. აბუსერისძეთა საგვარეულოს შესახებ ცნობები მოიპოვება აგრეთვე „ქართლის ცხოვრებაში“ და სხვა ისტორიულ წყაროებში. ეს ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია საფუძვლიანად არის შესწავლილი და სათანადოდაც გამოყენებული, ამიტომ მათზე აქ დაწვრილებით აღარ შევჩერდებით და მხოლოდ უმთავრეს მომენტებს აღვნიშნავთ.

საისტორიო წყაროების მიხედვით, აბუსერისძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები (ერისთავები ივანე, აბუსერი, გრიგოლი) ჯერ კიდევ XI საუკუნეში წარმოგვიდგებიან როგორც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ერთიანი ქართული სამეფოს გაძლიერებისა და განმტკიცების საქმეში, „მატიანე ქართლისა“ გვამცნობს, რომ ერთ დროს აბუსერისძეთა საერისთაოში არა მარტო მათი სამემკვიდრო მამული აჭარა (თუ ზემო აჭარა-ხიხანი), არამედ მთელი არტანუჯის მხარე, ციხისჯვარი და აწყურიც შედიოდა. შემდგომში აბუსერისძეთა საგამგეო შედარებით დამცრობილი ჩანს, მაგრამ ამ გვარის წარმომადგენლები წინანდებურად ერთგულად ემსახურებიან საქართველოს მეფეს, ინარჩუნებენ ერისთავის (და ერისთავთ-ერისთავის) ტიტულს და ეწევიან უაღრესად ფართო კულტურულ საქმიანობას. ყოველივე ამის საუკეთესო მოწმობაა ჩვენი ძეგლის „ანდერძში“ დაცული ცნობები აბუსერისძე ტბელის მამა-პაპათა და ოჯახის წევრთა შესახებ.

განსაკუთრებით საყურადღებოდ ჩვენ „ანდერძის“ ის ცნობა მიგვაჩნია, რომელიც თხზულების ავტორის პაპის აბუსერისა და მისი ძმის სანანოს მოღვაწეობას შეეხება. „ამათ წაიხუნეს ხიხანი, მტერთა ზედა გაცემულნი, ბრძანებითა ღმერთისა სწორთა პატრონთაჲთაო“, — ნათქვამია „ანდერძში“ (გვ. 67). ჩვენ არ ვიცით, როდის ან რა ვითარებაში მოხდა ხიხანის ძლიერი ციხის მტერზე გადაცემა (ლ. მუსხელიშვილის საფუძვლიანი აზრით, ეს ამბავი 1911 წელს, კლარჯეთისა და შავშეთის ერისთავის გუზან აბუსალანისძის ღალატის შედეგად უნდა მომხდარიყო), მაგრამ აქ მოხსენიებული „ღმრთისა სწორნი“ რომ თამარ მეფე და მისი მეუღლე დავით სოსლანია, ეს ფაქტი ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ საფუძვლიანადაა დასაბუთებული (ლ. მუსხელიშვილი, ი. სიხარულიძე). აქედან კი ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ: რაკი თამარი და დავითი ხსენებულ აბუსერსა და მის ძმას მტრისაგან ციხის განთავისუფლებას ავალებენ, ცხადია, ისინი მეფის ერთგული მოღვაწენი არიან და, მამა-პაპათა მსგავსად, ერთგულად იბრძვიან მეფის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

ასევე მეფის ერთგულ და პროგრესულ მოღვაწეთა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ჩვენი მწერლის მამა, ერისთავთ-ერისთავი ივანე, რომელიც თურქების წინააღმდეგ ომში დაღუპულა, და უფროსი ძმები — აბუსერი და ვარდანი. ეს უკანასკნელნი რომ სახელგანთქმული კულტურული მოღვაწენი და სამშობლოს დიდი პატრიოტები ყოფილან, ეს ჩვენ სხვა წყაროებიდანაც ვიცით. ეყრდნობა რა ამ წყაროებს, აკად. კ. კეკელიძე უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს აბუსერისა და ვარდანის მოღვაწეობას, რომლებსაც ის კათოლიკოზ არსენ ბულმაისიმისძის გვერდით აყენებს. მოვუსმინოთ:

„არსენი, რომლის კათალიკოსობის ზუსტი თარიღი ჯერ გარკვეული არაა, თვალსაჩინო მოღვაწეა მეცამეტე საუკუნის მეორე მეოთხედისა... მას, როგორც განათლებულ კაცს,

მჭიდრო კავშირი ჰქონია იმ დროის მეცენატებთან: ვარდან და აბუსერ აბუსერისძეებთან, რომელნიც იყვნენ შვილნი ერისთავთ-ერისთავის ივანესი. ეს სამი პირი, ეროვნული ინტერესებით გამსჭვალულნი, აღტკინებული პანეგერისტები არიან „ქართველთა სამეუფოს" სიმტკიცისა და დამოუკიდებლობისა".[9]

ამრიგად, ბაგრატ მეოთხიდან მოკიდებული — თამარ მეფემდე აბუსერისძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები მეფის ერთგულთა პროგრესულ ბანაკში იმყოფებიან და აქტიურ მონაწილეობას იღებენ ერთიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში; ისინი არა მარტო პოლიტიკური მოღვაწენი (ერისთავები) არიან, არამედ კულტურის ფრონტზეც უაღრესად აქტიურად იღვწიან.

აი, ასეთ ოჯახში და ასეთ ტრადიციებზე აღიზარდა ჩვენი ავტორი. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ იმ დიდ გავლენას, რაც მწერალზე მის დედას, უაღრესად განათლებულსა და ღვთისმოსავ ქალს ხათუთას მოუხდენია, ადვილად წარმოვიდგენთ, რა მიმართულებით უნდა წასულიყო ტბელის გონებრივი განვითარება უკვე ბავშვობისა და ყრმობის ასაკიდანვე.

მაგრამ აბუსერისძე ტბელის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გავლენა უნდა მოეხდინა არა მარტო საკუთარ ოჯახსა და მამა-პაპათა ტრადიციებს, არამედ აგრეთვე იმ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ატმოსფეროს, რომელიც იმდროინდელ საქართველოში სუფევდა; არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტბელის ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები ემთხვევა თამარ მეფის დიდებულ დროს, როცა ფეოდალურმა საქართველომ თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია. ერისთავთ-ერისთავის შვილს, რა თქმა უნდა, კარგი აღზრდა უნდა მიეღო, ამასთან მას უთუოდ საშუალება ექნებოდა მეფის სასახლესთან ახლოს ყოფილიყო და იმდროინდელი კულტურისა და აზროვნების მიღწევები პირველი წყაროებიდან შეეთვისებია. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ნიჭიერ მწერალს შესაძლებლობა ჰქონდა თვით ცხოვრებაზე, თამარის ეპოქის მღელვარე მოვლენებზე უშუალო დაკვირვებით დაენახა ის დიდი ძვრები, რომლებიც ქართველი ხალხის ცხოვრებაში იმ დროს ხდებოდა.

ცნობილია, რომ ფეოდალური წყობილება, თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე, თვითონ წარმოშობს ახალი ცხოვრების ელემენტებს, რომლებიც ნელა, მაგრამ მტკიცედ და შეუპოვრად ვითარდებიან და დრომოჭმულ ფეოდალურ სისტემას ძირს უთხრიან. ასეთი ელემენტების რიცხვს პირველ რიგში სწორედ გამდიდრებული ვაჭარ-მრეწველები (ხელოსნები) მიეკუთვნებიან. დროთა განმავლობაში მათი როლი იზრდება და საზოგადოებრივი ცხოვრების ტონის მიმცემი, წამყვანი ძალა ხდება. ისტორიული განვითარების სწორედ ასეთ საფეხურზე იმყოფებოდა საქართველო XII-XIII საუკუნეებში. — მონგოლთა ურდოების შემოსევამდე, და სწორედ ეს ეტაპია ასახული აბუსერისძე ტბელის მოთხრობაში.

ნიჭიერმა და განათლებულმა მწერალმა დაინახა, რომ მოწყვლობის (ხელოსნობის) განვითარების გარეშე შეუძლებელი იყო ქვეყნის შემდგომი წინსვლა და, მაშასადამე, თვით მისი საკუთარი კლასის, ფეოდალების, არსებობაც, — კლასისა, რომელსაც აღარ აკმაყოფილებდა ძველი, საოჯახო ძოწყვლობის პრიმიტიული ნაწარმი და სულ უფრო და უფრო მეტად სჭირდებოდა დახელოვნებული ოსტატების მაღალხარისხოვანი სასაქონლო პროდუქცია; სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მან, საზოგადოების მაღალ წრეებში აღზრდილმა არისტოკრატმა, გამოქომაგებოდა მშრომელ ადამიანს — ხელოსანს, რომელიც საკუთარი ხელით აშენებდა ეკლესიებსა და სასახლეებს და, მაშასადამე, ქმნიდა ქვეყნის დოვლათს.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად ახლოს იყო თავისი პრაქტიკული საქმიანობით აბუსერისძე ტბელი იმ ხელოსანთა წრესთან, რომლის ერთ-ერთი ტიპიური წარმომადგენელი მან თავისი მოთხრობის მთავარ გმირად წარმოგვიდგინა (თუმცა ის ფაქტი, რომ ბოლოკ-ბასილის შვილიშვილი და მისი ნათესავები მასთან დაახლოვებული ჩანან, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მწერალი თავისი საქმიანობით ხელოსნებთან ახლოს უნდა მდგარიყო), მაგრამ ერთი რამ უდავოა: თუ პრაქტიკული საქმიანობით არა, სულიერად მაინც მოთხრობის ავტორი ძალიან ახლოსაა ხელოსნებთან, პატივს სცემს მათ და ყოველ ღონეს ხმარობს მათი ინტერესების დასაცავად. თავისი მოთხრობით ტბელი არა მარტო ექომაგება და იცავს ხელოსანს, (ბოლოკ-ბასილს), არამედ ცდილობს ეკლესიის საშუალებით (ე. ი. იდეოლოგიურად) დაასაბუთოს მისი უფლებები და პრივილეგიები, ჩააგონოს მკითხველს, რომ ბოლოკ-ბასილი (ე. ი. კარგი ხელოსანი) თვით ღმერთის (წმ. გიორგის) რჩეულია და ამიტომ მას ყველა დიდ პატივს უნდა სცემდეს.

აბუსერისძე ტბელის ასეთი თვალსაზრისი და პოზიცია, რა თქმა უნდა, თავისი დროისათვის უაღრესად პროგრესულია; ტბელი ფეოდალთა კლასის იმ პროგრესული ფრთის წარმომადგენელია, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ახლად აღორძინებულ ვაჭარ-მრეწველთა (ხელოსანთა) კლასთან. ქართველ დიდებულთა ეს პროგრესული ნაწილი გვერდში ედგა მეფის ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელიც ქალაქებსა, წვრილ და საშუალო აზნაურებსა და ნაწილობრივ გლეხობაზე დაყრდნობით, სასტიკად ებრძოდა დიდგვარიან ფეოდალთა რეაქციულ დაჯგუფებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრესულ და რეაქციულ ძალთა ხანგრძლივი ჭიდილი, როგორც ცნობილია, ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლის შემდეგ, გარკვეული კლასობრივი კომპრომისით დამთავრდა, რასაც შედეგად წოდებრივი მონარქიის შექმნა და ვაჭარ-ხელოსანთა ზედა ფენისათვის გარკვეული უფლებების მინიჭება მოჰყვა.

აბუსერისძე ტბელი 1191 წლის კლასობრივი კომპრომისის ღვიძლი შვილია. ამით აიხსნება, რომ მის მოთხრობას თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს იმ ჰუმანისტური აზროვნების კვალი, რომელიც საქართველოში რუსთველის ეპოქაში ჩამოყალიბდა.

ისევე, როგორც კახა თორელი და სხვა იმდროინდელი პროგრესული მოღვაწენი, აბუსერისძე ტბელი ქართული ჰუმანისტური აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელია, თავად-აზნაურული ლიბერალიზმის შორეული წინამორბედია.

რაც შეეხება ღმერთსა და ეკლესიას, ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, კერძოდ კი ვაჭრობა-მრეწველობის აყვავება და ფულის ტრიალის გაძლიერება, არ შეიძლებოდა ცის ბინადრებსაც არ დასტყობოდათ, და დასტყობიათ კიდევაც; ფულს ანგარიში უყვარს და წმ. გიორგიც ანგარიშიანი გამხდარა: ვისაც მეტი ეკონომიური შეძლება აქვს, წმინდანი მისგან მეტს მოითხოვს და მეტადაც ეხმარება მას, თუნდაც რომ იგი ძირძველი აზნაური არ იყოს, ხოლო გლახაკთა და გაჭირვებულთა მიმართ იგი აშკარად გულგრილობას იჩენს.

ადრინდელი ქრისტიანობის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება კაცობრიობის წინაშე ის იყო, რომ მან ღმერთის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპი აღიარა. ჩვენი ავტორის მიხედვით კი ღმერთის წარმომადგენელი წმ. გიორგი თვითონ არღვევს ამ პრინციპს და ღვთის წყალობას იმისდამიხედვით ანაწილებს, თუ ვინ რამდენ სამსახურს გაუწევს მას. ასეთი ანგარიშიანი წმიდა გიორგი, ცხადია, არც იმ ორტოდოქსი ეკლესიის წმინდანს ჰგავს, რომელიც, თუ საქმით არა, სიტყვით მაინც მოვალე იყო ყველა ცოდვილი ეხსნა გაჭირვებისაგან, ხოლო სიმდიდრე-ფუფუნება დაეგმო, და არც, მით უმეტეს, იმ წმინდანს, რომელიც, მორწმუნე ხალხის წარმოდგენით, ღარიბთა და გაჭირვებულთა უპირველესი დამხმარეა, მთავარმოწამეა. ერთი სიტყვით, ახალმა კლასმა თავისი ახალი, ანგარიშიანი წმიდა გიორგი წარმოშვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზეცაშიც იგივე ამბავი მოხდა, რაც ამ ცოდვილ დედამიწაზე ხდებოდა!

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან, ვფიქრობთ, თავისთავად გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე გაბატონებული აზრი, თითქოს აბუსერისძე ტბელის მოთხრობის მ თ ა ვ ა რ ი მ ი ზ ა ნ ი წმ. გიორგის სასწაულთ-მოქმედების აღწერა იყოს, დაზუსტებას საჭიროებს: ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ავტორს წმ. გიორგიცა და მისი სასწაულებიც ამქვეყნიური, სავსებით მიწიერი მიზნისათვის სჭირდება და ზეცის წარმომადგენელს თავისი საკუთარი აზროვნებისათვის დამახასიათებელ თვისებებს მიაწერს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აბუსერისძე ტბელის მოთხრობა კი არ ემსახურება წმ. გიორგის განდიდებას, პირიქით, თვით წმ. გიორგია ჩამდგარი ახალი კლასისა და მისი იდეოლოგების სამსახურში!

ასეთია მოკლედ აბუსერისძე ტბელის ისტორიულ მოთხრობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების წრე.

## შენიშვნები

1 ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წ. I, 1945 წ., გვ. 242-243.

2 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951 წ., გვ. 310.

3 ლ. მუსხელიშვილი, აბუსერისძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, 1941 წ.

4 ი. სიხარულიძე, ტბელ აბუსერისძე, XIII საუკუნის ქართველი მწერალი, 1963 წ.

5 ციტატები მოგვყავს თხზულების ტექსტის ლ. რჩეულიშვილის გამოცემიდან.

6 საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958 წ. გვ. 172-173.

7 თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1892 წ., გვ. 46.

8 საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 183.

9 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 306.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შეთეკაური

# ნათელი პოეტური სურათები

— კოლიზიუმი?
— არა, ნანგრევი,
სულ სხვა დიდების, სულ სხვა მშვენების!..
რკინის სადავეს ვერ იმაგრებენ
და ჭიხვინებენ თაფლა ცხენები.
და გზა ფლოქვებით გადანატორი
იწყდება ჯიქურ ჩაშლილ ბორანებს...
— ნამეწყერალი?
— არა, ბატონო,
დიდი დავითის ნადიდგორალი!
სპათა ფარ-შუბებს გააქვთ ზანზარი,
ველს ამძიმებენ მათი ჩრდილები.
— ნაქალაქარი?
— აბა, რას ბრძანებთ,
სრა-სასახლენი ცად აწვდილები!
ჩვენ ყველაფერი როდი დავკრძალეთ,
როდი დავაგდეთ ხმა წინაპრების...
— გადავშენდებით?
— არა, ბაზალეთს
— კვლავ ირწევიან ოქროს აკვნები!

ეს საკმაოდ ვრცელი ციტატა ახალგაზრდა პოეტ რაულ ჩილაჩავას ლექსის „ოპტიმისტური დიპტიხის“ მეორე, დამამთავრებელ ნაწილს შეადგენს. ეს ლექსი ავტორის პირველ კრებულში, „დასაწყისში“ არის შეტანილი. კრებული, რომელიც „მერანმა“ 1973 წელს გამოსცა, ამ ლექსით იხსნება.

აღნიშნული ლექსი პატრიოტულ თემაზეა აგებული. პატრიოტულ თემაზე აგებულ ლექსს მუდამ თავისი კოლორიტი აქვს, — იგი ბუნებრივ სითბოს გამოასხივებს და მკითხველზეც ბუნებრივ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს. გასაგებია, რომ სამშობლოს სადიდებელი ლექსის სითბო და ემოციური ზემოქმედება თვით სამშობლოს სიყვარულით არის შთაგონებული. აქვე გასაგებია ისიც, რომ ამ თემაზე ლექსის დაწერა ამა თუ იმ ავტორს მაინცდამაინც არ უძნელდება. პირიქით, მას ასეთი ლექსის დასაწერად რაღაც „უჩინარი ინერცია“ თავისთავადაც კი უბიძგებს, ის „უჩინარი ინერცია“, რომლის მაგიური ფესვები საკუთარი ქვეყნის უძლიერესი სიყვარულისა და ერთგულების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის სათავეებშია ჩაკარგული. თითქოსდა სამშობლოს მზამზარეულ სიყვარულს მხოლოდ ლექსად გარდათქმაღა სჭირდება. მაგრამ, არა, საკითხის ახე დაყენება მოვლენის არსის მარტოოდენ გულუბრყვილო ახსნის ცდა იქნებოდა. შემოქმედებითი უნარის მეტნაკლებობა, ცხადია, სამშობლოზე დაწერილ ლექსშიც ვლინდება. ასეთი ლექსის სითბო და ემოციური ზემოქმედება სხვადასხვა ინტენსიობისა შეიძლება იყოს, — იგი განიზომება იმის მიხედვით თვით ლექსი როგორი მხატვრული ძალმოსილებითა და ექსპრესიული სუნთქვით არის შესრულებული.

ზემოთმოყვანილი პოეტური ნაწარმოები, რომელიც სამშობლოს უკვდავებას უმღერის, მძლავრ შინაგან სითბოსაც გამოსცემს და მკითხველის გულსაც ემოციური ხიბლით იზიდავს. მისთვის ნიშანდობლივია ხმიერი ინტონირება, ფორმისა და შინაარსის ჰარმონია. ამბობენ, ნამდვილი ლექსის ფორმა, როგორც ჯანსაღი გული, არ უნდა იგრძნობოდესო. აქაც მთელი აქცენტი ლექსის შინაარსზე მახვილდება, თუმცა ფორმა შინაარსის იმპულსურ მდინარებას თავისებურ კალაპოტში აწონასწორებს.

ახალგაზრდა პოეტთა ერთი ნაწილის მისამართით ხშირად საყვედურს გამოთქვამენ, — „ულტრაორიგინალურობისაკენ“ ლტოლვა მათში ხანდახან ისეთ უკიდურეს გამოხატულებას პოულობს, რომ ისინი არავითარ „მხატვრულ უცნაურობებს“, არავითარ „აბსტრაქციულ ფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუსებს" არ ერიდებიანო. ლიტერატურის ისტორიამ კარგად იცის, რომ ზოგიერთი დამწყები ავტორის მისწრაფება — „თქვას ის და ისე, რაც და როგორც ჯერ არავის არ უთქვამს", ბოლოს მაინც ფიასკოს განიცდის და ცის უსიერ ლაჟვარდებში დიდი ხნის გაქროლებაც დასასრულ მაინც დედა-პლანეტაზე დაბრუნებით მთავრდება. რასაკვირველია, არავინ არ დავობს იმაზე, რომ პოეზიას, უპირატესად სიახლე, ორიგინალურობა, მოულოდნელობა და გაოცების მომენტებიც განაპირობებს, რომ სწორედ ეს მომენტები ქმნიან იმ მყარ საბჯენ სვეტებს, რომლებზეც ჭეშმარიტი ლექსის მთელი შენობა აღიმართება. მაგრამ ორიგინალურობაც არის და ორიგინალურობაც. ორიგინალურობასაც თავისი საზღვრები აქვს, რომლის იქით უკვე ქაოსი იწყება...

ამ მცირეოდენი ზოგადი ექსკურსიის შემდეგ, შეიძლება თამამად დავასკვნათ, რომ რაულ ჩილაჩავა ზემოაღნიშნულ ახალგაზრდა „მეამბოხე" პოეტთა რიცხვს არ მიეკუთვნება. შეიძლება ითქვას, რომ მან თავიდანვე ერთგვარი „ლოიალობა" გამოუცხადა თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის იმ მიღწევებს, რომლებიც თავისი სპეციფიკით ეროვნული კლასიკური წყობილსიტყვიერების ძირებთანაა დაკავშირებული და ამ ძირების შემდგომ პროგრესულ განვითარებას წარმოადგენს. ეს რომ ასეა, ამის ერთ-ერთ დასტურად ზემოთ მოტანილი სალექსო ციტატაც გამოდგება. მაგრამ ეს ლექსი გამონაკლისი კი არა, ტიპიურია ავტორის შემოქმედებაში და არ იქნება გაზვიადებული თუ ვიტყვით, რომ ასეთი ლექსი თავისი შინაგანი თავისებურებებით რ. ჩილაჩავას ინდივიდუალური შემოქმედებითი სტილის რაობასაც განსაზღვრავს.

მაგრამ აქ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს რ. ჩილაჩავა კლასიკური პოეზიის სტანდარტებს ველარ სცილდება და მასთან ორიგინალურობისაკენ მისწრაფება არ იგრძნობა. პირიქით, პოეტმა კარგად იცის, რომ პოეზია „ჩვეულებრივობის" ნორმებიდან გადახვევაა, ფრთალაღი აფრენაა, რომ ნაღდ ორიგინალურობას ფსევდოორიგინალურობასთან საერთო არაფერი აქვს. რ. ჩილაჩავა კიდეც ცდილობს საგნებსა და მოვლენებს „დასაშვებ ფარგლებში" შეძლებისდაგვარად თავისებური თვალით შეხედოს, ოღონდ სალექსო სტრუქტურის, მწყობრი პოეტური აზროვნების შეცვლისა, თუ დარღვევის თვალსაზრისით მასთან რაიმე „რადიკალური თვითნებობა" არ შეინიშნება. დიახ, მე ვამბობ „დასაშვებ ფარგლებში" და ამით მივანიშნებ იმას, რომ იგი ორიგინალურობის თვალსაზრისით გარკვეულ შემოფარგვლას ახდენს — მხატვრული ფანტაზიის სივრცეებში საკუთარი ბილიკებით მოგზაურობას ის არცთუ იშვიათად წინამორბედი თუ თანამედროვე წყობილმესიტყვეთა მიერ უკვე გაკვალული ფართო შარაგზით სიარულს ამჯობინებს. მაგრამ ამას რომ ვუსვამ ხაზს, ამით იმის თქმა სულაც არ მინდა თითქოს ეს საძრახისი იყოს ანდა, ვიმეორებ, სიახლის სტიმული მის შემოქმედებაში არ აისახებოდეს.

რ. ჩილაჩავას აქვს ლექსები, სადაც სიმძიმის ცენტრი თავისებური სათქმელის მოძებნაზეა გადატანილი, მაშინ როცა „განზე რჩება" თავისებური სათქმელის თავისებური გამოხატვის სურვილი. ასეთი ლექსები მასთან მეტწილად ესკიზის, ეპიზოდური ჩანახატის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგალითად, ავიღოთ მისი ლექსი „ღამის დარაჯი" და მოვიტანოთ იგი მთლიანად:

როცა მოთენთილ ღამის მკლავებზე
ჩაეძინება ქალაქს ღრმა ძილით,
ადგება მთვარეს მიუალერსებს
კაცი — მთვარის და მიწის ნაწილი.
ჩიბუხს დატენის, მერე გათოშილ
ხელებს მოითბობს ფიჩხის კოცონთან
და გაიხსენებს ქალებს, რომლებიც
უყვარდა ანდა შორით მოსწონდა.
ღამე ჩუმია, როგორც შენდობა,
(ცოდვის შენდობას ქვეყნად სხვა რა სჯობს!)
ზის კაცი, მუხლს და მაჯას ენდობა
და ულამაზეს ფიქრებს სდარაჯობს.
მისი სამყარო წყნარზე წყნარია,
თითქოს ამშვიდებს დროის ამო სვლა.
და თვით არ იცის, რა უხარია —
მზის ამოსვლა თუ მთვარის ამოსვლა.

ეს ნაწარმოები ფორმის მხრივ უაღრესად ტრადიციული მანერითაა შესრულებული. ცნობილი გამოთქმა — „ყველაზე არაჩვეულებრივი ღვინოც კი შეიძლება ყველაზე ჩვეულებრივ ჭურჭელში ჩაისხას და ამით ღვინის გემო არ შეიცვლება", აქ გადატანითი მნიშვნელობით რომ ვიხმაროთ და იგი ამ ლექსის სათქმელისა და მისი სტრუქტურის ურთიერთობას რომ მივუსადაგოთ, სრულყოფილ ალეგორიულ სიზუსტეს მაინც ვერ მივიღებთ. და ეს, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ სალექსო პრაქტიკაში ხშირად ფორმა საყოველთაოა, შინაარსი — ინდივიდუალური. ათმარცვლიანი ლექსის საზომს ბევრი ავტორი მიმართავს, მაგრამ ამ მეტრში თითოეული მათგანი საკუთარ ნაფიქრ-ნააზრევს საკუთარი აღქმის, შეგრძნების, ხედვის, ანალიზისა თუ მხატვრული გარდასახვის კუთხით გვიმხელს. პოეტის თვითმყოფადობაც უმთავრესად სწორედ ამ უკანასკნელი ფაქტორებით განისაზღვრება... ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ უნიჭიერესი პოეტის ხელწერა ლექსის ფორმაზეც შესამჩნევად აირეკლება...

ამა თუ იმ ავტორის პოეტური შემოქმედების განვითარება დასაწყისიდან შემდგომი ეტაპებისაკენ გულისხმობს თავისებურ რეალიზებას ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვნებაში აღიარებული თანდათანობითი გადასვლის პრინციპებისა: ახლობელიდან შორეულზე, ნაცნობიდან უცნობზე, მარტივიდან რთულზე... რ. ჩილაჩავა სახელდობრ ამ პოზიციიდან გვაცნობს თავისი პოეტური აზროვნების მეტამორფოზას — ერთ-ერთ უსათაურო ლექსში, რომელიც ასე იწყება:

უმრის თვალივით
გაცვეთილი მეტაფორიდან
მე გავიზარდე იდუმალი ხმის
შეგრძნებამდე,
და უკვე ვხვდები:
წვიმა მარტო წყალი როდია,
ან მარტო ხეთა შარიშური
როდია ქარი!

ეს ტაეპები კვლავ ავტორის ლექსების პირველი წიგნიდან არის მოხმობილი. აქ ფილოსოფიური პლანით არის გახსნილი ავტორის პოეტური მსოფლშეგრძნების სულ უფრო მეტი ამაღლებისა და გაღრმავების ასპექტები.

რაულ ჩილაჩავას შემოქმედებითი თემატიკა მკაფიო მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამ მრავალფეროვნების ერთ-ერთ ძირითად განშტოებას უკრაინული სინამდვილის ხატოვანი ასახვა შეადგენს. ამ მომენტს ხაზგასმით აღნიშნავს პოეტი თავის ლექსების პირველი კრებულის — „დასაწყისის“ ანოტაციაში. „ამ პატარა კრებულში შესული ლექსები, — წერს ავტორი — საქართველოსა, და უკრაინაში იწერებოდა. მათი ნაწილი შარშან ცალკე წიგნად გამოსცა კიევის გამომცემლობა „მოლოდმა“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების III კურსზე ვსწავლობდი, როცა კიევში მიმავლინეს უკრაინული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად. მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა. ჩემს წარმოდგენაში უკრაინის თვალუწვდენელი ტრამალები სამუდამოდ შეერწყნენ საქართველოს ცასა და მიწას.

ქართულად ვთარგმნე გრიგორი სკოვოროდას იგავები, ვლადიმერ სოსიურას ლექსები, ახალგაზრდა უკრაინელ პოეტთა ანთოლოგია. უკანასკნელ ხანს გალაკტიონის უკრაინულად ახმიანებაც ვცადე“.

როგორც ავტორი ამბობს, მისი ლექსების პირველი წიგნი 1972 წელს უკრაინულ ენაზე აქვს გამოქვეყნებული. ლექსების კრებული „დასაწყისი“, რომელიც გამომცემლობა „მერანმა“ 1973 წელს დასტამბა, ფაქტიურად ავტორის პოეტურ ნაწარმოებთა მეორე წიგნს წარმოადგენს, მაგრამ რადგანაც იგი მშობლიურ ენაზე რ. ჩილაჩავას ლექსების პირველი კრებულია, ამიტომ მეც მას პირობითად პირველ წიგნს ვუწოდებ.

მას შემდეგ რაულ ჩილაჩავამ ქართულ ენაზე კიდევ რამდენიმე წიგნი დაბეჭდა. აი, ეს წიგნებიც (ქრონოლოგიური თანამიმდევრობით): „მიკოლა ბაჟანი“ (გამოკვლევა, „განათლება“, 1975 წ.), „რატომ არის ზებრა ზოლიანი“ (საბავშვო ლექსების კრებული, „საბჭოთა საქართველო“, 1976 წ.), „ყოფნა“ (ლექსების კრებული, „საბჭოთა საქართველო“, 1976 წ.).

რ. ჩილაჩავა ამჟამადაც უკრაინაში ცხოვრობს და კვლავაც ნაყოფიერ ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობას ეწევა როგორც უშუალოდ ორიგინალურ ნაწარმოებთა შექმნის თვალსაზრისით, ისე მთარგმნელობითი მუშაობის დარგში. ამ უკანასკნელი მომენტიდან აღსანიშნავია, რომ იგი ქართველ პოეტებს უკრაინულად თარგმნის, ხოლო უკრაინელი მწერლებისა და პოეტების თხზულებებს ქართულად ამეტყველებს და, ამრიგად, თავისი წვლილი შეაქვს ორი ენის ლიტერატურული ურთიერთგაცნობისა და ურთიერთდაახლოების საპატიო საქმეში.

უკრაინული თემატიკა, რ. ჩილაჩავას პოეტურ ინსტრუმენტზე ცალკეულ სიმებს კოლორიტულ ჟღერადობას რომ ანიჭებს, ავტორის პირველსავე კრებულში („დასაწყისი“, 1973 წ.) იჩენს თავს. ამ კრებულში მოთავსებულ უსათაურო ლექსს „ვილაპარაკოთ, უკრაინავ, ახლა მე და შენ“ უკვე თავისი „პასპორტი“ აქვს, — იგი განსაზღვრული კონკრეტულობით ხასიათდება. ეს კონკრეტულობა უკრაინისა და საქართველოს ურთიერთშეპირისპირებით არის გამოკვეთილი:

შენი ტრამალი, თვალუწვდენი, ჩემი მთა-ველი,
შენი „კოპანა“, ჩემი „ცირა“ და „გენაცვალე“ —
მე შევითვისე, როგორც ყანამ პურის თაველი,
როგორც აპრილის თოთო ხნულმა პურის
მარცვალი.
მე უკვე ვიცი შენი ენა, შენი წარსული —
ზღაპრული სეჩი... ბერესტეჩკო... ბოგდან
ხმელნიცკი,
მინდვრის ყვავილთა სადარია შენი ასული,
მიწა უხვია, ყვავილობენ ტოტნი ხმელნიცკი.
და თუმც არა ჰგავს პალიანცას ჩემი ხმიადი
და არც სისხლი გვაქვს ნათესავთა
თუნდაც მისხალი.
და მომიხმობენ შენი დესნა და პრიპიატი,
ხშირად ჩამესმის მათ ღუღუნში ხმა
ჰანისწყალის.

უკრაინული სინამდვილის ამსახველი ლექსების რიცხვი ავტორის მეორე კრებულში („ყოფნა“, 1976 წ.) კიდევ უფრო იზრდება. ამ ლექსებიდან ერთ-ერთი: „მიკოლა ბაჟანი თარგმნის „ვეფხისტყაოსანს“ რ. ჩილაჩავას პოეტური ნატურისათვის უცხო თექვსმეტმარცვლოვანი შაირით არის დაწერილი. აი ამ ლექსის შესავალი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სისხამია თუ შუადღე, თუ ზამთრის ღამე
გვიანი,
დნეპრის მიდამო გაშლილა თუ ქალა
არაგვიანი,

პირველი თოვლი შრიალებს თუ ყვავილობენ
იანი, —
პერგამენტს უზის ჭაბუკი, ხან ლაღი, ხან
ნაღვლიანი.

ლექსში საგანგებოდ შერჩეული ემოციური შტრიხებით არის გადმოცემული ის მაღალი პათოსი, რომელიც უკრაინის შესანიშნავ პოეტს შოთა რუსთაველის გენიალური პოემის თარგმნისას ეუფლება.

ტარას შევჩენკოს ქვეყანას ეძღვნება რ. ჩილაჩავას ზოგიერთი სხვა ლექსიც („სალამო ხუტორ დიკანკასთან“, „კოხანა“ და ა. შ.?

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ციკლის წყობილსიტყვიერი ნაწარმოებები ავტორის პოეტურ რადიუსს აფართოებს. და თუ ამ რიგის ლექსებში მას ხანგამოშვებით მსუბუქი ნოსტალგია შეიპყრობს და თავისი ნააკვნარი მამულის ნახვა მძაფრად მოენატრება, ეს სავსებით ადამიანური გრძნობის გამოვლინებაა. და მისი ასეთი სტრიქონიც — „სამი წელია — საქართველო ძილშიც თანა მდევს“, რომელსაც პოლესიეში დაწერილი ლექსი „გური“ შეიცავს, პოეტის სრულიად გასაგებ განცდებს აფიქსირებს.

რ. ჩილაჩავას მეორე კრებულში („ყოფნა“, 1976 წ.) შესული ლექსებიდან ჩანაფიქრის მასშტაბურობით ყურადღებას იქცევს თვით „ყოფნა“. ეს ლექსი თავის მხრივ ათმარცვლიანი და თოთხმეტმარცვლიანი ლექსებისაგან შედგება, რომელთაც ერთი იდეური ხაზი აერთიანებს. ამას გარდა, ეს პოეტური ნაწარმოები ავტორის აქტიურ ლირიკულ მონოლოგს წარმოადგენს. სადაც მშობლიური ქვეყნის ქარიშხლიანი წარსული ღრმა ფილოსოფიური განჭვრეტით არის დანახული. რაც ლექსს კიდევ უფრო მეტი შინაგანი დრამატიზმით ავსებს:

მე ცხადად ვხედავ. ისტორიის ლაბირინთიდან
როგორ გამოდის ჩემი ერი. როგორ უნთია
პონტოს ნაპირზე ჩაუქრობი ცეცხლი
მითრიდატს,
როცა გარშემო წყვდიადია და
ბინდ-ბუნდია, —

ამბობს აქ პოეტი და წარსულის ხილვებს იგი დასახელებული კრებულის სხვა ლექსშიც („თანაპლანეტელებს“) უბრუნდება:

ისრების წვიმა
ნისლავდა სივრცეს
და სისინებდა
ხანძარი ირგვლივ,
აულებელი გახდა სიმაგრე,
ყოველი ბუჩქი, ყოველი ჩირგვი.

ავტორი აქვე თანამედროვეს მოაგონებს, რომ კაცობრიობის წარსული ულმობელი ომების ისტორიით არის დანისნული და, ბოლოს და ბოლოს, დადგა ჟამით, რათა ხალხების ურთიერთობას, — ამ კოშმარულ უგუნურებას ერთხელ და სამუდამოდ ზღვარი დაედოს.

პოეტი ამავე აზრს ავითარებს ლექსში „ვეძახი ცოცხლებს“:

ვეძახი ცოცხლებს, ჩვენი სიცოცხლე
იმათიც არის, ვინც უნდა იშვას,
ჩვენი სიცოცხლე დედამიწაზე
მარად უწყვეტელ სიცოცხლეს ნიშნავს.
ვაკავლოთ მუსრი, ვინც მას შებღალავს,
ვინც მას წაბილწავს, შავ ლაქას მოცხებს,
ვეძახი ცოცხლებს,
ვეძახი ცოცხლებს,
ვეძახი ცოცხლებს!

რ. ჩილაჩავამ კარგად იცის, რომ სპეტაკი სიყვარული გულწრფელია, ხოლო გულწრფელობა სისადავეს განასახიერებს. ამიტომაც მისი სატრფიალო ლირიკის ნიმუშებს გულწრფელობა და სისადავე ახასიათებს. დავიმოწმოთ მისი ერთ-ერთი უსათაურო ლექსი, რომელიც მიჯნურობის თემაზეა აგებული:

ღამე მშვიდობის ჩემო მადონა,
გავდივარ შენი თეთრი ეზოდან,
ჩემო წუხილო და ქალბატონო,
ქრიზანთემების უნაზესო და!
მე ავიტანე გრძელი ზამთარი
და ღამეების ყრუ ქარავანი.
მოვედი, გნახე... ახლა ამ თარიღს
ჩვენში, ჩვენს შორის უძევს სავანე.
და რაც დრო გადის, დარდი მატულობს,
როგორც თავსხმაში სოფლის მდინარე
და სიყვარული მიმოფანტული
გამდნარ ფიფქივით მაუჩინარეს,
მე ხელს არასდროს გამომიწოდებს
ის, ვინც უფსკრულში გადამახედა...
მშვიდობით! შენმა თრთოლვამ იცოდეს,
როგორ არ მინდა წასვლა აქედან!

ეს ლექსი ავტორის პირველ პოეტურ კრებულ „დასაწყისშია“ გამოქვეყნებული. აქვე ამავე ციკლის მეორე უსათაურო ლექსიც („ის სიყვარული, შენ რომ გაწვალებს“) აგრეთვე ასეთივე უბრალოებით გამოირჩევა. თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს „უბრალოება“ ამ ლექსის ზოგიერთ სტრიქონში მეტისმეტად დაბლა ეშვება. მაგალითად:

მე შენ მიყვარხარ ბრმა სიყვარულით,
მე გულით ვამბობ — მიყვარხარ ძლიერ.

სატრფიალო თემატიკა რ. ჩილაჩავას მეორე პოეტურ ლექსების კრებულში („ყოფნა“) საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი (გვ. 33-55). აქ ოცდაათზე მეტი ლექსია, რომლებიც სხვადასხვა მეტრული სქემითაა გაწყობილი. აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით აღსანიშნავია ძლიერი ლირიკული ნაწარმოებები („ბეჭედი“, „ტუ-114. რეისი. „თბილისი-კიევი“ და სხვ.).

რ. ჩილაჩავას აქვს ფილოსოფიური შინაარსის ლექსები, რომელთაგან მოწონებას იმსახურებს: „სურათი“, „ძახილი“, „ტელეფონი“ და სხვ.

პოეტის მრავალ ლექსს ზედმიწევნით გამორჩეული, ხაზგასმული ბუნებრიობა, ძალდაუტანებლობა და ლირიკული სინარნარე ახასიათებს. აქ ავტორისეული „ჭაფა“ თითქოს სრულიად არ შეინიშნება. საილუსტრაციოდ მოვიყვან შემდეგ სტრიქონებს:

ეს ღვინო სიყვარულის წამალია,
ეს ღვინო ჭრილობებს არჩენს.
თუგინდა ჭაბუკად დარჩე
დალიე, სიჭაბუკის წამალია.
გადაივლი მთაა თუ ტრამალია,
ამ ღვინოს თუ გულით დალევ,
დარდი გაგეყრება მალე,
დალიე სიხარულის წამალია.
ცხოვრება გიჟია და ფრთამალია,
ცხოვრება განანებს რამდენს.
თუ გინდა სიკეთე გწამდეს,
დალიე, სიკეთის წამალია;
რაც კი გზაა ერთ ქვეყნად მავალია,
ასე უსურვია გამჩენს.
თუ გინდა უკვდავად დარჩე,
დალიე, უკვდავების წამალია!

ბარემ აქ კიდევ ერთ ნიმუშს დავუმატებთ, თუმცა მასში ძალუმ საცნაურად გაისმის გალაკტიონისეული ამავე ზომის ლექსების ინტონაციური სიგნალები. ეს ლექსიც უსათაუროა:

ჩაბნელებული ეზო,
გამოღებული კარი,
წუხილი უმიზეზო
ნელა მბჟუტავი კვარის,
რისთვის მაგონებს ახლა
ჩავლილ ჭირსა და ვარამს,
როცა იმედის სახლი
უფსკრულის პირას მდგარა.

ამ ლექსებში მუსიკალურ ეფექტს ქმნის ბგერწერა, ბგერათა ჰარმონიული კეთილხმოვანება. ბგერწერას ლექსის რიტმთან მჭიდრო კონტაქტი აქვს. იგი გარკვეულწილად უზრუნველყოფს ტაეპებში სალექსო რიტმის მოწესრიგებას, მისი ტონუსის ამაღლებას თუ დადაბლებას. ამ ფაქტორს უწევდა ანგარიშს ბ. ეიხენბაუმი, როდესაც ხაზგასმით აღნიშნავდა: „ლექსის, როგორც ასეთის შესწავლის დროს. ჩვეულებრივ, ყურადღებაში აქვთ მისი რიტმული და ბგერითი წყობა“. ხანდახან ერთი რომელიმე ბგერის, ან ბგერათკომპლექსის არასწორი ხმარება ამძიმებს სტრიქონს, არღვევს რიტმს, ფრაზას ძნელადწასაკითხს ხდის. დახვეწილი ბგერწერა კი ლექსში ტაეპთა მწყობრ მელოდიურობას განაპირობებს.

რაულ ჩილაჩავას კარგად აქვს შეგნებული, რომ რითმით თვითმიზნური გატაცება მხოლოდ საქმეს ვნებს და ასეთ გატაცებას ჭეშმარიტ პოეზიასთან საერთო არაფერი აქვს. მართალია, რითმა არცთუ იშვიათად მარჯვე და მოულოდნელ ასოციაციებს ქმნის, მაგრამ ეს მოულოდნელი ასოციაციებიც ლექსის ძირითადი თემატიკური ჩანაფიქრით უნდა იყოს ნაკარნახევი; ერთი სიტყვით, რითმა თვითმიზნური თამაშის საგანს კი არ წარმოადგენს, მას სამუშაო „ფუნქცია“ ეკისრება. ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტი რითმის ამ „სამუშაო“ ფუნქციას ვერ ითვალისწინებს. და მას ხშირად ფორმალისტურ ამოცანას აკისრებს. გადის წლები და მომწიფების ასაკში, შემოქმედებითი გამოცდილების შესაბამისად, რითმის მოვალეობას უფრო რეალისტურად უყურებს. ეს მომენტი მ. სვეტლოვს ასე ფიგურალურად აქვს გააზრებული: „დამწყები პოეტისათვის რითმა — ქალბატონია, მომწიფებული პოეტისათვის — მოხამსახურე ქალი“. ცხადია, რითმას დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს, ის მნიშვნელობას მხოლოდ ლექსში იძენს, სადაც იგი კომპოზიციურ, მუსიკალურ და სხვ. დანიშნულებას ასრულებს. ამ თვალსაზრისით რითმის როლს პ. ა. ვიაზემსკი ასე გონებამახვილურად განმარტავს: „რითმა წარმოსახვისათვის იგივეა, რაც ნული ციფრებისათვის — თავისთავად მას მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ ციფრზე მიწერილი — ზრდის მის მნიშვნელობას“.

ავტორს უხვად აქვს გამოყენებული ახალი რითმები, თუმცა აქა-იქ ლექსებში ე. წ. ტრადიციულ რითმებსაც იშველიებს. ლექსში „მეოცნებე მათემატიკოსისადმი“ შინაგანი რითმები მთლიან მუსიკალობას ქმნის:

ნანატრ იქსებით ისევ ივსები,
გაწვნენ ის გზები ოქროს რგოლებად
ჩავლილ თარიღებს ისევ იხსენებ
და ყოველი დღე გავს განტოლებას.
მზისფერ პრიზმიდან როგორც იზიდა
გამოდის მწიფე სული კანკალით,
შენ იდუმალი ზეცა გიზიდავს
და მოსამკელი გრჩება სამკალი.

რ. ჩილაჩავას ლექსების უმრავლესობა მხატვრული და ემოციური ხორცშესხმის თვალსაზრისით მკითხველთა მოწონებას იმსახურებს.

რ. ჩილაჩავას პოეზია ჯერ კიდევ დუღს, ავტორი ჯერ კიდევ ძიების პროცესში იმყოფება. როგორ წარიმართება ეს შემოქმედებითი ძიება, ან რა შედეგებს მიაღწევს იგი, — ამას მომავალი გვიჩვენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე სურგულაძე

# ჭ ა ნ ი ე თ ი

ჭანიეთი მახარაძის რაიონის ერთ-ერთი სოფელია, ქალაქ მახარაძიდან სამხრეთ-დასავლეთით 6 კმ. დაშორებით.

ჭანიეთი ისტორიული თვალსაზრისით საინტერესო სოფელია. სახელი „ჭანიეთი" ივ. ჯავახიშვილის აზრით იქიდან არის წარმოშობილი, რომ ძველად ჭანიეთში ჭანები ცხოვრობდნენ. ჭანიეთისა და ლიხაურის საზღვარზე აშენებულია ციხე-კოშკი. მის აშენებას ადგილობრივი მოსახლეობა თამარ მეფეს მიაწერს, მაგრამ ის უფრო გვიან უნდა იყოს აგებული. ციხის დანიშნულება იყო თურქების შემოსევებისაგან ქვეყნის თავდაცვა, ამასთან დაკავშირებით ციხეს იყენებდნენ აგრეთვე ლტოლვილთა თავშესაფარად. ჭანიეთი მომსწრეა სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციისა. XX საუკუნის პირველ ოცეული წლის განმავლობაში აქ ჯერ კიდევ შემონახული იყო პირველყოფილ-თემური წყობილების გადმონაშთები: სიმინდის ყანების საერთო ღობე, საერთო საბალახოები და სხვა.

ბატონყმობის ხანის მრავალი ცნობებია შემონახული ჭანიეთის შესახებ. ჭანიეთის და ლიხაურის გლეხები გურიელის ყმები იყვნენ, რომელიც ამ სოფლებს თავიანთი მოურავების საშუალებით განაგებდა. სოფელ ჭანიეთის მცხოვრებთა გადმოცემით, თავიანთ ბატონს — გურიელს ძველად „შავ გურიელს" უწოდებდნენ იმის აღსანიშნავად, რომ ის სასტიკი იყო და მძიმე გადასახადებს ადებდა მოსახლეობას.

ყველაზე მძიმე მოსაგონარი ბატონყმობის ხანიდან ამ სოფლისათვის ტყვეების ყიდვა-გაყიდვაა, უფრო ზუსტად, გლეხების გაყიდვა მათი ბატონების მიერ ოსმალეთში.

ჭანიეთი მდებარეობს მდინარე ჩოლოქის სანაპიროზე. მდინარე ჩოლოქი ერთ დროს იყო ოსმალეთისა და გურიის სამთავროს საზღვარი. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ კი — ოსმალეთისა და რუსეთის საზღვარი. დანაწილებულ საქართველოს, კერძოდ, გურიასა და სამეგრელოს ხშირად თავს ესხმოდა ოსმალეთი. გურია უშუალოდ ქობულეთს ესაზღვრებოდა, ხოლო ქობულეთი, აჭარის სხვა რაიონებთან და სამხრეთ საქართველოსთან ერთად, დაპყრობილი ჰქონდა ოსმალეთს, რომელიც ქართული მოსახლეობის გათურქებას აქტიურად აწარმოებდა. ოსმალეთი თანდათანობით იწევდა იმერეთსა, სამეგრელოსა და ქართლში. დასავლეთ საქართველო ოსმალეთმა ერთხანს კიდეც დაიპყრო. ჭანიეთი უშუალოდ ოსმალეთს ესაზღვრებოდა და დიდ უბედურებასაც განიცდიდა მისგან. XV-XIX საუკუნეებში ძლიერ გავრცელებული იყო საქართველოდან ტყვეების გაყიდვა ოსმალეთში.

ტყვეს ყიდვა-გაყიდვა კლასობრივი ბრძოლის ყველაზე უფრო მახინჯი და ველური ფორმა იყო. მემამულეების მიერ გლეხების ტყვეებად გაყიდვის გავრცელება ეკონომიური კატასტროფის მაჩვენებელიც იყო: მემამულე ყმის გაყიდვაში მეტს სარფიანობას ხედავდა, ვიდრე მის მეურნეობაში გამოყენებას. ეს კი ნიშნავდა ქვეყნის ეკონომიკის რეგრესის გზაზე შედგომას. ქართველი ტყვეების გაყიდვა ოსმალეთსა და სპარსეთში მეტად გახშირდა. ტყვეები სპარსეთისა და ოსმალეთის საოკუპაციო ხელისუფლებას გადასახადის სახით მიჰყავდათ. ტყვეობის შიშით, მოგვითხრობს ოსე ოსეშვილი, აკლდამებში ვიმალებოდითო.[1]

პატრი იოსების გადმოცემით (XVII საუკუნის მეორე ნახევარი) ოსმალეთის ბაზარზე საქართველოდან „უმანკო ბავშვებს, ვაჟებსა თუ

1 თავგადასავალი იესე ოსესშვილისა, ს. კაკაბაძის რედ.. 1913, გვ. 7.

[library stamp]

ქალებს, სავაჭრო მოედანზე ჰყიდიან ოხერ ფასად, რათა მით დააკმაყოფილონ ოსმალების უწმინდური მადა. გვესმის და ვხედავთ მათ ყლავილსა და ტირილს. ამ დროს ზოგი მდინარეში ვარდება, ზოგი თვალებს ითხრის და ზოგიც ცხვირს იჭრის, რათა ურწმუნოებმა აღარ იყიდონ".[1] საყურადღებოა აღინიშნოს, რომ როდესაც საქართველოში საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა ხმა აღიმაღლა ტყვეების გაყიდვის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი აკრძალვა, ოსმალეთის მთავრობამ ამაზე პროტესტი განაცხადა, რომ საქართველოდან ტყვეების გაყიდვის აკრძალვა არ შეიძლებაო.

ქანიეთი იყო სწორედ ერთი იმ ადგილთაგანი, საიდანაც გაყავდათ ოსმალეთში გასაყიდი ტყვეები, როგორც ქანიეთიდან და მის მახლობელი სოფლებიდან, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან.

არის ცნობები იმის შესახებ, რომ ქანიეთის ტყეში, რომელსაც ბაზარათი ერქვა (დღეს ეს ტყე გაჩეხილია), ტყვეები, ხეებზე მიბმული, მზეცებს შეუჭამიათ, ან სიმშილით დახოცილან. (XIX საუკუნეში ტყვეების გაყიდვა აკრძალული იყო და გამყიდველები იპარავდნენ ადამიანებს და ოსმალეთში გასაყიდად მიყავდათ).

ცნობილია ის გარემოება, რომ ქანიეთის მკვიდრი ს. შავიშვილი, 15-16 წლის ჭაბუკი, გაუყიდიათ ოსმალეთში და რაღაც სასწაულებრივად მას მოუხერხებია გამოპარვა და თავის სოფელშივე დაბრუნება, სადაც ის ღრმად მოხუცი გარდაიცვალა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსეთის მთავრობის ჩარევის შედეგად ქანიეთის არაერთი მკვიდრი, ოსმალეთში გაყიდული, დააბრუნეს კიდეც სამშობლოში. ტყვეების გაყიდვის გავრცელება ქართველ ხალხს ფიზიკური მოსპობის საფრთხის წინაშე აყენებდა.

ქანიეთი გაშენებულია მთა ნაბადას ფერდობზე. მოსახლეობა უმთავრესად სწორედ ამ ფერდობს ეფარებოდა, ოსმალების ყაჩაღური თავდასხმების დროს თავშესაფარი სოფლელებისათვის ტყე და მთა იყო. ძნელია ყველა იმ უბედურებათა ჩამოთვლა, რაც ქანიეთელს თავს დაატყდა ბატონყმობისა და ოსმალთა თავდასხმებისაგან. ტყვეების გაყიდვის საქმეში ოსმალეთს მხარში უდგნენ ადგილობრივი ფეოდალები.

1918 წელს, მენშევიკების ბატონობის პერიოდში ოსმალეთმა კიდევ მოახერხა ოზურგეთის რაიონის ერთი ნაწილის და მათ შორის სოფელ ქანიეთის ხელში ჩაგდება და მისი გაპარტახება. 1921 წლიდან კი ქანიეთი სოციალისტური განვითარების გზას დაადგა.

ფეოდალური პერიოდის საყურადღებო ნაშთია შემონახული სოფ. ქანიეთში, სოფლის ცენტრში (ამჟამად მ. შავიშვილის კარ-მიდამოზე) შეინიშნება, რომ ერთ დროს აქ ყოფილა ფეოდალის სასახლე. პირველ ყოვლისა, ფეოდალის დასახლების ადგილი შემოვლებული ყოფილა ღრმა თხრილით, მისი ნაშთი დღესაც შეიმჩნევა. თხრილის ერთ ადგილას, ალბათ სასახლის პირისპირ, სასახლეში შესასვლელად მდგარა ჯიხური, წაბლის ხისაგან ნაშენი შენობა, რომელშიც იქნებოდნენ ფეოდალის მსახურნი, რომლებიც ფეოდალის სასახლეში მიმავალ სტუმრის მისაღებად კიბეს გადაუშვებდნენ ორმოზე, ეს ჯიხური სათვალთვალო გადასახედებით დღესაც შემონახულია მ. შავიშვილის კარ-მიდამოზე. ამასთანავე, შემონახულია ქვის უზარმაზარი ტახტი, წარწერით, რომ ის ეკუთვნის ჩაბიას. ფეოდალის სასახლის რაიმე ნაშთი არ არის შემონახული, მაგრამ მინიშნებულია, რომ ტახტის ახლოს ტერიტორიულად განლაგებული ყოფილა ჩაბიას კუთვნილი ეკლესია. ის გარემოება, რომ ჩაბია ეკლესიის მფლობელიც არის, იმის მაუწყებელია, რომ ის საკმაოდ ძლიერი ფეოდალია. სხვა რაიმე ცნობა ჩაბიას შესახებ არა გვაქვს, გარდა იმისა, რომ იმ ადგილას, სადაც ჩაბიას სახლკარი იყო „ჩაბიასეული" ეწოდებოდა და ეს კარგად ახსოვთ აქაურ მცხოვრებთ.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქანიეთის დასავლეთით, ჩოლოქის ნაპირას არის ეკლესიის ნაშთი, ამასთანავე, ამავე ადგილებში მოიპოვება თიხის მილებით წყლის გაყვანილობა, სამწუხაროდ, რომელ საუკუნეებს განეკუთვნება ეკლესიის ნანგრევები და საირიგაციო გაყვანილობა არ არის დადგენილი.

ქანიეთი საქართველოს ერთი იმ იშვიათ სოფელთაგანია, რომელიც მდიდარია ისტორიული ძეგლებით. როგორც ვხედავთ, ქანიეთი ისტორიის თვალსაზრისით ერიად საყურადღებო ობიექტი ჩანს და შესაძლებელია არქეოლოგიურმა გათხრებმა ქანიეთში მრავალი საინტერესო მოვლენას მოჰფინოს შუქი. ისტორიის თვალთახედვით საჭიროა ქანიეთის ყოველმხრივი შესწავლა.

დღეს ქანიეთი მახარაძის რაიონის ერთ-ერთი მოწინავე სოფელია.

ქანიეთის კოლმეურნეობა აერთიანებს ორ სოფელს: თვით ქანიეთს და მის მოსაზღვრე სოფელ ქაქუთს. სოფელი ქაქუთი თავის მხრივ მდინარე ჩოლოქით ორად იყოფა: მარჯვენა სანაპიროს ქაქუთი გაერთიანებულია ქანიეთის კოლმეურნეობაში და მახარაძის რაიონში შედის, ხოლო მარცხენა სანაპიროს ქაქუთი ქობულეთის რაიონს ეკუთვნის. ქანიეთ-ქობულეთის გეოგრაფიული მდებარეობა, ნოტიო სუბტროპიკული ჰავა ქმნის სუბტროპიკული კუ-

1 მ. თამარაშვილი, ისტორია კათალიკობის ქართველთა შორის, გვ. 249-250.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლტურების (ჩაი, ციტრუსები) განვითარების დიდ შესაძლებლობას.

ციტრუსების ნარგავთა ბაღების გაშენება ჭანიეთში სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნამდე დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამდენად კოლექტიური შრომის გამოცდილება აქაურ მცხოვრებლებს ადრიდანვე ჰქონდათ მიღებული და ამიტომაც სოფლის მეურნეობის სპეციალიზებული დარგების განვითარება (ჩაი, ციტრუსები, მემინდვრეობა) იმთავითვე ფართოდ გაჩაღდა. ამჟამად ჩაის პლანტაცია გაშენებულია 155 ჰექტარზე, ციტრუსების — 53 ჰექტარზე, ხეხილის ბაღები — 14 ჰექტარზე, ვენახი (მაღლარი) — 14 ჰექტარზე, სათეს ფართობს (ძირითადად, სახიმინდე ნაკვეთებს) — 135 ჰექტარი, ხოლო საზაფხულო საძოვრებს 70 ჰექტარი უჭირავთ. ჭანიეთში, მისდევენ აგრეთვე მეცხოველეობას, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას და ა. შ.

მოწინავე მეჩაიეები არიან: ანიკო თავაძე, ციალა ურუშაძე, სულიკო ზოიძე, ნათელა ქავთარაძე, ლამარა მამინაიშვილი, ეთერ ურუშაძე და სხვ. თითოეულმა მათგანმა 1978 წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 9-12 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. შარშან საერთოდ ჩაის კრეფის გეგმა ჭანიეთლებმა 145 პროცენტით შეასრულეს. ასევე გადაჭარბებით შეასრულეა მათ მეციტრუსეობის, მეაბრეშუმეობის და სხვ. გეგმა.

ჭანიეთი კულტურითაც მოწინავე სოფელია. უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე აქ აღიზარდა 60-ზე მეტი უმაღლესდამთავრებული — ექიმი, ინჟინერი, პედაგოგი, მათ შორის ერთი აკადემიკოსი, ერთი აკად. წევრ-კორესპონდენტი, ორი პროფესორი, ორი დოცენტი. ჭანიეთელი უმაღლესდამთავრებულები მუშაობენ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში და, რაც მთავარია, თვით ჭანიეთშიც.

სოფელს აქვს რვაწლიანი სკოლა კლუბი, ბიბლიოთეკა. კოლმეურნეობის გამგეობისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ეზოს ამშვენებს ლენინის ქანდაკება. ჭანიეთის კოლმეურნეობა შოთა რუსთაველის სახელობისაა და სოფლის ცენტრში აღმართულია დიდი პოეტის ძეგლი. კოლმეურნეობის მშვენიერი შენობა ახლა მთავრდება. კოლმეურნეობას ემსახურება ახლად აგებული ორსართულიანი კოოპერატიული მაღაზია.

თავისი წვლილი შეიტანა ჭანიეთმა დიდ სამამულო ომშიც. მრავალი ჭანიეთელ-ქაქუთელი მედგრად იბრძოდა ფრონტზე და ბევრი მათგანი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. ზოგიერთი ოჯახიდან ორმა და მეტმა ვაჟკაცმა შესწირა თავი სამშობლოს კეთილდღეობას და თავისუფლებას. მათ სახელებს დედა სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს.

მრავალი შინმოუსვლელის შთამომავალი შრომობს დღეს ჭანიეთის კოლმეურნეობის მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში.

დღეს ჭანიეთის კოლმეურნეობაში ჰყვავის ჩაის, ციტრუსებისა და ხეხილის ბაღები. კოლმეურნეობას თავდადებული შრომით შეაქვს თავისი წვლილი ჩვენი ქვეყნის წინსვლელობის საქმეში.

ვუსურვოთ ჭანიეთის კოლმეურნეობას ასეთივე მოწინავე ყოფილიყოს მომავალშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია კოტაშვილი

# სულკალმახის სახელის ეტიმოლოგიის შესახებ

ქართული მითოლოგიის მკვლევართა დაინტერესებას ყოველთვის იწვევდა „ამირანიანის“ ონომასტიკის საკითხები.[1] განსაკუთრებით ეს ითქმის ამირანის მამის სახელის — სულკალმახის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საკითხის შესწავლას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, პრობლემა ჯერჯერობით გადაუწყვეტლად უნდა ჩაითვალოს.

უდიდესი მეცნიერი, ვინც ამ საკითხით დაინტერესდა, იყო ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც ჯერ კიდევ 1913 წელს აღნიშნა, რომ ამირანის მამის სახელი — სულკალმახი, რთული შემადგენლობის სახელია. მისი პირველი ნაწილი „სულა“ უძველეს დროსვე არსებობდა. იგი სულკალმახს უკავშირებდა სულ — პირველელემენტიან საკუთარ სახელების რიგს. მაგალითად ძვ. წ. VIII ს. ასურეთის მეფე ტიგლათფილასარ III-ის წარწერაში მოხსენებულია „სულუმალი მილედელი“, სადაც „სულუ“ უდრის „სულას“. ამავე წრეს მიაკუთვნებდა ივ. ჯავახიშვილი ფშაველთა სახალხო გმირის სულა-კურდღელას სახელსაც.[2]

სულკალმახის სულაკურდღელასთან იდენტურობას იზიარებს დ. შენგელაიაც, იმ არგუმენტაციით, რომ უძველეს ხანაში ნადირობა და თევზაობა ერთი და იმავე ტერმინით — ნადირობით აღინიშნებოდა.[3]

მ. ჩიქოვანს სულკალმახი საქართველოში ოდესღაც არსებული თევზის კულტის ნაშთად მიაჩნია.[4]

გ. მელიქიშვილის აზრით კი სულკალმახი ქართულ სინამდვილეში ელამური სამყაროს გზით შემოვიდა შუმერიდან, სადაც მას „დიდი ელჩის“, „დიდი კურიერის“ („სუქქალ-მახ“) მნიშვნელობა ჰქონდა.[5]

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა წერილი, სადაც ავტორი ჯ. შარაშენიძე არ იზიარებს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას იმ მოტივით, რომ თუ ივ. ჯავახიშვილისეული დაყოფით (სულ-კალმახი) პირველი ნაწილი „სულს“ აღნიშნავს, ხოლო მეორე ნაწილი „კალმახ“ თევზის ერთ-ერთ გვარეობას, „ერთად შეერთებული კარგავს ყოველგვარ აზრს“.[6] ამავე არგუმენტით უარყოფილია მკვლევარის მიერ დ. შენგელაიას მოსაზრებაც[7] (თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი მოსაზრება დამოუკიდებელი არ გახლავთ: ის ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისის გამეორებას წარმოადგენს). ასევე უარყოფს ჯ. შარაშენიძე მ. ჩიქოვანის მოსაზრებასაც. მისი აზრით მ. ჩიქოვანის ნაშრომში დასაბუთებული არ არის „მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართულ გარემოში არსებობდა თევზის კულტი ასეთი სახელწოდებით: თევზ-კალმახი. ასევე გაუგებარია, რატომ უნდა რქმეოდა თევზის კულტის ობიექტს სულკალმახი.[8]

ავტორი მთლიანად იზიარებს გ. მელიქიშვილის აზრს სულკალმახის შუმერულიდან წარმომავლობის შესახებ და დამატებით აღნიშნავს, რომ თვით შუმერულში ეს სემანტიკური ერთეული მომდინარე უნდა იყოს პროტოევფრატული სამყაროდან.[9] ტერმინი სულკალმახი — სუქ-კალმახი ელამური სამყაროდან უნდა შემოსულიყო ქართულ ეთნიკურ გარემოში, სადაც ზოგადი არსებითი სახელიდან გადაიქცა საკუთარ სახელად. ამ მოსაზრების შესახებ დ. შენგელაია დასახელებული ნაშრომის სქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიოში შენიშნავს: „ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ დავეთანხმებით პატივცემულ გ. მელიქიშვილს, რომელმაც ურარტული სულკალმახი ქართულ სულკალმახად მიიჩნია; ეს შემთხვევითი დამთხვევაა სიტყვებისაო“.[10]

ამგვარად, ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისები „სულკალმახის“ ეტიმოლოგიის შესახებ, ძირითადად ორ ჯგუფში თავსდება: ერთის მიხედვით: (ივ. ჯავახიშვილი, დ. შენგელაია, მ. ჩიქოვანი) რთული შემადგენლობის სახელია; ის იშლება „სულ“ და „კალმახ“ და აღნიშნავს თევზის კულტს, ხოლო მეორეს მიხედვით (გ. მელიქიშვილი, ჯ. შარაშენიძე) წარმოადგენს შუმერულ კომპოზიტს „სუქქალ-მახ“ და ნიშნავს — დიდ სუქალს, დიდ ელჩს (კურიერს).

ივ. ჯავახიშვილს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელი „სულკალმახი“ რთულ შემადგენელ სახელად მიაჩნია და მას ყოფს „სულ“ და „კალმახ“-ად. „სულ-ს“ უკავშირებს — პირველელემენტიან საკუთარ სახელების რიგს.

ჩვენი აზრით შესაძლებელია დამატებითი ეტიმოლოგია ამ სიტყვისა — ერთი საკუთრივ სპარსულ ნიადაგზე, რომელიც ასე გამოითქმის:

1. სუ(ლ)ხალმაჰი, სადაც (სუ სუი) ნიშნავს 1. „მხარე“, „მიმართულება“, „დინება“.

2. „სინათლე“, „ნათება“, „ელვარება“, (ხალმაჰი)=შდრ. ქართ. კალმახი, სადაც (ხალ) შდრ. ქართ. ხალი, წინწკალი, (მაჰი) თევზი.

მთლიანად ასეთნაირად შეგვიძლია წავიკითხოთ: დინების ხალებიანი თევზი=ან დინების კალმახი=ან ელვარე კალმახი.[11]

მეცნიერებაში დიდი ხანია ცნობილია, რომ ხშირად ადამიანის საკუთარ სახელებად შეიძლება გამოყენებული იყოს მცენარეების, ცხოველების, ციურ ღვთაებათა და სხვათა სახელები. მაშინ ამ სახელის ასეთნაირმა წაკითხვამაც არ უნდა გაგვაკვირვოს, მაგრამ ასეთნაირი წაკითხვის დროს აუხსნელი გვრჩება ქართულში „ლ-ს“ ასე მყარად არსებობა. ასეთ შემთხვევაში იგი კარგავს „სულის“ მნიშვნელობას, რაც ზემოთ აღნიშნულ მკვლევართა აზრს ეწინააღმდეგება.

2. ჩვენი აზრით „სულკალმახის“ სახელის გარკვევისათვის ერთგვარი სიახლე შემოაქვს აკად. გ. წერეთლის ნაშრომს, სადაც მეცნიერი აღნიშნავს, რომ ირანული წარმოშობის საკუთარ სახელებს, წინ უძღვით ნაწილაკი „გრი“. ესენია: (ავრომანის ეტრატი, ქალი ჯანგალის წარწერა და პალესტინის ქართული წარწერა); „ეჭვი არაა, რომ სამივე შემთხვევაში „გრი“ ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს. სამივე შემთხვევაში იგი საკუთარ სახელებს მიუძღვის წინ (ფანაჰი, არდაშირი, ორმიზდი) და სამივე შემთხვევაში ეს სახელები ირანულია“.[12] ნაწილაკი „გრი“ ირანულ სიტყვად მიაჩნია გ. წერეთელს და აღნიშნავს: „ირანული სიტყვა შესაფერი ადამიანის საკუთარ სახელთა ეპითეტისათვის, შესაძლებელია იყოს მხოლო[illegible] რომელიც არა ერთგზის გვხვდება ფალაურ ტექსტებში და მნიშვნელობით არამეული „გრი“-ს („სული“-ს) ეკვივალენტს წარმოადგენს.[13] „გრივ“-ის ახალი სპარსული ეკვივალენტი „ჯან“ „სული“ ხშირად გვხვდება საკუთარი სახელების წინ. მაშასადამე, „გრი“ /„გრივ“-ს როგორც ჩანს, იგივე ფუნქცია აქვს, რაც ახალ სპარსულში „ჯან“-ს.

ხომ არ არის „სულკალმახის“ სახელში „სულ“ იგივე „გრი“ ნაწილაკი, რომელიც ქართულად „სულს“ ნიშნავს და ახ. სპარსულში „ჯან“-ს? სწორედ ის „პ ი რ ვ ე ლ ე ლ ე მ ე ნ ტ ი ა ნ ი  ს ა კ უ თ ა რ ი  ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს  რ ი გ ი, რასაც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს დასახელებულ ნაშრომში ამ საკუთარი სახელის შესახებ?

3. ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული თვალსაზრისი („სულ-კალმახ“ და „სუქქალ-მახ“) ჩვენი აზრით, ძირითადი საკითხისადმი ერთნაირ მიდგომას ამჟღავნებს:

არც ერთი მხარე არ იძლევა მითთან მისი ფუნქციონალური კავშირის გააზრებას. ჩვენი აზრით, ონომასტიკონის განხილვა მითის დონეზე უეჭველად უნდა გვიჩვენებდეს გამჭვირვალედ ქცეული სახელის ფუნქციონალურ კავშირს მითის შინაარსობლივ მხარესთან. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვებისაგან განსხვავებით გ. მელიქიშვილი მაინც ცდილობს ამ ფუნქციონალური კავშირის აღდგენა-გააზრებას: მისი აზრით, სულკალმახი (როგორც ამირანის მამა) იმავე გააზრებით არის ნახმარი, როგორც გილგამეშის და ჰერაკლეს მამათა სახელები: მკვლევარის აზრით, აქ გმირის წარჩინებულ წარმოშობას ესმევა ხაზი.[14]

ფორმალური თვალსაზრისით აქ თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ არსებობს არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა, რაც ამ მოსაზრების გაზიარებაში ხელს გვიშლის. საქმე იმაშია, რომ ჰერაკლეს ციკლის მითებში გარკვევით მოჩანს იმდროინდელი ბერძნული საზოგადოების იერარქიული ხასიათი. ასეთ პირობებში მითში სავსებით გამართლებული იყო გმირის წარმომავლობის მაჩვენებელი ინფორმაციის არსებობა. ქართული „ამირანიანი“ კი ამ თვალსაზრისით სავსებით განსხვავებული ნაწარმოებია: აქ მეტად რაფინირებული სახით გამოხატულ კოსმოგონიურ წარმოდგენებთან გვაქვს საქმე და საეჭვოა, რომ მისი შექმნა-ჩამოყალიბების პირობებში, შუმერული სამოხელეო ტერმინი (ან ელამელ მეფეთა უმაღლესი ტიტული) „სუქქალ-მახ“-ი ქართულ სამყაროში მოხვედრის დროს (თუ ის მართლა შემოსულია) კოსმოგონიური მითის მთავარი გმირის მამის სახელად ქცეულიყო.

გარდა ამისა, არც სულ-კალმახ და არც სუქალ-მახ არ წარმოადგენს გამჭვირვალე ერთე-

ულებს. ამის გამო, ჩვენ ვთვლით, რომ კვლევის არსებულ დონეზე შეუძლებელია რომელიმე თვალსაზრისს მივანიჭოთ უპირატესობა.

საკითხის გადასაწყვეტად საჭიროდ მიგვაჩნია სულკალმახ-ში ალსდგეს შეძლებისდაგვარად უძველესი მნიშვნელობა, რომელიც გაარკვევს მის ფუნქციონალურ კავშირს მითის შინაარსთან. ამავე დროს, ბუნებრივია, რომ გასათვალისწინებელია ყველა ის პოზიტიური ხასიათის ინფორმაცია, რასაც შეიცავს ზემოთ დასახელებული მკვლევართა შრომები.

მართალია, გ. მელიქიშვილის და ჯ. შარაშენიძის ნაშრომებში საკმაოდ დამაჯერებლად არის მოცემული ტრანსფორმაციის ის გზა, რომელიც პროტოევფრატულ-შუმერულ „სუქქალ-მახ"-ს უნდა გაევლო, სანამ ის ქართული სულკალმახის ფორმას მიიღებდა, მაგრამ აქ მაინც ჩნდება კითხვა:

ვიდრე შუმერ-ელამში „სუქქალმახ"-ი სამოხელეო და მეფის უმაღლეს ტიტულად იქცეოდა, მას უეჭველად ექნებოდა არა ტერმინული, არამედ ნომინანტული მნიშვნელობა. და საინტერესოა სწორედ ის, თუ რა იყო ეს მნიშვნელობა.

„სუქქალ-მახ"-ი ქართულად თარგმნილია, როგორც „დიდი ელჩი", „დიდი კურიერი". ასეთი თარგმნა რა თქმა უნდა დასაშვებია, მაგრამ შეიცავს გარკვეულ უზუსტობას. საქმე იმაშია, რომ „ელჩის" და „კურიერის" ძირითადი მნიშვნელობები, რომლითაც ისინი ქართულ ენაში არის დამკვიდრებული, კვლავ სამოხელეო ტერმინებია და ჩვენთვის საინტერესო ტერმინის ახსნაში ბევრს არაფერს გვმატებს. საჭირო კი არის, რომ გაირკვეს თუ რა ლექსიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა „სუქქალ-მახ"-ს შუმერულ სამყაროში მის სამოხელეო ტერმინად გადაქცევამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომ შუმეროლოგიურ ლიტერატურაში ამის პირდაპირი პასუხი ვერ მივაკვლიეთ, ეს მნიშვნელობა არაპირდაპირი გზით მაინც კარგად მოჩანს აქადურ მითში,[15] რომელიც იშთარის ქვესკნელში ჩასვლას მოგვითხრობს: იშთარს გაუძნელდება ქვესკნელიდან თავის დაღწევა და ამაში მას ეხმარება „სუქქალმახ-ი", მართალია მისი დახმარება მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ ის შუამდგომლობს მამამისთან (სინთან) იშთარისათვის, მაგრამ ქმედითი მოვლენის სახელი ამ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა დახმარება:

ამის გამო ჩვენ მიგვაჩნია, რომ სუქქალ-ს შუმერულში უნდა ჰქონოდა დამხმარეს მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ პარალელურად ნიშნავდა აგრეთვე წარგზავნილს, შუამავალს (კურიერი, ელჩი).

ახლა გავიხსენოთ „ამირანიანი", სადაც ამირანზე ფეხმძიმე ქალღმერთს (ვარიანტული სხვაობები სტრუქტურას არ ცვლის), მშობიარობაში დახმარებას უწევს გმირის მამა თუ შემხვედრი მონადირე (მუცელზე გაჭრა). როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევაში სულ-კალმახი-ს და სუქქალმახ-ის ფუნქციონალური დაახლოება ხდება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ამ ტერმინთა (თუ სახელთა) ეტიმონი.

4. კვლევის პროცესში, ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ ამირანის მამად სულკალმახი იხსენიება, გმირი მაინც ცნობილია როგორც დარეჯანი[ს]-ძე. (სვანურ თქმულებაში) მკვლევარების მიერ ეს ფაქტი ახსნილია იმით, რომ მითი უნდა ჩამოყალიბებულიყო იმ პერიოდში, როდესაც ოჯახში (თუ გვარში) წამყვანი ადგილი ქალს ეჭირა: ამის გამოა, რომ ამირანი დედის სახელობით მოიხსენიება. შესაძლოა ეს ასეც იყოს, მაგრამ არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ.

ჩვენი დაეჭვების მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ **სულკალმახი** და **დარეჯანი** გარკვეულ ურთიერთ მსგავსებას ამჟღავნებენ:

ქართული „სული" უდრის ირანულ **„ჯან-ს"**, ხოლო ქართული „კალმახ" (თევზი) — მსგავსებითი ასოციაციის საფუძველზე უახლოვდება ირანულ „დარ[ია]-ს" (ზღვას); აქ უეჭველად უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ქართული **სულკალმახი** შესაძლოა გავიგოთ როგორც **კალმახის სული**, ირანული დარეჯან-ი იზაფეტური კონსტრუქციის სიმყარის გამო მოგვცემს მხოლოდ ასეთ გაგებას: **სულის ზღვა**; თუმცა ისიც აღნიშვნის ღირსია, რომ ქართულ სინამდვილეში (კვლავ აღმოსავლური კულტურის გავლენით), ისეთი კონსტრუქციაც გვაქვს, რომელიც დარეჯანზე უფრო მეტად უახლოვდება სულკალმახს: „ჯანდარ [ჯან-დარ]-ი" (ზღვის სული).

ის კითხვა, თუ ამირანის უშუალო წინაპარი (დედა ან მამა) რატომ არ იხსენიება სულკალმახის უფრო ზუსტი შესატყვისით (ჯან-დარ-ით), დამატებით კვლევა-ძიებას საჭიროებს და ცალკე შესწავლის საგანი შეიძლება გახდეს. ამჟამად კი ჩვენი კონკრეტული მიზნის დასაკმაყოფილებლად სავსებით ნორმალურად მიგვაჩნია შევჩერდეთ იმ ფაქტის მიგნებაზე, რომ **სულკალმახი** და **დარეჯანი** შინაარსობლივად მონათესავე ცნებებია:

**კალმახის სული** მსგავსია **სულის ზღვისა**, თუნდაც ეს მსგავსება მარტოოდენ კომპოზიტთა იგივეობაზე იყოს დამყარებული.

თვით კალმახი არ წარმოადგენს მარტოოდენ ქართული ენის საკუთრებას. ის ირანულ ენებშიც არის გავრცელებული.

მართალია, კავკასიაში შემორჩენილი უძველესი მატერიალური კულტურის ნაშთები, ქვის თევზ-ვეშაპები, კარგად უკავშირდება სულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალმახ-დარეჯანის მსგავსებას (თუ იგივეობას) და ნ. მარის,[16] მ. ჩიქოვანის და სხვა მეცნიერთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ჩვენთვის უკვე უეჭველს ხდის, მაგრამ საკითხის უფრო მეტად გარკვევაში უკეთესი იქნება თუ ვეცდებით კალმახ-ის ეტიმონის დადგენას.

5. როგორც ზევით აღვნიშნეთ, „სუქქალმახ"-ში გამოყოფენ „მახ"-ს, მნიშვნელობით „დიდი". ეს გვაძლევს საშუალებას, რომ კალმახ-ი დაიშალოს შემდეგნაირად: კალ-მახ-ი. რაც შეეხება კალ-ელემენტს, ნოსტრატულ ენათა დონეზე ის ფინურში გვხვდება და ნიშნავს „თევზს" „კალა"). ე. ი. კალმახი ნიშნავს დიდ თევზს, ხოლო სულკალმახი=დიდი თევზის სულს.

ის გარემოება, რომ კალმახს (თევზის სახეობას) დიდი თევზის მნიშვნელობა ჰქონდა, არ შეიცავს არავითარ წინააღმდეგობას. მართალია, დღეს საქართველოში გავრცელებული კალმახის წონა 1 კგ-ს არ აღემატება, მაგრამ ცნობილია, რომ დიდი წყლების (დიდი მდინარეების) კალმახის წონა 40 კგ-ს აღწევს. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სულკალმახის სავარაუდო ირანული შესატყვისი დარეჯანი სეგმენტში სწორედ დიდ მდინარეს, ზღვას, (დარია) შეიცავს.

ახლა დავუბრუნდეთ ზემოთ თქმულს:

თუ „სუქქალ"-ის, როგორც დამხმარე-ს გაგება ფუნქციონალურად უკავშირდება „ამირანიანს", საინტერესოა სულკალმახი-ს, როგორც დიდი თევზის სული-ს გაგება ხომ არ არის წინააღმდეგობაში მითის შინაარსობლივ მხარესთან.

ამის გარკვევის მიზნით გავიხსენოთ მითის შესაბამისი ადგილი: მაღლა, თეთრ კლდეში დალი მშობიარობს. დაბლა მონადირეს (ან სულკალმახს) შემოესმის მისი კივილი და ა. შ. ამ მონაკვეთში, დიდი თევზის სულის ფუნქციის გასარკვევად გარკვეული ხასიათის ინფორმაციას უნდა მივმართოთ.

ცნობილია, რომ კალმახი — („ორაგულ") ქვირითის დაყრის პერიოდში, მდინარეს სათავისაკენ აუყვება და შეძლებისდაგვარად სულ ზევით ყრის ქვირითს. მდინარე კი (უმრავლესობა, თუ ყველა არა!) მთაში იღებს სათავეს. ე. ი. სავსებით გასაგები უნდა იყოს, რომ დალის, რომელიც მაღლა კლდეში მშობიარობს, დახმარებას უწევს იქვე, დაბლა მდინარის ძირზე (ნაპირზე) ქვირითის დამყრელი თევზის სული.

როგორც ჩანს, აქ აშკარად გამოკვეთილ ფსიქოლოგიურ პარალელიზმს აქვს ადგილი (მშობიარობა//ქვირითის დაყრა). მაგრამ რატომ მაინცდამაინც თევზის სული? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს: საზოგადოებაში, რომლის მეურნეობის ძირითად ხასიათს მეთევზეობა წარმოადგენს, ბუნებრივია, რომ უნდა გაჩენილიყო ტენდენცია თევზის კულტის შექმნისაკენ და მისი გაღმერთებისაკენ. ხოლო ცხოვრებისეულ ცოდნას — თევზის მიერ ქვირითის დიდი რაოდენობით დაყრას, თევზისათვის უნდა მიენიჭებინა ნაყოფიერების სიმბოლოს მნიშვნელობა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამირანის მამის სახელი (სულკალმახი) წარმოადგენს რთულ კომპოზიტის მქონე სახელს, რომელიც საკუთარ სახელად გვიან პერიოდში იქცა და გაბუნდოვანდა (გაიყინა). ხოლო მითის შექმნის პერიოდში, ის უეჭველად გამჭვირვალე უნდა ყოფილიყო და ჰქონოდა „დიდი თევზის სული"-ს მნიშვნელობა.

## ლიტერატურა


1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960; შ. ნუცუბიძე, ამირანი, თბ., 1945; მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947; М. Чиковани, Народный грузинский эпос о прикованном Амирани, М., 1966; დ. შენგელაია, მზეთუნახავი, თხზულებანი, IV, თბ., 1972; Г. Меликишвили, Наири-Урарту, Тб., 1954; ჯ. შარაშენიძე, ამირანის მამის სახელის სულკალმახის ეტიმოლოგიისათვის, „ცისკარი", 1976, № 7.

2 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრ., გვ. 149.

3 დ. შენგელაია, დასახ. შრ., გვ. 266.

4 М. Чиковани, დასახ. შრ., გვ. 312-313.

5 პ. ანტონ დეიმელი, აქადურ-შუმერულ გლოსსარ, რომი (გერმანულ ენაზე), 1937 და Г. Меликишвили, დასახ. შრ., გვ. 122

6 ჯ. შარაშენიძე, დასახ. შრ., გვ. 130.

7 ჯ. შარაშენიძე, იქვე, გვ. 130.

8 ჯ. შარაშენიძე, იქვე, გვ. 130.

9 ჯ. შარაშენიძე, იქვე, გვ. 131.

10 დ. შენგელაია, დასახ. შრ., სქოლიო, გვ. 266.

11 გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.

12. გ. წერეთელი, დასახ. შრ., გვ. 33.

13. გ. წერეთელი, დასახ. შრ., გვ. 34.

14 Г. Меликишвили, დასახ. შრ., გვ. 121.

15. „თამუზის სიზმარი", ძველი შუამდინარული პოეზია. შუმერულიდან და აქადურიდან თარგმნა ზ. კიკნაძემ, თბ., 1966, გვ. 101.

16. Н. Я. Марр, Я. Смирнов, Вышапы, Л., 1931.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მაისის წვიმა"

ცნობილი ამბავია: ხანგრძლივი, მტკიცე მეგობრობით დაკავშირებული თანამოკალმენი ერთმანეთის ნაწარმოებების მიმართ განსაკუთრებულად მომთხოვნი, თითქმის „დაუნდობელნი" არიან. უანგარობითა და სრული კეთილგანწყობილებით ნაკარნახევი ასეთი უკომპრომისობა საქმეს რგებს. და მაინც დგება დრო, როცა გიჩნდება გულისტკივილი იმის გამო, რომ შენი კეთილგანწყობილება თანაშეზრდილი მეგობრისადმი ერთხელაც არ გამოგიხატავს საჯაროდ. სწორედ ამგვარმა გრძნობამ გადამაწყვეტინა შევეხმიანოთ ერთი პატარა წიგნის გამოსვლას, რომელიც გიორგი სალუქვაძეს ეკუთვნის.

„მერანის" მიერ გამოცემული კრებული „მაისის წვიმა" სულ რაღაც სამოცგვერდიანია, მაგრამ თავისი თემატიკური მრავალფეროვნებითა და ნაღდი პოეტური აღმოჩენა-მიგნებებით საკმაო სისავსის გრძნობას ჰბადებს. ყველაზე სასიამოვნოდ ის გვეჩვენება, რომ გ. სალუქვაძის ადრინდელი წიგნებიდან ნაცნობი მოტივები ამ კრებულში გახსნილია ახლებურად, ახალი გამომსახველობითი საშუალებებისა და ინტონაციების მოშველიებით; მთელი წიგნი იმის დამადასტურებელია, რომ პოეტი ერთგულად უთევს ღამეებს ქართულ სიტყვას, რომ მისი შთაგონების წიაღში კვლავაც „ატმის კვირტივით თბება ნელ-ნელა" „ლექსი, რომელიც არ დაწერილა".

სარეცენზიო კრებულში გ. სალუქვაძის ლექსებისათვის მეტი ძარღვიანობა და ტონუსი მიუნიჭებია ხალხური პოეზიის მოტივების შემოქმედებით გამოყენებას. საკმარისია წავიკითხოთ თუნდაც „ალადასტური", „სამყურა", „ფერდობს ანათებს იელი", „ხალხურ კილოზე" და სხვ. სასიამოვნო სიახლედ აღიქმება თითო-ორსტროფიანი პოეტური მინიატურებიც. გ. სალუქვაძის ფრაზა ყოველთვის გამოირჩეოდა აზრის სიცხადითა და ნატიფი უბრალოებით, მაგრამ, ჩანს, პოეტი მეტი სრულყოფილებისაკენ ისწრაფვის:

მშვიდად დგას მუხა ბებერი.  
ქარში წრიალებს კენარი,  
ვით სული შენი მძებნელი  
და გული დაუთმენარი.  
წინ კი შემცვლელი ელფერის  
ღამეა გაუთენარი.

უფრო დაწვრილებით გვინდა შევეხოთ პოემა „მაისის წვიმას". მისთვის ავტორს ლირიკული უწოდებია და მართებულადაც. პოემა გახლავთ წრფელი პოეტური აღსარება შვილისა დაღუპული მამის აჩრდილის წინაშე. თემის ამგვარად გახსნის დროს ადვილი შესაძლებელია სენტიმენტალურ გრძნობამორეულობას მიეცე, მაგრამ პოეტის სასახელოდ, მან აიცდინა ეს საფრთხე, რადგან ნაწარმოები თავიდან ბოლომდე სიმართლის შუქითაა განათებული და გულწრფელობის კამერტონზეა აწყობილი.

კაცმა რომ თქვას, გ. სალუქვაძეს არც თუ ისე მდიდარი „საშენი" მასალა" ჰქონდა ხელთ: ბავშვობისა და სიჭაბუკის ბუნდოვანი, ნახევრადგაცნობიერებული მოგონებები, ცხოვრებიდან ნაადრევად წასული მამის მოსაგონებლად დარჩენილი ძველებური საათი, მხედრული ქამარი და გიმნასტურა, გაცრეცილი უბის წიგნაკი რამდენიმე ჩანაწერით. მაგრამ ამ დეტალების დახმარებითა და ფანტაზიის მოშველიებით პოეტი ახერხებს უტყუვრად აღადგინოს ერთი ადამიანის ცხოვრების ამბავში ჩატეული განზოგადებული ბიოგრაფია მთელი თაობისა. მხატვარ-რესტავრატორის მსგავსად, პოეტი ფრთხილი, ხშირად უტყუარი ინტუიტური შეხებით აცოცხლებს თითქმის გადასულ ხაზებსა და მონასმებს, შინაარსითა და ადამიანური გრძნობებით ავსებს მათ. სხვანაირად მკითხველისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა იმის გაგებას, თუ რატომ გაჩნდა მამისეული უბის წიგნაკში გალაკტიონის „რწმენით იარ!". ის ამბავი, რომ სამხედრო საქმის მასწავლებელმა, ბავშვების სასროლეთზე გაყვანის წინ, ყველაზე მეტი ტვირთი შვილს აჰკიდა, წარმოაჩენს ისეთი ადამიანის ხასიათს, რომლისთვისაც საერთოდ მიუღებელი და არა ეთიკურია შვილის დაზოგვა სხვათა ხარჯზე, საკუთარი სინდისის წინაშე რაიმე კომპრომისზე წასვლა.

პოემა თავიდანვე გვმუხტავს ტრაგიკული განწყობით, რაც უკავშირდება მამის ომში დაღუპვის ცნობასთან დაკავშირებულ განცდებს. ასეთ დროს ზომიერებისა და ტაქტის განსაკუთრებული გრძნობაა საჭირო და იგი პოეტს არც ღალატობს. თანაც მთელი ეს განცდები ძირითადად მოშველიებულია იმისათვის, რომ დავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახოთ დიდი მწუხარება როგორ ერთბაშად ავაქკაცებს გუშინდელ პირლინლიან ჭაბუკს. პოეტი ამაში გვაჯერებს. საკმარისია გავიხსენოთ პასაჟი, როცა მამის დალუპვით გულმოკლულ ჭაბუკს უკვე უბადრუკად და საცოდავად ეჩვენება მეზობლის მიერ ნათქვამი თანაგრძნობის სიტყვები.

გ. სალუქვაძე უტყუარი პოეტური ალღოთი გადაერთვება ერთი ამბიდან მეორეზე, პირადულიდან ზოგადზე, საამისოდ ყოველთვის პოულობს ბუნებრივ ხერხსა და ინტონაციას:

ვისი სახელი ახსენე ოხვრით,
რა მოგალანდა სიკვდილის წამმა? —
ხევისწყლის პირად პატარა ქოხი,
შენი ბავშვობა, დედა და მამა.

პოეტი არსად არ ცდილობს ცხოვრების ხელოვნურად შელამაზებას, რადგან სინამდვილეში მრავლად პოულობს საინტერესოსა და ამაღელვებელს. ქალაქში გადმოსული კურსანტის ახალგაზრდა ოჯახს თუმც ხელმოკლეობა სდევს, მაგრამ ამ ოჯახის ყოველდღიური ყოფა გასპეტაკებულია მაღალი ზნეობრივი შინაარსით, დაფუძნებულია პატიოსან შრომაზე:

ლეიტენანტის ნანატრი ჩინი!
სტუმართმოყვარე, სახლი და კარი...
მაინც გლეხური, ჯიუტი ქინი,
მაინც სასხლავი, წალდი და ბარი.

მოვლენების სიღრმეში კარგად ჩახედული პოეტი ზუსტად მიგნებული შტრიხებითა და დეტალებით აღადგენს სინამდვილეს, რომელმაც გუშინდელი ახალგაზრდა გლეხკაცი სამხედრო კურსანტად აქცია. ეს იყო დროის მოთხოვნა, მომავალი ქარტეხილის შეგრძნებით ნაკარნახევი. სწორედ ასეთმა ადამიანებმა იტვირთეს შემდეგ ყველაზე დიდი და სასტიკი ომის უმთავრესი სიმძიმე.

პოემის ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას თითქმის არსად არ ღალატობს სიმართლისა და ზომიერების გრძნობა, რაც უთუოდ მხატვრულ გემოვნებაზე მეტყველებს. ომის პირველი დღეებიდანვე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩამდგარი კაცის ცხოვრება მრავალ მაცდუნებელ საბაბსაც იძლეოდა, რომ იგი უჩვეულო გმირული მხედრული საქმეების შარავანდედში გაგვეხვია. მაგრამ გ. სალუქვაძე ამ ხერხს შეგნებულად არ მიმართავს. პოემის გმირი ისე იღუპება, რომ ფრონტის ხაზამდეც კი ვერ აღწევს. იღუპება თითქოსდა ბრმა შემთხვევის გამო, მაგრამ მაინც ომის დაუნდობელი კანონით და რაც მთავარია, კაცურად. იგი ეშელონის დაბომბვის დროს მძიმედ დაჭრილი მეგობრის გადარჩენას ცდილობდა, როცა „გააყრუა ცა აფეთქებამ და ლეიტენანტს ახადა ქალა".

გმირის ცხოვრების ამგვარი დასასრული რაიმე განსაკუთრებულობით არ გამოირჩევა, მაგრამ აღსავსეა ღრმა შინაგანი აზრით, რომელიც საერთოდ ადამიანისა და ადამიანურის გადარჩენას გულისხმობს. ამიტომაც არ ხუნდება პოემის ლირიკული გმირის „წარმოდგენაში დაღუპული მამის აჩრდილი — „ოჯახის ფუძე, მისი უფალი", ამიტომაც გადმოდის მისი არსება მაისის წვიმად, „ვაზების ცრემლად, აყვავებული ვენახის ქებად".

ქართული პოეტური აზროვნებისათვის ესოდენ ტრადიციული სახე ვაზისა პოემაში ორგანულადაა ჩაწნული მტევნის იგავის სახით, რომელიც მამის ანდერძად გაისმის:

— შვილო,
იგავის სათქმელი იცან —
ყურძნის სურნელით გული ნელდება,
და ვიდრე გვიყვარს ვაზი და მიწა,
ქართული სული არ დაბერდება.

ჭეშმარიტად, ეს წიგნი გამთბარია ქართული ყოფისა და მსოფლშეგრძნობის დიდი სინათლით, წრფელი და უშუალო პატრიოტიზმის გრძნობით.

ილია რურუა

# „ყველას თავისი სათქმელი სტკივა"

პირველი წიგნი ჰაშნიკივითაა. მეც ამ ფიქრით ავიღე ხელში ლალი ჯაფარაშვილის ლექსთა პატარა კრებული — „მზეკარა".

სათაური ხშირად წიგნის გასაღებია. მზეგარეული სიტყვები ქართველებს საკმაოდ მოგვეპოვება: მზეშინა და მზეგარეთა, მზეგრძელი და მზეთუნახავი, მზისყური და მზიური... ხოლო მზეკარა სიტყვათა ოფიციალურ ლექსიკონებში ჯერჯერობით არსად გვიწერია. არადა, ესეც ლამაზი სიტყვაა, საამოდ სასმენელი და ფერადი.

თვითონ წიგნის ავტორი ანოტაციაში ამ სიტყვას ასე განმარტავს: „გაზაფხულის ნათელი დღე... მოულოდნელად მოიქუფრება ზეცა და წამოვა შხაპუნა, თავშესაფრის მოძებნასაც ვერ მოასწრებ, რომ გადანათდება ცა, გადაიკარებს. მზე პირს იბანსო, — იტყვიან ხოლმე ასეთ ამინდზე. ქართლში მას მზეკარას ეძახიან". მაგრამ მე ამ სიტყვაში სხვა ფერ-ხორციც დავინახე. მზეკარაა თითქოს ის მთაც, ცაზე დილით მზეს რომ უღებს კარს, მზეკარაა ყველაფერი, რაც სინათლესა და სიკეთეს ულოცავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზას. ასე მაფიქრებინა თვით ამ წიგნის სულმა და მჯერა, ეს მშვენიერი სიტყვა ამიერიდან ლიტერატურაშიც დაიმკვიდრებს ადგილს, ლექსიკონებსაც შეუღებს კარს. ეს უკვე მადლი და ღირსებაა. ყველა მწერალმა თუნდაც თითოოროლა ლამაზი სიტყვა რომ დაუტოვოს დროჟამს სახსოვრად, სიკეთედ ითქმის, მაგრამ ამ წიგნის ღირსება ისიცაა, რომ მასში დაბეჭდილი ლექსების უმრავლესობაში პოეტის სული ტრიალებს, სტრიქონები მირონცხებულია ჭეშმარიტი პოეზიით.

პოეტი-ქალი პირველსავე ლექსში ალსარებასავით გვიმხელს სულიერ მრწამსს, თავის თავს ადარებს ჩიტს, ბუდის ასაშენებლად მიწასა და ბუმბულს რომ ეზიდება ფრთხილად. ლ. ჯაფარაშვილს სწამს ხვალინდელი დღის სიკეთე, მის რწმენას ლამაზი ფრთა აქვს, ამიტომაც პოეტის სიმღერა იმედისფერი დავარდისფერია, ხოლო ამ ორ ფერს მესამეც რომ ურევია — ტკივილისფერი, ესეც ბუნებრივია, რამეთუ სადაც სიცოცხლეა, იქ ტკივილიცაა, უდარდელი და უტკივილო სიცოცხლე თითქოს ნამდვილი სიცოცხლეც არაა. „მზეკარა" ლექსებად გამხელილი ხვაშიადია, ადამიანურია მისი მიწიერი სიხარული და სევდაც, ესაა მტკივნეული ფიქრი აწმყოსა და მერმისზე. შემთხვევითი ამბავი როდია, რომ პოეტი ბავშვს მომავლის სიმღერას არქმევს. პოეტის წუხილი მიწის წუხილიცაა: „მე მეჩვენება: დედამიწა წუხს და წრიალებს, საშველად გვიხმობს, გვეხვეწება ადამიანებს, ასფალტის ქვეშ გათანგული ოხრავს და ხვნეშის, იხსენებს ხნულში გუთნისდედას ხორბლიან პეშვით... ძე კაცის ენით პირველ ნათქვამ „ანსა" და „ჰაეს", პირველქმნილ ფერს და წაუბილწავ წყალსა და ჰაერს".

ლ. ჯაფარაშვილის ლირიკულ გმირს სიკეთე ხელში აყვანას ემუდარება, იგი თავისთავად მძიმეა, მაგრამ როცა მას ადამიანის ხელი ეხება, უმალვე ადამიანის არსებაში მსუბუქად იბუდებს და კაცი კაცით ნათდება, რამეთუ სხვის სასიკეთოდ ანთებული კელაპტარი უწმინდესია. ამ კელაპტრისთვის დიახაც რომ ვასაგებია „ღუზაჩაშვებულ გემების დარდი", გასაგებია ასეთი რამეც: „დამესიზმრა, — სულ უბრალო სურვილები მქონდა: მცირე ქოხი — ნათლის ბუდე, სასთუმალთან ანგელოზი, ცის და მიწის შეძახილი, — ვამო, სხივი გვაკლიაო!"

იყო ჟამი, ადამიანი კერიისათვის მეზობლისაგან ცეცხლს სესხულობდა. მწერალმა წინამორბედი მწერლისაგან შესაძლოა ზოგი რამ ისესხოს, მაგრამ ცეცხლის სესხება შეუძლებელია, სულის ცეცხლი ყველა შემოქმედს თავისი უნდა ჰქონდეს. ამგვარი ცეცხლის თვითმყოფადობით გვათბობს „მზეკარა". კრებულის ლექსთაგან მინდა ერთი განსაკუთრებით წარმოვაჩინო — „შვების დილა": „საავადმყოფოს ვიწრო სარკმელთან, შენი ტკივილის უსასრულო სამ ღამეში, ტანჯვის ხე გაჩნდა, ხეს შეტუსული ჰქონდა ფოთლები, ხოლო დატეხილ ტოტებიდან დიოდა კვნესა... მეოთხე დილას, მოულოდნელად, ტანჯვის ხეს შვების ყვავილები გამოაფინა, სალბუნივით დაგიამა ნაჩეხი ტანი და თეთრი, თეთრი ყვავილებით აივსო ზეცა". ეს ლექსი ჩემთვის, ბეწვის ხიდზე გავლილი ადამიანისათვის, განსაკუთრებით მართალია, ფრიად საგრძნობელიც.

ბავშვთა წმინდა ცრემლებითაა განათებული ლექსი „მინაწერი როდიონ ქორქიას წიგნზე „მარილის აკვანში". აქ ყმაწვილების ტირილი სიცოცხლის დიდ საგალობლად გვესმის.

„მზეკარას" ავტორმა პოეზიის ასპარეზზე თავისი პატარა კუნძული რომ გაიჩინა, ეს უდავოა. მაგრამ მომავალში იგი, ალბათ, მეტი გულმოდგინებით იმუშავებს, უფრო ახლო მივა ცხოვრების ორომტრიალთან, იქ სიხარულსაც მეტს იპოვის, ტკივილსაც და ალმატებული ცეცხლოვანებით გაგვიმხელს ხვაშიადს. აკი თვითონვე გვპირდება: „ჩემს სათქმელს მაინც არავინ იტყვის, ყველას თავისი სათქმელი სტკივაო".

„მზეკარაში" ჩვენი დროის ადამიანის სული ტრიალებს სხვადასხვა რაკურსით განათებული. მწერალს, დიახაც, რომ სჭირდება ადამიანის სულის დანახვისა და დახატვის ნიჭი, მაგრამ, აქვე, არანაკლებად სჭირდება ადამიანის სიყვარულის ნიჭი. თუ მავანს ადამიანი არ უყვარს, უმადლო იქნება მისი ნალვაწ-ნაკალმარი. ამ პატარა წიგნის ავტორს ადამიანი ფრიად უყვარს, გულითადად იზიარებს მის სიხარულსა და დარდს, სწამს მისი სიკეთე, ჰოდა, იმედია, ამ სიყვარულს იგი მომავალში უფრო დიდ პოეზიასთან დაანათესავებს.

თავიდანვე ვთქვი: პირველი წიგნი ჰაშნიკიამეთქი. „მზეკარა", დიახაც, კარგი ჰაშნიკი გამოდგა. მაგრამ ეს, ჯერჯერობით, მაინც მარტოოდენ ჰაშნიკია. საქართველო ღვინისა და პოეზიის ქვეყანაა და აქ ყველამ იცის, თუ ქვევრი დანაკლულებულად დაგვრჩა, კარგი ღვინოც კი მალე კარგავს თავის ანდამატს, ზოგჯერ ფუჭდება კიდეც. ასევე პოეზიაში კარგი ჰაშნიკი არ კმარა. ლ. ჯაფარაშვილმა პოეტური ნიჭის პირველ გამოვლინებას ამიერიდან უფრო მეტად უნდა მოუაროს, რომ თავისი პოეზიის ქვევრი არასოდეს დატოვოს ნაკლულად. მისი პოეზიის გზა ახლა მხოლოდ დაიწყო.

აკაკი გეწაძე

ფასი 80 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდექსი
76128

„МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ